

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა  
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Georgian Shota Rustaveli Theatre and Film  
State University

სახელმწიფო მეცნიერებათა პირანი  
№4 (41), 2009

ART SCIENCE STUDIES  
№4 (41), 2009



გამომცემლობა „კენტავრი“  
თბილისი – 2009

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტი

სახელობრივი მეცნიერებათა ძეგლი №4 (41), 2009

სარედაქციო საბჭო ლევან ხეთიაგული	კრებულისათვის მოწოდებული მასალა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამეცნიერო აპარატით. თან უნდა ახლდეს მონაცემები ავტორის სამეცნიერო კვალიფიკაციის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე ნაშრომის ინგლისურენოვანი რეზიუმე.
გარეკანის დიზაინი ლევან დადიანი	კრებულის სტამბური გამოცემა ეგზაზება სხვადასხვა საერთაშორისო პლატფორმის ცენტრებს.
დაკაბალონება მკაფიობები ოქროპირიძე	ნაშრომები მოგვაწოდეთ და ცნობებისათვის მოგვმართეთ: 0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №40, შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, II კორპუსი. ტელ/ფაქსი: +995 (32) 936 408 მობ: +995 (95) 305 060 +995 (55) 218 292 E-mail: kentavri@tafu.edu.ge Web: www.tafu.edu.ge
კორექტურა მაცნეა გოგაძე	
გამომცემლობის ხელმძღვანელი გაგა გასაძე	

წინამდებარე კრებული სრულად ეფუძნება  
2009 წლის 15-16 ივნისს

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა  
და კინოს სახელმწიფო  
უნივერსიტეტში ჩატარებულ  
მაგისტრანტთა და დოქტორანტთა  
პირველ სამეცნიერო კონფერენციის მასალებს

---

---

## შინაგანი

შესავალი ..... 9

### თეატრმცოდნეობა

#### ირაკლი გოგია

რიტმის სწავლების მიშენელობა მსახიობის 15

აღზრდის პროცესში ..... 15

#### მიხეილ მესტვირიშვილი

თეატრი კიბერ-სამყაროში ..... 23

#### ლაშა ჩხართიშვილი

შექსპირის ახლებური გაზრება XX საუკუნის II 38

ნახევრის დასაწყისში ..... 38

#### თამარ ცაგარელი

შუა საუკუნეების ევროპული და ქართული საეკლესიო 62

სახილგელი ..... 62

### კინომცოდნეობა

#### ოლდა ელიაშვილი

განგსტერული კინო ..... 77

#### სოფიო ჟულია

კინოფერტასტიკის ეფოლუციის პროცესი ..... 83

#### რუსულან აააშვალი

ქალის რეპრეზენტაცია ფრანგისტული ესპანეთის პერიოდის 89

კინემატოგრაფში ..... 89

### კულტურის მეცნიერებელი

#### კულტურის პოლიტიკა

#### გლეხე ბაბაგიშვილი

სპონსორის როლი კულტურული ორგანიზაციის პოლიტიკაში ..... 102

#### ია გაბუნია

სარეკლამო პოლიტიკა და რეკლამის არსი ..... 112

#### სოფიო პომლაპე

საგამომცემლო ბაზრის კვლევის ზოგიერთი საკითხი ..... 119

#### ნატალია გურჯიშვილი

სტრესი ორგანიზაციაში და მისი მართვის სტრატეგიები ..... 127

#### ცაცა ჯორჯიაშვილი

PR -ის (საზოგადოებასთან ურთიერთობის) როლი კულტურული

---

ტერიზმის განვითარებაში	137
<b>თამარ ვიოლისანაშვილი</b>	
არტ-ბაზარი საქართველოს გალერებში	146
<b>ნინო ჭურაშვილი</b>	
რეკლამის ეფექტურობის კვლევა	154
<b>ლიქა ჭუვარაძე</b>	
PR-რეაქტურდაციები კინოფესტივალ „სესილისთვის“	162
<b>ნინო ჭარიაშვილი</b>	
მაყურებლის პრობლემა აკადემიურ თეატრებში	173
<b>მარიამ ჭუმაშვილი</b>	
მენეჯმენტის ზოგიერთი პრობლემა თანამედროვე ხელოვნებაში	181
<b>ნინო ხუციშვილი</b>	
ინტერნეტ ტექნოლოგიები მარკეტინგში	193
<b>ნინო აზარიშვილი</b>	
მენეჯმენტის როლი კულტურის გლობალიზაციის პროცესებში	200
<b>თრადიციული ხელოვნება</b>	
<b>აღეპო გალაშვილი</b>	
სამეჯლისო ცეკვების მესვეურები საქართველოში	217
<b>გვა გლიაშვილი</b>	
„სართულებანი“ ფერხულების სიმბოლიკა	228
<b>თამარ გუჯიშვილი</b>	
ქორეოგრაფიაში საბავშვო რეპერტუარის საკითხისათვის	242
<b>საშემსრულებლო ხელოვნება</b>	
<b>თამარ ვიოლისანაშვილი</b>	
ქორეოგრაფიის როლი თეატრში	251
<b>გუსიგისმორდვერია</b>	
<b>თამარ გიძაძე</b>	
ჯაზისა და კლასიკის ურთიერთმიმართების საკითხისათვის	261
<b>გაია ციბულა</b>	
ანტიკური ტრაგედია XX საუკუნის მუსიკალურ-სცენურ ნაწარმოებებში – უანრის ინტერპეტაციის საკითხები	271
<b>ქათოვან ჭითაძე</b>	
ახალი უანრული მოდელების ძიება XX საუკუნის მუსიკაში	285
<b>გვა ჭაბაშვილი</b>	
ატომიალურ-ბირთვული საკომპოზიციო ტექნიკა	298

---



---

## CONTENTS

---

### THEATRE STUDIES

#### **IRAKLIGOGIA**

Shota Rustaveli Theatre And Film University's Faculty Of Arts And Social Sciences ..... 325

#### **MIKHEIL MESTVIRISHVILI**

Theatre In Cyber-Universe ..... 325

#### **LASHA CHKHARTISHVILI**

New Interpretation Of Shakespeare In The Second Half Of The XX Century ..... 326

#### **TAMARTSAGARELI**

Church Show In Medieval Europe And In Georgia ..... 327

### FILM STUDIES

#### **OLGA ELIASHLVILI**

The Gangster Film ..... 328

#### **RUSUDAN PAPUNASHVILI**

Representation Of Women In The Spanish Film Of The Franco Period ..... 329

### CULTURE MANAGEMENT

#### CULTURAL POLICY

#### **ELENE BABAKISHVILI**

The Role Of Sponsorship In The Policy Of Cultural Organization ..... 330

#### **IA GABUNIA**

The Advertising Policy And Main Point Of The Advertisement ..... 331

#### **SOFIO KOMLADZE**

“Several Issues On Publishing Market Research” ..... 332

#### **NATALIA MURJIKNELI**

Stress In Organization And Strategies Of Its Management ..... 334

#### **TSATSAJORJIASHVILI**

Pr (Public Relations) Role In Cultural Tourism Development ..... 335

#### **TAMAR PIROSMANASHVILI**

Art Market In Georgian Galleries ..... 337

#### **NINO KURASHVILI**

Research Of The Effectiveness Of Advertisment ..... 338

#### **LIKAKUPARADZE**

Pr-Recommendations For Cinema Festival „Sesily” ..... 339

---

<b>NINO SHARMIASHVILI</b>	
Audience At Tendance Problem In Academic Theatres.....	340
<b>MARIAM TSCHUMBURIDZE</b>	
Several Problems Of Management In Modern Art .....	341
<b>NINO KHUTSISHVILI</b>	
Internet-Technologies In Marketing .....	343
<b>NINO AZMAIPARASHVILI</b>	
The Management Of Cultural Globalization .....	344
 <b>TRADITIONAL ARTS</b>	
<b>ALEKO GELASHVILI</b>	
Entrepreneurs Of Ball Dances In Georgia .....	346
<b>EKA GELIASHVILI</b>	
Symbolism Of“Multi Story” Perkhuli Dance .....	347
<b>TAMAR MUNJISHVILI</b>	
On Children’s Programs In Choreography .....	348
<b>TAMAR PIROSMANASHVILI</b>	
Importance Of Choreography In Theatre .....	349
 <b>MUSIC STUDIES</b>	
<b>TAMAR MIKADZE</b>	
Issues Of Interrelationship	
Between Jazz And Classical Music .....	350
<b>KETEVAN CHITADZE</b>	
Search For New Genre Models In The 20th Century Music .....	351
<b>EKA TCHABASHVILI</b>	
Atomic-Nuclear Composition Technique .....	352

---



---

## შესავალი

---

პერიოდულად რეფორმები განათლების სისტემაში მიმდინარეობს სხვადასხვა ქვეყანაში და იშვიათა პროცესი, როდესაც იგი მოიცავს ქვეყნებს, რეგიონებს ერთდროულად.

მსგავსი სიტუაცია გვაქვს ბოლონის პროცესთან, როდესაც ევრო კავშირმა წამოიწყო განათლების სისტემის პარმონიზაციის პროცესი – რეფორმა, რომელიც გაცდა ევრო კავშირის იურიდიულ საზღვრებს და მოიცვა არა მხოლოდ ევრო კავშირის 27 წევრი ქვეყანა, არამედ გაცილებით უფრო მეტი და დიდი ეკონომიკური არეალი, იმისათვის, რომ სხვადასხვა ქვეყანაში გაცემული დიპლომები, სხვადასხვა ქვეყნებში მომუშავე პროფესიონალურობა და სტუდენტები ერთმანეთთან ერთი საერთო პრინციპით ყოფლიყვნენ დაკავშირებული და ქონლათ არა მხოლოდ უფლება მობილურობაზე, არამედ მისი რეალიზაციის ფინანსური საშუალებებიც.

საქართველო ამ რეფორმებს 2004 წლიდან შეუერთდა და ჩვენმა უნივერსიტეტმაც არაერთი ნაბიჯი გადადგა იმისათვის, რომ მიახლოებოდა ევროპულ საგანმანათლებლო სივრცეს.

სწორედ ამ მიზნით დაინერგა ჩვენს უნივერსიტეტში სწავლების მეორე – სამაგისტრო და მესამე – სადოქტორო საფეხურები, შეიცვალა სწავლების პრინციპები და დაინერგა ახალი ფორმები, მათ შორის სამეცნიერო მიდგომები აკადემიური და სამეცნიერო მოღვაწეობის დაახლოებისათვის<sup>7</sup>

სწორედ ამ ამოცანების გადაწყვეტილებათა ფონზე ჩვენს უნივერსიტეტში პირველად დაიწყო ფუნქციონირება 2008 წელს სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამებმა, როგორც სახელოვნებო მეცნიერბათა, ასევე – საშემსრულებლო სპეციალობების მიმართულებებით<sup>7</sup> შეიქმნა ახალი სასწავლო ბადეები და გეგმები მეორე და მესამე სასწავლო საფეხურებისათვის, დიდი ყურადღება დაეთმო სტუდენტთა სამეცნიერო უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას და შემდგომ განვითარებას, განსაკუთრებით, – სახელოვნებო მეცნიერებათა და საშემსრულებლო ხელოვნების ფარგლებში.

გადაწყდა, რომ სამეცნიერო კონფერენციები, სტუდენტთა მიერ დამუშავებული თემების საჯარო აპრობაციები სასწავლო პროცესის შემადგენლი ნაწილი გახდებოდა<sup>7</sup> სამეცნიერო კონფერენციების სისტემური ჩატარება უნივერსიტეტის საქმიანობის პრიორიტეტია, მისი მომზადება და ჩატარება საუნივერსიტეტი და საერთაშორისო დონეზე, საბოლოო ჯამში, უდიდესი მნიშვნელობის მქონეა საქართველოში სახელობრივი მეცნიერებათა და საშემსრულებლო ხელოვნებათა განვითარებისათვის.

წინამდებარე კრებული წარმოადგენს ჩვენი უნივერსიტეტის მსოფლიო თეატრის მიმართულების სადოქტორო, მსოფლიო კინოს სამაგისტრო, კრეატიული პედაგოგიკის და ცეკვის სამგისტრო, კულტურის პოლიტიკისა და კულტურის მენეჯმენტის სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების და ასევე სახელმწიფო კონსერვატორიის მაგისტრატთა სემეცნიერო მოხსენებათა კრებულს, მასალებს კონფერენციისა, რომელიც 2009 წლის 15-16 ივნისს ჩატარდა.

ეს პირველი მცდელობაა დამკვიდრდეს სტუდენტთა სამეცნიერო მოღვაწეობის საჯარ აპრობაცია, რასაც დღი მნიშვნელობა ექნება, როგორც სტუდენტთა პროფესიული განვითარებისათვის და, რომელიც, ასევე, სამომავლოდ დაეხმარება სასწავლო პროცესსაც იმისათვის, რომ აღმოვაჩინოთ შესაძლებელი ნაკლოვანებანი, ანდა პირიქით, – განვავითაროთ არსებული მიღწევები.

ჩემი პროგრამების მიზანია თანამედროვე მსოფლიო თეატრის შესწავლა, მისი ადგილის განსაზღვრა ცივილიზაციის მრავალსაუკუნოვან ისტორიაში; თანამედროვე კალეგის წარმოება, ასევე თანამედროვე და თანადროული ტექნიკური სამუალებების გამოყენებით. სასწავლო პროგრამის დროს დღი ადგილი ეთმობა სტუდენტთა სამეცნიერო კვლევასთან ერთად მათ პედაგოგურ პრაქტიკას, მათ დაოსტატებას, როგორც მომავალი პედაგოგებისა, პროფესიონალებისა, რომელიც თანაბრძ უნდა ფლობდნენ, როგორც სამეცნიერო კვლევას, ასევე – სასწავლო მეთოდოლოგიას.

ღრმად მჯერა, რომ მსოფლიო კულტურის პროცესების ცოდნა უპერ წარმოაჩენს ქართული კულტურის ადგილს მსოფლიოში და დაეხმარებათ მომავალ მეცნიერებს უფრო ზუსტი ანალიზისა და კვლევის საწარმოებლად.

ჩვენს პროგრამაში ერთი ექსპერიმენტიც ტარდება – სადოქტორო საფეხურზე თრი პრაქტიკონი-რეჟისორიც სწავლობს, რომელიც პრაქტიკას თეორიული კუთხით შეისწავლიან, იმის გათვალისწინებით, რომ ჯერჯერობით საქართველოში არ არის დანერგილი არტისტული (შემოქმედებითი) კვლევა (არტისტიც რესეარცი), მსგავსი ექსპერიმენტი კარგი სამუალებაა პრაქტიკონი დოქტორანტების აღზრდისა და მათთან სამეცნიერო უნარჩვევების განვითარებისა.

მე მინდა მივულოცო ამ პირველი კრებულის ყველა მონაწილე-ავტორს სამეცნიერო მოღვაწეობის დაწყება, ზოგს გაგრძელება და შემდგომი განვითარება. იმედს ვიტოვებ, რომ ეს პირველი კრებული გახდება ყოველწლიური გამოცემა, როგორც ანგარიში ყოველწლიური კონფერენციებისა.

ქართულ სახელობრივ მეცნიერებას მრავალი ახალგაზრდა მეცნიერი ჭირდება, რომელიც თავის წვლილს შეიტანს თეორიის, ისტორიისა და კრიტიკის განვითარებაში, საერთაშორისო ურთიერთობების გაღრმავებაში და საქართველოს წარმომაზნაში, როგორც თანამედროვე მზარდი პოტენციალის მქონე ქვენისა.

**პროფესორი ლევან ზეთაგური,**  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე,  
მსოფლიო თეატრის მიმართულების ხელმძღვანელი

---


---

ჰუმანიტარულ, სოციალურ  
მეცნიერებათა, ბიზნესისა და  
მართვის ფაკულტეტი

---

---

## თეატრმცოდნეობა



## სადოქტორო პროგრამა

### თანამედროვე ეპიროკული თეატრის მკვლევარი

ირაკლი გოგია  
დოქტორანტურის I კურსი  
ხელმძღვანელი – პროფ. ლევან ხეთაგური

### რიზმის სფავლების მიზანების მსახიობის აღზრდის პროცესში

„ნებისმიერ რიზმში არის მოძრაობა“  
გმილ ჟაკ-დალკროზი

XX საუკუნის დასაწყისში არაერთ სათეატრო ექსპერიმენტს ჩაეყარა საფუძველი. იმ დროისთვის სარიტუალო თეატრის კვლევისაქნ მიღრებილებამ ბევრ საინტერესო კითხვას გასცა პასუხი და ევროპული თანამედროვე ცეკვის საწყისად იქცა.

გასული საუკუნის 20-ან წლებში, გერმანიაში, ექსპერიმენტულორმა მსახიობმა, მხატვარმა და ქორეოგრაფმა რუდოლფ ლაბანმა კლასიკური ბალეტის „საწინააღმდეგოდ“ სხეულსა და მოძრაობას სრულიად განსხვავებული მიმართულება მისცა. ლაბანმა ე. წ. კლასიკურ, მკაცრი ცეკვის კანონებს სხეულის სრული თავისუფლება დაუპირისპირა. ამის საფუძველი სარიტუალო ცეკვები გახლდათ. სწორედ ამ დროს შექმნა ლაბანმა მისი „თანამედროვე ცეკვის მანიფესტი“. აღსანიშნავია, რომ იმავე წლებში ორიგინალური ექსპერიმენტები აისიდორა დუნკნმაც განახორციელა – ის აღმოსავლურ ცეკვებზე იყო ორიენტირებული. იმ პერიოდის ყველა მცდელობა კი რიტმის, როგორც სათეატრო სტრუქტურის ჩამოყალიბისკენ იყო მიმართული.

რიზმისა და პლასტიკის ყველაზე მასშტაბური კვლევა ფრანგული წარმოშობის შვეიცარიიდ კომპოზიტორსა და პედაგოგს, ემილ ჟაკ-დალკროზს, უკავშირდება. შეიძლება ითქვას, რომ მის შემოქმედებაში თავს იყრის თითქმის ყველა ის ტენდენცია, რომელიც იმ პერიოდის ცეკვის სამყაროში გვხვდება. დალკროზი ქმნის რიტმო-პლასტიკურ მეთოდოლოგიას და გვთავაზობს კონკრეტულ სისტემას, სტრუქტურას, რომელიც ასევე სარიტუალო თეატრის ელემენტებს ეყრდნობა.

ალექსანდრე შეოფნისას დალკროზმა შეისწავლა ადგილობრივთა რიზმული მოძრაობები, შესრულების მანერულობის ისეთი მაგალითები და რიტმი, რომლებიც განსაკუთრებით აფრიკული სარიტუალო ცეკვისთვისაა დამახასიათებელი.

ამ შემთხვევაში რიტმი განიხილება, როგორც კონკრეტული ერისთვის დამახასიათებელი თავისებურებების მამოძრავებელი და გამომხატველი ძალა. აღსანიშნავია, რომ დაღვროზისთვის სწორედ ეს ფაქტორი გახდა სტიმული იმისა, რომ კონკრეტული სისტემის, ანუ „რიტმული გარჯიშების“, ჩამოყალიბებამდე მისულიყო.

1910 წლიდან, დრეზდენთან ახლოს, პელერაუში, დაღვროზის ინიციატივით, რიტმის ინსტიტუტი ყალიბდება და ფაქტობრივად საფუძველი ეყრდნა მის სისტემურ სწავლებას. იძრონინდელ ევროპულ თეატრს თუ გადაეხდავთ, პელერაუს ექსპერიმენტების გავლენაში ნათლად დავრწმუნდებით. ეს 20-იანი წლებიდნ უკვე ევროპული თეატრისა და თეატრალური სწავლებების ერთ-ერთი მთავარი მამოძრავებელი გახდა. სწორედ ამ დროიდან იწყება ევროპულ სცენაზე ვერბალური თეატრის ტრანსფორმირების მცდელობები. თუ გავიხსენებთ, რომ თვით ლაბანიც რევოუს მოცემავე იყო და შემდგომში ისეთი მანიფესტის ავტორად გვევლინება, როგორიც „ცეკვის მანიფესტი“, რომელიც დღეს უკვე მხოლოდ ცეკვის მანიფესტი კი არ არის, არამედ თანამედროვე თეატრის იდეოლოგიას განისაზღვრელიც, მაშინ მარტივია დავადგინოთ დღევანდული თეატრის ძირითადი მოთხოვნილება.

თეატრალური ხელოვნების განვითარების ისტორიის ნებისმიერ ეტაპზე კრიზისიდან გამოსავლის ძიება ყოველთვის იყო სარიტუალო თეატრთან მიახლოვება. გასული საუკუნის 50-70-იანი წლების მიწვნელოვანი თეატრალური გარდაქმნებიც სწორედ რიტუალების კვლევის შედეგია, მაგალითისთვის პოლონელი ეჟი გროტოვსკის ძიებების დასახელებაც კმარა — ისინი მხოლოდ სათეატრო რიტუალებზე კი არ არის აგებული, არამედ პროცესის რიტუალურობაზე. გროტოვსკის „წმინდა თეატრის“ ელემენტები და ოდინის ლაბორატორია — ეს არის პელერაუს რიტმის ინსტიტუტის თეატრალური ტრანსფორმირება.

„მე გადავწევიტე, რაკი სწორედ პირველყოფილმა ადათ-წესებმა ჩაპერეს სული თეატრს — მაშინ დაბრუნება რიტუალისკენ“,<sup>1</sup> — ეჟი გროტოვსკის ეს სიტყვები იმ პერიოდში ძიების პროცესი გახლდათ, ფიქრი იმაზე, თუ როგორი უნდა ყოფილიყო თანამედროვე მსახიობი და მისი აღზრდის სისტემა.

რა განაპირისებს თეატრის „მოძველებას“? ერთი მთავრი ფაქტორი — როდესაც სამსახიობო აღზრდა კონკრეტული ეპოქის რიტმს ვერ პასუხობს.

რიგ შემთხვევებში ჩვენ თეატრის პლაგოგიკას ზუსტ მეცნიერებად მივიჩნევთ და შესაბამისად, კონკრეტული ეპოქის თეატრისთვის საჭირო მსახიობებს ვეღარ ვიღებთ. როდესაც თანამედროვე ცეკვამ ე. წ. კლასიკური ბალეტის „მაცრი კლასიკურობა“ დაარღვა და პრიორიტეტული თავისუფალი მოძრაობები გახდა, როცა ევროპულ ტრადიციულ-ვერბალურ თეატრს ნელ-ნელა ჩაენაცვლა მოქმედებასა და რიტმზე აგბული თეატრი, საჭირო გახდა შესაბამისი ფიზიკური მონაცემების მქონე მსახიობების მომზადება. მათ მოსამზადებლად შემუშავებული ჩვენთვის ცნობილი სისტემებიდან აპრობირებული და ქართულ თეატრალურ სწავლებაში დადგენილია „სტანისლავსკის სისტემა“. ჩვენ გვინდა აღვზარდოთ თანამედროვე მსახიობი, მაგრამ „არ“ ან „გვრ“ ვაწოდებთ მათ თანამედროვე სწავლებას.

ზემოთ ხსენებულ სისტემაში მობილიზებულია სამსახიობო ოსტატობისთვის საჭირო ვეღალი ელემენტი. ის, თითქოს, კლასიკურ მეთოდათაც იქცა, მაგრამ ბუნებრივია ისიც, რომ ლამის საუკუნის წინანდელი სწავლება თანამედროვე სასცენო ხელოვნების მოთხოვნილებებს უკვე ვეღარ პასუხობს. მსოფლიო ხელოვნების განვითარება თავისთავად გვიბიძებს განვაახლოთ სწავლების მეთოდოლოგია და ის ქართულ რიტმს, უფრო ზოგადად კი — თანამედროვე „ქართულ რიტმს“, შეუსაბამოთ.

20-იანი წლების ქართულ თეატრში არაერთი ექსპერიმენტი განხორციელდა. მაშინაც კი ზუსტად იმავე პრობლემების გადაჭრის გზებს ეძებდნენ, რაზეც ახლა გვიწევს ფიქრი და კამათი. მაგალითისთვის მხოლოდ გრიგოლ რობაქიძის და მისი ერთ-ერთი მოხსენების „თეატრი, როგორც რიტმი“ დასახელებაც კმარა. „შეუძლებელია ახლა წერა იმ რიტმით, როგორითაც წერდა პომეროსი, ამიტომაც ყოველ ეპოქას აქვს თავისი რიტმიც. ერთია რიტმი ქარაგინის ნელი სკლის და რიტმი თანამედროვე აუტომიბილის გაქნების. ამიტომაც თეატრს უნდა ახასიათებდეს რიტმი რკინის, ჯავშნის, სიძლიერება, სისადავე, სისწორე, ეკონომია და ფატალობა. თანამედროვე თეატრში უნდა ისმოდეს რიტმი აეროპლანის და მანქანის. აქედან მომდინარეობს აუცილებლობა სხვა თეატრალური ფორმებისა და პირველ ყოვლისა: სიძუნწე სიტყვების, დაშლა სახეების“,<sup>2</sup> — წერს გრ. რობაქიძე.

მისი ეს სიტყვები მანშებელია იმისა, რომ იმდროინდები ქართული თეატრი უფრო ახლოს იყო ევროპულ თეატრთან, ვიდრე დღეს...

თითოეულ რასას აქვს საკუთარი უესტი. რა არის ქართული უესტი? რიტმი, როგორ, ის საკულტო ელემენტები, რომლებიც მთიან საქართველოში და მეტნაკლებად ქართულ ტრადიციულ ცეკვაში დღემდე შემონახულია. ქართული შინაგანი რიტმის დაღვენა ქართული საკრავების ხმოვანებისა და ტებძრის მიხედვითაც შევვიძლია, ანუ, იმ განსაკუთრებული მუსიკის სტრუქტურით, როგორიც ძველ სვანეთსა და მთიან სამეგრელოში გვხვდება. რამ დაკარგა ისეთი „ადათ-წესები თეატრში“, რომელიც ერთ დროს მსოფლიო ხელოვნების თანადროულ განვითარებასთან გავახლოებდა? იქნებ სწავლების არასწორი მეთოდიკა, რომელმაც ევროპულ თეატრს დაგვაშორა? ვფიქრობ, არაქართულ სისტემაზე აწყობილმა სწავლებამ ჩვენ თვითმყოფადობა დაგვაკარგვინა. არსებობს ქართველ ავტორთა სისტემებიც, მაგრამ მირთადად ისინი მაინც ტრადიციული მეთოდის განვითარებაა და არა სამდვილის კლეივა...

როდესაც სტანისლავგასის სამშობლოს ფარგლებს გარეთ თვითდაჯერებული მოზადებით წარგვედექით, აღმოჩნდა, რომ მსოფლიო თეატრსა და თეატრალურ სწავლებაში ბევრ საინტერესო მოვლენას ჩაუნიდან გარეშე ჩაუმილია.

კიდევ ერთხელ საზღასმით აღვნიშნავ, რომ, როდესაც დალკროზი რიტმის სტრუქტურაზე მუშაობდა, ეს იმ ეპოქის მოთხოვნილება იყო, რამაც თანამედროვე ევროპული თეატრი მოამზადა. როცა ქართულ დრამატურგიაში მცირე ტექსტიანი პიესების წერის ტენდენცია დაიწყო (მაგალითად მოვიყვან კ. გამსახურდიას სიმბოლისტური პიესას „გარსი მარადი“), დაიდ რომანისტის ეს ნაბიჯი, პრაქტიკულად, დღემდე შეუსწავლელია. იქნებ ეს პიესა ვერბალური თეატრის ეტაპობრივი ტრანსფორმირების ჩანასახიცაა, რომელიც, სამწუხაროდ, ვერ განვითარდა.

გრიგოლ რობაქიძე თეატრის ასეთ განმარტებასაც გვთავაზობს: „თეატრი, მისტერიას ზიარებული ცრემლია“ და მისსავე მოწოდებას თუ გავიხსენებთ – „სიძუნწე სიტყვების“, თუ კიდევ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ორივე მწერალი 20-იან წლებში, გარევეულწილად, ქართული თეატრის პოლიტიკის განმსაზღვრულიც იყო, მაშინ თამაბად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქართული თეატრი „ადათ-წესების“ მიებას სწორედ იმ ეტაპზე გაექცა, არადა, ეს „ადათ-წესები“ ერის მოთხოვნა იყო. ეს იმ პერიოდის დრამატურგიაზეც მიგვანიშნებს, რამდენიმე მაგალითს მოვიყვან: გრ. რობაქიძის „ლამარა“, შ. დადიანის „თეთნულდი“, ს. შანშაშვილის „ანზორი“ და კიდევ, ამ პიესების დამდგენელის, სანდრო ახმეტელის წერილები თუ პირადი ჩანაწერები ქართული რიტმის შესახებ.

საქართველოში მსახიობის აღზრდის პროცესი, ერთი შეხედვით, კომპლექსურია, თეორიულად ჩვენ უნდა მივიღოთ უნივერსალი, მაგრამ პრაქტიკულ დონეზე, რიგ შემთხვევაში, შედეგად ვიღებთ მსახიობებს, რომლებსაც სხეულის მართვის ელემენტარული ტექნიკა არც კი გაუკლიათ – აյ ისწავლება ცეკვა, მაგრამ არ ვიცით, როგორ ვიცემოთ, ისწავლება „ვოკალი“, მაგრამ ის, თუ როგორ უნდა ვმართოთ ხმა – არა. ყველაფერი გამომდინარებს იქიდან, რომ ჩვენ სკოლას არ გააჩნია რიტმის, როგორც მსახიობის ძირითადი მამოძრავებელი საშუალების მეთოდიკა.

მაგალითით სთვის მოვიყვანთ პილერაუს დალკროზის ული გაკვეთილების მხოლოდ ჩამონათვალს, ანუ, რას უნდა ფლობდეს მსახიობი: რიტმული ტანცარჯიში, სოლფეჯიო, მსახიობის ოსტატობა (იმპროვიზაცია), სუნთქვა, ანატომია, გუნდი, პლასტიკა... თუ მსახიობს გამომუშავებული არა აქვს შინაგანი რიტმი, ის ვერ ახერხებს სწორად სუნთქვას, არასწორი სუნთქვით კი – მეტყველებას. ჩვენთან

ხომ, უმეტესწილად, მეტყველების გაკვეთიღები ყოველგვარი ფიზიკური მომზადების გარეშე ტარდება და ემსგავსება ღოვოპერის მუშაობას ყბა-სახის დეფექტის მქონე ადამიანთან... აქ, როგორც წესი, ასწავლიან ცეკვის იღეთებს და არა იმას, თუ როგორ უნდა მივაღწიოთ იღეთის შესრულებამდე...

მდგომარეობა გამოუვალი ხდება, როდესაც არ ვიცით, ელემენტარულად, კუნთების აგებულება და სხეულის ის დეტალები, რომელთაც კონკრეტულ დაგალებებს ვაძლევთ. რიტმის შესწავლისას, ვფიქრობ, აუცილებელია ადამიანის აგებულების შესწავლა, ანუ, სხეულის იმ ნაწილთა სტრუქტურის გაცნობა, რომლის საშუალებითაც სცენაზე სასწაული უნდა მოხდეს. პარმონიულობა გამორიცხულია თუ არ ვიცით რა ხდება ტერჯში ან ხელის მტევანში იმ დროს, როცა მას კონკრეტული დავალებით ვტვირთავთ...

რიტმის გარეშე მსახიობი ემსგავსება იმ ადამიანს, რომელსაც რომელიმე კიდური ან ორგანო ხელოვნური აქვს და მისი მართვა არ შეუძლია. თუ ჩვენი ამოცანა ადამიანის მსახიობად აღზრდა, უპირველესად მას უნდა გამოვუშებარო სურვილის, ინტელექტისა და ქმედების, ანუ მოძრაობის, მართვის შესაძლებლობა. ისევ მაგალითს მოვიყვან და გაგაცნობთ დალგროზის განმარტებას: „თავის ტვირში მობილიზებულია სურვილების, ინტელექტისა და ქმედების ცენტრალური წერტილები. თავის ტვირიდან სხეულის ყველა ნაწილისაკენ მიმართულია ნერვული ქსოვილები, რომლებიც ასრულებენ ისეთივე როლს, როგორსაც საკომუნიკაციო გადამცემები, ცენტრალური ორგანოდან ნერვები თავიანთ სურვილს გადასცემენ კუნთებს, ხოლო ისინი სრულიად ემორჩილებიან მათ ბრძანებას და ასრულებენ სიგნალის შესაბამის მოძრაობებს, რასაც ავტომატურად კუნთებთან ერთად იმეორებენ ძვლები, სახსრები და სხეულის რბილი ნაწილები. ამ გზით კუნთები იქცევა სურვილის მოქმედ ძალად“.<sup>4</sup> აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ რიტმი, ძირითადად, სხეულის მართვა, ანუ, პირველი საფეხური მსახიობის მომზადებისა, რათა შემდგომში მან შეძლოს ყველა იმ ტრადიციული გაკვეთილის ათვისება, როგორიცაა „ვოკალი“, „ცეკვა, ოსტატობა“, „მეტყველება“, „მხატვრული კითხვა“ და თუნდაც პუნქნიტარული მეცნიერებები. მსახიობის აღზრდაში, გარდა სხეულისა, უპირველეს ფუნქციას ტვირი და მისი გონიერივი განვითარება ასრულებს, რათა მან მის წინაშე დასმული ამოცანები გაიგოს და შესრულოს. მსახიობისთვის აუცილებელია,

როგორც კილურებისა და ორგანოების, ასევე ტვირის ფუნქციების ცოდნა, რადგანაც ტვირი უმთავრესი რიტმული ორგანო. დალკროზის აზრით: „თავისუფალი ნებასურვილები, ნერვული კვანძები და კუნთები არიან განუყოფელნი. მათი ერთობლივი მუშაობის წყალობით ხორციელდება ჩვენივე სურვილები მოქმედებით რეალობაში, რაც შემდგომში აისახება ჩვენს შემოქმედებაში“.<sup>5</sup>

ტვინი რიტმულ გონებად უნდა ვაქციოთ – როგორც ტვინიდან გაშვიბული იმპულსები ამოძრავებენ სხვადასხვა კუნთებს, ასევე ნერვული ქსოვილების დაბოლოებებიც ხომ ტვინშია... ეს ცდა მიმართულია სხეულისა და სულის ერთიანობის მისაღწევად და ამ შემთხვევაში მსახიობი უკვე შეძლებს სრულად გამოხატოს და შეასრულოს ნებისმიერი დავალება, იმუშაოს თეატრალური ხელოვნების ნებისმიერ დარგში.

„თუ მისაღწევი ხდება სხეულისა და სულის ერთობლიობა, ხორციელდება სიცოცხლის ძირითადი პრინციპი – აზროვნებისა და მოქმედების ერთდროულობა და თანმიმდევრულობა“.<sup>6</sup> ეს არის თეატრალური ხელოვნების მთავარი აზრი, სწორედ ამ პრინციპების დაცვით მიიღლუვა ნამდვილ თეატრამდე და თანამედროვე მოთხოვნილებების პასუხებამდეც.

ვფიქრობ, რომ სწორედ „აღათ-წესების ძებაა თეატრში“ მსახიობის რიტმული აღზრდა და იმ თვისებების გამომუშავების პროცესი, რაც ქართულ თეატრს მეტად საინტერესოს გახდის. ეს მოგვცემს საშუალებას, რომ სცენაზე სრულყოფილი განსახიერება ვიზილოთ და არა ერთმანეთის მსგავსი ნაცრისფერი ერთფეროვნება. მიმართა, რომ საჭიროა, თუნდაც, დალკროზის ქართულად ტრანსფორმირება და ქართული რიტმის სწავლების მეთოდების ჩამოყალიბება (ამის საფუძველი ქართულ მთოლოვიაში და ცეკვაში დევეს) და მით უფრო მაშინ, როდესაც გრწმუნდებით, რომ სწავლების ტექნოლოგიები თუ არ შეიცვალა, შესაძლოა ქართული თეატრი თანამედროვე მსახიობის გარეშე დარჩეს.

სხვაგარაზე შეუძლებელია მსახიობმა ის მოთხოვნები შეასრულოს, რასაც მას მსოფლიო მასშტაბის თეატრებში უყენებენ და, შესაბამისად, მოქმედებაზე აგებული სპექტაკლების განხორციელებაც გამორიცხული ხდება.

დაბოლოს, კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ ტრადიციული ვერბალური თეატრი და ტრადიციული აღზრდის სისტემა საქართველოში ჩიხშია შესული და საჭიროა ისეთი ევროპული თეატრალური სწავლების დანერგვა, რომლებიც ჩვენამდე რიგ შემთხვევებში მხოლოდ მათი ავტორების სახელებითა და გვარების სახელით არის ცნობილი.

1. ეფთ გროტოგსკი. „სათეატრო მემკვიდრეობა“, თბილისი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2008, გვ. 63.
2. იხ.: გრიგოლ რობაქიძე. წერილები თეატრის შესახებ, თბილისი, 2003.
3. ფურნალი „საბჭოთა ხელოვნება“;
4. იხ.: ემილ ჯაკ დალკროზ. რიტმ, მოსკვა, 2008.
5. ემილ ჯაკ დალკროზ. იხ.: იქვე;
6. ემილ ჯაკ დალკროზ. იხ.: იქვე.

მიხეილ მესტვირიშვილი  
დოქტორანტურის I კურსი,  
სელმძლვანელი ლევან ხეთაგური

## თეატრი კიბერ-სამყაროში

საუკუნეების მიჯნაზე მყოფმა თეატრმა თავის წარსულად საკუთარი გამოცდილება და ისეთი მომავალი დაადასტურა, რომელმაც მთლიანად შეცვალა ან უარყო მთელი კულტურული მონაპოვარი. ფიქტობლენი, რომ საინტერესო მიებებს წინააღმდეგობებით სავსე გზაც თან დაერთვებოდა და ასეც მოხდა. ქვის ნაგბობიდან ტაძრის, შემდეგ – უბრალო ხის ფიცარნაგამდე, ჭრაქით განათებულ პანორამებამდე, ურმით მოხეტიალე ადამიანების საერთო იდეამდე, თუ ზეთის განათებიდან ახალ ელექტროფიკაციამდე. დღევანდელი, თანამედროვე თეატრის სახე მაყურებლისა თუ ბევრებისათვის წარმოადგენს უკვე როგორც მხატვრულ მთლიანობას, ასევე საკვლევ ობიექტს; თავად შექმნილი ნაწარმოები განაპირობებს აღმქმედისა და აღსაქმელის როლითა გნაწილებას, როგორც როლების ასევე პოზიციებისა და სუბიექტ-ობიექტის ურთიერთმიმართებას. თუკი მანამადე თეატრის სტანდარტული სახე იყო დაკანონებული: მაყურებელი პარტერში და მსახიობი სცენაზე, – ამ უკანასკნელმა კუთვნილი აღვილი დატოვა: ხან მაყურებელთა დარბაზში გადაინაცვლა, ხანაც შექმნილი საზღვრების გარეთ სცადა გასვლა. მოკლედ, ძალიან ბევრი ექსპერიმენტი ჩატარდა იმისათვის, თუ სად უფრო „კომფორტული“ იქნებოდა ორივე მათგანისთვის განკუთვნილი დროის მიმდინარეობისას დაბინავება და ა. შ. ხელოვნთა მთელი თაობა ჩაება რიგი საკითხების საექსპერიმენტო ობიექტად გადასაქცევად, რამაც უძრავი „იზმი“, უძრავი „პოსტი“ წარმოშვა. ადგილთა გეოგრაფიულ გადანაცვლებას სივრცეში დღეს ვეღარავინ მოჰყავს გაოცებაში, რადგან თანამედროვე ადამიანი სულ უფრო მეტი ექსტრემისაკენ, მეტი „ხიფათისადმი“, მეტი მოულოდელობებისადმი ისწრაფვის, რაც ერთ-ერთ ძირითად კონცეპტს წარმოადგენს თანამედროვე ხელოვნებაში კათარზისის განსაცდელად. რეჟისორებისა თუ დრამატურგების საკვლევი ობიექტი უკვე ადამიანის ცნობიერების დაფარული მრებია და მათ გამოსახატავად ახალი რაკურსით განსაცდელი თუ აღსაქმელი საშუალებები იკავებენ მნიშვნელოვან აღვილს. „საგნები“, აქ უკვე უბრალოდ კი არ სეგბობენ, არამედ

განსაზღვრულ კონსტრუქციას ამჟამაგებენ და აწარმოებენ ისევე, როგორც წარმოდგენის, ვერბალური და ვიზუალურ ნაწილი. თანემდროვე თეატრის ახლად აღმოჩენილ ოვასებებს უკვე მეცნიერება ჩაუღრმავდა ისევე, როგორც მეცნიერებას ჩაუღრმავდა თეატრი. ერთი შეხედვით, სრულიად განსხვავებული სახე მიიღო ხელოვნების ამ დარგმა და სრულიად სხვა პოზიციები განალაგა თანამედროვე სამყაროს ყოველდღიურ ცხოვრებაში. „ახალი მედიის“ დაბადებამ მთლიანად შეცვალა ადამიანის აზროვნება.

თანამედროვე სამყაროს სწრაფ განვითარებას თან სდევს ხელოვნების ყველა დარგის სწრაფი წინსვლაც, რომელიც მუდმივ ძიებასა და თვალიურის დენას, დაკვირვებას მოითხოვს. მის გარეშე წარმოუდგენელია მკვლევრისა თუ ხელოვნის ადეკვატური რეაცია მსოფლიოს თანამედროვე ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებზე, სრული წარმოდგენა იქნიოს ძირეულ მიზეზებზე, რომლებიც გამოძახილია ამა თუ იმ ფაქტებისა. გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან დღემდე ბევრი რამ შეიცვალა თეატრალურ ხელოვნებაში. შიშობზენ, რომ კინოს, ტელევიზიის დაბადება თეატრს განადგურებდა, მაგრამ ასე არ მოხდა. ყოველმა მათგანმა თავისი ადგილი დაიკვა კულტურულ სივრცეში და თავისი თვითმყოფადობაც აჩვენა. თანამედროვე მედია საშუალებებმა განსაკუთრებულად იმოქმედა, როგორც ხელოვნების ყველა დარგზე, ასევე ადამინების ცხოვრებაზეც. ფასეულობათა გადაფასებამ სრულიად ახალი ფორმები და სივრცეები შექმნა. თეატრი უკვე აღარ არის მხოლოდ ერთხელ და სამუდამოდ დადგენილი, დაკანონებული სივრცე, სადაც სცენაზე მსახიობები თამაშობენ და მაყურებელი კი პარტერიდან ადევნებს თვალს. თანამედროვე სამყარომ მოახერხა ამ დაკანონებული სივრცეებიდან გასვლა და შემდეგ ისევ უკან დაბრუნება ძალიან ბევრი საშუალებით. XX საუკუნის 20-იანი წლებში ერთი პისკატორმა და „ბუჭჭუშის“ იმ დროისათვის რეაქტიულმა იდეებმა მთლიანად შეცვალეს მსგავსი მიღვიმა თეატრისადმი, როგორც კონცეპტუალურ ასევე პარატიკულ დონეზე. ამაში კი უდიდესი დამსახურება კინოსა და თანამედროვე „კიბერ“ საშუალებებს მიუძღვით.

ტერმინი „კიბერ“ და მთლიანად „კიბერანთოპოლოგია“ მოდის „კიბერსეფეისის“ გამოგონების შემდეგ, რომელიც პირველად ნახსენები იყო სამეცნიერო გამოცემაში – ნოველა „ნეურომანსერ“, – ვილაზ გიბსონის ავტორობით, 1984 წელს. 40-იანი წლების ბოლოს მათემატიკოსმა ნორბერტ ვეინერმა პრეფიქსი „კიბერ“ გამოიგონა

„კიბერნეტიკაზე“ დაყრდნობით, რომელიც ადამიანსა და მანქანას შორის ურთიერთობებს აღნიშნავს. ვენერს თავში უტრილებდა ბერძნული სიტყვა „კიბერნეტეს“ (იგივე „მესაჭე“, „პილოტი“), რომელიც აღნიშნავს მანქანის მმართველს ან მაკონტროლებელს. დღეს პრეფიქსი „კიბერ“ ძირითადად კომპიუტერების და ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულებით გამოიყენება, ანუ როგორ ზემოქმედებებს ადამიანები მანქანებით და მანქანებზე. 50-იანი წლებიდან ანთროპოლოგებმა მეტი ყურადღებით დაიწყეს ტექნოლოგიების და მათი ზეგავლენის შესწავლა. ხელოვნებაში კი სულ უფრო მძლავრად შემოდის თანამედროვე გამომსახველობითი საშუალებები და ამის ნაიდავზე არა ერთი ექსპერიმენტი ჩატარდა. 1965 წელს ჯონ კეიჯი მერსი კანინგამის ცეკვის დასისთვის ქმნის „ვარიაციები VII-ს. მან დევიდ ტიუდორთან ერთად არჩევნი შეაჩერა ხმის გადამცემის ორ სისტემაზე. პირველი სისტემისათვის გამოგონებულ იქნა მოწყობილობა, რომლის მუშაობა ეფუძნებოდა სცენის განათებაზე ორიენტირებულ ფოტოელემნტებს. ამ სახით, ურთიერთზემოქმედი სხივების მიზევით მოცეკვავები გამოსცემდნენ ხმას. მეორე სისტემის შემთხვევაში სივრცის მთლიანი სისტემა ანტენების სერიას წარმოადგენდა. ხმა გაისმოდა ყოველ ჯერზე, როცა მოცეკვავე ანტენას 4 ფუტის და უფრო ნაკლებ მანძილზე მიუახლოვდებოდა. ხმის აქტივაცია ხდებოდა ათი ფოტოელემნტით, რომლებიც ჩართული იყვნენ მაგნიტოფონსა და მოკლეტალღოვან რადიომიმღებზე. მოცეკვავების მოქმედება მიმდინარეობდა უკანა ხედის ფონზე, რომელზეც სტენ ვანდერბიკის ფილმები და ნამ ჯუნ პაიის ვიდეო ნამუშევრები პროეკტიდებოდა. „ვარიაციები V“, რომელიც მომზადდა პამბურების ტელევიზიის და ხუთფუტიანი ანტენების განლაგების ისეთ რიგს, რომ მიღებული ყოფილიყო საჭირო გახმოვანება.

დღემდე ბევრი თვლის, რომ თეატრი კარგავს თავის ნამდვილ სახეს, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს ზედაპირული მიღვიმა შორისაა ჭეშმარიტებისგან, რადგან ჯერ კადევ შილერი ამბობდა, რომ “**Mensch ist nur da ganz Mensch, wo er spielt**” („სრულყოფაზე ადამიანი იქ, სადაც ის თამაშობს“). თუკი შილერის ამ მოსაზრებას მირეულდე მივუდგებით, მაშინ იმაშიც დავრწმუნდებით, რომ დღეს თანამედროვე მულტიმედიური წარმოდგენისათვის საგულდაგულოდ შექმნილ სივრცეს ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია.

დასაგლური თეატრის კონცერტების არსებობის განძვლობაში, ისტორიის კოლექტორის ერთ-ერთი პარამეტრი ხელშეუხებელი დარჩა, მიუხედავად ჩატარებული მრავალი რადიკალური ექცერიმენტებისა. არსებული პარამეტრი ფიზიკურ თანაარსებობას წარმოადგენდა „შემქმნელსა და მაყურებელ/დამკვირვებელს“ შორის. ტელემატიკური და განსაკუთრებით ინტერნეტის, როგორც განსხვავებულ მედია ტექნოლოგიათა საშუალებების, განვითარებასთან ერთად, ახალი ტიპის თეატრი წარმოიშვა, რომელსაც სახელად „ტელემატიკური“ ანუ დისტრიბუცირებული წარმოდგენები“ დაერქვა. „ტელემატიკური“ წარმოდგენები სივრცეში წარმოგვიდგენს „შემქმნელისა“ და „დამკვირვებლის“ ერთიანობას და „პროდუქტის“ (სცენური სივრცის) რეალიზაციას სხვადასხვა მანძილზე არსებულ ადგილებზე, რომლებიც დამოკიდებული არიან აუდიენციის მრავალფეროვნებასა თუ რაოდნობაზე, პროექტის კონცერტისა და ტიპზე. ადგილები სხვასხვა დისტანციაზე ღიანირებული ინტერნეტის საშუალებით, *nagel i Tad* “Internet relay chat”<sup>1</sup>, (ინტერნეტ ესტაფეტა) რომელიც ტექსტუალურ გარემოს წარმოადგენს დრამის წამოდგენებისათვის ან კიდევ “world wide web”<sup>2</sup> (მსოფლიო მასშტაბის ქსელი). მსგავსი წარმოდგენებისათვის სცენური სივრცის შექმნის ძირითად საშუალებებად ვიდეოკონფერენციის სისტემა ან ვებ-კამერები გვევლინება. ამ დროს კი სამგანზომილებიანი წარმოდგენა ორგანზომილებიანად გარდაისახება მონიტორის ეკრანსა თუ საპროექციო აპარატის გაშუქებაში. არსებულ მდომარეობას იმ თეზისამდე მივყვართ, რომ ინტერნეტ პერფორმანსები და მთლიანდ მულტიმდიური ტიპის წარმოდგენები „კონკრეტული ადგილისათვის განსაზღვრულ ხელოვნებას“ და მისეავე თეორიას ეფუძნება.

პირველი ასეთი მიდგომა „ინტერნეტ პერფორმანსები“ XX საუკუნეში ჩამოყალიბდა, ერთი მხრივ საშემსრულებლო ხელოვნებასა და მეორე მხრივ, მედია ტექნოლოგიებს შორის ექსპერიმენტების ჩატარების საფუძველზე. მეორე მიდგომა „კონკრეტული ადგილისათვის განკუთვნილი“ ხელოვნება, ტელემატიკური წარმოდგენებისადმი განცდის, შეგრძნებების ტრანსფორმაციის არსებობას აძლიერებს. ტრანსფორმაციის მეთოდზე დიდი გავლენა ინტერნეტის დისპოზიციურ ზემოქმედებასაც აქვს. ზოგადად, კონკრეტული ადგილისათვის დამახასიათებელი ხელოვნება განსაზღვრება ისე, როგორც განსაზღვრული გარემოსათვის განკუთვნილი სპეციალური ფორმა. მისი ისტორიული ფესვები კი 1960 წლების მინიმალისტურ

ქანდაკებაში შეიძლება მოვიძიოთ. მეცნიერები მიღიან დასკვნამდე, რომ მინიმალიზმი სულ უფრო და უფრო იჭრება თეატრალურ და წარმოსახვით სამყაროში ეფექტულ და დროებითი მოქმედების არსებობისას. ბრიტანელი მეცნიერებები ნიკ კაი აღნიშნავს, რომ „წარმოდგენა ის, რაც დაგვანახებს და განსაზღვრავს ადგილს თავის დამახასიათებელ თვისებებთან ერთად. იგი წარმოსადეგია არა მარტო საკუთრივ იმ დროისათვის, რომლისთვისაც არის გამოყენებული არსებული მოდიფიკაციებით და კონკრეტული საქმიანობისათვის, არამედ ზოგადად ადგილისათვის დამახასიათებელი მრვალფეროვნებით.“<sup>3</sup> ამ თეორიული ასექტიდან გამოდინარე, ინტერნეტი წარმოდგენისათვის უკვე უცალებელ და მთავარ კომპონენტსაც წარმოადგენს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი ტიპის წარმოდგენების არსებობა აძლიერებს სიცოცლხისუნარიან ელექტრონულ ტექნიკებს, როგორც წარმოდგენისათვის, ასევე მათვის, ვინც უნდა მიიღოს შექმნილი პროდუქტი. არსებული მოსაზრებების საფუძველზე, ფოტესირებას ინტერნეტზე ვახდენთ, როგორც სპეციფიურ, კონკრეტულ ადგილზე, რომელიც ბიძგს აძლევს მოხდეს ერთიანობის შეგრძნება და შემდეგ, ეგრეთ წოდებული, „კიბერ“ კათარზისი „შექმნები-მწარმოებელსა“ და „მაყურებელ-მიმღებ-დამკვირვებელს შორის“, განისაზღვროს როგორი სტრუქტურა და როგორ ხდება კომუნიკაცია სხვადასხვა დისტანციაზე არსებულ „გადამცემებს“ და „მიმღებებს“ შორის.

მიუხედავად ამ ყველაფრისა, ინტერნეტ პერფორმანსები მედია სპეციფიკით არ უნდა განიხილობოდეს, როგორც მართვადი ხელოვნების სფერო, ნოელ კაროლის არგუმენტის მიხედვით: „სერიალისა არის მხოლოდ მნიშვნელოვანი სტრატეგია ახლად ჩამოყალიბებული ხელოვნების ფორმების დაარსების ლეგიტიმაციისათვის“.<sup>4</sup> ნოელ კაროლის ამ მოსაზრებაზე მეცნიერები ჯულია გლენსერი აღნიშნავს, რომ „საშუალებების სპეციფიკის არგუმენტები მიმზიდველია საშუალებათა ტრანსფორმაციისათვის ხელოვნების ახალ სფეროში, რაღაც იგი გთავაზობს გზას, რომლის საშუალებითაც, ხელოვნების ამ მიმართულებას მიეცემა დამოუკიდებლობა და გამოეყო სხვა მიმდინარეობებს. კაროლი არ უარყოფს, რომ „მომავლის პერსპექტივის არსებობას შეუძლია იქონის დასაბუთებული შედეგი, მიუხედავად იმისა, რომ იგი ცდილობს თავი აარიდოს საშუალებათა აუცილებლობას“.<sup>5</sup> ეს კი გულისხმობს შედეგს:

“საშუალებებს, როგორც საჭიროებას შეგრძებებისათვის, საშუალებების მიზანმიმართული გამოვლინებები გააჩნია. ეს არის საშუალებათა მოცულობა, რაც იმას გვკარნახობს, რა არის საჭირო და რა უნდა გაქოთდეს ამ საშუალებებით“<sup>6</sup>.

კიბერ სამყარო, პარალელურად არსებობს მატერიალურ სამყაროსთან. ეს ორი სამყარო წარმოადგენს წყვილს, ზემოქმედებს ერთმანეთზე და ამით ერთმანეთის დღეწესიფიკაციას ახდენს. „სამყარო არის ბიპოლარული ყველა მნიშვნელობით“<sup>7</sup>. ამ პროცესის შედეგს წარმოადგენს თვითგამოხატვა, რომელიც სიმბოლურად დაიწყო XX საუკუნეში „ფრანგული რევოლუციიდან“ და განვითარება ფილოსოფიაში ჰიკოვა ფსიქოანალიზზე დაყრდნობით. თვითგამოხატვის მეორე ეტაპი უკვე თვითასახვას წარმოადგენს, რომელიც ეფუძნება ურთიერთობებს საკუთარ თავთან და გარემოსთან. ხელოვნების სხვა მიმართულებებისაგან განსხვავებით „ნეტ-არტმა“ „კიბერსფეისზე“ დაყრდნობით ჩამოაყალიბა ახალი კანონები და ურთიერთობები. ეს ახალი კანონები და ურთიერთობები ემსრობა მემარცხენე ფლანგს,<sup>8</sup> სადაც ხაზგამულია თვითგარკვევის შეგრძნება პოსტკიბელიანურ, პოსტფურილულ, პოსტლაკანურ და უკვე მაღა პოსტკიბერ მიმართულებით. ელექტრონულ ლანდშაფტში პოზიციები აღებულია მატერილურ სამყაროში მიმდინარე პრიცესების მიხედვით და პირიქით. ფსიქოანალიზის ფილოსოფია მიუთითებს, რომ ერთი მხრივ, ჩვენ ვცხოვრობთ წარმოსახვით სამყაროში, სადაც არამატერიალური გამოვლების მიხედვით საგნები რეალურია, ის ბუნებში არ არსებობს და ყოველივე მატერიალურს მართავს, მეორე მხრივ კი, — ვირტუალურში, რომელიც მატერიალურ სამყაროს [სიმულაკრუმს](#) წარმოადგენს. ერთადერთი, რაც ჩვენ გაგვაჩნია არის, შეგრძნებები და დრო, რომელიც წარმოსახვით სამყროშიც რეალურია. გარდა ამისა, ეს კითხვები სტრუქტურული ანალიზის შესახებ, კომპლექსურობის არსებობის შესაბამის პოტენციალს გვაძლევს, რაც მნიშვნელოვან კონცეფციას წარმოადგენს ახალი მედიის მიმართულებით.

ჩემს ყურადღებას განსაკუთრებით თანამედროვე ცეკვა იპყრობს, რომელმაც გასული საუკუნიდან მოყოლებული ცეკვისა და თანამედროვე ტექნოლოგიების მნიშვნელოვანი სინთეზი შექმნა. თეატრი, ცეკვა და მთლიანად პერფორმანსის ხელოვნება ყოველთვის წარმოადგენდა ინტერდისციპლინურ, ანუ მულტიმედიურ ფორმებს.

საუკუნეების მანძილზე ცეკვა მჭიდრო კავშირში იყო მუსიკასთან და მოიცავდა რეკვიზიტის ვიზუალურ ელემენტებს, კოსტიუმს და განათებას სივრცეში სხეულის გამომსახუველობის გასაძლიერებლად. თეატრმა, მისი რიტუალური ძირებიდან კლასიკური გამომსახუველობის გავლით, თანამედროვე ექსპერიმენტულ ფორმებამდე, ტრადიციულად წინ წამოწია ადამიანის ხმა და ტექსტი, ყველა ზემოთ ნახსენებ კომპონენტებთან ერთად. საუკუნეების მანძილზე, თეატრმა სწრაფად აღმოაჩნია და გამოიყენა ახალი ტექნოლოგიების დრამატული და ესთეტიკური პოტენციალი.

ციფრული პერფორმანსის ისტორიაში ტექნოლოგიების ადაპტაცია მუდმივად მიმდინარეობდა ესთეტიკური და სანახაობრივი უფეხტის, აგრეთვე ემოციური და მგრძნობელობითი ზემოქმედების მოსახლენად. ჯერ კიდევ 1889 წელს, კლექტრონის მიღებით ექსტრაორდინალური ექსპრიმენტების საინტერესო მაგალითს გვიჩვენებს მოცეკვავე ლოი ფულერი. ასედორა დურკანის თანამედროვე ფულერი სცენაზე ფართო გამჭვირვალე კოსტიუმით, ნახვრად განათებული აირიანი ტანსაცმლით გამოდიოდა, ხელში კვერთხები ეკაგა ხელების სიგრძის კიდევ უფრო გასადიდებლად. მსგავსი მაგალითი თანამედროვე ქორეოგრაფიის გამოვლინებას წარმოადგენდა და ახალი ტექნოლოგიების გამოყენებით იგი თავის ექპერიმენტებს 1923 წლამდე ატარებდა. კინოპროექციების და განათების ეჯვტების შერწყმით ახდენდა საკუთარი სხეულის გარდაქმნას მოლიან პერფორმანსად. აღსანიშნავია პერფორმანსი, სადაც მისი კოსტუმები რადიუმივით ანათებდა. ფულერის ნამუშევრები შეგვიძლია ჩავთვალოთ უეინ მაკგრევორის ნამუშევრის „კიბორგი“ (1995 წელი) ფუქტე, სადაც განათებული დეკორაციები მოცეკვავე სხეულის ფრაგმენტებს წარმოადგენდა, დეკორაციის განათების მონაცემებით, ერთი ნაწილის გაშუქებით მაშინ, როცა სხეულის მეორე ნაწილი ჩანალებული იყო, ადგილდებიდა სხვადასხვა ფორმის სხეულების მიღება. ამ სპექტაკლში, მაკგრევორმა, როგორც ბრიტანული ციფრული ცეკვის ლიდერმა, ახალი ეფექტების მისაღებად გამოიყენა ძველი ტექნიკური საშუალებები, რამაც მაყურებელს ცეკვის ის ტექნოლოგიები გაახსენა, ამ დარგის „პიონერები“ რომ იყენებდნენ. მულტიმედიური თეატრის ერთ-ერთ ძირითად სახეობად „ვებ-ცეკვები“ გვესახება, რომელიც განსხვავებული სპეციფიკით გამოირჩევა, როგორც შეატვრული კონცეფციით, ასევე ტექნოლოგიების გამოყენების თვალსაზრისითაც.

„ვამ“ ცეკვების “საუკეთესო ნიმუშებს სარა მორრისონის “**Leaping into the net!**” (ნახტომი ქსელში), ნიუ-იორკის “**Cassandra project**” (პროექტი „კასანდრა“) და ლაურა ნოტის “**World wide simultaneous dance**” (მსოფლიო მასშტაბის სინქრონული ცეკვა) წარმოადგენს. ვფიქრობ, რომ ამ სამ პროექტს შეუძლია სამი განსხვავებული სტრუქტურის დემონსტრირება, რათა დაგვანახოს სხვადასხვა ინტერნეტ წარმოლგენების სცენოგრაფიული თავისებურებები.

სარა მორრისონის “**Leaping into the net!**” (ნახტომი ქსელში) პირველი ინტერნეტის და ცეკვის გამოყიდვებას წარმოადგენს, რომლის შედეგიც ამ ორი კომპონენტის ერთობლიობით იქნა მიღებული. “**Live physical performance**” (ცოცხლად შესრულებული წარმოლგენა) გამართა 1997 წლის 4 სექტემბერს, კლივლენდის სახალხო თეატრში. იმავე დღეს პარალელურად ხდებოდა გადაცემა “**Live internet broadcast**” (პირდაპირი ეთერი ინტერნეტით). მთავარი იდეის მიხედვით “**look what happens when art and technology come together**” („რა მოხდება, როცა ხელოვნება და ტექნოლოგიები ერთიანდება“) ოთხმა ქორეოგრაფია შეასრულა: **within the order of chaos**, (ქათის მწყობრში), “**Sketches of Rodin and metamorphosis**”, („მეტამორფოზები და როდენის ესკიზები“), რომელიც მომზადდა სუზან ედვარდის მიერ). სამი კლასიკური სცენოგრაფიული ფორმა, სცენური სივრცე, როგორც მას პატრის პავი უწოდებს – დრამის და სათამაშო სივრცე (ანუ **espace ludique**- ფრანგ.) ერთდროულად იქნა გამოყენებული ტრადიციული სცენის პროსცენიუმზე დამსწრე მაყურებლისათვის. კლივლენდის მაყურებელთა გარდა, წარმოლგენა იწერებოდა და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ხდებოდა გადაცემა რეალური დროის მსვლელობაში. (ამ მიზნისათვის გამოყენებულ იქნა ახლად შექმნილი **Real Player**. კლივლენდის აუდიონცასთან ერთად, რომელიც წარმოლგენას ტრადიციულ ფორმაში უყურებდა, ონლაინ აუდიენცია წარმოდგნას დროის სხვაობით მორისონის ვებ გვერდზე იღებდა. ძირითადად რეალობა, რომელსაც ინტერნეტ წარმოდგნები ქმნის, ხასიათდება კომპიუტერის ინტერნეტ ქსელში ჩართვით და ტრადიციული თეატრის საშუალებებით, როგორიც არის სივრცე და სხეული. ძირითადად კომპიუტერის და ინტერნეტის ან უფრო ზუსტად: კომპიუტერული ქსელი, შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც გადაცემს აღქმის, მიღების ინსტრუმენტად. ინსტრუმენტულ ან მედიის საშუალებით რეალობის აღქმის ფუნქციების პროცენტული მაჩვენებელი, შეიძლება

დამოკიდებული იყოს საშუალებათა გამოყენების სპეციფიკაზე, როგორც შექმნელზე, ასევე მაყურებელ-დამკვირვებელზე. საშუალებათა გამოყენებაზე დიდი ზეგავლენა აქვს პერფორმანსის სცენოგრაფიულ სტრუქტურას და ინტერაქტიულობას. ინტერაქტიულობის იდეა განიხილება პერფორმანსის და ახალ მედია საშუალებათა მიმართულებით. ენდი ლიპმანი ინტერაქტიულობას შემდეგნაირად განსაზღვრავს: „ზოგადი მუდმივი მოქმედებები ორ მხარეს შორის რამე ობიექტურის მისაღწევად და არა მხოლოდ, გვაძლევს უამრავ საშუალებას, გადაიხდოს ინტერაქტიულობის დონე შექმნელებსა და აუდიენციას შორის, ან მეორე მხრივ, მუდმივი ცვალებადობა განიცადოს (დახვეწის მიზნით) პერფორმანსების სტრუქტურამ“.<sup>9</sup>

მორისონის **Leaping into the net!**-ში (ნახტომი ქსელში), შექმნელები და ონლაინ აუდიენცია ერთმანეთისაგან გაყოფილი იყო პერსონალური კომპიუტერის ეკრანით, რომლის დროსაც წარმოსახვითი ასახვის ფუნქციას კისრულობდა ვებ-ბროუზერი. ეს ერთგანზომილებიანი საკომუნიკაციო არზი არ გვაძლევს ინტერაქტიულობის საშუალებას არც ლიპმანის გაგებით და არც რამეზე რეაგირებს შესაძლებლობით. ინტერნეტის, როგორც ქორეოგრაფიული ნამუშევრის მოძრავი სურათების გადაცემის ტრანსმისიულ საშუალებად გამოყენებისას, **Leaping into the net!**-ის (ნახტომი ქსელში) სცენოგრაფიული სტრუქტურა შექმნილი იყო ტრადიციული ავანსცენური კონცეფციით, რომელიც პერფორმერებისა და აუდიენციის გამოყოფას გულისხმობს. ამ პირველი ვებ ცეკვის წარმოდგნის დროს, როდესაც **Real Player** (ნამდგილი საკრაგი) და მსგავსი თანამედროვე ტექნოლოგია პირველად გამოიყენეს ევრო-ამერიკული თეატრის ისტორიაში, პერფორმანსი **Leaping into the net!**-ის (ნახტომი ქსელში) სცენოგრაფიული სტრუქტურა თავიდან იქნა გამოგონებული.

როგორც მკვლევრები აღნიშნავნ, მოცეკვავებს სკეპტიკური განწყობა ჰქონდათ, რადგან ისინი საკუთარ სხეულს, როგორც „ინსტრუმენტს“ ისე აღიქვამდნენ (გაეკეთებინათ ნახტომი ადამიური სხეულიდნ ინტერნეტ ქსელის სხეულში), თავიანთი ცირკულაციური და ინტერაქტიული სისტემით. ქსელში გადაცემის გამოცდილება უფრო ხშირად აღიქმებოდა, როგორც უბრალოდ გადაცემის (მედია გადაცემის) არსებობა, ვიდრე მედია საშუალებებით ახალი ხელოვნების ჩამოყალიბების კვლევა.

**სცენური სივრცის ლიკვიდაცია**  
**“The Cassandra Project”**  
(პროექტი „კასანდრა“)

მეორე, ასევე გახმაურებული ვებ ცეკვის წარმოდგენა **“The Cassandra Project”** (პროექტი „კასანდრა“) შეიქმნა ნიუ-იორკის უნივერსიტეტში და წარმოადგენს გლობალური კულტურის გადაღვილების საერთაშორისო სწავლების მცდელობას (**Navigation Global Culture** - გლობალური კულტურის გადაღვილება). ამ პროექტს პროფესორი ჯონ ჯილდერტი, მუსიკალური კომპოზიციების პროგრამების რეჟისორი ხელმძღვანელობდა. ნიუ-იორკის უნივერსიტეტი, 1996). **“The Cassandra Project”**-ში (პროექტი „კასანდრა“) ჩართულები იყნენ ასევე მუსიკოსები და პოეტები, რომელთა მოქმედება ხდებოდა ინტერნეტის საშუალებით. **“The Cassandra Project”**-ის (პროექტი „კასანდრა“) მრავალი ვერსია იქნა წარმოდგნილი, მაგრამ პარტიონების ჩათვლით, რომლებიც სხვადასხვა აღილებზე მოღვაწეობდნენ. **“The Cassandra Project”**-ის (პროექტი „კასანდრა“) პირველი წარმოდგენა 1996 წელს გაიმართა კონფერენციული სისტემის **CU-SeeMe**-ის გამოყენებით. ეს გახლავთ კომპიუტერული ქსელი, რომელიც აგავშირებს პერფორმერებს რეალურ დროში სხვა პერფორმერებთან სხვადასხვა მანძილზე და წარმოდგენის დროს, ტექსტის, ცეკვის, მუსიკის იმპროვიზაციის მატერიალურობის განცდის საშუალებას გვაძლევს. ფიზიკური გარემო, სადაც პერფორმერები არიან განლაგებულნი, სპეციალურად არის აღჭურვილი მინიმუმ ერთი საპროექციო ეკრანით, კონტროლირებადი განათებით და ცარიელი აღილით, დაახლოებით 3-5 მოცეკვავისთვის და საჭირო შემთხვევაში მუსიკოსებისათვის. ვიდეო კამერები თითქმის ყოველ კუთხეში არის განლაგებული რამეთუ ყველა რაგურსით მოხერხდეს გადაღება და მიღებული მასალის პროგრამა **CU-SeeMe** -ით გადაცემა. ასევე მონიტორის ეკრანზე მოცეკვავებს საშუალება აქვთ დაინახონ სხვა პერფორმერები სხვადასხვა აღილზე. **“The Cassandra Project”**-ის (პროექტი „კასანდრა“) სცენოგრაფიამ დააკინა სცენის სივრცე და დისტანციურ აღილებზე განავრცო. მაყურებელი წარმოდგენილი იყო, როგორც ონლაინ ასევე ოფლაინ რეჟიმში. პერფორმანსის დროს, მაყურებელ/დმგვირვებელს შეეძლო მუდმივი კონტაქტი პერნოდა პერფორმერებთან ჩეთ რუმის მეშვეობით, მათ შეეძლოთ თავიანთი იდეები გამოეხატათ წარმოდგენასთან

დაკაგშირებით. მსგავსი ინტერაქტიულობა, კონცეუცია გვაძლევს საშუალებას საჭირო ცვლილებები განიცალოს პერფორმანსისა თავად წარმოდგენის პროცესში. მთუხედავად იმისა, რომ პერფორმანსი **“Leaping into the net!”** (ნახტომი ქსელში) არ ეხება თეატრალური პროდუქციის ტრადიციულ როლს, **“The Cassandra Project”** (პროექტი „კასანდრა“) ცდილობს არ გაწყვიტოს კავშირი პერფორმერებსა და მაყურებელს შორის, რათა დააფუძნოს კონცეუცია **“Distributive choreography”** (დისტრიბუციული ქორეოგრაფია), როგორც მას მკვლევარი: ლისა ნაუგლი უწოდებდა. ამ შემთხვევაში, ქორეოგრაფიული ნამუშევრის დისტრიბუციული შესაძლებლიერები გულისხმობს იმას, რომ ყველა მონაწილეს შეუძლია წამოაყენოს თავისი იდეა, ქორეოგრაფიული იმპროვიზაცია პერფორმანსის მიმდინარეობის დროს. იდეა, „დისტრიბუციული ქორეოგრაფია“ ახდენს თეატრალური პროდუქტის ტრადიციული როლის კონფიგურაციის შეცვლას: ცეკვის დაგეგმილ მოძრაობებთან ერთად, ყველა მონაწილეს შეუძლია წვლილი შეიტანოს პერფორმანსის შექმნაში. მაყურებელი მთლიანადაა ჩართული სხვადასხვა დისტანციიდან და ერთგარად აკონტროლებს პერფორმანსის განზომილებათა შექმნის პროცესს. ორივე ზემოქმედება: ქორეოგრაფების ტრადიციული როლის კონფიგურაციის შეცვლა და დამკვირვებლების ქორეოგრაფიის პროცესში ჩართულობა დამოკიდებულია ინტერნეტის შესაძლებლობებსა და მონაწილეთა არსებობაზე სხვადასხვა დისტანციაზე მოწყობილი აღგილებიდან.

**“World Wide Simultaneous Dance” –**  
მსოფლიო მასშტაბის სინქრონული ცეკვა

**“World Wide Simultaneous Dance”** (მსოფლიო მასშტაბის სინქრონული ცეკვა) პროექტი, განხორციელებული ლაურა ნოტის მიერ 1998 წელს. წარმოდგენა მოიცავდა ორ კომპონენტს: ცოცხლად შესრულებული ცეკვის პერფორმანსებს, რომელიც ერთი და იმავე დროს მსოფლიოს 12 ქვეყანაში მიმდინარეობდა და ინტერნეტ ვიდეო კონფერენცია, რომელიც ასევე მონაწილე აუდიტორიას საშუალებას აძლევდა ჩართულიყო ამ ღონისძიებაში.

ლაურა ნოტმა 60 სხვადასხვა მონაწილეს დავალა ეცემათ იმ აღგილებზე, რომელთაც თავისი აღგილობრივი, კულტურული დატვირთვა ექნებოდა ცეკვის მოძრაობებით. ნოტს კარგად ჰქონდა

გაცნობიერებული, კონკრეტული ადგილისათვის განკუთვნილი ტრადიციული ხელოვნების როლი, ე. ი., თვით ხელოვანთა დამოკიდებულება მშობლიური კულტურული ადგილების მიმართ. სცენური სივრცეების გაფანტულობა და მათი ინდივიდუალურად კონტროლირება, ზრდის პროდუქტის კონფიგურაციის ცვლილების როლს, რაც “The Cassandra Project”-ში (პროექტი „ქასანდრა“) იყო განხილული, ის სცენური სივრცეები, რომლებიც მიმღებილი არის მსოფლიოს სხვადასხვა ადგილას, თავს ერთი მონიტორის ეკრანზე იყრის.

**“World Wide Simultaneous Dance”** (მსოფლიო მასშტაბის სინქრონული ცეკვა) ინტერნეტს იყენებს, ცდილობს გლობალურ სამყაროში გაფანტული მოცეკვავებისა და აუდიენციის თავმოყრას ერთ ინტერნეტ პერფორმანსში. ჯერ ერთი ნოტი იმასთან ერთად, რომ იწვევს პერფორმერ-მონაწილეებს, რომელთათვისაც შესასრულებელი ცეკვის მოძრაობები დაგავშირებულია იმ ადგილის კულტურულ მნაშენელობასთან, აგრეთვე წარმოგვიდგენს ინტერნეტ პერფორმანსის სხვადსხვა კრიტერიუმსაც. მაგალითად, ლაურა ნოტი და პატ რაფი ცეკვას “Do While Studio”-ში ბოსტონში ასრულებდნენ, პრაკტიკი კაშიაპი ნაციონალურ ცეკვას “Sarakella Chau dance” (სარაკელა ჩაუს ცეკვა) მუშაობი და ანდრეა ბაკერ დომენიჩი იმპროვიზაციას რომში, საკუთარ სამზარეულოში. ინტერნეტის, (როგორც გლობალური მოვლენა) მიხედვით, ჯეფრი შოუ განსაზღვრავს „ქსელის-მდგომარეობას“, როგორც „ჩვენი დროის შემთხვევას, შემთხვევითობასა და გართულებულ მდგომარეობას“<sup>10</sup> ვებ-შახითი, როგორიც ლაურა ნოტი, კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს ნეტ-გარემობის დაპირისპირებას და მის გამოყენებას ესთეტიკურ კონტექსტში. ამასთან, ”World Wide Simultaneous Dance“ (მსოფლიო მასშტაბის სინქრონული ცეკვა) საშუალებას აძლევს კულტურასა და ცეკვზე ადგილობრივ წარმოდგენებს, შევიდეს ინტერნეტში და აქდან გამომდინარე, წარმოადგინოს მისი ლოკალური მნიშვნელობები ინტერნეტის სპეციფიკში.

სათეატრო მეცნიერება სტიმულირებას ინტერნეტ პერფორმანსების, პერფორმერებისა და მაყურებელთა საშუალებით განიცდის. ეს ძირითადად ზეგავლენას ანდენს და გვიჩვენებს, რომ თითოეული პროექტი ინდივიდუალური სცენოგრაფიული სტრუქტურით უნდა იქნას შესრულებული. სხვა ნეტ-არტ პროექტებისგან განსხვავებით,

როგორიც არის ინტერაქტიული ვებ ინსტალაციები, მისი შეზღუდული გამოყენების რანგით, ინტერნეტ პერფორმანსი ნეტ-არტში ახალ, ეფექტურულ იდეას წარმოადგენს. ინტერნეტ პერფორმანსი დამთავრებასთან ერთად ქრება და იგივე პროექტის კვლავ წარმოება შეუძლებელი ხდება.

ტელემატიკური პერფორმანსები, პერფორმანსის გარემოს დანიშნულების განსაზღვრას ახდენს ფიზიკური სამუშაო მოღელისა და ტემპორალური სტრუქტურის მხრივ. გამოყენებული ტექნიკური საშუალებები (როგორც გამოსახვის სპეციფიკური ტექნოლოგიები) ცვლის რეალური სიახლოების აუცილებლობას პერფორმერებსა და მაყურებელს შორის და აგრეთვე ახდენს შემსრულებლის როლის ტრანსფორმაციას საშემსრულებლო ხელოვნებაში. დღემდე პერფორმერებსა და მაყურებელს შორის ფიზიკური კავშირი ერთ-ურთ ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს თეატრისთვის, როგორც ისტორიულად ასევე კულტურულად. ინტერნეტ პერფორმანსები, რომელებიც ადგილებენ მაყურებელთა/მონაწილეთა კომპეტენციას ახალი მედია საშუალებების გამოყენებით, კითხვის ქვეშ აუნებენ ზემოთხსენებულ აუცილებელ კრიტერიუმს. ტელემატიკური პერფორმანსები ცვლიან „ცოცხალი“ მაყურებლის თანაარსებობის კონცეფციას, ინტერნეტს სცენის როლს ანიჭებენ, მისი ესთეტიკური თუ ტექნოლოგიური კომპონენტების გათვალისწინებით. ტელემატიკური სივრცე ინტერნეტ პერფორმანსებში შეიძლება დანახულ იქნას მეტაფორულად, როდესაც აქცენტირება საზოგადოების ძირითად დამახასიათებელ თვისებებზე ხდება. ინტერნეტ პერფორმანსები ხელოვნებს საშუალებას აძლევენ კრიტიკულად აღიქვან დღვეანდელი კულტურული განლაგება. ერთი მხრივ, თეატრი საზოგადოების პროდუქტს წარმოადგენს, მეორე მხრივ კი, საზოგადოების აღმშენებლობაში ერთ-ერთ მნიშვნელოვან როლს თამაშობს. ინტერნეტ პერფორმანსი არ არის მხოლოდ თეატრალურ პროცესებში ახალი განზომილებების დამატება, იგი არის უნივერსალური როლის მქონე ტექნოლოგია.

ყოველთვის, მულტიმედიური თეატრის თავისებურებაზე ფიქრისას ჩუა ძის ამბავი მახსენდება, პეპელა რომ ესიზმრა. მდგომარეობა, რიცა გაურკვევებლი გახდა პეპელას ესიზმრებოდა ჩუან-ძი, თუ ჩუან-ძის პეპელა. ისევე, როგორც მრავალგანზომილებიან სივრცეში

წდება, როცა სუბიექტ-ობიექტის ურიერთმიმართებაში ყოველგვარი საზღვარი მოშლილია. როცა ზღვარი „აქ“ და „იქ“, „მე“ და „შენ“ აღარ არსებობს, როცა რეალური არარეალურ მდგომარეობას განიცდის და ჩვენი ცნობიერების ფსკერზე რჩება მხოლოდ ერთად-ერთი, დრო. დრო, რომელიც „იყო და არა იყო რას“ საზღვარზე მერყეობს ყოველთვის და ჩვენი გონიერებს მიჯნავს; დრო, რომელიც მხოლოდ მიედინება და მის ნაკვალევზე იკვეთება შთაბეჭდილებები.

1. [www.internetrelaychat.com](http://www.internetrelaychat.com)
2. [www.worldwideweb.com](http://www.worldwideweb.com)
3. Nick Kaye: *Site-specific art. Performance, place and documentation*. London: Routledge, 2000 .
4. Noël Carroll: *Theorizing the Moving Image*. Cambridge: University of Cambridge Press, 1996.
5. Julia Glesner : Internet Performances as Site-Specific Art.
6. Noël Carroll: *Theorizing the Moving Image*. Cambridge: University of Cambridge Press, 1996.
7. Das Hamburg-project: *abschied von der disziplinaren ordnung, MOSCOW-BERLIN. 1950-2000. CHRONIK*, Nicolai, Martin-Gropius-Bau, Berlin, 2000, S. 155-158
8. Borut Savski : “Aesthetic Machines” (essay.- 2001) <http://www.3via.org/html.php?htm=borut>
9. Quoted in Brand, Stewart: *The Media Lab: Inventing the Future at MIT*. New York: Viking 1987.
10. Jeffrey Shaw : ‘Radical Software’, in: Weibelm, Peter & Timothy Druckrey (ed.):*net\_condition. Art and Global Media*. Boston: MIT, 2001.

- Nick Kaye: *Site-specific art. Performance, place and documentation*. London: Routledge, 2000.
- Noël Carroll: *Theorizing the Moving Image*. Cambridge: University of Cambridge Press, 1996.

- Hans-Thies Lehmann : *Postdramatisches Theater*. Frankfurt am Main: Verlag der Autoren, 1999
- Julia Glesner : Internet Performances as Site-Specific Art.
- Jeffrey Shaw : ‘Radical Software’, in: Weibelm, Peter & Timothy Druckrey (ed.):*net\_condition. Art and Global Media*. Boston: MIT, 2001
- Вернер Гейзенберг: *Физика и философия*
- ვერნერ ჰაიზენბერგი: ნაწილი და მოული. თბილისი: განათლება, 1983.
- *Leaping into the Net!*, Sarah Morrison: <http://www.MorrisonDance.com>
- *Cassandra Project*, NYU: <http://pages.nyu.edu/~jg12/cass.html><http://www.nyu.edu/pages/ngc>
- *World Wide Simultaneous Dance*, Laura Knott: <http://www.wwsd.org>
- ZKM: [http://on1.zkm.de/netCondition.root/netcondition/start/language/default\\_e](http://on1.zkm.de/netCondition.root/netcondition/start/language/default_e)
- <http://www.zkm.de>

**ლაშა ჩხარტიშვილი**  
დოქტორანტურის I კურსი  
ხელმძღვანელი - პროფ. ლევან ხეთაგური

**შექსაირის ახლებური გააზრება XX  
საუკუნის II ნახევრის დასაჯისში**  
(მიხეილ თუმანიშვილის „მეფე ლირის“ მაგალითზე)

XX საუკუნის 50-იანი წლებიდან მნიშვნელოვანი პოლიტიკური და ეკონომიკური ცვლილებები ხდებოდა საბჭოთა კავშირის ცხოვრებაში, გამოიყეთა სრულიად ახალი ტენდენციები. მართალია, ქვეყნის სათავეში კვლავ კომუნისტური პარტია იდგა, მაგრამ იგი სერიოზულ ტრანსფორმაციას განიცდიდა. ლიტერატურასა და ხელოვნებაში დაიწყო ლირიკული ნაკადის წარმოჩენა. ქართულ ხელოვნებაში ჩნდება ახალი სახელება. ეს პროცესი სკპ ცკ-ის პირველი მდივნის ხრუშჩოვის მიერ უფრო გააქტიურდა 50-იან წლებში ანტისტალინური პროპაგანდის ხარჯზე, რომელმაც გარკვეულწილად დადებითი ტენდენციები დაბადა. დისიდენტ მწერლებს მიეცათ საშუალება შეესწავლათ „დახურულად“ წოდებული საარქივო მასალა. ყველა ეს პროცესი მიმდინარეობდა ფისქოლოგიურად შინაგანი დაბაზულობის ხარჯზე. როგორც კი სტალინის რეჟიმი შეირყა, წარმოიშვა ახალი პრობლემა, – ანტისაბჭოური ლიტერატურა, რომელიც დაუპირისპირდა როგორც საბჭოთა კავშირის, ასევე თვითონ ხრუშჩოვის პოლიტიკასაც. საბჭოთა ხელისუფლებამ დაიწყო იმათი დევნა, ვინც თავად გაადისიდენტა. დისიდენტური მოძრაობის ლიდერები, თავად საბჭოთა ხელისუფლებამ ჩასვა ციხეში. მიუხედავად ამისა, „რენის ფარდა“ „ახდილი“ იყო და იძლეოდა საშუალებას შემოსულიყო ისეთი კულტურა, რომელიც უცხო იყო საბჭოთა პარტიული საზოგადოებისათვის. ამან ზეგავლენა მოახდინა მხატვრულ აზროვნებაზე. საბჭოთა ხელოვნებაში ჩნდება ახალი მიმართულებები და სტილური თავისებურებანი. ამ განახლებული მხატვრული აზროვნების შედეგად იკვეთება ახალი რეჟისორული პოზიციებიც. თეატრში მოდის რეჟისორთა და მსახიობთა ახალი თაობა, რომელსაც თავისი ინდივიდუალური მსოფლმხედველობა აქვს. ამ პერიოდში დასავლური თეატრები იწყებენ ჩამოსვლას საბჭოთა

კავშირის სხვადასხვა ქალაქებში. საბჭოთა თეატრისთვის ეს იყო ნამდვილი გაკვეთილი, ახლის აღქმის, მასთან შეგუებისა და მისი გააზრების მტკიცნეული პროცესის დასაწყისი. „60-იანი წლების საზოგადოება შინაგანად მზად იყო ამ უშველებელი ინფორმაციის მისაღებად. უფრო მეტიც, 60-იანი წლების შემოქმედებითი ინტელიგენცია ახალი აზროვნებისა და მხატვრული გამოსახვის სისტემებთან ზიარების დაუცხოობელ მოთხოვნილებას განიცდიდნენ და უკვე 60-იან წლებს საბჭოთა თეატრი გარკვეულად ახალი გამოცდილებით შეეგება. შემთხვევითი არ არის სწორედ ამ ათწლეულის მიჯნაზე „სოვერემნიკის“ თეატრის დაბადება, ლუუბიმოვის „სერუანელი კეთილი ადამიანის“ დადგმა და მის საფუძველზე „ტაგანკის თეატრის“ ჩამოყალიბება<sup>1</sup>. ქართულ თეატრში დაიწყო ახალი სათეატრო ესთეტიკის შემოდინება, რომელსაც სათავეში რუსთაველის თეატრი ედგა მიხეილ თუმანიშვილისა და მისი თანამებრძოლების ხელმძღვანელობით.

XX საუკუნის II ნახევრიდან დღის წესრიგში დადგა ტრაგედიის თავისებურად გადაფასების აუცილებლობა. ძიებები, რომელიც 20-იან წლებში დაიწყო და რომელიც საბჭოთა ხელისუფლების დიქტატის, იდეური და ფიზიკური წნების საშუალებით ჩაიკლა, 60-იანი წლებიდან კვლავ განახლდა. „60-70-იან წლებში სტაბილური უწყვეტი პროცესის შედეგად ქართულ თეატრში მიმდინარე ძიებები მას თითქმის ევროპული და მსოფლიო თეატრალური პროცესების გვერდით აყენებს, – აღნიშნავს თეატრმცოდნე ლევან ხეთაგური, – ძიების პროცესის მიზანი ნაწილობრივ გადამუშავებაზე, ანუ, ლიტერატურულ-დრამატურგიულ პირველწყაროს სერიოზულ საავტორო ინტერპრეტაციაზე მოდის. ინტერპრეტაციასთან ერთად სულ უფრო ისვეწება წინა პერიოდში გამოყენებული და ამოქმედებული გამოსახველობითი საშუალებები<sup>2</sup>.

XX საუკუნის 50-60-იანი წლებიდან ევროპულ თეატრში ახლებურად კითხულობებ კლასიკური დრამატურგის ამა თუ იმ ნიმუშს, მით უმტეს, შექსაირს, რომელიც ვერიკო ანჯაფარიძის სიტყვებით რომ ვთქვათ ახლებურ „ინტერპრეტაციას არა თუ იტანს, არამედ თხოულობს. დადგა დრო ახლის ძიებისა. შეუძლებელია დღეს ისე იმუშავო და შექმნა, როგორც გუშინ<sup>3</sup>. ევროპული თეატრი ეტაპობრივად ეთხოვებოდა ძველ, ტრადიციულ გააზრებას, ფორმებს და იდეებს. ქართული საბჭოთა თეატრი ამ

პროცესების აგანგარდში აღმოჩნდა, რაც საგსებით ლოგიკური მოვლენა იყო.

XX საუკუნის 60-იან წლებში, ვიდრე რობერტ სტურუა, თემურ ჩხეიძე და სხვა ამ თაობის რეჟისორები (გ. ურდანია, ნ. ხატისკაცი) „მოძლიერდებოდნენ“ ქართული საბჭოთა თეატრის აკადემიური უბირველეს ყოვლისა, მიხეილ თუმანიშვილი გვევლინება. სწორედ მის სახელთან და შემოქმედებასთან არის დაკავშირებული არა ერთი სიახლე და პროგრესული, მხატვრული მეთოდების დანერგვა ქართულ საბჭოთა თეატრში, რომელიც დღემდე იწვევს თეატრის მკვლევართა ყურადღებას და ინარჩუნებს აქტუალობას. „სრულფოფული არ იქნებოდა მ. თუმანიშვილის ნოვატორული მისია აღრე თუ გვან, რომ არ ეცადა მას თავისი თეატრალური პრინციპების დამკიდრება შექსპირის დრამატურგიაზე დაყრდნობით. შექსპირი კიდევ ერთი, მაგრამ აუცილებელი ბარიერი იყო თუმანიშვილისა და მისი თანამოაზრებისათვის“<sup>44</sup>.

მიხეილ თუმანიშვილი რუსთაველის თეატრში რეჟისორული მოღვაწეობის მეტვიდმეტე წელს დგამს შექსპირის „მეფე ლინს“. ეს იყო მისი მეორე შეხება შექსპირის სამყროსთან (მანამდე იყო „ზაფხულის დამის სიზმარი“, 1964 წ.), რომლის ჩავარდნამაც საბოლოოდ წერტილი დაუსვა შექსპირის ტრადიციულ გააზრებას.

„მეფე ლინის“ პრემიერა რუსთაველის თეატრში 1966 წლის 12 აპრილს შედგა. ამ დროისთვის იგი უკვე სახელგანთქმული და აღიარებული რეჟისორია, არა მხოლოდ საქართველოში, არამედ საბჭოთა კავშირში. მას უკვე დადგმული აქვს ი. ფუჩიკის „ადამიანები იყავთ ფხიზლად“ (1951 წ.), ჯ. ფლეტჩერის „ესპანელი მღვდელი“ (1954 წ.), კოპელუტის „როცა ასეთი სიყვარულია“ (1958 წ.), გ. ნაზუცრიშვილის „ჭინჭრაქა“ (1963 წ., მცირე სცნის გახსნა), მიხეილ თუმანიშვილს იცნობენ მოსკოვში და სთხოვენ ბ. ბრეხტის პიესის „გინდ ეს ჯარისკაცი, გინდ ის“ დადგმას, რომელიც რეჟისორმა განახორციელა 1965 წელს. შექსპირის დრამატურგიასთან შეხვედრამდე მ. თუმანიშვილს კლასიკური დრამატურგიის არც ერთი ნიმუში არ დაუდგამს. „ჭინჭრაქას“ ირგვლივ ატეხილმა სკანდალმა და „ზაფხულის დამის სიზმრის“ ერთგვარმა მარცხმა კიდევ უფრო დათრგუნა რეჟისორი. კრიტიკა თუმანიშვილსეულ „ზაფხულის დამის სიზმარზე“ წერდა: „რეჟისორის პოზიციები ეროვნული თეატრის ტრადიციულ თავისებურებათა, იდეურ მიზანდასახულობათა და

რეალისტური პრინციპებისგან განდგომას ეფუძნება, ყოველივე ამის ნაცვლად კი, მიხეილ თუმანიშვილი გვთავაზობს სპექტაკლებს, სადაც მეფობს ხელოვნურობა, სიჭრელე, სტილიზაცია, ეროტიკა და მარიონეტებად ქცეულ მსახიობთა შემოქმედება“<sup>5</sup>. ფაქტია, რომ თეატრალური კრიტიკა, მაშინ ვერ ჩასწვდა თუმანიშვილის ახლებურ მიდგომებს შექსპირის დრამატურგიისადმი.

შექსპირის მოღვრნიშაციას ქართულ საბჭოთა სინამდვილეში, პირველად სწორედ მიხეილ თუმანიშვილი შეეცადა, მან უარი თქვა შექსპირის პიესების ტრადიციულ წაკითხვაზე და მრავალგზის აპრობირებულ დადგმების მეთოდოლოგიაზე. შესაბამისად, შემთხვევითი არ იყო „მ. თუმანიშვილის მიერ შექსპირის კომედიის ამგვარი სახით დაინტერესება, სპექტაკლი კი გააკრიტიკეს (ვ. ქართველიშვილი, დ. მუმლაძე), მაგრამ ის, რაც თუმანიშვილმა მაყურებელს შესთავაზა, უცხო და მიუღებელი იყო საზოგადოებისთვისაც მაშინ. ამგვარი ინტერპრეტაცია დაგმობილი იქნა. ეს ძებები თუმანიშვილმა დაიწყო „ზაფხულის დამის სიზმარში“ და მერე „მეფე ლინში“ გააგრძელა, მაგრამ გვანი იყო“<sup>6</sup>. სულ სხვა საკითხია, რამდენად მიაღწია ამ ძებებმა ერთობლიობაში მაღალმხატვრულ ხარისხს, მაგრამ თეატრის ისტორიისათვის მის შექსპირისეულ დადგმებს უმნიშვნელოვანების როლი ენიჭება ქართულ შექსპირიანის ტრადიციების განახლებაში და მოღვრნიშაციაში. რთული ფსიქოლოგიური მდგომარეობისა და დაუნდობელი კრიტიკის მიუხედავად, მ. თუმანიშვილი აგრძელებს ბრძოლას და დგამს „მეფე ლინს“. ამ დროისთვის რუსთაველის თეატრის რეპერტუარშია რობერტ სტურუას, გიზო ქორდანიას და ნანა ხაგისკაცის საუკეთესო სპექტაკლები: ა. მილერის „სეილემის პროცესი“, თ. ჭილაძის „აკვარიუმი“, სულხან-საბა ობელიანის „საბრძნე-სიცრუისა“ (ე. მაღალაშვილთან ერთად). „ჭინჭრაქას“ და „ზაფხულის დამის სიზმრის“ ირგვლივ პრესაში ატეხილი პოლემიკისა და აქოტაფის შემდეგ, ბევრი რამ იყო დამოკიდებული „მეფე ლინის“ წარმატებაზე, თუმცა „ლირმა“ თუმანიშვილს საყოველთაო გამარჯვება ვერ მოუტანა.

შექსპირის „ლირის“ დადგმას XX საუკუნის 60-იანი წლების რუსთაველის თეატრის ცხოვრებაში პრინციპული მნიშვნელობა ჰქონდა. „ტრადიციის“ და „ნოვატორთა“ მოშხრეებს შორის ვნებები კიდევ ბოლოერობდა. კამათი უკიდურეს ფორმებს იძნდა და ხშირად ყურადღების მიღმა რჩეოდა ის ძვირფასი აღმოჩენები და ჭეშმარიტი

ნოგატორული მიგნებები, რომელთაც ახალი თეატრალური ესთეტიკა ახლდა“<sup>7</sup>. თუმანიშვილის პირველი შექსპირისეული დადგმები ქართულ სცენაზე მისი გათანამედროვეობის პირველი ცდები იყო.

რატომ გადაწყვიტა მაინც და მაინც „ლირის“ დადგმა მ. თუმანიშვილმა? ამ კითხვაზე ცალსახა პასუხი არ არსებობს, თუმცა სხვადასხვა მასალებიდან და წყაროებიდან ირკვევა, რომ „ლირის“ დადგმის იდეა სერგო ზაქარიაძეს ეპუთვნოდა. თუმანიშვილმა მას უარი ვერ უთხრა, რის გამოც განაწყენდნენ კიდეც „შვიდგაცას“ წევრები, თუმცა ეჭვგარეშეა, რომ თუმანიშვილი მხოლოდ ზაქარიაძის სურვილის ახდენის, ან თუნდაც მსახიობური კაპრიზისთვის არ შეეჭიდებოდა მონუმენტურ დრამატურგიულ ტილოს. თუმანიშვილს გაცილებით დიდი ამბიციები პქნდა და ეს იყო კრიტიკის კიდევ ერთი, ახალი გმოწვევა. ამ საკითხთან დაკავშირებით ნ. ურუშაძე წერს: „ვინც გაეცნობა იმ პქრიოდის რუსთაველის თეატრის სარეჟისორო კოლეგიის სხდომების ოქმებს, შეიტყობს, რომ მ. თუმანიშვილს ამ ტრაგედიის დადგმა არ უნდოდა, ეს იყო სერგო ზაქარიაძის სურვილი“<sup>8</sup>. თეატრის მოლეაწეთათვის და ბევრების კარგად არის ცნობილი მიხეილ თუმანიშვილის თვისების ერთი მახასიათებელი: ის თავისი მიზნებისა და გეგმების შესახებ თავად იშვიათად საუბრობდა. მისი გეგმებიც ერთი შეხედვით თითქოს მისგან დამოუკიდებლად ხორციელდებოდა, ყოველთვის კულისებში იდგა და იქედან მართავდა გარკვეულ სიტუაციებს. ამიტომაც, სრულიად შესაძლებელია, რომ მან შესთავაზა სერგო ზაქარიაძეს ლირის როლი, რომელიც სარეჟისორო კოლეგიაზე არა რეჟისორმა, არამედ მსახიობმა გააჩნია. ფურნალ „თეატრის“ კორესპონდენტის კითხვაზე, თუ რატომ აირჩია „ლირი“ დასადგმელად, რეჟისორი პასუხობს: „მიზეზი ბევრია: ჯერ ერთი, ბოლო დროს რუსთაველის თეატრის მიმრთ ბევრი პრეტენზია გაჩნდა დიდ ტილოებთან მისი განშორების გამო. ჩვენ მოვინდომეთ პოლემიკის გაგრძელება „დიდი ტილოს“ მოშველიებით, ანუ, ვისურვეთ კლასიკური ტრაგედია დავდგათ ისე, როგორც ჩვენ ეს დღეს წარმოგვიდგენია. ბევრი რამ იმითაც იყო განაპირობებული, რომ თეატრის დასში არის ისეთი მსახიობი, როგორც სერგო ზაქარიაძეა...“<sup>9</sup> რუსთაველის თეატრში „მეუე ლირის“ 1966 წლის დადგმის მასალებიდან ირკვევა, რომ თუმანიშვილმა „ლირის“ დადგმის გადაწყვეტილება „შვიდგაცასთან“ შეთანხმების გარეშე მიიღო. მან დაარღვია ტრადიცია, როცა ის

თავისი გეგმების შესახებ მეგობარ მსახიობებთან საუბრობდა. მ. თუმანიშვილის წიგნიდან: „რეჟისორი თეატრიდან წავიდა“ (თბ., 1989) ავტორი იგონებს, რომ „შვიდგაცას“ ორმა წევრმა წერილი მისწერა მას, რომელშიც ეწერა: „არ გვინდა, რომ შენი ენერგია ახლა „ლირზე“ დაიხარჯოს. შენ ყოველთვის იმას დგამდი, რაც გინდოდა და შემდგომშიც ასე უნდა იყოს. ჩვენ ის გაწყინს, რომ შენ „ლირის“ დადგმა ისე გადაწყვიტე, რომ ჩვენთვის არ გიკითხავს რჩევა, როგორც ამას სხვა დადგმების წინ აკეთებდი...“<sup>10</sup> თეატრმცოდნე დალი მუმლაძის აზრით, კი „თუმანიშვილის შემოქმედებაში დადგა დრო, როცა მას თავისი ძალა, თავისი შემოქმედებითი უსარი კლასიკური ნაწარმოობის ახალ წაკოტხვაში უნდა ეწვენებინა. თუმანიშვილმა შექსპირი აირჩია. ჯერ „ზაფხულის ღამის სიზმარი“ დადგა, შემდეგ „მეუე ლირი“.“<sup>11</sup> ერთ-ერთ ინტერვიუში, თუ რატომ აირჩია რეჟისორმა „მეუე ლირი“ დასადგმელად, მ. თუმანიშვილი აცხადებს: „ჩემთვის მეუე ლირი და თავად პრობლემა, რომელიც ამ პიესაში დასვა შექსპირმა, ძალიან ახლობელია, მნიშვნელოვანია და თანამედროვე. ეს უმაღლესი ტრაგედიაა – ლირის სამყაროს შეცნობის ტრაგედია საინტერესო და სავსე ცხოვრებისეული ნაკადით“.<sup>12</sup> ასე რომ, „ლირის“ დადგმა თუმანიშვილმა და ზაქარიაძემ ერთად გადაწყვიტეს, შესაძლოა თუმანიშვილის მხრიდან ეს ერთგვარი კომპორმისი და მადლობის უესტი იყო ზაქარიაძისადმი (ცნობილი კონფლიქტის დროს ს. ზაქარიაძემ ახალგაზრდებს, თუმანიშვილის „შვიდგაცას“ დაუჭირა მხარი), თუმცა ეს საკითხები ჩვენი კვლევის მიზანს ამჯერად სცილდება. თეატრმცოდნეთა უმრავლესობის აზრით, ეს სპექტაკლი თუმანიშვილის შემოქმედების გამარჯვებათა სიაში არ შედის, მაგრამ მას პქნდა დიდი მნიშვნელობა არა მხოლოდ შექსპირის ახლობური წარმოშენების ტრადიციის შექმნაში, არამედ ზოგადად ძველი ფორმების ნგრევის და ახლებური აზროვნების დამკვიდრებაში.

პოლემიკა თუმანიშვილის შემოქმედების და შესაბამისად რუსთაველის თეატრის ირგვლივ, პრესაში „ლირის“ პრემიერის შემდეგ ფაზაში გადავიდა. პოლემიკა გასცილდა რეგისონის ფარგლებს და მან მთელი საბჭოთა კავშირის ცენტრალური სახელოვნებო გამოცემები მოიცავა. ზოგი ადანაშაულებდა რეჟისორს რუსთაველის თეატრის ტრადიციული გზიდან გადახვევაში („ეს არ არის მეუე!“ წერდნენ ერთი), ზოგიერთი კრიტიკოსი

აღფრთოვანებული იყო იმით, რომ თეატრმა თუმანიშვილის ხელმძღვანელობით უარი თქვა ლირის „ტრადიციულ მეფურ დიდებულებაზე“

სპექტაკლის მხატვარი იყო ქოქა იგნატოვი, კომპოზიტორი – ოთარ თაქთაქიშვილი, როლები კი ასე იყო განაწილებული:

ლირი – სერგო ზაქარიაძე,

ქენტი – ეროსი მანჯგალაძე,

გონიერილა – სალომე ყანჩელი,

რეგანა – მედეა ჩახავა,

გლოსტერი – გიორგი გეგეჭკორი,

კლმუნდი – რამაზ ჩხიგაძე;

ედგარი – ედიშერ მაღალაშვილი,

კორდელია – ბელა მირიანაშვილი,

მასხარა – გურამ საღარაძე,

მთავარი კორნოულისა – ჯემალ დაღანიძე,

მთავარი ალბანისა – ბადრი კობახიძე.

თუმანიშვილი შექსპირის ტრაგედიას ახლებურად მიუდგა, ეს კარგად ჩანს არა ერთი იმ კონკრეტული ფაქტიდან, რაც „ლირის“ დადგმას უკავშირდება, რეჟისორმა უარი თქვა ი. მაჩაბლის გენიალურ თარგმაზე და შექსპირის ღრმა მცოდნეს ვახტანგ ჭელიძეს შეუკვეთა პიესის ახალი თარგმანი, რადგან მისი აზრით, სპექტაკლი უფრო თანამედროვე გამოვიდოდა. რეჟისორის მხრიდან შექსპირის ტრაგედიის ახალი თარგმანის შექმნა პროგრესული მოვლენა იყო, პიესა ხელახალი თარგმნის შედევრა კიდევ უფრო დაუხსნოვდა პროზაულ ტექსტს. მ. თუმანიშვილი ამ სპექტაკლით შეცადა „მჭიდრო კონტაქტი და ემყარებინა თეატრსა და თანამედროვე მაყურებლის სულიერ სამყაროსან. მოეტანა აზრი და ცოცხალი ადამიანური გრძნობები“.<sup>13</sup> რეჟისორმა პათოიკური და ლიაზი ლირის ნაცვლად, წარმოადგინა გაადამიანებული ლირი, ცხოვრების რეალობასთან მოახლოებული პირი, „მასში მეტი იყო ლირიზმი, ვიდრე მონუმენტურობა, მეტი სირბილე, ვიდრე მრისხანება, მეტი სიყვარული, ვიდრე სიძლვილი“.<sup>14</sup> წერილობით წყაროებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ „მეფე ლირი“ რეჟისორს თეატრულად სულ სხვაგვარად ჰქონდა ჩაფიქრებული, ვიდრე იგი საბოლოო ვერსიით გამოვიდა. წერილობითი დოკუმენტის სახით არსებობს თუმანიშვილის ნარკვევი „მეფე ლირზე“, რომელიც საგრძნობლად დაშორებულია სარეჟისორო ექსპლიკაციას,

ექსპლიკაცია კი სპექტაკლის იმ რედაქციას, რომელიც ფართო მაყურებელმა იხილა.

ვიდრე მ. თუმანიშვილი უშუალოდ დაიწყებდა სპექტაკლზე პრაქტიკულ მუშაობას, მას თეორიულად „ლირი“ ჩაფიქრებული ჰქონდა, როგორც პოლიტიკური ფარსი. იგი სპექტაკლის მოვლენებს ექვს ნაწილად ყოვს და თითოეულს პირობით სახელსაც არქმევს. ესნია:

1. შეშლილობა, პიროვნების კულტი,
2. პენსიონერი-კატასტროფა,
3. ლირის აკადემია,
4. „კაციჭამიობა!“, თვითმყრობელობის მმვინვარება,
5. აღდვომა!
6. აკვიატებული იდეებისგან გათავისუფლება.

ექსპლიკაციაში, რომელიც პირველად თუმანიშვილის წიგნში: „სანამ რეპეტიცია დაიწყება“ დაიბეჭდა, რეჟისორი თხზავს ერთი შეხედვით ლირის ლირიკულ სამყაროს, თუმცა პოლიტიკური სიტუაციების ანალოგიები მაშინდელ საბჭოთა ხელისუფლებასთან კონტექსტში მაინც შეიმჩნევა. რეჟისორი წერს: „პირქეში, მეცარი მმართველობის წესი... ლირი მოეკლ ხალხს, სახელმწიფოს მართავს. მეგრმ აღმავლობის სანამ გაიარა. მეფე დაბერდა (უნდა ვივარაუდოთ, რომ თუმანიშვილი შეეცადა ლირის მხატვრული სახის იდენტიფიკაციას საბჭოთა კავშირთან – როგორც დესპოტურ სახელმწიფოსთან – ლ. ჩ.). ის ახლა ძალის მეშვეობით კი არა, არამედ წარსული ძლიერების გახსენებით მართავს სახელმწიფოს. გადაწყვიტა, სახელმწიფო ქალიშვილებს დაუნაწილოს... სარკანი ციხე-დარბაზის მიღმა კი ამ დროს გამევებულია სიძლვილი, შეთქმულება, მკვლელობა, ინტრიგა... ქვენის გზებზე ჯაშუშები, ყაჩაღთა ბანდები, მაწანწალები დაძრწან... (დახსლობით ისეთები, როგორიც რეჟისორის სპექტაკლში „ანტიგონე“ ჩაფიქრები იყვნენ – ლ. ჩ.). ჯურმლმულებში ჯერჯერობით მეფისგან მალულად ადამიანებს აწამებენ. მოსყიდვა, დაშინება, იარაღის დაგროვება, დაპირებები... სახელმწიფო მიღვაწები თავიანთ ციხე-დარბაზებში მიყუეულან და გარეყნილების მორევში იხრჩიბიან. ქვეანა, არსებითად, სისხლისგან იცლება, მაგრამ გარეგნულად ყველაფერი ძველებურადა. ყველას მშვენივრად ესმის, რომ ლირის სახელმწიფოს დღეები დათვლილია, ამიტომ ყველანი გრძნობენ აუცილებლობას, შემზადებულნი იყვნენ საიმისიდ, რომ გაყოფა-განაწილებების დროს მოტყუებულნი არ დარჩნენ... ცენტრი აღარ არსებობს. აღარც სისტემაა... ლირი გმუდმებით ცდილობს, სამეფო

ძალაუფლების ილუზია შეინარჩუნოს...<sup>15</sup> თუ თუმანიშვილის „ლირის“ დადგმის გეგმას კარგად ჩავუღრმავდებით, აუცილებლად შევნიშნავთ აღწერილი სიტუაციის პარალელს ისტორიულ რეალობასთან. სტალინის გარდაცალების შემდეგ იწყება მისი კულტის გმობა და სახელმწიფოს მმართველობის პრინციპებში შედის გარკვეული ცვლილებები, რამაც ხელი შეუწყო საბჭოთა კავშირის, როგორც სახელმწიფოს რღვევის დაწყებას, თუმცა თუმანიშვილის მიერ ჩაფიქრებული მეცე ლირის მსგავსად, არც საბჭოთა სახელმწიფო იმჩნევს მის შიგნით მომხდარ ცვლილებებს. წარსული ძლიერება, მხოლოდ ინერციაა და ყველა ილუზიაში ცხოვრობს. პოლიტიკურად მოტივირებული ტრაგედიას ექსპონტიციის შემდეგ, თუმანიშვილს ლირიკულ-დრამატული ნაკადი შემოაქვს. თუმანიშვილის ხედვით ლირის ისტორია ამბიციური ადამიანის ისტორიაა. „როცა გმირს საკუთარი თავი გაიგივებული ჰყავს ბუნებასთან, ღმერთთან, ანუ, ის ზეადამიანია, ზეაცია. სწორედ ეს თვისება – საკუთარ თავში ჩავეტვა, ხელს უშლის დაინახოს მის გარშემო მიმდინარე პროცესები“<sup>16</sup> ლირი იღუზით ცხოვრობს, ის სარკეში მხოლოდ საკუთარი დიდების ანარეკის ხედავს, მის გამოცდილებას და ძალას მორჩილებს სახელმწიფო, სწორედ ეს ღუპავს ლირს და უბიძგებს მას გადადგას არასწორი საბედისწერო ნაბიჯი, რომელიც არა მხოლოდ მის უბედურებას, არამედ სახელმწიფოს რღვევასაც იწვევს. „სასოწარ კვეთილი ლირი მის მიერ აგებული სარყაინი ციხე-დარბაზის საზღვრებს ტოვებს. ქარიშხალმა და ჭექა-ქეხილმა აიძულა ჯოუტი მოხუცი, დამორჩილებოდა თავის ბედს, დააჩიქა, აგრძნობინა, რომ მასზე დიდი ძალა არსებობს. ლირმა ორგვლივ მიმოიხედა და პირველად დაინახა სამყარო ისეთი, როგორიც ის სინამდვილეშია...“<sup>17</sup> თუმანიშვილის აზრით, ლირი ერთგვარ აკადემიას გადის, ეს არის მისი სამყაროს ახლებურად შემეცნების პროცესი. ლირის ირგვლივ კი, უკვე სისხლის მდინარები დგას. გლოსტერს აწამებენ. ედმუნდმა ორივე დედოფლის სახლში შეაღწია. კორნუელიც მოკლულია, მისი მსახურიც. ადამიანები გამხეცდნენ და ფსიქოზისგან, ისტერიკისგან ძლივს იკავებენ თავს. ამის დამნახავი ლირი ჯერ გაოგნებულია, შემდეგ კი მშვიდად გრძნობს თავს, რადგან მასთან კორდელია. „ლირი, როგორც მეცე, დაბრძნება, მაგრამ ახლა მისი სიბრძნე მოვარაყებას აღარ საჭიროებს. ლირი ჭეშმარიტად დიდი გახდა, ის ჩასწერა ცხოვრების არსს. ლირის გარშემო მეგობრები იყრიან თავს. იწყება უკანასკნელი სამკედრო-სასიცოცხლო, იდეური შეტაკება

(კულმინაცია-ორთაბრძოლა) და უცებ, მოულოდნელად – ყველაფერი წყდება და სიჩუმე ისადგურებს“<sup>18</sup> – აი, სწორედ ეს არის თუმანიშვილის ტრაგედიის არსი. მანამდე ქართულ სცენაზე შექსპირის ეს ტრაგედია ამგვარად არავის გაუაზრებია.

მიხეილ თუმანიშვილი თავის თეორიულ ჩანაფიქრს „ლირზე“ ასე ამთავრებს: „აი, მოვლენათა რიგი. მაგრამ რამდენი ეპიზოდისგან, მოვლენისგან და ქმედითი ფენისაგან შედგება იგი, რამდენი ორთაბრძოლა, თუ კონფლიქტი, რამდენი კვანძი, თუ გადახრა იმსლება მოქმედ პირთა საუბრებს მიღმა. აქ ზღვა მასალაა იმპროვიზაციისთვის, მაგრამ ახლა ეს აღარ გვაშინებს, რადგანაც უკვე არსებობს მომავალი სპექტაკლის ჩონჩხი, გზა, ყოველ შემთხვევაში, ბილიკი მანწც. და თუ რეჟისორ დე სიკას ნათქვამის მცირე პერიოდულის გავაკეთებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ: „სპექტაკლი, ფაქტობრივად, შეთხზულია, ახლა მხოლოდ მისი დადგმაა საჭირო!“<sup>19</sup>

მ. თუმანიშვილმა „ლირის“ რეპეტიციები 1966 წელს დაიწყო და პრემიერა ოთხ თვეში შედგა. აქ უნდა აღინიშნოს კიდევ ერთი გარემობა: ქართულ სცენაზე „მეცე ლირის“ დადგმების ისტორიას თუ გადავავლებთ თვალს (კოტე ყიფიანი – ასი რეპეტიცია, 1879 წელი, ვალერიან გუნია – ოცდაოთხი თვე, 1904 წელი აღ. იმედაშვილი – 15 წელი, სპექტაკლის პრემიერა შედგა 1941 წელს, აკაკი ხორავაშ ლირზე მუშაობა 1926 წელს დაწყო, სპექტაკლი აკაკი ვასაძის რეჟისურით მხოლოდ 1948 წელს განხორციელდა) თუმანიშვილის სპექტაკლი რეკორდულად მოკლე დროში დაიდგა. რეჟისორსა და მსახიობს არ პქონდათ დიდი დრო ფიქრისთვის, ექსპერიმენტებისთვის, რაც აისახა კიდეც სპექტაკლის იდეურ გადაწყვეტაზე და მხატვრულ ხარისხზე. შეიმჩნეოდა გარკვეული გავლენების კვალიც, როგორც ქართულ, ისე ვეროპულ „ლირებთან“. რეჟისორი კი თავის დღიურებში ასე იმართლებდა თავს: „რეჟისორი პიესას კითხულობს და მის ცნობიერებაში უმაღ აღმოცენდება ნაცნობი წარმოდგენები ცნობილი თეატრალური დადგმებიდან. წარსულში აღმოჩენა, დღესდღეობით კი ბანალური, ხავსმოკიდებული ესა თუ ის ხერხი, რომელიც არავითარ ახალ ინფორმაციას აღარ ატარებს, აფერხებს სპექტაკლის გადაწყვეტის ახალ იდეათა წარმოშობას. რეჟისორის წარმოსახვისთვის ძალზე რთულია, დაძლიოს ასეთი შაბლონური სქემა და გარიღვითს ნაცნობ, ზედაპირზე მდებარე გაცვეთილ გადაწყვეტათა ჯუნგლები. ამგვარი აკვიატებული იდეა თუ ხერხი ათასობითაა და ისინი მუდამ ჩვენ გვერდითაა ჩასაფრებული,

მათზე არ უნდა ვიფიქროთ, ისინი აქტარი მეზობლებივით მუდამ მზად არიან დახმარების ხელი გამოვეიწოდონ, როდესაც მათ არავინ სთხოვს ამას... პიტერ ბრუკმა გადაწყვიტა, ერთ-ერთ თავის სპექტაკლში („მეფე ლირი“) ტრაგედიის გმირები ტყაყის ტანსაცმლით შეემოსა, და მოჰყვნენ მის კვალდაგვალ ტყაყში გამოწყობილი ყველა დროის და ხალხის გმირები მსოფლიოს სცენებზე სიარულს. ეს არის სწორედ ფსიქოლოგიური ინერცია.

ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ საერთოდ არ შეიძლება, გამოვიყენოთ დიდ წინამორბედთა მიერ მიგნებული ესა თუ ის თეატრალური ხერხი. პირიქით, ძალიან კარგად უნდა ვიცნობდეთ მიგნებებისა და ხერხების ამ არსებობის, უნდა შევისწავლოთ ისინი, ამოსავალ წერტილად ვაქციოთ, უკიდურეს შემთხვევაში გამოვიყენოთ კიდეც, მაგრამ ეს არ უნდა ხდებოდეს მექანიკურად, გარკვეული სეზონისთვის განაკუთხნილი „მოდის მიხედვით“.<sup>20</sup> თუმანიშვილის „ლირზე“, მისი პრემიერიდან რამდენიმე წლის შემდეგ გამოქვეყნებული რეცენზიებიდან, თუ კვლევებიდან ჩანს, რომ რესთაველის თეატრის 1966 წლის „ლირში“ შეიმჩნევდა ბრუკა-კოფილის „ლირის“ გავლენა, რაც იმ პერიოდის ქართულ საბჭოთა თეატრში სიახლეს წარმოადგენდა და სიახლეს ყოველთვის მარტივდ არ იღებდა (ან ვერ ამწევდა) საბჭოთა კრიტიკა, მთ უმტეს, ქართული. ასეთი შემთხვევების არა ერთი მაგალითი არსებობს ქართული თეატრის ისტორიაში. მსახიობთა მოგონებებიდან ირკვევა ისიც, რომ თუმანიშვილმა ფართოდ გამოიყენა რესთაველის თეატრის მუზეუმში დაცული კოტე მარჯანიშვილისეული „ლირის“ ექსპლიკაცია. რაც იმაზე მიუთითებს, რომ თუმანიშვილის სპექტაკლი არ შექმნილა მხოლოდ თანამედროვე თეატრალური ტენდენციების გავლენით. მის ამგვარ დაბადებას მყარი საფუძველი გააჩნდა თვით ქართულ თეატრშიც. „თუმანიშვილის „მეფე ლირის“ სიახლე გამოიხატებოდა თითქმის ყველაფერში. აქ იყო ბრუკის მიერ მოხვეული ასოციაცია – ადრეფერდალურ, თავის ფორმებსა და ურთიერთობებში მაქსიმალურად სადა, მოუქნელ, დაუხვეწელ სამყაროზე. სიახლე იყო თვით ლირის ხასიათის გახსნაშიც – ზაქარიაძის ლირი შორს იყო უძლური მოხუცისგან და, ამდენად, წამყვანი სპექტაკლში გახდა არა სიბერის ტრაგედია, არამედ ტრაგედია ტირანისა, რომელმაც საკუთარ თავში ადამიანი მოელა და შხოლოდ უდიდესი დანაკარგების ფასად აღმოაჩინა ეს. ჭეშმარიტად ახლებურად იყო დანახული ლირისა და მასხარას (გ. საღარაძე) ურთიერთობა, ერთგული მსახური,

თითქოს იგივედებოდა მეფესთან. გარდა ამისა, რეჟისორის განსაკუთრებული ფურადღება მიიპყრო უცხაურმა კანონზომიერებამ, რომლის მიხედვით მასხარა და კორდელია ერთდღროულად არ ჩნდებიან პიესაში. იქ, სადაც არის კორდელია, არ არის მასხარა, სადაც ვხვდებით მასხარას, იქ არ არის კორდელია. ეს შემთხვევითობა, თუ ფარული ლოგიკა იქცა ლირის სახის ამოხსნის ერთ-ერთ საშუალებად“.<sup>21</sup> თუმანიშვილი არ მოერიდა შექსპირის ტექსტთან ახლებურ მიღვომას და ეს მხოლოდ პიესის ახალი თარგმნის შექმნაში როდი გამოიხატებოდა. სპექტაკლი იწყებოდა შექსპირისავე სონეტით (№66), რომელსაც ხუმარა (გ. საღარაძე) ამბობდა და რომლის პირველი და ბოლო ტაქტები ასეთია:

„ყველაფერით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა, რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ლირსება...“

რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს, რადგან უვიცი და რეგვენი ბრძნობს ადვილად...

ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გარჩევას ვარჩევ...“

„ხუმარას მიერ წარმოოქმული ეს ბრძნული სონეტი ნიადაგს ამზადებდა სპექტაკლისთვის და ფიქრისკენ ხრიდა მაყურებლის გონებას“.<sup>22</sup> როგორც ჩანს, ხუმარას მთხოვნილის, ერთგვარი პროტოგონისტის ფუნქციაც ეკისრებოდა. აი, კიდევ ერთი კავშირი ქართულ თეატრალურ ტრადიციებთან. ცნობილია, რომ ახმეტებლიც თავის განუხორციელებულ სპექტაკლ „მეფე ლირს“ ხუმარას მონოლოგით იწყებდა.

თუმანიშვილის სპექტაკლ „მეფე ლირის“ საექსპოზიციო ნაწილის კავშირზე ორმან ბელ გედელის „მეფე ლირთან“ საუბრობს თეატრმცოდნე დაღი მუმლადე. იგი წერდა: „თუმანიშვილი სპექტაკლს მასხარას მონოლოგით იწყებს. კაცისა და ხალხის ბელზე ჩაფიქრებული ადამიანი, რომელსაც ხელში თავისი სახე – მასხარას ჩაჩი უჭირავს, საოცარი გულისტკივილით ამბობს: „რომ შემეძლოს სივარულო შენი დათმობა“. შეა საუკუნეთა ციხის კედელი გაბმული ჯაჭვის ხმაურით ეშვება. სასახლის კარის თავერილობაა. დგას ქვის ტახტი. გოლიათი ქვები სპექტაკლის უმთავრეს აქსესუარებს წარმოადგენწ. სიმბიმისა და შეუვალობის განწყობას ქმნიან, მაგრამ ეს ხომ ორმან ბელ გედერის „მეფე ლირისათვის“ შექმნილი დეკორაციების ზუსტი ანალოგიაა. ქვის

ფორმა მხატვარ პ. იგნატოვს უფრო სტილიზებული აქვს. არც პატარა კუბიკები ჩანს რამპასთან, მაგრამ დეკორაციული კომპონენტების მთელი კომპლექსი უცხადესად აღადგენს ლონდონში 1919 წელს დადგმულ პირველ თანამედროვე შექსპირულ სპექტაკლს“.<sup>23</sup>

რენის ჯაჭვზე ჩამობმული ქვის ძელი, რომელიც მონუმენტურ ასკეტური დეკორაციის ფაქტურას წარმოადგენდა მძიმედ ეშვებოდა და სცენაზე ჩნდებოდა ლირის სამეფო დარბაზი, ისმოდა საყვირის ხმა, ხოლო გლოსტერი ამტობდა მაურებელს ლირის შემობრძნებას. „სცენაზე ყველა და ყველაფერი შეშედება ხელმწიფის მოლოდინში, იმდენად მორჩილად და მთრთოლვარედ, რომ გრძნობდი რამდენად დიდია მისი ძლევამოსილება და სიღიადე, ამავე დროს მომლოდინე სხეულები იმდენად დაბძულია, რომ გრძნობ, რომ რაღაც უნდა მოხდეს. ამ სცენის მთავარი აზრიც სწორედ ამაშია, რომ დასაწყისში დგას ძლიერი, დადი ადამიანი, რომელსაც ყველა ემორჩილება“.<sup>24</sup> ასეთი უნდა ყოფილიყო სპექტაკლის საექსპოზიციო ნაწილი თუმანიშვილის ჩანაფიქრის მიხედვით. დასაწყისის მსგავსი გადაწყვეტა ჰქონდა თავის სპექტაკლში რობერტ სტურუას, მაგრამ მის სპექტაკლში ყველაფერი გაცილებით მწვავედ და დრამატურგიულად იყო განხორციელებული. თითქოს დაუსრულებელი ლოდინის შემდეგ, მაყურებელი გაკეირვებული იყო, ლირის გამოჩენით, რომელსაც არავითარი მეფური სიღიადე აღარ შერჩენა. შემოდიოდა ლირი, რომელიც მკვერთად განსხვავდებოდა იმ პიროვნებისაგან, რომელსაც მაყურებელი მოელოდა (მსგავსად რობერტ სტურუას და რამაზ ჩხიკვაძის ლირისა). „მის ფაქტურაში არ იგრძნობა არც ძლევამოსილება და არც სიღიადე. ეს არ იყო თვითმშეყრობელი. კონტრასტი, თუ როგორ მივიდა თითოეულ მათგანთან მის წინაშე დამსახურების მიხედვით, როგორ შეაფასა ყოველი მათგანი, ერთი ღიმილით, მეორე გამომცდელი მზერით, მესამე დაუფარავი ანტიპათით, ამან მაშინვე განსაზღვრა დისტანცია ლირსა და ლირს, როგორც ადამიანს შორის. სპექტაკლში ლირი არ არის გადაწყვეტილი, როგორც ტრაგედია მოტყუებული ნდობისა, ეს არის ტრაგედია ადამიანისა, რომელმაც ძალიან გვიან შეიცნო ჭეშმარიტება“.<sup>25</sup> თავად სერგო ზაქარიაძე ლირის მხატვრული სახის მისეული გააზრების თაობაზე ერთ-ერთ ინტერვიუში ამბობს: „მე არ მინდოდა ჩემი ლირი მოხუცი ყოფილიყო, დასასრულს ქვეყნის მართვა კიდევ უნდა შესძლებოდა. მის შეცდომათა ფუსებს მისი დიქტატორული ტვინის წყობაში ვხედავ. სახელმწიფოს მართვის მისეული სტრუქტურა ვერ უძლებს

ვერანაირ გამოცდას ადამიანურობაზე. ლირის ზედმიწევნით გაადამიანურება მინდოდა, იმისათვის, რომ მაყურებელს ახლობლად ვერანო ივი, გაეგო მისთვის, როგორც ადამიანისთვის. ჩვენ ჯერ კიდევ დაკავშირებული ვართ პოლემიკით, ბრძოლით, როცა ხელოვნებით ვიწებით დაკავშირებული უკეთესი იქნება“.<sup>26</sup> ფაქტია, რომ რეჟისორი და მთავარი როლის შემსრულებელი არ გამორიცხავდა ლირის დიქტატორულ, ამპარტავნულ ბუნებას, მაგრამ შედეგად მივიღეთ გაადამიანურებული ლირი, რაც გამოწვეული უნდა ყოფილიყო ტრადიციისგან გაქცევით, ტრადიციის გავლენის შიშით. ამ მხრივ დამდგმელები მეორე უკიდურესობამდე მივიღნენ, იმდენად „გაადამიანურდა“ ლირის მხატვრული სახე, რომ ივი ზოგიერთ ეპიზოდში ყოფით პერსონაჟამდე დაგიდა. ეს ირკვევა მ. ლევილის წიგნიდან „სერგო ზაქარიაძე“, სადაც ავტორი წერს: „ამ მხატვებჭებანიერმა, ძალმაგარმა, ჯან-ლონიანმა მოხუცმა ლურჯი საბის ტილოს ხალათითა და ბეწვის პაჭიჭებში ჩატანებული შარვლით მხრებზე თხის ბეწვმოგდებულმა, ამ მოხუცმა სვანმა თუ სევსურმა, ქართულ სიმღერას რომ წამოიწყებს სუფრასთან მე-4 სურათში, არ წარმოაჩინა კონტრასტი დასაწყისში მედიდურ, შემდგომში დაბეხავებულ და ფინალში კი დიდებულ ლირს შორის, მაგრამ სამაგიეროდ მისი განცდები უაღრესად გასავები და გულთან ახლოს მისატანი გახადა მაყურებელთა ფართო წრეებისათვის“.<sup>27</sup> კოკა იგნატოვის კოსტიუმებმა ერთგვარი კონტრასტი შეიტანა სპექტაკლის იდეურ გადაწყვეტაში. მისი კოსტიუმები, ერთი მხრივ, მოწყდა ჰეროიკულობას და მონუმენტურობას, მეორე მხრივ, გახდა ყოფილი და არა სადა. ეს კარგად ჩანს თავად ლირის ჩატანელობიდანაც. სერგო ზაქარიაძეს ეცვა ტილოს ხალათი, ბეწვის პაჭიჭებში ჩატანებული შარვალი და თხის ბეწვის წამოსასხამი. მხატვარმა თუ ერთი მხრივ მოშალა დორ, სამაგიეროდ განსაზღვრა გეოგრაფიული საზღვრები და ლირის ტრაგედია ერთ ვიწრო სივრცეში ჩაკეტა.

ლირის ტრაგედია თითქოს ერთი პენსიონერის ტრაგედიამდე დაგიდა. პიროვნების ტრაგედიაში შეიმჩნეოდა ყოფითი ელემენტების სიჭარე. „მეფე აღარ არის ტირანი, დიქტატორი, იგი იქცა ჩვეულებრივ ადამიანად თავისი შეცდომებით“.<sup>28</sup>

XX საუკუნის 50-იანი წლების მეორე ნახევრამდე შექსპირის პერსონაჟები თეატრში მოაზრებოდა როგორც არა ადამიანები, არმედ ხელშეუხებელი, არაბუნებრივი, ამაღლებული და მეტაფორული გმირები. სწორედ მათი სიღიადის დაკარგვას შეეწირა სპექტაკლის საერთო

იდეური გადაწყვეტა. აკი იხსენებს კიდევ მიხელ თუშმანიშვილი თავის წიგნში – „რეჟისორი თეატრიდნ წავიდა“, იმ ფაქტს, რომ იგი სიკვდილამდე რაძღნიმე დღით ადრე შეხვდა სერგო ზაქარიაძეს, რომელმაც უთხრა მას: „არ გზღდოდა, ურთხელაც გვემუშავა „ლირზე“? იქნებ როგორმე აუქარებდად მივბრუნებოდით მას? ყველაფერი თავიდან დავიწყოთ, ჩვენ ხომ მაშინ ის არ გამოგვივიდა, რაც ჩავთვიქრეთ?“<sup>29</sup>, ამიტომაც ამბობს მიხელ თუშმანიშვილი, რომ „ლირის“ დადგმის დროს რუსთაველის თეატრი მისი ხელმძღვანელობით დაკავებული იყო პოლემიკით, ახალი ფირმების ძიებით, ახალი ხელვის დამკვიდრებით, „სპექტაკლში ბევრი რამ სწორებ პოლემიკითაა განაპირობებული, მთავარშიც და დეტალებშიც ჩენოვის სულ უფრო ნათელია ასეთი გზის საშიშროებაც და შესაძლებლობაც. ახლა მე სპექტაკლში ბევრი რამ კომპრომისულად მეჩვენება. თუ კამათობ, ბოლომდე უნდა იკამათო, დათმობაზე არ უნდა წახვიდე და რაც მთავარია შედეგი უნდა იყოს ჭეშმარიტი ხელოვნების დონეზე“.<sup>30</sup> თეატრმცოდნე პაოლა ურუშაძე თავის ნაშრომში „მეფე ლირი ქართულ სცენაზე“ თუშმანიშვილის სპექტაკლზე წერს, რომ „მნელია მეორე ისეთი სპექტაკლის დასახულება ქართულ სცენაზე, რომლის თაობაზეც ასეთი ურთიერთსაწინააღმდეგო აზრი იყოს გამოთქმული. მთელი რიგი ღონისძიებების გამო, ეს სპექტაკლი იყო პირველი „ლირი“ ქართულ სცენაზე, რომელიც აქტიორული და რეჟისორული აზრის ერთიანობას გამოხატვადა“.<sup>31</sup> ლირის როლის შემსრულებლების სხვა წინამორბედებისგან განსხვავებით სერგო ზაქარიაძეს არ პქნია შემოქმედებითი კონფლიქტი რეჟისორთან, ის მიპყვებოდა რეჟისორის იდეას, უფრო მეტიც ამ შემთხვევაში მოხდა მათი აზრების თანხვდა. თუმცა განსხვავებული მოსაზრება აქვს თეატრმცოდნე დალი მუძღვამებს: „მეფე ლირის თემას თუშმანიშვილი კითხულობს ჩვენი დროისათვის აქტუალურ ასპექტში. ეს იყრძნიბა სპექტაკლში, მაგრამ რეჟისორი ვერ აღწევს სპექტაკლის იმ იდეური დატვირთვის შექმნას, რომელიც ერთი გმირის პრობლემის საკითხს დააშორებდა მის წარმოლენას. თვით მეფე ლირის ჩათვლით, დადგმაში არც ერთი სახე არ არის სისრულით გახსნილი“.<sup>32</sup> განსხვავებული მოსაზრება აქვს სხვა თეატრმცოდნებს. ასე მაგალითად, ე. პლუზეკი თავის სტატიაში სერგო ზაქარიაძეს უწიოდებს „თანამედროვე მსოფლიო სცენის ერთ-ერთ ძალზე საიტერესო ლირის შემსრულებელს“.<sup>33</sup> თეატრმცოდნე ა. სოლომონიკოვი წერდა: „ლირი შესრულებულია ზემეტად შერბილებულად, ლირიკულად, იერსახის მასშტაბები

შეგვიწროვდა, პიესის ტრაგიკული მონუმენტურობის ჟღვრადობაც“<sup>34</sup> თითქმის იმავე აზრს ავითარებს ქართველი თეატრმცოდნე შ. მაჭავარიანი. იგი მიიჩნევდა: „მსახიობი, მიხეილ თუშმანიშვილის ჩანაფიქრის შესაბამისად, იძლეოდა რამდენიმე ცალმხრივ გააზრებას. იგი თამაშობდა ლირის, როგორც მამის ტრაგედიას, დამარცხებულს შვილების ცბილებითა და უმაღლურობით. გვერდზე დარჩა ტრაგედიის სოციალურ-საზოგადოებრივი მხარეები, ლირი ჩამოგდებული იყო ტრაგიკულის კარცხლბეგიდან“<sup>35</sup> თეატრმცოდნე მანან გეგმებით თავის სადისერტაციო ნაშრომში მთლიანად უარყოფს სპექტაკლს და წერს: „სერგო ზაქარიაძის ლირი, ისე როგორც აკაკი ვასაძის, არ წარმოადგენს ამ შემოქმედთა მწვერვალებს. მათში არც ინტერპრეტაციის თვალსაზრისით იყო რაიმე ახალი და ორიგინალური, თორემ ყოველივე ეს აისახებოდა ამ სპექტაკლის კრიტიკოსთა შეფასებებში“<sup>36</sup> თეატრმცოდნის მხრიდან სპექტაკლის სრული უარყოფა რეცენზიების სიმწირის გამო, საკითხისადმი არასერიოზული და არაპროფესიული მიღომა. რეცენზიების სიმრავლეულე-სიმცირე როდი განსაზღვრავენ სპექტაკლის ადგილს თეატრის ისტორიაში. მით უმეტეს, დისერტაცია შესრულებულია მას შემდეგ, რაც სხვაგვარად გადაფასებულ იქნა ესა თუ ის თეატრალური მოვლენა, რომელმაც აჩვენა, რომ ბევრი რამ არ იყო ისე სპექტაკლში, როგორც ეს საბჭოთა თეატრმცოდნების ევროპა. თუშმანიშვილის „ლირმა“ უდიდესი როლი შეასრულა შემდგომი თაობის რეჟისორებისათვის შექსპირის ახლებურ ინტერპრეტაციებში. ამ ციტატებიდან კარგად ჩანს, თუ როგორი ბრძოლა გამოუკავებელი მიხეილ თუშმანიშვილს თეატრმცოდნებში. რა თქმა უნდა, ლირი „ჩამოგდებული იყო ტრაგიკულობის კარცხლბეგიდან,“ ოღონდ ეს გარეგნულად, ერთი შეხედვით. ლირის სასიათის გახსნას არატრადიციული ფორმით და სხვა მწირი გამოისახველობით საშუალებით კრიტიკა ვერ შეეგუა. თანაც სერგო ზაქარიაძის ლირი „არ იყო ბრიტანეთის დესპოტი მბრძანებელი, არამედ ის იყო საქართველოს პატრიარქალური მეფე“<sup>37</sup> თუშმანიშვილის ლირში დიდი მეტამორფოზები ხდებოდა, ოღონდ ეს გამოვლენილი იყო ფსიქოლოგიზმის ხარჯზე და არა ტრადიციული გმირულ-რომანტიკული, ჰეროიკული თეატრის პრინციპებით. ამ მოსაზრებას ამყარებს სერგო ზაქარიაძის ინტერვიუც, რომელიც მან უურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ იძღვონობდელ რედაქტორს ოთარ ეგაძეს მისცა, სადაც მსახიობი გარკვევით ამბობს თავისი ჩანაფიქრის შესახებ: „მე მინდოდა დამერლვია „მეფის ტრაგედიის“

გადმოცემის ტრადიციული ფორმა. საერთოდ, ლაპარაკი ტრაგიკულ პათოსზე, ამაღლებულობაზე, იმაზე, რომ შექსპირისთვის საჭიროა „ხმა, ხმა, ტექსტერამენტი: – ეს ლაპარაკი მე არ მიტაცებს. შესაძლოა, რომ ყველა ჩვენ ჯერ კიდევ გატაცებულნი ვართ პოლემიკით, ბრძოლით. ალბათ, როცა მე ხელს მოვყიდებ მარტო ხელოვნებას, უკეთესი იქნება (გულისხმობს მის დაგვებულობას კინოში და აღმინისტრაციულ საქმიანობას – ლ.ჩ.)“. მიხელი თუმანიშვილი კი მსახიობის ნათქვაშს დასძენს: „მევე ლირი“ რუსთაველის თეატრის ტრადიციებსადმი ერთგულებას კი არ აცხადებს, არამედ სურვილს შექსპირისაც მოეკიდო დღევანდელი პოზიციებით“.<sup>38</sup> ნათლად ჩანს მსახიობისა და რეჟისორის მიზანი. ტრაგედია რუსთაველის თეატრის სცენაზე რომ ახლებურად და თანამედროვედ აეღერდა, აღნიშნავდნენ ყველაზე რადიგალი კრიტიკოსებიც. სპექტაკლში არ იყო ტრაგიზმის არავითარი დემონსტრირება. „სერგო ზაქარიაძის ლირი არ იყო სასტიკი, აღვირაშვებული ტირანი. იგი უფრო ახირებული თვითმპყრობელი, საკუთარ ძალაუფლებაში უზომოდ დარწმუნებული მმართველი გახსლდათ და ამგვარ თვითმპაყოფილებაში გამოსჭვიოდა რაღაც მასხარასეული. ქალიშვილების „დაკითხვაც“ უფრო ფარსულ წარმოდგენას ჰყავდა, რომელიც გასართობად მოაწყო თინბაზობის ხასიათზე მისუღმა მევემ“.<sup>39</sup> ლირი-ზაქარიძე თამაშობდა და კორდელიას სიტყვებსაც – „მიყვარხარ იძღნად, რამდენადც ამას გული მიბრძანებს“ – თავიდნ საუბრად აღიქვამდა, შემდეგ უეცრად ჩრდილი გადაუბრენდა სახეზე – ეს ლაწირაკი გოგო არაჩვეულებრივად მომზადებულ წარმოდგენას უშლის, შემდეგ კი ჩაწვდებოდა კორდელიას სიტყვების ჰყებმარიტ არსს – ქალიშვილის აშგარა პროტესტს მისი ეგცენტრიზმის წინააღმდეგ და ამ მომენტიდან ლირი შმაგობდა.

თუმანიშვილის ამ პოლემიკურ სპექტაკლში მოუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ახლებურად იყო გააზრებული, მხატვრული სახეები არ იყო ბოლომდე დასრულებული და სპექტაკლში არ იგრძნობოდა ერთიანი ანსამბლი. რუსი კრიტიკოსი მარკოვი წერდა, მისი თვალსაზრისით სპექტაკლი დაქუცმაცებულია, ლირის სახეც მოკლებულია ერთიანობას და ასეთი აზრის საფუძვლად იგი იმას მიიჩნევს, რომ ზაქარიაძე, რომელიც „შემდგომ გვიჩვენებს ჰყებმარიტ გულისხმიერებას, სიღრმესა და ადამიანურობას, როლის თითქოსდა გვარი იწყებს, რადგანაც მას არ ახლავს ლირის თავმოყვარეობის, ლირის თავნებობის, მბრძანბლურობის შარავანდედი, თითქოსდა ამ სცენის დაწყებამდე მან უკვე განვლო, რომელიც მნიშვნელოვანი

ეტაპი იყო გაადამიანურების გზაზე“<sup>40</sup> თავად მსახიობი წერილში „ჩემი შექსპირული როლები“ წერდა: „შექსპირი საგანგებოდ ხლართავს, უკიდურესად ართულებს იმ გზას, რომელსაც ლირი გადის. სწორედ ამ გოლგოთას მიჰყავს იგი დაბაბულობამდე. ლირს გონების თვალი სწორედ მაშინ ეხილება, როცა მის გარშემო მყოფო იგი შეშლილად მიაჩნიათ. ამიტომაც არის, რომ ლირის ხასიათის ჩემებურ ინტერპეტაციაში ე.წ. „სიგიუს სცენებს“ განსაკუთრებით გადამწყვეტ მნიშვნელობას ვანიჭებ, ამ განსაცდელის წყლობით, ამ ტანკვის გავლით განწმენდილი ლირი, წმინდა, სუფთა სანთელივით მიღის წუთისოფლიდან“<sup>41</sup> მანამდე კი იყო მისი თაყვანისცემის და არა სიყვარულის პერიოდი, ის არ იმსახურებდა პატივისცემას საზოგადოებამი. სწორედ ამაზე მიუთიერებს მ. ლევილი: „ირგვლივ მყოფებოთ ურთიერთობისას ს. ზაქარიაძემ შექმნა ლირის წინაშე ქედის მოხრის ატმოსფერო, არა პატივისცემის, არამედ თაყვანისცემის ატმოსფერო. გამოირგვა, რომ თურმე უმიზუზოდ როდი ყვარებიათ იგი კეთილ ადამიანებს და სბულებიათ ბოროტთ...“<sup>42</sup> უსაზღვრო ძალაუფლების მოყვარულ და აღვირახსნილი პირობობით გამორჩეულ მეუეს საბოლოოდ გაყლვისა ჰყებმარიტად ადამიანური საწყისი, რამაც მაშინ იუეთქა, როცა ლირი უბედურებაში ჩავარდა და უბრალო ადამიანად გახდომის უფლება მოიპოვა. ზაქარიაძის ჩანაფიქრით ერთი ადამიანის ტრაგედია სახელმწიფო ტრაგედიად იქცა, ერთ-ერთ ინტერვიუში იგი წერს: „მე მინდოდა თავი დამეწრია თეატრის მიერ შექსპირის ჩვეული გაგებისაგან. მე მინდა ლირი მექცია დღევანდელი მაყურებლისათვის სავსებით მისაწვდომად, გასაგებად... მინდოდა შთამბერა მისოვის ადამიანური ტანკვა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ადამიანებს ერთმანეთის არ ესმით. მე ვთამაშობდი ადამიანის ტრაგედიას, რომელიც გადაიზარდა სახელმწიფოს ტრაგედიაში“<sup>43</sup> სახელმწიფოს ტრაგედიად აღიმებოდა სწორედ არა ერთი ეპიზოდი სპექტაკლიდან. მათ შორის, ლირის მიერ ქალიშვილების „გასამართლება“ და ჰყუაზე შეშლილის ყველა ეპიზოდი, „ქარიშხლის სცენა“, ლირის გამოვიძება და ცნობიერების დაბრუნება, ედმუნდის და ედგარის ორთაბრძოლა, ლირის შემოსვლა მკლავებზე გადმოსევებული კორდელიათი. ამ ზემოთ ჩამოთვლილ სცენებს თეატრმცოდნე ნ. გურაბანიძე „ნამდვილ შედევრებს“ უწოდებს. სპექტაკლის ფინალში ლირი მარტო და ეს მარტომაბა მის სიკვდილს უდრის. თუმცა იგი არ კვდება. სცენის სიღრმიდინ კორდელიათი ხელში მოდის ლირი, ყველანი თავდახრილები დგანან, ლირი

განადგურებულია ამ უკანასკნელი დარტყმით, მაგრამ უფრო დიდებულია შინაგანად, უფრო ძლიერი. საფინალო სცენის ასეთი გადაწყვეტა მოულოდნელი იყო რეჟისორისაგან. რადგან ქართულ სცენაზე მანამდე განხორციელებულ „ლირთაგან“ ლირი კვდილდა, თუ არ ჩავთვლით ახმეტელის განუხორციელებულ სცენტაკლს, ფინალის ასეთი გადაწყვეტა გახდება მომდევნო პერიოდის ინტერპრეტაციებშიც (სტრელერი, სტურუა), მაგრამ ფიზიკურად ცოცხალი ლირის მოტივაცია თუმნიშვილთან სულ სხვაგვარია. იგი ამაყია, გამარჯვებული და ბერიერი, რადგან ლირმა შეიცნო ჭეშმარიტება იგი განთავისუფლდა სიცრუისაგან და მიღის ცხოვრებიდან არა დაბებავებული, არამედ გამოცდილებით დაბრძნებული ადამიანი, რომელმაც იცის სიკეთის და ბოროტების ფასი.

კრიტიკოსები სცენტაკლიდან ლირის შემსრულებლის გარდა გამოარჩევდნენ ორ პერსონაჟს: მასხარას (გურამ საღარაძე) და ედმუნდს (რამაზ ჩხიკვაძე). კრიტიკოსთა ყურადღების არეალში მათი მოხვედრა განაპირობა არა მხოლოდ მსახიობთა შესრულებამ, არამედ რეჟისორის მიერ ამ მხატვრულ სახეთა განსაკუთრებულმა გააზრებამ.

რეჟისორმა მოახდინა ლირისა და მასხარას იდენტიფიკაცია. როცა სცენტაკლის დასაწყისში თუმანიშვილმა მასხარას ათქმევინა 66-ე სონეტი, ამით ხაზი გაუსვა მის მნიშვნელობას და როლს მთელს სცენტაკლში. ის აქსებს ლირს და არა გლოსტერი, როგორც ეს აღრინდელ დაღვებში. როცა ლირს უჭირს იგი მაშინვე მოიკითხავს მასხარას, რომელიც როგორც მორალური საყრდენი, ისე სჭირდება. მასხარა კი ყოველთვის პირში ახლის სიმართლეს. „მას თავისი მდგომარეობა აძლევს ამის უფლებას. მასხარას თავი ჩაჩში აქვს. ის ხომ სულელია. ლირი ამჩნევს, რომ მისი მასხარა ბრიყვი არაა, ლირს ტანჯვა აუხელს თვალებს ქეშენის დასანახად და არა მასხარა“.<sup>44</sup> ის მხოლოდ ეხმარება და ერთგვარი სტიმულატორია მისი. მასხარა მეფე ლირისგან მაშინ ქრება, როდესაც ედმუნდისა და კორდელისა ჯარებს შორის სროლა დაიწყო. „როდესაც სროლა იწყება, იქ მასხარებისთვის ადგილი არ არის“<sup>45</sup>, — წერს მ. თუმანიშვილი.

დიდი აზრთა სხვადასხვაობა იყო ედმუნდის მხატვრულ სახესთან დაკავშირებით, რომელიც წლების მანძილზე გრძელდებოდა. კრიტიკოსთა ერთი ნაწილი მკაფრად აკრიტიკებდა რამაზ ჩხიკვაძის ედმუნდს, ნაწილს კი იგი ს. ზაქარიაძის მიერ შექმნილი ლირის

მასშტაბის რანგში მოიაზრებდნენ. „რ. ჩხიკვაძის მიერ წარმოდგენილი ედმუნდი არ შეიძლება აქტიორულ გამარჯვებად ჩაითვალოს. მისი სახით ლირს არა ჰყავს ძლიერი მოწინააღმდეგე და მასში არ ჩანს ბოროტების ის მთავარი ბუდე, რითაც უპირისპირდება ლირს. მსახიობი მხილების ნაცვლად იცავს თავის გმირს. რამაზ ჩხიკვაძე შესანიშნავად ატარებს სცენებს დებთან, რომლის დროსაც ხაზს უსვამს მის მომხილელობასაც. განსაკუთრებით აღსანიშნავია უკანასკნელ მოქმედებაში, როცა გამოიდის როგორც ჯარის მეთაური და სიკვდილის სცენაში, მაგრამ იქ, სადაც საჭიროა გამოამზღავნოს ბოროტმოქმედის თვისებები, მსახიობს არ ჰყოფნის შინაგანი ძალა და დამაჯერებლობა, რომ სრულყოფილად წარმოაჩინოს სახე“.<sup>46</sup> მოუხედავად მისია, რომ თეატრმცოდნე დ. მუმლაძეც აკრიტიკებს რ. ჩხიკვაძის ედმუნდს და მას „სიუჟეტის შეუფერხებელი განხორციელების დანიშნულებას“ ანიჭებს მხოლოდ, თუმცა იმასაც აღნიშნავს, რომ „მსახიობი ცდას არ აკლებს როლს, ჩვენი დროის საქმიანი კაცის მარიფათით აღბეჭდილი ტიპი შექმნას“.<sup>47</sup> 6. გურაბანიძე კი რამაზ ჩხიკვაძის ედმუნდზე „ლირის“ პრემიერიდან 38 წლის შემდეგ დაწერს: „სახის გათანამედროვების თვალსაზრისით ედმუნდი როლის შემსრულებელი რამაზ ჩხიკვაძე ყველაზე შორს წავიდა. ეს იყო XX საუკუნის 60-იანი წლების ტიპური თავხედი, მომხიბლავი არამზადა, აგრესიული, მუდამ შეტევაზე გადასული, თმა შუბლზე ჰქონდა ჩამოვარცხნილი, ავად იმზირებოდა, წინა პლანზე დგომას ცდილობდა, ავანსცენაზე მოძრაობდა, რაღაც ხულიგანური, გამაღიზინებული იყო მის საქციელში, გამომწვევად უსტვენდა და არავინ არაფრად მიაჩნდა. ეს იყო ნაძღვილი „ბესტარდი“, აუტსადერი, რომელიც სულ წინ აღმდებოდა, არ დაინდობდა, სასიკვდილოდაც კი გაწირავდა. ასეთი თავხედები ქალთა გულისმყრობელებიც არიან, ამიტომაც, ადვილად ხიბლავდა ლირის ქალიშვილებს, რეგინას და გონერილას, რომელთა მონუსტებას იგი საერთოდ არ ცდილობდა, უბრალოდ აჯადოებდა, იპყრობდა, იმონებდა თავისი შეუკავებელი ძალით“.<sup>48</sup> სცენტაკლში ფერმკრთალი და არასრული იყო სხვა პერსონაჟები, რაც სცენტაკლის ერთიან მსახიობურ ანსამბლს არღვევდა. გლოსტერი მ. თუმანიშვილის ინტერპრეტაციაში უსუსურ, უნიათო, მაგრამ კეთილი გულის ქვემევრდომად იქცა. სუსტი იყო რეგანასა და გონერილას ხაზი, რაც ზედაპირულს ხდიდა ბოროტისა და კეთილის დაპირისპირების ჩვენებას.

„ლირის“ პრემიერა შედგა, მაგრამ სპექტაკლმა დიდხანს ვერ გაუძლო სცენას, რის გამოც იგი მაღლევე მოიხსნა რეპერტუარიდან. საარქივო მასალებისა და რეცენზიების გაცნობამ ცხადყო, რომ სპექტაკლს აკლდა მუშაობა და იგი შექსპირისთვის უჩვეულოდ მოკლე დროში დაიდგა. დაუკმაყოფებლობის გრძნობა გაუჩნდა რეჟისორსაც და მთავარი როლის შემსრულებელსაც. უცმაყოფილო დარჩა თავისი ნამუშევრით სერგო ზაქარიაძე: „ლირთან შეხვედრა ჩემი არტისტული ცხოვრების ერთ-ერთი ყველაზე ნათელი, დიდი სულიერი საზღვროს მომცემი მომენტი იყო, მაგრამ ამავე დროს მივხვდი, რომ ეს მანც საღდაც ქერქი იყო, ზედა უენა, რომლის შედეგადაც იწყება ის უძირო სიღრმე, რომლის წვდომისათვისაც შესაძლოა ერთი ხელოვანის სიცოცხლე საქმარისი არ აღმოჩნდეს“.<sup>49</sup> თუმანიშვილის თქმით „პოლემიკა ბოლომდე უნდა გაგრძელებულიყო და ის არავითარ კომპრომისზე არ უნდა წასულიყო.“ როგორც თვითონ რეჟისორმა განაცხადა „ლირში“ ბევრი რამ მთავარშიც და დეტალებშიც – განპირობებული იყო ტრადიციულ გაეგებასთან პოლემიკით და ამგვარი გზა გარკვეულ საფრთხეს უქმნდა სპექტაკლს, თავისებური სქემატურობისა და ტენდენციურობისაკენ უბიძებდა მას.“<sup>50</sup> მოუხედავად ამისა, თუ „ზახულის ღამის სიზმარი“ გაებროლა კლასიკური კომედიის დაკანონებულ რეფორმებს, „მეფე ლირმა“ იდეალიზაციისა და პათეტიკის გვირვენი ჩამოხსნა შექსპირის ტრაგედიების სცენურ განხორციელებას რუსთაველის თეატრში. ამის შემდეგ იკვეთება სწორედ ის თანამედროვე ტენდენცია, რომელმაც განვითარება პოვა ჯერ თუმანიშვილისავე „ოულოუს კეისარში“, ხოლო შემდეგ რობერტ სტურუას „რიჩარდ III“ და „მეფე ლირში“.

ამრიგად, თუმანიშვილის პოლემიკა თეატრალურ საზოგადოებასთან მარცხით დასრულდა, თუმცა ეს როდი იყო დამარცხება პირდაპირი გაგბით. თუმანიშვილის სპექტაკლმა დასაბამი მისცა ქართულ საცეკვო შექსპირიანაში ძირებულ ცვლილებებს, მან დაარღვია არაერთი სტერეოტიპი დაკავშირებული შექსპირის ინტერპრეტაციის საკითხებთან. საბჭოთა თეატრში ტრადიციებიდან გადასვევა დად რისკს და ბრძოლას მოითხოვდა. თუმანიშვილმა ეს ბრძოლა გააგრძელა, ოღონდ თანამედროვე დრამატურგის გამოყენებით. იგი წარმატებით დგამს „ლირის“ პრემიერიდან ორი წლისთავზე უანურის „ანტიგონეს“.

თუმანიშვილის სპექტაკლში „მეფე ლირი“ ბევრი რამ იყო ისეთი, რომლებიც შემდგომი თაობის რეჟისორებმა გამოიყენეს

შექსპირის იმავე ტრაგედიის განხორციელებისას. ამიტომაც, ამ სპექტაკლს მისი წარუმატებლობის მიუხედავად, დიდი როლი ეკისრება არა მხოლოდ ქართულ სასცენო შექსპირიანაში, არამედ ქართული თეატრის ისტორიაშიც.

1. ა. ჭავჭანიძე, რეჟისორული ძიებები რუსთაველის თეატრში XX საუკუნის 70-იან წლებში (სადი პლომო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1986. გვ.45.
2. ღ. ხეთაგური, ექსპერიმენტიდან ბაროკომდე ქართულ თეატრში, უწოდანი „თეატრი და ცხოვრება“, №1-2, 1996. გვ.57.
3. ნ. ურუშაძე, მიხეილ თუმანიშვილი (მთავარი მოწმის ნაამბობი), თბ., 1999. გვ. 59.
4. ა. ჭავჭანიძე, რეჟისორული ძიებები რუსთაველის თეატრში XX საუკუნის 70-იან წლებში (სადი პლომო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1986. გვ. 45.
5. გაზია, „ლიტერატურული საქართველო“, 1964, 12 ივნისი.
6. ა. ჭავჭანიძე, რეჟისორული ძიებები რუსთაველის თეატრში XX საუკუნის 70-იან წლებში (სადი პლომო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1986. გვ. 45.
7. ნ. გურაბანიძე, ფანტასტიკური რამაზ ჩხილვაძე, თბ., 2004. გვ. 75.
8. ნ. ურუშაძე, მიხეილ თუმანიშვილი (მთავარი მოწმის ნაამბობი), თბ., 1999. გვ. 66.
9. Журнал “Театр”, №8, 1966. გვ. 23.
10. მ. თუმანიშვილი, რეჟისორი თეატრიდან წავიდა, თბ., 1989. გვ. 249.
11. ღ. მუმლაძე, თანამედროვე ქართული რეჟისეურა, თბ., 1973. გვ. 146.
12. კ. ლომთაძე, რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი (სადი პლომო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1969. 23

13. იქვე: გვ.24
14. ბ. გურაბანიძე, ფანტასტიკური რამაზ ჩხილვაძე, თბ., 2004. გვ. 73.
15. მ. თუმანიშვილი, სანამ რეპეტიცია დაიწყება, თბ., 2008. გვ. 148-149.
16. ე. შვანია, „მეფე ლირი“ რუსთაველის თეატრში (სადიპლომო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1998. გვ.12.
17. მ. თუმანიშვილი, სანამ რეპეტიცია დაიწყება, თბ., 2008. გვ. 150.
18. იქვე: გვ. 151.
19. იქვე: გვ. 152.
20. იქვე: გვ. 199.
21. ა. ჭავჭავანიძე, რეჟისორული ძიებები რუსთაველის თეატრში XX საუკუნის 70-იან წლებში (სადიპლომო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1986. გვ. 51.
22. ჯ. ლომთაძე, რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი (სადიპლომო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1969. გვ. 24.
23. ღ. მუმლაძე, თანამედროვე ქართული რეჟისურა, თბ., 1973. გვ. 150.
24. ჯ. ლომთაძე, რეჟისორი მიხეილ თუმანიშვილი (სადიპლომო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1969. გვ. 24.
25. იქვე;
26. ნ. ურუშაძე, მიხეილ თუმანიშვილი (მთავარი მოწმის ნამბობი), თბ., 1999. გვ. 67.
27. მ. ლევილი, სერგო ზაქარიაძე, თბ., 1975. გვ. 386-387.
28. ე. შვანია, „მეფე ლირი“ რუსთაველის თეატრში (სადიპლომო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1998. გვ. 15.
29. ო. ეგაძე, თეატრში და თეატრს მიღმა, თბ., 1969. გვ. 284.
30. ნ. ურუშაძე, მიხეილ თუმანიშვილი (მთავარი მოწმის ნამბობი), თბ., 1999. გვ. 67.
31. ღ. მუმლაძე, თანამედროვე ქართული რეჟისურა, თბ., 1973. გვ. 60.
32. იქვე: გვ. 150.
33. იხ.: ე. პუჩეკი, ტალანტების სიმდიდრე, „პრავდა“, 20. 12, 1966.
34. ო. ეგაძე, თეატრში და თეატრს მიღმა, თბ., 1969. გვ. 377.
35. შ. მაჭავარიანი, ქართული თეატრი, წიგნში „საჭიროა დრამატული თეატრის ისტორია“, ტ. 6., თბ., 1971. გვ. 258.
36. მ. გეგეჭკორი, ინტერპრეტაციის პრობლემა XX საუკუნის 60-70-იანი წლების ქართულ სამსახიობო ხელოვნებაში (სადისერტაციო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1993. გვ. 61.

37. მ. ლევილი, სერგო ზაქარიაძე, თბ., 1975. გვ. 385.
38. ო. ეგაძე, თეატრში და თეატრს მიღმა, თბ., 1969. გვ. 378.
39. И. Мухранели, Чувствоа и мысл, М. 1966. გვ. 51.
40. მ. ლევილი, სერგო ზაქარიაძე, თბ., 1975. გვ. 398.
41. ს. ზაქარიაძე, ჩემი შექსპირული როლები, წიგნში „ქართული შექსპირიანა“, ტ. 3, თბ., 1973. გვ. 220.
42. მ. ლევილი, სერგო ზაქარიაძე, თბ., 1975. გვ. 388.
43. Журнал “Огонек”, №25, 1966. გვ. 20.
44. ღ. მუმლაძე, თანამედროვე ქართული რეჟისურა, თბ., 1973. გვ. 151.
45. მ. თუმანიშვილი, ფიქრობს, წიგნი I, თბ., 2004. გვ. 91.
46. ნ. ქიქოძე, რამაზ ჩხილვაძე (სადიპლომო შრომა, დაცულია თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის საცავში), თბ., 1966. გვ. 48.
47. ღ. მუმლაძე, თანამედროვე ქართული რეჟისურა, თბ., 1973. გვ. 152.
48. ნ. გურაბანიძე, ფანტასტიკური რამაზ ჩხილვაძე, თბ., 2004. გვ. 76.
49. ს. ზაქარიაძე, ჩემი შექსპირული როლები, წიგნში „ქართული შექსპირიანა“, ტ. 3, თბ., 1973. გვ. 220.
50. ნ. ურუშაძე, მიხეილ თუმანიშვილი (მთავარი მოწმის ნამბობი), თბ., 1999. გვ. 67.

თამარ ცაგარელი  
დოქტორანტურის I კურსი  
ხელმძღვანელი - პროფ. ლევან ხეთაგური

## შუა საუკუნეების ეპორაული და ქართული საეპლესიო სახილგვლი (სათეატრო ანთროპოლოგიის მეთოდით)

ცნობილია, რომ ადამიანს – ძველბერძნულად „ანთროპოს“ – მრავალი მეცნიერება სწავლობს. თავისთავად ანთროპოლოგია (ბერძ. ანტროპოს – ადამიანი, ლოგოს – მოძღვრება) არის მეცნიერება ადამიანის წარმომბისა და ევოლუციის, ადამიანთა რასების შესახებ. იკვლევს ადამიანის ფიზიკური ტიპის ვარიაციებს დროსა და სივრცეში, ადამიანისა და მისი რასების წარმოშობის, ჩამოყალიბების და შემდგომში განვითარების შესწავლის მიზნით. ანთროპოლოგია, როგორც დამოუკიდებელი მეცნიერება ჩამოყალიბდა XIX საუკუნის შუა პერიოდში. მისი დამოუკიდებელი დარგებია: ადამიანის მორფოლოგია, სწავლება ანთროპოგენეზის შესახებ, რასათმცოდნეობა. ადამიანის გარშემო „ტრიალგბენ“ ისეთი მეცნიერებები, როგორიცაა ფიქლოლოგია, ისტორია, ენათმეცნიერება, სოციოლოგია, პოლიტოლოგია. დამოუკიდებელ დარგებად არსებობს სამეცნიერო ანთროპოლოგია, სოციოლოგიური ანთროპოლოგია, ეთნოლოგიური ანთროპოლოგია, ფილოსოფიური ანთროპოლოგია, რომელიც შეისწავლის ადამიანის რაობას. იგი ახასიათებს ადამიანის ყოფიერების თავისებურებას. იკვლევს მის მიმართებას ღმტრთთან, ისტორიასთან, ბუნებასთან, სხვა ადამიანთან. ფილოსოფიური ანთროპოლოგია არის მოძღვრება ადამიანის რაობის შესახებ. ადამიანის რაობა ესაა უნიკალური უნარი, უნარი შემოქმედებისა, უნარი კულტურის შექმნისა და უნარი ყველაზე მთავარისა – ცხოვრების შექმნისა. ადამიანი საკუთარ თავს აცნობიერებდა, როგორც შექმნილს და როგორც შემოქმედს კულტურული ღირებულებისა. XX საუკუნის II ნახევრიდან ვითარდება კომპლექსი დისციპლინებისა, რომელთაც აერთიანებენ საერთო სათაურით „ადამიანის ბიოლოგია“. იგი შეისწავლის ფიზიოლოგიურ, ბიოქიმიურ და გენეტიკურ ფაქტორებს, რომელიც ზეგავლენას ახდენს ადამიანის ორგანიზმისა და სხეულის აგებულების ვარიაციებსა და განვითარებაზე. ამავე დროს ეს პრიონი ბევრი ახალი სამეცნიერო დისციპლინების ჩამოყალიბებით აღინიშნა. ფილოსოფიაში ასეთი

ახალი დისციპლინებია: „ფილოსოფიური ანთროპოლოგია“, „აქტიოლოგია“, „კულტუროლოგია“, „განათლების ფილოსოფია“ და სხვა.

ფილოსოფიური დისციპლინების ჩამოყალიბების პარალელურად ფალიბდება ახალი, კერძო, სპეციალური მეცნიერებები. ერთ-ერთი ასეთი სპეციალური მეცნიერება „თეატრალური ანთროპოლოგია“, რომლის შემქმნელია ოდინის თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებელი უჯვენიობარბა.

თეატრალურმა ანთროპოლოგიამ უნდა განიხილოს თეატრის ისტორია და განვითარება, ადამიანის ადგილის გათვალისწინებით სამყაროში. აღიარებს რა გონის, რომელიც მართავს სხეულს, სპეციფიკურ ადამიანურ ფენომენად, თეატრალურმა ანთროპოლოგიამ ადამიანი, ამ შემთხვევაში უნდა შეისწავლოს, როგორც თეატრის შემქმნელი, როგორც ადამიანის ფორმირების სპეციფიკური გარემო. „სცენური არსებობა, ადამიანის ყოველდღიურ ქცევასთან შედარებით ენერგიის სწრაფი ხარჯვით, მისი მაქსიმალური გამოყენებით ხასიათდება. ამიტომაა, თეატრალური ანთროპოლოგია სწავლობს თეატრის „ბიოლოგიურ“ დონეს, რომელსაც ეფუძნება განსხვავებული სამსახიობო სკოლები თუ მსახიობის „ბიო“.

ფილოსოფიურ, ისტორიულ და კულტურულ ანთროპოლოგიაზე დაყრდნობით თეატრალურმა ანთროპოლოგიამ უნდა ჩჩვნოს, რომ სხეული კვლევის ერთ-ერთ უმთავრეს მიზანი წარმოადგენს. მას შეისწავლიან არა როგორც გარევეული ეთნოკულტურის წარმომადგენელს, არამედ, როგორც მსახიობის ჟესტს, მიმიკას, სადაც უნდა გავითვალისწინოთ აგრეთვე ნიღაბიც, რომელიც შესაძლებელია წარმოდგენილი იყოს სხვადასხვა მასალისაგან: ხისგან, თიხისგან, სხვადასხვა ფერის გრიმით (ხშირ შემთხვევაში ნიღაბი სხეულის „გარემოებაზე“ გამოვლინება. მეტყველები წერდა: „ნიღაბი, ჟესტი და მოძრაობა, განუყოფელი ნაწილია და დაკავშირებულია ბალაგონთან, სანახაობასთან, სადაც სხეულის დინამიკა რეგულირდება ნიღაბის ტრადიციასთან“),<sup>1</sup> ზოგადად პლასტიკის თავისებურებათა გამომხატველობა, აგრეთვე შეისწავლიან, როგორც უნივერსალურ ტრანსკულტურულ მოცულობას, რომელიც ერთნაირია კულტურათა ინვარიანტულ სისტემაში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვადასხვა და ზოგჯერ პარალელურ კულტურაში, მსგავსი ვითარებანი ყოველთვის ურთიერთზეგავლენის შედეგი არ არის, რომ შევადაროთ დასავლეთისა და აღმოსავლეთის კულტურა, საგულისხმო პარალელებს აღმოვაჩინო.

თეატრის ანთროპოლოგია თევალისწინებს ადამიანის საქციელის შესწავლას მაშინ, როდესაც წარმოდგენისას იგი იყენებს საკუთარ ფიზიკურ და გონებრივ რესურსს და იქცევა ყოველდღიური ცხოვრებიდან განსხვავებული პრინციპების შესაბამისად, რასაც თეატრალურ სამყაროში სამსახიობო ტექნიკას უწოდებენ, „მსახიობი, ხომ ესაა ადამიანი, მომუშავე საკუთარი სხეულით“.<sup>2</sup>

თეატრის ანთროპოლოგია ეს არის ადამიანის სოციო-კულტურული და ფიზიოლოგიური ქცევის შესწავლა შესრულების დროს. სხვადასხვა ადგილის, დროისა და ტრადიციისათვის დამახასიათებელი სტილისტური ფორმების მიუხედავად, სხვადასხვა შემსრულებელს გააჩნია საერთო პრინციპები. თეატრის ანთროპოლოგიას პირველი ამოცანა თვალი მიადგენს ამ პერიოდულ პრინციპებს. ისინი არ ადასტურებენ „თეატრის მეცნიერების“ არსებობას და არც რამდენიმე უნივერსალურ კანონს. ისინი მხოლოდ რამდენიმე კარგ „რჩევას“ წარმოადგენენ, სცენური პრაქტიკისათვის საჭირო ინფორმაციას. როდესაც რამდენიმე „კარგ რჩევაზეა“ საუბარი, იქმნება ილუზია, რომ საქმე ეხება რამებს, რაც ნაკლებად დირებულია ტერმინ „თეატრის ანთროპოლოგიასთან“ შედარებით. მაგრამ შესწავლის რიგი სფეროები – მაგალითად რიტორიკა და მორალი ანდა თუნდაც ქცევის შესწავლა ასევე წარმოადგენს რამდენიმე „კარგი რჩევის“ მაგალითს.

სხვადასხვა ადგილის, დროის და ტრადიციის მიუხედავად, სხვადასხვა შემსრულებელს გააჩნია საერთო პრინციპი – რიტუალი, რომელიც ყველა ერის ისტორიის საფუძველშივე ძევს. რიტუალური ფორმები, ხომ უძველესი ხელოვნების წინარე სახეა. რიტუალი კი, როგორც ცნობილია, პირდაპირ უკავშირდება თეატრს, სათეატრო ხელოვნებას. რიტუალის შექმნის მექანიზმი ხომ „მიმეზის“, „მიბატყაა“. არისტოტელე იზარებდა სამართლიან შეხედულებას, რომ თამაში და მისწაულება მიბატყისენ სულის ყველაზე უფრო ადრინდელი და ელემენტარულ აღზებას მიეკუთვნება. განვითარების ისტორიით, ის უფრო ხნიერია, ვიდრე რელიგია. მიბატყა თამაშით, რომელმაც შექმნა რიტუალი, საიდანაც წარმოშვა სათეატრო ხელოვნებები, რამაც ჩვენამდე მოაღწია ფრესკის ან კედლის მხატვრობის სახით, ქვაზე გამოხატულმა თუ გამოქანდაკებულმა, სადაც ადამიანის ქესტიკულაცია და მოძრაობა დაფიქსირებული, რომლის საწყისი ადამიანის სხეულია.

ჰელმუტ პლესნერი ნაშრომში „ანთროპოლოგია და ქცევის თეორია“<sup>3</sup> განიხილავს ადამიანში არსებულ ორ სხეულს, სხეულს ბუნებრივს, რომელსაც ყოველწამიერ ვხვდებით და ვხედავთ ყოფაში და სხეულს განკუთვნილს ხელოვნებისათვის, აულტურისათვის, რომელსაც იგი ესთეტიკურად ორგანიზებულს უწოდებს და რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მსახიობისა და მოცეკვავის პრივილეგიად რჩება. ამგარად, როგორც უკვე აღვინიშნე, რიტუალი თამაშის საწყის ელემენტებს შეცავდა და აქედან გამომდინარე მჭიდროდ უკავშირდება თეატრალურ ხელოვნებას, რომლის დამარტინითაც ადამიანი თავისი სხეულის ბატონი ხდება. უესტიკულაციისა და ქმედების/მოძრაობის ხელოვნების წყალობით ადამიანი სხვა პერსონის, გმირისა თუ პერსონაჟის შემქმნელი ხდება. სხეულის ფლობა, „მაგიური სახის“ შექმნა პრე-ისტორიული წყაროებიდან უკვე მოგვეპოვება, რომელიც ჩვენამდე შემონახულია ძირითადად, როგორც არქეოლოგიური ნიმუშების სახით, მაგრამ არსებული ისტორიული (ანთროპოლოგიური) წყაროების კვლევის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია შევისწავლოთ და ქრონოლოგიური სახით დავალაგოთ ის საწყისი და განვითარება, რომელსაც თეატრალური ანთროპოლოგია ეწოდება.

„თეატრალური ანთროპოლოგია ეძებს საჭირო მიმართულებებს უნივერსალური პრინციპების ნაცვლად, – წერს ბარბა, – მას არ გააჩნია მეცნიერებისათვის დამახასიათებელი ზომიერება. მას გააჩნია ამბიცია აღმოაჩინოს ცოდნა, რომელიც შესაძლებელია გამოადგეს შემსრულებელს თავის საქმიანობაში. მისი მიზანი არ ის ფორმულების დადგენა, იგი უფრო ქცევის კანონებს შეისწავლის, რასაც შედეგად მოაქვს სცენური პრაქტიკისათვის საჭირო ინფორმაცია“<sup>4</sup>. აქედან გამომდინარე პრეისტორიული მაგალითებიდან მოყოლებული დღევანდელი დღის ჩათვლით მოპოვებული და გაშიფრული საშემსრულებლო ხელოვნება უფრო ფართო დაბაზონით გვაძლევს შანსს, შევინარჩუნოთ და განვითაროთ სათეატრო ხელოვნების ესა თუ ის ელემენტები, ტრადიციები, მოვახდინოთ შერწყმა ჩვენი და სხვა ერების კულტურული ადათ-წესებისა, ხელოვნების ნიმუშებისა.

ადამიანის არსების პრობლემის გამოკვლევას ჩვენ ვპოულობთ ქრისტიანულ ფილოსოფიაში, რომელიც შეა საუცნელებმი ჩამოყალიბდა და დღესაც ფართოდა გავრცელებული.

წმინდა წიგნების – ძველი და ახალი აღთქმის – თანახმად, სამყარო – ბუნება, მცენარეულობა, ცხოველები, ადამიანი – ღმერთის

მიერაა შექმნილი. ხოლო, ადამიანის ცოდვებისაგან გათავისუფლება იესო ქრისტეს დაკასრა უფალმა, ამიტომაც წარმოგზავნა თავისი ძე – ქრისტე – კაცობრიობის გადასარჩენად, ადამიანთა ცოდვებისაგან დასახსნელად. ქრისტეს ადამიანად ქცევით ყოველგვარი ადამიანური მისოვგა ახლობელი გახდა. მისი ზვედრი გახდა ადამიანის ცხოვრება თავისი ტანჯვითა და სიკვდილით. აქედან გამომდინარე ღმერთი პიროვნებაა და სამყაროს წარმოშობა ღმერთის, როგორც პიროვნების, თავისუფალი აქტია – შემოქმედებაა, კრეაციაა. თავის მხრივ ამიტომაც მისცა ადამიანმა თავის თავს უფლება არა მარტო დაეწერა მის უზნაესზე, არამედ გამოესახა იგი ხელოვნებაში.

ბიბლიის მიხედვით ადამიანის ადგილი არსებულთა შორის სრულიად გარკვეულია. პირველი ადამიანი არ არის ღმერთის ტოლი, მაგრამ ყველა ხორციელ ქმნილზე მაღლა დგას, ხორციელისა და ღვთაებრივის, მიწიერისა და სულიერის, გრძნობადისა და ზეგრძნობადის ნაზავია. ამიტომ ბატონობს ის ნივთებზე, მცუნარებსა და ცხოველებზე; ამიტომ აქვს მას გონება, აზროვნება, ღირსება, რაც მთავარია თავისუფალი ნება. აკრძალვის ნება ღოგიერად ითხოვს თავისუფალი ნების ცნებას. ამიტომაც, ადამიანის პრობლემას ქრისტიანობაში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმო. შეა საუკუნებში გაჩნდა სკოლები, რომელიც განსაკუთრებულ ადგილს უთმობდნენ ღმერთისა და ადამიანის ურთიერთობის პრობლემას. ასეთი იყო პატრისტიკა და სქელასტიკა. XI-XII საუკუნების ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი იოანე პეტრიცი თარგმნის IV-V საუკუნების გამოჩენილი ფილოსოფოსის ნემესიოს ემესელის შრომას „ბუნებისათვის კაცისა“. ამ შრომაში პლატონისა და არისტოტელეს საფუძვლებზე განხილულია ადამიანის რაობა.

ქრისტიანულმა რელიგიამ მოგვიანებით მიიღო და გამოიყენა კიდეც ტელ ბერძნთა ფილოსოფოური წარმოდგნები. ქრისტიანობაში იმქვენიური წარმოდგენა სულთა სამყოფელზე სამოთხედ და ჯოჯოხეთად დასახა. სამოთხე განურჩევლად ყველა ადამიანისა წარმოუდგენელი ნეტარებაა, რასაც მხოლოდ ნეტარი სულები მიაღწევს. ბიბლიურ ედემს, ახალ აღთქმისეულ ახალ იურუსალიმს, ანგელოსთაგან დასახლებულ იერარქიებს – ჩვენი რელიგიური წარმოსახვისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, სული ითვლება ღვთაებრივ საწყისად, რომელიც ადამიანს ღმერთთან ანათესავებს, გამოვლინდება, თავისუფლებასა და უკვდავებაში.

შეა საუკუნეების სანახაობითი კულტურის მნიშვნელოვნი ნაკადი აღმოჩნდა საეკლესიო სახილველი. თავად რიტუალი ხომ, რელიგიით ან ტრადიციით დაწესებული მოქმედებაა და რაკი რელიგიასთან მართლაც მჭიდრო კავშირშია, ხშირად მხოლოდ ვიწრო წრისათვის იყო მისაწვდომი მისი ნამდვილი არსი. იგულისხმება ვიწრო წრე განსწავლული და განდობილი ადამიანებისა, ხოლო გარეგანი მხარე საყოველთაოდ იყო გამოტანილი და სახალხოდ სამზერი.

წინამდგრად ნაშრომი სწორედ ამ სახეობას მიმოიხილავს და წარმოაჩენს თეატრალურ სანახაობას სამსახიობო თეატრალური ანთროპოლოგიის შესწავლის მეთოდით.

„საკრალური“ თეატრალური სანახაობა, როგორც ცნობილია, ლიტურგიულ დრამას უფერებოდა, რომელიც თავის მხრივ სათავეს წარმოადგენდა ისეთი ჟანრებისა, როგორიცაა: ნახვრად ლიტურგიული დრამა, მირაკლი, მისტერია, მორალიტე და ფარსი.

საეკლესიო სანახაობაში შეინიშნებოდა სპექტაკლისათვის დამახასათებელი ნიშნებიც: დაილოგი, ანტიფონიური გალობა, მოთამაშეთა რეპლიკები და ბუტაფორია. სადაც აგრეთვე იყო სცენარი, გადაცმა, შემსრულებელი და მაყურებელი – მრევლი. როგორც ცნობილია, ლიტურგიული დრამა ორი ციკლისაგან შედგებოდა: შობისა და აღდგომის ციკლი.

ჩვენამდე მოღწეული ლიტურგიული დრამის ელემენტები შესაძლებელია თეატრალური ანთროპოლოგიის კვლევის ნიმუშად მივიჩნიოთ, სადაც მოცემულია საეკლესიო სტილის მკაცრი კანონიკური მოთხოვნების დაცვა, პარალელების გაკეთება ჩვეულებრივი ცხოვრების ასახვასთან.

ამჟამად, განვიხილავ ევროპული ლიტურგიული დრამის ორ ძეგლს: „სამი მარიას დატირება“<sup>5</sup> და „გონიერი და უგუნური ქალწულება“<sup>6</sup>. ორივე დრამა დათარიღდებულია X-XI საუკუნეებით. პირველი დრამა მიეკუთვნება ვინჩესტერის ეპისკოპოს ეტევალდის, ხოლო მეორე დრამა კი წმინდა მარციალას სამმოს. რელიგიის ისტორიიდან ცნობილია, რომ ეკლესის პირველი მოსახლენი არიან მოციქულები, რომლებმაც ჩამოაყალიბეს ქრისტეს დობილთა და მმობილთა საზოგადოება მაცხოვრის კურთხევის საფუძველზე: „მოიმოწაფენით ყოველნი წარმართნი...“, ხოლო მოციქულთა მემკვიდრენი არიან ეპისკოპოსები: „როგორც ღმერთი თავსაკიდური ზეციური ეკლესისა, მზე ქვეყნიერებისა, ასევე ეპისკოპოსი საკუთარი მრევლისათვის. მან უნდა გაასხივოსნოს და გაათბოს სამწესო,

გარდაქმნას იგი ტაძრად დვოთისა“.<sup>1</sup> ამგარად, ეპისკოპოსების, როგორც მოციქულთა მემკვიდრების მეშვეობით ეკლესია წუთისოფელში აგრძელებს და აღრმავებს ქრისტეს მოძღვრებას, ამტკიცებს რელიგიის ბატონობას. თავისი მისის შესრულება მდვდელობისაზურება ბიბლიის გაცნობით და მისი სიუკეტის გაცოცხლებით დაიწყო.

სანამ მიმოვისილავ ზემოთ ხსენებულ ორ ძეგლს, გავისხენოთ, აღვიდგინოთ ის გარემო, სადაც იმართებოდა ამგვარი წარმოდგენები.

როგორც ცნობილია, შეუასუკუნებში განვთარდა არქიტექტურის სტილი – გოთიკა, რომელიც ქალაქების ხუროთმოძღვრების დომინანტური ფორმა იყო.

„გოთიკური ხელოვნება (გოტიცო – იტალიურად, წარმოშობილა გერმანული ტომების გუთების სახელწოდებიდან), პირობითი სახელწოდება სტილისა, რომელიც ევროპულ ხუროთმოძღვრებისა და სახვით ხელოვნებაში ბატონობდა XV-XVI საუკუნეებამდე. გოთიკში გარკვეული ნაკადის სახით თავი იჩინა მხატვრულმა კულტურამ. ქანდაკებისა და მხატვრობის ცალკეულ თემებსა და ელემენტებში თავისებური ინტერპრეტაციით არის ასახული რეალური სამყარო. მაგრამ, გადაწმუნები მნიშვნელობა მათც ეკლესიას ჰქონდა. სწორედ საეკლესიო შენობაში გამოვლინდა ამ მიძინარეობის სტილის ნიშნები. მათი მდიდარი სკულპტურული მორთულობის თემატიკა ძირითადად საღვთო წერილების სიუკეტები და სხვადასხვა სარწმუნოებრივი ალეგორიებია. მოქმედი პირებიც უმეტესად საღვთო წერილის პერსონაჟები და წმინდანები არიან.“

ზოგი გოთიკური ტაძრი ათათასამდე მლოცველს იტევდა. ამგარად, ჭეშმარიტებას მოკლებული არ უნდა იყოს, თუ აღვნიშნავთ, რომ სააღდგომო და საშობაო სანახაობას საკმარი მრავალრიცხოვანი მაყურებელი ჰყავდა და სასულიერო წოდების წარმომადგენერლთა პროპაგნდა ფართო მსებზე კრცხლდებოდა. სანახაობა, შესაძლებელია დღის პირველ ნახევარში გამართულიყო, რადგანაც ამ პერიოდში არ არსებობდა ტექნიკური განათების საშუალება. ამასთანავე, როგორც ცნობილია, სინათლე და სიბნელე უძველესი რელიგიური სიმბოლოება, რომლის დროს სინათლე მარადიულ ცხოვრებას, ხოლო სიბნელე უბედურებას გამოსახავს. შეუასუკუნებში, თომას ფონ აქვინო სინათლეს განიხილავდა, როგორც გონის მეტაფორას და „მოქმედ გონებას“ და ამიტომაც სასულიერო წარმომადგენლები ეცდებოდნენ დღისით, მზის შექმნების განვითარებინათ წარმოდგენა, მითუმეტეს, რომ სანახაობა იყო ერთგვარი პრედუდა, რომელიც ამზადებდა მრევლს

წირვისათვის. სწორედ მისი დამთავრების შემდეგ იმართებოდა წირვალოცვა, რაც განსაზღვრულ დროს მოიცავდა. ყოველივე ეს ქმნიდა ემოციურ სურათს, საერალურ მოვლენად აღიქმებოდა. ამგვარ ატმოსფეროში მიმდინარეობდა საშობაო თუ სააღდგომო ციკლის ჩვენება. თავად ლიტურგიული დრამის შექმნილის ნიშანა დამკვიდროს და განვრცოს ეკლესიის ბატონობა საზოგადოებაში სათეატრო სანახაობით. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ბიბლიური სიუჟეტიდან აღებულია უმნიშვნელოვანები საეკლესიო მოვლენა – აღდგომა, რომელიც, სხვათა შორის, როგორც კათოლიკურ, ასევე მართმადიდებელ ეკლესიაში ყოველთვის თეატრალიზებული იყო.

ეპისკოპოსს ეტეკალდის მიერ შექმნილი დრამა „სამი მარიას დატერება“, უპირველეს ყოვლისა იმითა საინტერესო, რომ აქ უფრო მეტად ფურადღება გამახვილებულია წარმომადგენის ვიზუალურ მხარეზე და ზუსტადა მითითებული მონაწილეოთა უესტიკულაციაც. თეატრი უკვე იყენებს სხეულის ენას. იგი თხზავს გარემოს, დაწვრილებით აღწერს ყოველ დეტალს. ცნობილია, რომ წარმომადგენა იმართებოდა საკურთხეველსა და მრევლის დასაჯდომ ადგილს შორის, რომელსაც ნავი ეწოდება და რომელიც ყველაზე კარგ ადგილს წარმოადგენდა, როგორც ბუნებრივი განათების თვალსაზრისით, როგორც სახილველად, ასევე აკუსტიკური.

მოქმედება იწყება მარია მაგდალინიელის ვიზუალური ქმედებით: ხელის ნაზი მოძრაობით იგი შეერას აპყრობს მამაკაცთა გუნდს, სახე დანაღვლიანებული და თვალცრუმლიანი კითხულობას: ო, მძებო! და სხეულის ნაზი მოძრაობით იოქებს. შემდეგ მუდარის მზერას აპყრობს ქალებს და აღმოხება: „და დებო...“

ეკლესიაში, კათოლიკური იქნება ის თუ მართლმადიდებური, მრევლი დღესაც გაყოფილია. საკურთხეველიდან მარცხნა მხარეს მამაკაცი, ხოლო მარჯვენა მხარეს ქალები არიან.

შემდეგ ეპიზოდში მარია მაგდალინიელი გულზე მჯიდის ცემითა და ტირილით, რომელსაც თან ახლავს თითქოსდა მშეველელის ძებნა, რაც მისი ნელი თავის მოძრაობით იკვეთება, იგი ხან მარჯვენივ და ხან მარცხნივ იხედება, ვიზუალური აქტის ასახსნელად შემდეგ სიტყვებს ამბობს:

„..... სად არის ჩემი იმედი! (შემდეგ კვლავ გულზე იცემს ხელს). სად არის შველა?.... აქ თავდახრილი ეცემა იესოს ფერხთით, ანუ საკურთხეველთან“.

ჩანაწერებიდან იკვეთება, რომ უპირატესობა ენიჭება უსტიკულაციას.

სხეულის მოძრაობით გამოიხატება ქალის გულის ტკიფილი და სევდა, თითოეულ ვერბალურ აქტს ნონ-ვერბალური აქტი უსწრებს წინ.

მოქმედება გრძელდება ორი მოკვდავი ქალის სტატიკური მოძრაობით: მარია უფროსი და მარიამ მაგდალინელი სხეულის „ენით“, რაც გამოიხატება ერთმანეთთან ჩახუტებით, ნიშნად იმისა, რომ ორივეს ერთი ტკიფილი აერთიანებთ, ქრისტეს ხატთან ორივე პერსონაჟის დაზიქებითა და მის უერზოქეშ გულშემზარავი ტირილით; მიუხედავად იმისა, რომ მათი მოძრაობა შესაძლებელია აღვიქვათ, როგორც სტატიკური მოძრაობა, ვიზუალური გამოხატვის ამ აქტს აქვს ის დატვირთვა, რომ ყოველი ეს გამოისახულება ასახავს სარიტუალო ცოდნასა და საეკლესიო სიბრძნეს ყოველგვარი მსჯელიბისა და კამათის გარეშე. შემდეგ ეს მოძრაობა განცალკევდება ვერბალური აქტით:

„მარია უფროსი: (აქ იგი უთითებს მარია მაგდალინელს) ო, მარია მაგდალინა (შემდეგ უთითებს ქრისტესკენ), ჩემო ტკბილო მასწავლებლის ვაჟო (აქ იგი გამბორება მაგდალინელს და ესვევა ორივე ხელით...), დაიტირე ჩემთან ერთად (უთითებს ისევ ქრისტესკენ) სიკვდილი უტკბილებისა ვაჟისა... ვისაც ასე უყვარდი... (აქ მუხლდახოქელი იწყებს ქვითინს)“.

როგორც ვხედავ, ეს აქტიც გამდიდრებულია სხეულის ენით. მონაწილენი „ხატვაენ“ გამოისახულებებს და დაგამენ თავიანთ ტაძრებში, როგორც აზრობრივ შინაარსს თითოეული საგნისა. „დამდგმელ ჯგუფს“ კარგად ესმოდა, რომ მრევლზე ვერბალური აქტით იმდენად ვერ მიაღწევდა გავლენას, როგორც ვიზუალური წარმოსახვით. აქ გამოვლენილია ზემოქმედების უნივერსალური ფორმის მცდელობა ვიზუალურ-ვერბალური აქტის მოხდენა.

წარმოდგენის დასასრულს სანახაობაში მონაწილე ქალები ღმერთს ევდორებიან, მუხლდახოქელნი, თავდახრილი და პირჯვარის წერით ისინი მოუწოდებენ მაყურებელს მათთან ერთად ლოცვისაკენ. ორივე ხელის ზეცისკენ აღმართვით მადლობას უუბნებიან ღვთისმშობელსა და უფალს, მარია უფროსი: „მას, ვინც გაგვათავისუფლა ყოველგვარი ცოდვებისაგან“. წარმოდგენა მთავრდება მონაწილეთა ტირილით, რათა მაყურებელში გამოიწვიონ საკუთარი თავის შეცოდებისა და მათი ცოდვების მონაიების სურვილი, რომ კიდევ უფრო მეტად მიაჯაჭვინ ეკლესიას. უქსტიკულაციით იხატება, რომ წარმოდგენა გაიმართა ღმერთისთვის, მის სადიდებლად. თვალს თუ გადავავლებთ

ანტიკური თეატრის ისტორიას, დავინახავთ, რომ ამგვარი ქმედება ანალოგიას სარიტუალო და უძველესი სათეატრო სანახაობისა, სადაც, როგორც ცნობილია, წარმოდგენები იმართებოდა ღმერთების სადიდებლად.

მარცალას სამმოს მიერ შექმნილი დრამა „ბრძენი და უგუნური ქალწულები“ მათეს სახარებიდან, ათი ქალწულის იგავისა და ანგელოზი უმჯდავნებს მარიამს იესოს აღდგომას, თავების ინსცენირებას წარმოადგენს. საყოველთაოდ ცნობილია, რომ ახალი აღთქმა – სახარება, მთლიანად აგებულია იგავურ, ანუ აღვეორიულ, პრინციპზე. „სიძისა“ და „ქალწულის“, აგრეთვე „ქორწინების“ აღვეორიულ მნიშვნელობას ცენტრალური აღვილი უჭირავს მაცხოვრის ქადაგებაში. „სიძე“ თავად მაცხოვარს აღნიშნავს, „ქალწული“ – ქრისტიანული თვალსაზრისით სიმბოლოა ბუნების სულისა, „ქორწილი“ – მართალთა ნეტარებას, ღვთაებასთან ზიარებას მიუთითებს ქვეყნის დასასრულისა და საშინელი სამსჯავროს შემდეგ. არც ეს პრინციპი დაურღვევით სამმოს წევრებს და დრამის პერსონაჟებად გამოიყვანეს ქალწულები, სიძე და ანგელოზი. მახარებლები – მათე მარკოზი, ლუკა და ოიანე – გაფუნქციებენ, რომ აღსრულდა წინასწარმეტყველება: ქრისტეს ჯვარცმის შემდეგ, მესამე დღეს, კვირის ცისკარზე, მეცდრეთით აღსდგა უფალი და მაცხოვარი. მორწმუნეთა ანგელოზმა ეს ამბავი პირველად ქალწულებს აუწყა.... მორწმუნეთა ეკლესიას კი შთაგონა: „ქრისტე აღსდგა მეცდრეთით, სიკვდილითა სიკვდილისა დამთრუნველი და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი“. სწორედ ამ ამბით იწყება მარცალას სამმოს დრამა „წარმოდგენა“. ანგელოზი დასტრიალებს იმ გამოქაბულს, სადაც ქრისტე ესვენა. იგი ხან აფრინდება და ხან ჩამოფრინდება, აქ აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საეკლესიო წარმოდგენებში უპევ გამოიყენება „მაშინერია“. ანგელოზის შემსრულებელი პლასტიკოთა და უქსტიკულაციით გამოხატავს მის შინაგან ემოციას, როგორც დრამაშია გამოიკვეთილი ესაა სიმბოლოებით დატვირთული ცეკვა, რომელსაც შეძეგომ ვერბალურად ხსნის, რომ „ის, ვისაც თქვენ ეძებთ გამოქაბულში, ო, ქრისტიანნო, აქ არ არის. იგი აღსდგა, როგორც თავად წინასწარმეტყველებდა.“ ამ ამბით გამგონე უგუნური ქალწული ცეკვა-თამაშით ცდილობენ ანგელოზის დაჭერას და მის გაჩუმებას. მათ არ სწამო მის სიტყვებისა. სიუჟეტის გამაფრენის მიზნით, ავტორმა, უგუნურნი ეშმაგს წააყვანინა. მოულოდნელობის უჟეტით ეშმაგი ეკლესიის იატაკიდან ამოდის, თითქოსდა ქვესტელიდან

და მას გარდა იმისა, რომ ნიღაბი უკეთია, შემსრულებელი მის პერსონაჟს განასახიერებს ვიზუალურადაც. იგი ცდილობს სწორედ ისე იმოძრაოს, რომ მხილველს თვალნათლივ წარმოუდგინეს ეშმაკის რეალური სახე. როგორც ცნობილია, საეკლესიო თეატრში ეშმაკის გამოჩენა პირველად ამ დრამაში მოხდა, რაც შესაძლებლად მიმაჩნია იმით აქცნა, რომ მაყურებელზე შექმნილიყო ემოციური ზეგავლენა, კონფლიქტი გახდა სახილველი, რათა თვალნათლივ დაენახათ და გაეგაზრდინათ ცოდვილთა ცხოვრების საბოლოო გზა – ჯოჯოზეთი. წარმოდგენის დასასრულს კი, ქრისტეს თაყვანს სცემენ იუდეველთა წინასწარმეტყველი: სივილა, ვირგილიუსი და ნობუქიოდოსორი. თაყვანისცემის ეს სცენა საქმაოდ პიმპეზურადაა წარმოდგნილი, მხოლოდ ნონ-ვერბალურად. აქ სიტყვა სრულიად ზედმეტი აღმოჩნდა წარმოდგენის შექმნელთავის. როგორც ჩანს, სამმოს მთავარი მიზანი ძალთა დემოსტრაციის მოხდენას წარმოადგენდა. თუ „ძლიერი ამა ქვეყნისანი“ აღიარებენ მაცხოვარს, უბრალო მოკვდავი მით უფრო უნდა შეუდგნენ ქრისტეს გზას და აღიარონ იგი.

აღდგომის უდიდეს დღესასწაულს მთელი საქრისტიანო განსაკუთრებული სისარულითა და მოწიწებით აღნიშნავს. ღმერთის აღდგომა და მისი მარადიულობის რწმენა უძველესი აზრობრივი დანაშრევია კაცობრიობის ისტორიაში და ამ ისტორიის ნაწილი საქართველოცაა. ქართული სამყაროც არ არის გამონაკლისი ძველი თუ ახალი რელიგიური რწმენა-წარმოდგენებისაგან. აქაც საინტერესო და მრავალფეროვანი სურათია გამოკვეთილი.

საქართველოში აღდგომის უპირველეს დღესასწაულად მიჩნევას არქაული ფენა და მყარი შეხედულებები დაედო საფუძვლად. ქრისტეს აღდგომას, მის გავრცელებას და საყოველთაო აღიარებას, ქრისტიანობის გადაქცევას მსოფლიო უძლიერეს რელიგიად ყოველმხრივ ჰქონია საფუძველი განმტკიცებული.

„ქვედრეთით აღდგომილი ქრისტე და მისი მოძღვრება დაიპყრობს სხვადასხვა კრებს და ქვეჭნებს“ (დავითი) თავიდანვე საფუძვლიანი იყო.

საქართველოში სააღდგომო წითელი კვერცხები, საფერხულო ცეკვები, წინაპართა სულის მოსახსენიებელი ჩვეულება-რიტუალები მნიშვნელოვანი დასკვნის საშუალებას იძლევა. კერძოდ, ჩვენში დაფიქსირებული სააღდგომო რიტუალები არაეკლესიური სანახაობა იყო, რომელიც მკვეთრად განსხვავდება შუა საუკუნეების ევროპის საეკლესიო სანახაობებისაგან. შუა საუკუნეების საქართველოში

სააღდგომო სანახაობას „ქრისტეს ფერხული“ ეწოდებოდა, რომელიც შემდეგი სახით მიმდინარეობდა:

1. წაღმა, საცეკვაო ხაზის მიმართულებით (საათის ისრის ბრუნვის საწინააღმდეგო მიმართულება);

2. პირიქით, საცეკვაო ხაზის საწინააღმდეგო მიმართულებით (საათის ისრის ბრუნვის მიმართულება).

ფორმის მხრივ, ეს ფერხული ერთწრიულად და „სართულის“ გარეშე სრულდება. საფერხულო-კომბინირებულ სვლაში ძირითადად გამოყენებული იყო: ჩვეულებრივი სვლა, გვერდზე ფეხის მიღმით და უკან ფეხმიღმითი მოძრაობები. საფერხულო სვლის დროს ხელები ქვედაშეგბული იყო და მტევნები ჩაბმული.

სიმღერის ბოლო ფრაზაზე წრე იხსნება და საწყის მდგომარეობას უბრუნდება. ფერხულში მონაწილეობს შუახნის ასაკის თხუთმეტი მამაკაცი. მათ მიერ ამ ფერხულის სასიმღერო და ქორეოგრაფიული „ტექსტის“ შესრულება ფოლკლორულ ვარიანტს განეკუთვნება.

ამავე დროს, აღდგომა დღეს აუცილებელი და უპირველესი მოვალეობა იყო და დღესაც არის მიცვალებულთა საფლავის მონახულება. ქრისტიანული მოძღვრების თანახმად, სული ითვლება ღვთაებრივ საწყისად, რომელიც ადამიანს ღმერთთან ანათესვებს, გამოვლინდება გონიერებაში, თავისუფლებასა და უკვდავებაში. მიცვალებულთა მოხსენიების ეს დღე აღსანიშნავი იყო მუსიკითა და გართობებით. სათეატრო სანახაობები საეკლესიო წირვა-ლოცვის შემდეგ იმართებოდა. ქართული მართლმადიდებლური ეკლესია შუა საუკუნეების ევროპის საეკლესიო სანახაობებისაგან განსხვავებით კრძალავდა ყოველგვარ სანახაობას. სწორედ წირვა-ლოცვის შემდეგ იშლებოდა სუფრა და მთელი მრევლი მართავდა ფერხულს.

ამგვარად, ზემოთ მოყვანილი მაგალითებით, შეიძლება ითქვას, რომ მედიევსტიკის სამყაროში, ევროპასა და საქართველოში სათეატრო სანახაობები თავის წეს-კანონებს ემორჩილება, თუმცა ამგვარ წარმოდგენებს კათოლიკურ თუ მართლმადიდებლურ მრევლში საკმარი დიდი ყურადღება და დრო ეთმობოდა.

1. Eugenio Barba and Nicolas Savarese. A Dictionary of Theatre Anthropology. 2<sup>nd</sup> edition. London and New York, 2005, p. 175-176.


2. ეს გროტოვსკი. გამომცემლობა „კინტავრი“, თბილისი, 2008. გვ. 54.

3. Плеснер Х., Ступени органического и человек: Введение в философскую антропологию. <http://filosof.historic.ru/books/item/f00/s00/z0000877/index.shtml>
4. Eugenio Barba and Nicolas Savarese. A Dictionary of Theatre Anthropology. 2<sup>nd</sup> edition. London and New York, 2005, p. 128.
5. Gloria K. Fiero. The Humanistic Tradition. Medieval Europe and the world beyond. 3<sup>rd</sup> edition. New York, 1998, p. 150.
6. იქვე, 33. 162.

---

## **პიტოვნებები**

---



## სამაგისტრო პროგრამა

## მსოფლიო კინოს ისტორია

სამაგისტრო პროგრამა კინომცოდნების (MA in Film Studies) მსოფლიო კინოს ისტორიის განხრით ამზადებს კინომცოდნებს, რომლებიც საფუძვლიანად ითვისებენ საზღვარგარეთის წამყვანი კინემატოგრაფიული ქვეყნების კინოს განვითარების პრიორებს, ტენდენციებს, მიმართულებებს, თავისებურებებსა და ა. შ., გამოიძუშვავებენ კრიტიკული აზროვნების უნარს, სათანადო პროფესიულსა და ეთიკურ უნარ-ჩვეუბს. პროგრამის აქტუალობა განისაზღვრება ხელოვნების ამ დარგისამდი მზარდი მოთხოვნილებით, სპეციფიკური ცოდნის მიღების სურვილით მომავალი კვლევითი (და შესაძლოა, პედაგოგიური) მოღვაწეობის მაღალ დონეზე წარმართვისათვის.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი  
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,  
სრული პროფესორი ზვადა დოლიძე

## ოლდა ელიაშვილი მაგისტრატურის II კურსი ხელმძღვანელი - პროფ. ზვიად ლოლიძე

განვითარებული კიბო

განგსტერულმა კინომ განვითარება პოვა ამერიკის შეერთებულ შტატებში 20-იანი წლების ბოლოს, ამერიკული საზოგადოების სოციალური ცვლილებების საფუძველზე, რაც გამოწვეული იყო 1929-33 წლებში ეკონომიკური კრიზისით. უმუშევრობამ, დანაშაულებების ზრდამ, პოლიციის გამყიდველობამ შვა ფილმები, რომელთა მოქმედი გმირები განგსტერები გახდნენ. ამ ფილმების „გმირები“ უპირისპირებდნენ თავის თავს, საზოგადოებას, აღარისებდნენ რა მხოლოდ ძალადობის კულტს. 1931 წლს ეკრაზე გამოდის განგსტერული კინოს ერთ-ერთი პირველი კლასიკური ნიმუში, ჰოუარდ ჰოუელსის „ნაიარევი სახე“. ფილმში ასახულია XX საუკუნის 30-იან წლებში, ამერიკაში შექმნილი სიტუაცია და განგსტერული დაჯგუფებების თარეში. ამ პერიოდში განგსტერებმა საზოგადოებაში პოზიციები გაიმურეს და მათი დაჯგუფებები პოპულარობითაც კი სარგებლობდნენ. 20-იან წლებში ამერიკაში მიღებულია ე. წ. „მშრალმა კანონმა“ და არალეგალური სპირტიანი სასმელით ვაჭრობამ, განგსტერებს გამდიდრების საშუალება მისცა. ისტორიკოსები შემთხვევით არ მიიჩნევენ ამ კანონს ყველაზე წარუმატებელ სოციალურ ექსპერიმენტად. განგსტერულმა საზოგადოებამ ეს ამბავი მიიღო, როგორც ძვირფასი საჩუქარი. შეიქმნა საფუძველი დამნაშავეების საქმიანი შეკავშირების, რომელმაც შვა განგსტერიზმი (“Gang” ინგლისურად ნიშნავს „ბანდას“). განგსტერები ახორციელებდნენ არალეგალურ ბიზნესს, რომლისთვისაც იყენებდნენ ყოველგვარ საშუალებებს, სწორედ ასეთი საშუალება იყო სპირტიანი სასმელების გაყიდვა „იატაპექშ“. რამდენადაც მთელმა ქრმა დაიწყო მათი შესყიდვა, საჭირო გახდა ვისკის არალეგალურ დამამზადებელთა მთელი არმია. კინომ 20-იანი წლების ბოლოს მირფესვიანად და დიდი ხნით შეითვისა „მშრალი კანონის“ თემა.

კრიმინალური კინოს ისტორია დაიწყო ფილმით „მატარებლის დიდი გაძარცვა“, რომელიც გადაიღო პორტერმა „ედისონის“ კინოფირმაში. ეს იყო იმ ცნობილი პარიზული სეანსის რვა წლისთვეზე. პორტერის ფილმი გახდა ერთდროულად კინოს ორი მიმართულების

ჩანასახი: განგსტერული ფილმისა და ვესტერნისა. ეს იყო იმ არსებული რეალობის წინააღმდეგ ამაღლებული ხმა, რომელიც ასე აწუხებდა ამერიკელ ხალხს.

ამ უანრის კინოს ყველაზე ცნობილი დუეტი იყო: რეჯისორი თომას ინსი და მსახიობი უილიამ ჰარტი. ამ დუეტის ერთ-ერთი საუკეთესო ნამუშევარია 1918 წელს გადაღებული „რეინიგზის მგლები“. მატარებლის გამარცვის შემდეგ, როცა საქმე ნამდვილ „გაყოფაზე“ მიღება ბანდიტები ერთმანეთს „დაურევიან“. ეს სუფთა დამნაშავეთა საზოგადოების ზუსტი ჩვენება იყო. უკვე აშკარად ჩანდა ის, თუ როგორ იხვეწებოდა და ვითარდებოდა განგსტერული კინო, როგორც დამოუკიდებელი სუფთა ამერიკული კინოუანრი.

1929 წელს მსოფლიოში დაიწყო ეკონომიკური კრიზისი, რომელიც, რა თქმა უნდა, ამერიკასაც შეეხო. ეს კრიზისი ამერიკის ისტორიაში „დაღი დეპრესიის“ სახელითაა შესული. გიგანტური ქვეყანა, რომელიც ეკონომიკური აღმავლობის ზენიტში იყო, კატასტროფულ მდგომარეობაში ჩავარდა, ბანკები გაკოტრინენ, დაიწყო მასობრივი უმუშევრობა, შიშმილი, ხალხი პანიკამ მოიცვა, გაიზარდა დანაშაულთა რიცხვი. სწორედ ამ ყველაფრის ფონზე განგსტერული ცხოვრებამ არნახული აღმავლობა განიცადა და ლოგიკურია, რომ კინომატოგრაფის მთავარ თემად იქცა. სწორედ ამ პერიოდში რამდენიმე წლით პოპულარულები გაზრდნენ ე.წ. „სოფლის ბანდიტები“: ჯონ დილინჯერი, „კიდ“ ნელსონი, ბონი პარკერი და სხვ.

1931 წელს პოლიციურში გადაიდეს 25 განგსტერული ფილმი: ჯორჯ ჰილის „საიდუმლო ექსეული“, ჰოუარდ ჰოუესის „კრიმინალური კოდექსი“, ალფრედ გრინის „იოლი ფული“ და სხვ. ეს ფილმები საკმარი დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ.

„მშრალი კანონის“ თემა გავრცელებული იყო უამრავ განგსტერულ კინოში, თუმცა მოგვანებით როცა ეს კანონი გაუქმდა, 1939 წელს შეიქმნა ერთ-ერთი საუკეთესო ფილმი „ქარიშხლიანი ოციანი წლები“, რომლის რეჯისორი იყო რაულ უოლში. ეს ფილმი გადაღებული იყო მეტად მძიმე პერიოდში – სანამ ჰიტლერი პოლონეთს დაესხმებოდა თავს, ეს მძიმე ყოფა ფილმზეც აისახა.

ამერიკის ისტორიაში ერთ-ერთი პოპულარული ე.წ. „სოფლელი ბანდიტი“ იყო ჩარლზ ფლოიდი, მეტსახელად „ლამაზმანი“. ის იყო ფერმერის შვილი. ალბათ, ნაწილობრივ, ამანაც განაპირობა მისი პოპულარობა. ბანდიტი ძარცვადა ბანკებს, რომლებიც ფერმერებს მიაჩნდათ მტრებად, რადგან სწორედ ეს ბანკები ართმევდნენ მათ

ფერმებს გადაუხდელი არენდის სანაცვლოდ. ეს კონცეფცია მოქმედებდა თითქმის ორი ათწლეული. 1960 წელს პერბერტ ლედერმა გადაიღო ფილმი „ლამაზმანი ფლოიდი“. განგსტერულმა ჟანრმა პოპულარობით ვესტერნს, მაუზიკლს და კომედიასაც კი გაუსწრო.

ბანდიტობებისა და ძარცვების განაშირებამ გამოძიების ფედერალურ ბიუროს (FBI) მისცა საშუალება ხელისუფლებისაგან მმართველობის რადიკალური გაზრდის უფლება მიეღოთ. თუ ადრე ცალკეული შტატების სამართლდამცველებს უხდებოდათ სხვადასხვა ძარცვებისა და დანაშაულებების გამოძიება, ახლა ამ ყოველივეს FBI ჩაუდგა სათავეში. ამ ციკლის ერთ-ერთი ბოლო და მნიშვნელოვანი ფილმი იყო ჯეიმს ბორნის 1940 წელს გადაღებული „ბანდის დეიოფალი“, სადაც „გოურის ჯგუფი“ უსწორდება „დედილო“ ბერკერის ბანდასა და მის ვაჟებს. ცნობილ მსახიობს ბლანშ იურკს მისცა საშუალება ჩევნებინა თავისი გმირის ხასიათის განსხვავებული მხარეები, საკუთარ ვაჟებზე უზომოდ შევცარებული ქალის სახე და ამის პარალელურად სხვების მიმართ შეუბრალებელი ქალი.

XX საუკუნის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ფილმი იყო არტურ პენის „ბონი და კლაიდი“. რეჯისორი ფილმს იწყებს ფოტოგალერეის ჩევნებით. მთავარი გმირებისა და მათი ოჯახების სურათები იპყრობენ ეკრანს. მართალია, ამ სურათების დაწერილებითი ნახვა არ ხერხდება კადრების სწრაფუ მონაცვლეობის გამო, თუმცა მაყურებელში მაინც სასურველ განწყობას იწვევს. რეჯისორმა ძალზე საიტერესო გმირების სახეები შექმნა: კლაიდი – სიმპათიური ამერიკელი, რომელიც ცოტას კოჭლობს და რომელმაც ციხეში ყოფილისას ფეხზე ორი თითი მოიჭრა, სამუშაოდ რომ არ გაეშვათ. ბონი ცედათათოდე წლის ტიპური ამერიკელი გოგოა. ბონის და კლაიდის მომსაბვლელობა და მათი გარევნობის ურთიერთშეთანხმება უცილებელი იყო რეჯისორისთვის და ასეც მოხდა, მსახიობებმა არაჩევულებრივი ეკრანული სახეები შექმნეს. გმირების მიზანი ნათელია – ისინი მიდიან რათა დასაჯონ მდიდრები და დაეხმარონ ღარიბებს, გზადაგზა აწყობენ მრავალფეროვან გეგმებს. ირკვევა, რომ ბონის არასოდეს სჭერია ხელში იარაღი და კლაიდი ასწავლის მას სროლას. ეს გავეთილი გამოიყურება სრულიად უსაფრთხოდ, ცოტათი ბავშვურ თამაშსაც კი ჰგავს და არაფრით არ წინასწარმეტყველებს ყოველივე იმ საშინელებას, რაც მოგვიანებით მოხდება. ეს უკვე კლასიკური კინოს ტრიუკებია, მაყურებელი ნათლად ხედავს, როგორ იხვეწება და ვითარდება განგსტერული კინო.

საქამაოდ საინტერესო ისტორია მოყვა ლოურენს შილერმა ფილმში „ჯალათის სიძლერა“ (1982). რეჟისორმა ეკრანზე გადაიტანა ის, რაც გადახდა თავს 1976 წელს ვინმე გერი დილმორს. თორმეტწლიანი სასჯელის შემდეგ გმირი გადის თუ არა ციხიდან, ერთდროულად ორ მკვლელობას ჩაიდენს. ის კლავს პატარა მაღაზის მფლობელს და სასტუმროს ადმინისტრატორს, თუმცა ფულს, რომელსაც ის ეძებს, ვერ მიიღებს: ორივეს სალაროში მხოლოდ რამდენიმე დოლარი უდევს. იგი, რა თქმა უნდა, დაუყოვნებლივ დაკავეს და სამუდამო პატიმრობა მოუსავავს. აი, აქ იწყება ყველაზე მთავარი – გმირმა მოითხოვა, რომ ის სიკვდილით დაესაჯათ.

განგსტერული კინოს ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია „ნათლიმა“, რაშიც ნათლადაა ნაჩვენები პრობლემა, რომელსაც სამართალდამცავები ვერ უკლავდებოდნენ. ვიტო კორლეონე ძალაუფლების ხელში ჩასაგდებად ძარცვავდა და კლავდა ხალხს. ახალგაზრდა განგსტერების შეჩერება სამართალდამცაველებს ასე თუ ისე ძალუბთ, რადგან ისინი ამ ქმედებას თავად აზრციელებენ. სულ სხვა შემთხვევაა თუ საქმე ეხება „დონს“, რომელმაც შექმნა თავისი დიდების პირამიდები. იგი ჩაცმულია მყარი საქმიან კოსტუმში და არასოდეს უწევს ხმას, წარმოუდგენელია იარაღით ხელში ემუქრებოდეს სხვას. მარლონ ბრანდო ინტერვიუში ამბობს, რომ „დონ კორლეონე არის ჩვეულებრივი საქმიანი მაგნატი, რომელიც ისტრავების მიაღწიოს ყველაფერს თავისი ჯგუფისა და ოჯახისათვის“. ამ ფილმის წარმატების შემდეგ, განგსტერების თემა ძალზე პოპულარული გახდა: ამას მოჰყვა ამ უანრის ფილმების მთელი ნაკადი: სიდინი ლიტეტის „ქალაქის უფლისწული“ (1981) და „განაჩრის“ (1982), სერჯო ლეონეს „ერთხელ ამერიკაში“ (1984), ბრაიან დე პალმას „ხელშეუხებელინი“ (1987) და სხვ.

1983 წელს ბრაიან დე პალმამ შესთავაზა ალ პაჩინოს ეთამაშა პოუქსის ფილმის „ნაიარევი სახის“ „რიმეიქ'მი“. ამ ახალ ფილმში შემორჩენილი იყო ძველი ფილმის მოტივები, თუმცა მას არანაირი კავშირი არ ჰქონდა ალ კაპონესთან. სისხლისმღვრელი ჩიკაგოელი განგსტერი შეცვლილი იყო კუბელი ემიგრანტით, რომელსაც იგივე სახელი ერქვა, როგორც პოუქსის ფილმის გმირს, ხოლო არალეგალური ალკოჰოლით ვაჭრობა კი შეცვლილი იყო ნარკომანებით. „ნაიარევი სახე“, შეძლება ითქვას, რომ არის უანრის კლასიკური ნიმუში, ყველა იმ პირობასა და მოთხოვნას პასუხობს, რაც ამ უანრის თავისებურებას წარმოადგენს: განგსტერების

ჩატულობა ერთნაირი, მყარი და ელგანტურია, ნარკოტიკები, იარაღით ვაჭრობა, სროლა, ბევრი სისხლი, გამდიდრებისა და განდიდების სურვილით შეპყრობილი გმირები, შიში, შური, უნდობლობა, ღალატი, ცდილობები თავად არ მიეტანონ საწამლავს, რომლითაც სხვებს წამლავნენ, მაგრამ ხშირად სურვილი აკრძალვაზე ძლიერი ხდება და თავად ხდებიან მსხვერპლინი. ამრიგად, ფილმი მოგვითხოვს ორგანიზებულ დანაშაულებრივ სამყაროზე და კანონდამრღვევთა ჯგუფზე, რომელთა ცხოვრების წესი, რომელსაც თვალვე ადგენენ, მკარი და დაუნდობელია.

თანამედროვე ამერიკული კინოს რეჟისორი მარტინ სკორსეზე თავისი შემოქმედების ძირითად თემას განგსტერების ცხოვრებას უძღვნის. მისი ერთ-ერთი პირველი განგსტერული ფილმია „ბნელი ქუჩები“. ამ ფილმით რეჟისორი იწყებს ნიუ-იორკის განგსტერების ცხოვრების აღწერას. როდესაც „ბნელი ქუჩები“ გამოვიდა და რეჟისორმა ფირნის ფირდ კოპორლამ ნახა ფილმი, რომელიც იმ დროს მუშაობდა თავისი ცნობილი ფილმის „ნათლიმაშას“ გაგრძელებაზე და ეძებდა მსახიობს ახალგაზრდა დონ კორლეონეს როლისთვის, დაუყოვნებლივ აიყვანა დე ნირო ამ როლზე. „ნათლიმაშას“ სერიები შეძლება ითქვას ათწლეულის საუკეთესო განგსტერულ ფილმად იქცა.

რაც შეეხება სკორსეზეს შემოქმედებას, ის შემდგომშიც იღებს მთელ რიგ განგსტერულ ფილმებს: „კარგი ბიჭები“, „კაზინო“ და სხვ.

როგორც არ უნდა იყოს, დღესდღეობით ორგანიზებული დანაშაული ერთ-ერთი ყველაზე მტკიცნეული, ტერორიზმთან გათანაბრებული მსოფლიო პრობლემა. ამერიკაზე საუბრისას ზედმეტია იმის მტკიცება, თუ ვის ეკუთვნის ამ პრობლემის შექმნა იტალიელებს თუ „იანკებს“, მით უმეტეს, რომ ამ საქმეში ორივეს აქვს გამოცდილება. 2002 წელს მარტინ სკორსეზემ გამოუშვა ფილმი ეპოემა „ნიუ-იორკის ბანდები“, რომელშიც ნათლად ჩანს, რომ ყველა დროს ჰყავდა თავისი დამნაშავეები, მაგრამ ნამდვილი პროფესიონალური განგსტერიზმის ისტორია მოგვიანებით დაიწყო – დაახლოებით პირველი მსოფლიო ომის შემდეგ.

შემოქმედებითი კოდექსის შემქმნელი უილიამ ჰეისი თავის მეტერებში წერდა: „განგსტერული კინოს ციკლი გაჩნდა იმიტომ, რომ განგსტერის კულტი უურნალისტიკში იყო მთავარი დიდი ხნის განმავლობაში, მაგრამ ამ ფილმებით საზოგადოებას კი არ

ეუბნებიდნენ, რომ ისინიც ასე უნდა მოქცეულიყვნენ, არამედ მაყურებელი ფილმის პირველივე ეპიზოდიდან გრძნობდა, რომ რაც არ უნდა ენახა მთელი ფილმის განმავლობაში, იყო უკანონო, არასწორი და უბრალოდ არადამიანური“.

განგსტერული კონფერენცია მაყურებელს, რომელიც ყოველთვის მაქსიმალურად კატეგორიული და მომთხოვნია, აძლევს საშუალებას თავად დაინახოს ის სისასტიკე, შური, შიში და ა. შ., რაც ამ დაჯგუფებების წევრებს შორის არის. ეს ფილმები, უმეტესწილად, არათუ პროპაგანდას უწევს განგსტერულ დაჯგუფებებს, არამედ პირიქით საკმაოდ ანტიპროპაგანდისტულია, რადგან აშიშვლებს მაყურებლის წინაშე იმ მანკიერ მხარეებს, რომელიც ასეთ ცხოვრებას მოსდევს, ანუ, მაყურებელს შეუძლია აირჩიოს და გაითვალისწინოს მოსალოდნელი შედეგები.

სოფიო წულადა  
მაგისტრატურის II კურსი  
ხელმძღვანელი - პროფ. ზვიად დოლიძე

## პიროვანთასტიკის ეპოლუციის პროცესი

სიტყვა „ფანტაზია“ ძველბერძნული წარმოშობისაა და „წარმოსახვის ხელოვნებას“ ნიშნავს, იგი ფანტასტიკურ სიუჟეტზე აღზრდილი მაყურებლის ცონბიერებაში არარეალურთან, გამონაგონთან, ფიქციასთან ასოცირდება.

ხელოვნების განვითარების ისტორიაზე თვალის ოდნავი გადავლებაც საკმარისია იმის შესამჩნევად, რომ ფანტასტიკური ფანრი ერთ-ერთი წამყვანია, რომელიც ასაზრდოებდა მითოლოგიას, ლიტერატურას, თეატრს, ფერწერას. ამიტომ, არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ მისით კინემატოგრაფი დაბადების ადრეული წლებიდანვე დაინტერესდა.

თანამედროვე გაგებით „კინოფანტასტიკა“ თავის დაბადებას ფანტასტიკური ქანრის ლიტერატურას უნდა უმაღლოდეს, თუმცა, კინოს მთავარი უპირატესობა – გამოსახულების ვიზუალიზაციაც არ უნდა დავივიწყოთ, რომელიც კინოს მესვეურებმა თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. ვიზუალური ხერხებით მანიპულირებამ ეკრანს მილიონობით ადამიანი მიაჯაჭვა. ფანტასტიკური ქანრი ნიჭიერი და წინდახედული ადამიანების ხელში ერთგვარ „ოქროს საბადოდაც“ კა იქცა. იგი თმამად შეგვიძლია მივიჩნიოთ კომერციული კინემატოგრაფის წინამორბედადაც.

თუ ათწლეულების ინტერგალით კინოფანტასტიკის დინამიკურად ცვალებად პროცესსა და მის ევოლუციას დავაკვირდებით, აღმოვჩენთ, რომ სახელწოდება „კინოფანტასტიკა“ მეტად პირობითი ცნებაა, იგი ხომ თავის თავში უძრავ ექსპერიმენტს, ჟანრთა შერწყმას, გამომსახველობითი ხერხების მუდმივ ცვალებადობასა და მრავალფეროვნებას იტევს. მასზე უდიდესი გავლენა იქნია ლიტერატურაში, ანტიკურ და თანამედროვე მითოლოგიაში, ფილოსოფიას, სოციოლოგიასა და ფიზიოლოგიაში მიმდინარე მთელმა რიგმა პროცესებმა და ცვლილებებმა, გამოეყო სათავგადასავლო ქანრს, მიახდინა სხვადასხვა ჟანრთან მეტ-ნაკლებად ორგაული შეკავშირება, დროთა განმავლობაში კი დამტუკიდებლად არსებობის უფლებაც მოიპოვა, გახდა იმდენად პოლისტილისტური, რომ რამდენიმე

სუბჟანრიც კი გამოუყო, რომლებიც თავიანთ ფორმებში იმდენად არიან სტილიზებულნი, რომ ძალაუნებურად, უანრებადაც კი მოიაზრებიან.

ყველაფერი კი ლურ ლუმიერის ბანალური, რამდენიმე წუთიანი ფილმ „მექანიკური სახორცი“ დაიწყო, რომელსაც მკვლევრები პირველ ფანტასტიკურ ფილმადაც კი მოიაზრებენ (სურათის სიუჟეტი შემდეგნაირია: ეკრანზე ნაჩვენებია ელექტრონული ხორცსაკები მანქანა, რომელშიც ცოცხალი გოჭები ხტებიან და იქიდან სოსისებად ქცეულები გამოდიან).

კინოფანტასტიკის ქვეჟანრებია: სამეცნიერო ფანტასტიკა, საშინელებათა ფილმი, ე. წ. „**Horr or**“, უნტექი, ფანტასმარირია, კიბერ-პანკი, ნეო-გოთიკა და სხვ. განვმარტოთ თითოეული მათგანი: **ს ა მ ე ც ნ ი ე რ ო ფ ა ნ ტ ა ს ტ ი კ ა** – მთავარი მახასიათებელი: მოქმედების მიმდინარეობა სხვა განზომილებაში, სადაც წაშლილია თანამედროვეობა და ისტორიული დრო, თუმცა, მოკლებულია ყოველგვარ მისტიკურ – მაგიურ ელემენტი. **ფ ე ნ ტ ე ზ ი** – სათავეს იღებს XX საუკუნის პირველ ათეულში ფანტასტიკური უანრის ლიტერატურისგან. ამ ციკლის ფილმებში დომინანტია მითოლოგიური, ზღაპრული სიუჟეტი, რომელსაც ბევრი აქვს საერთო ისტორიულ-სათავეადასავლო რომანთან. ფერტეზის გმირები არიან დრაკონები, გნომები, ურჩხულები... აქ ყველაფერი, მითის შეგასად, დაშვებაზეა დაფუძნებული, როგორც კი წარმოვიდგენთ, რომ ის, რასაც თვალს ვაღევნებთ ფიქცია, ნაწარმოები თავის მხატვრულ ღირებულებას კარგავს. **ს ა შ ი ნ ე ლ ე ბ ა თ ა ფ ი ლ მ ი** – მთავარი მახასიათებელი: მაყურებელში შიშის გრძნობის გაღვივება, შიშის უშუალო განცდა. მასთან ძალიან ახლოს დგას ტ რ ი ლ ე რ ი , „Trill“ ინგლისური სიტყვაა და „ურუანტელს“ ნიშავს, მაგრამ განსხვავდა ისა, რომ თუ საშინელებათა ფილმი მთავარი შიშის უშუალო განცდაა, ტრილერში დომინანტი შიშის მოლოდინია;

**ფ ა ნ ტ ა ს მ ა გ თ რ ი ა** – მომდინარეობს ძველბერძნული სიტყვიდან და „მოჩვენებას“ ნიშავს. ეს არის ფილმი არამიწიერ, ზეციურ არსებებზე და ძალიან ახლოს დგას XX საუკუნის ფერწერაში ფართოდ გავრცელებულ აბსტრაქციონიზმთან. ზემოთ ჩამოთვლილი თითოეული ქვეჟანრის საერთო მახასიათებელია გამოგონილი რეალობის, ფიქციის რეპრეზენტაცია ფანტასტიკური ხერხებისა და სპეციფიკურის საშუალებით. სპეციფიკის „გამომგონებლად“ კი

კინოს ერთ-ერთი პიონერი, ფრანგი ფორუ მელიესია მიჩნეული, რომელმაც თავის მოკლემეტრაჟიან ფილმებში გამოკვეთა ის თემები, რომელებსაც მოგვიანებით არა ერთხელ შეხებია ევროპული და ამერიკული კინემატოგრაფი. კინოგრაფიკოსები მიჩნევენ, რომ ფორუ მელიესის პირველი ფანტასტიკური უანრის ფილმია „ეშმაკის გასაღები“ (1896), რომლის ქრონომეტრაჟი ორი წუთია, სიუჟეტი კი შემდეგი: ეკრანზე ადამიანი ქრება და ჩნდება.

ფანტასტიკური უანრის ფილმებით მაყურებლის დაინტერესებამ კიდევ ერთხელ ცხადყო ადამიანის სწრაფვა ყოველგვარი ამოუცნობისადმი. მართალია, კინოფანტასტიკის დიდი ნაწილი გასართობია და ინტელექტუალური მაყურებლის ინტერესს ვერ აგმაყოფილებს, მაგრამ არსებობს ამ უანრის კლასიკაც, რომელიც შეიქმნა ისეთი გენიოსების მიერ, როგორებიც არიან: სტენლი კუბრიკი (ფილმი „„ტომოსური ოდისეა – 2001 წელი“, რეჟისორმა სამუცნიერო ფანტასტიკა ერთგვარ ფასადად გამოიყენა, რომლის მიღმაც კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დიდი სიგიჟე – ხელოვნური ინტელექტი და მისი უარყოფითი მხარეები იმაღლება).

ვუდი ალენი გენიალური ფილმით „მბინარე“, რომელიც, ერთდროულად უანრის სატირაც არის და ერთ-ერთი აქტუალური პრობლემის რეპრეზენტირებასაც ახდენს: ადამიანის გაუცხოება თანამედროვე ინდუსტრიალურ სამყაროსთან კინოსურათის მთავარი თემაა; რომან პოლანსკი, რომელმაც ფანტასტიკურ უანრში ორი ფილმი შექმნა: „როზმარის ჩეილი“ და „ვამპირთა მეჯლისი“; ფანტასტიკური უანრის კლასიკოსად, „კინოს სტივენ კინგად“ აღიარებული სტივენ სპილბერგი, რომელმაც სათავეადასავლო-მისტიკურ-ფანტასტიკური ფილმებით კინოეპოქა შექმნა; 70-იანი წლების საკულტო რეჟისორი ჯორჯ ლუკასი, გახმაურებული „გარსკლავური ომებით“, რომელმაც ფილოსოფიურ-ფილოლოგიური სამუცნიერო ფანტასტიკით გაითქვა სახელი, რეჟისორმა ვიზუალური ხერხების საშუალებით ახალი რეალობა შექმნა. ამასთანვე მოხდა პირველი როლთა გაცვლა სქესთა შორის: თუ 30-იანი 50-იანი წლების კინოფანტასტიკის მთავარი გმირები მამაკაცები იყვნენ, „ვარსკვლავურ ომებში“ სიგურნი უვერის გმირი საპირისპირ სქესის ერთგვარი რისხვა ხდება. აქ ქალი თავდამსხმელია, მამაკაცი კი შეხვერპლი, რაც, ბუნებრივია, 60-70-იან წლებში ფემინისტური ორგანიზაციების უდიდესი პოპულარობითა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის ზრდითა გამოწვეული; 80-იანი წლების

ერთ-ერთი წარმატებული რეჟისორი ჯეიმს კამერონი, რომელმაც „ტერმინულის“ სერიებით საკმაოდ სერიოზული მეტაფორა შექმნა: ხელოვნური და ბუნებრივი ინტელექტის დაპირისპირება, რომელიც თანამედროვე ციფრიზაციის ერთგვარ სიბოლოდაც კი აღიქმება; ინტელექტუალური კინოს მწვერვალადაა მიჩნეული ანდრეი ტარკოვსკის ორი ფილმი: „სოლარისი“ და „სტალკერი“, რომლებიც ფანტასტიკურ ჟანრშია გადაწყვეტილი.

ამ ფელაფრის პარალელურად არსებობდა ფილმიდან ფილმში მექანიკურად გარდამავალი ბანალური სიუჟეტები, რომელთა ტალღა 30-იანი წლების დასაწყისიდან აგორდა და დღემდე აქტუალურია, იმდენად აქტუალური, რომ ზოგჯერ სხვადასხვა ათწლეულში ერთი და იმავე ფილმის რემეიკიც კი იქმნებოდა, მაგალითად: „დრაკულა“ – ბრებ სტოკერის ამავე სახელწოდების გახმაურებული რომანის ეკრანიზაცია. რომანის მთავარ ღირსებად უნდა ჩაითვალოს ის ფაქტი, რომ მან შეუწყო ხელი შექმნილიყო ქრესტომათიული სახე არისტოკრატი ვამპირისა, რომელიც შავ ღლაბადასა და „შლაპაშია“ გამოწყობილი და დამდამბით სისხლს სწოვს ადამიანებს. მეორე პოპულარული სიუჟეტი იყო მერი შელის გოთიკური რომან „ფრანკენშტაინის“ ეკრანიზაცია. ასევე, „კინგ კონგი“, „უჩინარი ადამიანი“, „მუმია“ და სხვ. ...

80-იან წლებამდე ეკროპული და ამერიკული კინოფანტასტიკა მკეთრად იმიჯნება ერთმანეთისგან. ეკროპული ფანტასტიკა უფრო დაცვეწილი, ინტელექტუალური, მრავალპლასტური და მხატვრული თვალსაზრისით უფრო მეტად ღირებულია, მაშინ, როდესაც თუ მცირე გამონაკლისებს არ ჩავთვლით, ამერიკული კინოს მთავარ საზრდოს მოზარდით თაობისთვის განკუთვნილი საჭურნალო და საგაზეთო კომიქსები წარმოადგენს, რომლის მთავარი გმირები არიან: სუპერჰერო, ბერტმენი, ნაიტერი და სხვა არამიწიერი არსებები და მითოლოგიზირებული გმირები.

გერმანული კინოექსპრესიონიზმისთვის ფანტასტიკა პოლიტიკური მეტაფორა ხდება, ფრანგული კინოკანგრძლისთვის – ექსპერიმენტების, შემოქმედებითი ძიებებისა და ახალი კინოენის ფორმირების მცდელობა, უან კოკტო ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური მოტივების რეპრეზენტაციას ახდენს მითოლოგიურ ტრილოგიაში „ურჩხული და მზეთუნახავი“ (1948), „ორფეოსი“ (1950) და „ორფეოსის ანდერძი“ (1960). ფრანგულმა „ახალმა ტალღამზ“, კერძოდ, საკულტო რეჟისორმა უნ ლუკ გოდარმა ფილმით „ალფავილი“ ტირანი მმართველისა და

კომპიუტერული ტექნიკის საშუალებით მართული სამყაროს მოდელი შემოგვთავაზა, სადაც ყველაფერი ადამიანური უარყოფილია, აქ დანაშაულად არის მიჩნეული რომანტიზმის ყოველგვარი გამოვლინება, პოეზია, სიკარული... მთავარი გმირი კი ყველაფრის შეცვლას დიქტატორის ქალიშვილის, ნატაშას დახმარებით ცდილობს; ფრანსუა ტრიუფომ კი ფილმით „4500 ფარგნებით“ გვიჩვენა, როგორ ანადგურებს ტელევიზია წიგნის კითხვის სურვილს. აათიური, გაუცხოებული სამყაროს შექმნა ფანტასტიკური ხერხების საშუალებით ორივე რეჟისორს ბრწყინვალედ გამოუყიდა.

80-იანი წლებიდან ეკროპული კინოს კრიზისი იწყება, მართვის სადაცებს ხელში პოლივუდი იღებს, ევროპელი კინორეჟისორების დიდი ნაწილიც პოლივუდში გადადის და იქ განაგრძობს მოღვაწეობას.

90-იანი წლებიდან კინოში აქტიურად იჭრება კომპიუტერული ტექნიკა, რომელიც ახალი სუბჟანრის, კიბერ-პანკის დაბადებას განაპირობებს. ეს არის ფილმები შორეულ მომავალზე, სადაც მთავარი პრობლემა პოსტ-ინდუსტრიული ანტიუტოპიაა, რომელიც მომავალ საზოგადოებას აღწერს, როგორც ქარიშხლიან სოციალურ-კულტურულ ცვლილებებს შეწირულ და სულიერად დასახირებულ კასტრას, სადაც სელოგნური არსებები – რობოტები, მანქანები, მონსტრები – თავანთი შექმნელის წინააღმდეგ გამოღიან. კიბერ-პანკში მთავარი კომპიუტერული გრაფიკის საშუალებით შექმნილი რეალობაა. ამავე პერიოდში ჩნდება ნეოგოტიკური, აპოკალიფური და პოსტ-აპოკალიფური სიუჟეტები. ნეოგოთიკა აგებულია კლასიკური გოთიკური რომანის სტილში, რომელსაც კომპიუტერული გრაფიკა სრულყოფს. აპოკალიფური და პოსტ-აპოკალიფური სიუჟეტები კი საუკუნის ბოლოსთვის, 2000 წლის მისადგომებშია აქტუალური.

სიტყვა ჟანრი ფრანგული წარმოშობისაა და „გვარს“, „ტიპს“ ნიშნავს. კინოფანტიკის ერთ-ერთი მძღვანი ჟანრია ხელოვნების ყველაზე ახალგაზრდა დარგისა, რომელმაც თავისი არსებობის მანძილზე ურთულესი გზა გაიარა. იყო სტერეოტიპული, ექსპერიმენტული (ერთ-ერთ მთავარ ექსპერიმენტად უნდა ჩაითვალოს 30-იან წლებში კინოში ხმის მოსვლის შემდეგ შექმნილი დეივიდ ბატლერის მიუზიკლი „მხოლოდ წარმოიდგინო“, რომელიც მიუზიკლთან ერთად ფანტასტიკის ელემენტებსაც შეიცავს); ნოვატორული, გამაღიზანებული, აგრესიული, ზოგჯერ იაფენასიანი და ზოგჯერ ინტელექტუალური, მაგრამ ძალან საინტერესო და ყოვლისმომცველი.

## სამაგისტრო პროგრამა

### თანამედროვე კინოთმორჩიები და პრიტიცები

სამაგისტრო პროგრამა კინომცოდნეობაში (MA in Film Studies) თანამედროვე კინოთმორჩიები და კრიტიკიზმის განხრით გამიზნულია მოამზადოს კინომცოდნე, რომელიც იცნობს თანამედროვე ტენდენციებს მსოფლიო კინემატოგრაფში, ფლობს თანამედროვე კინოკვლევის მეთოდებს და შეუძლია მათი გამოყენება კონკრეტული კინომოვლენის ანალიზისას. პროგრამის აქტუალობა განისაზღვრება იმ ვითარებით, რომ საბჭოთა კინომცოდნეობა არსებული პოლიტიკური ვითარების გამო წლების განმავლობაში მოწყვეტილი იყო მსოფლიო კინომცოდნეობაში და კულტუროლოგიაში მიმდნარე პროცესებს. საბჭოთა კინომცოდნეობა კინემატოგრაფიულ პროდუქციას ძირითადად იყვალევდა თემატურ-სიუჟეტური და იდეოლოგიური კუთხით, ნაკლებად შეისწავლიდა კინემატოგრაფიული ქნის სტუკიკას, სტრუქტურას, რეცეპციის კანონებს და ა.შ.

პროგრამის მიზანია სტუდენტს გააცნოს კულტურის სფეროში მიმდინარე გამოტოვებული ეტაპები, უფრო გაღრმავებულად შეასწავლოს კინოს თანამედროვე თეორიები და მასზე დაფუძნებული ფილმის კვლევის მეთოდები ზოგად კულტურულ კონტექსტში.

კურსის გასრულების შემდეგ მაგისტრი გაეცნობა კულტურის სფეროში არსებულ ყველა ძირითად თეორიას, რომელიც შეისწავლის კინემატოგრაფს; შეეძლება ამ თეორიებზე დაყრდნობით ზოგად კულტურულ კონტექსტში განათვალის ესა თუ ის კინონაწარმოები და მიღებული თეორიული ცოდნა გამოიყენოს კონკრეტული კინონაწარმოების ანალიზისას; მიღებული ცოდნის საფუძვლზე კურსდამთაკრებულს შეუძლია იმუშაოს ტელევიზიებში, კინოწარმოებაში რედაქტორად, უერნალ-გაზეთებში, ინტერნეტ გამოცემებში კინოკრიტიკოსად, კინოურნალისტად, მაგრამ ამავე დროს, კურსის თეორიაზე უპრატის როინტაციის გამო გააგრძლოს სწავლა დოქტორანტურაში და ჩამოყალიბდეს კინოს (და ზოგად კულტურის) მკვლევარად და უმაღლესი სკოლის პედაგოგად

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი,

ასოცირებული პროფესიონალი მანანა ლეკბორაშვილი

რუსულან პაპუნაშვილი  
მაგისტრატურის II კურსი,  
ხელმძღვანელი პროფ.: მანანა ლეკბორაშვილი

### ჩალის რეანიზაცია ფრანგისტული ესპანეთის პრიორის კინემატოგრაფი

ესპანეთის კინემატოგრაფიის ისტორიაში მეტად მნიშვნელოვანი პერიოდია სამოქალაქო ომის (1936-1939) შემდგომი წლები. პირველ ეტაპს, რომელსაც მე განვიხილავ (1939-1943) ახასიათებს ნაციონალურისა და ფლობლორული უნიტების შერწყმა, რაც უკვე არსებობდა რესპუბლიკის იმდროინდელ მუსიკალურ და ტრადიციულ (costimbrista) „ესპანიზმებში“.

არ არსებობს კინოზე უფრო პოპულარული და პედაგოგიური ხერხი ნაციონალური იდეების გასავრცელებლად. ომის შემდგომ კინოპროდუქციას, რომელიც CIFESA-ს მიერ სახელმწიფოს პატრონაჟით იმართება, მკეთრად გამოხატული პროპაგანდისტული ფუნქციები აქვს. CIFESA 1932 წელს ვალენსიაში ფუნქციება და მისი მიზანია „გააესპანუროს“ 30-იანი წლების კინო, განამტკიცოს რასობრივი გამორჩეულობის გრძნობა და გააღრმავოს პატრიოტიზმი. ეს არის პირველი მცდელობა პოლიტიკის მაგალითზე დაყრდნობით მოწესრიგდეს სმოვანი კინოს ინდუსტრია. პოლიტიკურად ის კინემატოგრაფიულთა და მემარჯვენეთა ფრთის იდეოლოგიურ ინტერესებს ექვემდებარება.

CIFESA-მ მუსიკალური უნიტის „ესპანური სტილი“ გადაქცია ავტონომიურ დამოუკიდებელ უანრად და წინ წამოსწია რასობრივი ღრმებულებები, ეროვნული წეს-ჩვეულებები და ფლობლორი. ესპანური რესპუბლიკის წლებში CIFESA-ს კინემატოგრაფიული პროდუქცია თითქმის მთლიანად შემოიფარგლებოდა კომედით და სოფლის დრამით, რომელთაც, გამონაკლის გარეშე, აერთიანებთ შემდეგი ელემენტები: რელიგია, ისტორიული იდილია კლასებს შორის და ისეთი არქაული მორალური ნორმები, როგორიცაა ღირსება – ტრადიციულად, მისი მატარებელი ქალია. ესპანურობა ქალში ისხამს ხორცს, ის ტრადიციებისა და ერთობას, რასობრივი სიტუაციების ასახიერებს.

იმ ესპანეთში, რომელიც „დიად ეროვნულ მოძრაობაში“ იკვეთება, პოლიტიკური იდეები აღმოცენდება მხოლოდ ერთიან და დიად

სამშობლოს იდეალუბზე. ეგროპული ფაშისტური დოგმების მსგავსად, ესპანეთშიც იდეილოგიური შეთავაზება ემყარება „ესპანიზმის“ ცნების ხელახალ განსაზღვრას, იმპერიული წარსულის ფალსიფიკაციასა და ყოველივე იმის დათრგუნვას, რაც ნაციონალური გრძნობების შეურაცხოფად ითვლება. ნაციონალისტურ-სინდიკალისტური სქემა სამ ძირითად კანონს გამოყოფს: ოჯახი, მუნიციპალიტეტი – სინდიკატი და ისტორიული წყობა, რომლის მამოძრავებელი ძალაც არის სამშობლო და ეკლესია. ეს სქემა იქცევა ესპანელი ერის სახელმძღვანელოდ დროსა და სივრცეში: „ესპანეთითა და ესპანელობით სიმაყე მაშინ დაგეუფლებათ, როდესაც სრულად გააცნობიერებთ ჩვენი ხალხის მეორ განხორციელებულ მისიას წარსულში, და იმას თუ რა აქვს მას გასაკეთებელი მომავალში“ (ციტ. სანჩეს ლოპესის ნაშრომიდნ: „ესპანელი ქალი, ბედის აჩრდილი“).

კინოს „გაესპანურების“ პროექტს მიღწევებიც აქვს ამ პერიოდში მოღვაწე რამდენიმე რეჟისორის წყალობით. ფილმებმა „არაგონელი თავადაზნაურობა“ (1935) და „შვევერემანი კლარა“ (ან „მორენა კლარა“, 1936), რომლებიც რეჟისორმა ფლორიან რემ გადაიღო, წარმოუგენერალ პარაულარიას მიაღწია, როგორც თამაშე, ასევე ომის შემდეგ. რასობრივი გამორჩეულობა როდევ ფილმში ქალის ფიგურაშია ჩადებული. არაგონელი ქალის და ბოშა ქალის უბიწოება და სოციალური ღირსება კოლექტიურად არის განხილული, შემდგომ კი საჯაროდ შეწყნარებული ეკლესიის მიერ. ასევე მნიშვნელოვანია ფლორიან რეის ფოლკლორული დრამები: „დოლორესი“ (1940), „დაწყევლილი სოფელი“ (1942) და „ოროსია“ (1940).

მძღინით ვნახოთ, როგორ შეიძლება ფლორიან რეის „დოლორესი“, „დაწყევლილი სოფელი“ და „ოროსია“ განვხილოთ ნაციონალისტური მოდელის ვარიანტებად. „დოლორესში“ არაგონიზმი, აღფრთოვანების გამომწევები დაკრაცია და რასობრივი გამორჩეულობა მთელი ესპანეთის თავადაზნაურობას ნიშნავს; ქალის ღირსებაში მთელი ერის ღირსებაა ჩატეული. დოლორესს არც მშობლები ჰყავს, არც ოჯახი და არც სახლი აქვს; იგი მარტოდ ხეტიალობს, არის დამოუკიდებელი და ინარჩუნებს უფლებას თავად აარჩიოს თავკინის მცენებები და მთხოვნელები.

ფილმის პირველი ნახევარი ქალის დამოუკიდებლობის მოთხოვნის გარკვეული ინტერპრეტაციაა. ერთ-ერთმა მისმა განაწყენებულმა თაყვანის მცენებით „თუ წახვალთ კალატაიუდში/

დოლორესი იკითხეთ/ რომელიც ძალიან კარგი გოგოა/და ძალიან დამთმობია“, ეჭვევეშ დააყენა დოლორესის ღირსება. ქალი ეშმაკიბით, სიმტკიცითა და მახის დაგბით იგებს, ვინ იყო ჩირქის მომცხებ კუპლეტზე პასუხისმგებელი და საჯაროდ ითხოვს ღირსების აღვენას. ღირსების აღდგენა დოლორესის პირადი ინიციატივით, რელიგიური ზეწოლის გარეშე მოხდა. მაგრამ ქალის ძალაუფლება ამით მთავრდება.

ფილმის მამაკაცი პერსონაჟების ანდაზებსა და გამოთქმებში იკვეთება ფრანკოს პერიოდის პატრიარქალური და ქალთმოტულე ხასიათი, რომელიც აქარწყლებს მთავარი გმირის მოჩვენებით დამოუკიდებლობას და პრაქტიკულად იმავე ფუნქციას ასრულებს, რასაც რელიგიური სამსჯავრო. ასეთი მაჩისტური აზროვების წარმომადგენლები თავს უფლებას აძლევენ გამოიყენონ ხალხური გამოთქმები და სიმღერები ქალის დასამცირებლად შემდეგი სიტყვებით „ქალი და ღვინო კაცს ჭკუას აკარგვინებენ“, „არსებობს ქალის ორი სახეობა: ცუდი და უარესი, არა აქვს მნიშვნელობა გათხოვილა თუ არა“, „საყვარელ ქალებს კაცები ჩირქეს სცხებზე“, და ა. შ. ამიტომაც „დოლორესში“ სიტყვები: „არავინ მიყვარს და არც კი ვიცი რა არის სიყვარული“ და „შემიწყალე შენ, ჰილარის ღვთისმშობელი“, – არ არის საგმარისი ხალხის წინაშე ღირსების დასაცავდ. ეს ღირსება საჯაროდ უნდა იქნეს აღდგენილი ისევ მხოლოდ მამაკაცის მიერ ღვესებისა და საკარნავალო ფარისის მეშვეობით.

სურათში გაზუალური ასპექტი და სტერეოტიპული რეგიონალიზმი (კოსტიუმები, დიალექტი, ხოტა – ესპ. ცეკვა და სიმღერა) სოფლის გარემოშია ჩარჩენილი. მასში (როგორც ეს მოგვანებით ხუან დე ორდუნიას „არაგონელ აგუსტინაში“ მოხდება) ხოტა სამშობლოს არსის გამომხატველია. ფილმში ერთ-ერთი ხოტის შესრულებისას ასეთ სიტყვებს ვისმენთ: „როდესაც არაგონში ხოტას მღერიან. ხოტა არ არის ხოტა არამედ დედა და სამშობლო.“ დოლორესის რეპუტაციაც (გამოხატული სხვა ხოტის სიტყვებში), არის მშობლიური არაგონის რეპუტაცია, უფრო ზოგადად კი, მთელი ესპანეთის რეპუტაცია: „არაგონის უპირატესობაა მისი ქალების პატიოსნება და მთელი ხალხის ღირსება“.

ხოტაში გაყდერებული სიტყვები აღადგენებ დოლორესის ღირსებას, ამკობენ მის ქალურ პატიოსნებას და მხოლოდ ფილმის ბოლოს ამხელენ და კიცხავენ ცილისმწმებლურ ხასიათს. „დოლორესის“ მიმართ შეიძლება გამოითქვას ისეთივე კრიტიკული შენიშნვა, რაც

ესპანელმა მწერალმა და ისტორიკოსმა, რომან გუბერნმა მისი წინამორბედის „არაგონელი თავადაზნაურობის“ განხილვისას თქვა: „...პურიტანიზმი და სქესობრივი რეტროგრადობა იმ ქალთა რეალობადაა დასახული, რომელთა თანამოაზრეც თავად ფილმია და ყოველივე ეს მჩჩულია ნორმალურ და სამაგალითო მოვლენადაც კა“. 1943 წელს ფლორიან რეის „ოროსია“ იმეორებს „დოლორესის“ ზოგიერთ შინაარსობრივ და ფოლკლორულ დებულებებს. მოქმედება ვითარდება მე-20 საუკუნის დასაწყისში, ესპანეთის ერთ-ერთ პატარა სოფელში. ოროსია და ელოი ახალგაზრდა შეყვარებული წყვილია, რომელიც დაქორწინებას აპირებს, მაგრამ ქორწინება არ შედგება დატრიალებული ტრაგედიის გამო – ოროსიას საქმროს მისი თავაგნისმცემელი უკლაგს. ქალი გადაწყვეტს შერი იძიოს სატრფოს მკვლელზე.

სურათში თხრობა და ქალის პერსონაჟი მერყეობს პატრიარქალური არსის დარღვევასა და მისთვის დაქვემდებარებას შორის. ოროსია თავისი პრობლემების გადასაჭრელად, ისევე როგორც „არაგონელი თავადაზნაურობისა“ და „დოლორესის“ პერსონაჟები, ცდილობს იყოს დამოუკიდებელი, ურყევი და პატიოსანი. ქალის სასიათის ამ სტატისტიკური ელემენტების (სტერეოტიპებად ქცეული არქაიზმი და რეგიონალიზმი) ესთეტიკა კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ოროსიას, როგორც გარდამავალ შემაურთებელ რგოლს ტრაგიკულ გმირსა და ქრისტიანულ მოწამეს შორის.

„ოროსია“ ხოტბას ასხამს სოფლის ადათ-წესების სიწმინდეს ზემო არაგონისა და პირენეების მაგალითზე: ეს რეგიონები წარმოადგენს ესპანურობის გეოგრაფიულ და სიმბოლურ საზღვარს, რომელიც გამოყოფს და იცავს მას უცხო ელემენტების შემოჭრისაგან. უკრნალში „პრემიერ პლანი“ თავის სტატიაში ფლორიან რეი სხინის, თუ რატომ აირჩია ეს გეოგრაფიული ადგილი: „ზემო არაგონი... განსაკუთრებული სამყაროა, იგი შეუვალია, მისთვის უცხოა ყოველგვარი ზეგავლენა. ცხოვრება აქ თითქოს შეჩერებულია და წინაპართა სახები ბატონობენ, ცხოვრების წესი პატრიარქალურია, მარტივი, ხალხი მეცხოველებას მისდევს.“

უკრნალ „პრემიერ პლანის“ 1944 წლის მონიგრაფიულ ნომერში, რომელიც მთლიანად დაეთმო „ოროსიას“ პრემიერას, ერთ-ერთი კრიტიკოსი სხინის პერსონას სიმბოლურ მნიშვნელობას ამ ფილმში: „ოროსია“ არის ძველი ხალხური შეძახილი: „პირენეები ისევ

არსებობენ!“, რომელმაც ესპანურ კინოში შეისხა ხორცი. ის უპირველეს ყოვლისა არის ნაციონალური ფილმი, იმიტომ რომ ეს არის პირენეიული ფილმი. ხოლო ესპანეთი, ვაღიაროთ ერთხელ და სამუდამოდ, პირენეებით იწყება... „ოროსია“ ეს არის ესპანური კინის საზღვარი... „პირინეები ისევ არსებობენ“, „ისევ არსებობს რასის საკურთხეველი!“ (ციტატა სანჩეს ვიდალის ნაშრომიდან „ფლორიან რეის კინო“).

ოროსია პირენეულ გარემოსან არის შერწყმული. ის ანსოფანოს რეგიონალურ კაბაში გამოწყობილი, ზემო არაგონის ტრადიციებსა და ფოლკლორის სიმბოლოა. ის თავისუფალია მამაკაცის კონტროლისაგან, თავს თავად ირჩენს, უყვარს მწყემსები და მოჯამაგირები, სოფლის ბოლმასა და ჭორებზე მაღლა დგას. „ოროსიას“ ორიგინალობა იმაშია, რომ აქ სიუჟეტის მამოძრავებელ ძალას ქალის შერისძიება მისი საბოლოოდ სიკვდილით მთავრდება. ფილმის ბოლო კადრებში ჩვენ ვხედავთ ოროსიას, რომელმაც უკვე იმა შეური და რომელიც მიეშურება სასაფლაოზე, სადაც მისი საქმროა დაკრძალული. ოროსია უცემა თავისი რჩეულის, ელიოს საფლავზე. იგი კვლავ ქალწულია, რაზეც საპატარძლო თეთრი კაბა და თავსაბურავი მეტყველებენ.

ფინალურ სცენაში ვხედავთ ელიოს საფლავის ქვის გვერდით ახალ ქვას, რომელზეც ამოტვიფრულია ოროსიას სახელი. შეყვარებულთა გარდაცვალების თარიღებს შორის ექვსი წლის შეულები მიგვანიშნებს იმაზე, რომ სწორედ ეს დრო დასჭირდა ქალს შერისძიების განსახორციელებლად. მოუხედავად იმისა, რომ სურათში არ არის დროის გასვლის ვიზუალური ნიშნები, სცენარი დამაჯერებლად ამართლებს მთავარი გმირის „დალატს“ თავისი რჩეულის ხსოვნისადმი. სიკვდილის ქვაზე ამოტვიფრული თარიღი გამორიცხავს თვითმეცნიელობას ან შემთხვევით სიკვდილს, რაც გადასქცევდა მას ტრაგიკულ გმირად. ის არის მსხვერპლი ბედისა, რომლის გაკონტროლებაც არ შეიძლება. ასეთი ფრნალით ისღა დაგვრენია, მივიღოთ ოროსიას სიკვდილი, როგორც მსხვერპლშეწირვა, რადგანაც ის არის ხალხის დირსების მატარებელი და მას ხვდა წილად პასუხისმგებლობა – ეპოვა სამართალი. ოროსიას მსხვერპლშეწირვა რეჟიმის წარმომადგენელთა ბრტყელ-ბრტყელ სიტყვებს გვაფონებს: „ესანედი ქალი სუფთა, ქრისტიანი და კეთილი, დაჯილდოებულია მსხვერპლშეწირვის უზარმაზარი უნარით, ის არის ჩვენი სამშობლოს საუკეთესო ტრადიციების ღვთაებრივი საცავი“

(აღოლფო მაილი, ციტ. სოპენია მონსალვე). მისი შურისძება სამშობლოს სამსახურს გაუტოლდა, ხოლო სიკვდილმა იგი წმებულებს გაუტოლა და მისი უკანასკნელი დანიშნულებაა შეუერთდეს გარდაცვლილ სატრფოს.

ფრანკისტული სოციალური წყობა იცავს იმას, რასაც საჩეს ლოპესი „გააფორებულ ოჯახურობას“ ეძახის და რაც ეფუძნება „ქალის კუთხილებას სახელმწიფოსადმი (დედა/ოჯახი/ერი)“; „ქალთა საჯარო ერთობის წესდების“ შექმნას“, რომლის უარყოფაც არ შეიძლება, ის უნდა მთიღონ და განიცადო“. ეროვნული მენტალიტეტის გადამცემი დედა არის ის მთავარი გმირი, რომელსაც ზეობრიობის მცველის უზქეციები აკისრია.

ეს დებულება წარმოდგენილია „დაწყევლილი სოფლის“ (1942) ხმოვან ვერსააშიც (ფლორიან რეის „დაწყევლილ სოფელი“ 1930 წელსაც აქვს გადაღებული). მასში კონცენტრირებულია და უკიდურესობამდევა მიყვანილი ისტორიული ანაქრონიზმი, პერსონაჟების სტერეოტიპიზაცია, ხასიათები და სანახაობრივობის იკონიზაცია, ქალის სიმბოლური და აღეგორიული მნიშვნელობა, რაც აქამდე „დოლორებში“ და „ოროსაიაშიც“ იგრძნობოდა, მაგრამ ამჯერად რეიისორი კონკრეტული პილიტიკური და რელიგიური პროგრამით ხელმძღვანელობდა: არ დაქმათ სოფლიდან მოსახლეობის მასობრივი მიგრაცია და აღედგინათ ნაციონალ-კათოლიკური ესპანეთის ღირებულებები.

„წყეულ სოფელში“ წინ არის წამოწეული კასტილიური ღირსების ტრადიციული თემა, რათა წარმოჩენილ იქნას „ესპანეთის ისტორიის პარაბოლა უახლესი მოვლენების ჭრილში“ (სანჩეს ვიდალი). სოფლიდან ქალაქში გადასახლების გარდაუვალობის ფონზე დედა ვალდებულია დარჩეს სოფელში, როგორც გეოგრაფიული კუთვნილების ობიექტი და როგორც სოფლისა და კრის უწყვეტი სიმბოლო. ასეთი ქალისათვის აკრძალულია ზოგიერთი მისი თანამედროვე კინგმატოგრაფიული „კოლეგის“ აქტიურობა და მობილურობა. როდესაც იგი განაცხადებს: „მეც მაქვს უფლება ვიშრომო ჩემიანებისათვის“ პასუხად პატრიარქისგან მიიღებს მკახე „ხმა გაიმინდე“-ს, რაც მასაც და ჩვენც შეგვახსნებს, რომ ის მხოლოდ უხმო სიმბოლოა. ცაცია აღარად აგდებს ქმრის ბატონობას, გადაუხვევს მისივის განკუთვნილი გზიდან და ტოვებს სოფელსაც, ოჯაზერ კერასაც, შვილსაც (რომელიც პატრიარქალური ხაზის გამგრძელებელია) და საბოლოოდ ქალაქის ერთ-ერთ ბორდელში აღმოჩნდება. არსებული

წესრიგის დარღვევა და სამშობლოსათვის ღირსების აქრა პატრიარქის სამაგალითო დასჯას და რელიგიურ მონანიებას ითხოვს.

აკაცია, ასე ჰქვია მთავარ გმირს, გზას აცდენილი ქალი და ცუდი დედა, არის მიზუზი იმ წყევლისა, რომელიც სოფელს აწევს და, სიმბოლურად, მიზეზი სამშობლოს შესაძლო დაცემისა. სამაგალითო დასჯა მდგომარეობს საგარეულო სახლში (სამშობლოში) ჩაკეტგასა და იზოლირებაში. მას ეკრძალება ხმის ამოღება შეიღის თანდასწრებით და სოფლიდან გადასახლება. რელიგიური მონანიება ითვალისწინებს ქრისტიანულ გვემას, რის შემდეგაც შესაძლებელია შენდობა. ფეხშიშველი მოხეტალე დედის სახებაზე ფლეშბექით დადებულია წარსულის მოვლენები, რომლებშიც იკვეთება ცოდვის გააზრება, სინაული და მონანიება.

ქრისტიანულმა იკონოგრაფიამ დასკვნით სცენაში სრულიად ჩაანაცვლა რეგიონალური ფოლკლორიკა: ქალი ბრუნდება სოფელში, რათა პატრიარქის შეწყალება სთხოვოს. პატრიარქი მას წყლულებან ფეხებს განანას, როგორც ეს გააკეთა ქრისტემ მაგდალინელთან მიმართებაში. ამის შემდეგ იგი აბრუნებს აკაციას ოჯახში. ეს ფინალური სცენა ქვაში ამოტივიფრულივით რჩება მეხსიერებაში.

1942 წელს გადაღებული „დაწყევლილი სოფელი“ არის ზუსტი მაგალითი იმისა, თუ როგორ გადაწერა და მიუსადაგა ფლორიან რეიმ რესპუბლიკური კონსერვატიულობა ნაციონალურ-კათოლიკურ დებულებებს. ის, რაც 1930 წლის მუნჯი კინოს ვერსააში ვიზილეთ, იყო პიროვნული გრძნობები და ვნებები, ხმოვან ვერსააში ჩვენ ვხედავთ არქეტიპებს, ფრანკისტული რეჟიმისთვის მისაღებ სანიმუშო ღრიებულებებს. „დაწყევლილი სოფლის“, „ეროვნული მნიშვნელობა“ მაშინვე იქნა აღიარებული კრიტიკოსების მიერ. იგი შერაცხეს როგორც ფრანკისტული ეპოქის ყველაზე გამომსახველობითი და მნიშვნელოვანი ფილმი.

სოფლის სასწაულებრივი გათავისუფლება მხოლოდ მაშინ გახდა შესაძლებელი, რაც მოღალატე ცოლმა მოინანია ცოდვა. მან გმირულად აიტანა ქმრის, შეუვალი დიქტატორის, სამაგალითო სასჯელი. მოღალატე ცოლი – ისევე როგორც დეკადენტური ეპოქის გზასაცდენილი ესპანეთი, განიბანა ცოდვებისაგან, შეწყდა მასიური მიგრაციის ბნელი ტალღა და სოფლის (კასტილიის, ესპანეთის) თავზე მზის სხივები გამოჩნდა.

1942 წელს გამოსული ხოსე ლუის საენს დე ერედიას ფილმის „რასა“ სცენარი თავად ფრანკომ დაწერა, ფსევდონიმით ხამე დე

ანდრაძე, ის წარმოაჩენს ოჯახს, როგორც ფრანგისტული ერის, ნაციის მეტაფორას და დედობრივ თვითგანწირვას მამის სიკვდილის შემდეგ. ოჯახური წესრიგის შეუცვლელი საყრდენი არის დედა, გაიგვეული დედასაშობლოსთან, რომელიც ორ შვილს, სუასა და ხოსეს შორის იხლიჩება. ორივე შვილი ესპანელია, მაგრამ სამკვდრო-სასიცოცხლოდ ებრძის ერთმანეთს; დედა გაიგვებულია ქალწულ მარიამთან, ხოლო მისი ხოსე, გაიგვებული იქსოსთან წითელ ბარბარისთა შსხვერპლი ხდება, დედის სამშობლოს შეძლება სამშობლოს აქტიური დამცველები ხდებან სამშობლოსათვის წამებულის ქვრივი და მისი რძალი. ისინი შესაძლებელს ხდიან ხოსეს აღდგომას და შესაბამისად, მისი ძმის ხუნის პოლიატიკურ ხსნას. ამ ორი ფილმის ჰერმეტული სტრუქტურა არ იძლევა საშუალებას გასცდეს ქალწულ სტერეოტიპს: დედა-დედოფალი-წმინდა ქალწული. „რასა“ და „ამერიკის განთადი“, ალბათ, ყველაზე თვალსაჩინო ნიმუშებია ფრანგიშმის მიერ ისტორიის გადაწერისა.

ამ პერიოდის ისტორიულ სურათებში უხვადაა წარმოდგენილი რეალური თუ გამოგონილი პროტაგონისტი ქალები. ამ ფილმების მიზნია აღადგინოს წარმოსახვითი შიდა იმპერიალიზმი, რაც იქნებოდა კომპენსაცია გარე, გაოგრაფიული იმპერიისა, რომელიც საბოლოოდ დაშალა. ასეთი ფილმების ჭარბსიტყვიანობა და გახევბული ესთეტიკა ტოლს არ უდებს რეჟიმის რიტორიკას იმპერიის აღდგენის შესახებ ან სამშობლოს დაცვაზე გარეშე მტრისაგან. ისაბეჭ კათოლიკე, იმპერიული ორწევრის (რწმენის სიწმინდისათვის ბრძოლა და დაპყრობა) სიმბოლო, უკვდავყოფილია ხუან დე ორდუნიას ფილმში „ამერიკის განთადი“ (1951). იგი ხურავს ხუან დე ორდუნიას ისტორიული ფილმების ციკლს და იმავდორულად წარმოადგენს CIFESA-ს კრიზისისა და დაცემის დასაწყისს.

კასტილის დედოფალი არის ხატება, რომელიც აერთიანებს რასას, რწმენასა და იმპერიულ მომავალს: „იგი ესპანელი ერის მფარველია, კეთილშობილი ერისა, რომელიც ახალ სამყაროში უნდა გადაინერგოს და განიწმინდოს მავრებისაგან.“ აღსანიშნავია ამერიკიდან დაბრუნებული დედოფლის სიტყვა: „ჩვენ იქ ჩაგვაქვს კეთილშობილი სისხლი, რათა განვანათლოთ ესპანეთის ორი კეთილშობილური ოჯახი. ზღვის, მანძილისა და დროის მოუხდავად ჩვენ ყოველთვის გაგვაერთიანებს ერთი რწმენა და ერთი ენა. ეს იქნება ყველა საუკუნის ყველაზე ლამაზი სასწაული“. კოლუმბის გეგმის წამოწყების ხელშესაწყობად საჭიროა არა მხოლოდ

დედოფლის ინტიმუციონალური და ეკონომიკური დახმარება, არამედ უბრალო გოგონას, ბეატრისის უანგარო სიყვარულიც, რომელიც მოთმინგბით იცდის, რომ გახდეს „დიადი ადამიანის ფერმერთალი აჩრდილი, რომელიც სულ თან დაპყვება, მაგრამ არ გაწუხებს.“ ქალების კეთილგონიერებისა და თავგანწირვის წყალობით გმირს ბოლომდე მიჰყავს წამოწყებული საქმე, როგორც შენიშვნა ისტორიკოსმა ფრანს ფანონმა, ქალი არის სიმბოლური შუამავალი იმ გმირობისა, რომელსაც სჩადის მამაკაცი, ქალი ჩდის შესაძლებელს პატრიარქატის ძალაუფლებას იჯახში, რაც რეპროდუქციონდება ძალაუფლების მილიტარიზაციასა და ცენტრალიზაციაში მთელი ერის მასტებამით.

ხუან დე ორდუნიას ისტორიული დრამები ერთი სქემის მიხედვითაა აგებული: ესპანეთის დაცვა უცხოელთა შემოტევისგან, იერარქიულობის კანონიერობა, მელოდრამატულობა და რაც მთავარია ქალის ხატი რომელიც წარმოჩნდილია როგორც სახე მთელი ესპანელი ერისა.

„სიყვარულისგან გაგიჟებულში“ კასტილიელი დედოფლის, ხუანას, რომელიც შემლილის ზედმეტსახელით არის ცნობილი, კასტილიური ხასიათი და შეუპოვრობა, რომელიც მას მემკვიდრეობით ერგო დედისგან, კათოლიკე დედოფლისგან და კასტილიელი რაინდების იგივე თვისებები (ისინი იცავენ დედოფალს სიგიურის ბრალდებისაგან) სიუშეტურადაც და ვიზუალურადაც კონტრასტში მოდის ფლანდრიული კარისა და მისი მეთაურის ავსტრიის ერცჰერცოგის პოლიტიკურ კორუფციასთან. მას შემდეგ რაც ერცჰერცოგი დაქორწინდა დედოფალ ხუანაზე იგი გახდა ფილიპე I კასტილიელი. ფილმის პირველივე კადრებიდან მეუე წარმოდგენილია როგორც ავხორცი, ამბიციური, მექანიზაური და დადოფლის „შემლილობისა“. განსაკუთრებით ხაზგამულია ის, რომ იგი არის საშიში, რადგანაც ემსახურება უცხოელთა ინტერესებს და „საშიშროებს უქმნის კასტილიელი ხალხის დორსებას“. საშობლოს მტრები ფლანდრია და გრანადა (განსახიერებული ფლანდრიის მეფესა და მავრ ქალ აღდარაში) შეკრავენ მტრულ აღიანსს. აღდარა არის დედოფლის სრული ანტიპოდი არა მხოლოდ კასტილიურობაში, არამედ პატიოსნებაშიც. დედოფალ ხუანას (მსახიობი აურორა ბუტრისტა) მკაცრი ჩატულობა და საქციელი დაბრისპერებულია მავრ აღდარას (მსახ. სარა მონტიელი) გამომწვევობასა და უზოტიკერობას.

ერთი შხრივ, დგას დედოფლის სიკეთე და სულგრძელობა, ხოლო, მეორე მხრივ, მავრის სილამაზე და ბოროტება. აღდარა ფილიპე I-ის საყვარელი ხდება, ეს არის შეურაცხყოფა დედოფლისა, რომელიც

კასტილიის ღირსების მატარებელია. „მეფემ ღმერთის მტერთან მიღალატა, არ არსებობს მეტი შეურაცხყოფა ესპანეთის კათოლიკე დედოფლისა“,— ამბობს ხუანა. მისი ინდივიდუალურობა, შეუპოვრობა და ისტერიკა შეფასებულია როგორც „ავალმყოფობა“, გონიერივი აშლილობა და საბოლოოდ კი — სიგიჟე.

მისი სულიერი მდგომარეობა ჩატულობაზეც ასახება: დეკოლტებს, სამკაულებსა და მხიარულ ფლანდრიულ კაბებს ის ჩანაცვლებს მკაცრი კასტილიური კაბებთან, შავი თავსაბურავითა და ერთი ჯვრით კისერზე. დედოფალი მონაზენის კაბას იცვამს და დე ლა მოტას ციხე-კოშკში იკეტება. მაგრამ გარკვეული პერიოდის შემდეგ ხუანა ტოვებს ციხე-კოშკს და ცხენზე ამხედრებული მიემურება ფუნდუკისაკნ, რათა თავად დარწმუნდეს ქმრის დალატში. ამასთან ის ამჟავნებს თავის მგზებარე და დაუოკებელ ლტოლვას მეფის მიმართ, ეს კი მის კათოლიკურ რწმენასა და მკაცრ აღზრდას ეწინააღმდეგება.


კასტილიის კარზე იგი მაშინვე ამყარებს სუფთა ქალურ ურთიერთობებს სეფექალებთან, უპირისირდება თავის უცხოელ მეტოქეს, საბოლოო ჯამში კი, კასტილიის კარს, რათა დაცვას საკუთარი თავი და აიცილოს დატყვევება. შურისძიება მეფის დალატის გამო არის მამოძრავებელი ძალა, რაც აიძულებს დათმოს ქრისტიანული მორჩილება და მოითხოვოს თავისი უფლება გვირგვინზე. ეს ქმედება ღიად ეწინააღმდეგება თვითშეწირვის, მორჩილებისა და ქმრისადმი დაქვემდებარების რელიგიურ პრინციპებს, რასაც ფრანგისტული რეჟიმი და კათოლიკური ეკლესია თოხოვდნენ ქალებისაგან. მეფის სიკვდილის შემდეგ, რაშიც დედოფალი საკუთარ თავს ადანაშაულებს, ხუანა კვლავ გვევლინება ქალად, რომელიც ღირსებას, სამშობლოს სიყვარულსა და ერთგულებას პირველ პლანზე აყენებს.

განხილული ფილმები გაძლევს ღირებულ ინფორმაციას ქალის წარმოჩინებაზე ფრანგისტულ ესპანეთში, სადაც ის ექსკლუზიურად რეპროდუქციული ფუნქციით არის პოლიტიზირებული. ჩვენ დავინახეთ, რომ დედასამშობლის სიმბოლური ყოფნა გადაფარავს რეალური ქალის არყოფნას (უჩინარობას) ერის სოციალურ და პოლიტიკურ რეკონსტრუქციაში. ამ პროცესში ის პრაქტიკულდ არ მონაწილეობს, რადგან ესპანელი ერის სიმბოლური ხატი გამოისახება იდეალიზებული ქალის სახეში, რომელიც არის სიწმინდის, სილამაზისა და ღირსების მაგალითი, მორალისა და ტრადიციების მცველი ის უნდა იდგეს ერის გაგრძელების სადარაჯოზე და იყოს ეროვნული თვითშეგნების

გადამცემი. „ასეთ ესპანეთში“ ფრანგი იგივეა სამშობლოსათვის, რაც მამა ოჯახისათვის: უპირობო ავტორიტეტი, კეთილისმსურველი, მტკიცე ხელი, რომელიც ხანდახან გადამჭრელ ზომებს იღებს შეიღების საკეთილდღეოდ. დედობა იდეალიზებულია და მიჩნეულია მოვალეობად სამშობლოს წინაშე, რადგანაც რასობრივი დეგენერაციის შეჩერების გასაღები სწორედ მასში დევს.

# კულტურის მენეჯმენტი

## კულტურის პოლიტიკა



სამაგისტრო პროგრამა

### **თავამედროვე მენეჯმენტი კულტურასა და ხელოვნებაში**

სამაგისტრო პროგრამა „ამზადებს სპეციალისტებს ხელოვნებისა და კულტურის მენეჯმენტის სფეროში, რომლებიც შეძლებენ სამეცნიერო და გამოყენებითი კვლევების ჩატარებას; შეძლებენ ასწავლონ მენეჯმენტთან დაკავშირებული დისციპლინები, განახორციელონ ანალიტიკური და საკონსულტაციო სამსახური, შექმნან და უხელმძღვანელონ ორგანიზაციებს, როგორც სახელმწიფო ასევე კერძო სექტორში; განახორციელონ სხვადასხვა ტიპის პროექტები ხელოვნებისა და კულტურის სფეროში.

წინამდებარე პროგრამა საშუალებას აძლევს თითოეულ მაგისტრანტს შეიძინოს და გამოუმუშავოს თეორიული და პრაქტიკული ჩვევები კულტურის მენეჯმენტის სფეროში. ამისათვის კი საჭიროა, რომ მაგისტრანტმა აითვისოს მენეჯმენტის თანამედროვე მეთოდები, განავითაროს პრობლემის იდენტიფიკაციის ჩვევები და სამეცნიერო კვლევის უნარი, შეძლოს გადაწყვეტილების მიღება და მათი რეალიზაცია.

სამეცნიერო კონფერენციაში სტუდენტთა მონაწილეობის მიღება ამ პროგრამის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია. სტუდენტთა მიერ ჩატარებული კვლევის საჯარო აპრობაცია მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მათ სრულყოფილად დაუუფლონ წერისა და ზეპირი მეტყველების ჩვევებს, რაც, თავისათვად უზრუნველყოფს მომავალში მათი სამეცნიერო-კვლევითი და პედაგოგიური მოდევაწეობის მაღალ დონეს.

კრებულში ასევე წარმოდგენილია სადოქტორო პროგრამა კულტურის პოლიტიკასა და კულტურის მენეჯმენტში, რომელიც ერთ-ერთი პირველია საქართველოში და მთელ ამიერკავკასიაში.

პროგრამის ხელმძღვანელი დოქტორი, პროფესორი თური მღებრიშვილი

**ელენე ბაბაკიშვილი**  
მაგისტრატურის II კურსი  
ხელმძღვანელი - პროფ. იური მღებრიშვილი

## საონლაინ როლი კულტურული ორგანიზაციის პოლიტიკაში

არაკომერციული კულტურული ორგანიზაციები დაფინანსების მხრივ მთელს მსოფლიოსა და მათ შორის საქართველოშიც, საკმაოდ რთულ ვითარებაში აღმოჩნდნენ. სახელმწიფო ყოველწლიურად ამცირებს მსევასი დაწესებულების ფინანსურ თანადგომას. ზემოთ ნახსენები ორგანიზაციები სხვა ორგანიზაციებისაგან დაფინანსების წყაროების დივერსიფიკაციით განსხვავდებათ. ეს არ არის გასაკვრი, ვინაიდან რთულია კონკურენცია გაუწიო მოსახლეობისათვის სოციალურად აქტუალურ სფეროებს, ისეთის როგორიცაა ჯანდაცვა, განათლება, კომუნალური მომსახურეობა, ტრანსპორტი და სხვა. თანამდროვე მსოფლიოში სახელმწიფოები თანდათანობით იხსნიან კულტურისა და ხელოვნების სფეროებზე ზრუნვის პასუხისმგებლობას და ამდენად, მისი მხარდაჭერა ბიზნეს სექტორს ეკისრება. დღესდღობით, კულტურული ორგანიზაციების სიცოცხლისუნარისა მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული საკუთარ შემოსავალსა და დაფინანსების არასაბიუჯეტო წყაროებზე. ბევრი მათგანი სპონსორებთან მუშაობის გასაოცარი უნარ-ჩვევების დემონსტრირებას ახდენს. აცნობიერებენ რა საკუთარ აუცილებლობას, კულტურის ორგანიზაციები სხვადასხვა სტრატეგიულ და ტაქტიკურ მოქმედებას მიმართავნ, რათა გახდნენ კონკურენტუნარიანები.

კულტურული ორგანიზაციების მთავარი მიზანი პუბლიკის მოზიდვა, მისდამი ჭეშმარიტი სტუმარობის მიზანი და თბილი დამოკიდებულების გამოყენება გახდა. თითოეული მათგანი ცდილობს საკუთარი თავი მაყურებლის უფრო აქტიურ მომსახურეობას მიუძღვნას. ამიტომ, კულტურის ორგანიზაციები, ხშირად, თავიანთ საქმიანობას ეკონომიკურ გათვლებზე აფუძნებენ. კულტურული პროდუქტების პრომოცია ხდება ზუსტად ისევე, როგორც კლასიკური მარკეტინგული პროდუქტებისა. ტვირადორებული სარეკლამო და PR კამპანიების განსახორციელებლად ისინი ამჟავებენ არამარტო საკუთარი შემოსავების სტრატეგიას, არამედ ახდენენ დაფინანსების გარე წყაროების მოზიდვასაც, იქნება ეს სახელმწიფო თუ კერძო სექტორი.

დაფინანსების წყაროები იყოფა სამ ჯგუფად: მოზიდული, სახელმწიფო და საკუთარი თანხები. მოზიდულ ფინანსურ წყაროებად ითვლება: საქველმოქმედო, სასპონსორო საშუალებები, გრანტი ფონდებიდან, საწევროები და ა. შ.

სახელმწიფო დაფინანსება აერთიანებს პირდაპირ და ირიბ სუვისიდებს.

დაფინანსების მესამე ჯგუფი მოიცავს შემოსავლებს საკუთარი ძირითადი საქმიანობიდან. ამ უკანასკნელს მიეკუთვნება საგამოფეხნო, საგანმანათლებლო, საკონცერტო შემოსავალები და ა. შ; ასევე შემოსავალი დამატებითი, კომერციული საქმიანობიდან – სასუევნიო პროდუქცია, სახელოსნოების, ატელიების ფასიანი მომსახურეობა, კაფეების, რესტორნების, ვიღეოცენტრების ამუშავება. მაგალითად, მარჯანიშვილის თეატრის ძირითადი საქმიანობა არის ბილეთების გაყიდვა, ხოლო Marjanoff Express-ის მუშაობიდან მიღებული თანხა – დამატებითი, კომერციული შემოსავალი.

ორგანიზაციების დაფინანსება განპირობებულია მენეჯმენტის ეროვნული თავისებურებებით. მაგალითად, ვეროპასა და საქართველოში კულტურა, ძირითადად, ფინანსდება სახელმწიფო სუფისიებიდან, ხოლო ამერიკაში გარცელებულია დაფინანსების როგორც მოზიდული, ასევე საკუთარი წყაროები.

დაფინანსების მოზიდულ წყაროებს შორის საკმაოდ გაფრცელებული და მიზანშეწინობილი ფორმაა – სპონსორობა. თანამდროვე ბაზრის პირობებში კომპანიები საკუთარი მარკეტინგული მიზნების განსახორციელებლად აქტიურად გადადიან ფილანტროპიიდან სასპონსორო საქმიანობაზე.

**ცოტა რამ სპონსორობის შესახებ.** სპონსორობა ეწოდება ნებისმიერი პროექტის, მოვლენის ან საქმიანობის დაფინანსებას ერთი პირის ან ორგანიზაციის მიერ.

თავდაპირველად, სპონსორობა ეწოდებოდა პროექტების დაფინანსებას რადიოსა და ტელევიზიაში სარეკლამო დროის სანაცვლოდ („საპირისო აპერება“, სპორტული მოვლენები და ა. შ.) და ასევე კინოფილმების გადასაღებად საჭირო თანხების ნაწილობრივ ანაზღაურებას. თანამდებობით, სპონსორობა გამოიყო როგორც საქმიანობის დამოუკიდებელი სფერო ორი მიზნების გამო:

1. პირდაპირ რეკლამასთან შედარებით შენატანის, უფრო ხანგრძლივი ხასიათის და უწყვეტი პროცესის გამო.

2. ფისკალური მიზეზებით.

სპონსორობა, პირველ რიგში, არის კონკრეტული დამტკვეთის ინტერესებიდან გამომდინარე ინფორმაციის გავრცელების, საზოგადოებასთან კომუნიკაციის დამყრების ეფექტური საშუალება. შედეგად, სპონსორობა შეიძლება ეწოდოს საქმიანობის ოთხ განსხვავებულ სახეს, თითოეული მათგანი ხასიათდება ორგანიზაციულად სხვადასხვა ფორმებით:

1. სპონსორობა, როგორც სარეკლამო ამოცანების გადაჭრის საშუალება.

2. სპონსორობა, როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის (PR-ის) ფორმა ან ღონისძიებათა მარკეტინგი (Event Marketing).

3. სპონსორობა, როგორც გრძელვადიანი და მაღალხარისხიანი დაბანდება, რომელსაც მიეკუთვნება სხვადასხვა სამეცნიერო კვლევის მხარდაჭერა. ამ სფეროში დახარჯული ფული გამართლებულია მხოლოდ შესაბამისი ობიექტის მიზანმიმართულ არჩევაში.

4. სპონსორობის ფორმა, როგორც ორგანიზაციის უმაღლესი მენეჯერების პირადი ამბიციების დაგმაცემულების ფორმა.

სასპონსორო საქმიანობა გულისხმობს გრძელვადიან თანამშრომლიბას სპონსორსა და კულტურულ ორგანიზაციას შორის, ამიტომ სპონსორობის სფერო კომპანიის ფინანსურულ პორტფელს და იმიჯს უნდა ემთხვეოდეს.

სპონსორსა და კულტურულ ორგანიზაციას შორის იდება ჩვეულებრივი საქმიანი გარიგება, რომლისგანაც თითოეული მათგანი იღებს სარგებელს. ამ გაცვლით ურთიერთობაში არსებობს მარკეტინგულ-კომერციული მიღება.

სპონსორობა წარმოადგენს ეკონომიკურ შეთანხმებას, რომლის მიზანია ფულადი საშუალებების, პროდუქციის, მოშასახურების, სარეკლამო საშუალებების, PR კამპანიების, ღონისძიებების გაცვლა. სპონსორი ნაღდი ანგარიშით ან გადახდის სხვა ფორმით (შენატანი ნატურით – არიბი მსარდაჭერა) ახდენს დაბანდებას, სანაცვლიდ კი იღებს აღნიშულ ღონისძიებასთან, საგენტოსთან, ან საკუთრებასთან დაკავშირებული კომერციული პორტნებიალის ექსპლუატაციის საშუალებას. ეს არის ყველანაირ ბეჭდვით მასალაში (ჟურნალები, ფლარი) სპონსორის ლოგოს განთავსება; სპონსორის გაშუქება საინფორმაციო საშუალებებში; სპონსორს შეუძლია ისარგბლოს დაწესებულების დარბაზით, სადაც მოახდენს ახალი პროდუქტის პრეზენტაციას; ასევე ხდება სახელმისათხებელი ფერმენტის გაყიდვა (ეს უფრო ამერიკისათვის დამახასიათებელი ფერმენტია), მათ სასპონსორო, ღონირის კედლები ეწოდებათ. კულტურულმა

ორგანიზაციაში უნდა განათავსოს სპონსორის ბანკრი ღონისძიების ჩატარების ადგილას და მისი მსვლელობის დროს არაერთხელ მოიხსენიოს.

ზოგადად, სპონსორის სარგებელი შეიძლება დაიყოს ორ ნაწილად: პირდაპირი – რეკლამა, ინფორმაციის თანამედროვე წყაროები და ირიბი – ხელისუფლების, ცნობილი პოლიტიკური მოღვაწეების ლოიალური დამოკიდებულების მოპოვება, კონკრეტული პირის, ორგანიზაციის იმიჯის შექმნა, საზოგადოებაში კეთილგანწყობის და აღიარების მოპოვება.

1990 წლის ვ. ფიშერმა და რ. ბროებ ინგანიზაციების შესწავლის საფუძველზე ჩამოაყალიბეს იმ სარგებლის სია, რომელსაც ექვენ კომპანიები მთელი მსოფლიოს მასტებით. ეს ენა:

1. გაუმჯობესებული ადგილობრივი კავშირი – 59%.
2. კორპორატიული იმიჯის დაწინაურება – 57%.
3. ბრენდის ცნობადობის გაზრდა – 54%.
4. მასობრივ საინფორმაციო საშუალებებში გამოჩენა – 39%.
5. ბრენდის იმიჯის გაძლიერება – 37%.
6. PR-ის გაუმჯობესება – 37%.
7. გრძელვადიანი გაყიდვები – 30%.
8. მყიდველის სიამოვნება – 26%.
9. მომსახურე პერსონალის მორალური მდგომარეობა – 27%.
10. და სხვა – 6%.

ამ ჩამოათვალიდან ნათლად ჩანს, რომ სპონსორობა ორგანიზაციებისათვის უპირველეს ყოვლისა არის მარკეტინგული მიზანის განხორციელების და წინსვლის საშუალება. კულტურული ორგანიზაციის სარგებელი კი არის ყველაფერი ის, რაც მას ეხმარება მისი შემთხვევაში. სწორად გათვლილი კორპორაციული სპონსორობა ძლიერ ჰგავს წარმატებულ ქორწინებას. ამ შემთხვევაში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შესაფერისი პარტნიორის შერჩევას, რომელსაც ექნება მსგავსი ინტერესები და მიზანი.

#### **განვიხილოთ მარჯანიშვილის თეატრის მაგალითი:**

მისი გენერალური სპონსორია ბანკი „რესპუბლიკა“. ამ შემთხვევაში სპონსორისა და თეატრის ინტერესები და მიზანი პარმონიულად ერწყმის ერთმანეთს. ამას ემატება ბანკის გენერალური

დირექტორის პირადი დაინტერესება და უზომო სიყვარული თეატრისადმი, ამიტომ ორივე მხარე მაღალ დონეზე თანამშრომლობს. ბანები ეხმარება თეატრს ფინანსურად, ხოლო სანაცვლოდ იღებს სხვადასხვა სახის სარგებელს. ესენია:

1. თეატრის ფართის გამოყენება სარეკლამო მიზნებისათვის და ბანების ახალი მომსახურებების წარდგენისათვის;

2. თეატრის კუთვნილ ტერიტორიაზე ბანერის განთავსება;

3. სპონსორის ლოგოს განთავსება პროგრამაზე, კონკრეტული სპექტაკლისა და კალენდრულ აფიშაზე, ნაბეჭდ თუ ელექტრონულ ფლავზე;

4. სპონსორის ლოგოს განთავსება თეატრის ისტორიასთან დაკავშირებულ ბეჭდვით მასალაში;

5. VI მოსაწვევი გენერალური დირექტორისათვის.

6. სპექტაკლის მსვლელობისას სპონსორის სახელის გაუღერება.

გენერალური სპონსორის გარდა მარჯანიშვილის თეატრს ჰყავს სხვადასხვა თანასპონსორებიც. მათთვის გათვალისწინებული სარგებელი განისაზღვრება შეტანილი თანხისა და მომსახურების მოცულობის მიხედვით.

თეატრი აგრეთვე საკმაოდ ხშირად მიმართავს ბარტერული გაცვლის სისტემას, თეატრისა და დამსპონსორებელი ფირმის მცირე ფინანსური შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

**სპონსორობის უპირატესობა რეკლამასთან და PR-თან შედარებით:** ორგანიზაციის წინსვლის ოთხი საშუალება არსებობს: რეკლამა, საზოგადოებასთან ურთიერთობა – PR, პერსონალი და პრომოცია. აქედან რომელ საშუალებას აირჩევს ორგანიზაცია, განისაზღვრება მისი ბიუჯეტით, მსოფლმხედველობითა და ორიენტაციით. თუმცა ყველა ზემოთ ჩამოთვლილთან შედარებით სპონსორის ფულის დაბნების ყველაზე ჭრიანული და ხელსაყრელი საშუალებაა. იმისათვის, რომ ნათლად გამოვხატოთ სპონსორობის უპირატესობა, მოკლედ განვიხილოთ რეკლამისა და PR-ის შესაძლებლობები.

რეკლამა – ეს არის საშუალება, რომლისთვისაც ორგანიზაცია იხდის ფულს, რათა ურთიერთობა დაამყაროს მთლიან ბაზართან, საზოგადოებასთან. სარეკლამო შეტყობინება ვრცელდება სხვადასხვა სანფირმაციო საშუალებებით: ტელევიზია, რადიო, ურნალ-გაზეთები, ბილბორდები და ბროშურები. რეკლამას ახასიათებს მოკლე საიცოცხლო პერიოდი და შეზღუდულია ყიდვა-გაყიდვის

კონკრეტული ამოცანით. რეკლამას ჰყავს მხოლოდ ერთი ფოკუს ჯგუფი – მყიდველი.

კულტურული ურად ადამიანზე მოდის უამრავი სარეკლამო შეტყობინება, ეს ციფრი 1200-მდე აღწევს. ამიტომ ადამიანი ცდილობს, თავი აარიდოს ამ უკანასკნელს, ე. წ. „დამცავი ფაქტორები“ ახდენენ შეტყობინების შესუსტებას და მის სრულ დაბლოკაციას. „უნდობლობის ფილტრი“ ეხმარება ადამიანს გამოყოს რეკლამა ინფორმაციის მთელი ნაკადიდან. მომხმარებელი მას აღიქვამს როგორც საგადასახადო კომუნიკაციას და ამდენად – არაგულწრფელს.

PR ხელს უწყობს ურთიერთ სასარგებლო, პარმონიული კავშირის დამყარებას ორგანიზაციასა და საზოგადოებას შორის, ქმნის კონკრეტული პირის ან ორგანიზაციის დაღებით იმიჯს. რეკლამისგან განსხვავებით PR სპეციალისტის საქმანობა მიმართულია ფართო საზოგადოებისაკენ და არა პოტენციური მომხმარებლის ვაწრო წრისაკენ. PR ხანგრძლივი მოქმედების სტრატეგიებს შემუშავებს, მაშინ როცა, რეკლამის პრიორიტეტი მის ლაპონიურობასა და სწრაფ შედეგშია. PR-ის ფოკუსი ჯგუფს წარმოადგენს ყველა ის იურიდიული თუ კერძო პირი, ვისთანაც ორგანიზაციას აქვს, ჰქონია ან ექნება ურთიერთობა. ესენია; კლიენტები, მასმედიის წარმომადგენლები, პარტნიორები და ა. შ.

ყველა ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტს სპონსორობა მოიცავს. ის აურთიანებს რეკლამასაც, PR-საც და პრომოციასაც. უფრო მეტიც, ამერიკაში გამოკითხვის შედეგმა აჩვენა, რომ ამერიკელთა 83%-ს აქვს დადებითი დამოკიდებულება იმ კომპანიების მიმართ, რომლებიც ეხმარებიან საზოგადოებრივ საქმეს. საზოგადოებრივად და პოლიტიკურად აქტიური მომხმარებელი განსაკუთრებული ინიციატივების მხარდამჭერ კომპანიებს მიიღებს. ამერიკელთა 80% აცხადებს, რომ ურნევნიათ ის კომპანიები, რომლებიც ახორციელებენ გრძელვადიან დახმარებას და შეთანხმებას, ვიდრე ის, ვინც აკეთებს უამრავ კეთილ საქმეს შენაცვლებით (ხანმოკლე ვადით).

სასპონსორო საქმიანობის ლიდერები ასე ახასიათებენ სპონსორობის დანიშნულებას: ეს უკანასკნელი სჭირდება იმ ბრენდებს, რომლებიც მისწრაფვიან მომხმარებელთან და საზოგადოებასთან მყარი კავშირების დასამყარებლად.

**სასპონსორო განაცხადის შედეგისას გასათვალისწინებელი ფაქტორები:** სასპონსორო განაცხადის შედეგისას შერიცხულ და

ხაგრძლივ მუშაობას მოითხოვს. მხარდაჭერის მოსაპოვებლად საჭიროა დამაჯერებული დასაბუთება და სპონსორის მიზნების გათვალისწინება. ეს მიზნები შეიძლება იყოს საკმაოდ მრავალფეროვანი, ისეთი როგორიცაა:

**პროდუქტთან და გაყიდვების ზრდასთან დაკავშირებული მიზნები:** სრულყოფილი ინფორმაცია პროდუქტზე, საბაზრო სეგმენტის და პროდუქტის იგივეობის დადგენა, მისი იმიჯის მოდიფიკაცია.

**კორპორატიული მიზნები:** ფირმის იმიჯის გაძლიერება, მისი ცნობადობის გაზრდა და გრძელვალიანი წარდგენა, საზოგადოებრივი აზრის შექმნა კომპანიის მიმართ, კომპანიის და საბაზრო სეგმენტის იგივეობის დადგენა, ახალი საქმიანი კონტაქტების დამყარება, არასასურველი პეტლიკაციების პრევენცია.

ამ მიზნების განსახორციელებლად კულტურულმა ორგანიზაციამ სპონსორს უნდა შესთავაზოს ისეთი სარგებლის მომტანი აღიანსის ჩამოყალიბება, რაც სხვა აღტერაზოული საშუალებებით მიუღწეველია. ჩადებული თანხის სანაცვლოდ, ამ უკანასენელმა, მაქსიმალურად მაღალი ხარისხის მომსახურება უნდა მიიღოს, რაც გამართლებს დახარჯულ რესურსებსა და ენერგიას.

ორგანიზაციებისა და პროექტის დაფინანსების დროს კომპანია ხელმძღვანელობს გარკვეული კრიტერიუმებით. ესენია:

#### **დონისძიებასთან დაკავშირებული კრიტერიუმები:**

1. დასახული მიზნის მიღწევის აღბათობა;
2. მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით გაშექმნა;
3. ღონისძიების პრაქტიკობა.

#### **სასპონსორო ჯგუფთან დაკავშირებული კრიტერიუმები:**

1. ორგანიზატორების შესაძლებლობები;
2. ღონისძიების პოტენციური წარმატება.

#### **სპონსორობასთან დაკავშირებული კრიტერიუმები:**

1. ექსკურსიური სპონსორობის შესაძლებლობა;
2. პროექტის ცოდნა მენეჯერთა მიერ;
3. ადმინისტრაციის თანხმობა პროექტზე.

#### **ბაზართან დაკავშირებული კრიტერიუმები:**

1. კონკურენცია;
2. პოლიტიკური ან კომერციული ზეწოლა.

სპონსორი აგრეთვე ითვალისწინებს აუდიტორიასა და მის თავისებურებას, საკუთარი საქმიანობის სფეროს და ჩადებული თანხის მოცულობას. საკუთარი იმიჯის და მისის თანხვედრას დასასპონსორებლ ორგანიზაციასთან, რისკის აღბათობას, სტუმართა

რაოდენობას, ვაჭრობას გვერდითი პროდუქტითა და საგადასახადო შეღავათებს.

სასპონსორო განაცხადი მაქსიმალურად უნდა იძლეოდეს ამ კრიტერიუმების დაკმაყოფილების საშუალებას, რაც განაცხადზე დადგებითი ჰასუნის საწინდარი გახდება.

სპონსორები საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე აღნიშნავენ, რომ სასპონსორო განაცხადების ხარისხი სულ უფრო კლებულობს, ეს უკანასკნელი კი მაღალ პროფესიონალურ დონეზე უნდა იყოს შეღენილი და მოიცავდეს უამრავ პუნქტებს.

განაცხადის პუნქტებზე მუშაობის დაწყებამდე კულტურულმა ორგანიზაციამ უნდა მოიძიოს რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია. შესაბამისად საჭიროა პრესის, კომპანიის წლიური ანგარიშის, კომერციული და უფასო რეკლამის გაცნობა და მისი მიზნობრივი ბაზრის დადგენა.

უნდა განისაზღვროს კულტურული ორგანიზაციების ქონებრივი სტატუსი. აქ შედის ორგანიზაციის დასახელება, მისი საზოგადოებრივი მნიშვნელობა, მოსახლეობის ინფორმირებულობა და საკუთარი სამექმედო პროგრამა. ამ ყველაფერის გათვალისწინებით, გაცილებით ადვილი იქნება იმ სარგებლის ნუსხის ჩამოყალიბება, რომელსაც შესთავაზებს კულტურული ორგანიზაცია სპონსორის.

სრულყოფილი განაცხადისათვის აუცილებელია შემდეგი ფაქტორების გათვალისწინება:

1. ზუსტად უნდა განისაზღვროს ის სარგებელი, რომელსაც მიიღებს სპონსორი კულტურულ ორგანიზაციასთან თანამშრომლობის შედეგად.

2. წარმატებული განაცხადი მოიცავს არა კულტურული ორგანიზაციის პრობლემებს, არამედ ასახავს მის როლს დღვენდელობაში და მსათან თანამშრომლობის პრიორიტეტებს.

3. სპონსორის საქმიანი კატეგორიები დაფინანსების რაოდენობის მიხედვით უნდა განისაზღვროს. ეს ნიშნავს, რომ სხვადასხვა სპონსორის ესაჭიროება განსხვავებული სარგებელი.

4. თანამშრომლობის პერიოდში სპონსორის საქმიანობის განვითარება.

5. სპონსორის რისკის მინიმუმამდე დაყვანა. ეს შესაძლებელია გარანტირებული შუამავლებისა და ღირსეული თანასპონსორების სიის წარდგენის შედეგად.

6. კულტურულმა ორგანიზაციამ საკუთარ თავზე უნდა აიღოს სპონსორის მისთვის აუცილებელი ინფორმაციით უზრუნველყოფა, ვინაიდან სპონსორმა უნდა იცოდეს რამდენად პასუხობს კულტურულ ორგანიზაციაში მიმდინარე პროცესები მის კომუნიკაციურ მიზნებს. სპონსორს ესაჭიროება კულტურული მოძღვანელობის მიმდენად გაამართოს მისმა ინვესტიციამ და სამომავლო მოქმედების სტრატეგია დასახოს.

ზემოთ თქმულიდან გამომდინარე შეიძლება ითქვას, რომ სპონსორი მნიშვნელოვნად განაპირობებს კულტურული ორგანიზაციის პოლიტიკას. სწორად წარმართული სპონსორობის შემთხვევაში მყარდება ნაყოფიერი კავშირი სპონსორსა და კულტურულ ინიციატივას შორის. თუმცა, არსებობს გარკვეული რისკი თავად დასპონსორებული ორგანიზაციებისთვისც. ეს რისკ-ფაქტორები აუცილებლად არის გასათვალისწინებელი კულტურის მენეჯერთა მიერ. მათ უნდა შეათანხმონ პოტენციური სპონსორობა სამუშაოებისთვის, პროექტებისთვის და სამსატვრო ხელმძღვანელობასთან, ერთობლივად განიხილონ ყველა მოსალოდნელი უარყოფითი შედეგი. ამ შემთხვევაში კულტურული ორგანიზაციისათვის პრიორიტეტული უნდა იყოს მისი მისამართი.

სპონსორობა კულტურული ორგანიზაციისათვის შემოსავლის მომტანია, ხოლო კორპორატიული პარტნიორი იღებს ბეჭდვით მასალას და გაზრდილ გაყიდვებს.

კულტურის მენეჯერმა ყოველგვარ ფულსა და დახმარებაზე უფრო მაღლა უნდა დააყენოს მისი ორგანიზაციის რეპუტაცია. ამიტომ, რომელიმე კომპანიასთან თანამშრომლობამ არ უნდა დაჩრდილოს და საფრთხე შეუქმნას მის იმიჯს.

მენეჯერებს ასევე მართებთ სიფრთხილე, რათა არ დაუკავშირდნენ იმ კომპანიებს, რომლებიც მათი შემოწირულობის შემომტანი პირის კონკურენტები იქნებიან. უნდა გამოირიცხოს ისეთი პროდუქტის მქონე კომპანია, რომელიც კულტურული ორგანიზაციის მისიასთან კონფლიქტში შევა. მაგალითად, თამბაქოს მწარმოებელი კომპანია არ უნდა ასპონსორებდეს სპონსორტულ – გამავანსაღებელ ცენტრს. ყოველივე ეს მიგვნიშნებს კულტურულ ორგანიზაციაში სპონსორის მიმართ გარკვეული პოლიტიკის ჩამოყალიბებაზე, რაც მკვეთრად განსაზღვრავს სპონსორისა და კულტურული ორგანიზაციის უფლება-მოვალეობებს.

აბსოლუტურად ყველა სახის შეთანხმება უნდა გაფორმდეს წერილობითი სახით, როგორც ნებისმიერი სხვა ოურიდიული დოკუმენტი, რათა თავიდან იქნას აცილებული შემდგომი გაუგებრობა.

კულტურულ ორგანიზაციასა და სპონსორს შორის დადებული ხელშეკრულება უნდა მოიცავდეს შემდეგ პუნქტებს:

1. სპონსორობის ბუნების განსაზღვრა;
  2. განისაზღვროს სპონსორობა, როგორც ურთიერთშეთანხმება, განსხვავებული ქელმიტებისაგან;
  3. განისაზღვროს კულტურული ორგანიზაციის პრიორიტეტები;
  4. მკაფიოდ ჩაიდოს სპონსორისა და კულტურული ორგანიზაციის უფლებები;
  5. ხელშეკრულებაში აუცილებლად უნდა არსებობდეს პუნქტი, რომელიც უფლებას მისცემს კულტურულ ორგანიზაციის დაარღვიოს ხელშეკრულება, თუ კი სპონსორის მოღვაწეობა და კულტურული ორგანიზაციის მისია შეუსაბამო აღმოჩნდება თანამშრომლობის რომელიმე ეტაპზე.
- საქმისადმი ამგვარი მიღვომა ხელს შეუწყობს საქართველოში სასპონსორო საქმიანობის დაზვეწას. საბონსორები კულტურული ორგანიზაციის სახით დანახავენ ღირსეულ პარტნიორს და ამ სფეროში დაბანდებული თანხა იქნება მათი საქმიანობის განვითარების საშუალება. ამ ორი ფაქტორის შესრულება უზრუნველყოფს მყარი კავშირების დამყარებას კულტურისა და ბიზნესის სფეროებს შორის. ამგვარად, ფინანსური კრიზისის ფონი კულტურულ ორგანიზაციებში შეძლებისძაგვარად მოხსნება, რაც საშუალებას მისცემს კულტურულ ორგანიზაციებს შესრულონ თავისი პირდაპირი დანიშნულება – განებიგრონ საკუთარი მაყურებელი მრავალფეროვანი და ხარისხიანი პროდუქციით.

1. ის.: ფრანსუა კოლბერი, „მარკეტინგი კულტურაში“, 2003.
2. ის.: მილნა დრაგჩევიჩ-შეშჩი, „კულტურა, მწერლები, ანიმუსი, მარკეტინგი“, 2007.
3. ის.: ჯილიან პული, „უკრაინის მწერლები (ხელოვნების ორგანიზაციებისათვის)“, 2005.
4. www. pr-chance. kiev. ua

თ ა გაბუნია  
მაგისტრატურის II კურსი  
ხელმძღვანელი - პროფ. იური მღებრიშვილი

## სარეპლაზო პოლიტიკა და რეპლაზის არსები (ფესტივალი „სესილი“)

2001 წლის 26 მარტს კლუბ „სარდაფში“ ჩატარდა საქართველოში ახალგაზრდული პირველი ფილმების ფესტივალი „ჩვენ მოვდივართ“, რომლის ორგანიზებას ხელმძღვანელობდა რეჟისორი დათო ჯანელიძე.

2004 წელს აღნიშნული კინოფესტივალი მიხეილ თუმანიშვილის სახელობის კინომსახიობთა თეატრში ჩატარდა.

2005 წლიდან ახალგაზრდული ფილმების ფესტივალი „სესილი“ (თავიდან ფესტივალს ერქვა „ჩვენ მოვდივართ“ და შემდგომში მას დაერქვა „სესილი“) საერთაშორისო გახდა. „სესილი სარდაფიდან ამოვიდა“ და დიდი კინოთეატრების ეკრანები დაიპყრო.

2005-2008 წლებში ფესტივალს მასპინძლობდა კინოთეატრები: „ამირანი“, „რუსთაველი“, „ჭილგა“ და კინოს სახლი.

კინოფესტივალ „სესილი“ მისაა ახალი ტალანტების აღმოჩენა, მათი პოპულარიზაცია, უცხოური კინოსიახლეების ქართველი მაყურებლისათვის გაცნობა, ახალი კინოტრადიციებისა და ურთიერთობების განვითარება. კინოფესტივალის ორგანიზატორებს იმედი აქვთ, რომ ყოველწლიურად ფესტივალი უფრო გაფართოვდება და დამტკიცდებს საკუთარ სახელს საერთაშორისო ასპარეზზე, რაც დაქმარება კინოს შემდგომ განვთარებას.

კინოფესტივალის მიზანია გამოავლინოს ნიჭიერი ახალგაზრდობა და მისცეს მათ წინსცლის შესაძლებლობა პროფესიული დაოსტატების გზაზე.

კინოფესტივალმა შედარებით მაღალი დაფინანსება მიიღო 2005 წელს, შემდგომ წლებში დაფინანსება მცირე იყო და შეადგენდა 2006 წ. – 6000 ლარს, 2007 წ. – 5000 ლარს, 2008 წ. – 5000 ლარს. ორგანიზატორების ენთუზიაზმი რომ არა, ასეთი მცირე სახსრებით კინოფესტივალის ჩატარება შეუძლებელი იქნებოდა.

დაფინანსების არარსებობის გამო ფესტივალის მენეჯმენტი აწყდება მთელ რიგ პრობლემებს. მენეჯმენტის ქვეშ იგულისხმება მმართველობითი საქმიანობის სისტემა, სხვადასხვა სოციალური ინსტიტუტების წარმატებული ფუნქციონირების უზრუნველყოფა. კულტურულ სფეროში შედის ორგანიზაციები, რომელთა მომსახურება

და პროდუქტი აუცილებელია საზოგადოების კულტურული მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად. ამ სფეროს მენეჯმენტი განსაკუთრებულობა იმაში მდგომარეობს, რომ სახსრების მოძიება აქ ხდება არა უბრალო კომერციით, არამედ სხვადასხვა დაინტერესებული დონორების მოზიდვით.

იქიდან გამომდინარე, რომ ფესტივალს გააჩნია საკმაოდ დაბალი დაფინანსება, რაც გამოწვეულია ძირითადად სპონსორთა არარსებობით, ფესტივალი ვერ ახერხებს საკუთარი მიზნების მიღწევას. მისიათვის, რომ მოხდეს სახსრების მოძიება, სპონსორთა დაინტერესება ფესტივალის საქმიანობით, საჭიროა სწორი სარეკლამო კმპანიის ჩატარება. რეკლამა საუკეთესო საშუალებას წარმოადგენს მისიათვის, რომ ფესტივალი გახდეს ცნობილი და მას გაეცნოს ფართო აუდიტორია. რეკლამის მეშვეობით დადგებითი იმიჯის შექმნა გამოიწვევს ფესტივალით სპონსორთა დაინტერესებას, რაც გააიოლებს მისი სამომავლო გეგმების განხორციელებას. სწორი სარეკლამო კმპანიის დასაგეგმად საჭიროა პროფესიონალების მოძიება, ისინი კი ცოტანი არიან, შესაბამისად მათი დაქირავებაც ძირია. სარეკლამო კმპანია დიდ ხარჯებს საჭიროებს. საქართველოში არსებული სარეკლამო სიტუაცია დაახლოებით ასეთია: ყველაზე მაღალფასიანი სარეკლამო მოშასურება, ტელევიზია. მართალია, ქართული სატელევიზიო ბაზის დღის გარევეული მონაკვეთით შეძენა საკმაოდ მაღალი ტარიფები ღირს, მაგრამ, პოტენციური მომხმარებელი ამა თუ იმ ახალი პროდუქტის გამოსვლის შესახებ, მაინც ტელევიზორიდან იგებს. რეკლამის გავრცელების ეს ფორმა საქართველოში დღესდღეობით ყველაზე მეტად პოპულარულია და ყველაზე მეტად „მომებიანად“ ითვლება. ქართული სახელოვნებო ორგანიზაციები კი, როგორც ზშირად ხდება ხოლმე, ბაზარზე გამოდიან ისე, რომ მათ არ აქვთ არანაირი ფინანსური შესაძლებლობა, ამიტომ ისინი ვერ ახერხებენ ვერც სარეკლამო კმპანიის დაკვეთას და ვერც ამ დაკვეთითი რეკლამების მედია სივრცეში დატრიალებას. ქართულ მედიაში რეკლამის განთავსება დიდ ხარჯებს მოითხოვს. ჩვენ შეგვიძლია წარმოდგენილი მასალის მიხედვით ნათლად დავინახოთ, თუ რა თანხაა საჭირო რეკლამის განთავსებისთვის სხვადასხვა მედია საშუალებებში. მაგალითისათვის წარმოდგენილია კმპანია „რუსთავი 2“-ის, შპს „პრინტ-ჯორჯიასა“ და გაზეთ „ასაგალ-დასავალის“ სარეკლამო დროის ღირებულება:

**ტელეკომპანია „რუსთავი 2“-ის ეთერში რეკლამის გაშვების ფასები**

საეთერო დრო	რეკლამის ფასი (დოლარი)
7.40 - 12.00	40 - 400
12.00 - 18.00	140 - 400
18.00 - 00.00	500 - 1300
00.00 - 3.15	50 - 700

**შპს „პრინტ ჯორჯიას“ სარეკლამო მომსახურების ფასები**

მომსახურების სახე	ფასი (დოლარი)
დიზაინ-სტუდიის მომსახურება	20 - 400
სარეკლამო-პოლიგრაფიული პროდუქციის გაფორმება	40 - 300
ეტიკეტი, შეფუთვა	50 - 400
გარე რეკლამის გაფორმება	10 - 200
ფოტო გადაღებებით	50 - 100
პრომოუტ ტექსტების და სცენარების შექმნა	50 - 300
ვებ-გვერდების დამზადება	100 - 1000
ბუკლეტების დამზადება	135 - 250
სარეკლამო ფურცელი	115 - 200
პლაკატი, აფიშა	115 - 200
თვითწებად ქაღალდებზე ბეჭდვა	100 - 110

**გაზეთ „ასავალ-დასავალში“ რეკლამის განთავსების ფასები**

რეკლამის განთავსების ადგილი	ფასი (ლარი)
მთელი გვერდი	1600
1 სარეკლამო უჟირი	100
რეკლამა მე-2,3 გვერდზე	ლირბულება + 100%
რეკლამა ბოლო გვერდზე	ლირბულება + 200%
პოლიტიკური რეკლამა	ლირბულება + 100%
პირველ გვერდზე მინიმალური ფართი	
1 სარეკლამო კუბიკი	800
4 სარეკლამო კუბიკი	400
რეკლამა ნახევარ გვერდზე	800

წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, რომ რეკლამა საკმაოდ ძვირი ჯდება განსაკუთრებით ისეთი ორგანიზაციისათვის, რომლის დაფინანსებაც მაქსიმუმ 6000 ლარს წარმოადგენს, მაგრამ იმისათვის, რომ მოხდეს დაფინანსების პრობლემის დაძლევა, ჩემი აზრით, აუცილებელია სახსრების მოძიება სწორი სარეკლამო კამპანიის ჩასატარებლად, რაც პირველ რიგში შესაძლებელია სპონსორთა დაინტერესებით ფესტივალის საქმიანობის შესახებ. იმისთვის, რომ მოხდეს პოტენციურ სპონსორთა დაინტერესება, პირველ რიგში საჭიროა მათვის მომგებიანი წინადაღების შეთავაზება, ანუ, ამისათვის კინოფესტივალის მენეჯმენტმა უნდა შეიმუშაოს კონკრეტული სტრატეგია, რათა დაანახოს პოტენციურ სპონსორს პროექტის მნიშვნელობა, განსაკუთრებულობა და სპონსორის წვლილი კინოფესტივალის განხორციელებაში. სპონსორობა არის სტრატეგიულად დაგეგმილი ძალისხმევა მარკეტინგში, რაც ემსახურება გაყიდვების ზრდას კომპანიაში ან მის უკითეს წარმოჩნდას ბაზარზე ისეთი ქმედებით, რაც მოუტანს სარგებლოს ასევე ფესტივალს და უნდა ითქვას, რომ ამის საუკეთესო საშუალებას სწორედ რეკლამა წარმოადგენს, სადაც აუცილებლად აღინიშნება არსებულ სპონსორთა ან სპონსორის სახელი. შედეგად, რეკლამის მეშვეობით მოხდება, როგორც სპონსორის, ასევე ფესტივალის შესახებ მოსახლეობის ინფორმირება.

რეკლამა, რომელიც წარმოდგენილია სხვადასხვა მედია საშუალებით, საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბების ერთ-ერთი საუკეთესო საშუალებაა. ზემოთ მოყვანილი მასალებზე დაყრდნობით დარწმუნებათ შეიძლება ითქვას, რომ აუცილებელია სწორი სარეკლამო კამპანიის ჩატარება, რაც საკმაოდ რთულ პროცესს წარმოადგენს:

სარეკლამო კამპანიის დაგეგმვისას თავდაპირველად აუცილებელია განვითარებული რეკლამის დანიშნულება, ანუ, ის, რომ რეკლამა უნდა მოახდინოს პროდუქტის შესახებ საზოგადოების ინფორმირება, დარწმუნება და შეხსენება.

სარეკლამო განყოფილების ფუნქციებში შედის სარეკლამო ბიუჯეტის, სარეკლამო ღონისძიებათა გეგმების შემუშავება და მისი ცხოვრებაში გატარება.

სარეკლამო პროგრამის პირველ ეტაპს წარმოადგენს სარეკლამო მიზნის დადგენა, ანუ, დროის განსაზღვრულ პერიოდის განმავლობაში კონკრეტული, მიზნობრივი აუდიტორიის ინფორმირების ამოცანა.

რეკლამის გასაკეთებლად აუცილებელია შეირჩეს სარეკლამო ინსტრუმენტები და საჭირო აუდიტორია დროის გათვალისწინებით, საუკეთესო გარემოში და ყველაზე ლოგიკურ ადგილას, რომ სარეკლამო ინფორმაციამ მოიცვას არამარტო მაქსიმალურად ფართო აუდიტორია, არამედ მით პყროს კიდევ მისი ფურადღება.

მასობრივი ინფორმაციის ყველა საშუალებას გააჩნია მისთვის დამახასიათებელი შესაძლებლობები და მახასიათებლები განსაზღვრული საზოგადოებრივი ჯგუფების მიხედვით. უნდა განისაზღვროს რომელი მასობრივი ინფორმაციის საშუალებაა საჭირო რეკლამის ობიექტის მოსაზიდად. ამის შემდეგ მიზანს წარმოადგენს ისეთი ტელეპროგრამის, რადიოსადგურის და ა.შ. შერჩევა, რომელიც შეძლებს სასურველი შედეგის მიღწევას ყველაზე ეფექტურად. რეკლამის გასაკეთებლად საუკეთესო სტრატეგიას წარმოადგენს სხვადასხვა საინფორმაციო საშუალების შერჩევა. ამის მიზეზებია: ა). საკუთარი რეკლამის საზოგადოების იმ ჯგუფებამდე დაყვანის აუცილებლობა, რომლებიც არ წარმოადგენს მხოლოდ ერთი საინფორმაციო საშუალების მიზნობრივ აუდიტორიას; ბ). რეკლამის გამეორების უზრუნველყოფა ნაკლებად ძირი საშუალებებით, მას შემდეგ რაც უზრუნველყოფილი იქნება პირველი საინფორმაციო საშუალებების მეშვეობით მიზნობრივი აუდიტორიის ოპტიმალური მოცვა.

მასობრივი საინფორმაციო საშუალებების დაგევმვა რთულ საკითხს წარმოადგენს. ერთ-ერთი მიზეზი ის არის, რომ მასობრივი საინფორმაციო საშუალებების მრავალფეროვნება და ყოველი მათგანი გვთავაზობს ზემოქმედების ინსტრუმენტების სულ უფრო გამრავალფეროვნებულ ვარიანტებს. კამპანიის სარეკლამო საშუალები, რომლებიც უნდა იყოს განსაზღვრული საზოგადოებაზე, შეიძლება გავრცელდეს სხვადასხვა ფორმით: ელექტრონული, ანუ, იგივე ტელევიზია და რადიო, ბეჭდვითი, ანუ, გაზეთები, უწერნალები, პლაკატები, საფოსტო გზავნილები. ამიტომ ეს ყველაფერი (თუ სად რა სახის რეკლამა გაკეთდეს გავრცობის მიზნით) კონკრეტული კამპანიის საციიალისტმა უნდა განსაზღვროს, მან უნდა იცოდეს, თუ რომელ განვრცობის საშუალებას ფლობს თითოეული აღნიშნული ძირითადი საშუალება, თუ რა კონკრეტულ შემთხვევაში გააჩნია თითოეულ განვრცობის საშუალებს უპირატესობა და ნაკლოვანებები. ყველაზე ძვირადღირებულ სარეკლამო არხებს მიეკუთვნება მასობრივი საშუალებები: ტელევიზია, რადიო, გაზეთები. ასევე ზუსტად და

სწორად უნდა იყოს შერჩეული თუ რა დროს გადაიცემა რეკლამა, რაც ასევე, რა თქმა უნდა, ფასზეც ახდენს ზეგავლენას. ყველაზე დაბალფასიანი საშუალებებია: ფოსტა და ტელეფონი.

კონკრეტული რეკლამა უნდა იყოს მარტივი და გასაგები მომხმარებლისათვის. სარეკლამო კამპანიის განმახორციელებელს მხედველობაში უნდა პქნდეს, რომ ჩვეულებრივი მომხმარებელი არ არის სპეციალისტი და ის ინფორმაცია, რაც მომხმარების ორგანიზატორებისთვის შეიძლება მეტად მნიშვნელოვანი და ბევრის მთქმელი იყოს, მომხმარებელს არაფერს ეუბნებოდეს. სარეკლამო ინფორმაცია უნდა იყოს ადვილად შესამჩნევი და დასამახსოვრებელი.

რეკლამა უნდა გამოირჩეოდეს საფირმო სტილით და შეიცავდეს საფირმო ნიშანს. თავის მხრივ, საფირმო სტილი არის კონკრეტული ფირმის თავისებური სიტყვა, რომლის მეშვეობითაც იგი პოპულარიზაციას უწევს თავის პროდუქტს და ხელს უწყობს როგორც მოცემული პროდუქტის, ისე თვით პოპულარიზაციას, რაც გაცილებით უფრო მნიშვნელოვანია.

რეკლამის გაკეთების დროს ძირითად პრობლემას წარმოადგენს საზოგადოების რაც შეიძლება მეტი ჯგუფებისათვის ინფორმაციის მიწოდება და ამავე დროს, დანახარჯები იყოს მინიმალური ან არ დაიხარჯოს ბევრად მეტი. საჭიროა ინფორმაციის მოძიება კონკრეტული რადიოსადგურის ან სხვა მასობრივი საინფორმაციო საშუალების მიზნობრივი აუდიტორიის მოცვის შესახებ, პოტენციურად უფექტური რეკლამის შესაქმნელად. იმავდროულად, უნდა ვიცოდეთ ინტერესის დონე, რომელიც ვლინდება აუდიტორიის მიერ ამა თუ იმ რადიოსადგურის ან სხვათა მიმართ. ფართო აუდიტორიაზე გასასვლელად რეკლამა ბევრად უფრო იაფია, ვიდრე გასვლა ერთ პოტენციურ კლიენტზე, ინდივიდუალური რეალიზაციის მეთოდის გამოყენებით.

სარეკლამო საშუალების არჩევის შემდეგ ეტაპს წარმოადგენს ყველი არსებული მასობრივი საინფორმაციო საშუალების რენტაბელობის ანალიზი. უნდა გაირკვეს რამდენად ემთხვევა საინფორმაციო საშუალებას არჩეული აუდიტორია, შერჩეული საშუალება რამდენად შეესაბამება ორგანიზაციის მიზნებსა და სტრატეგიებს. ამის განსაზღვრის შემდეგ შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღება ღირს თუ არა რეკლამის გაკეთება ამა თუ იმ საინფორმაციო საშუალების მეშვეობით. აუცილებელია გაკეთდეს ანალიზი რეკლამის ეფექტურობის შესახებ. ეს რეკლამის

მიზანმიმართულობისა და შედეგანობის შესახებ ინფორმაციის მიღების საშუალებას იძლევა. ეფექტურობის სრულყოფილად განსაზღვრა შეუძლებელია, თუმცა მიახლოებითი გათვლაც ამართლებს, იქიდან გამომდინარე, რომ რომ არსებობს რეკლამის მიზანმიმართულების განსაზღვრის შესაძლებლობა.

განსახვავებები რეკლამის ეკონომიკური ეფექტურობისა და სხვადასხვა სარეკლამო საშუალების ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენის ეფექტურობას ადამიანზე. ეკონომიკური ეფექტურობა დამოკიდებულია ადამიანზე ფსიქოლოგიური ზეგავლენის მოხდენის დონეზე. ფსიქოლოგიური ეფექტურობა განისაზღვრება მომხმარებლის რაოდენობის მიცვით, სიმკეთროთა და შთაბეჭდილებების მოხდენის სიღრმით, რომლებიც რჩებიან ადამიანის მეხსიერებაში და იპყრობენ ყურადღებას.

სარეკლამო საქმიანობის თითქმის ყველა ფუნქციის რეალიზაცია მჭიდრო კავშირშია რეკლამის ბიუჯეტის დაფინანსების, შემუშავების და განხორციელების პროცედურასთან. სარეკლამო ბიუჯეტის განსაზღვრისათვის საჭიროა გადაწყვეტილების მიღება ორი მიმართულებით: 1). სარეკლამო ბიუჯეტის სიდიდის განსაზღვრა; 2). სარეკლამო ბიუჯეტის განაწილება.

დაბოლოს, რეკლამა ორგანიზაციის სახელის დამკვიდრებისა და საზოგადოებრივი ყურადღების მოპოვების საშუალებას აძლევს, რაც სხვა შემთხვევაში თითქმის შეუძლებელია. ნებისმიერი კომპანია ფუნქცია აუდიტორიაზე ზეგავლენის მოსახდენად, საზოგადოებრივი აზრის ჩამოსაყალიბებლად. მიზანშეწონილია სარეკლამო კამპანიის წარმოება მოხდეს იმ ტელეარხების და ა. შ. მეშვეობით, რომლებსაც საზოგადოება ანიჭებს უპირატესობას. სარეკლამო კამპანიის მიზანი უნდა იყოს: კომუნიკაციური არხების შერჩევა ოპტიმალური პარამეტრებით, კომუნიკაციური არხების მეშვეობით გადაცემული ინფორმაციის ეფექტურობის მართვა, მონიტორინგი და შეფასება.

**სოფიო კომლაბე**  
მაგისტრატურა II კურსი  
ხელმძღვანელი - პროფ. იური მღებრიშვილი

## **საბამომცემლო ბაზრის კვლევის ზოგიერთი საპითხი**

„ბიზნესის სასაფლაო სავსეა გაჭრობაში მონაწილე იმ ინდივიდებით, რომლებმაც ყური არ დაუვდეს თავიანთ კლიენტებს!“

პ. ლორანის მიხდვით, მენჯმენტში სტრატეგიული დაგეგმარების პროცესი უმაღლესი მმართველობითი რგოლისათვის ორგანიზაციის მართვის გადაწყვეტილების მისაღები ერთ-ერთი მძლავრი ინსტრუმენტია. მისი დანიშნულებაა, უზრუნველყოს ორგანიზაციაში ცვლილებებისა და ნოვატორობის საჭირო დონე. სტრატეგია დეტალური, ყოვლისმომცველი კომპლექსური გეგმაა და პირველყოვლისა, ორგანიზაციის მისის განხორციელებას უწყობს ხელს; სტრატეგიული გეგმა უნდა ემყარებოდეს ყოველმხრივ გამოკვლევასა და ფაქტობრივ მონაცემებს. მისათვის, რომ ფირმამ თანამედროვე ბიზნესგარემოში ეფექტურად შეძლოს კონკურენციის გაწევა, მან აუცილებლად მუდმივად უნდა იმუშაოს დიდალი ინფორმაციის შეკრებასა და ანალიზზე, რომელიც შესაძლოა ეხმოდეს მის გაზრდას, ბაზარს, კონკურენციის პირობებსა და ა. შ.

რაც შეეხება სტრატეგიის ცნებას მარკეტინგში, ამ შემთხვევაშიც მას უწინიშვნელოვანების ფუნქცია აკისრია. მარკეტინგული სტრატეგია მოიცავს მარკეტინგის ამოცანების გაცნობიერებას, მარკეტინგის გარემოს, არჩევანს აღტერნატიულ სტრატეგიებს შორის და მათ განხორციელებას. სტრატეგია გულისხმობებს დასახული მიზნების მიღწევის საშუალებას, ამ უკანასკელის განხორციელება კი მაკატის მარკეტინგულ მიქსთა ერთად (პროდუქტი, ფასი, ადგილი, დაწინურება) რამდენიმე სხვა ძირითად ეტაპსაც მოიცავს. თავის მხრივ, ბაზარი, მომხმარებელი, მარკეტინგისათვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანების რგოლია. მისი ანალიზი კი სტრატეგიის უმნიშვნელოვანების ნაწილია.

მარკეტოლოგებისათვის მომხმარებელი არის ცენტრალური ფიგურა. მათი ამოცანაა, მაქსიმალურად დაკავშირებილონ მომხმარებელთა საჭიროები და მოთხოვნილებები. მოთხოვნილება მარკეტინგის ამოსავალი წერტილია. ზოგადად ბაზარი და მისი

გამოკვლევა კა მონაცემთა სისტემატიური შეგროვება, აღრიცხვა და ანალიზია, რომელიც აუცილებელია ფირმის შედეგების განსაზღვრისათვის.

საგამომცემლო კომპანიების მომხმარებელი, იმ შემთხვევაში, თუ ორიენტირ პროდუქტად მხოლოდ წიგნს ავიდებთ, სხვადასხვა მახასიათებლით განისაზღვრება, გამომდინარე თავად წიგნის ტიპისა (ან უარისა). ეს, თავის მხრივ, პროდუქტს მრავალფეროვნებას სძენს და, მომხმარებლის რიცხვს ზრდის და, იმავდროულად, მარკეტინგის მენეჯერს აძლევს საშუალებას, ისევ ბაზარზე მოახდინოს პროდუქტის ლავირება, მისი სხვადასხვაგვარად წარმოჩნა და, შესაბამისად, ბაზრის მოცულობის გაზრდა.

თითოეულ წიგნს, პირველ რიგში, ავტორი ქმნის, მაგრამ ამასთან ერთად საჭიროა დამატებითი „პარტნიორი“, რომელიც კონსულტაციას გაუწევს ავტორს, უზრუნველყოფს ტექსტის რედაქტირებას, დაბეჭდავს წიგნს, განახორციელებს ყველა საჭირო სამარკეტინგო თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის ღონისძიებას, რადგან ავტორი და მისი წიგნი მომხმარებელს გააცნოს. ფაქტობრივად, შეიძლება თქვას, წიგნი მომხმარებლისთვის იქნება. ხოლო, სანაც მარკეტინგის მენეჯერი პროდუქტის შექმნას დაიწყებს, პირველ ეტაპზე მომხმარებლის, ბაზრის მოთხოვნილებების ანალიზი უნდა ჩაატაროს.

ხელოვნების მარკეტინგული მოდელი ტრადიციულისგან იმით განსხვავდება, რომ პირველ შემთხვევაში მთავარ, ცნობრალურ ფიგურას, საორიენტაციო საგანს თავად პროდუქტი წარმოადგენს. მარკეტინგის ტრადიციული მოდელი კი მთლიანად ბაზარზე ორიენტირებული. საგამომცემლო ბიზნესი თანამედროვე სახელოვნებო სივრცეში სხვა რამდენიმე სფეროსთან ერთად, ერთ-ერთ კომერციულ საქმიანობას წარმოადგენს. გამომცემლობებს, ფაქტობრივად ორმაგი მარკეტინგული ქმედების განხირციელება უწევთ: მუშაობა ორ საკმაოდ სერიოზულ ცვლადზე – პროდუქტსა და ბაზარზე. ასე მაგალითად, თუ ჩვეულებრივ, არასახელოვნებო ორგანიზაციაში ბაზრის სეგმენტები იყოფა პროდუქციის მიხედვით, კულტურულ ორგანიზაციაში ეს დაყოფა ხდება სპეციალური კლიენტების მიხედვით. საგამომცემლო სახლები უნდა უზრუნველყოფდნენ პროდუქტისა და მომხმარებელზე ერთნაირ მუშაობას. საგამომცემლო საქმე, ვფიქრობ, რომ დამოკიდებულია არ მხოლოდ პროდუქტზე, არმედ, ასევე მომხმარებელზეც. თუმცა გამომცემელს არ უწევს ახალი პროდუქტის გამოგონება, შექმნა და ა. შ. პროდუქტი (წიგნი) განსაზღვრულია და ამ პროდუქტს უკვე

უკავა ბაზრის განსაზღვრული სეგმენტი. თუ გავთვალისწინებთ, დღეს არსებულ წიგნის მყიდველობით-მკითხველობით დონეს საქართველოში, მომხმარებელი საკმაოდ შემაშფოთებელია. ყველაზე წარმატებული საგამომცემლო სახლი ერთი წლის განმავლობაში საშუალოდ 1000 ერთეულ წიგნს ყდის. ეს გარკვეულწილად, შესაძლოა, თავად პროდუქტის „ბრალიცა“, ან, შესაძლოა, ხდებოდეს არასწორი მენეჯმენტის, არასათანადო მარკეტინგული სტრატეგიის, ან სულაც შედა ორგანიზაციული პრობლემების შემთხვევებში.

მარკეტინგში „ბაზრის“ რამდენიმე განსხვავებული განმარტება არსებობს, მაგრამ ყველა მათგანი მოიცავს ერთ საერთო პუნქტს: ბაზარი შედგება მომხმარებელთა ერთეულებისაგან, რომელთაც მსგავსი მოთხოვნილებები აქვთ (აღსანიშნავია, რომ ეს მოთხოვნილებები ერთმანეთის მსგავსია და არა ერთნაირი). ამის მაგალითია ის, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნე, წიგნის მომხმარებელი განიხილება, როგორც ბაზარი, რომელიც შედგება გარკვეული „სუბიექტებისგან“, რომელთაც აქვთ საერთო ინტერესები კითხვის მიმართ და ამ ინტერესებს გამოხატავენ იმით, რომ ისინი იძენენ წიგნებს. ინტერესი ადამიანის ცნობიერებაში მოთხოვნილების ბიძგს აჩენს და აი, სწორედ ეს მოთხოვნილებები უნდა განსაზღვროს მარკეტინგის მენეჯერმა.

ბაზრის კვლევა, როგორც მომხმარებელთა მოთხოვნილებების განსაზღვრა, საკმაოდ სანტერესო პროცესია. კვლევის მიზანი ასეთნაირად უნდა იყოს განსაზღვრული: – ვინ არის მომხმარებელი? რას შეისყიდის იგი და რა სახის მომსახურება სჭირდება მას? ისევე როგორც ნებისმიერ ორგანიზაციას, კვლევასაც აუცილებლად უნდა გააჩნდეს დასახული მიზანი (ან მიზნები), რომ თანმიმდევრული ქმედებებით მიაღწიონ წინასწარ განსაზღვრულ მიზანს. საგამომცემლო სახლებს ნათლად უნდა ჰქონდეთ განსაზღვრული მიზნობრივი და პოტენციური მომხმარებლის მოთხოვნები, სურვილები.

ბაზრის კვლევასთან დაკავშირებული ქმედებები დადგ გამომცემლობაში შესაძლოა მარკეტინგის განყოფილებამ ჩაატაროს ან ამ განყოფილებასთან არსებულმა კვლევის კომიტეტმა, სააგენტომ ან სულაც დეპარტამენტმა. ეს საგენტო დაკომპლექტებული უნდა იყოს სპეციალისტებით. მათ უნდა შეეძლოთ ტექნიკური ექსპერტიზის შესრულება და მონაცემთა დამუშავება. რაც შეეხება პირველად კვლევას, რაც ზემოთ უკვე ვასხნე, იგი ხორციელდება თავად ბაზარზე და გათვლილია სპეციალისტების ინფორმაციის მოპოვებაზე სპეციფიკური კითხვების საპასუხოდ. საგამომცემლო სახლები არ


არიან ისეთი დიდი და მასშტაბური ორგანიზაციები, რომ მარკეტინგული საქმის განსახორციელებლად, უფრო ზუსტად კი, ბაზრის კვლევის ჩასატარებლად აუცილებელი იყოს ცალკე განყოფილების გამოყოფა. ამ საქმიანობას, ვფიქრობ, რომ თავისუფლად შეასრულებს ერთი მეწარმეები და ორი ასასტენტი. მათ შეუძლიათ მიმართონ თავიანთი პროდუქტის სარეალიზაციო პუნქტებს: წიგნის მაღაზიებს, კიოსკებს, ლიტერატურულ ცენტრებს და ა. შ. მკალევრებმა სათითოდ უნდა გამოიყვლონ ცალიბით მოვაჭრეთა შეიძლება დამოკიდებულება, აზრი არსებულ პროდუქტთან მიმართებაში. ამის გავთება კი საკამაოდ ადვილია: წიგნის მარტინი გამომცემლობას შეუძლია წიგნის გავრცელების პუნქტებში (რა თქმა უნდა, დამატებითი ანაზღაურების ან რაიმე გარკვეული ფორმის სტილების შემდეგ), პროდუქტის რეალიზატორებს დაურიგოს შესაბამისი ფორმის კითხვარი, რისი მეშვეობითაც გამომცემლობას უკვე გაუწინდება მომხმარებლის აზრის შესახებ ინფორმაციის მინიჭები. გარდა ამ ტიპის კვლევისა, მარკეტინგის თეორიაში აზრის შესახებ ინფორმაციის მოპოვების რამდენიმე ხერხი არსებობს:

1. პირადი ინტერვიუ;
2. ინტერვიუ ტელეფონის მეშვეობით;
3. კვლევა ფისტის მეშვეობით;
4. მომხმარებელთა სიები.

ინფორმაციის ეს ოთხი წყარო (ამას გარდა არსებობს კიდევ სხვა ხერხებიც) ხელს უწყობს იმის აღმოჩნდას, თუ ვინ არიან წიგნის მყიდვებები, რა მოთხოვნები აქვთ მათ და რას შეისყიდიან ისინი. თავისუფლადაა შესაძლებელი თითოეულის მათგანის ქართულ გამომცემლობებთან მისადაგება: პირველ ორ შემთხვევაში აუცილებელია ინტერვიუერისგან რესპონდენტის სწორად შერჩევა, შეძლება კი გარკვეული, წანასწორ შედგენილი კითხვარით ინფორმაციის მოპოვება. საგამომცემლო ბიზნესში ინფორმაციის ამ ხერხით მოპოვება უნდა მოხდეს აუცილებლად წიგნის არსებული ან პირტენციური მკითხველიდან (მყიდველიდან). კვლევის ეს მეთოდი მეტად აპრობირებულია სოფიოს წიგნის ბაზარზე. კვლევის კიდევ ერთი ხერხია გამოკითხვა ფოსტის მეშვეობით. თანამდებობები იძლევიან იმის საშუალებას, რომ გამომცემლობამ მინიმალური რაოდენობის ხარჯებით ურთიერთობა დამტაროს რესპონდენტებთან. წერილს აუცილებლად თან უნდა ახლდეს დამატებითი ინფორმაციის მისაღები შესავსები ფორმატის კითხვარი. სასურველია, წერილს

ასევე თან ახლდეს მცირე „საჩუქრო“, მისალოცი ბარათი ან რაიმე პროდუქტის შესათავაზებელი პაკეტი (ფასდაკლება, ბონუსი და ა. შ.), ეს ყველაფერი, რა თქმა უნდა, დამატებითი მასტიმულირებელი საშუალების სახით უნდა იყოს წარმოდგენილი. გამომცემლობებს ეს არხი დროის ფაქტორის მხრივაც ძალიან წაადგება, მინიმალურ დროში შესაძლებელია საქმაო რაოდენობის მომხმარებელს გაეცნოს. არსებობს კიდევ ერთი მეთოდი იმისათვის, რომ გამოიკვლიონ მომხმარებელთა აზრი – სპეციალისტთა ჯგუფი. ამ შემთხვევაში საგამომცემლო ფირმაში უნდა გამოიყოს გარკვეული რაოდენობის ადამიანთა ჯგუფი, რომელიც რეგულარულად იმუშავებს კვლევით საქმიანობებზე. მათ მიერ გამოიყოთ უნდა ხდებოდეს პერიოდულად.


საერთო ჯამში კი მარკეტინგში ბაზრის კვლევის პროცესის აპრობირებული სტრატეგიები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს:



ნებისმიერ საგამომცემლო სახლს ხელუწიფება ამ გრაფიკის მიხედვით დასახოს ბაზრის კვლევის სტრატეგია ან სულაც მოახდინოს ამ მარკეტინგულად მრავალნაცადი ხერხის აღაპტირება თავის ორგანიზაციასთან. ნაშრომის დასასრულს შემოგთავაზებთ საგამომცემლო ორგანიზაციის ბაზრის კვლევის მინ სტრატეგიას, ანუ, იმ აუცილებელ და საჭირო ეტაპებს, რაც ნებისმიერმა ორგანიზაციამ უნდა გაიაროს, მისათვის, რომ მიაღწიოს წარმატებას ბაზარზე, შეძლოს ჯანსაღი კონკურენციის გაწევა და, რაც მთავარია, გაზარდოს გაყიდვების რიცხვი.

პირველ რიგში, ოოგორც, ნებისმიერი მარკეტინგული საქმიანობის დაწყებისას, აუცილებელია ორგანიზაციამ განსაზღვროს ამოცანა. საგამომცემლო საქმიანობის ამოცანა, ლოგიკურად თუ ვთმსჯელებთ, უნდა იყოს ბაზარზე დიდი სეგმენტის დაკავება, მომხმარებლის დიდი რაოდენობა და, შესაბამისად, ასევე დიდი რაოდენობის გაყიდული პროდუქტი. ეს იმ შემთხვევაში, თუ გამომცემლობა ახლად დაარსებულია. უკვე არსებულ ორგანიზაციას ამოცანა უკვე განსაზღვრული აქვს. ამ უკანასკენმა ბაზრის კვლევა უნდა დაიწყოს არსებული პრობლემების აღქმით. პრობლემა შესაძლოა ბევრნაირი იყოს, ეხებოდეს პროდუქტს, ფასს, მარკეტინგული მიქსის ცვლადებს, მომხმარებელს და ა. შ. ბაზრის კვლევის სტრატეგიის დაწყება უნდა მოხდეს მომხმარებელთან, მყიდველებთან და ისევ ბაზართან დაკავშირებული პრობლემების განსაზღვრით. ორივე ტიპის (ახალი და ძველი) ორგანიზაციის სტრატეგიის მეორე საფეხური უნდა იყოს უშუალოდ კვლევა და აქვე მოხდეს კვლევის ხერხება, ანუ, იქნება ეს გამოკითხვა ფოსტით, ტელეფონით, მიმზარებელთან პირადი გასაუბრებით და ა. შ. უშუალოდ კვლევა უნდა მოხდეს ზუსტად გაწერილი კითხვარის მეშვეობით. მარკეტინგში ბაზრის კვლევისას დიდი მნიშვნელობა აქვს კითხვარის სტრად შედგენას. ეს კითხვარი რესპონდენტს აძლევს საშუალებას, გამოხატოს თავისი შეხედულება ორგანიზაციის, წიგნის, მიმართ, ამიტომაც, პირველ რიგში საჭიროა, კითხვების დასმისას მენეჯერი იყოს ობიექტური. უკვე არჩეული არხის ან არხების შემდეგ მენეჯერმა უნდა მოახდინოს ინფორმაციის შეჯამება, შეგროვება, დახარისხება. „სტრატეგიის“ ამ ეტაპზე, რადგან კვლევა უხება გამომცემლობას და მის ძირითად პროდუქტს, შესაძლოა, ინფორმაციის დახარისხება მოხდეს წიგნის მომხმარებლის ასაკის მიხედვით, წიგნის უანრიდან ან თავად პროდუქტზე მომხმარებლის მოთხოვნილებიდან გამომდინარე.

დახარისხება შესაძლოა მოხდეს გრაფიკულად, სკალურად და ა. შ. ამის შემდეგი საფეხურია მიღებული შედეგების კლასიფიცირება და საბოლოო შედეგის (კვლევის შედეგის) გაწერა. შემდეგ, ეს შედეგები გადაეცემა მაღალი რგოლის ხელმძღვანელ-მენეჯერს. სწორედ ამ შედეგების მიხედვით უნდა მოხდეს ახალი სამოქმედო სტრატეგიის შედგენა. მეტი თვალსაჩინოებისთვის გთავაზობთ ამ „სტრატეგიის“ გრაფიკულ ვარიანტსაც:



მასლოუს „მოტივაციის თეორიის“ პირამიდის ბოლო სამი მოთხოვნილება უფრო მაღალი დონის მოთხოვნაა და მხოლოდ პირველი ორი მოთხოვნილების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება გაჩნდეს, ისიც არა ყველა შემთხვევაში. წიგნის შექნა ინტელექტუალური სურვილია და, ბუნებრივია, ყველას არ უჩნდება. წიგნით ვაჭრობის შემთხვევაში ოდნავ როგორია აღამინის მოტივირება. მით უფრო, თუ საქართველოში დღეს არსებულ წიგნის ყიდვის მიმართ დამტკიცებულებას გავიხსენებთ და რაძენიმე კვლევის მაგალითსაც მოვიყენთ: წიგნის სააგნტოს ოფიციალური მონაცემების მიხედვით, გაყიდვებისა და გამოცემების ლიდერი გამომცემლობა

საქართველოში „ბაკურ სულაკაურია“, რომელმაც ერთი წლის განმავლობაში წიგნის („ჩემი პირველი ზღაპრები“) 1215 ცალი ეგზემპლარი გაყიდა (!) ამ სამარტხინო ციფრს თავი რომ აკარიდოთ, საჭიროა, გამომცემლობებმა ისე წარმართონ მარკეტინგული საქმიანობა, რომ მკითხველს შესთავაზონ ის, რაც მათ სურთ, შესთავაზონ მისაღები ღირებულების (თუმცა ეს უკვე ფასის დადგენის პრობლემა) წიგნები. მეოთხველის აზრის დადგენა კი მხოლოდ და მხოლოდ ბაზრის მონაცემების კვლევის შედეგად შეიძლება.

## **სტრატეგიული მოვლენების და მისი მართვის სტრატეგიები**

იაპონური მენეჯმენტის ერთ-ერთი წესის მიხედვით, ორგანიზაციის უფლებადობა დამოკიდებულია იმაზე, შეძლებს თუ არა ხელმძღვანელი დაუფლოს მის თანამშრომლებში არსებულ სტრუქტურების გერერგიას და ის წარმატების ენერგიად გარეოვებს.

დღეს ორგანიზაციულ სტრუქტურა ვისაუბრებთ. შევეცდებით გაგარკვიოთ, თუ რა გავლენა აქვს მას ბიზნესის წარმატება-წარუმატებლობაზე და ორგორ შეუძლია კომპანიის ხელმძღვანელობას, სტრუქტურის ისე მართოს, რომ მისი მანვე შედეგები ან გამორიცხოს ან მინიმუმამდე დაიყვანოს.

“უშუალოდ სტრესის მართვაზე ოდნავ მოგვიანებით გადავალ, თავიდან კი გვპასუხოთ ერთ მარტივ ქითხვას: რა არის სტრესი?”

ადამიანების უმეტესობა ფიქრობს, რომ სტრესი დაბაზულობს აღმნიშვნელი კიდევ ერთი ტერმინია. მაგრამ ეს საკმაოდ მარტივი განმარტებაა. სინაძვილეში სტრესი გაცილებით როული და საინტერესო ფრნომენია.

სტრუქტურის შესახებ მცნობელების ფუნქშებელადა ცნობილი კანადელი ბიოლოგი პან სელიუ. მისი განმარტებით, სტრუქტური თრგანიზმის არასპეციფიკური რეაქციაა მის მიმართ წაყვნებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე. მისი მიმართ წაყვნებულ ნებისმიერ მოთხოვნაზე ეს განმარტება გასაგები გახდეს, საჭიროა აიხსნას, თუ რა იგულისხმება სიტყვაში „არასპეციფიკური“. ორგანიზმის მიმართ წაყვნებული ნებისმიერი მოთხოვნა თავისებური, ანუ სპეციფიკურია. მაგალითად, ყინვაში აღამინი კანგალებს, რათა მეტი სითბო გამოყოს, სისხლძალვები კი ვიწროვდება, რათა სხეულის ზედაპირიდან დაკარგული სითბოს რაოდენობა შემცირდეს. ეს არის ორგანიზმის სპეციფიკური რეაქციები, ანუ, სპეციფიკური ზემოქმედებით გამოწვეული სპეციფიკური ცალილებები.

მაგრამ იმის მოუხედავად, თუ რა ცვლილებები ხდება ორგანიზმში, ყველა ამგვარ ზემოქმედებას ერთი საერთო რამ ახასიათებს: ისინი ორგანიზმისგან ითხოვს ადაპტაციას და ნორმალური მდგომარეობის აღდგნას. სხვა სიტყვაებით რომ ვთქვათ, სპეციალისტი ეჯიქების

გარდა, ნებისმიერი ზემოქმედება ორგანიზმისგან ითხოვს არასპეციფიკური ადაპტაციური უზუნქციების ამოქმედებას და ნორმალური მდგომარეობის აღდგენას. ზუსტად ეს არის სტრესის განმარტება.

სტრესული რეაქციის თვალსაზრისით, არ აქვს მნიშვნელობა სასიამოვნოა თუ უსამოგონ სიტუაცია, რომელიც ჩვენზე ზემოქმედებს. მნიშვნელობა აქვს მხოლოდ ადაპტაციისადმი მოთხოვნის ინტენსივობას.

### სტრესის იგნორირების საფასური

დღესდღეობით, ადამიანის სიცოცხლეს, შესაძლოა, ნაკლები საფრთხე ემუქრება, მაგრამ ამის მიუხედავად, სტრესის დონე სულ უფრო და უფრო მატულობს. ახალი ტექნოლოგიებით და ახალი ინფორმაციით გამოწვეული ცვლილებების ტემპი იმდენად სწრაფია, რომ ადამიანი ამგვარ დატვირთვას ვერარ უძლავდება.

სტრესი თანამდეროვე ბიზნესის განუყრელი ნაწილია და კომპანიის ნებისმიერი დონის თანამშრომელზე მოქმედებს. კომპანიის რიგით თანამშრომელი განიცდის სტრესს, რადგან დაბალი ანაზღაურებით, მაგრამ დიდი დატვირთვით მუშაობს, ძალიან ბევრი მოვალეობა და გაცილებით ცოტა უფლება აქვს. შეა რგოლის მენეჯერებიც მუდმივად სტრესის პირობებში არიან — მათ უწევთ კლიენტთან ურთიერთობა, გაყიდვების მოცულობაზე ზრუნვა, რაც ფაქტობრივად ნიშნავს, რომ მათი სამუშაო ლოგიკური და შემოქმედებითი აზროვნების (კრეატივის) გარკვეულ მონაწილეობას მოითხოვს. გარდა ამისა, ისინი ხელმძღვანელების პრეტენზიების მთავარ სამიზნესაც წარმოადგენენ. კიდევ უფრო ძლიერ სტრესშია ის, ვისაც ყველაზე მეტი პასუხისმგებლობა აკისრია — კომპანიის ხელმძღვანელობა. როგორც წესი, კომპანიის თანამშრომელებს მიაჩნიათ, რომ „მაღლა“ მყოფ დირექტორს ან კომპანიის პრეზიდენტს პრობლემები არ აწესებს და არხენად ცხოვრობს. სინამდვილეში კი, რაც უფრო მაღლა ადიხარ კარიერულ საფეხურზე, მით უფრო იმატებს სტრესის ინტენსივობა.

სტრესის გამო უარესდება ურთიერთობა კლიენტებთან, ასევე უშუალოდ კოლეგებს შორის, რადგან ადამიანები ადვილად გაღიზიანებადი და ნაკლებად ტოლერანტულები ხდებიან.

სტრესის ზემოქმედების ქვეშ მყოფი ადამიანები არაეფექტურ და ხშირად მცდარ გადაწყვეტილებებს იღებენ.

სტრესით გამოწვეული კადრების გადინებას მოჰყვება კომპანიის საქმიანობის შეფერხება, პროდუქტიულობის კლება და ხარჯების ზრდა (მაგ., ახალი თანამშრომლის აყვანისა და მათი ტრენინგის ხარჯები).

ზემოთ თქმული საკმარისია იმისთვის, რომ გასაგები გახდეს: გარ კვეული დაძაბულობა სამუშაოზე სასარგებლოცაა და მამოტივირებელიც, მაგრამ როდესაც ორგანიზაციაში სტრესის ინტენსივობა იზრდება, ეს უკვე სერიოზული პრობლემაა, რომელსაც ხელმძღვანელობამ დროულად უნდა მიხედოს.

### სტრესის სიმპტომები

რაც უფრო მაღალ გამოვაგლენთ სტრესის ზღვარგადაცილებულ ინტენსივობას თრგანიზაციაში, მით უფრო სწრაფად შევძლებო სიტუაციის მოწესრიგებას.

მოამზადეთ თქვენი თანამშრომელები სპეციალიური ტრენინგების მეშვეობით, რათა მათ ისწავლონ და შეძლონ სერიოზული სტრესის სიმპტომების ამოცნობა საკუთარ თავში და კოლეგებში. დარწმუნდით რომ მათ იციან თქვენი მზაობის შესახებ და პრობლემების გაჩენის შემთხვევაში, მაშინვე თქვენ მოგმართავნ.

რა სიმპტომები მეტყველებს სტრესის მომატებულ დონეზე?

- პირველ რიგში, ადამიანები გრძნობენ, რომ ველარ უძლავდებიან დატვირთვას;
- ისინი მუდმივად ჩქარობენ და დროის დეფიციტს განიცდიან;
- ვერ ახერხებენ კონცენტრირებას საქმეზე;
- ისინი მუდმივად დაღლილობას უჩივიან;
- ვერ ახერხებენ სამსახურებრივი პრობლემებიდან გადართვას და დასვენებას მაშინაც კი, როდესაც სახლში ბრუნდებიან
- უარეს შემთხვევაში მათ შესაძლოა სამსახურში მისვლის შიში განუვითარდეთ.

ხანდახან ხდება, რომ თვითონ ადამიანები ვერაფერს ხედავენ, სამაგიეროდ მისი თანამშრომელები ამჩნევენ გარკვეულ ცვლილებებს მის ქცევაში:

- სტრუქტურული მურტყენელი იუმორის გრძნობას კარგავენ, უხასიათოდ არიან და ადვილად ღიზიანდებიან.
- მათი სამუშაო დღის ჩვეულებრივი რეჟიმი იცვლება: მაგალითად, გვიან მოდიან ან უარს ამბობენ შესვენებაზე.
- მათი მუშაობის ხარისხი უცრად ეცემა.
- ისინი სულ უფრო და უფრო ხშირად აცდენენ სამსახურს ავადმყოფობის გამო.

### **სტრუქტურული მიზეზები და მისი შემცირების გზები**

სტრუქტურული მიზეზები, პირობითად, რამდენიმე მირითად კატეგორიად ერთიანდება.

#### **1. სამუშაო დატვირთვასთან დაკავშირებული პროცესები.**

თანამშრომლებისთვის არაელასტიკური ამოცანების დასახვა მათ დემოტივაციას და პრილუქტიულობის დაცემას იწვევს.

#### **2. დამატებითი სამუშაო საათები.**

ზოგჯერ, გადადებული საქმის დასრულების მიზნით, თანამშრომლებს უწევთ სამსახურში ადრე მოსვლა და გვიანობამდე დარჩენა. მაგრამ გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ რაც მეტად იღლება ადამიანი, მით უფრო უჭირს კონცენტრაცია და სამუშაოს ხარისხიანდ შესრულება. ამიტომ, ასეთი დაბატული მუშაობის შემდეგ თანამშრომლები ერთი დღით გაათვალისწევეთ, მიეცით მას საშუალება, სხვა მიმართულებით გადაერთოს.

#### **3. მართვის სტილი.**

ორგანიზაციული სტრუქტურის ყველაზე ხშირი მიზეზია კონფლიქტი უფროსთან ან კოლეგასთან. ძალიან ხშირად ადამიანები დაშინების და აგრესიული ქცევის მსხვერპლის ხდებიან. უფროსი, რომელიც საჯაროდ ამცირებს თანამშრომლებს ან წაახალისებს ამგვარ ქცევას მის ხელქვეითებს შორის, რისკის ქვეშ აყენებს საკუთარ რეპუტაციას და კარგავს კომპანიაში მომუშავე ადამიანების ნდობას. გასათვალისწინებელია აგრეთვე ის, რომ, რაც ერთი ადამიანისთვის სასაცილო ხელითად გამოიყურება, მეორესთვის, შესაძლოა, მძიმე შეურაცხყოფად იქცეს.

### **4. კომუნიკაციის ნაკლებობა.**

ადამიანები საკუთარ მომავალზე დელავენ და ეფექტურად ვერ მუშაობენ, თუ არ არიან ინფორმირებულები ორგანიზაციაში მიმდინარე ცვლილებების შესახებ. თუნდაც ახალი მენეჯერის დანიშვნა. დორულად მიწოდებული ინფორმაცია ამშვიდებს ადამიანებს, ისინი თავს უსაფრთხოდ გრძნობენ და ჩვეულ რეჟიმში აგრძელებენ მუშაობას. აცნობეთ მათ რა გახდა ცვლილების მიზეზი და რა კუთხით შეეხება მათ ეს ცვლილება. დაუსკით თანამშრომლებს კითხვები, მოისმინეთ მათი მოსახრებები: ისინი თავს კომპანიის ნაწილად იგრძნობენ, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის მათ მოტივაციას.

#### **5. ოჯახური პროცესები.**

როდესაც ადამიანებს პირადი პროცესები აწესებს, ეს აუცილებლად აისახება მის მუშაობაზეც. ასეთ სიტუაციაში თანამშრომლის მიმართ გამოჩენილი თანამშრომლი ეხმარება მათ, უფრო სწრაფად გადალახონ სტრუქტურის და ცხოვრების ჩვეულ რიტმს დაუბრუნდნენ. შესთავაზეთ ადამიანებს მოკლევადიანი შევებულება ან უფრო მოქნილი სამუშაო გრაფიკი.

#### **6. მენეჯერების სტრუქტური.**

კომპანიის პრეზიდენტი ან აღმასრულებელი დირექტორი, გამომდინარე თავისი თანამდებობიდან, ყოველთვის ერთგვარ იზოლაციაშია და უკვე ამის გამო ძლიერი სტრუქტურის ქვეშ იმყოფება. ამას ქმარება მასზე დაკისრებული პასუხისმგებლობის მაღალი ხარისხი და თანამშრომლების მხრიდან მხარდაჭერის ნაკლებობა (როგორც წესი, ისინი დარწმუნებული არიან, რომ უფროსმა ყველაზე უკეთ იცის, რა უნდა გააკეთოს ამა თუ იმ პროცედური სიტუაციაში).

გადაწყვეტილების მიღების პროცესი ნაკლებად სტრუქტურია, როდესაც პასუხისმგებლის რამდენიმე ადამიანზეა გადანაწილებული. თუ გადაწყვეტილება მცდარი აღმოჩნდება, ამის პასუხისმგებლობაც გადანაწილდება და ერთ ადამიანს აღარ დაწევს.

„მარტობით“ გამოწვეული სტრუქტურის შემცირების მიზნით, შეეცადეთ, მსგავს თანამდებობებზე მომუშავე ადამიანებს ესაუბროთ, მათი გამოცდილება გაიზიაროთ.

იმისათვის, რომ სტრუქტურის გაუმკლავდეთ, თავიდან საჭიროა დადგინდეს, თუ სად იმაღება სტრუქტურის შესაძლო მიზეზები. პროცედური „უბნის“ გამოვლენის შემდეგ თქვენ შეძლებთ, უშუალოდ იმუშაოთ ამ „უბანზე“ და თანამშრომლების სტრუქტურაში დაეხმაროთ.

## სტრესის მართვის რამდენიმე მიღება

უმეტეს შემთხვევაში, სტრესი კომპლექსური, მრავალფაქტორიანი წარმოშობისაა, ამიტომ მისი დაძლევა შესაბამისი სტრატეგიის გამოყენებას საჭიროებს. სტრატეგიების არსენალი საკმაოდ დიდია, თუმცა, არსებობს რამდენიმე ძირითადი მიღება, რომელიც ადამიანს ეხმარება, მართოს სტრესი, აირიდოს ან გადალახოს მისი ნეგატიური შედეგები და მუდმივად მოიპოვოს ახალი რეზიუმები საკუთარი ჯანმრთელობისა თუ შრომისუნარიანობის გასაძლიერებლად.

### 1. თვითშემეცნება.

ამ პრინციპში მოიაზრება საკუთარი შესაძლებლობებისა და შეზღუდვების, პიროვნული ტემპერატურისა და სტრესულ ვითარებაში ტიპური ქცევის, აგრეთვე, საკუთარი ფასეულობებისა და მიზნების ცოდნა.

რა არის საჭირო თვითშეცნებისათვის? საკუთარ თავზე დაკვირვება და გაანალიზება იმისა, თუ რომელი სტრესორები მოქმედებს თქვენზე უფრო ხშირად, და რა გემართებათ სტრესის დროს და რას აკეთებთ სტრესთან საპროტეკტობად.

### 2. საკუთარ თავთან თანხმობა და საკუთარი შასაძლებლობების რწმენა.

ეს ორი ურთიერთდაკავშირებული ცნებაა: საკუთარ თავთან თანხმობა ნიშნავს, აღიარონ სამი რა: 1. მე ვარსებობ; 2. არ არსებობს რამე მიზეზი იმისა, რომ ვიყო განსხვავებული იმისგან, რაც ამჟამად ვარ; 3. მე არც „ღირსეული“ ვარ და არც „უღირს“. საკუთარ შესაძლებლობების რწმენა ნიშნავს: 1. იცოდე რისი გაკეთება შეგიძლია და რისი არა; 2. იყო მზად ყველაფერი აკეთო შენი შესაძლებლობების ფარგლებში; 3. მუდმივად იმუშაო ამ ფარგლების გასაფართოებლად.

### 3. ჭკვიანური ეგოზმი.

ჭკვიანური ეგოზმის ფორმულა მარტივია: პირველ ადგილზე აყნებ საკუთარ ინტერესებს, თუმცა, არ ივიწყებ, რომ შენი ინტერესი გაცილებით უკეთ დაკმაყოფილდება, თუ კი სხვათა ინტერესებსაც გაითვალისწინებ.

### 4. რისკი.

ადამიანები, თავიანთი ბუნებიდან გამომდინარე, ცდილობენ მიაღწიონ სტაბილურობას და არ პქონდეთ მომავლის შიში. თუმცა, მათ, გარკვეულწილად რისკიანობაც ახასიათებთ. ჩვენ ვსაუბრობთ იმ გონიერ რისკზე, რომელიც აუცილებელია, რათა ცხოვრებისგან რაც

შეიძლება მეტი მიღლო და თავი აარიდო მოწყვენილობით გამოწვეულ უარყოფით სტრესს. იმისათვის, რომ დაადგინო შენი შესაძლებლობები, უნდა გარისკო და გამოსცადო საკუთარი თავი ახალ საქმეში, ასალ ურთიერთობებში.

### 5. ზომიერება.

ზომიერების პრინციპი დაგეხმარებათ, თავიდან აირიდოთ ექსტრემალურობა აზროვნებაში, გრძნობებსა და ქცევაში. ექსტრემალური – ძალიან დაბალი ან ძალიან მაღალი მოლოდინების ან მუდმივი უიდებლობის განცდას აჩნის, ან მოსაბეზრებელს ხდის ცხოვრებას. ზომიერების პრინციპის არსი არის ის, რომ დაისახოთ რეალისტური და მიღწევადი მიზნები და ამოცანები, რომლებსაც ყოველდღიურად შეასრულებთ.

### 6. ემოციური და ქცევითი პასუხისმგებლობა.

ადამიანები, რომლებიც გრძნობენ, რომ საკუთარ ემოციებს და ქცევას ვერ აკონტროლებენ, გაცილებით ნაკლებად განიცდიან სტრესის მანერ ზეგავლენას. პასუხისმგებლობის აღების პრინციპი დაგეხმარებათ, თავად აგოთ პასუხი საკუთარ ემოციებზე, მოქმედებაზე, და მთლიანად თქვენს ცხოვრებაზე. ჰერინდეს ემოციური პასუხისმგებლობა ნიშნავს:

- ა.** გჯეროდეს, რომ თავად ქმნი შენს საკუთარ გრძნობებს და **ბ.** არასოდეს ადანაშაულებდე შეწმი გაჩენილი გრძნობის გამო სხვა ადამიანებს. **ქცევითი** პასუხისმგებლობა ნიშნავს, აღიარო, რომ თავად ხარ შენი ქმნების და ქცევის „ავტორი“ და არავინ გაძალებს განახორციელო ესა თუ ის ქცევა. ადამიანი, რომელიც პასუხს აგებს საკუთარ გრძნობებსა და ქცევაზე, არასოდეს აღმოჩნდება მსხვერპლის როლში და არასოდეს გამოაშლავნებს გადატეტებულ რეაციას სხვა ადამიანების სიტყვების ან ქცევის მიმართ. თუ ვერ შეცვლის გარემოს, იგი ყოველთვის შეძლებს შეცვალოს საკუთარი გრძნობა და გაწწიობა ამ გარემოს მიმართ.

### 7. მოქნილობა.

ამბობენ, რომ მოქნილი ხე ძლიერი ქარიშხლის დროს მოიხრება და გადარჩება, ხოლო ხისტი – გაუძალიანდება და გადატყდება. იყო მოქნილი ნიშნავს:

- იყო ღაი ცვლილებების მიმართ როგორც შენს შიგნით, ასევე გარეთ.
- შეცვლილი გარემოებების შასაბამისად, შეგემლოს შეცვალო შენი გეგმები და ქცევა.

- შეგეძლის აითვისო აზროვნების ახალი წესი, რომელიც ცვალებად სამყაროსთან შეგუებაში დაგეხმარება.
- შეგწევდეს უნარი, მისცე ადამიანებს საშუალება იფიქრონ და აკეთონ ის, რაც სწორად მიჩნიათ, ხოლო თავად შენ აკეთე ის რაც შენთვისა მისაღები.

მოქნილობა ზრდის გადარჩენის შანსებს ცვალებად გარემოში.

#### 8. რეალობის მიღება (აღიარება).

რეალობის აღიარება ნიშავს:

- დაეთანხმო იმას, რომ რეალობა თუნდაც უსიამოენი, არსებობს
- მიხვდე, რომ ყველაფერი შენს გემოზე და შენს მოსაწონად ვერ მოხდება.
- გაურკვევლობა ან გაწბილება ნორმალური ცხოვრების ჩვეულებრივ ასპექტად განიხილო.
- შეეგუო იმას, რომ პიროვნული ცვლილებები შეზღუდულია. მიუხედავად, იმისა, რომ ნამდვილად შესაძლებელია ბევრი რაღაცის შეცვლა, ზოგი რამ უცვლელად დარჩება, როგორც უნდა ეცადო.
- შეეგუო იმ აზრს, რომ შეუძლებელია სხვა ადამიანების შეცვლა. მის გაცნობიერება ზედმეტ ტკიფილს აგარიდებთ.

#### სტრესის მართვის სისტემური მიღეობის გამოცდილება

დასავლეთის ზოგიერთ ქვეყნაში შემოღებულია სტრესის მართვის სპეციალური სტანდარტები, რომლებიც სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესის დონის შემცირებისკენა მიმართული. სტანდარტების შემუშავების უმთავრესი მიზანი იყო იმ ადამიანთა რიცხვის შემცირება, რომლებიც ხშირად აკადემიურობდნენ და აცდენდნენ სამსახურს, ან კარგად ვერ ასრულებდნენ მათზე დაგისრებულ მოვალეობებს იმის გამო, რომ მაღალი დონის სტრესის ზემოქმედების ქვეშ ისყოფებან. სტრესის მენეჯმენტის სტანდარტების მიხედვით, დამჭირავებული ვალდებულია, თავის თანამშრომლებთან იმუშაოს და განუწყვეტლივ იზრუნოს სამუშაოსთან დაკავშირებული სტრესის დონის შემცირებაზე. ეს სტანდარტები, როგორც წესი, არასავალდებულოა, მაგრამ თუ სტრესის ეფექტუანი მართვა ორგანიზაციული კულტურის ნაწილი გაიზრდება, ის დიდ სარგებელს მოუტანს არა მხოლოდ კომპანიაში მომუშავე პერსონალს, არამედ მთლიანად კომპანიას.

სტრესის მართვის სტანდარტები ექვს მირითად ასპექტს მოიცავს:

**1. მოთხოვნები.** იგულისხმება ისეთი საკოთხები, როგორიცაა სამუშაო დატვირთვა, მუშაობის რეჟიმი და სამუშაო გარემო.

**სტანდარტი:** ადამიანები აღნიშნავენ, რომ მათ არ უჭირთ სამუშაო მოთხოვნების შესრულება; კომპანიაში დანერგილია პერსონალის ინდივიდუალურ პრობლემებზე რეაგირების სისტემა.

**2. კონტროლი.** სამუშაო პროცესის დაგვემყვასა და განხორციელებაში რამდენად არის გათვალისწინებული კომპანიის თანამშრომლების აზრი.

**სტანდარტი:** ადამიანები აღნიშნავენ, რომ მათ აქვთ უფლება და სამუშალება გამოიტქან მოსაზრება საკუთარ სამუშაოსთან დაკავშირებით; კომპანიაში დანერგილია პერსონალის ინდივიდუალურ პრობლემებზე რეაგირების სისტემა.

**3. მხარდაჭერა.** იგულისხმება კომპანიის, შუა როლის მენეჯერებისა და კოლეგების მიერ გაღებული რესურსები, წახალისება და დახმარება.

**სტანდარტები:** ადამიანები აღნიშნავენ, რომ კოლეგებისა და ხელმძღვანელობისგან საკმარის მხარდაჭერას და ინფორმაციას ღებულობებ; კომპანიაში დანერგილია პერსონალის ინდივიდუალურ პრობლემებზე რეაგირების სისტემა.

**4. ურთიერთობები.** იგულისხმება პოზიტიური სამუშაო განწყობის შექმნა, კონფლიქტების თავიდან არიდება და მიღებული ქცევის მიმართ დამოკიდებულება.

**სტანდარტები:** ადამიანები აღნიშნავენ, რომ მათ მიმართ არ ხორციელდება მათვის მიღებული ქცევა (მაგ., დაშინება); კომპანიაში დანერგილია პერსონალის ინდივიდუალურ პრობლემებზე რეაგირების სისტემა.

**5. როლი.** ის, თუ რამდენად ესმით ადამიანებს საკუთარი როლი კომპანიის შიგნით და რამდენად უზრუნველყოფს ორგანიზაცია იმას, რომ ადამიანს ორ კონფლიქტურ როლში ერთდროული ყოფნა არ მოეხდეს.

**სტანდარტი:** ადამიანები აღნიშნავენ, რომ მათ ესმით თავიანთი როლი და მათზე დაკისრებული მოვალეობები; კომპანიაში დანერგილია პერსონალის ინდივიდუალურ პრობლემებზე რეაგირების სისტემა.

**6. ცვლილება.** როგორ იმართება დიდი ან მცირე მასშტაბის ცვლილება ორგანიზაციაში და როგორ ხდება თანამშრომლების ინფორმირება ცვლილების პროცესში.

**სტანდარტი:** ადამიანები აღნიშნავენ, რომ ორგანიზაცია მათ სისტემატურად აყენებს საქმის კურსში კომპანიაში მიმდინარე

ცვლილებებთან დაკავშირებით; კომპანიაში დაწერგილია პერსონალის ინდივიდუალურ პრობლემებზე რეაგირების სისტემა.

## სასიამოვნო და სასარგებლო

საუბრის ბოლოს მინდა, ორგანიზაციულ სტრუქტურას ბრძოლისა და მისი პრევენციის კიდევ რამდენიმე პოპულარული მეთოდი ვახსენო. ამ მეთოდების გამოყენებასთვის ორგანიზაციის წინასწარი დიაგნოსტიკა ან აუდიტირება არ დაგჭირდებათ, რადგან ისინი უნივერსალურია და ამავე დროს ქმედით.

ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული და პოპულარული მეთოდია კორპორაციული წვეულებების მოწყობა. გუნდის შეკრების თვალსაზრისით, ეს შშვენიერი ღონისძიებაა, თუმცა, მისი ორგანიზებისას უნდა გახსოვდეთ, რომ იქ, სადაც ალგორიტმია, შესაძლოა, პრობლემები განვიდეს. ასე რომ, სტრუქტურის მოხსნის ეს ძეველებური რეცეპტი ძალიან ეფექტურია, მაგრამ მანც საფრთხილოა.

სტრუქტურის ძალიან კარგად ხსნის სპორტი. კომპანია, რომელიც საკუთარ თანამშრომლებზე იზრუნებს, მათთვის სპორტულ დარბაზს თუ საცურაო აუზს მოაწყობს ან თუნდაც ტენისის მაგიდებს დააყენებს, შედეგად შრომის ნაყოფიერების 15%-იან ზრდას მიიღებს.

სტრუქტის პრევენციისა და შემცირების მიზნებს ემსახურება, აგრეთვე, შრომის პირობების გაუმჯობესება. იგულისხმება კარგი განათება, ოთახების განიავება და ვენტილაცია, მოხერხებული სამუშაო ადგილი, კედლების წყნარი შეფერილობა, ხმაურის მაქსიმალური შემცირება. იმ კომპანიებში, სადაც უგულებელყოფილი არ არის ეკონომიკის წესები, შრომის ნაყოფიერება ყოველთვის უფრო მაღალია.

**ცაცა ჯორჯიაშვილი  
მაგისტრატურის II კურსის სტუდენტი,  
სელმძლვანელი: პროფ. იური მღებრიშვილი**

## PR -ის (საზოგადოებასთან ურთიერთობის) როლი პულტურული ტურიზმის განვითარებაში

რესურსული პოტენციალის მნიშვნელობის მხრივ საქართველო ერთ-ერთი გამორჩეული ქვეყანაა, რომლის მიმართაც ინტერესი უძველესი დროიდან არსებობდა. ამის ნათელი მაგალითია თქმულება არგონაგტების შესახებ.

საქართველო ევროპისა და აზის გზაგასაყარზე მდებარეობს, შესაბამისად, სტრუქტურული საქართველოს გავლით ხდებოდა ევროპისა და აზის სახელმწიფოებს შორის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობების განვითარება. ამ გზას, რომელიც ევროპასა და აზის აკავშირებდა, ძველთაგანვე ეწოდა აბრუშუმის გზა, რომელზეც მოძრაობდნენ სავაჭრო ქარაგები, დიპლომატიური მისიები და კათოლიკე მისიონერები. იმის გამო, რომ მოგზაურობა იყო ხანგრძლივი და დამტანცველი, გაჩნდა აუცილებლობა სასტუმროს ტიპის ნაგებობების მოწყობისა.

შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ სტრუქტურული აქტები იღებს სათავეს ჩვენში პირველი სასტუმრო-სახლების დაფუძნება. უფრო მოგვიანებით აღმოსავლები ტრადიციისმებრ ქალაქებში და საქართვო გზებზე აშენდნენ ქარაგასლები, სასენიები, ხანიები, სამადლოები, იამები, ფუნდუკები და სხვა ამგვარი ტიპის ნაგებობები.

ევროპელი ვაჭრები და კათოლიკე მისიონერები თავიანთ ჩანაწერებში აღნიშნავდნენ რომ, თბილისში უფრო მეტ უცხოელს შეხვდებით ვიდრე სხვაგან სადმე (რა თქმა უნდა, საუბარია აღმოსავლეთის ქვეყნებზე).

საბჭოთა კავშირის შექმნის შემდეგ საქართველო მოკავშირე რესპუბლიკებისათვის მნიშვნელოვან კურორტულ ზონად გადაიქცა, რომელიც განთქმული იყო სამკურნალო მინერალური წყლებით, შავი ზღვის სანაპიროთ, მთის უნიკალური ჰავით და კავებისათვის აღპინისტური მარშრუტებით.

ამდენად, საბჭოთა პერიოდში საქართველოში ძირითადად ტურიზმის ორი სახე იყო ცნობილი: კულტურული ტურიზმი და

სამკურნალო ტურიზმი. XX საუკუნის 80-იანი წლებისთვის საქართველო ოთხ მილიონამდე ტურისტს მასპინძლობდა, რომელთაგანაც ძირითადი რაოდენობა კულტურულ ტურიზმზე მოიდიდა.

და მანც, რა არის კულტურული ტურიზმი? – კულტურული ტურიზმი ფართო გაგბით ისეთ მოგზაურობას გულისხმობს რომელიც ხელოვნების, მემკვიდრეობისა და ღირსშესანიშნავი ადგილების გაცნობისკენ არის მიმართული. ხელოვნებაში იგულისხმება – გალერეები, სტუდიები, საშემსრულებლო (performing) და თვალსაჩინო ხელოვნება; კულტურულ საქმიანობაში – ფესტივალები, დღესასწაულები, რიტუალები, საღამოები და ა. შ.; ფიზიკურ მემკვიდრეობაში კი – შენობები და ბუნება.

ICOMOS-ი (the UN's International Council on Monuments and Sites) თავის საერთაშორისო კულტურული ტურიზმის ქარტიაში აცხადებს, რომ: „ფართო გაგბით, ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობა ეკუთვნის ხალხს. თითოეულ ჩვენგანს კი გაჭერს უფლება და მოვალეობა იმისა, რომ გავიგოთ, დავაფასოთ და შევნიარჩუნოთ მისი უნივერსალური ფასულობები“.

საერთაშორისო და საშინაო კულტურული ვიზიტორები განისაზღვრებიან ისეთ ვიზიტორებად, რომლებიც:

- ესტრებიან სხვადასხვა სახის კულტურულ ღონისძიებებს.
- სტუმრობენ გალერეებს, მონაწილეობას იღებენ კორქმობებისა და სტუდიების მუშაობაში.
- ეცნობიან მასპინძლი ქვეყნის ხელოვნებას, რეწვას, სამზარეულოს, ბუნებას, ტრადიციებს, ისტორიასა და ეთნოგრაფიას.

კულტურული ტურიზმი მოიცავს ყველა იმ მიმართულებას, რომელიც დაკავშირებულია ერთს ისტორიის, კულტურის, ეთნოგრაფიის, მატერიალური და სულიორი კულტურის მემკვიდრეობის პოპულარიზაციასთან.

- ტურიზმის ეს მიმართულება, საშუალებას აძლევს ტურისტებს გაეცნო ისტორიულ და კულტურულ მემკვიდრეობას, რითაც ჩვენი ქვეყანა ძალიან მდიდარია.

ქართველი ხალხის მრავალ საუკუნოვანი ისტორია აისახა მრავალრიცხოვან ისტორიულ ძეგლებში. ცნობილია, რომ საქართველოში 150-მდე მუზეუმი და 35 ათასი ისტორიული ძეგლია. 1994 წლიდან თბის მათგანი იუნესკოს მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლთა დაცვის სიაში შეიღია: 1. საქართველოს უძელესი დედაქალაქი მცხეთა, როგორც ქალაქი-მუზეუმი; 2. გელათის სამონასტრო

კომპლექსი (XI ს.); 3. ბაგრატის ტაძარი ქუთაისში (XI ს.) და 4. უშგულის არქიტექტურული ანსამბლი.

ამდენად ძალიან მნიშვნელოვანია თუ როგორ წარმოაჩენს საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტი ქვეყნის ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის შესახებ ინფორმაციას საზოგადოებისთვის.

მოუხედავად იმისა, რომ იმის შემდგომი საქართველო ჯერ ეკონომიკურად და პოლიტიკურად სტაბილური არაა, დღეს ინტერესი თანამედროვე საქართველოს მიმართ როგორც მისი კულტურის, ასევე ისტორიის მიმართ, ისევ ძლიერდება უცხოულ ტურისტებში. მაგ.: საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის ინფორმაციით 2008 წლის 10 დეკემბრიდან 15 დეკემბრამდე საქართველომ უმასპინძლა იტალიური ტელევიზიის RAI UNO-ს წარმომადგენელთა 3 კაციან ჯგუფს.

აღნიშნული პრეს-ტურის მთავარ მიზანს წარმოადგენდა საქართველოს ტურისტული პოტენციალის შესწავლა და გაშუქება იტალიის ტელევიზიით.

გარდა ამისა უერთალისტებმა მოინახულეს და გადაიღეს ის ტერიტორიები, რომლებიც რვა აგვისტოს მოვლენების შედეგად იქნა დაზიანებული.

მათ საქართველოში ვიზიტის დროს, დაზიანებული ტერიტორიების გარდა მოინახულეს მცხეთა, კახეთი, ძველი თბილისი და სხვა ტურისტული ატრაქციები.

საქართველოს ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის სტატისტიკური მონაცემებით 2008 წელს (11 თვეს განმავლობაში) საქართველოში ჩამოსულ ვიზიტორთა რაოდენობამ 1 200 000 მიაღწია, რაც დაახლოებით 25%-ით მეტა 2007 წელთან შედარებით.

კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის აუცილებელია საქართველოში არსებული რესურსების მაქსიმალური აგრეთვე მნიშვნელოვანია ჩვენმა ქვეყანამ წარმოიწყოს ფართომასშტაბიანი საერთაშორისო PR კამპანია, კულტურული ტურიზმის მიმართულების პოპულარიზაციის მიზნით, რომელიც მსოფლიოს წამყვან ტელეარხებზე და ბეჭდვით მედიაში, ორიგინალური მაღალხარისხისანი სარეკლამო რგოლებით და მასლებით განთავსდება. სწორედ ასეთი PR აქციებით თუ შევძლებო ინფორმაციული გაკუუმის შევსებას და საერთაშორისო საინფორმაციო სივრცეში მაღალი რეპუტაციის დამკვიდრებას. შიდა ტურიზმის

განვითარების მიზნით კი აუცილებლად მიმართა ისეთი სატელევიზიო თუ რადიო გადაცემის შექმნა, რომელიც მუდმივად საქართველოს სხვადასხვა ტურისტულ ადგილებს „პრომოუშენს“ გაუწევს. მნიშვნელოვანია მომზადებეს სარეკლამო მასალები, კერძოდ კი – დაიბეჭდოს ტურისტული რეკები, საქართველოს კურორტების ჩამონათვალი ბროშურების სახით და სასტუმროებისა და სახლების guideline-ები, რომლებიც უზრუნველყოფენ როგორც ტურისტული პოტენციალის პოპულარიზაციას, ასევე მარწვდინ საზოგადოებას ინფორმაციას ტურისტული ღირსშესანიშნაობების, მარშრუტების, სასტუმროების, კვების ობიექტების და სხვ. შესახებ. აღნიშნული ტიპის მასალა არამარტო ტურისტებისთვის იქნება გამოსადევი, არამედ აქტუალური იქნება ტურიზმის ინდუსტრიაში ჩართული ადგილობრივი მოსახლეობისთვისაც. შესაბამისად, გლეხს ან ფერმერს, რომელსაც არა აქვს შესაძლებლობა რეკლამირება გაუკეთოს მის მიერ შეთავაზებულ ტურისტულ პროდუქტს (ღამის სათვას, კვებით ან ტრანსპორტით მომსახურებას და სხვ.), საშუალება ექნება მასწოდოს სათანადო ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს, იქნება ეს ტურისტი თუ ტურისტული კომპანია. აგრეთვე საჭიროებას წარმოადგენს საინფორმაციო web-გვერდის შექმნაც.

ზემოთ ჩამოთვლილი პროექტების დაფინანსება თავდაპირველად უნდა განხორციელდეს სახელმწიფო ბიუჯეტიდან და სპონსორული საქმიანობიდან. აგრეთვე სასურველია ინვესტიციების მოზიდვა სხვადასხვა ქვეყნიდან, რაშიც PR – სპეციალისტის სწორი კუთხით წარმართულ მუშაობას განსაკუთრებული როლი ენიჭება. კულტურული ტურიზმის განვითარება სახელმწიფოს თანადგომის გარეშე შეუძლებელი იქნება.

საქართველოში კულტურული ტურიზმის განვითარებას ხელს შეუწყობს სამთავრობო სტრუქტურების უფრო ფართო მასშტაბური ჩართვა პროცესის მენეჯმენტში.

– მთელი საქართველოს მასშტაბით უნდა განხორციელდეს ისეთი პროექტები, როგორიც მაგ., ტურიზმის დეპარტამენტმა შიდა ტურიზმის განვითარების მიზნით სვანეთში განახორციელა; ეს იყო „სვანეთის პოპულარიზაციის პროექტი“. აღნიშნული პროექტი შიდა ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ პირველ პროექტს წარმოადგენდა და მიზნად ისახავდა სვანეთის რეკონსტრუქტურის განვითარებისათვის პოტენციური ინვესტორების მოზიდვას. დეპარტამენტის მიერ

მესტიასთან სოფელ კახრში, მოეწყო 150 კაცინი ტურისტული ბანაკი (Camp Town-ი), სადაც გაიმართა ახალგაზრდული მუსიკალური ფესტივალი „სვანსეტი“; ამ პროექტის ფარგლებში სვანეთი 5000-მდე ქართველმა და უცხოელმა ტურისტმა მოინახულა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ „სვანეთის პოპულარიზაციის პროექტის“ მიმდინარეობის პერიოდში დეპარტამენტის მიერ ჩატარდა აქტიური PR კამპანია: მომზადდა რამდენიმე სარეკლამო რგოლი, მომზადდა და გავრცელდა სარეკლამო ბეჭდვითი მასალა ლითლეტებისა და სვანეთის რეჟის სახით. სპეციალურად ტურისტებისათვის დამზადდა მაისურები და გასაღების საკიდები, რომლებზეც სვანეთის ლოგო იყო გამოსახული. ყოველივე ზემოთ აღნიშნულმა აქტიურად შეუწყო ხელი სვანეთის რეგიონში ტურისტული ნაკადის ზრდას.

საქართველოში უნდა შეიქმნას ტურიზმის ისეთი პოლიტიკა, სადაც გათვალისწინებული იქნება იუნესკოსა (United Nations Scientific and Cultural Organization) და WTO-ს (World Tourism Organization) პროგრამები, რეზოლუციები და რეკომენდაციები, რომელიც საგალდებულოა ნაციონალური მთავრობისათვის. მაგ., ისტორიის, კულტურისა და ბუნების მეცნიერების წარმოადგენენ ქვეყნის ეროვნულ საკუთრებას. ამდენად, მათი გამოყენება მოითხოვს ძალზე სათაურო მოპრობას – დევიზი: „დაიცავი – აღადგინე – ნუ დაზიანე“, ისეთი უნიკალური ტერიტორიები, როგორიცაა – ძველი ქალაქები, საკარმილო სასახლე – პარეს კომპლექსი, საკულტო არქიტექტურა, ისტორიული ნაგებობები, ისტორიულ – კულტურული ძეგლები და ა. შ. კულტურული მემკვიდრეობის დაცვა და მისი შენარჩუნება საქართველოს კულტურული ტურიზმის განვითარების მთავარ პრიორიტეტად უნდა მივიჩნიოთ.

უდავოა ის ფაქტი, რომ ტურიზმი კონომიკის უმსხვილესი სფეროა. მსოფლიო გარნიშიერები იგი ლიდერის პოზიციაზეა და კონკურენციას უწევს ნავთობის მოპოვებას. აქდან გამომდინარე კულტურული ტურიზმის და საერთოდ ტურიზმის განვითარებით საქართველოს ტურიზმის სხვადასხვა ტერიტორიული ერთეულისათვის გაიზრდება არა მარტო შემოსავალი, არამედ მოსახლეობას ჩამოუყალიბდება გარკვეული სამაყის გრძნობა, რომ არსებობს რაღაც უნიკალური, რომელიც დამახასიათებელია მხოლოდ მისი კუთხისთვის და რომლის შეთავაზება შეუძლია სხვა კულტურის წარმომადგენლებისათვის; – ამაღლდება მოსახლეობის ცხოვრების კულტურული დონე. – ბევრ ევროპულ ქვეყანაში საქართველოზე მწირი წარმოდგენა

გააჩნიათ. ტურისტების შემოღინება კი გარეულწილად გამოიწვევს ამ ნაკლოვანების აღმოფხვრას.

— სტიმული მიეცემა ადგილობრივი კულტურული ტრადიციების შენარჩუნებას და აღორძინებას. ამ სტიმულირების წყაროდ ძირითადად უცხოულ ტურისტთა მაღალი მსყიდველობითი უნარის მქონე ბაზარი წარმოგვიდგება.

— შეიქმნება ახალი სამუშაო ადგილები.

— განვითარდება ყველა ის დარგი, რომელიც დაკავშირებულია ტურისტულ მომსახურებასთან.

— განვითარდება სოციალური და ადგილობრივი მეურნეობა (სასტუმროები, რესტორნები, სატრანსპორტო სისტემა, სუვენირების წარმოება, ხალხური რეწვა და სხვა).

— ქვეყნის ბიუჯეტში შემოვა უცხოური ვალუტა და მრავალუროვანი გახდება ადგილობრივი ეკონომიკა, განსაკუთრებით მაღალმთიან რაიონებში, სადაც სოფლის მეურნეობა არასაგმარისად არის წარმოდგენილი და განვითარებული.

— გაიზრდება მოთხოვნა სოფლის მეურნეობის პროდუქტისაზე.

— ხელი შეეწყობა იმ მიწების პროდუქტულებად ათვისებას, რომლებიც ნაკლებ ვარგისა სოფლის მეურნეობისათვის.

— ადგილობრივ მოსახლეობას ჩამოუყალიბდება კონკრეტული დამოკიდებულება საკუთარი ქვეყნის მიმართ, რაც მათ დაეხმარება ქართულ — ეროვნული ინდივიდუალობის დამკვიდრებაში. გაუმნიდებათ სურვილი მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანონ ისტორიულ — კულტურული მემკვიდრეობის დაცვაში და შენარჩუნებაში.

ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი, საქართველოს საშუალებას მისცემს, არა მარტო იამაყოს საკუთარი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, არამედ ჩვენი ქვეყნის ეს ძლიერი სფერო აქციოს შემოსავლის და ეკონომიკური წინსვლის წყრილ. თავის მხრივ, ადგილობრივი მოსახლეობა კულტურასთან ინტეგრირებულად იგრძნობს თავს.

ამასთან ერთად ყოველთვის უნდა გვახსოვდეს, რომ PR-ის (საზოგადოებასთან ურთიერთობის) როლი კულტურული ტურიზმის განვითარებაში ძალზე მნიშვნელოვანია, რადგან საზოგადოების მძაფრი ჩართულობის გარეშე ტურიზმის განვითარება შეუძლებელი იქნება. საზოგადოების აქტიური ჩართულობა კი შესაძლებელია მისი სხვადასხვანაირი სტიმულირებით. მაგ: „კახელი გლეხის“ რეწვის ნიმუშები და იგივე მის მიერ შექმნილი სუვენირები, არა მხოლოდ

შემოსავლის წყაროდ უნდა გაქციოთ, არამედ გაფურინოთ მას, მათი ლამაზად (მიმზიდველად) წარმოჩნდის სურვილი ტურისტებთან მიმართებაში. ეს სტიმულირება შეიძლება მოხდეს მხოლოდ სწორი მესიჯებით. ეს კი PR-ის პრეროგატივაა.

PR – ა). ემსახურება ჩვენს საგმენტურ, დაქსაქსულ საზოგადოებას კომუნიკატორისა და შუამავლის ფუნქციის შესრულებით; ხელმძღვანელობს ადამიანების ინფორმირებულობის ამაღლების პრინციპით და ცდილობს მათ შორის უთანმოების აღმოფხვრას.

ბ). PR – ასრულებს თავის სოციალურ ვალდებულებას, გაუმჯობესოს ადამიანების კეთილდღეობა.

გ). ის ემსახურება საზოგადოებრივ ინტერესებს, საზოგადოების სხვადასხვა აზრის გათვალისწინებით. PR – უზრუნველყოფს ხელსაყრელ გარემოს, რომელშიც მოქმედებს როგორც საზოგადოება ასევე კომპანიები.

პრაქტიკულად კულტურული ტურიზმის განვითარებისათვის PR საქმიანობას წამყვანი როლი აკისრია, რადგან ეს საქმიანობა ტურისტული პროდუქტის გასაღების ერთ-ერთი უძნიშვნელოვანები ელიტებითა.

PR (საზოგადოებასთან ურთიერთობა) – ტურისტულ პროდუქტსა და მომხმარებელს შორის არაპირდაპირი კავშირის ფორმაა, მისი მიზანია მიიჰყოროს საზოგადოების ყურადღება, გააღვიძოს მისი ინტერესი, გადასცეს დაწვრილებითი ინფორმაცია მომხმარებელს და დაინტერესოს იგი.

კულტურული ტურიზმის და საურთოდ ტურიზმის განვითარებისათვის PR – მიზანდ ისახავს:

1. საზოგადოების ინფორმირებას,
- ინფორმაციის მიწოდებას ტურისტული პროდუქტის შესახებ;
- პროდუქტის იმიჯის ფორმაზრებას;
- ტურისტული ფირმის იმიჯის ფორმირებას;
- ფირმის მუშაობის შესახებ არსებული შეხედულებების კორექტირებას.
2. დარწმუნებას,
- სურვილის აღძვრას ტურ. პროდუქტის შესაძენად;
- დამოკიდებულების შეცვლას ტურ. პროდუქტის მიმართ;
- გაყდვათა რიცხვის გაზრდას (ტურ. პროდუქტის გაყიდვის ხელშეწყობას);
- კონკურენციისათვის წინაღმდეგობის გაწვას (კონკურენტ

პროდუქტთან შედარებით უკეთესი რეპუტაციის დამკვიდრებას).

### 3. ზემოქმედებას მეხსიერებაზე

- ტურისტულ ბაზარზე ფირმისა და მისი პროდუქტის მუდმივად არსებობას და რაც მთავარია დადგებითი იმიჯის შენარჩუნებას.

საინტერესო თუ როგორ ახერხეს ერთ-ერთი ტურისტული კომპანია KALASI TOUR-ი მომხმარებელთა მოზიდვასა და დაქმაყოფილებას ადგილობრივ თუ საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე.

კომპანია KALASI TOUR-ი, რომელიც როგორც შემომყვან, ასევე გამყვან ტურიზმზე აქტიურად მუშაობს, საზოგადოების ინფორმირებას ამა თუ იმ ტურ-პრილუქტის შესახებ, ძირითადად Web-გვერდის მეშვეობით, ანუ, online PR-ით უზრუნველყოფას ([www.kalasitour.ge](http://www.kalasitour.ge)); მომხმარებლის დარწმუნებას და მასში სურვილის აღმოჩენას ტურ-პროდუქტის შესაძნად, ტურისტთან უშუალო კონტაქტებით ახორციელებს; ხოლო რაც შეეხება კონკურენტ პროდუქტთან შედარებით მაღალი რეპუტაციის დამკვიდრებას კი – მომსახურეობის მაღალი ხარისხით ცდილობს. მართალია კომპანია სწორედ იმ ამოცაქების განსახირციელებლად მითსწრაფვის, რომელსაც PR (საზოგადოებასთან ურთიერთობა) ტურიზმის განვითარებისთვის მიზნად ისახავს, თუმცა არსებობს ხარვეზები და შენიშვნები რაც სამომავლოდ გასათვალისწინებელია. მაგ: ჩვენ მიურ წარმოდგენილ კომპანიას არ გააჩნია საჭარისი ინფორმაციის მომცველი ისეთი ბეჭდითი მასალები, როგორიცაა ფლაუტები, ბუკლეტები, საინფორმაციო ფურცლები, რუკები და ა.შ. რაც ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხარვეზს წარმოადგენს, რადგან აღნიშული მასალა ხომ, ნაწილობრივ გარანტია საზოგადოების ინტერესის აღმოჩენის ტურ-პროდუქტის მიმართ. საერთაშორისო დონეზე კომპანიის ცნობადობის ამაღლების მიზნით ურიგო არ იქნებოდა ისეთ საერთაშორისო ტურისტულ გამოიფრა-ბაზრობებზე მონაწილეობის მიღება, მაგ.: როგორიცაა: ITB, რომელიც ყოველ წელს გერმანიაში, ქ. ბერლინში, იმართება; ასევე WTM-ი (World Tourism Market ) დიდ ბრიტანეთში და სხვა.

კომპანია KALASI TOUR-ი ძალიან იშვათად ატარებს PR აქციებს, თუმცა მის წარმომადგენელთან გასაუბრებისას მან განგვიცხადა, რომ „PR, მართლაც, მნიშვნელოვან როლს ასრულებს ტურისტული ბიზნესს განვითარებაში, თუმცა მას მაინც ფუფუნების სფეროდ მიიჩნევს“. ასეთი მიღვომა მცდარი იქნებოდა მაშინ, როცა PR-ს ყველა ზემოთ ჩამოთვლილთან ერთად კიდევ ბევრი სხვა

მნიშვნელოვანი როლი აგისრია, მაგ., იმიჯის ფორმირების თვალისაზრისით PR-ის ფასდაუდებელი თვისება ის არის, რომ მას შეუძლია დამაჯერებელი, მაგრამ უხილავი შეტყობინებების გაგზავნა საზოგადოებისათვის.

იმიჯი – როგორც ხელოვნურად შექმნილი შეხედულება მასობრივ ცნობიერებაში გარკვეულ კეთილგანწყობილებას აყალიბებს ტურ. პროდუქტისა თუ ტურ. ფირმის მიმართ.

იმიჯის უგულებელყოფა ტურიზმის სფეროში ყოვლად დაუშებელია, რადგან სწორედ მისი დახმარებით შეგვიძლია ადამიანის ფსიქიკის ემოციურ სფეროზე მიზანმიმართულად ზემოქმედება.

ასევე მნიშვნელოვანია მაღალი რეპუტაციის მოპოვება. მისი შექმნა დიდ დროსა და სერიოზულ კაპიტალურ დაბანდებას მოითხოვს. მაღალი რეპუტაციისა და დადგებითი იმიჯის არსებობის ხელისშემწყობ ფაქტორს მომსახურების ისეთი ხარისხი წარმოადგენს, რომელიც მომხმარებელთა მოთხოვნებს შეესაბამება.

ასე რომ, ყოველთვის უნდა გავასოვდეს, რომ საზოგადოებასთან ურთიერთობის სპეციალისტები იმიჯისა და რეპუტაციის შექმნაში, შენარჩუნებაში და გაძლიერებაში განსაკუთრებული როლი ენიჭება.

ხოლო, რაც შეეხება PR კამპანიის წარმოებას, მის ერთ-ერთ აუცილებელ ეტაპს ამ კამპანიის უფექტურის შეფასება წარმოადგენს. ამგვარ შეფასებას დიდი მნიშვნელობა აქვს PR სტრატეგიის კორექტული მდგრენისათვის, აღნიშულ კამპანიაზე გაწეული ხარვეზის უპუგების დადგენისა და შემდგომ მუშაობის სწორი ორიენტაციისათვის.

ტურიზმში ჩატარებული PR კამპანიის უფექტურობაზე შეგვიძლია ტურ პროდუქტის რეალიზაციის შედეგებით ვიმსჯელოთ. შედეგების მიხედვით შეფასება, რასაკირველია მხოლოდ ამგარი კამპანიის ჩატარების შემდეგ შეიძლება.

შეფასების პოპულარულ მეთოდს სოციოლოგიური გამოკითხვა წარმოადგენს; ამ სამუშაოების განხორციელების აუცილებელ პირობას კი – სისტემატიური, სტატისტიკური აღრიცხვა.

ამრიგად, საქართველოს ბუნების მრავალფეროვნება და კულტურულ – ისტორიული მემკვიდრეობის სიუხვე, გვაძლევს საშუალებას დავასკვათ, რომ საქართველოს შეუძლია მსოფლიოში კულტურული ტურიზმის მძლავრი ცენტრი გახდეს, თუმცა ამის განხორციელება წარმოუდგენელი იქნება საზოგადოების ინტერესების გათვალისწინების გარეშე, PR (საზოგადოებასთან ურთიერთობა) კი ამ სფეროში სულ უფრო და უფრო დიდ მნიშვნელობას იძნს და განსაკუთრებულ როლს ასრულებს კულტურული ტურიზმის განვითარებაში.

თამარ ფიროსმანაშვილი  
მაგისტრატურის II კურსი  
ხელმძღვანელი – პროფ. იური მღებრიშვილი

## არტ-ბაზარი საქართველოს გალერეაზი

ბუნება მეტ-ნაკლებად აჯილდოვებს ადამიანს შემოქმედებითი ნიჭით. ყოველი ჩვენგანი ასე თუ ისე იღწის იქითკენ, რომ მეტ-ნაკლებად გაამშვენიეროს და გაალამაზოს ეს სამყარო, შეჰქმატოს მას კიდევ უფრო მეტი სილამაზე და თავისი შემოქმედებით დატოვოს კვლი ხელოვნების ამა თუ იმ სფეროში.

მაღალ შედეგს შემოქმედებაში მხოლოდ მუზა-შთაგონება არ განაპირობებს. ის ყოველდღიური ბრძოლისა და შრომის ნაცოფია და რაც იქმნება დროსა და სივრცეში თანაბარი მხატვრული ღირებულებით არ განიზომება. ყველა საუკუნეში დროის მირითადი ესთეტიკური მიმართულებისა და მაღალი სტილის დამკვიდრება ხელოვნებაში ხდებოდა ცალკეულ შემოქმედთა ხელწერის განზოგადების საფუძვლზე.

სახითი ხელოვნება ეს ისეთი სფეროა, რომელიც საგანგებო და განსაკუთრებულ ყურადღებას მოითხოვს. იგი იმ ინდივიდუალურ ურთიერთობებსა და შემფახებლებს მოითხოვს, ვისაც ხელოვნებასთან ურთიერთობის მარტო სურვილი და ინტერესი კი არ აქვს, არამედ კარგი სპეციალისტიცაა.

შემოქმედის ტალანტის წარმოსახენად საჭიროა მისი ნამუშევრების საჯაროდ გამოტანა და გაცნობა ფართო მასებისათვის, რომ მიიღონ რეალური შეფასება, რათა თავი დაიმკვიდრონ ხელოვნებაში და გახდეს საზოგადოებისთვის ცნობილი. ყოველივე ამისთვის კი ნამუშევრები უნდა გამოიიფინოს საგამოფენო გალერეებში, თუნდაც სამხატვრო სალონებში, რომ დამთვალიერებულთა ფართო მასებისთვის იყოს თვალსაჩინო და საინტერესოდ წარმოჩნდილი. ეს ყოველივე კი როგორც შემოქმედისთვის, ასევე გალერეისთვის ვერ იქნება საარსებო წყარო თუ ნამუშევრების რეალიზება შემდგომში არ მოხდება. ყოველივე ამისთვის უნდა მოხდეს გალერეების გააზრებული, შეგნებული მართვა და ხელშეწყობა არტ-ბაზრის ჩამოყალიბება-განვითარებისთვის.

არტ-ბაზარი ხელოვნების არსებობისათვის თანმდევი პროცესია და კრიმი გალერეას არსებობისათვის ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი.

ხელოვნებისთვის ის იმდენად მომგებიანია, რამდენადაც მათ შეუძლიათ მოახდინონ თავიანთი შემოქმედების რეალიზება. იგი მთელ მსოფლიოში ძალიან პრესტიჟულ და შემოსავლიან ბიზნესად ითვლება. პროდუქტის არტ-ბაზარზე გატანამდე კი საჭიროა გარკვეული სამუშაოების ჩატარება.

საქართველოში არსებობს ისეთი კერძო გალერეები, რომლებიც მონაცილეობას ღებულობენ არტ-ბაზარში. თანამედროვე ქართული ხელოვნების ინფრასტრუქტურაში და ხელოვნებაში მიმდინარე პროცესებში არსებული მრავალი წინააღმდეგობის გამო, სრულად ვერ ხერხდება გალერეების პერსპექტივების განხორციელება, რაც დაკავშირებულია ქვეყნის დღეუბნებით პოლიტიკურ-ეკონომიკურ და საკანონმდებლო საკითხებთან.

მე ვიყავი თბილისის რამდენიმე კერძო გალერეაში. – მაგ.: გალერეა „პობი“, „ვერნისაჟი“, „ბაია“, „არტ-ლაინ“, „თევდორე“, „კამპა“ და სამხატვრო სალონ „ხელოვნებაში“, რომლებიც დაკავებულნი არიან არტ-ბაზრით. გავესაუბრე იქ მომუშავე ხელოვნებათმცირდებს და აღმოჩნდა, რომ დღეს ხელოვნების და გალერეების მუშაობაში არის პრობლემები, მათ მიმწიათ, რომ ჯერ უნდა იყოს ქვეყნა სტაბილური, რის შემდგომაც გალერეას გაუადვილდება თავისი დასახული მიზნების და ამოცანების განხორციელება, აგრეთვე მოიძაგვებს მათი დამთვალიერებლის და მყიდველის პროცენტული რაოდენობა.

გალერეების ძირითადი საქმიანობაა საგამოფენო მომსახურება. მათ სისტემატურად უნდა მოაწყონ, როგორც პერსონალური, ასევე ჯგუფური გამოფენები და აგრეთვე თანამშრომლონ მხატვრებთან, მოქანდაკეებთან და სხვა შემოქმედებთან. გალერეამ უნდა მჩვნოს ის პროცესი, რომელიც მიმდინარეობს მხატვრობასა და საერთოდ ხელოვნებაში. ანუ, იგი ემსახურება სხვადასხვა ხელოვნების ან ხელოვანთა ჯგუფის შემოქმედების პოულარიზაციას, აწყობს მათ ნამუშევართა ექსპოზიციებს და ეხმარება ავტორებს ნამუშევართა პოპულარიზაცია – რეალიზაციაში.

გალერეა უნდა იყოს თანამედროვე, კარგად მოწყობილ შენობაში, სათანადო განათებით. გათვალისწინებული უნდა იყოს ხედვის არე და აგრეთვე ნამუშევრებისთვის შესაბამისი პირობები, რომ არ დაზიანდეს ისინი.

ჩვენთან კი ზოგიერთი გალერეა მოკლებულია თანამედროვე სტანდარტებს. მათ არ აქვთ ხელშეწყობა. ჯერჯერობით ხელოვნების

ბაზარი არ იძლევა იმის საშუალებას, რომ ჩვენი გალერეები შეესაბამებოდეს გარკვეულ სტანდარტებს, ვინაიდან მათი შემოსავალი მხოლოდ გალერეის არსებობას თუ ჰყოფნის. საერთაშორისო სტანდარტებით გალერეების მოწყობისთვის, გალერეისტმა უნდა მოიძიოს დაფინანსების სხვადასხვა წყაროები. ეს იქნება მოზიდული (სპონსორით, მეცნატობით და ა.შ.), სახელმწიფოს მხრიდან (ნაწილობრივ) გამოყოფილი, თუ საკუთარი სახსრები. ძირითადად კერძო გალერეის მფლობელები უნდა ეცადონ, რომ დააინტერესონ და მოიზიდონ სპონსორები, მეცნატები. გალერეის დაფინანსების ეს გზა საკმაოდ გავრცელებული და მიღებულია. ეს ყოველივე კი ხელს შეუწყობს მათი მიზნების და გეგმების განხორციელებას, წინსვლას. დღესდღეობით, როგორც ჩანს, ამ სფეროში არ გამოჩნდნენ ისეთი სპონსორები, რომლებიც დაინტერესებულები იქნებან საგალერეო ბიზნესის განვითარებით ან გალერიისტებმა ვერ მოახერხეს მათი სათანადო დაინტერესება და მათთან ურთიერთობის აწყობა.

ძალზედ მნიშვნელოვანია გალერეაში ის, თუ როგორ მუშაობს გალერიისტი და აგრეთვე მისი კომპეტენციაც.

გალერიისტობა, ეს არის საქმიანობა, რომელსაც აქვს ურთიერთობა როგორც შემოქმედებთან ასევე საზოგადოებასთან და ეს ურთიერთობა არის მრავალფეროვანი. ურთიერთობა, ერთი მხრივ, ხელოვანთან, მეორე მხრივ, კოლექციონერებთან, საკმაოდ დიდ შრომას და ცოდნას მოითხოვს. ყველა შემოქმედს სჭირდება ხელშეწყობა, ამიტომ გალერიისტმა უნდა მოახერხოს ხელი შეუწყოს შემოქმედთა წარმოჩენას საზოგადოებაში. მისთვის ყველაზე ადვილი საქმეა ის, რომ რეკლამა გაუწიოს იმ ხელოვანს, რომელიც საზოგადოებისათვის უკვე მიღებულია და ცნობილი, ვიდრე იმას ვინც ნაკლებადაა ცნობილი. აგრეთვე ადვილია გალერიისტისათვის იმათი რეკლამირებაც ვინც თვითონ მოსწონს და არა იმ ხელოვანების, ვისი სტილი თუ კონცეფციაც მათთვის მიღებელია, თუმცა უდაოდ ოსტატურად და მაღალ მხატვრულად შესრულებული. მაგრამ გალერიისტის სამუშაო მოითხოვს, რომ ყველა ხელოვნის ნამუშევრი ერთნაირად წარმატებით გამოიფინოს. მათთვის, ალბათ, უფრო სარფიანი იქნება უკვე აპრობირებულ ხელოვანზე როგორც მუშაობა, აგრეთვე მისი პრომოუშენიც.

გალერიისტებმა უნდა იმუშაონ როგორც ხელოვანთა პოლუარიზაციაზე, აგრეთვე ხელი უნდა შეუწყონ მათ წარმოჩენას, იმუშაონ მათთან ერთად და დაეხმარონ მათ როგორც ნამუშევრების

გამოფენების, აგრეთვე მათ გამოფენა-გაყიდვების მოწყობაში. მან უნდა იტვირთოს პრესასა და ხელოვანს შორის შემავლის ფუნქცია, რომ ხელი შეუწყოს ახალი, მოძავალი ხელოვანის ან ხელოვანთა ჯგუფის აღიარებას, რომლითაც გაკეთდება ფასდაუდებელი საქმე, როგორც თითოეული ხელოვანისათვის, აგრეთვე ჩვენი საზოგადოებისთვისაც. უდაოდ საჭირო საქმეა, როგორც ხელოვანის ნამუშევრების ასევე თვითონ ხელოვანის დღის შექმნების გამოყვანა და გაშუქრება მაშტედიაში, რომლის აუცილებლობა უურნალისტებთან ერთად გალერიისტის უშუალო და განუყოფელი საქმეა. არ უნდა მოხდეს მარტო ინფორმაციის მიწოდება საზოგადოებისათვის, არამედ უნდა მოხერხდეს მათში ნამუშევრების შექმნის სურვილის აღმოჩეული. ეს ყოველივე შრომატევადი და ხანგრძლივი პროცესია და მოითხოვს მუშაობის სწორედ დაგეგმვას და მის განხორციელებას.

უურადღება უნდა გამახვილდეს იმაზეც, რომ გალერიისტმა და სახელოვნებო კომისიამ არ დაუშვას დაბალი მხატვრული დონის გამოფენის მოწყობა.

საქართველოში კვალიფიციური შეფასება არ ხერხდება. არ არის ხელოვნებათმცოდნეთა სახელმწიფო საექსპერტო ჯგუფი. თუმცა ახლახან კერძო სექტორებმა ჩამოაყალიბეს საკმაოდ კომპეტენტური ექსპერტთა ჯგუფი „საქართველოს ეროვნული აკადემია“, რომელიც ჩვენი სახელმწიფოსთვის საჭირო საქმეს გააკეთებს. ხელოვანები უნდა აკმაყოფილებდნენ გარკვეულ პროფესიულ მოთხოვნილებას. სამსახურო საბჭომ ან ექსპერტმა უნდა განსაზღვროს გამოფენისთვის მხატვრული ნამუშევრების ხარისხის და შეარჩიოს მაღალმხატვრული გემოვნებით შესრულებული ნამუშევრები.

საქართველოში არტ-ბიზნესის განვითარებას ხელს უშლის კულტურის სფეროში შესაბამისი კნონების არ არსებობა. ეს კი ერთ-ერთი ხელისშემწყობი ფაქტორია შევი ბაზრის გაფართოების და გაძლიერების. სამწუხაროა ის, რომ ხელოვნების ნამუშევრები იღერება, ისე როგორც ნებისმიერი სასოფლო სამეურნეო წარმომაზრი: ქათამი, კვერცხი და ა.შ., რაც ნაძლევილად ხელს უშლის ხელოვნების განვითარებას. დღეს კი საქართველოში ხელოვნების წარმომებს პოტენციური მყიდველი არ ჰყავს, ვინაიდან ხელოვნება ეს არის ფუფუნების საგანი და დღეს, როდესაც არასტაბილური მდგომარეობაა საქართველოში, საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობაც ვერ სწოდება მას. ბიზნესმენები კი სხვა სახის პროდუქტები დაბენივესტიციებს. მათ მოსაზიდად კარგი იქნებოდა, რომ იყოს

საქართველოშიც ის საგადასახადო კანონი, რომელიც ეპროპის თთქმის ყველა ქვეყნაშია და ითვალისწინებს ბიზნესმენებისთვის შეღავათების გაწევას თუ ისინი ჩადებენ ინვესტიციებს სახელოვნებო ბიზნესში.

გალერეებს უნდა ჰქონდეთ საგამოყვნო, კომერციული, სარეკლამო, საშუალო, საქველმოქმედო საქმების ხელშემწყობი სტატუსი და ისინი, როგორც გამონაკლისები, როგორც საზოგადოებისა და ქვეყნის სახე უნდა იყენენ ყოველგვარი გადასახადებისგან განთავისუფლებულები, ან სახელმწიფოს მხრიდან ნაწილობრივ მაინც უნდა ხდებოდეს დაფინანსება.

შემოქმედისთვის და მისი ნამუშევრების პოპულარიზაციისთვის ძალზე მნიშვნელოვანია და აუცილებელი უცხოეთის ქვეყნებთან კავშირი. ამით ისინი გაეცნობიან ჩვენს ხელოვნებას და გავლენ საერთაშორისო ბაზარზე. უნდა იდებოდეს ხელშეკრულებებიც, როგორც სახელმწიფო, ასევე კერძო ტურისტულ ფირმებთან სახელმწიფოს ხელშეწყობით, რომლებიც ჩართავენ გალერეებს თავიან კულტურულ პროგრამაში, რისი საშუალებითაც ტურისტები გაეცნობიან ქართულ ხელოვნებას და წარმოჩნდება აგრეთვე ჩვენი კულტურაც. უცხოელი როდესაც ჩამოდის ეს იქნება კონცერნის თუ გალერეის წარმომადგენელი ან სხვა პიროვნება, რომელთაც სურთ დათვალიერონ ქართველ ხელოვანთა ნამუშევრები და გაეცნონ მათ ღირებულებას, ამისთვის უნდა იყოს საშუალება, რომ ისინი მივიღებ პირდაპირ გალერეებში და არ მოხდეს ისე, რომ მათ მოუხდეთ ნამუშევრებისთვის აქთ-იქთ სიარული, თან როდესაც არის აღბათობა იმისა, რომ ისინი წააწყდნენ მდარე ღირებულების ნამუშევრებს.

საქართველოში ჩატარებული საერთაშორისო ბაზრობა – არტ-კავკასია, ეს იყო ერთ-ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი, რადგან აქ საყმოლ ფართო საქექტრი არის წარმოდგენილი, რომელსაც ეცნობიან ჩამოსული უცხოელები.

ამ ბაზრის მიზანი იყო, უპირველეს ყოვლისა, კულტურული თანამშრომლობის გაფართოება, როგორც კავკასიის რეგიონში, ასევე ევროპასა და მთელს მსოფლიოში. ამ თანამშრომლობას ხელი უნდა შეეწყო ახალი ცოდნის შემოტანასა და კულტურული დიალოგის წარმოებაში, ასევე ქსელური მუშაობის, პროფესიული კულტურის მენეჯმენტის და კულტურის პოლიტიკაზე დებატების დაწერგვაში. ბაზრობა ორგანიზებას უწევს მეცნიერების, კულტურისა და

ხელოვნების დარგის პროფესიონალ მუშაკებს, პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელების საკითხში.

ბაზრობა არის მათთვის ვინც დაკავებულია წარმოებით, პროდუქციით, პრეზენტაციით, რეკლამით, დაფინანსებით ან სხვა რამები საქმიანობით კულტურის სფეროში.

ამ სფეროს თანამედროვე დონეზე განვითარებისთვის აგრეთვე დადი მნიშვნელობა აქვს საერთაშორისო ფესტივალებზე მონაწილეობის მიღებას, მაგრამ აქ ისევ ვაწყდებით ეკონომიკურ პრობლემებს, რადგან ამ ყოველივესათვის აუცილებელია სოლიდური თანხების მობილიზება. საქართველოს კი საერთაშორისო ბაზარზე სწორედ ამ კუთხით შეუძლია თავისი კულტურის, ხელოვნების გატანა. ბიზნესმენები თუ გაითვალისწინებენ კარგი იქნება, რომ ხელოვნება კაპიტალდაბანდების საუკეთესო სფეროა და არსებობს ე.წ. საინვესტიციო სურათები. უცხოეთში ხელოვნების ნიმუშებზე ფასები უფრო მაღალ იზრდება, ვიდრე ფასიან ქაღალდებზე.

აღსანიშნავია არტ-ბიზნესის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სეგმენტი – აუქციონი, რომლის მეშვეობითაც მთელს მსოფლიოში რეიტინგი სწორედ ამის მიხედვით დგინდება. თუ რომელ აუქციონზე რა ფასად და რამდენჯერ გაიყიდა ამა თუ იმ ხელოვნის ნამუშევარი. ფასებიც ძირითადად მისი მეშვეობით დგინდება. საქართველოში თუ გვინდა, რომ არტ-ბიზნესი განვითარდეს, უნდა მოეწყოს აუქციონები, ვინაიდან ამ აუქციონების ჩატარება უწევს ფასს ქართულ ხელოვნებას. საქართველოში კი ჯერ-ჯერობით მხოლოდ რამდენიმე ღილეტანტური აუქციონი არის ჩატარებული. ეს უნდა ხდებოდეს მუდმივად.

გალერეებმა რომ განახორციელონ თავიათი პერსპექტივები, მათ უნდა მოიფიქრონ აგრეთვე ის, თუ როგორ მოიძიონ დამატებითი თანხები. ფინანსების მოსამახვილად, ჩემი აზრით, საინტერესო იქნება საქართველოშიც განხორციელდეს და შეიქმნას „მიკროგალერეების“ (ლონდონი) მსგავსი კომპარუტერული გალერეა, რომელიც წარმოადგნს კომპიუტერულ საინფორმაციო დარბაზებს და განკუთვნილია ნებისმიერი დამთვალიერებლისათვის. მისი პროგრამა შედგება ოთხი მაჩვენებლისაგან, რომელიც იძლევა საჭირო ინფორმაციის მიღების საშუალებას. მაგ., ტრადიციული ანბანური მაჩვენებელი „მხატვრები“ სინის ბიოგრაფიულ ცნობებს, რომელსაც ახლავს კოლექციაში არსებული მოცემული ოსტატის ყველა ნამუშევრის მინიატურული გამოსახულება. ასეთივე ინფორმაციას შეიცავს დანარჩენი მაჩვენებლებიც. საქართველოში რომ შეიქმნას ასეთი პროგრამა, ინტერნეტის საშუალებით,

როგორც ქართველებს ასევე უცხოელებს ექნებათ საშუალება გაუცნონ ჩვენს ხელოვნებას.

კარგი იქნება აგრეთვე თუ გაიხსნება გალერეებთან არსებული კაფებარები, სადაც მიმსვლელებს ექნებათ საშუალება გაეცნონ თანამედროვე ხელოვნებას. აქედან შემოსავალი კი მოხმარდება გალერეას. აგრეთვე გაკეთდეს მასთან არსებული გამომცემლობები, სადაც საშუალება იქნება იმისა, რომ გამოუშვან ბუკლეტები, კატალოგები, ჟურნალები, წიგნები და ა. შ., მათი რეალიზაციის შემთხვევაში კი მოგება იყოს დამატებითი ფინანსური წყარო გალერეებისათვის, რომლის წყალობითაც გალერეები შეძლებენ ასე თუ ისე თავათოთი პერსექტივების განხორციელებას.

დღეს დიდი საშიშროებაა იმისა, რომ ნიჭიერება ხელოვანებამ დატოვონ საქართველო და ემიგრაციაში წავიდნენ – იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს, ქართველ ხელოვნებს უნდა შეექმნათ სათანადო პირობები.

უნდა მოწესრიგდეს საქართველოს კანონმდებლობა კულტურის შესახებ, რომ ქართველ ხელოვნებსაც გაუადვილდეთ გასვლა საერთაშორისო ასაპარეზე. სწორედ შესაბამისი კანონების არ არსებობა საქართველოში უშლის ხელს ბიზნესის მართვის დამოკიდებულებას ხელოვნებასთან.

კანონმდებლობის მოუწესრიგებლობის ბრალია ისიც, რომ იმ გალერეებში სადაც ხდება სურათების რეალიზაცია იქ მისულ უცხოელ სტუმრებს უძნელდებოდა ნამუშევრის შემენა, რადგანაც საბაჟო სამსახური კულტურის სამინისტროსგან გაცემულ სათანადო ცნობას ითხოვს, რომლის გარეშეც ჩამოსულ სტუმარს ნაყიდი ნამუშევრის გატანა არ შეუძლია, ყოველივე ეს კი აფერხებს რეალიზაციას. ხოლო თუ ჩვენი პატარა თუ დიდი საგამოფენო გალერეა – სალონები დაკიბლებებზე იქნებან სპეციალისტებით, მათინ სამინისტროს ჩარევა აღარ იქნება საჭირო, ვინაიდან ისინი გადაწყვეტენ ამ საკითხს, რომელიც უპირველესი ხელშეწლელია თთოველი შემოქმედისათვის, იმიტომ რომ აღნიშნულ ოპერაციას სულ ცოტა ორი დღე სჭირდება, ამდენ ხანს კი ვერ დაელოდება ჩამოსული სტუმარ-ტურისტი.

წლების წინ ქვეყნიდან იაფად გაედინებოდა ჩვენ შემოქმედთა ნამუშევრები, რომელთა რეალური ფასი საკმაოდ მაღალი იყო, ვიდრე მათ უხდიდნენ, რაც ძალან სამწუხაროა. ეს ბიზნესი ფაქტობრივად თვითდინებაზეა მიშვებული.

იმედს ვიტოვებ, რომ ჩვენს ქვეყნაშიც გამოჩნდებიან ე. წ. კოლექციონერ-ინვესტორები, რომლებიც თავიანთ შენაძენს უწინარესად ჯერ როგორც ხელოვნების ნამუშევრის ისე განიხილავენ და შემდგე როგორც კაპიტალდაბანდებას. ეს ყოველივე კი არტ-ბაზრის განვითარებას შეუწყობს ხელს, რომელიც გალერეებსაც და ხელოვანებსაც წამოწევს წინ და დაეხმარება მათი იდეების, მიზნების განხორციელებაში.

**ნინო გურაშვილი  
მაგისტრატურის II კურსი  
ხელმძღვანელი - პროფ. იური მღებრიშვილი**

**რეპლამის ეფექტიანობის პოლემა**

რეკლამა წარმოადგენს მომსმარებელთათვის საქონლის შესახებ ინფორმაციის მიწოდების ფორმას, რომლის მიზნია, პოპულარიზაცია გაუწიოს რეკლამირებულ ობიექტს და სტიმული მისცეს მისი გასაღების პროცესს.

ფირმები თუ ორგანიზაციები რეკლამას იყენებენ მომხმარებელთათვის ინფორმაციის მიწოდების, დარწმუნებისა და შეხსენების საშუალებად. მარკეტინგულ საქმიანობაში სარეკლამო საქმიანობა გვევლინება გასაღების ერთიანი მექანიზმის განუყოფელ ნაწილად. იგი წარმოადგენს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ინსტრუმენტს მყიდველთა ორიენტაციის, მოთხოვნის აქტივიზაციისა და მოსახლეობის ფინანსური საშუალებების ბრუნვაში ჩართვის საშუალებას, რაც გულისხმობს რეკლამისადმი მომსმარებლის კომპლექსურ და მიზნობრივ მიღებას.

ამასთანავე რეკლამა არა მხოლოდ ამზადებს პირობებს ბაზარზე ახალი საქონლის შესატანად და მისი გაყიდვების უზრუნველყოფას, არამედ იგი ხელს უწყობს საქონლის გასაღების თანდათანობით გაზრდას და „პიგი“ პერიოდში რეალიზაციის მაღალი დონის შენარჩუნებას.

ასე რომ, რეკლამის ეფექტიანობას არ განსაზღვრავს მხოლოდ მისი წარმატება რომელიმე ფესტივალზე, მისი შემოქმედებითი შინაარი, მუსიკალური გაფორმება ან კადრების სილამაზე. რეკლამის მუშაობა – არმუშაობის ხარისხი ბევრად უფრო ობიექტურად და მარტივად უნდა განისაზღვროს. კარგ რეკლამად ითვლება ის, რომელიც მიზნობრივ აუდიტორიას უკეთესად დამახსოვრებს პროდუქტს ან მომსახურეობას და გაყიდის მას. სწორედ ეს არის მთავარი მიღვომა, რომლითაც დღეს ხელმძღვანელობენ როგორც წამყვანი სარეკლამო საგენტოები, ასევე რეკლამის დამკვეთები.

დღეს საქართველოში სარეკლამო საქმიანობა ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო და პრესტიულ საქმიანობად ითვლება, ისევე როგორც ეს მთელ მსოფლიოშია მიჩნეული. სარეკლამო საქმიანობა ყველაზე სწრაფად განვითარებადი დარგია, აქ ყოველ წუთს რაღაც იცვლება,

ყველაზე მნიშვნელოვანია ტექნიკური შასაძლებლობების ზრდა რომელიც პირდაპირ კავშირში საერთო გლობალურ განვითარებასთან.

**ეფექტური სარეკლამო საქმიანობა** გუნდურ ხელოვნებას გულისხმობს, გუნდის გარეშე, ანუ ადამიანური რესურსის გარეშე, რეკლამა უბრალოდ არ შედგება. ყურადღებას იქცევს ასევე ის ფაქტი, რომ პროფესიონალთა გუნდი და ახალი ტექნოლოგიები თვის თავში მოიაზრებს დიდ თანხებს და თუ ეს სფერო სიახლეებზეა დაფუძნებული, მაშინ ამ თანხებს მეტობაში ზრდაც გარდაუვალი იქნება. ამიტომაცა, რომ სარეკლამო საქმიანობა ძვირად დირგბულ სფეროდ ითვლება. რეკლამის შესაქმნელად დიდი თანხებია საჭირო, თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ამ საქმიანობას დიდი ფულიც მოაქვს.

**ეფექტურმა სარეკლამო ჯგუფმა** საჭიროა ყურადღება მიაქციოს შემდეგ ფაქტორებს, მაგალითად როგორიცაა: – ბაზარი, მისი შესწავლა და კვლევა. ეს საშუალებას იძლევა გავიგოთ დეტალური ინფორმაცია მომხმარებელზე, მოვახდინოთ ადრესატის სეგმენტაცია სოციო – კულტურული პარამეტრების მიხედვით. რათა მაქსიმალურად დაკმაყოფილებული იყოს მისი მოთხოვნილებები და ინტერესები.

აქედან გამომდინარე ისმება ორი კითხვა:

1. არსებობს თუ არა მოთხოვნა კონკრეტულ პროდუქტზე ან მომსახურეობაზე?

2. თუ არსებობს ასეთი მოთხოვნა, მაშინ მოსახლეობის რა კატეგორიაში და რა შეფუთვით იქნება მასზე მოთხოვნა?

**ეფექტურ სარეკლამო კამპანიას**, უპირველეს რიგში, რაც უნდა ახსოვდეს ეს, – მომხმარებელია, რადგან რეკლამა მომხმარებლისთვის კეთდება და ბუნებრივია, რომ ინტერესის მთავარი ობიექტიც ისაა. რეკლამის შექმნა და მომხმარებლის სხვადასხვა ფენებისთვის გათვლა შრომატევადი საქმეა, რადგან ამისთვის ბევრი გარემო ფაქტორების გათვალისწინებაა საჭირო.

ადამიანი ყოველდღიურად საკმაოდ დიდი მოცულობის სარეკლამო ინფორმციას იღებს. რეკლამის მირითადი მიზნი კი რაც შეიძლება მოკლევადიან პერიოდში გაყიდვებისა და კომპანიების მოგების ზრდაა, რაც რეკლამის მხრიდან მომხმარებლის ახლო სამომავლო ქცევაზე ზემოქმედების პირდაპირ შედეგი უნდა იყოს.

გარდა მომხმარებელთან დაახლოებისა, ფართომასშტაბიანი რეკლამა გვამცნობს რაღაც დადებითს, კომპანიის შესაძლებლობაზე,

პოპულარობასა და წარმატებაზე. რეკლამის საჯაროობიდან გამომდინარე, მომხმარებელში ჭარბობს ტენდენცია, რეკლამირებული პროდუქტები განიხილონ, როგორც უფრო სანდო.

აქედან გამომდინარე ვასკვნით, რომ რეკლამის ეფექტიანობის შეფასების ძირეული ნაწილი მომხმარებელთა ქცევის სრულყოფილად აღმა და გაცნობიერებაა. რისი მიზანიცა მომხმარებლის ცხოვრების არსისა და ინტერესების შესწავლა. მომხმარებლის კულტურული მოთხოვნილებებისა და მისი კულტურული დონის შესწავლასთან ერთად შესწავლილ უნდა იქნას ასევე მათი დაინტერესების მოტივები, ხოლო ცალკეული პიროვნებების დაინტერესების მიზეზების ამონსნის შემდეგ შეიძლება მომზადი სარეკლამო კამპანიის შინაარსის განსაზღვრაც.

თუ არ ფლობთ საკმარის ინფორმაციას მომხმარებელთა ქცევის შესახებ, შეიძლება დიდი რისკის წინაშე აღმოჩნდეთ. რეკლამის შექმნამდე დანამდგილებით უნდა იცოდეთ, ვინ არის თქვენი მომხმარებელი, ინფორმაციის მისაღებად შედის რა წყაროებს იყენებს ყველაზე ხშირად, როგორია მისი ცხოვრების სტილი, რითი შეიძლება მისი ყურადღების მიპყრობა და რა მოტივები ამონრავებს პროდუქტის ყიდვისას.

თუმცა არსებობს იმის რისკიც, რომ რეკლამა მიიჰყორობს ყურადღებას, მაგრამ ის არ ასოცირდება მიზნობრივი აუდიტორიის ცხოვრების სტილთან და ფასეულობებთან. ასეთმა რეკლამამ ადამიანებში შეიძლება გაღიზიანებაც კი გამოიწვიოს. ხშირ შემთხვევაში, ასეთი საფრთხე ნათარგმნ ან სხვაგვარად ადაპტირებულ რეკლამებს ექუქრება. რეკლამის ეფექტიანობის კვლევა თავიდანვე, რეკლამის შექმნამდე უნდა შეძლოთ, რათა მინიმუმამდე დაიყვანოთ პოტენციურად არაუფექტიანი რეკლამების გაშვების რისკი.

ეფექტურმა სარეკლამო სააგენტოებმა მუდმივად უნდა იფიქრონ ახალ იდეებზე და პროექტებზე, რათა მუდმივად იყენებ მოწოდების სიმაღლეზე. პაუზა ამ საქმეში დისკვალიფიკაციას ნიშნავს. ნათქვამია: — დიდი ხნით დაკეტილ ონგანს რომ გახსნი, დაუანგული წყალი მოდის... ასე რომ, სარეკლამო კამპანია სულ უნდა ცდილობდეს, განუწყვეტლივ ვთარდებოდეს, დაიმკიდროს თავისი ადგილი ბაზარზე. მით უმეტეს, ქართული სარეკლამო ბაზარი არც ისე ათვისებულია, რომ ნებსის ჩასაგდები ადგილი აღარ იყოს.

აქედან გამომდინარე ვრწმუნდებით, რომ ეფექტიანობაზე ორიენტირებული სარეკლამო ჯგუფი მუდმივად უნდა იყოს

სიახლეებზე აგებული. თუმცა ფხიზლად უნდა იყოს, მუდმივად უნდა აკონტროლოს თითოეული მოქმედება, რათა აღებულ გეზს არ გადაუხვიოს.

გრძელვადიან პერსპექტივაში, სარეკლამო კამპანიების უმეტესობა ცდილობს, ბაზრის განვითარებასთან ერთად, მომხმარებელთან უზრუნველყოს ხანგრძლივი და მდგრადი ურთიერთობები. ასევე არამატო გავლენა იქნის მომხმარებლის ქცევაზე, არამედ აქციოს ეს ქცევა ჩვევად. შედეგად კომპანია იძნეს ერთგულ მომხმარებელს.

მომხმარებლის დაკმაყოფილებისათვის მხოლოდ პროდუქტისა თუ მომსახურების მაღალი დონე საკმარისი აღარ არის — აუცილებელია ფასეულობათა ისეთი სისტემის დამკიდრება, რომელიც ახლოს იქნება მიზნობრივი სეგმენტის ფასეულობებთან. რიგ შემთხვევაში, ეს მოითხოვს ზეგავლენის მოხდენას მომხმარებელთა აღქმაზე, რაც რეკლამისა თუ საზოგადოებასთან ურთიერთობის პროგრამების საშუალებით ხორციელდება.

საერთოდ ეფექტური რეკლამის კონცეფცია გამომდინარეობს იქიდან, რომ რეკლამამ უნდა შესთავაზოს მომხმარებელს არა მხოლოდ პროდუქტი, არამედ ცხოვრების წესი და აზროვნება, ის რაც განსაზღვრავს ყიდვას. ამით მყიდვები გარკვეული პროდუქტის შემწით განეკუთვნება, ან ცდილობს განეკუთვნოს, საზოგადოების გარკვეულ ფენას, ისტრავვის ისეთი ცხოვრების წესისაკენ, რომელზედაც ის ოცნებობდა.

სარეკლამო კამპანიების ავტორები სთავაზობენ მომხმარებელს გარკვეულ ფასეულობებს, შეხედულებებს, აზრს და ზემოქმედებას ახდენენ არჩევაზე. ამრიგად, ისინი მონაწილეობენ საზოგადოების ქცევის შეცვლაში და, აქედან გამომდინარე, თანამედროვე კულტურის ფორმირებაშიც. სავარაუდოდ თუ კი ყველა სარეკლამო ჯგუფი ამას გათავისებს და მთავრ მიზნად დაისახავს, არ დაიშურებს გამოცდილებასა და პროფესიონალიზმს, მაშინ კულტურული ცხოვრება ბევრად უფრო მრავალფეროვანი, ფასეული, დინამიკური და მდიდარი იქნება, ამით საინტერესო ცხოვრების სტილსაც შემოვთავაზებენ.

ეფექტური სარეკლამო კამპანია შეიძლება განხორციელდეს რეკლამის გავრცელების სხვადასხვა საშუალებებით, რომელსაც კომპანია მიზანდასახულად გამოიყენებს იმისდა მიხედვით, თუ ვის უნდა მიმრთოს, როგორი სახის აუდიტორიას, ვიწრო თუ ფართო მასებს. უმეტეს შემთხვევაში გამოიყენებენ ინფორმაციის მასობრივ საშუალებებს, როგორიცაა: ტელევიზია, რადიო, ბეჭდვითი მედია —

გაზეთი, ურნალი, ინტერნეტი – ელექტრონული მედია, ბილბორდებით და ა. შ.

ცხადია, რომ კომპანიას კარგად უნდა ჰქონდეს შემუშავებული პოლიტიკა. თუ სად განთავსდება მისი რეკლამა? რა სიხშირით გავა? ერთმანეთს შეუთავსებს თუ არა ერთდროულად რამდენიმე რეკლამის გავრცელების საშუალებას, თუ რომელიმე ერთ კონკრეტულზე აღდეს ორიენტირს.

სარეკლამო სტრატეგიის დაგეგმვისას გასათვალისწინებელია, შემდეგი ოთხი ძირითადი ფაქტორი:

1. შეტყობინება მკაფიოდ განსაზღვრულ მიზანს უნდა ისახავდეს.
2. შეტყობინება მიმართული უნდა იყოს გარკვეული აუდიტორიისაკენ და მასებრივი ინფორმაციის საშუალებები, რომელთა მეშვეობითაც მოხდება მათი გამოქვეწება, ამ აუდიტორიაზე ყველაზე ეფექტურად უნდა ახდენდეს ზემოქმედებას.
3. შეტყობინებაში შეთავაზებული უნდა იყოს რაღაც უპირატესობა: ამგვარი რამ პუბლიკისთვის სიახლეს და მიმზიდველს უნდა წარმოადგენდეს.
4. შეტყობინება თავისი მანერითა და ტონით სავსებით უნდა შეესაბამებოდეს იმ კონკრეტულ აუდიტორიას, რომლისთვისაც იგზავნება ეს შეტყობინება.

თუკი სარეკლამო ჯგუფს განსაზღვრული აქვს მაინც და მაინც ადამიანთა ვიწრო წრეს მიმართოს, მაშინ ის ირჩევს რეკლამის სხვა ფორმებს, მაგ: პრეზენტაციას, პრესკომფერენციებს, სარეკლამო ფურცლების გავრცელებას, კატალოგებს, პლაკატებს, საინფორმაციო მასალის ფოსტით გაზავნას და ა. შ.

ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეტაპია განისაზღვროს, რეკლამის გაშვების შემდგომ, წარმატებულობის თუ წარუმატებლობის ხარისხი. რეკლამის ღერძისკონში ყველაზე მნიშვნელოვანი სიტყვაა ტესტირება. კონკრეტულ გარემოში წარმატების მიღწევისთვის აუცილებელია, პროდუქტმა მომხმარებლის ტესტი გაიაროს და რეკლამის ეფექტურობის ტესტირებაც ჩატარდეს.

მეღლია ის სტიმულები ამოვიცნოთ, რომელზეც მომხმარებელი რეაგირებს. რეკლამის შემდგომი ტესტირება არამარტო გამართლებული, არამედ აუცილებელი პროცედურაა.

შესაძლოა, მალიან მოსწონს კომპანიას თავისი რეკლამა, მაგრამ ამს გაცილებით ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე იმას, თუ რამდენად მოსწონს რეკლამა მომხმარებელს. სწორედ მან, პროდუქტის შეძენისას ფულის გადახდის გზით, ყველაზე მკაფიოდ უნდა განსაზღვროს რეკლამის წარმატებულობის თუ წარუმატებლობის ხარისხი. ამ ხმების რაოდენობა რეკლამის ყველაზე ზუსტი საზომია და რეკლამაც სწორედ მათი მაქსიმალური რაოდენობის მოპოვებისთვის არის გამიზნული.

**ეფექტურმა სარეკლამო კამპანიამ წარსულის გამოცდილებისა და მისი ანალიზის საფუძველზე შესაძლებელია რეალურ სურათთან ახლოს პროპორციას გამოყანა შეძლოს, რაც შემდგომი მოქმედებისთვის საკეთილდღეოდ გამოადგება. თუ წინა პერიოდის ინფორმაცია და წარსულის გამოცდილება არ არსებობს, მაშინ უნდა ჩატარდეს კვლევა იმის გასარკვევად, თუ რა არის საჭირო ეფექტური გაყიდვების მიზნების მისაღწევად.**

**რეკლამის ეფექტურობის კვლევა** შეძლება ჩატაროს თვითონ სარეკლამო კომპანიაში არსებულმა სათანადო დანაყოფებმა ან გარეან მოწვეულმა კვლევითმა კომპანიამ. მაგრამ აუცილებელია, რომ კვლევების შედეგების ანალიზის პროცესში აქტიურად ჩართული იყენებ რეკლამის დამკვეთი, დამამზადებელი და სხვა ობიექტურად დაინტერესებული მხარები. თუმცა სერიოზული კვლევების გარდა საჭიროა რეკლამის სპეციალისტებმა სათითაოდ მოახდინონ საკუთარი მუშაობის შეფასება, მის მკაფიო ფორმულირება, თუ კონკრეტულად რას მოელოდნენ და რა მიღეს, ასევე საჭიროა რეკლამი ჯგუფმა ისწავლოს შეცდომებისა და წარუმატებლობის მაგალითზე პრობლემის გამოვლენა და მის საწინააღმდეგოდ ახალი ნაბიჯების დასახვა.

დღეს მსოფლიოს განვითარებულ ქვეყნებში რეკლამა ხელოვნებისა და მეცნიერების ნაზავადაა მიჩნეული, დღეისთვის დაწმუნებით შეგვიძლია ვიგარაულოთ, რომ უახლოეს მომავალში რეკლამის ეფექტურობა ისეთივე სტანდარტული ცნება გახდება, საქართველოსათვისაც, როგორც ეს სხვა განვითარებულ ქვეყნებშია მიღებული და მისი გამოყენების საჭიროება ეჭვს არ გამოიწვევს. ქართულ ტელესივრცებში არაეფექტური რეკლამის ასეთი მაგალითებიც არსებობს, როდესაც კომპანია ვერ აცნობიერებს თავისი რეკლამის წარუმატებლობას და დიდი ხნის განმვლობაში განაგრძობს მის გაშვებაზე ხარჯის გაწვევს. ისეც ხდება, რომ სარეკლამო რგოლი მიზნობრივი აუდიტორიის გაღიზანებას იწვევს, რის

შედეგადაც წარმატების მისაღწევად გაწეული ხარჯი, სინამდვილეში, კომპანიისთვის ზარალის მომტანია.

არსებობს მარტივი ჭეშმარიტება: რაგინდ კარგი იყოს რეკლამა, რაგინდ მყარი ქმოციური საცურველი ჩაიდოს პროდუქტის შეფუთვაზე, პირველ ადგილზე ყოველთვის თავად პროდუქტი თუ მომსახურობა. რეკლამის სპეციალისტის მიზანია ისეთი მოლოდინის ჩამოყალიბება, რომელიც რეალური პროდუქტის შეძნის შეძლევ გამართლდება. წარმატებული სარეკლამო კომპანია ცუდ პროდუქტს უფრო მაღა ჩაძირავს. ის უფრო მეტ ადამიანს გააგებინებს, რომ პროდუქტი ცუდია, – სარეკლამო საქმის დიდოსტატის ვილიამ ბერნბახის ეს მოსახრება დღესაც აქტუალური და ზუსტია.

თუ პროდუქტი უვარესია, მომხმარებელი მას ხელმეორედ არ იყიდის. მაშასადამე, ყველა სარეკლამო ჩავარდნა არ შეიძლება მხოლოდ არაუფექტიან რეკლამას დაბრალდეს. წარუმატებლობის მიზეზი, რიგ შემთხვევაში, თავად პროდუქტიდან მომდინარეობს, თავად პროდუქტია წარუმატებელი.

წარმატებული პროდუქტი არ არის მხოლოდ ფუნქციურად გამართებული და სარისხიანი. ეს წინაპირობა უკვე მინიმალურ მოთხოვნადაც კი იქცა. მთავარი სხვა – პროდუქტი აქტუალური უნდა იყოს, ის ადამიანის რაიმე პრობლემას უნდა წყვეტდეს, მისი შეძენა რამით უნდა აიოდებდეს მყიდველის ცხოვრებასა თუ მდგომარეობას და მასში დამატებით ფსიქოლოგიური ან ეკონომიკური სარგებელიც უნდა იყოს ჩადებული. ამ პირობების შესრულება რთულია და პროდუქტის პოტენციური მომხმარებლის, მისი ფსიქოლოგიის და მოთხოვნილებების, მისთვის გადასაწყვეტი პრობლემის სრულყოფილ ცოდნას მოითხოვს. ყოველივე ამას კი ისევ და ისევ წინასწარი კვლევების ჩატარების აუცილებლობამდე მივყართ.

არც ის უნდა დავივიწყოთ, რომ ძვირად დირებული რეკლამა ყველა პროდუქტს არ სჭირდება. ამგვარი რეკლამა თქვენს კომპანიას და მის პროდუქტს ელიტურ იქნის უქმნის. თუ პროდუქტი ამ იმიჯს არ შეეცერება, მისი ყიდვისას მომხმარებელს შეუსაბამობის განცდა ექმნება – მას ჩამოუყალიბდება მოლოდინი, რომელიც არ გამართლდა.

საერთოდ რეკლამის პრიორიტეტი მისი ლაკონურობა და სწრაფი შედეგა. რეკლამის სპეციალისტს კი ძალზედ რთული მისია აკისრია, მან რეკლამის პატარა ჩარჩოებში უნდა მოათავსოს უამრავი რამ. მას ამ მისის პროფესიონალურ დონეზე შესრულებაში ეხმარება

კრეატიულობა. კრეატიულობა – ადამიანის ის ნიჭია, ის უნარი, რომლითაც იგი ახალი ან ორიგინალური იდეების და თვალთახედვების გენერირებას ახდენს. დამტკიცებულია, რომ უცდიტორია უკეთ აღიქვავს, იგებს და იმახსოვრებს იმ ინფორმაციას, რომელსაც შემოქმედებითად აწოდებენ.

1. ფ. კოტლერი, „მარკეტინგის საფუძვლები“, 2006.
2. ბ. სეთური, „რეკლამა მარკეტინგის სისტემაში“, 1997.
3. ი. კინწურაშვილი, „მარკეტინგი“, 2007.
4. ურნალი „ბიზნესი“, №1, მარტი, 2007, გვ. 60-65.

**ლიკა ჭუფარაძე**  
მაგისტრატურის II კურსი,  
ხელმძღვანელი: პროფ. იური მღებრიშვილი

## PR-რეკორდების გინოფესივალ „სეილისთვის“

თანამედროვე საზოგადოების განვითარების უმთავრეს განსახურობას წარმოადგენს კულტურების ურთიერთშედწევის პროცესი, რომელიც საერთაშორისო ხასიათი XX-XXI საუკუნეებში მიიღო. კულტურების შეძლევა ხდება მისი წარმომადგენლების ურთიერთობის, ანუ კონტაქტების შედეგად. კულტურათაშორისი კომუნიკაციები ჩვეულებრივ განიხილება, როგორც სხვადასხვა ადამიანური კულტურების წარმომადგენლების ურთიერთობა.

ნამდვილი კულტურული ფასეულობების პროპაგანდისა და განმტკიცების საქმეში უმნიშვნელოვანესია კინოფესტივალების როლი. ფესტივალურმა მოძრაობამ, რომელიც ჩაისახა XX საუკუნის პირველ ნახევარში, მოჰყოვა ფართო პოპულარობა და ახლა წარმოადგინს როგორც სპეციალისტების, ასევე ხელოვების ამ სახეობის თაყვანისტებების დიდი ყურადღების საგანს.

თბილისში არსებული კინოფესტივალი „სეილი“ ხელს უწყობს კულტურათაშორისი ურთიერთობის განვითარებას. მისი მეშვეობით ხდება საერთაშორისო კავშირების დამყარება, სხვადასხვა ქვეყნის რეჟისორებს ეძლევათ საშუალება ერთმანეთი გაიცნონ, გაეცნონ ერთმანეთის კულტურას, გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება, რაც უპირველეს ყოვლისა ჩვენნაირ განვითარებად ქვეყნებს წინსვლაში დაეხმარებათ და მოგვცემს საშუალებას ვაჩვენოთ საქართველო მთელს მსოფლიოს და ვინილოთ მთელი მსოფლიო ჩვენთან.

ინფორმაციაზე მუშაობა ნებისმიერ ორგანიზაციაში ბევრ ასპექტს მოიცავს. PR ადგენს იმას, თუ როგორ მიაწოდებს საკუთარ თავს თქვენი ორგანიზაცია, ტოვებს რა თავის კვალს ყველაფერზე მის შესახებ რასაც არ უნდა ამბობდეთ. PR თავის ასახვას პოვებს თქვენი საინფორმაციო მუშაობის ყველა ასპექტში – სარეკლამო, საპოპულარიზაციო მოღვაწეობაში, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან და თანამშრომლებს შორის ურთიერთობებში.

ეცადეთ საზოგადოებას ისე მოეკიდოთ, როგორც ძვირფას სტუმრებს და თქვენი მოწვევა გააკეთოთ მკაფიოდ და დამაჯერებლად.

ეცადეთ იგი ისე შეადგინოთ, რომ სტუმრები მიხვდნენ სად იწვევინ მათ, რა დროს ელიან და რა საბაბით. მაგრამ ჯერ დარწმუნდით, რომ თქვენ მართლაც მზად ხართ სტუმრების მისაღებად. ეს უმთავრესია PR-ში.

კინოფესტივალ „სეილის“ იდეებისა და მიზნების განსახორციელებლად აუცილებელია PR კამპანიის გატარება, რაც უპირველესად თავისი პროდუქტის წინწარების საშუალებას მისცემს, როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე ყველა PR კამპანია დაკავშირებულია გარკვეულ სახსრებთან, მაგრამ წარმატებული PR-კამპანია სრულიად ანაზღაურებს გაწეულ ძალისხმეულსა და ხარჯებს.

### კინოფესტივალ „სეილის“ PR კამპანია.

კინოფესტივალ „სეილის“ PR კამპანია უნდა ჩატარდეს შემდეგი სქემის მიხედვით:

- სიტუაციის გამოკვლევა. პირველადი და მეორადი მარკეტინგული გამოკვლევა.
- სიტუაციის ანალიზი.
- დემოგრაფია. სამიზნე ჯგუფის შერჩევა და მისი მირითადი მახასიათებლების განსაზღვრა.
- ფინანსურაფია. მნიშვნელოვანი გარემოცვის ანალიზი (პოტენციური მოკავშირები და მოწინააღმდეგები) და მათთან მუშაობის ტაქტიკის შემუშავება.
- მიზნის დასახვა (რეალურად რისი მიღწევა შეგვიძლია სიტუაციის ანალიზის შედეგების და ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით).
- ცოდნა. ურთიერთობა. საქციელი. კამპანიის საერთო სტრატეგიის შემუშავება (რა საშუალებებს გამოვიყენებთ).
- გეგმის დაწერა, მაჩვნებლების და მოსალოდნელი შედეგების განსაზღვრა. გადასაცემი შეტყობინების ფორმულირება
  - 1. როგორ ვთქვათ?
  - 2. რა სახით გადავცეთ?
  - 3. რომელი არხებით გადავცეთ?
- შემუშავებული შეტყობინების ტესტირება (ფოკუს-ჯგუფი, სიღრმისეული ინტერვიუ).
- კამპანიის განხორციელება
- კამპანიის ეფექტურობის შეფასება (საბოლოო გამოკვლევის ჩატარება შედეგების გაზომვის მიზნით).

## კინოფესტივალ „სესილის“ PR კამპანიის დაგეგმვა.

PR კამპანია წარმოდგენილი არობლების განხილვით, რომელიც გამოიკვეთა სიტუაციისა და ფესტივალის ინტერესების შესწავლის შედეგად. ჩვენ შემთხვევაში რეალური პრობლემა მდგომარეობს სპონსორების მოზიდვასა და საზოგადოების ინფორმირებაში.

PR კამპანიის გატარებისას დიდი მნიშვნელობა აქვს გარე კომუნიკაციის და ორგანიზაციის შიდა ურთიერთობების პარმონიულ და ზუსტ ურთიერთქმედებას. გარე და შიდა პარმონია მიღწევა ორგანიზაციული კონსულტინგების მეშვეობით. ეს არის სიტუაციის კომპლექსური შესწავლა და ორგანიზაციის საქმიანობის შედეგების გაუმჯობესების საშუალებების შემუშავება. საორგანიზაციო კონსულტინგების მთავარი ელემენტია ფინანსური მუშაობა ფესტივალის ხელმძღვანელთან. მეორე შემადგენლი - მოღვაწეობის ორგანიზაცია: ტექნოლოგიური ჯაჭვის კორექცია, ვალდებულებების გადანაწილება. მესამე ნაწილი - მუშაობა პერსონალთან: კვალიფიკაციის ამაღლება, კოლექტივის ატმოსფერო და მიზნობრივი მითითებები, თითოეულის ინდივიდუალური განსაკუთრებულობები და მათი ოპტიმალური შერწყმა საქმეში წარმატების მისაღწევად.

გარე ტექნოლოგიები გამიზნულია მოსახლეობასთან, ხალხის დიდ ან პატარა ჯგუფებთან მუშაობაზე, შიდა - ორგანიზაციის კოლექტივებთან მუშაობაზე გარე ღონისძიებების (რეკლამა ან PR კამპანია მასშედიაში) დახმარებით.

შემდგომ უნდა მოხდეს ამოცანის სწორი დასახვა. ამოცანა კარნახობს ტექნოლოგიების არჩევას: იქნება ეს მასშედიასთან მუშაობა, მეწარმეებთან ინდივიდუალური ან კორპორატიული მუშაობა თუ სხვა, მაგრამ უკვე პირველი ნაბიჯები იძლევა შედეგს, რომელმაც შეიძლება გვაიძულოს დასახული ამოცანის, ტექნოლოგიების ნაკრების და სხვა ინსტრუმენტების გადასწევა. სიტუაციის ანალიზი და შეფასება აუცილებელია საზოგადოებასთან ურთიერთობის სამუშაოს ყველა ეტაპსა და ყოველ მომენტში.

მსჯელობების პროცესში იბადება PR კამპანიის კონცეფცია, ანუ, პრობლემის ფორმულირება იმ სახით, რომლითაც ის უფრო ზუსტად და სრულად იქნება აღქმული ყველას მიერ, და მისი გადაწყვეტის გზები.

აუცილებელია ორგანიზაციის ძლიერი და სუსტი მსარეების, შესაძლებლობების და წინააღმდეგობების განსაზღვრა.

დეტალური დაგეგმარება - წარმატების საწინდარია. ქმედებების ეტაპობრივი დაგეგმვა უნდა დაიწყოს კამპანიის მიზნის წინასწარი ფორმულირებით და აუდიტორიის განსაზღვრით.

კინოფესტივალის PR კამპანიის საფუძველს წარმოადგენს საკომუნიკაციო პროგრამა მოსახლეობის იმ ჯგუფებთან, ორგანიზაციებთან და პიროვნებებთან, რომლებსაც შეუძლიათ რეალურად სიტუაციაზე გავლენის მოხდენა.

საკომუნიკაციო პროგრამის მიზნებია - პრობლემაზე ყურადღების მიქცევა, გადაწყვეტის გზების შეთავაზება, მაქსიმალური რაოდენობის კომპეტენტური ორგანიზაციებისა და პირების პრობლემის განხილვისა და გადაწყვეტისკენ მოწოდება. ამისათვის ფესტივალ „სესილიმ“ შეიძლება გამოიყენოს კომუნიკაციის ყველა მისაწვდომი საშუალება:

- ინდივიდუალური - ტელეფონი, ფაქსი, ფოსტა, ელექტრონული ფოსტა;

- მასობრივი - ბეჭდვითი (გაზეობი, ჟურნალები, პლაკატები) და ელექტრონული (რადიო, ტელევიზია, საინფორმაციო საგენტოები, ინტერნეტის ქსელი);

- შერეული - ფლაიერებისა და გაზეობის პირდაპირი დაგზარენა მისამართებზე.

შემდეგ აუცილებელია ღონისძიებების გეგმა შეთანხმებულ იქნეს PR კამპანიის ყველა მიზაწილებასთან და განისაზღვროს ყოველი ეტაპის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები:

1. ფინანსური რესურსების მოძიება.
2. მოსახლეობასთან შეხვედრები.
3. პუბლიკაციები ბეჭდვით მასშედიაში.
4. გადაცემები ელექტრონულ მასშედიაში.
5. კამპანიის მსვლელობის შესახებ მასშედისა და სხვა ორგანიზაციების, მათ შორის საზღვარგარეთის და საერთაშორისო, ინფორმირება.

და სხვა.

აუდიტორიის მხრიდან გაგება და სათანადო რეაქცია, როგორც წესი, არ მიღწევა პირველივე ჯერიდან. საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურის უმთავრესი პირობა - პროგრამებისა ან კამპანიის უწყვეტობა და ხანგრძლივობა.

## **ფესტივალ „სესილის“ PR კამპანიის შემუშავება.**

PR კამპანიის შემუშავება უნდა მოხდეს შემდეგი ეტაპების გავლით:

1. სიტუაციური ანალიზი PR კამპანიის დაწყებამდე.
- კამპანიის ამოცანების, პრობლემების აღწერა: ეს არის პირველი ნაბიჯი კამპანიის თემის, მისი დანიშნულების და კიდევ მის გასაგებად თუ რისთვის ტარდება იგი.
- მნიშვნელოვანი გარემოცეის ანალიზი: კეთდება სხვადასხვა პირველების და ორგანიზაციების ანალიზი, რომლებსაც ასე თუ ისე კავშირი აქვთ კინოფესტივალის კამპანიასთან;
- სამიზნე ჯგუფების განსაზღვრა: პირველადი (ისინი, ვისზეც იქნება მიმართული ძირითადი ზემოქმედება) და მეორადი (ისინი, ვისი მეშვეობითაც იქნება მიმართული ძირითადი ზემოქმედება).
- საერთო მიზნის დადგენა: ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია კამპანიის საერთო მიზნის ფორმულირება.

2. წინწასაწევი იმიჯის, სახის, იდეის შემუშავება. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი კომპონენტი კამპანიის შემუშავებაში. ძალზე მნიშვნელოვანია წინწასაწევი აზრის მკაფიო ფორმირება, რომელიც გამოხატავს სიტუაციას და ჩვენს მიდგომას მის შესაცვლელად.

3. სამიზნე ჯგუფების წარმოდგენების, დამოკიდებულებების, საქციელების ანალიზი. ის ტარდება იმისათვის, რომ მერე სამიზნე ჯგუფებისთვის შემუშავდეს დაეკატერი შეტყობინებები.

თუ კი გსურთ, რომ რომელიდაც ადამიანებმა თქვნის კულტურულ ღონისძიებაში მიიღონ მონაწილეობა, ჭრიანურია თუ კი უცდებით ჯერ უფრო ახლოს გაიცნოთ ისინი. თქვენ იმ ადამიანების ინტერესების უფრო დაწვრილებითი ცოდნა გესაჭიროებათ, რომლებიც უკვე იღებენ მონაწილეობას თქვენს პრიგრამებში. როდესაც შათ უკეთ გაგებას დაიწყეთ, მათთან დამაკავშირებელი ოპტიმალური საინფორმაციო არხების პოვნას შეძლებთ, უკეთესად შეიგრძნობთ, თუ რა იზიდავს მათ და რა ახდენს მათზე განმზიდავ ზემოქმედებას და, რაც მთავარია, შეძლებთ მათი მსგავსი სხვა ადამიანის პოვნას. ეს არის ის, რასაც ბიზნესში მარკეტინგული გამოკვლევა ეწოდება; სწორედ ამას აკეთებენ ორგანიზაციები, გამოავლენენ რა თავის პოტენციურ მომხმარებელს ბაზარზე პროდუქტის წინწასაწევად. ეს აუცილებელია თუნდაც იმისთვის, რომ კინოფესტივალმა „სესილი“ შეძლოს

სპონსორების მოძიება. მთელი თქვენი საინფორმაციო მოღვაწეობა გამიზნული უნდა იყოს როგორც ამჟამინდელ, ისე მომავალ აუდიტორიაზე. აუცილებელია თქვენი აუდიტორია კარგად იცოდეთ, რათა დახვეწოთ თქვენთან არსებული პროგრამები და შექმნათ ახალი.

4. შეტყობინებების შემუშავება. ანალიზის საფუძვლზე უნდა შექმნას შეტყობინებები სხვადასხვა სამიზნე ჯგუფისთვის. ეს შეტყობინებები ერთი მხრივ, უნდა გამოხატავდეს წინწასაწევ იდეას, სახეს და იმიჯს, მეორე მხრივ, – უნდა უკრძალოდეს მოცემული საკითხის შესახებ სამიზნე ჯგუფების წარმოდგენების, დამტკიცებულებების და საქციელების ანალიზის შედეგებს, ასევე ამ ჯგუფში მისაღებ „ნანას“. რეკომენდირებულია თითოეულ სამიზნე ჯგუფზე თავისი შეტყობინებების შემუშავება, რომლებიც პასუხობენ გარკვეულ ამოცანებს.

5. შეტყობინებების წინწასაწევის არხებისა და ინსტრუმენტების განსაზღვრა და შემუშავება. ამ სტადიაზე ვანისაზღვრება შეტყობინებების წინწასაწევის მეთოდები, ასევე ინფორმაციის გადატენის არხები და ინსტრუმენტები. ისინი უნდა იყვნენ სამიზნე აუდიტორიების ადეკვატური. წინწასაწევი იმიჯი შეტყობინებებსა, არხებსა და მათი წინწასაწევის ინსტრუმენტებთან ერთად წარმოადგენს კამპანიის სტრატეგიას.

6. PR კამპანიის რესურსების ანალიზი. მოცემული სტადია სასარგებლოა მაშინ როცა რესურსები შეზღუდულია, ანუ, სწორედ კინოფესტივის „სესილისთვის“, ვინაიდან მას არა აქვს სახსრები მასშტაბზე კამპანიების ჩასატარებლად. ასეთი ანალიზი საშუალებას იძლევა გავიგოთ – რეალურია თუ არა იმ კამპანიის ჩატარება, რომელიც ჩავითვირთ. პრობლემების აღმოჩენის შემთხვევაში რეკომენდირებულია ნაბიჯების ტემპოლოგის დამუშავება წინამდებარე ნაწილში.

7. PR კამპანიის სამუშაო გეგმის შედეგენა. როდესაც განსაზღვრულია კამპანიის სტრატეგია და რესურსები, შესაძლებელი ხდება ღონისძიებების სტანდარტული კალენდარული გეგმის შემუშავება მისი რეალიზებისთვის.

შეტყობინებების წინწასაწევისთვის სასარგებლოა კინოფესტივალ „სესილის“ გათვალისწინოს შემდეგი ინსტრუქციები:

1. ამოიწერეთ, რომელ სამიზნე ჯგუფზე იქნება მიმართული თქვენი PR კამპანია.

2. განსაზღვრეთ თითოეული სამიზნე ჯგუფის მიზედვით ამოცანები, რომელიც უნდა შეასრულოთ კამპანიის მსვლელობის დროს.

3. შეიმუშავეთ თითოეული სამიზნე ჯგუფისა და PR ამოცანისთვის შესაბამისი შეტყობინება, რომელსაც მიიტანთ სამიზნე ჯგუფმდე PR ამოცანების შესრულებისას.

4. აღწერეთ თითოეული შეტყობინების წინსვლის მეთოდები (საინფორმაციო არხები და წინწარევის ინსტრუმენტები).

5. გაანალიზეთ შეტყობინების წინწარევის შემუშავებული სტრატეგიის ეფექტურობა, შეიტანეთ აუცილებელი კორექტივები, თქვენი ორგანიზაციის რეალური შესაძლებლობებიდან გამომდინარე.

სამიზნე ჯგუფების მოსალოდნეული ქმედებები წარმოადგენს გარკვეული ინფორმაციის – შეტყობინების მათთან მიტანის შედეგს. შეტყობინება როგორც მინიმუმ მოიცავს:

- შინაარსს (რა ვთქვათ);
- სტრუქტურას (როგორ ვთქვათ);
- ფორმას (როგორ გამოვხატოთ იდეა).

#### **შეტყობინების შინაარსი**

ვინაიდან შეტყობინება ყოველთვის მიმართულია არა უსახო მასაზე, არმედ კონკრეტულ ადამიანებზე, სასურველია დავადგინოთ რომელმა წამქეზეგლომა მოტივებმა შეიძლება გამოიწვიოს სასურველი საპასუხო რეაქცია.

არსებობს ასეთი მოტივების სამი ტიპი:

1. რაციონალური მოტივები. ამ შემთხვევაში თქვენი გზავნილი უნდა შეესაბამებოდეს კონტაქტური აუდიტორის წარმომადგენლების პირად სარგებელს.

2. ემოციური მოტივები. შეტყობინება ხალხში უნდა იწვევდეს გარკვეულ გრძნობებს: შიშს, სიბრალულს, სირცხვილს, სიყვარულს, სიამაყეს, სიხარულს.

3. ზნეობრივი მოტივები. შეტყობინება უნდა იყოს მიმართული სამიზნე აუდიტორიაში სამართლიანობის გრძნობის, პატიოსნების შეგრძნების გამოჩენაზე.

შეტყობინების სტრუქტურის პროექტირებისას სასარგებლოა გადაწყდეს შემდეგი:

1. გაეკთდეს თუ არა შეტყობინებაში მკაფიო დასკვნა თუ მივანდოთ ეს აუდიტორიას?

2. ჩამოვაყალიბოთ მხოლოდ მომხრეობის არგუმენტები თუ შევთავაზოთ კონტრარგუმენტები?

3. როდის მოვიყვანოთ ყველაზე მოქმედი არგუმენტები – შეტყობინების დასაწყისში თუ ბოლოში?

4. ჩავრთოთ თუ არა ცნობილი ადამიანების ციტატები?

5. მოვიყვანოთ თუ არა სტატისტიკური მონაცემები?

6. დავიძატოთ თუ არა ცხოვრებისეული მაგალითები?

საკომუნიკაციო არხები არის კამპანიის ერთ-ერთი საპასუხისმგებლო მომენტი. ყველაზე საუკეთესო შეტყობინებაც კი, რომელიც მიმართულია კარგად შესწავლილ სამიზნე აუდიტორიაზე, შეიძლება არ იყოს ეფექტური იმის შედეგად, რომ უბრალოდ არ იქნა მიღებული ან გაგზავნილი იყო იმ არხების მეშვეობით, რომელსაც არ ენდობა სამიზნე აუდიტორია, ან გამოყენებული იყო ინფორმაციის (კომუნიკაციის) გავრცელების ისეთი არხები, რომლებიც საერთოდ ვერ აღწევენ თქვენი სამიზნე აუდიტორიის წარმომადგენლებამდე. შეტყობინების გავრცელების საშუალების არჩევის დროს კინოფილმი „სესილიმ“ უნდა გაითვალისწინოს აუდიტორიის სასურველი მომცველობის, შეტყობინების გამოჩენის სიჩრდირის და მისი აუდიტორიაზე ზემოქმედების დონე.

**პირადი კომუნიკაციის არხები** არის ყველაზე ეფექტური. მასში მონაცილეობას იღებს ორი (ან მეტი) ადამიანი, რომლებიც უშუალოდ ურთიერთქმედებენ პირადი საუბრის, აუდიტორიასთან ურთიერთობის, ტელეფონზე საუბრის, პირდაპირი ეთერის დროს.

აღსანიშნავია ის, რომ, როგორც წესი, მასაში იდეები შეაქვთ აზრის ლიდერებს (ამათან სხვადასხვა კლასისა და ჯგუფებისათვის ლიდერი სხვადასხვაა). ამიტომ მიმართვის ეფექტურობა იქნება უფრო მაღალი თუკი, ის იქნება აზრის ლიდერებზე გამიზნული, ხოლო ისინი თავად მიაწვდიან შეტყობინებას დანარჩენებს.

არაპირადი კომუნიკაციის არხები. ეს არის ინფორმაციის გავრცელება პირადი კონტაქტისა და უშუალო უკუკავშირის უქონლობის პირობებში. ხშირად ქვემოთ მოყვანილი მეთოდების გამოყენება აადვილებს პირად კომუნიკაციას.

სპეციულიკური ატმოსფერო. ეს არის ორგანიზაციის მიერ სპეციალურად შექმნილი გარემო, რომელიც ხელს უწყობს ორგანიზაციის მიმართ დამოკიდებულების წარმოშობასა და განმტკიცებას.

მოვლენური ხასიათის ღონისძიებები. მათ მიეკუთვნება პრეზენტაციები, პრესკონფერენციები, სპეციალური ღონისძიებები, ორგანიზაციის ან რაიმე ახალი პროგრამის, გამოფენის და ა. შ. გახსნასთან დაკავშირებით.

მასობრივი და არჩევითი (სპეციალიზებულ აუდიტორიაზე გათვლილი) ზემოქმედების საშუალებები. პირველ რიგში, ეს არის მასობრივი ინფორმაციის საშუალებები, პლაკატები, საფოსტო რეკლამები და სხვ.

არსებობს მოსაზრება, რომ PR მენეჯერსა და მედიის წარმომადგენელს სხვადასხვა ინტერესები გააჩნიათ, ხოლო PR მენეჯერისთვის აუცილებელია სწორი მიდგომა გამოიყენოს ჟურნალისტებთან ურთიერთობაში. ჟურნალება მახვილდება შემდეგ საკითხებზე:

- PR მენეჯერისთვის პრიორიტეტულია მედიის ნდობის მოპოვება და შენარჩუნება, რაც ხშირად PR მენეჯერის პირვენულ თვისებებზეა დამოკიდებული. მედიაშ უნდა დაინახოს, რომ PR მენეჯერი არის პროფესიონალი და ორგანიზაციის საქმიანობაში კარგად ჩახდული ადამიანი, რომელიც ყოველთვის მზად არის მათ დახმარება გაუწიოს და ინფორმაციის მოპოვებაში შეუწყოს ხელი.

- ჟურნალისტის კონკრეტულ შეკითხვას კონკრეტული პასუხი უნდა გაუცეს, თუმცა ამავე დროს საჭიროა სიყრთხილე, ყველა სიტყვის აწონ-დაწონგა, რათა არ გაუდერდეს ის, რაც არ გვაწყობს. ჟურნალისტები ხშირად არ არინ კომპეტენტურნი ყველა სფეროში, ამიტომ აუცილებელია მათთან მჭიდრო თანამშრომლობა, დეტალური და ზესტი ინფორმაციის მიწოდება, რათა მათ კარგად დაინახონ საკითხის არსი და შესაბამისად გააშუქონ ესა თუ ის მოვლენა.

- აუცილებელია მუდმივი კავშირი მედიასთან, მუდმივად უნდა ადევნო თვალყური მედიის და კონკრეტული ჟურნალისტების საქმიანობას. ჟურნალისტმა უნდა იგრძნოს, რომ შენ გაინტერესებს მისი საქმიანობა და მის სტატიებს კითხულობ.

- როგორც ბევრ სხვა სეუროში აქაც წამყვანია პირადი კავშირები და ახლობლური ურთიერთობები. ამიტომ რაც უფრო კარგად იცნობ ჟურნალისტებს, მათ ყოველდღიურ ცხოვრებას და ინტერესებს, მით უფრო იოლად შევიძლია წარმატებული თანამშრომლობა დაამყარო.

- ჟურნალისტებს ხშირად აღიზიანებთ, როცა PR მენეჯერი მათ არ ეხმარება პირველ პირთან კავშირის დამყარებაში, რაც ყოველთვის

სულაც არ შედის PR მენეჯერის მოვალეობაში. ნებისმიერი გაუგებრობის დროს მომგებიანია ღია დამოკიდებულება და გულახდილობა.

- PR მენეჯერმა უნდა გაითვალისწინოს, რომ ჟურნალისტები შეზღუდული დროის პირობებში მუშაობენ, ამიტომ ინფორმაცია ყოველთვის დროულად უნდა მიაწოდოს.

- ჟურნალისტს ისევე სჭირდება PR სპეციალისტთან ურთიერთობა, როგორც PR მენეჯერს ჟურნალისტთან, ანუ, PR ჟურნალისტისთვის მთავარი დასაყრდენი უნდა იყოს!

- PR მენეჯერიცა და ჟურნალისტიც ცდილობს გარკვეული ინფორმაციის საზოგადოებისთვის მიწოდებას, მაგრამ ჟურნალისტებს ხშირად დამატებული ინფორმაცია აინტერესებთ და სენსაციას ექცევს, PR მენეჯერი კი ცდილობს ინფორმაცია უფრო რბილ და მისაღებ ფორმებში მიაწოდოს საზოგადოებას.

პრესისთვის უნდა შეიქმნას პრესპაკეტი. ის გამოიყენება – პრესკონფერენციების, გამოფენების, და სხვადასხვა სპეციალური ღონისძიებების დროს. მისი ამოცანაა – მასმედიას მიაწოდოს დეტალური ინფორმაცია მიმდინარე ღონისძიების შესახებ.

პრესპაკეტში შესაძლებელია მოვათავსოთ:

- პრესრელიზი,
- ორგანიზაციის ბროშურა,
- ღონისძიების პროგრამა,
- საპატიო სტუმრების სია,
- განცხადება პრესისათვის,
- წლიური ანგარიში,
- პრესკონფერენციაზე გამომსვლელთა ავტობიოგრაფიები.

ანუ ყველანარი ღოგუმებრი, რომელიც ხელს შეუწყობს მასმედიას აღწეროს მიმდინარე ღონისძიება.

პრესრელიზი უნდა შეიქმნას კინოფესტივალის ჩატარებამდე რამდენიმე წლით ადრე. სტატიისგან განსხვავებით პრეს-რელიზი არის მოკლე შეტყობინება, რომელიც ითხოვს საგრძნობლად მცირე დროსა და ძალას მის დასწერად.

პრესრელიზების დაგზავნის საბოლოო მიზანს წარმოადგენს კომპანიის გარკვეული იმიჯის ფორმირება და შენარჩუნება ფართო საზოგადოების თვალში.

ახლა მოკლე განვსაზღვროთ ის, თუ რა უნდა დაიწეროს

პრესრელიზმი: ინფორმაცია და არა რეკლამა. ზოგჯერ მათი განსხვავდა როგორია, მაგრამ არსებობს მინიშნება: ინფორმაცია – არის „მონაცემლი არა იმის შესახებ თუ რას ყიდით, არამედ იმის შესახებ, თუ როგორ ცხოვრობთ.“ პრესრელიზმი ჩვეულებრივ იწერება არა სალპარაკო, თხრობით, არამედ ტელეგრაფულ, უსახო მანერაში, რამე სიახლის, მოვლენის საბაბით, რომელთაც პეტია საინფორმაციო საბაბი. აქედან გამომდინარე პრესრელიზმის შინაარსი, როგორც წესი, დაკავშირებულია დროის გარკვეულ პერიოდთან.

განვიხილოთ თუ როგორ უნდა დაიწეროს პრესრელიზმი. მისი ძირითადი შემადგენლებებია:

- სათაური,
- რეზიუმე,
- ძირითადი ნაწილი,
- საკონტაქტო რეპოზიტორი,
- მონაცემები ფირმის შესახებ,
- მონაცემები პროდუქტის, მომსახურების შესახებ.

არსებობს სხვადასხვა კომპანიები, რომელთაც შეგიძლიათ მარტოდოთ თქვენი პრესრელიზმები ან შეუკვეთოთ ეს მომსახურება.

დღეს არსებული PR კომპანიები, PR საზოგადოება თუ ცალკეული, ინდივიდუალური „PR-შიკები“ საკუთარი, პიროვნული ეთიკის კოდექსის მიხედვით მოქმედებენ. გარკვეულწილად, ცალკეულ შემთხვევებში, ეს ამართლებს კიდეც, მაგრამ არის სიტუაციები, როდესაც შინაგანი ღირებულებები ხშირად წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო პრაქტიკაში არსებულ ღირებულებებთან. ამიტომ ყველა PR კომპანიამ, PR საზოგადოებამ თუ ცალკეულმა „PR-შიკმა“ უნდა გაითვალისწინოს საზოგადოებასთან ურთიერთობის სფეროში პროფესიული ქცევის ევროპული კოდექსი (ლისაბონის კოდექსი).

### ნინო შარმიაშვილი

მაგისტრატურის II კურსი,

ხელმძღვანელი: პროფ. იური მღებრიშვილი

### მაყურებლის პროგლემა აკადემიურ თეატრებში

თეატრის დაარსების პერიოდში (XVIII–XIX საუკუნეებში) იყო ადგილი, სადაც ქართულ სიტყვას უდიდესი მნიშვნელობა ენიჭებოდა; ეს იმ პერიოდში, როდესაც რუსიფიკაციის პირიბებში ქართული დრამატურგიის სცენაზე გადოტვანა და ქართველი მსახიობების მშობლიურ ენაზე მეტყველება მაყურებლებისთვის უმნიშვნელოვანების მოვლენა იყო. დროთა განმავლობაში შეიცვალა ვითარება, ისტორიულ-სოციალური ფონი, შეიცვალა თეატრის ბედიც.

ქართულ თეატრს სრულიად უნიკალური ისტორია აქვს. ჩემი კვლევის ობიექტი თეატრის ისტორიის კვლევა არ არის. ნაშრომში თანამედროვე ქართულ თეატრში, კონკრეტულად კი აკადემიურ თეატრებში, მაყურებლის დასწრების პრობლემაზე გავამახვილებ ყურადღებას.

გასული საუკუნის 90-იანნა წლებში ბევრი გაჭირვება და ქაოსი მოიტანა საქართველოში, სამოქალაქო დაპირისპირების შემდეგ, მართალია თბილისში შედარებით სიმშევადემ დაისადგურა. ეს ის პერიოდია, როდესაც საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა დაირღვა, ქვეყნაში მძიმე სოციალური ვითარებაა.

ამ პერიოდში თბილისში იქმნება პირველი სარდაფის ტიპის თეატრი (რეჟისორები: ლევან წულაძე და ოთარ ეგაძე). ყველაფრისგან გადაღლილმა, დაბწულმა და დათრგუნულმა მოსახლეობამ სარდაფის თეატრი შეიყვარა, უფრო მეტიც, სარდაფის თეატრში გაჩნდა ანშლაგები, ამ დროისათვის ქართულ თეატრში ესოდენ დავიწყებული ცნება. სპექტაკლების უმრავლესობა სარდაფის თეატრში იყო თანამედროვე სინამდვილის ამსახველი, კომედიური ჟანრის. კომედიური სპექტაკლის ხილვისას მაყურებელი თავისუფლდება მძლავრად დატვირთული უარყოფითი მუხტისაგან.

2000 წლისათვის, როდესაც თბილისში მოქმედ ყველა დიდ თეატრში (რუსთაველის, მარჯანიშვილის, შემდეგ კინოშახიობთა) სარემბონტო სამუშაოების გამო რეპერტუარი შეწყდა, მაყურებელი ძირითადად სარდაფის თეატრებით საზღვოობდა, ამავე პერიოდში

ექსპერიმენტების მოყვარულმა აფთო გარსიმაშვილმა დააკრისა ახალი თეატრი: „თავისუფალი ოეატრი“, რომლის პირველმა წარმოდგენამ „კომედიანტებმა“ მოკლე სანში საოცარი პოპულარობა მოიპოვა და დღემდე არ კარგავს მაყურებელს.

თეატრალურ სარდაფში მხოლოდ სპექტაკლები არ იდგმებოდა, აյ ეწყობოდა პიესების კითხვები, ლიტერატურული საღამოები. დღესდღეობით თეატრალური სარდაფი ვაკეში დახურულია, რუსთაველზე კი იშვათადა პრემიერა, არც პიესების კითხვებია და არც ლიტერატურული შეხვედრები. შესაძლოა ეს იმის გამო მოხდა, რომ სარდაფის მაყურებელი დაუბრუნდა აკადემიურ თეატრებს, ან სულაც იმის გამო, რეპერტუარია არასწორად შერჩეული. მიხეილ თუმანიშვილი ამბობდა: „თეატრის სიცოცხლისუნარიანობა მაქსიმუმ 10 წლით განისაზღვრება, ამის შემდეგ თეატრმა აუცილებლად უნდა დაიწყოს ახალი ფორმების, სტილისა და ტენდენციების ძიება, მას ახალი სისხლი უნდა გადაესხას, თუ უნდა, რომ თავი გადაირჩინოს.“ როგორც ხედავთ, მიზეზი თვალსაჩინოა. სარდაფის თეატრმა ზუსტად 10 წელიწადში საკუთარი შესაძლებლობები ამოწურა და მისმა დამარსებლებმაც ისევ აკადემიურ თეატრებს მიაშურეს.

საინტერესოა, რა დახვდა მონატრებულ თეატრებში ქართველ მაყურებელს. შესაძლოა, გარემონტებული შენობა, რეკლამა, ლამაზად გაფორმებული აფიშა ან თეატრის web-გვერდი. მაგრამ თეატრის მთავარი პროდუქტი სპექტაკლია, ყველაზე დიდი წარმატება კი ანშლაგია. ანშლაგია რუსთაველის თეატრში „კავკასიურ ცარცის წრეზე“, როდესაც გენიალურ შესახიობს, რამაზ ჩხილავეს ვარსკვლავი გაუხსნეს. ბილეთებიც წარმოდგენამდე ბევრად ადრე გაიყიდა, რიგებიც იდგა სალაროსთან, ეს მაშინ, როცა მის ღირებულება სტანდარტულ ფასს ბერიად აღემატებოდა. მართალია, „კავკასიური ცარცის წრე“ გენიალური სპექტაკლია, მსოფლიომ აღიარა და უკვე 30 წელზე მეტია სცენიდან არ ჩამოსულა. ანშლაგი, შესაძლოა, უფრო იმან განაპირობა, რომ ვარსკვლავების გახსნაზე სიარულიც მოღად იქცა (!). ეს მაშინ, როცა რუსთაველის თეატრში მოიხსნა სრულიად გენიალური სპექტაკლი „გოდოს მოლოდინში“ ძალიან მარტივი მიზეზის გამო, მას მაყურებელი არ ჰყავდა (!). როდესაც გია ყანჩელის „სტიქსზე“ თითზე ჩამოსათვლელი ბილეთების რაოდენობა იყიდება, ამის მიზეზიც აშკარაა, ასეთ სპექტაკლებს მაყურებელი აღარ ჰყავს. აშკარაა, რომ აუცილებლად ვარსკვლავის გახსნა, საზეიმო

საღამო ან ჯეოსტარი უნდა გადიოდეს რუსთაველის თეატრში იმისათვის, რომ დარბაზი შეივსოს.

ბოლო დროს სრული დატვირთვით მუშაობს რუსთაველის თეატრის ექსპერიმენტული სცენა, სადაც, გარდა სპექტაკლებისა, საინტერესო შეხვედრები და იმავე პიესების კითხვებიც იმართება. ეს სასიცოცხლოდ აუცილებელი მოვლენაა ნებისმიერი თეატრისთვის, აյ დარბაზი ყოველთვის სავსეა თეატრალური საზოგადოებით, ეს შეხვედრებზე გასაგებია, მაგრამ სპექტაკლზე ბილეთების რაოდენობის გაყიდვის მიხედვით აქაც საგანგაში მდგომარეობაა, არადა რა საინტერესოა, რომ იმავე ექსპერიმენტულ სცენაზე დასწრების მხრივ ნამდვილი რეკორდი დამყარა რეალითი შორის „დასის“ წარმოდგენებმა, განსაკუთრებით შორის სატელევიზიო მიმდინარეობის პროცესში, ანუ, ტელევიზია ჩვენთან ისევ საოცრად პოპულარულია, უფრო მეტიც ტელევიზიას არ ჰყავს ბადალი. თუ კარგად დააკვირდებით, არცერთ გადაცემაში, მცხუნვარე სატელევიზიო დროს, არავინ ლაპარაკობს რომელიმე კონკრეტულ სპექტაკლზე, მის ღირებულებებზე, იმაზე, რომ ეს ნამდვილი აღმოჩენაა და შეუდარებელია, რომ ამ სპექტაკლის დადგმით რაღაც ახალი დაწყო ქროიული თეატრის ისტორიაში...

ძალინ კარგი საყურებელია რუსთაველი თეატრში თითქმის ერთი წლის წინ დადგმული სპექტაკლი „მოხუცი ჯამბაზები“, სადაც ბრწყინვალე მსახიობები: მედეა ჩახავა, გურამ საღარაძე, კახი კავსაძე თამაშობენ. პრემიერამდე იყო ბევრი სიუჟეტი ტელევიზორში, ინტერვიუები პრესაში, პრემიერის შემდგომ უშუალოდ სპექტაკლს გადაცემებიც კი მიეძღვნა, ყველა წარმოდგენამდე რამდენიმე დღით ადრე ყველა ბილეთი გაყიდულია, რა თქმა უნდა, ეს არ ირით რიგითი სპექტაკლი, მაგრამ რეკლამამ მაინც იმუშავა, ზოგიერთ რიგით სპექტაკლს ამის ნახევარი PR რომ ჰქონდეს, იქნებ აღარ იყოს სპექტაკლის გადადგის სშიშროება ზოგჯერ სამი ან თოხი გაყიდული ბილეთის გამო.

ნებისმიერ ინტერნეტ გამოკითხვაში, ფორუმებზე, რეიტინგის თვალსაზრისით ავთო ვარსიმაშვილის „თავისუფალი თეატრი“ ლიდერობს, მისი სიძლიერე აღბათ იმაშია, რომ ეს არის ერთადერთი თეატრი დღესდღეობით საქართველოში, რომლის რეკლამას ყველაზე ცნობილი არხის ეთერში დღის განმავლობაში რამდენიმევერ მოისმენთ, იქ არის სპექტაკლებით თანამედროვე თეატრიკაზე, თავისი ახალგაზრდა მსახიობებით, ბუნებრივი მოვლენების (თოვლი, წვიმა) სცენაზე უხვი ჩვენებით, დარბაზში ატირებული მაყურებლით

„ოთხი წლის წინ, 1997 წლის 31 მარტს, როდესაც ვხსნიდი „თეატრალურ სარდაფს, პირველ სპექტაკლზე მოსულ მაყურებელს ვუთხარი, რომ ვხსნი თეატრს, რომლის დევიზიც იქნება „დე, ცუდი, ოღონდ ბევრი!“ იმ პერიოდში თეატრები პრაქტიკულად ჩაკეტილი იყო ახალგაზრდა რეჟისორებისათვის, ამიტომ მინდოდა, გამეხსნა ისეთი თეატრი, სადაც ბევრი ახალი დადგმა განწყდოდა. ჩემ მიერვე მოგონილმა დევიზმა წელიწადნახევარში ჩიხში მომაქცია, მე გადავიქცი ძალიან ბევრი უნიჭო სპექტაკლისა და მათი დამდგმელების პროდიუსერად, რის გამოც დავტოვე ჩემს მიერვე დაარსებული თეატრი. დღეს, 2001 წლის 31 მარტს, ზუსტად ოთხი წლის თავზე, მე ვხსნი კიდევ ერთ თეატრს, რომლის დევიზი იქნება „სჯობს ცოტა, ოღონდ კარგი!“ ეს იქნება „თავისუფალი თეატრი“ თავისუფალი მაყურებლისათვის, სადაც გზა მხოლოდ ნიჭიერ შემოქმედებს მიეცმათ,“ – ეს ავთო ვარსიმაშვილის სიტყვებია, ის ყველაზე კარგი მენეჯერია თავისი თეატრისა. მან შეძლო, გაეკეთებინა თეატრი, სადაც სულ ანშლაგებია, ჰყავს თავისი მსახიობები, რომელთაც ყველაზე კარგად იცნობს და ყველაზე კარგად იცის.

ბევრს დავობენ პროფესიონალები ამ ბოლო დროს მარჯანიშვილის თეატრის რეპერტუართან დაგავშინებთ, არადა ფაქტია, რომ სწორად წარმართულმა მენეჯმენტმა, კარგმა რეკლამამ, კონტაქტებმა თეატრის მაყურებელი დაუბრუნა, მაგრამ აქ სხვა რამეა პრობლემა და ეს მართლაც რეპერტუარია, თეატრისა, რომელსაც ძალიან დიდი ისტორია და წარმატები აქვს.

კოტე მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო აკადემიური თეატრი თითქმის რვა ათეული წელია მოღვაწეობს. ამ ხნის განმავლობაში ჩამოყალიბდა, თვალსაჩინოდ გამოიკვეთა თეატრის სახე, მისი მოქალაქეობრივი პოზიცია, ხასათი, სტილი, ტრადიცია და მთლიანად შემოქმედდა. დღეს მარჯანიშვილის თეატრში დად სცენასთან ერთად მოქმედებს მცირე სცენა ე. წ. „თეატრი სხვენში“, სადაც ძირითადად ახალგაზრდა რეჟისორები ცდიან თავის შესაძლებლობებს. დიდი პოპულარობით სარგებლობს ლევან წულაძის (თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი) ბოლო დროს დადგმული ისეთი გახმაურებული სპექტაკლები, როგორებიცაა: „ქაქუცა ჩოლოფაშვილი“ და „პიგმალიონი“. სიუჟეტები, სტატიები, პროფესიონალთა რეცენზიები არც ერთ მათგანს არ დაკლება, მაგრამ არც თუ საიმედო.

თეატრმცოდნებისათვის დამაიმედებელი არაა „ქაქუცა ჩოლოფაშვილი“, მოუხედავად თავისი პატრიოტული პათოსისა და მარჯანიშვილის თეატრის სალაროსთან ბილეთის რიგში მდგარი ახალგაზრდებისა. თუკი მართლაც დარბაზი გაიცსება და იმ დარბაზიდან ადრიანი ისეთივე გამოვა, როგორიც შევიდა არაფერი მასში არ შეიცვლება მაშინ რა დანიშნულება აქვს თეატრი? ვაცინოთ, ვიხარხაოთ, თუ მარტო ვიტიროთ? ალბათ, უნდა შევიმეცნოთ.

დღეს სერიოზული პრობლემებს წინაშე დგას ქართული დრამატურგია. ახალგაზრდა დრამატურგებს პიესები თაროებზე უშველდებათ, თანამედროვე საზღვარგარეთულ დრამასთან ხომ საერთოდ ძალიან მწყრალად ვართ. სარეპერტუარო პოლიტიკა ქართულ თეატრებში უდავოდ რთული თემაა, არადა ყველა თეატრში უნდა არსებობდეს კონკრეტული შტატი ამ მიმართულებით, უფრო სწორად პროფესიონალთა ჯგუფი, რომელიც კითხულობს ახალ პიესებს, როგორც ქართულს, ასევე უცხოურს, იცის რა ხდება თანამედროვე ევროპულ თეატრში, და ა. შ.

აუცილებელია, თეატრებში, თავად თეატრის ინტერესებიდან გამომდინარე, ტარდებოდეს გამოკითხვები მაყურებლებს შორის, გამოკითხვების შედეგად, ნათელი გახდება, თუ რა ტიპის მაყურებელი დადის ამა თუ იმ თეატრში, რა სისტემით, რა მოსწონის, ან, პირიქით, რაზე არ მოვა არასოდეს. აღსანიშვავა ისიც, რომ თეატრის მენეჯერი უნდა იყოს პროფესიონალი კულტურის მენეჯერიც. თეატრის მენეჯერმა უნდა დასახოს სტრატეგიული გეგმა, ასევე კომპანიის შიდა მონაცემებს გადახედოს ხშირად.

მენეჯერს შეუძლია გამოიყენოს ბილეთების სალაროს ან მოშხმარებლის მიერ წარმოდგენილი ანგარიშებიდან ამოღებული ცნობები. ბილეთების საღაროდან მიღებული ცნობები შესაძლებლობას აძლევენ თეატრის მენეჯერს დასახოს გეგმა კონკრეტული ღონისძიებების გაყიდვებისა. შეადაროს გასული წლების გეგმას, და თუ მოთხოვნილება იქნება გადაწყვიტოს რა ღონისძიებების გატარებაა საჭირო ერთ ან რამდენიმე ცვლადთან დაკავშირებით მარკეტინგულ მიქსში. მაგალითად, თუ გაყიდვების ღონე რამდენიმე კვირის მერე მორიგი ღონისძიებების ჩატარების შემდეგ მუდმივად იკლებს, მაშინ მიზანმიმართულად სწორედ ამ პერიოდში უნდა გაიზარდოს ბიუჯეტი დაწინაურებისთვის, რათა შევინარჩუნოთ ან გავზარდოთ დასწრების მაჩვენებელი.

კლიენტების სია, აბონემენტების მფლობელები, იქნება ის კომერციული თუ არაკომერციული – არის საინტერესო ინფორმაცია.

აუცილებელია ასევე საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი იყოს პროფესიონალი. მისი მეშვეობით უნდა ხდებოდეს საზოგადოებასთან ურთიერთობა – ინფორმაციის გაცვლა – კომუნიკაცია. მასზეა დამოკიდებული წარმატება ან წარუმატებლობა. მასმედიასთან ურთიერთობის ჩამოყალიბებაშიც დიდი წვლილი უნდა მიიძღვოდეს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერს, მნიშვნელოვანია სპექტაკლის პრემიერის დრო და თარიღი გაფრცვლილების საზოგადოებაში მასმედიას საშუალებით, უნდა დაიგეგმოს ისეთი PR კმანია, რომ საზოგადოების დიდი ნაწილი დაინტერესდეს და არ იყოს ეს საზოგადოების გარკვეულ ფენაზე გათვლილი.

მარტო ვარსკვლავების გახსნით შორს ვერ წავალთ. ქართულ თეატრს სჭირდება ბევრი მაყურებელი, მაყურებელს – კარგი სპექტაკლი, კარგ სპექტაკლს – პიესა, პროფესიონალი გუნდი და ბევრი შორის, რაც, ჩემი აზრით, ისეთ შედევს მოიტანს, რომ აკადემიურ თეატრებში აღარ იქნება მაყურებლის პრობლემა და დიდი იმედი მაქს ყველა სპექტაკლი ანშლაგით ჩაივლის.

სათეატრო მენეჯმენტში ასევე საქმაოდ მნიშვნელოვანია თავად შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც, ერთი მხრივ, საქმაოდ რთული რგოლია. აქ, ერთი მხრივ, ყურადღება გასამახვილებელია შემოქმედებით სექტორზე, ასევე დიდი ყურადღება სჭირდება ტექნიკურ სექტორსა და საერთო, ადმინისტრაციულ სექტორს. პირველი მათგანი, ფაქტობრივად, თეატრალური მოღვაწეობის მთავარი პრინციპია და მოიცავს ყველაფერს, რაც დაკავშირებულია თეატრის საქმიანობის ხელმძღვანელობასთან, რეპერტუართან, მსახიობებთან და ა. შ. ტექნიკური სექტორი ესაა სპექტაკლების ტექნიკური მომზადება, განთვება, რეკაზიტი, ხმის რედაქტირება. ხოლო, რაც შეეხება ადმინისტრაციულ სექტორს, ესაა საბუღალტრო, კომერციული სამსახურები.

თეატრი, იმისათვის, რომ მან წარმოადგინოს ერთი სპექტაკლი, საქმაოდ რთულ და საინტერესო გზას გადის, ამას თეატრალური მოღვაწეობის საწარმოო ციკლი ეწოდება და შედგება ისეთი ეტაპებისაგან, როგორებიცაა განსახორციელებელი სპექტაკლის თემატიკის შერჩევა, დადგმისთვის მომზადება, სპექტაკლისათვის მომზადება, „ასპექტების შეკვრა“, მარკეტინგული გეგმა, პრემიერა და ანალიტიკური სამუშაო პრემიერის შემდეგ. როგორც ხედავთ,

ერთი სპექტაკლის დასადგმელად უმრავი სამუშაოა ჩასატარებელი, უამრავი ადამიანის მიერ. პირველი რამდენიმე სტადია შემოქმედებით-ტექნიკურ ე. წ. „განყოფილებებს“ ეხებათ და მისი მართვაც მხოლოდ შემოქმედებს და ტექნიკურ სპეციალისტებს შეეძლებათ. რაც შეეხება მარკეტინგულ გეგმას და საინფორმაციო-სარეკლამო მასალის მომზადებას, ეს უკვე მენეჯმენტ-მარკეტინგის სამსახურის პრეროგატივა და ამ ნაწილსაც ისეთივე საიცოცხლო ფუნქცია აკისრათ, როგორიც თავად სპექტაკლის შემოქმედებით შხარეს. არ აქვს მნიშვნელობა, როს გამო არ მოხდება მაყურებლის სპექტაკლზე დასწრება, უგმოვნო, არაღირებული წარმოდგენის გამო, თუ არასწორი მარკეტინგული სტრატეგიის ან არასათანადო მენეჯმენტის გამო. რეზულტატი მაინც ერთი იქნება – თეატრს არ ჰყავს მაყურებელი და ეს საკმაოდ მნიშვნელოვანი პრობლემა. თეატრის მომხმარებელი ხომ თავისთვად მაყურებელია. მომხმარებლის გარეშე დარჩენილი სახელოვნებო პროდუქტი კი სრული კრახია კულტურის მენეჯმენტისათვის.

თუმცა, ოპტიმისტები თუ ვიქნებით, არ არსებობს გადაუჭრელი პრობლემა. მე თუ მკითხავთ, ამისათვის სულაც არა საჭირო დიდ ოპტიმისტური განწყობა. ამისათვის საჭიროა ელემენტარული პრაქტიკული და თეორიული ცოდნა მარკეტინგსა და მენეჯმენტში. სათეატრო მენეჯმენტის წარმართვისას, პირველ რიგში, უცილებელია, შიდა ორგანიზაციული პრობლემების მოგვარება. ნებისმიერ ორგანიზაციაში ერთი ნაბიჯი წარმატებისკენ უკვე გადადგმულია, თუ მოგვარებულია სტრუქტურის პრობლემა, თუ სწორადა ფუნქციები გადანაწილებული და თუ ხელმძღვანელი რგოლი ახერხებს ყველა განყოფილებაზე მმართველობით ე. წ. „თვალიურის დევნებას“. ეს იმას ნიშნავს, რომ ორგანიზაციაში ნებისმიერი ქმედება იქნება ადეკუატური და შესაბამისი, ასევე იქნება კონტროლირებადი და მიზანმიმართული. სტრუქტურის სწორად ჩამოყალიბების შემდეგ თეატრს უკვე შეეძლება შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად მარკეტინგულ გათვლებსა და PR კამპანიებზეც იფიროს. პირველ რიგში, აუცილებელია, ზოგადად მასის, როგორც ბაზრის შესახებ ინფორმაციის რაიმე, თუნდაც ნებისმიერი ხერხით მიღება. აუცილებელია კონკურენტუნარიანი სხვა თეატრების პროგრამა-სტრუქტურების ზემოქმედებითი შესწავლა იმისათვის, რომ მოცემულმა თეატრმა შეინარჩუნოს ინდივიდუალურობა, სტილი, სტატუსი და მკაცრად განსაზღვრული ადგილი ბაზარზე. გარდა ამისა, საჭირო

და ისევ აუცილებელია სარეკლამო კამპანიები, ურთიერთობა მასობრივი ინფორმაციის გამავრცელებულ საშუალებებთან და მჭიდრო კონტაქტი მომხმარებელთან. თეატრს შეუძლია, შექმნას „მუდმივი მაყურებლის“ კლუბი, სადაც გაწევრიანებულებს საშუალება ექნებათ ფასდაკლებით ან მოსაწვევებით დაუსწროს პრემიერებს, სპექტაკლებს. მერწმუნეთ, უფრო მნიშვნელოვანია, დარბაზი იყოს მაყურებლით სავსე და მათ ბილეთები ჰქონდეთ შეძენილი ნახევარფასად, ვიდრე, პრემიერაზე იყოს მხოლოდ რამდენიმე ათეული ადამიანი, ძვირადღირებული ბილეთებით. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი საშუალებების სწორად გამოყენებისა და, პლუს ამას, სხვა სპეციფიკური ღონისძიებების გატარების შემდეგ, მერწმუნეთ, საქართველოში არსებულ თეატრებს მაყურებლის პრობლემა ნამდვილად აღარ შექმნებათ.

**მარიამ ჭუმბურიძე**  
მაგისტრატურის II კურსი  
ხელმძღვანელი - პროფ. იური მღებრიშვილი

## **მარიამ ჭუმბურიძე** **პროფესიალური თანამედროვე ხელოვანობის**

თანამედროვე ეპოქა სოციალურ-პოლიტიკური, ეკონომიკური, ეკოლოგიური და კულტურული სფეროების შოკური ცვალებადობით მიმდინარეობს. საზოგადოებაში იცვლება პრიორიტეტები, მათი წარმატებული განხორციელების საშუალებები. პრაგმატულმა იდეალმა კონკრეტული მიმართულებები და მიზნის მიღწევის სრულად განსაზღვრული გზები გამოკვეთა, რომელთა შორის უპირველესი ადამიანის გავლენის სფეროებში შეღწვევა, ძალაუფლების მოპოვება, შემოსავლისკენ სწრაფვა, მატერიალური უზრუნველყოფის მიღწვევა იქცა.

ამ პროცესების ფონზე შეუძნენებლად დაიწყო და მიმდინარეობს ადამიანის დეპუმანიზაცია, მისი კულტურული იდენტურობის აღმოფხვრა. უმრავ პრობლემათა ნაკადში მოქცეული ადამიანი ვერ იაზრებს, რომ კულტურის კრიზისი აპირობებს საზოგადოებაში აზროვნებისა და შესაბამისად ყოფიერების მრავალ პრობლემას.

კულტურა ზოგადი ცნებაა და მოიცავს კაცობრიობის მატერიალურ და სულიერ სფეროს, მიღწვებს ორივე მიმართულებით, საზოგადოების განვითარებისა და მიღწევების, მემკვიდრეობითი პრინციპის გამოყენებისა და ევოლუციის ჩათვლით. ამ ორი სახეობის გამიჯნა შეუძლებელია მთი ირგანული კავშირის გამო, რადგან იდეის მატერიალური ხორცშესხმა სწორებ ცოდნის, ნიჭის მატერიალიზებაა. სულიერი კულტურის ობიექტური განსხვეულებაც მატერიალური საშუალებების დაზმარებით მიმდინარეობს, ე. ი., კულტურის ნებისმიერი საგანი (მოვლენა) მატერიალურისა და სულიერის ან პირიქით სულიერისა და მატერიალურის ხორცშესხმული ერთობლიობაა.

სულიერი კულტურა მოიცავს შემცნების სფეროს, სულიერ შემოქმედებას, რელიგიას, მითოლოგიას, ფილოსოფიას, შემცნებას, ზნეობას, აღზრდას, განათლებას, სამართალს, მეცნიერებას, ლიტერატურას, ხელოვნებას.

კიდევ უფრო დაგაკონკრეტო: ხელოვნება-ლიტერატურა, თეატრი, კინი, საზოგადო ხელოვნება, მუსიკა, ქორეოგრაფია, საცირკო ხელოვნება ადამიანის შინაგანი სამყაროსა თუ გარეგნული მშვინიერების

სრულყოფილების, ცხოვრების დღეალურ სტანდარტებამდე მიღწევის, რაფინირების საშუალებად მოიაზრებოდა და მოიაზრება, მაგრამ დღეს მხოლოდ გონიერის, რაციონალური პრიორიტეტებით დაკავებულ საზოგადოებაში მხოლოდ ნაწილობრივ, ზედაპირულად ან ზერელულ ხდება მისი გამოყენება, შემოქმედებითობა, ემუციურობა, ინტუიციისადმი ყურადღების მიპყრობა.

ცხოვრების დღევანდელი სტილი, რიტმი, ადამიანს არ სძენს ქცევას, ყოფითი კულტურის ძირითად მიმართულებას, კომუნიკაციის ანანურ ცოდნას. ხოლო თუკი იგი ფლობს ამ თვისებებს, მისი რეალიზაციის საშუალებას.

ყოველ საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციას კულტურის თავისი ტიპი ახასიათებს, ამა თუ იმ ფორმაციის შეცვლა უპირობოდ იწვევს კულტურის ტიპის ცვლილებასაც. როგორც წესი ეს არ უნდა ნიშავდეს განხეთქილებას, კავშირის გაწყვეტას, რღვევას, მით უფრო ძველის განადგურებას. საუკუნეებით დასტურდება, რომ ახალი ფორმაცია აუცილებლობის გამო, გამორჩევით იღებს წინა ფორმაციის კულტურულ მიღწევებს. შემოქმედება ხომ ძირითადად ტრადიციას ეყრდნობა, აგრძელებს ან ემიჯნება მას.

როგორ აისახება თანამედროვე ცივილიზაციასა და მსოფლიო სახელოვნებო კულტურაში ყოველივე ზემოაღნიშნული. რა ცვლილებებსა და პრობლემათა რიგს მოიცავს ზოგადად დღევანდელი ხელოვნება, რა სირთულეთა გადალახვა უხდება მას და ამ კონტექსტში ქართულ ხელოვნებას, მის ცალკეულ დარგებს.

უპირველესად თეატრის პრობლემატიკას შევეხებით. ეს არც თუ ისე ადვილია იმ ფაქტის გამო, რომ ყოველ ქეყანაში არსებული ძირითადი პოლიტიკური კლიმატი გავლენას ახდენს ყოველდღიური ცხოვრების ყველა ასპექტზე, მათ შორის თეატრზეც, რომელიც, როგორც ზოგჯერ ხელოვნება, საზოგადოების „სარკეს“ წარმოადგენდა ყოველთვის. იმ რეალობის გათვალისწინებით, რომ მსოფლიოში ეკონომიკურ-პოლიტიკური კრიზისი და დაძაბულობა თანდათან მძაფრდება, საქართველოში დამატებით ომის შემდგომი და მუდმივად ახალი კონფლიქტების აუექების სიტუაცია კიდევ უფრო ართულებს თეატრების ჩვეულ, აპრობირებულ, გასული საუკუნის ძალზე წარმატებულ ცხოვრებას.

მენეჯმენტი კულტურის დაწესებულებაში თანამედროვეობის მოთხოვნაა, რომელიც აუცილებელია კულტურული პროდუქციის

წარმოების აქტივურობის განვითარებისა და მაყურებლის კულტურული მოთხოვნილებების ჩამოსაყალიბებლად.

კულტურის ნონპროფიტული ნაწილი, რომლის შემადგენლობაშიც თეატრი მოიაზრება (მუნიციპალური თეატრები), მთელ მსოფლიოში ფინანსდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სხვადასხვა ფონდიდან, სპონსორული საქმიანობიდან, მეცენატობიდან. კულტურას ხელმძღვანელობს კულტურის სამინისტრო, რომელიც ფერდა ცივილურ ქვეყანაში მაკორდინირებელ ფუნქციას ასრულებს და თავის მენეჯმენტს მიმართავს კულტურის სტრატეგიის დადგენისა და დაგეგმვისაკენ, კონკრეტული ქვეყნის არამატერიალური და მატერიალური კულტურული მექანიზრებისა და საზოგადოების მენტალიტეტის გათვალისწინებით; აქედან გამომდინარე, ადგენს პრიორიტეტთა სისტემას და მიზანმიმართულად ახორციელებს თავის მენეჯმენტს; მაგრამ ყოველთვის ასე როდი ხდება.

კულტურა კომერციულ დარგთა შორის არ განიხილება, ისევე როგორც სპორტი, ჯანდაცვა, განათლება. თუმცა მიუხედავად ნონპროფიტულობისა მას გააჩნია მცირე კომერციული სექტორი. რომლის მენეჯმენტი და მარკეტინგი ისევე მუშაობს, როგორც სხვა კომერციულ სექტორში. მას გარკვეული წვლილი შეაქს ეკონომიკაშიც, რადგან ქმნის სამუშაო ადგილებს, გააჩნია თავისი ავტონომიური ბაზარი – საგრძნობი საინვესტიციო პოტენციალით. აქვე უნდა დავძინოთ, რომ კულტურა და ხელოვნება სოციალურად მომექინია საზოგადოების მთავარი ღერებულებების აკუმულირებისა და ტრანსლირებისთვის.

ბიზნესისა და მენეჯმენტის თანამედროვე ტექნოლოგიები: რეკლამა, PR, პერსონალთან მუშაობა, კორპორაციული კულტურის ფორმირება შეუძლებელია სოციალურ-კულტურული მოღვაწეობის ტრადიციული ფორმების გამოყენების გარეშე.

ყველა ზემოთ აღნიშნული ტექნოლოგია საჭიროა და აქტიურად გამოიყენება თანამედროვე ხელოვნების ყველა დარგში.

შოუ-ბიზნესი ზოგადად კულტურული მომსახურების სფეროს ერთ-ერთი მიმართულებაა. თუ მას არ ახლავს ბიზნესის ცნება, მაშინ იგი საქველმიერდო ხასიათისაა და მისი დაფინანსება ხდება ან სახელმწიფო ბიუჯეტიდან ან მუნიციპალიტეტიდან. იმ შემთხვევაში როდესაც შოუს აქვს კომერციული ღირებულება მაშინ ის შოუ-ბიზნესის კატეგორიაში გადადის, რომელსაც აქვს კომერციული ღირებულება და აუცილებლად მოგება უნდა მოუტანოს მის

მწარმოებელს. მის ღირებულებას იხდის მომხმარებელი (მაყურებელი). სხვაგვარად რომ ვთქვათ, სანახაობა იგივე პროდუქტია და იგი მომგებიანად უნდა გაიყიდოს ბაზარზე. ასეთი შედეგის მისაღწევად საჭიროა ეფექტური მენეჯმენტი და მარკეტინგი, რომლის ფორმულა ასე გამოიხატება – მოძინეთ (ან შექმნით) მოთხოვნილება და დააგმაყოფილეთ იგი. რაც უფრო მაღალმხატვრული იქნება პროგრამა და მისი გაფორმება მონაწილეთა ჩათვლით, მით უფრო მეტი იქნება შოუს ღირებულება-ფასა.

თუ გათვლილი იქნება შოუს მოწყობის ყოველი ნიუანსი და ეფექტურად იქნება წარმოდგენილი მენეჯმენტი და მარკეტინგი, ანუ, შესწავლილი იქნება საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის მოთხოვნილება და ინტერესები, სოციალურ-ეკონომიკური მდგრადება /დიფერენცირებული მიდგომა სხვადასხვა სოციალურ ჯგუფთან / მით უფრო მომგებიანი და ეფექტური იქნება შოუ-ბიზნესი, რასაც ადასტურებს კიდეც მისი პოპულარობა და აუდიტორიის ყველაზე უფრო მრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი წარმომადგენლობა მსოფლიო ვარსკვლავთა მონაწილეობით დაგეგმილი და წარმატებით განხირცილებული პროექტებით.

რაც შეეხება სათეატრო ხელოვნებას, დღეს რთულია ისაუბრო თეატრების მართვის რაიმე სისტემასა და ორგანიზებაზე. პრიორიტეტთა გამოკვეთის შემდეგ კულტურის სამინისტრომ მჭიდრო ურთიერთკავშირი უნდა დაამყაროს ქვეყნის ხელმძღვანელობასთან, ვინაიდან მთელი რიგი საკითხის მოგვარება სახელმწიფოს მმართველობითი ორგანოების თანადგომის გარეშე წარმოუდგენელი იქნება.

სახელმწიფო თეატრებში, რომლებიც კულტურის სამინისტროს მიერ ფინანსდება, ფინანსები ნაწილდება გარკვეულ პროექტებზე და ისეთ უტილიტარულ საჭიროებებზე, როგორიცაა თეატრის შენობის შენახვა – განათება, მცირე შეკეთება, კომუნიკაციებისა და წარმოების სხვადასხვა რგოლების რესურსების შექმნა და ძირითადად სახელფასო ფონდის შენარჩუნება. რომელშიც მაინც ხდება გარღვევა (შეფერხება). რადგან თეატრის თანამშრომელთა და მსახიობთა, ანუ დასის, შემადგენლობა ერთად (მიუხედავად პერიოდული გადახარისხებისა და შემცირებებისა, ვგულისხმობთ მუდმივად დასაქმებულ პირებს) მრავალრიცხოვანია, ამის გამო ძალიან მცირე თანხა რჩება ახალი სპექტაკლების განხორციელებისთვის. ამ პროდლემის გადაწყვეტა დამოკიდებულია უკვე მხოლოდ და მხოლოდ თეატრის

აღმინისტრაციის მოხერხებაზე და ისიც ყოველ ცალკეულ შემთხვევაში კონკრეტული დამფინანსებლის (სპონსორის) მოძიებაზე, ან გარკვეული პერიოდის განმავლობაში მუდმივი მეცნატის გამოჩენაზე. ამის მოხერხება თუ მოუხერხებლობა თვალნათლივ ასახება სპექტაკლის დადგმის ხარისხზე.

გვხვდება განსხვავებული სკლაც. მაგალითად, საქართველოში შესაძლებელია, რომელიმე რეჟისორმა თვითონ იპოვოს თავისი პროექტის დამფინანსებელი და წინადადებით მიმართოს სასურველ, ამ შემთხვევაში ცნობილ თეატრის, მისთვის სპექტაკლის დადგმის უფლების ნებართვაზე. თუკი პროექტი დააინტერესებს თეატრის სამსატვრო საბჭოს, ამ შემთხვევაში იწყება მუშაობა შეთავაზებულ პროექტზე, რომლის მიმდინარეობის ანგარიშს, პერიოდულად რეპეტიციებზე დასწრებით ამოწმებენ სამსატვრო საბჭოს წევრები ან უპირატესად თეატრის სამსატვრო ხელმძღვანელი. მხოლოდ დადგებითი შეფასების, საინტერესოდ განხორციელებული შედეგის აღმოჩენისას ეძღვება მუშაობის გაგრძელების საშუალება პროექტის წარმომდგენ რეჟისორს სპექტაკლის დასასრულებლად, რომელიც შემდგომ იკავებს შესაბამის ადგილს თეატრის მიმდინარე რეპერტუარში. აღსანიშნავია ისიც, რომ სახელშეკრულებო სისტემა არ ითვალისწინებს ამ შემთხვევაში თანამშრომლობის აუცილებელ გაგრძელებას.

სამსახიობო ხელოვნების პრობლემები არანაკლებ აქტუალურია განწილულ კონტენტში. მსახიობი ყველაზე მეტადაა დამოკიდებული შექმნილ ვითარებაზე და ყველაზე მეტად განიცდის უხილავი თუ ხილული პერიოდების შედეგებს საკუთარ თავზე. სახლვარგარეთ მსახიობთა ურჩავლესობა მცირე ანაზღაურების გამო იძულებულია, სხვა თეატრშიც იძუშაოს ძირითადის პარალელურად, უფრო მაღალი ანაზღაურების მისაღებად, რაც შეძღვომ იწყებს ძირითად თეატრებში მის გაუცხოებას, ფრაგმენტულ დაკავებას ან მის ნაცვლად სხვა მსახიობის მოწვევას (თეატრისთვის იძულებით) და დამატებითი ანაზღაურების გამოყოფას მისთვის.

საქართველოში ეს ტენდენცია იღნავ სახეცვლილია. პერიოდიდან თუ დედაქალაქიდან მსახიობები თავად ეძებენ ასპარეზს პოპულარობის მიღწევისთვის. უმრავლესობა მაქსიმალურად ცდილობს ტელეერანზე რომელიმე შოუ-პროგრამაში მოხვედრას წამყვნის, მინაწილის – სარეკლამო რგოლში დაფიქსირების სახით. წარმატების შემთხვევაში ზოგიერთი მათგანი სავტორო გადაცემასაც ამზადებს და მიჰყავს

კიდეც, შემდეგ ეტაპზე შესაძლებელია იგი პროდიუსერადაც მოგვევლინის. ძირითად თეატრში მათი მონაწილეობა, რამდენიმე სპექტაკლში მაინც ხერხდება. აյ სხვა ხასიათის პრობლემა იჩენს თავს, რომელიც ნიჭიერ ადამიანთა უანრობრივ თუ ზოგადად საშემსრულებლო შტაპპებად იქცევა.

თეატრების უმრავლესობას არ აქვს „ცნობადი“ და თანმიმდევრული რეპერტუარი. ერთ დღეს წარმოდგენილ კლასიკურ პიესას შეიძლება მოჰყვეს სრულიად გაუგებარი, არაფრის მთქმელ პიესაზე შექმნილი უმნიშველო სპექტაკლი, რაც აბნევს არა მხოლოდ თეატრის მაყურებლებს, არამედ მის თანამშრომლებსაც. შედეგად, ძალიან მცირე თუატრები ახერხებენ მსოფლიოში აღიარებული თანამედროვე დრამების წარმოდგენის ტენდენციის განხორციელებას. სიახლისადმი თავის არიდების მიზეზადაც ფინანსური, ეკონომიკური კრიზისი სახელდება, რადგან თეატრს არ მოეპოვება თანხა, რომელიც უნდა გამოეყოს თანამედროვე ავტორებს ახალ პიესაზე მუშაობის ანაზღაურებისთვის ან თანამშრომლობის პრონორარისთვის. არსებობს იშვიათი გამონაკლისიც, ზოგიერთ ქვეყანაში ესა თუ ის თეატრი ახერხებს დადგას მსოფლიოში უკვე განხაურებული, ცნობილი დრამები.

ჩვენ ქვეყანაშიც ანალოგიურ პრობლემათა გამო იგრძნობა სარეპერტუარო პოლიტიკის გაურკვევლობა. შერჩევისას არათანმიმდევრობა, პროექტის ავტორი, რომელიც თავად აფინანსებს თეატრისადმი შემოთავაზებულ, მისთვის საინტერესო პიესას, უფლებამოსილია თავად შესთავაზოს თეატრს მისი გადაწყვეტის ხერხები და შერჩეულ მსახიობთა კანდიდატურა. ამ შემთხვევაში ხელმძღვანელობა მყაცრად ვერ მიუთითებს მას მთელი დასისთვის საანტერესო სხვა პიესაზე. რეპერტუარის მრავალფეროვნებისთვის თანხმდება მის აზრს, ეს ან ამართლებს, ან – არა. ხელოვნების ამ სფეროში წინასწარ ვერ განჭერებულ სპექტაკლის წარმატება-წარუმატებლობის საკითხს, რადგან საბოლოო პასუხს მხოლოდ მაყურებლის დასწრება ხდის თვალსაჩინოს.

თეატრისა და მაყურებლის პრობლემა უდაოდ საინტერესოდ ასახავს დროისა და გარემოს ზემოქმედებას ხელოვნებაზე ზოგადად და კონკრეტულად ამ დარგზე. მაყურებელი, თანამედროვე საზოგადოების ის წარმომადგენლობაა, რომელიც „შეისყიდის“ ან უგულებელყოფს თეატრის პროდუქციას. თავის მხრივ, თეატრი ყოველთვის როდი ითვალისწინებდა ან ითვალისწინებს მაყურებლის ან, უხეშად რომ ვთქვათ, „ბაზრის“ მოთხოვნას. ამ შემთხვევაში

თეატრი უბრალოდ ცარიელდებოდა თანდათან და სპექტაკლი ისნებოდა. უარეს შემთხვევაში ზოგიერთი თეატრი იხურებოდა.

ეკონომიკური კრიზისი საზოგადოების მძიმე გამოცდას წარმოადგენს. სხვადასხვა ასაკის, ანუ თაობათა, სხვადასხვა თვალსაზრისისა და გემოვნების, განსხვავებული ინტელექტუალისა და მისწრაფების მქონე ადამიანთა ეს ჯგუფები, სხვადასხვა მოთხოვნით ერთიანდებიან ან გამოირჩევიან ერთიმეორისგან. თვით ხელოვნების სანახაობრივ დარგებსაც თავისი ჯგუფი (მაყურებელი) აძლევს საიცოცხლო ძალას.

უახლოეს პერიოდში თეატრმა ორჯერ განიცადა მძიმე დარტყმა. გასული საუკენის მიერ ტელევიზიის აღმოჩნდა, დღეს კი საყოველთაო კომპიუტერიზაციით, რომ არაფერი ვთქვათ კაცობრიობის სხვა ინტერესებზე და მის პერიოდულ, ეტაპობრივ ან მოულოდნელ ცვლილებებზე.

საქართველოში, ისევე როგორც მსოფლიოში, ტელევიზიამ „მოიკარა“ მაყურებელი. ჩაკვეთა ისინი საკუთარ სახლებში და მაჯვაჭვა ეკრანს. ურთიერთობაშიც შეიტანა კორექტივები. დღეს-დღეობით მუშაობს, გართიანის, ურთიერთობის, ინფორმაციის მოპოვების ყველაზე ადვილი და მოხერხებული საშუალება კომპიუტერია. ხოლო ადამიანის ურთიერთობა თეატრთან, მისმა მოუცდელობამ ან პირიქით უსაქმოდ (უმუშევრად და უსახსროდ) დარჩენამ განაპირობა. ამას ემატება კონკრეტულად საქართველოში ყველა სფეროში ჩატარებული რეფორმა. რესტრუქტურიზაციის პრობლემა შეიჭრა თეატრშიც და ათწლეულების განმავლობაში მოღვაწე მსახიობთა მთელი თაობა გაიყიდა, რომელიც „ახალგაზრდა ნაკადად“ ცნობილმა მსახიობებმა ჩანაცვლეს.

ბუნებრივია ამ თაობის გასვლამ ასპარეზიდან გამოიწვია მაყურებლის კონტინგენტის შეცვლა და უფროსი თაობის მაყურებლის ინტერესის დაკარგვაც საპასუხოდ. ახალგაზრდა თაობის მსახიობთა გულშემატკივრები ძირითადად პრემიერებზე ავსებენ თეატრს. მათ გვერდით წარმოდგენილი არიან ნათესავ-მეგობრები და ახლობლები, შემდგომ გარკვეული პროცენტი იმ მაყურებლისა, რომელიც ბილეთების შეძენის მსყიდველობით უნარით გამოირჩევა. მოგვიანებით კი როგორ ასახსნელია ანშლაგების პრინციპი, რადგან ერთი და იმავე სპექტაკლის სანახავად ერთ დღეს მოღვაწე მაყურებელი, რიგით მეორე სპექტაკლზე კი იგი არ ჩანს.

საინტერესოა მორიგი პრობლემაც, რომელიც უანრობრივ მოთხოვნილებას შეეხება. აშკარად დომინირებს ინტერესი კომედიისადმი. შემდეგ ისტორიული პიროვნებების, ეროვნული გმირების ცხოვრების ამსახველი პირებისადმი – ეს ისევ საქართველოში. ზოგადად კი ფესტივალებისადმი, სადაც თავს იყრან ცნობილი დასები და ვარსკვლავები. მაგრამ მათი ხილვის საშუალება უპირატესად – საზოგადოების შეძლებულ ნაწილს აქვს.

ზემოთ შევხეთ მსახიობთა პრობლემას, მაგრამ არ აღგვინიშნავს ის, რომ ტელევიზიამ თეატრს არა მხოლოდ მაყურებელი, არამედ მსახიობებიც წაართვა. სატელევიზიო სერიალებში მოხვედრა ან ტელეფილმებში თამაში პოპულარობის უზრუნველყოფის გარკვეულ გარანტიად იქცა. შემოსავლის წყარო აღმოჩნდა სხვა ქვეყნების ფილმებისა და სერიალების განმოვანებაც და სატელევიზიო მუსიკალურ შოუ-პროგრამები მონაწილეობა. ზოგიერთმა პრაგმატულად მოაზროვნე მსახიობმა პოლიტიკურ სარბიელზე გადაინაცვლა და პოლიტიკური გადაცემების აქტიურ მონაწილეობა იქცა.

აშკარად ნელ-ნელა დავიწყებას მიეცა იმ მსახიობთა სახელები, რომელებიც თეატრში მუშაობის მიუხედავად ნაკლებად დაკავებული აღმოჩნდნენ მიმდინარე რეპურტუარში. ისინი გარკვეული სატელევიზიო ტენდენციის გამო იშვათად ან სულ არ ჩნდებიან ტელეეკრანზე. ამ საკითხთან მიმართებით სამაგალითოა ევროპის ქვეყნების მიერ შენარჩუნებული პრინციპი, ხანდაზმულ მსახიობთა შესაბამისი ასაკის როლებზე მიწვევით. რომ აღარაფერი ვთქვათ ათწლეულებით გაჩრებულ ქართულ კანებმატოგრაფზე და ამის გამო სრულიად იგორიანებულ კინომსახიობთა მთელ კოპორტაციზე.

პრობლემატურად გამოიკვეთა შეძლევი ტენდენციაც. ტელეარხების ახალმა გადაცემებმა, რომელთა უმრავლესობა გასართობი ტიპის შოუს წარმოადგენს გზა გაუხსნეს არაპროფესიონალ ახალგაზრდებს და მათ უგემოვნო გადაცემებს.

სწორედ ამ იაფფასიანი შოუს მაყურებელთა გემოვნებას დაექვემდებარა ქუჩის საკონცერტო სანახაობების გამართვა. ხოლო ტელეეკრანზე დაბალი ხარისხის ტელესერიალებმა უსაქმოდ დარჩენილი საზოგადოების უმრავლესობის ცნობიერებაზე მიიტანა იერიში და დამატებით წართვა მაყურებელი ქართულ თეატრს.

დასცემს თუ არა ეს ტენდენცია სამსახიობო ხელოვნების მიღწევების დონეს? – ნაწილობრივ, – აუცილებლად. ეს გმირება, მაყურებელთა ამ ტიპის მოთხოვნა, დიდ თეატრებშიც აღწევს და

მათი მოზიდვის მიზნით, როგორც საზღვარგარეთ, ასევე ქართულ თეატრშიც არა ერთი კომპრომისული სპექტაკლი ჩნდება.

შეიქმნა კერძო, მცირე თეატრები, რომლებიც საემაოდ კარგად ართმევენ თავს სპექტაკლისთვის გაწეული ხარჯების ამოლებას. უამრავი პატარა თეატრი აღტერნატიული თეატრების ცნებით, რომლებიც ხან დროებით ფუნქციონირებენ და ქრებან, ან ცნობილ ფესტივალებზე ახერხებენ მხოლოდ მონაწილეობის მიღებას თავისი სპექტაკლის წარმოდგენით.

საზღვარგარეთ მათ კრიტიკოსები დიდ ყურადღებას არ უთმობენ, მაგრამ ეს სულაც არ მოქმედებს მათ რეიტინგზე და პოპულარობაზე. მსგავსი ვითარებაა საქართველოში, კონკრეტულად ახალგაზრდებში უაღრესად პოპულარულ სარდაფის თეატრში, რომლის სპექტაკლებს, თამამად შეიძლება ითქვას რამდენიმეჯერ ესწრება ურთი და ივივე მაყურებელი, რომელმაც მისი სამხატვრო ხელმძღვანელის აკადემიურ თეატრში პარალელური მოღვაწეობის გამო შეაგრო მარჯანიშვილის თეატრიც.

შესავალში აღნიშნულ პრობლემათა რიგში სამწუხაროდ შესანიშნავად თავსდება თანამედროვე სახვითი ხელოვნება, ქართული კინემატოგრაფი და ა.შ. თუმცა ეს უკანასკნელი (გვულისხმობრივი კინემატოგრაფის) თითქოს იწყებს უკვე გამოცოცხლებას და საერთაშორისო ასპარეზზე წარმატებულ გასვლას.

რაც შევხება სახვით ხელოვნებას, მხატვართა აზრით, ხალხი და მხატვრობა აშკარად დაშორდა ერთმანეთს. სახელმწიფო ბრძოლის მიღების დაინტენციური სახელმწიფო საგამოფენო დარბაზები, მათ მაგივრად ბევრი კერძო გალერეა ფუნქციონირებს. პერსონალური გამოფენის მოწყობაზე, რასაც ადრე მხატვართა კავშირი არეგულირებდა, დღეს თავად მხატვარი ზრუნავს. ფინანსურად ეს ძალიან დღი ხარჯებთანაა დაკავშირებული. გამოიძენა აღტერნატიული გზა, რამდენიმე მხატვრის გაერთიანებით, თუნდაც ერთი დღით ამა თუ იმ დარბაზის დაქირავების და მათთვის სასურველი, ბოლო დროს შეექნილი სურათების გამოფენისათვის, რომელიც, თავის მხრივ, სულაც არ არის საკმარისი ფართო საზოგადოებისთვის საკუთარი შემოქმედების გასაცნობად.

გამოფენა-გაყიდვაზე იშვათად იყიდება მათი ნამუშევრები. ჭეშმარიტ მხატვრულ პროდუქციას მასა მოდურ ტენდენციებს ამჯობინებს, არა და იგი არც კი ფლობს ზუსტ ინფორმაციას სახვითი ხელოვნების კანონების განვითარებასა და ზოგადად

პროფესიონალიზმზე. აღიარებულ და ცნობილ მხატვართა ნაწარმოებებს კონკურენციას უწევს სალონური ტიპის პოპულარული მხატვრობა. პროდუქციის საზღვარგარეთ გატანაც ამ ნიშნით მიმდინარეობს ძირითადად. მატერიალურად შეჭირვებულ ოსტატებს ჯაბანიან მოხერხებული და მოქნილი ახალბედები. მძღვნად, ისინიც იმულებული ხდებან საბაზრო ეკონომიკის, მასის გემოენების დაკვეთით შევნებული კომპრომისი დაუშვან ან დატოვონ სამშობლო და საზღვარგარეთ ეტბონ დამკვიდრებისა და გადარჩნის საშუალებანი.

პრობლემა ასე გამოიხატება, ხდება პოპულარულის და არა პროფესიონალურის ძიება.

უდიდეს ატრიბუტს, ფინანსურ საფუძველთან ერთად, რომელსაც მხატვარი საჭიროებს, წარმოადგენს თავდაჯერებულობა, საკუთარი საქმიანისადმი რწმენა და იმის ცოდნა, რომ საუკუთესო ფრომოუშნი ეყრდნობა კარგად, სიფრთხილით დაგვეგმილ, ხანგრძლივ პროგრამას, რომელიც კეთილსინდისიერ კოლექციონერებთან პერსპექტიულ თანამშრომლობას დაეყრდნობა.

დღესდღობით არსებობს ახალი ტექნოლოგიები, რომლებიც ეხმარებიან მხატვრებს მათი შემოქმედების ფრომოუშნში. DVD დისკები ეფექტურად წარმოადგენს მხატვრის ნაშრომს და შესაძლოა გამოყენებული იქნას გამოფენის ჩასაწერად, სხვა ნამუშევრებთან შედარებისთვის ან სხვა მიზნებისთვის. ეს ხარჯთ-ეფექტური საშუალებაა მხატვრისა და მისი შემოქმედებითი სტუდიის (სახელოსნოს) წარსადგენად, მხატვრის მუშაობის პროცესის ჩასაწერად და განსაკუთრებულ ნამუშევრებზე მისი უფლებამოსილების დასამტკიცებლად. DVD მშენებელის ეხმარება ფრომოუშნს, ვინაიდნ მაყურებლის ინტერესსა და ყურადღებას იპყრობს. ასევე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ დიდ მანძილზე კომუნიკაციის დასამყარებლად ფაქსი და ინტერნეტი საკმაოდ მოსხერხებლით. საბერინეროდ, ეს ახალი ტექნოლოგიები, საშუალებას აძლევს ერთნაირად მოაზროვნებს მხატვრებს მნიშვნელოვანი გამოფენები, კატალოგებში შეიტანონ თავიანთი ნამუშევრები და დაამყარონ ინდივიდუალური კონტაქტები. იმ შემთხვევაში თუ მხატვარი იკისრებს საკუთარი ბაზრის შექმნის პასუხისმგებლობას და საკუთარი ნამუშევრების გაყიდვას, ის შეინარჩუნებს საცალო ფასის დილერის წილს. მიუხდავად იმისა, რომ სამხატვრო ბაზარი უხვადაა შევსებული და კონკურენცია საკმაოდ მაღალია, ნამუშევრების გაყიდვა დაუღალავი მცდელობის შედეგად მაინც შესაძლებელია.

ყოველივე ზემოთქმული არ გამორიცხავს იმის აუცილებლობას, რომ გაირღვეს საქართველოში არსებული ვაკუუმი და ცივილიზებული ქვეყნების შესაბამისად, შეიქმნას სამსატვრო გალერეების სისტემური ქსელი, რომელთა მეშვეობითაც მუდმივი კონტაქტი დამყარდება მსოფლიო ბაზარზე ცნობილ გალერეებთან. ეს შესაძლებლობას მისცემს ქართველ მხატვრებს, რომ მათი შემოქმედება მუდმივი ყურადღების საგნად იქცეს ცნობილი უცხოული კურატორებისა და დილერებისთვის. ამის გარეშე ეგროპისა და ამერიკის სერიოზულ სამსატვრო გალერეაში მოხვედრა (მცირე გამონაკლისის გარდა) თითქმის შეუძლებელია.

უკეთეს შემთხვევაში, სასურველი იქნებოდა, ამ პროცესში სახვითი ხელოვნების მენეჯერების ჩართვა, ვინაიდნ ისინი კარგად არიან გათვითცნობიერებული მარკეტინგზე ორიენტირებულ ინდუსტრიაში, რომელიც კომერციაზე ფოკუსირებასა და ალღოს მოითხოვს, მხატვრობის ინტერესების გათვალისწინებასთან ერთად. მაგრამ როგორც ზემოთ აღინიშნა, მატერიალური პრობლემა ამ მხრივაც სერიოზულ ბარიერს წარინადგენს.

განხილულ პრობლემათა გაუზრება და მათი გადაწყვეტის გზების ძიება, უპირველესად, ხელოვნების სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად ქცევის აუცილებლობას გვკარნანაზობს. მეტი ყურადღების გამახვილებას, ახალი პროგრამების შედგენას და მათი შეთავაზების აუცილებლობას კულტურის სამინისტროებისა და თავად თეატრების ადმინისტრაციული ხელმძღვანელების ერთობლივი ძალისხმევით.

უამრავი ფესტივალი, შემოქმედებითი გაცვლითი პროგრამა, კულტურის ბაზრობა უდაოდ საინტერესო ნაბიჯია ადამიანის დეპუტანიზაციის, სულიერი დაენინების პროცესის შესაჩერებლად. მაგრამ ცალკეული ღონისძიებები არ კმარა კაცობრიობის უძველესი კულტურის გადარჩნისთვის, რომლის ერთ-ერთი პირველი ასახვის ფორმა თეატრია.

თეატრის ყურადღება უნდა მიექცეს პროფესიონალ მენეჯერთა მოწვევას, თავის მხრივ კი მათ კომპეტენციაში შედის მაყურებელთა მოზიდვის ფორმების შეცვლა, მათი სურვილების მხედველობაში მიღებით. ამისთვის კი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კითხვარები, რომელიც გამოიკვლევს თანამედროვე მაყურებლის ინტერესებს და ამის მიხედვით შეადგენს რეპერტუარს და ა. შ. მაგრამ თეატრისთვის ამ შემთხვევაშიც საჭიროა დამატებითი ფინანსები და კრიტიკული მიღვომა მიღებული ინფორმაციისადმი.

ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად შესაძლებელია საბონენტო სისტემის შემოღება, რაც ერთნაირად ხელსაყრელი იქნება როგორც მაყურებლისთვის, რომელიც ფასდაკლებით შეძლებს წარმოლენებზე დასწრებას, ისე თეატრებისთვის, რომელებიც ერთიანად აიღებნ დიდ თანხას. ეს ფორმა აპრობირებულია ევროპის ქვეყნებში და საქამა პოპულარობით სარგებლობს, რადგან მათთვის პრემიერაზე დასწრება გაცილებით ძვირად ღირებული სიამოგნებაა ვიდრე, წინასწარ აბონემენტის შეძენა, რომელიც ამ გზით უზრუნველყოფს პრემიერებზე დასწრებას.

საურველი იქნება ქართული კულტურის ხშირი მონაწილეობა საერთაშორისო კონკურსებსა და სხვა ღონისძიებებში მისი პოპულარიზაციის მიზნით.

ვინაიდან თანამედროვე საქართველოში არსებული სტატიკური გარემო და ეკონომიკური კრიზისი საფრთხეს უქმნის კულტურული ორგანიზაციებისა და ზოგადად ხელოვნებისა და კულტურის არსებობას, აუცილებელია შეიცვალოს მთელი სისტემა, შემუშავდეს კულტურისა და ხელოვნების დახმარების სახელმწიფო პოლიტიკა, მაღალ დონეზე განხორციელდეს ხელოვნების მენეჯმენტი და მარკეტინგი.

ნინო ხუციშვილი  
მაგისტრატურის II კურსი  
ხელმძღვანელი - პროფ. იური მღებრიშვილი

## ინტერნეტ ტექნოლოგიები მარკეტინგში

გლობალური ინფორმაციულ-კომუნიკაციური ტექნოლოგიების განვითარების პროცესები ძალიან დინამიკურია, და მისი შესაძლებლობები მასტერაბურად ვთარღება. თუ ათიოდე წლის წინ სიტყვა ინტერნეტი ყველასათვის უცხო იყო, ახლა ის ერთ-ერთი ძირითადი საშუალებაა საჭირო ინფორმაციის მისაღებად. მნელია მოიძებნოს რომელიმე კომპანია ანდა ორგანიზაცია, რომელიც არ არის წარმოდგნილი გლობალურ ქსელში, რადგან ხშირ შემთხვევაში ის ერთადერთი საშუალებაა მომხმარებელთან ურთიერთობისათვის. ინტერნეტის გამოყენებამ მარკეტინგულ საქმიანობაში შეიძლება დიდი მოგება და ეკონომიკური კომპანიას. ეს დაკავშირებულია ინტერნეტის მოხმარების მოქნილობასა და კომფორტულობასთან, რომელიც არა მარტო კომპანიის/ორგანიზაციისათვის არის მოხერხებული, არამედ მომხმარებლისთვისაც. მაშასადამე ინტერნეტის როლი მარკეტინგში დღითიდღე იზრდება.

მარკეტინგის მიზნები კულტურაში ორიენტირებულია პირველ რიგში აუდიტორიის შესწავლაზე და გაზრდაზე, პროდუქტის პოპულარიზაციაზე. ინტერნეტ-ტექნოლოგიები კი აყალიბებს ახალ, აქტუალურ და ხშირ შემთხვევაში მარტივ გზებს მარკეტინგული საქმიანობისათვის.

ინტერნეტი უნიკალურ მახასიათებლებს ფლობს ტრადიციული მარკეტინგული ინსტრუმენტებისგან განსხვავებით. ერთ-ერთი მისი დამახასიათებელი თვისება, ინფორმაციის სწრაფი მიწოდება და განმტკიცებაა.

მარკეტინგში ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენების დადებითი მხარეებია:

— მოხერხებულობა — მომხმარებელს შეუძლია 24 საათის განმავლობაში გაეცნოს ინფორმაციას კომპანიის ან მის მიერ წარმოებული პროდუქტის შესახებ.

— ინფორმაცია — მომხმარებელს შეუძლია შედარებითი ინფორმაციის მოძიება.

— სისწრაფე — მომხმარებელს შეუძლია სწრაფად შეუკვეთოს და შეიძინოს პროდუქტია ან მომსახურეობა.

— კონფიდენციალურობა — მომხმარებელს შეუძლია ინკოგნიტოდ იმოქმედოს.

მეორე მხრივ, მარკეტინგში მომუშავეოთაც აქვთ გარკვეული უპირატესობები:

— საბაზო პირობებთან სწრაფი მორგება — მენეჯერს შეუძლია შეკვალოს პროდუქტი, ფასი და ა. შ.

— ნაკლები ხარჯები — რეკლამა ინტერნეტში ბევრად იაფია, ვიდრე მასობრივი ინფორმაციის გავრცელების საშუალებებში.

— ურთიერთობის მოწყობა — მარკეტინგის მენეჯერებს აქვთ უფრო მეტი ურთიერთობა მომხმარებელთან — იღებენ, ანალიზებენ მათ შეკითხვებს, შემოთავაზებებს და შენიშვნებს.

— აუდიტორიის მოხვეჭა — მარკეტინგის მენეჯერები იკვლევენ მომხმარებელს და სწავლობენ სამიზნე აუდიტორიას.

აგრეთვე ორგანიზაცია იღებს გარკვეულ უპირატესობებს:

— მომხმარებლის ზრდა — კომპანია მიზნად ახალი ბაზრის/ მომხმარებლის სეგმენტაციას ისახავს.

— ყურადღების მიპყრობა — კომპანია/ორგანიზაცია მიისწრაფის მომხმარებლის გაფართოებისაკენ და მათი ყურადღების მიპყრობისაკენ.

— რეაგირების დონის ზრდა — კომპანია/ორგანიზაცია ცდილობს მუდმივად უპასუხოს მომხმარებლის მოთხოვნებს.

— ახალი მომსახურებები („სერვისები“) — კომპანია/ორგანიზაცია მომხმარებელს სთავაზობს სიახლეების ინტერნეტის საშუალებებით.

რა თქმა უნდა, მარკეტინგში ინტერნეტ-ტექნოლოგიების გამოყენებას თვისობრივი ნაკლოვანებებიც გააჩნია. როგორც წესი, მომხმარებლის და კომპანიის ურთიერთობა ორივე მხრისათვის მომგბიანი უნდა იყოს. მაგრამ, ყოველთვის ასე არ ხდება. მაგალითად, მარკეტინგული პლატფორმები ხშირად წარმოებს ინტერნეტის საშუალებით e-mail-ის გამოყენებით, და ეს მომხმარებელი აღიქვას როგორც მის პირად ცხოვრებაში შეჭრას.

ინტერნეტ-რეკლამა სარეკლამო საქმიანობას სულ სხვა მიმართულებას აძლევს: ინტერნეტის საშუალებით შეიძლება რეალურ დროში განათავსო ნებისმიერი ინფორმაცია კომპანიის ან პროდუქტის შესახებ, რომლებიც მიზნობრივ აუდიტორიაზეა გათვლილი.

რეკლამის ერთ-ერთი ხერხია ინფორმაციის განთავსება web-გვერდზე. ეს ხდება ბანერების, ელექტრონული წერილების და ა. შ.

საშუალებით. სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენება ხდება ორგანიზაციის მიერ ამორჩეული სარეკლამო ამოცანების შესრულების მიხედვით.

web-გვერდის შექმნისას პირველ რიგში კომპანიის მოთხოვნები უნდა იქნეს გათვალისწინებული. web-გვერდზე სრულყოფილი ინფორმაცია უნდა იყოს კომპანიის და მისი პროდუქტის ან მომსახურების შესახებ. მომხმარებელი ან პარტნიორები web-გვერდს უკავშირებენ თავიათ მოთხოვნებს: იგი 24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომი უნდა იყოს, რათა შეეძლოთ ყოველთვის დაკავშირება. ინტერნეტის მეშვეობით მომხმარებელი ცდილობს პირდაპირი დაიალოგი ჰქონდეს პროდუქტის მწარმოებელ კომპანიასთან. როგორც კი კომპანია ხსნის თავის web-გვერდს ამავე დროს უნდა აყალიბებდეს მომხმარებელთა მხარდაჭერის ელექტრონულ ცენტრს. მომხმარებელი თვლის, რომ კომპანია ვალდებულია ნებისმიერ წარმოქმნილ კითხვაზე პასუხი დაუყონებლივ გაეცეს და შეუძლია ნებისმიერი პრობლემის წარმოქმნისას მიმართოს კომპანიას.

აუცილებელია გავითვალისწინოთ web-გვერდის სანავიგაციი და საძიებო სისტემები, ისინი მოხერხებული უნდა იყოს. web-გვერდის გაფორმება უნდა ეყრდნობოდეს კომპანიის ლოგოს და სტანდარტებს. სანამ სარეკლამო კაპმანიას წამოიწყებს კომპანია, აუცილებელია დასრულდეს web-გვერდის შექმნა და მიღწეული იქნას სრულყოფილი ფუნქციონირება.

web-გვერდის შექმნის შემდგომ ეტაპზე უნდა გავითვალისწინოთ მისი საერთო საძიებო სისტემებში მოხვედრა, ასევე უნდა მოხდეს პარტნიორ კომპანიებთან შეთანხმება მათ web-გვერდებზე კომპანიის გვერდის ბმულის მოხვედრა. ამავე დროს შეიძლება ინფორმაცია web-გვერდის შესახებ განთავსდეს სხვა ტრადიციულ საინფორმაციო წყაროების საშუალებებში (გაზიო, უკრნალი, რადიო და ა. შ.).

აქედან გამომდინარე web-გვერდის სარეკლამო კაპმანია ინტერნეტის მომხმარებელთავის შემდეგ ღონისძიებებს უნდა შეიცავდეს: საძიებო სისტემებში მისი რეგისტრაცია და უფასო ბმულების web-კატალოგებში, ბმულების სხვა სერვერებზე და ფასინი რეკლამების სხვა პოპულარულ web-გვერდებზე განთავსება. საზოგადოებასთან ურთიერთობა — მიმართულია საზოგადოებასთან ურთიერთობისაკენ, რომელიც აუცილებელია კომპანიის მიმართ მომხმარებლის დადგებით დამოკიდებულების ჩამოყალიბებისათვის. კომპანიამ არამარტო პროდუქტის მიმჯი უნდა შეიმუშავოს მიზნობრივი

აუდიტორიისათვის, არამედ უნდა ცდილობდეს აუდიტორიის გაზრდას. PR დაქმარება კომპანიას პოპულარობის მოხვეჭაში, კომპანიის დადგებითი იმიჯის ჩამოყალიბებაში და სწორი სარეკლამო კამპანიის ჩატარებაში.

ინტერნეტში PR კამპანიის ღონისძიებებს შეიძლება მივაკუთვნოთ: პრესრელიზები, მასმედიასთან მიმართვა, აუდიტორიასთან მიმართვა კონფერენციების საშუალებით.

დღესდღობით ინტერნეტი არის საუკეთესო საშუალება მარკეტინგული კვლევების ჩასატარებლად, რომელიც საშუალებას იძლევა ინფორმაცია იპერატიულად იქნეს მოპოვებული და ამით უფრო დიდი აუდიტორია მოიცვის. ასეთი გამოკითხვები აუცილებელია ბიზნესის განვითარების სტრატეგიის გასავითარებლად და ბაზრის ცვლილებებთან სწრაფი ადაპტირება, აგრეთვე სარეკლამო კამპანიის დაგეგმვარებასთან.

ინტერნეტის მეშვეობით მარკეტინგული კვლევების ჩატარებით შეიძლება მოვიპოვოთ ბაზრის კვლევების შედეგები არა მარტო ჩვენ, არამედ – სხვა ქვეყნებში, კომპანიის წარმოებული პროდუქტის დირექტულება შსოფლიოში, მოიძიოს ნებისმიერი ალტერნატიული პროდუქტის, მომსახურების და მათი მწარმოებელი კომპანიების შესახებ ინფორმაცია. აგრეთვე შეიძლება მოხდეს პარტნიორი კომპანიების მოძიება.

კომპანიის საქმიანობის წარმოება შეუძლებელია აუდიტორიის/ მომხმარებლის მოხხოვნების უწყვეტი კონტროლის გარეშე, რომელიც მუდმივად იზრდება და ვითარდება. მენეჯერებმა აუცილებელია მოიპოვონ აუცილებელი ინფორმაცია.

აგრეთვე ინტერნეტი არის ეფექტური საშუალება რეკლამის წარმოდგენისათვის. ერთი მხრივ, ეს დაკავშირებულია სარეკლამო ობიექტზე ინფორმაციის მაქსიმალური რაოდენობით მიწოდებასთან, მეორე მხრივ, საუკეთესო საშუალებაა აუდიტორიისათვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება სხვადასხვა სახით – ტექსტის, გრაფიკის, ხმის, ვიდეო გამოსახულებების საშუალებით. და კიდევ მომხმარებელს ინტერნეტის სპეციფიკიდან გამომდინარე შეუძლია თვითონ აკონტროლოს და ამოირჩიოს ინფორმაციის მოპოვება, ამასთან მომხმარებელი ერთვება სარეკლამო ობიექტის კარგად შესწავლის პროცესში.

ინტერნეტი, როგორც სარეკლამო ინსტრუმენტი განსხვავდება ტრადიციული რეკლამის გავრცელების საშუალებებისგან. რეკლამის

სახეები განსხვავდება კომპანიის მიზნებისა და ამოცანების მიხედვით. გამოიყოფა რეკლამის ორი ძირითადი სახეობა: საიმიჯო და მასტიმულირებელი რეკლამა. საიმიჯო რეკლამა კომპანიის დადგებითი სახის შექმნისთვისაა განკუთვნილი, ხოლო მასტიმულირებელი რეკლამა უფრო გავრცელებულია. მისი ძირითად მიზანს მოთხოვნების სტრულირებაა. ორივე სახის რეკლამა უნდა გათვალისწინებულ იქნას web-გვერდის შექმნისას.

დღევანდელ დღეს ინტერნეტში დიდი რაოდენობის ინფორმაციაა წარმოდგენილი, მათ შორის რომელიმე ორგანიზაციაზე, სხვადასხვა ანალიტიკური და ფინანსური ინფორმაცია, პილიტიკის და კონომიკის სიახლენი და უამრავი სხვა. ორგანიზაციათა უმრავლესობას, მიუხედავად მიმართულებებისა, აქვს თავისი წარმომადგენლობა ინტერნეტში (web-გვერდი), სადაც კომპანიის მოღვაწეობის, შეთავაზებების, მოთხოვნილებების შესახებ ინფორმაციაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე ინტერნეტით წარმოებული კვლევა საუკეთესო გზას წარმოადგენს. სხვა კვლევებისგან განსხვავდით ასეთი სახით ჩატარებული კვლევა საშუალებას იძლევა სასურველი ინფორმაცია საქმაოდ იპერატიულად და დიდი მოცულობით შეითვისოს ორგანიზაციამ. ეს ასევე აუცილებელია კომპანიის საქმის წარმოების სტრატეგიის განვითარებისათვის, ბაზრის ცვლილებებზე სწრაფი რეაგირებისა და სარეკლამო საქმიანობის წარმოებისათვის.

ინტერნეტი – მარკეტინგის მხოლოდ ერთ-ერთი იარაღია, ანუ, კიდევ ერთი მარკეტინგული არსი როგორიზაციის საერთო მარკეტიზებულ კომპლექსში. ინტერნეტის მომხმარებელთა რაოდენობა უკვე ზოგადად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებს (მასმედიის) აუდიტორიას უტოლებება, ამიტომ აუცილებელია განვსაზღვროთ მარკეტინგული სტრატეგიის განვითარებისას, არის თუ არა ინტერნეტის მომხმარებელი ჩვენი მთლიანი აუდიტორიის გარკვეული ნაწილი და რამდენად ადგილია მომხმარებელთა ინტერნეტის მეშვეობით მოზიდვა. ინტერნეტი ძალიან დიდ გავლენას ახდენს მსოფლიოში ინფორმაციის გავრცელებაზე. როგორც სოციალური მოვლენა – ინტერნეტი – გლობალური საკომუნიკაციო საშუალებაა, რომელიც უზრუნველყოფს ტექსტური, გრაფიკული, აუდიო თუ ვიდეო ინფორმაციის გაცვლას და ხელმისაწვდომობას ტერიტორიული თუ ნაციონალური საზღვრების გარეშე. ეს არის კვლევის ეფექტური ინსტრუმენტი, რომელიც ხელს უწყობს ვაჭრობის და ბიზნესის

აუდიტორიასთან ურთიერთობას. ინტერნეტის განვითრებასთან ერთად  
სწრაფად იცვლება მმართველობითი მიდგომა ბიზნესსა და მარკეტინგში,  
რომელიც მისი ერთ-ერთი ნაწილია.

---

## სადოქტორო პროგრამა

### კულტურის პოლიტიკა და კულტურის გენეზენტი

- 
1. მ. ღრაგიჩევიჩ-შეშჩი, ბრანიმირ სტოიკოვიჩი, „კულტურა მენეჯმენტი ანიმაცია, მარკეტინგი“, თბილისი, 2007.
  2. ნ. იმაიშვილი, „კულტურული მომსახურების სისტემის მენეჯმენტი და მარკეტინგი“, გამომცემლობა „ხელოვნება“ თბილისი, 2005.
  3. Allan Banks, „Clarion Call“, Vol I, Issue I, Copyright 1994 by the Classical Realism Journal.

**ნინო აზმაიფარაშვილი**  
დოქტორანტურის I კურსი  
ხელმძღვანელები - პროფ. იური მდგბრიშვილი,  
პროფ. ლევან ხეთაგური

## მეცნიერების როლი კულტურის გლობალიზაციის პროცესები

### 1. გლობალიზაცია – მოვლენა.

გლობალიზაციის გაგება, როგორც მოვლენის, კაცობრიობის განვითარების თანამდევ პროცესებთან ერთად, ადრეული ხანიდან იწყებს თავისი ნიშნების გამოვლენას. ეს პროცესი არ ვთარღება შემთხვევით და სპონტანურად. გლობალიზაცია ხანგრძლივი დროის ისტორიული პროცესების შედეგია, განვითარების ტემპების ზრდისა და შემცირების მონაცვლეობით, რომელიც თან სდებს სამეცნიერო – ტექნიკურ პროგრესს.

ჩვენს ეპოქაში გლობალიზაციის ისტორიული პროცესი იღებს სწრაფად მიმდინარე ხსიათს და თითქმის ზავებს ემსგავსება, რომელიც წალეპვით ემუქრება იმას, რასაც თავის სტიქაში მოაქცევს და ერთ მთლიანობაში აერთიანებს ყველაფერს. ეს ბევრი ობიექტური მიზეზით შეიძლება აიხსნას. მათ შორის ერთ-ერთი მიზეზი სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესის სწრაფი ტემპით განვითარება.

მეცნიერების და ტექნიკის გაუმჯობესება, რაც ასევე კომუნიკაციების სწრაფ განვითარებასაც იწვევს, ადამიანთა ჯგუფებს შორის ინტეგრირების პროცესებს აჩქრებს. ეს მივრაციულ დენადობას უწყობს ხელს, რომელიც ამ ჯგუფისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა წეს-წევეულებების, კულტურის, ცხოვრების წესის და სხვა ელემენტების გადამტანია. ამიზომ მეცნიერების განვითარება გლობალიზაციური პროცესების დაწყების ერთ-ერთი წინაპირობაა.

ადრე ისტორიულად, სამხედრო პირები, ვაჭრები, ქვეყნების მეთაურები, სახელმწიფო მოღვაწეები და იმპერატორები თუ მონარქები ცვლილენ იმ პერიოდის გლობალურ პოლიტიკას. დღეს კომუნიკაციის, ტრანსპორტული ტექნიკუროგიების უპრეცენდენტო განვითარებამ პროცესებს ახალი სტიმული მისცა. გლობალური მობილური კაპიტალი რეორგანიზებას ახდენს, რაც, თავის მხრივ, ასუსტებს ნაციონალურ პოლიტიკას. ჩნდება ახალი ბაზრები და

სიმდიდრე. ეს ნიშნები შეიმჩნევა გლობალიზაციის მთავარ განსაკუთრებულობებად.

გლობალური პროცესები თითქმის ყოველთვის მიმდინარეობდა, თუმცა სხვადასხვა ტემპითა და ხარისხით. დღეს თანამედროვე მსოფლიოში ტემპები მაქსიმუმს უახლოვდება, რომლის ხარისხის დადგენა და შესწავლა მუდმივი პროცესია.

ისმის კითხვა: მომავალში როგორ შეიცვლება მსოფლიო პოლიტიკა და როგორ იმოქმედებს გლობალური ორგანიზაციები?

### 1.1 ცივილიზაციური განსაკუთრებულობები და წინააღმდეგობები.

XX საუკუნის ბოლოს გლობალიზაციის პროცესების გაღრმავებასთან დაკავშირებით წინა პლანზე წამოვიდნენ ცივილიზაციური განსაკუთრებულობები და წინააღმდეგობები. ერთი ცივილიზაციის განვითარება სხვა რამდენიმე ციკლით შეიძლება აღინიშნოს. ზოგიერთი ცივილიზაცია შეიძლება არსებობდეს მთელი ისტორიული პერიოდის აღმავლობისა და დაღმავლობის მონაცვლეობით. მსოფლიო ცივილიზაციების შენაცვლება და მოდიფიცირება ლოკალური ცივილიზაციის დინამიკაში ხდება. ერთ-ერთი – ხდება ლიდერი, მეორე – კარგას ლიდერობას, მესამე – მსოფლიო პროგრესის ახლო, ან შესაძლოა, შორეულ პერიოდიაშიც კი აღმოჩნდეს. ცივილიზაციათა შორის ურთიერთობები, მათი დაჯახების ხელშეშლის აუცილებლობა და შესაძლებლობა და მათი გადასცლა პარტნიორობაში XXI საუკუნის მთავარი პრობლემა ხდება!

ცივილიზაციის მომავლისა და მისი ურთიერთებულების პერსპექტივების პროგნოზირებისას ზოგიერთი ავტორი გლობალიზაციის ტენდენციებს სხვადასხვა დემოგრაფიულ, ეკოლოგიურ, ტექნოლოგიურ, ეკონომიკურ, გეოპოლიტიკურ და სოციო-კულტურულ შრეებზე გამოყოფს. ისინი ურთიერთდაკავშირებულია და ცივილიზაციის განვითარების ერთიან მონოლითს წარმოადგენ, მაგრამ ერთდროულად თითოეული ამ ფორმატიდან წარმოადგენს დამოუკიდებელ სისტემას, რომლის განვითარებაზეც დამოკიდებულია თავად ცივილიზაციის განვითარების ბედი.

### 1.2 გლობალიზაცია. ორი პოზიცია.

გლობალიზაციის წინაპირობები თანდათანობით ყალიბდებოდა დიდი აღმოჩენებისა და მოდერნიზაციის შედეგად, რომელსაც ძვრები მოყვებოდა.

არსებობს ორი ძირითადი პოზიცია გლობალიზაციის ქრონოლოგიურ ჩარჩობთან მიმართებაში, მკვლევართა ნაწილი იხრება იქითკენ, რომ გლობალიზაცია ეს ბოლო ასწლეულების მაღალი ტექნოლოგიების გამოყენებისა, დანერგვის და ფართე განვითარების შედეგია, რომელიც თავში თავში გულისხმობს ისეთ პრობლემებს, როგორიცაა: გლობალიზაციის ბუნება, გლობალური საინფორმაციო სივრცე, ტექნისფეროს გლობალიზაცია, გლობალური ეკოლოგია, ეკონომიკის გლობალიზაცია, გლობალური უსაფრთხოება, გლუბალური უთანაბრობა და საბაზრო გლობალიზაციის სხვა გამოვლინებები.

განსხვავებულია ანტროპოსტრონული მიდგომა, ის პირიქით – გლობალიზაციის დაწყებას მიაკუთხებს დასავლეთ ეკროპული ცივილიზაციის დასაწყისს.

გლობალიზაცია არის დომინირებადი ტენდენცია თანამედროვე მსოფლიოს განვითარებისა, მაგრამ ის გუშინ არ გაჩნილა, ვთქვთ, ინტერნეტის – მიკროელექტრონიკის ან კიბერ, ნანო ან ბიოტექნოლოგიის გაჩნისას, რადგან ისინი არის ელექტრონული ან სხვა ტექნიკის ეტაპობრივი და ასევე ახალი როტული ტექნოლოგიური პროცესების თანამდევრული განვითარების შედეგი.

გლობალიზაცია, უფრო სწორედ მისი შინაგანი ლოგიკა, შეიცავს ორ ურთიერთგამომრიცხავ ტენდენციას. გლობალიზაცია შეიძლება გაჩნდეს სამეცნიერო ცოდნის დიფერენციაციის პროცესების დროს და თავის თავში ატარებდეს მისსავე ინტეგრაციის შესაძლებლობას. ასეთი დიალექტიკა – ორი ლოგიკური ურთიერთსაწინააღმდეგო პოსტულატის ერთიანობა გლობალიზაციის პროცესს უნივერსალურ ხასიათს ანიჭებს.<sup>2</sup>

## 2. კონკურენცია გლობალიზაციის დროს.

გლობალური პროცესების განვითარება პირველ ყოვლისა პოლიტიკური ძიგომარებისა და ეკონომიკური განვითარების სპექტრით ხასიათდება, რომელიც ერთმანეთზეა დამოკიდებული.

გლობალიზაცია თავისი გავლენით სხვადასხვა პროცესებს უპირისპირდება. გლობალური კონკურენციის ფონზე სიცოცხლისუნარიანობის შენარჩუნება ერთ-ერთ მთავარ პრობლემას წარმოადგენს, რომლის ფონზეც თავს იჩნეს ურთიერთ კონკურენცია.

**2.1 მრავალეროვნული კონკურენცია გლობალური კონკურენციის წინააღმდეგ.**

მრავალეროვნული კონკურენცია განიხილება როგორც სხვადასხვა ქვეყნების კომპანიებს შორის მეტოქეობა. თუმცა კონკურენცია

ეროვნულ ბაზრებზე არ არის დამოკიდებული სხვა ქვეყნების ბაზრების კონკურენციაზე.

იწყება სახელმწიფოებს შორის ბაზრების გაერთიანების პროცესი და ერთი ქვეყნის ბაზარი მეორე ქვეყნის ბაზარზე დამოკიდებული ხდება. სინამდვილეში ინდუსტრია აღიმება, როგორც ერთი დიდი სახელმწიფოს ბაზარად, რომელიც გარკვეულ სეგმენტებად იყოფა. ერთიანდება, მომხმარებელთა ინტერესები კომპანიებს ყოველგვარი შეზღუდვების გარეშე შეუძლიათ აწარმოონ პროდუქციის ექსპორტი, სხვა ქვეყნაში განათავსონ წარმოება, შეისყიდონ უცხო კომპანიები, სხვა სახელმწიფოს ფაქტორები, მათ შორის სამუშაო ძალა. ასევე მომხმარებელს აქვთ საშუალება ყოველგვარი საბაზო პროცედურების გვერდის ავლით იმგზავროს ნებისმიერ ქვეყნაში და შეისყიდოს სასურველი პროდუქცია.

ყალიბდება ერთგვარი საერთაშორისო ბაზარი და ბაზრების ეროვნულ და უცხოურ რეგიონებად დაყოფა აზრს კარგავს, რადგან წარმატება ეროვნულ ბაზარზე იძლევა პირობითად სხვა ქვეყნების ბაზრებზე წარმატების გარანტიას. კომპანიის საბაზრო წილი განისაზღვრება მთლიანობაში საერთაშორისო ბაზრის მიხედვით. ამ დროს ამბობენ, რომ კომპანიები ჩართული არიან გლობალურ კონკურენციაში.

გლობალურ კონკურენციას ასევე ხვდებით იქ, სადაც სხვადასხვა ქვეყნის მომხმარებელთა მოთხოვნები ერთნაირია. გლობალური კონკურენცია იძლევა დინამიკურ ეფექტს. კერძოდ, ბაზრების გაერთიანება გულისხმობის მეტ მომხმარებელს, აუთვისებელ, ახალ, მიმზიდველ საბაზრო სეგმენტებს. რაც უბიძებებს რეალიზაციის მეტი მასშტაბების შემდეგ, ეს ზრდის კომპანიების მოგებას დინამიკაში. საბოლოო ჯამში, თითოეული ქვეყნის მიხედვით მიიღწევა საზოგადოებრივი კეთილდღეობა. გლობალიზაციის შედეგი არის ის, რომ ინტეგრაციული რეგიონის შიგნით ნებისმიერ მოქალაქეს შეუძლია სხვა ქვეყნაში განათლების უპრობლემოდ მიღება, უცხოური სატელევიზიო არხების ყურება, ინფორმაციის მიღება, ინტერნეტით სარგებლობა და ა. შ.

გლობალური კონკურენციის ბაზრებს წარმოადგენს ქვეყნებს შორის ინტეგრირებული შემდეგი რეგიონები: ევროკავშირი, ჩრდილოეთ ამერიკის თავისუფალი სავაჭრო ასოციაცია (NAFTA), სამსრეო აზიის (ASEAN), ლათინური და ცენტრალური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის ქვეყნების კავშირი და სხვა.

### 2.1.1. მრავალეროვნული თუ გლობალური სტრატეგია.

მრავალეროვნული სტრატეგიის შინაარსი ის არის, რომ ქვეყნებს შორის კულტურული, სოციალური, ეკონომიკური და საბაზრო მდგომარეობა განსხვავებულია. რაც უფრო მძაფრია განსხვავება, მით უფრო მეტი აუცილებლობა არსებობს, რომ კომპანიათა სტრატეგიების მისადაგება მოხდეს სხვადასხვა ეროვნებების საბაზრო სიტუაციასთან. ამ შემთხვევაში, მრავალეროვნული სტრატეგია ეს არის სხვადასხვა ქვეყნებში შემუშავებული სტრატეგიების ჯამი.

გლობალური სტრატეგიები კარგად ერგება გლობალური კონკურენციის სიტუაციას. გლობალური სტრატეგია უმრავლეს შემთხვევაში ერთი და ივივა ყველა ქვეყანაში. მრავალური მისია, რომ სახელმწიფოების ბაზრებს შორის მცირდი განსხვავებები მაინც არსებობს, კომპანიის ფუნდმენტალური სტრატეგია არ იცვლება. უფრო მეტიც, გლობალური სტრატეგია თვალისწინებს:

- 1). სტრატეგიული სვლების ინტეგრირებასა და კოორდინირებას;
- 2). პროდუქციის რეალიზაციას ყველა იმ ქვეყანაში, სადაც არსებობს მოთხოვნა.

საერთაშორისო ბაზრებზე როგორი ხასიათის კონკურენციას აწყდებან ფირმები და რომელი სტრატეგია არის უფრო მნიშვნელოვანი?

#### • მრავალეროვნული სტრატეგიის უპირატესობა:

რომ იგი ყველაზე უკეთესად უსადაგებს სტრატეგიას მასპინძელი ქვენის ინდუსტრიის სიტუაციასთან. ასეთი სტრატეგიის წარმოება აუცილებელია, როდესაც არსებობს მნიშვნელოვანი განსხვავებები სამომზმარებლო მოთხოვნებსა და რეალიზაციის წესებში, როდესაც მომზმარებელი კარნახობს სპეციფიკური სტანდარტიზებული პროდუქციის წარმოებას;

#### • მრავალეროვნულ სტრატეგიის უარყოფითი მხარეები:

სტრატეგიებს შორის კოორდინაციის ხარისხი არის ძალზე დაბალი, რაც მეტად ართულებს კონკურენტული უპირატესობის მოპოვებას ინდუსტრიაში.

#### • გლობალური სტრატეგია:

ამ შემთხვევაში კი პირიქით, ასეთი კოორდინაციის ხარისხი ძალზე მაღალია, რაც კომპანიებს მათ ძლიერ მხარეებზე მაქსიმალური

კონკურენტირირების საშუალებას აძლევს. ეს კი კონკურენტული უპირატესობის მოპოვების მთავარი ფაქტორია, როგორც მასპინძელი კომპანიების, ასევე საერთაშორისო კორპორაციების შორის. როდესაც ქვეყნებს შორის განსხვავებები არ არის საგრძნობი, გლობალურ სტრატეგიას კონკურენტი არ ჰყავს.<sup>3</sup>

### 3. კულტურის გლობალიზაცია - მოვლენა

ეკონომიკური აქტიურობის გლობალიზაციას თან ახლავს ტრანსფორმაციათა ტალღები კულტურის სფეროში პროცესით, რომელსაც ეწოდება „კულტურის გლობალიზაცია“.

მასთან ძარისადაც ხდება კულტურის სიმბოლოების ფაზრიკაცია, რაც უკვე კარგა ხანია შეიმჩნევა. საზოგადოებრივი მეცნიერების ზოგიერთმა წარმომადგენელმა უკვე ამ გამოვლინებაზე თავისი აზრი გამოიხატა, რასაც გლობალური კულტურის კონკურგენცია – საკვნძო სიტყვა – „მაგდონალდიზაცია“ დაარქვა. ცხოვრების სტილის უნიფიკაციის, კულტურის სიმბოლოების და ქვევის ტრანსნაციონალური ნორმების თვალისწინებისთვის კი უფრო და უფრო გზას იკვლევს უნივერსალიზაცია.

მსოფლიო ბაზარზე თანდათან ხდება საბოლოო ნიშების ათვისება, ჩნდება ახალი სივრცე, მაგრამ არა როგორც მრავალფეროვნების თვითგამოხატვის აღიარება, ანუ, ჩნდება ერთიანი სამომზმარებლო სივრცე, სადაც ლოკალური კულტურები და იდენტურობები კარგავნ ფესვებს და მულტინაციონალური კონცერნების რეკლამისა და სამიზაო დიზაინიდან ამოღებული მსოფლიო პროდუქციით ჩაინაცვლებან. თანდათანობით ყოფითობა ხდება დიზაინი.

კონცერნები, რომლებიც ფაზრიკაციაში უნივერსალური კულტურული სიმბოლოების მბრძანებლობას აღწევენ, თავისებურად იყენებენ ინფორმაციული ტექნოლოგიების უზიდგანო სივრცეს. ხელოვნური თანამედროვების საშუალებას იძლევან გადაიღახოს ყველა ნაციონალური და კლასობრივი საზღვრები და აღწევენ პლანეტის ყოველ წერტილში. დანარჩენს კი ეკონომიკური აქტივობას ლოგიკა ასრულებს.

გლობალიზაციას, გაგებულს, როგორც ეკონომიკურ მოვლენას, მინიჭებულებები და მაქსიმალურად ზრდის მოგებას.

CNN-ის დიქტორი როდესაც აცხადებს, რომ „ეკონომიკური გლობალიზაციის შედეგად მიმდინარეობს კულტურული და სოციალური რევოლუცია“, ამის მოსმენას ამერიკელი ადამიანი ისევე

ალიქვაშვის, როგორც ტოკითს მოქალაქე. ეს ნიშნავს, რომ ის რასაც ვაკეთებთ ამერიკაში და ამერიკისათვის გააჩნია ძალა ყველგან, მთელს მსოფლიოში. „ჩვენი ახალი ამბები – ეს გლობალური ახალი ამბებია“.<sup>4</sup>

სანფორმაციო საშუალებები ერთ საერთო გლობალურ სივრცეს ქმნას, სადაც ინფორმაცია და მითოებებს Top-news კლიკს სისწრავით ვრცელდება და მსოფლიო „გარემოცული“ ხდება ერთი მოვლენით. ადამიანები აზროვნებას იწყებენ ერთი მოვლენის ორგვლივ, თუმცა მათი მიღვობა მის მიმართ შეიძლება იყოს რადიკალურადაც კი განსხვავებული.

### **3.1 . ლოკალური კულტურები და გლობალური „მომხმარებლური“ კულტურა.**

ტექნოლოგიამ დღეს გლობალური კულტურის შესაძლებლობა და აუცილებლობა შექმნა. ინტერნეტი, სატელეტები და საკაბელო ტელევიზია კულტურულ საზღვრებს სცილდებან. გლობალური გასართობი კომპანიები აერთინებენ ჩვეულებრივი ადამიანების ოცნებასა და აღქმას, სადაც არ უნდა ცხოვრობდნენ ისინი. ფასეულობების, ნორმების და კულტურის გავრცელება კაპიტალიზმის დასვლური იდეალების გავრცელების ტენდენციების მატარებელია. შესაძლოა ლოკალური კულტურები ამ გლობალური „მომხმარებლური“ კულტურის მსხვერპლი გახდენ. შესაძლოა ინგლისურმა ენამ გაანადგურებს სხვა ენები. სავარაუდოა, რომ მომხმარებლის ღირებულებებმა სოციალური სოლიდარობის და ხალხთა თანამეგობრობის აზრი დააგნინონ ანდა პირიქით მოხდეს, საერთო კულტურამ დიდ დანაწევრებული ფასეულობების და პოლიტიკური ერთიანობის გაძლილა შეძლოს.

### **3.2. ცივილიზაცია და კულტურა გლობალიზაციის ფონზე.**

ტექნოსფეროს დომინირებას და პერიფერიული ცივილიზაციის შევიწროვებას თან სდევს მისი დამახასიათებელი ელემენტების გაფართოება და კულტურის სიმბოლური ფენის შემჭიდროვება. რაც თავის მხრივ, განიხილება როგორც, ზოგადად, კულტურის გადაგვარება, რისი მიზეზიც კულტურის მისტერიალური თანმიმდევრობების მიღვევაღობაა. კულტურა – ეს მხოლოდ სახელოვნებო მოღვაწეობის სული კი არ არის, ეს ძალადობის სახეობა და ძალა, ხოლო ცივილიზაცია ადამიანის მხოლოდ

მატერიალური მოწყობა არ არის, ეს ჭეშმარიტი მოცემულობების ხელოვნურით ჩანაცვლებაა.<sup>5</sup>

#### **3.2.1. კულტურების განსხვავებულობა.**

ქუაპე და ჯიოგანა კანტატორესები სტატიაში: „კულტურების განსხვავებულობა“ განიხილავენ კულტურების განსხვავებულობების დინამიკას დღევანდელ სამუშაო პირობებში. ისინი ამტკიცებენ, რომ მოსახლეობის დემოგრაფიული ცვლილებები და გლობალიზაცია კულტურის მენეჯმენტის აუცილებლობას განაპირობებს. ისინი განმარტავენ, რომ კულტურების განსხვავებულობებით შესაძლებელია მოსდევ იდენტიფიცირება, იმართოს ის და სარგებელი იქნას ამოღებული. ასე რომ, კულტურების განსხვავებულობების მენეჯმენტი არის განუყოფელი ნაწილი იმ სამუშაოსი, რომელსაც ასრულებს კულტურის პოლიტიკისა და მენეჯმენტზე მომუშავე ორგანიზაცია. ჩვენ უცხოვრობთ გლობალურ სივრცეში, სადაც მენეჯერებს შეუძლიათ უფრო სწრაფად გადაადგილდნენ, იმოგზაურონ და გაავრცელონ ინფორმაცია კულტურის პროდუქტის შესახებ. ფიზიკური სიახლოების შემცირებამ ჩვენ უფრო ჩაგახედა სხვათა კულტურებში და კულტურების განსხვავებულობა უფრო ნათლად დაგვანახა. დღეს ადამიანს ქვეყნისა და საკუთარი სახლის დატოვების გარეშე შეუძლია მიიღოს ინფორმაცია კულტურული პროდუქტის არსებობის, დანიშნულების და ფასის შესახებ. შესაძლებლობა არის იმუშავო უცხოური ორგანიზაციისათვის, ურთიერთობა გქონდეს პარტნიორებთან სხვადასხვა ენაზე ან საზღვარგარეთ გაიყიდოს პროდუქტი სხვა ქვეყნის კლიენტებზე. ასეთი საშუალებით კულტურების დაკავშირება უფრო ადვილად ხდება.<sup>6</sup>

შეიძლება მოვიყენოთ მაგალითი იმისა, სადაც სხვა სპეციფიკო ხდება გლობალური ელემენტების წარმოჩინება. მაგალითად, კულტურის ბინალეები და ბაზრობები, სადაც ერთდროულად განთავსებულია ხვადასხვა ქვეყნის, საზოგადოებრივი ჯგუფებისათვის დამახასიათებელი კულტურები, ასეთი გლობალური სახის გამოფენებს ხშირად ერთი მთავარი კონცეფცია ან იდეა აერთინებს, მაგრამ თითოეული კულტურა წარმოდგენილია განსხვავებული სახით, ფორმებითა და მიღვომით. აქ უკვე ერთ ადგილზე იყრის თავს კულტურული განსხვავებულობები.

იქნება კულტურების განსხვავებულობა დახმარების თუ ხელის შეშლის ფაქტორი გლობალური სივრცის შესწავლის პროცესში?

ეს უფრო და უფრო ძირითადი საკვანძო საკითხი ხდება გარემომცველ სამყაროში.

### **3.2.2. მულტიკულტურული საზოგადოება.**

ამერიკული საზოგადოება აგრძელებს განვითარების უფრო მაღალტიკულტურული თავისივე საზღვრების ფარგლებში. ადამიანები ახლა უწინდობიან იქ აზრს, რომ ახლო მომავალში ქვეყნის სხვადასხვა სფეროში „უმცირესობები“, ფაქტობრივად, „უმრავლესობები“ განვითარება. ამერიკის შეერთებული შტატების შრომის სამინისტროს მონაცემებით, აფრიკელების, აზიელების და ესპანურად მოლაპარაკე ამერიკელების რიცხვი 7,6%-ს შეადგენდა 50 წლის წინ, 2000 წელს ეს რიცხვი თოვქმის გაორმავდა და 16% მიაღწია.

გლობალიზაციის შედეგად სამუშაო ძალა ასევე განვითარდა სხვადასხვა კულტურის შემადგენელი ნაწილი. კომპანიები სტრატეგიული კავშირების გამოყენებით აერთიანებენ მთელი მსოფლიოს ფირმებისა და ჯგუფებს კომპანიათა შერწყმისა და შესყიდვის შედეგად. ორგანიზაციები აერთიანებენ სამუშაო პერსონალს და ჯგუფებს, სადაც სხვადასხვა კულტურის წარმომადგენელი ადამიანები მუშაობენ და მათ უნდა შეეთვისონ და გაუგონ ერთმანეთს, რასაც ყოველდღიური ინტერმედია და სხვადასხვა ქვეყნაში მუშაობის აუცილებლობა განაპირობებს. კულტურული მრავალფეროვნების გაცნობიერება, ისევე როგორც კულტურათაშორისი ურთიერთობების ეფექტური გაცვლა, აუცილებლობა ხდება, თუ ჩვენ გვინდა კონკურენცია გავწიოთ გლობალურ ბაზარზე.

### **3.2.3. საინფორმაციო ინფრასტრუქტურები.**

ციფრული მეთოდების მიღწევების გამოყენებამ მსოფლიო საკომუნიკაციო მომსახურება ერთ მთლიანობაში შექრა. ის, უპირველეს ყოვლისა, სამი ტექნოლოგიური სფეროს გადაკვირვას უწყობს ხელს: კომპიუტერული, სატელეფონო და სატელევიზიო, რომლებიც გაერთიანებული არიან მულტიმედიასა და ინტერნეტ-ში.

საინფორმაციო ინფრასტრუქტურებმა ფაქტობრივად კიმუნიკაციების სისტემების ხარისხი ძალზედ აწია და ურთიერთდაკავშირების სიმარტივე დააჩქარა ინტეგრირების პროცესები.

### **4. ლოკალიზაცია და გლობალიზაცია.**

კულტურის გლობალიზაციის თეორიის მამა როლანდ რობერტსონი, ხაზს უსვამს, რომ გლობალიზაცია ყოველთვის დაკავშირებულია

**ლოკალიზაციასთან.** ნაშრომები კულტურის თეორიაზე (cultural studies) უარყოფენ ჩაკეტილ, განმარტოებულ საზოგადოებებს და მათ შესაბამის კულტურის სივრცეებს და აღწერენ კულტურის გლობალიზაციის იმანერტარულ „დიალექტიგურ“ პროცესს, სადაც ერთდროულად შეიძლება მოხდეს და ხდება კიდევ საწინააღმდეგო მოვლენები. მთავარი შედეგი კი ასეთა – გლობალიზაცია არ არის რაღაც ავტომატური და ცალმხრივი, ერთმხრივი გლობალიზაცია – კამათის ამოუწურავი წყარო.

ის, რომ გლობალიზაცია გვთავაზობს არა მხოლოდ დელოკალიზაციას, არამედ რე-ლოკალიზაციას, ეს უკვე ეკონომიკური გათვლებიდან გამოიდინარებას. „გლობალური“ ამ სიტყვის თავისი ზუსტი გაგებით ვერავინ წარმოქმნავთ. სწორედ ის სფეროები, რომლებიც თავის პროდუქციას გლობალური მასშტაბით ასაღებენ, იმულებულნი არიან განავითარონ ლოკალური კავშირები. პირველ რიგში კონკრეტულ ლოკალურ პირობებში აწარმოონ და დახვეწიო პროდუქცია, მეორე რიგში კი, ლოკალური კულტურებიდან ამოიღონ ნედლეული თავანთი გლობალური სიმბოლოებისათვის, რის ხარჯზეც ეს სიმბოლოები იქნებან ცოცხალი, ნათელი და კარგად გაყიდვადი. სიტყვა „გლობალური“, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, ეს არის „სხვადასხვა ადგილებში ერთდროულად“, ანუ ტრანსლოგალურად.

ასეთი გლობალურ – ლოკალური ურთიერთდაკავშირება დიდ როლს თამაშობს მსხვილი კონცერნების გათვლებში. კონცერნები „Coca-Cola“ და „Sony“ თავიანთ სტრატეგიას უწოდებენ „გლობალურ ლოკალიზაციას“. მათი ხელმძღვანელები და მენეჯერები აღნიშნავენ, რომ გლობალიზაციასთან დაკავშირებით საუბარი ეხება არა იმას, რომ ყველგან მსოფლიოში აშენდეს ფაბრიკები, არამედ იმას, რომ განვითარება ამა თუ იმ კულტურის ნაწილი. სამეწარმეო სტრატეგია, რომლის მნიშვნელობა იზრდება პრაქტიკული გლობალიზაციის დროს, იწოდება „ლოკალიზაცია“.

#### **4.1 დელოკალიზაცია და რელოკალიზაცია.**

დელოკალიზაციის და რელოკალიზაციის ურთიერთქმედებას აღბათ სხვადასხვა შედეგი ექნება, ამიტომ უნდა გათვალისწინებულ იქნას ის, რომ ლოკალური კულტურები ვეღარ გაამართდებენ თავიანთ არსებობას დანარჩენი მსოფლიოს წინააღმდეგ დაგვიდრებისა და განახლებისათვის. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ შესაძლებელი იქნება

გლობალურად გნობადეს და განახლდეს ლოკალური მნიშვნელობები, მოხდება ტრადიციაზე დაყრდნობის გარეშე ლოკალურობის რენესანსი.

გლობალიზაციას, გარკვეულ პლანში, ყველაზე ხშირად ურთიერთდამოკიდებულების ინტენსიფიკაციამდე მივყავრთ.

ნაციონალური საზღვრების გლობალიზაციის დროს უნდა შეისწავლოს: თუ როგორ იხსნება და აღიქმება მსოფლიოს პორიზონტი გრძნობადი სამყაროს ტრანსკულტურულ და კულტურის სიმბოლოთა ფაბრიკაციაში. კულტურული გლობალიზაცია შლის ქვეყნის ნაციონალურ გაიგივებას ნაციონალურ-სახელმწიფოებრივ საზოგადოებასთან კომუნიკაციის, ეთნიკური კუთვნილებების და ცხოვრების ტრანსკულტურული ფორმების შექმნისა და ერთმნიერთან შეჯახების გზით.

ეთნიკურობის კუთვნილების გრძნობა, საზოგადოების განვითარებისა და ადამიანთა განსახლებასთან დაკავშირებით, სულ უფრო და უფრო რთულდება. შეგვიძლია განვითილოთ ტრანსკულტურული ქორწინების და ოჯახების მაგალითზე. მობილურობის და მასობრივი გადადაგილებების საუკუნეში და ეკონომიკის გადაჯაჭვის პროცესებში იზრდება იმ ადამიანთა რიცხვი, რომელსაც თავისი ეთნიკური ჯგუფს ადგილმდებარეობიდან, უხდებათ სხვა ჯგუფებთან მუშაობა, ეს სხვადასხვა მიზეზით ხდება (სიღარიბე, შიმშილი, განათლებისა და პროფესიის მაბიებლები და ცნობისმოყვარები). ისინი ტოვებენ საკუთარ სახლებს და დიდი თუ მცირე ხნით, ხნდახან კი სამუდამოდ კვეთენ სახლვრებს. იბადებიან ერთ ადგილზე, იზრდებიან მეორეზე, ქორწინდებიან და იყოლიებენ შვილებს მესამე ადგილზე. ბიკულტურული ოჯახების რიცხვი იზრდება.

დავეყრდნოთ სტატისტიკას და გავითვალისწინოთ ქორწინების აქტები. მაგალითად 1960 წელს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკში იყვნენ გამორჩეულად გერმანელები და მხოლოდ ყოველ 25-ე ქორწინებაში რეგისტრირდებოდნენ უცხოელები, 1994 წელს უკვე ყოველ მე-7 ქორწინებაში ერთ-ერთი მაინც იყო უცხოელი.<sup>7</sup>

#### 4.2 გლობალიზაცია

ლოკალური და გლობალური არ გამორიცხავს ერთმანეთს. გლობალიზაცია ასევე ნიშავს ლოკალური კულტურების მიზიდვასა და შეჯახებას, რამაც უნდა მიიღოს ახალი განსაზღვრება «clash of localities» (ლოკალურობის შეჯახება).

„გლობალური კულტურა“ უნდა განიხილოს არა სტატიკურად, არამედ როგორც შემთხვევითი და დიალექტიკური პროცესი (ეკონომიკური მეცნიერების ფარგლებში კაპიტალის შინაგანად ცალმხრივ ლოგიკასთან შეუთავსებელი) – „გლობალიზაციის“ სახით, რომელიც საშუალებას იძლევა აღიქმეს და გამიზუროს ურთიერთსაკმაო ელექტრონული მათ ერთაშობაში. ამ შემთხვევაში შეიძლება ვისაუბროთ „გლობალური“ კულტურის პარალელურზე.

#### 4.2.1. უნივერსალიზმი და პარტიკულარიზმი.

ამ მიზნით არ არსებობს წინააღმდეგობა გაერთიანებასა და ინსტიტუციონალურობის, სიმბოლოების, ქცევის მანერების უნიფიკაციას შორის (მაგ.: „მაკდონალდსი“, ცისფერი ჯინსები, დემოკრატია, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ბანკები, ადამიანის უფლებები და ა.შ.) და მნიშვნელობის ახალი ხაზგასმით, ახალი გამოგონებით და „ლოკალური კულტურების“ (ისლამიზაცია, რენაციონალიზაცია, გერმანული პოპ-კულტურა, სამხრეთაფრიკული სამოთხეები, აფრიკული კარნავალი, ჰაგური საქონლის ძეხვი) დაცვითაც კი. თუ ავიღებთ ადამიანის უფლებებს, პრაქტიკულად ყველა კულტურებში იკვეთება, როგორც უნივერსალური უფლებები, და მეორეც ისინი მუდავნდებიან სხვადასხვა სახით კონტექსტიდან გამომდინარე.<sup>8</sup>

#### 5. კულტურის მრავალფეროვნება და გლობალიზაცია.

კულტურა არის ყოვლისმომცველი და ამიტომ თავისი არსით აუცილებელი. ის მოცემულ საზოგადოებას ან საზოგადოებრივი ჯგუფების თვისებებს, ყოფას, განვითარების ხარისხს განსაზღვრავს და მოიაზრება იმისათვის, რომ შეეხოს ცხოვრების ყველა ასპექტს. ის თავისი მრავალმშრივობითა და მრავალფეროვნებით ინტეგრირდება პროცესებში განვითარებული მოვლენების პარალელურად და გლობალიზაციის დროს განიხილება მისი შენარჩუნება, ტრანსფორმაცია, მორმირება და სხვადასხვა რისკფაქტორი.

ერთ მთლიანობისაგან მიმავალი, განვითარებადი კულტურის მართვა შესაძლებელია ერთ სისტემებში მოქმედს, ანდა გამოინახოს სტრუქტურის გასაღებები, რომელიც შედეგების დადებით პოტენციალზე იქნება ორიენტირებული. ამიტომ კვლევები ამ სფეროში მნიშვნელოვან როლს თამაშობს.

## 5.1 კულტურის კვლევები.

ხელოვნების მენეჯერები დღეს ვერ უარყოფენ გლობალიზაციის პროცესებს, რომელიც ჩვენს ცხოვრებაზე სულ უფრო დიდ ზეგავლენას ახდენს. არის საშიშროება იმის, რომ გლობალიზაციის შედეგად დასრულდება კულტურის მრავალფეროვნება და კულტურის ტრანს-ნაციონალური კორპორაციების მოთხოვნების სამსახურში მყოფი პომოგენური ერთგვაროვანი კულტურის ტრაქტი. კულტურული მრავალფეროვნება მუქარის ქვეშ ივარაუდება უმცირესობების ჯგუფების მარგინალიზაციით და გაუცხოებით და ევროპული გაერთიანების და გავლენის შედეგად შესაბამისობის გამონახვით და მასშივრის საშუალებებზე გლობალური გავლენით. გლობალური პროდუქცია ქმნის გლობალურ ბაზრებს და გლობალური იდეები და იდეოლოგიები მიჰყავს გლობალური მოხმარებისა და ერთობლივი ადაპტაციის სენტრის გლობალიზაცია შეიძლება აღიქმებოდეს, როგორც კულტურული იმპერიალიზმი.

### 5.1.2. ოიტცერის გლობალიზაციის ორი კატეგორია.

**ჯორჯ რიტცერი** სპეციალისტი გლობალიზაციის საკითხებში აკეთებს სასარგებლო, მოკლე შეჯამებას. ის ყოფს მას თუ კატეგორიად: ეკონომიკური და კულტურული, სადაც მოცემულია შესაძლო შეჯვები, რისკი და ფორმირები კულტურის განვითარების გლობალიზაციის პროცესების დროს.

კულტურის თეორიებში მოიაზრება:

- კულტურული დიფერენციალიზმი (განსხვავებულობა) – ეს არის ბილო განსხვავები კულტურათა შორის, რომელებიც საკმაოდ ხელშეუხებლებია ბი-, ინტერ-, მულტი- ან ტრანსულტურულ პროცესებისგან – გლობალიზაცია არის მხოლოდ ზედაპირული მოვლენა.

- კულტურის კონვერგენცია – მსოფლიოში კულტურები უფრო და უფრო მეტად მსგავსად იზრდება, გლობალური მსგავსება (ასიმილაცია) დომინანტური გჯუფების მიმართულებებში; კულტურული იმპერიალიზმი; ვესტერნიზაცია; ამერიკანიზაცია; მაკრონალდიზაცია.

- კულტურის ნარვი (პიბრიდიზაცია) – პიბრიდული კულტურების უნიკალური პროდუქცია.<sup>9</sup>

გლობალიზაცია არის ძალა, რომელიც, აღბათ, გამოიწვევს კულტურის კონვერგენციას – ადგილობრივი განსაკუთრებულობის თანდათანობითი გაქრობას.

გლობალიზაცია სხვა მხრივ არის საკმაოდ მსუბუქი პროცესი. ეს არის იდეა, რომ ლოკალური არის ჩასმული გლობალურში და, პირიქით. გლობალურობის ფენომენი ხდება ინტეგრირებული კულტურულ ფორმებთან, რომლებიც არის ნამდვილდ ლოკალური. კულტურის პირიდიზაცია, რომელიც არის გლობალურიცის გრაუნტი შედგი, შესაძლოა იღებელ კულტურის მრავალფეროვნებაშე მიგვყვანოს.

არსებობს თუ არა გლობალური პროცესების მართვის რაიმე საერთო გასაღება, რომელიც განვითარების სწორ გზაზე დააყენებს და წარმოშობილ პროცესებს მართვადს გახდის, შეასუსტებს გაუთვალისწინებელ მოვლენების გავლენას და გლობალიზაციით გამოწვეულ პროცესებში შესაძლო არსებულ ეფექტურობის ხარისხს გაზრდის.

კულტურების განსხვავებულობებთან შესაძლებელია მოხდეს იდენტიფიცირება, იმართოს ის და სარგებელი იქნას ამოღებული. ასე რომ, კულტურების განსხვავებულობების მენეჯმენტის შედეგად შესაძლოა, საერთო კულტურამ დიდი დანაწევრებული ფასეულობების და პოლიტიკური ერთობლივობის გაძლიერება შეძლოს.

კულტურის მენეჯმენტი არ ქმნის ხელოვნებას და კულტურას, მაგრამ აძლევს შექმნის შესაძლებლობას მათ.<sup>10</sup>

1. См.: Барг М. А., Черняк Е.Б., Великие социальные революции XVII – XVIII веков в структуре переходной эпохи от феодализма к капитализму, М., 1990.

2. Иоселиани Аза, *Техносфера и экологическое сознание в контексте глобализации*, § 1.1., *Становление и развитие техносферы в процессе глобализации*, Ростов-на-Дону, 2002, გვ. 24-75.

3. ავგასის აკადემიური ცნობრი, სტრატეგიული მენეჯმენტის არხი და შესწავლის საგანი, 8, სტრატეგიული საერთაშორისო ბაზაზე კონკურენციასთვის, გვ. 69-73.


4. <http://www.nationalsecurity.ru/library/00057/00057global008.htm> Бек Ульрих, *Что такое глобализация?*

5. Аза Иоселиани, Техносфера и экологическое сознание в контексте глобализации, § 3.2. *Цивилизация и культура на фоне ускоряющихся процессов глобализации*, Ростов-на-Дону, 2002, 133-162.
6. <http://www.culturocity.com/pdfs/Cultural%20Differences,%20Everybody's%20Business.pdf>  
Quappe S, & Cantatore G. Cultural Differences: Not just HR's business, It's everybody's business, Can we risk the consequences of intolerance?
7. <http://www.nationalsecurity.ru/library/00057/00057global009.htm12>
8. <http://www.nationalsecurity.ru/library/00057/00057global010.htm>
9. Laycock, Jolyon. *Enabling The Creators, Cultural diversity and globalization*. Oxford Brookes University, 2008, 27.
10. Heinrich, Werner & Klein, Armin: *Kulturmanagement von A-Z*. Munchen 1996: 147.

---

## ტრადიციული ხელოვნება

---



## სამაგისტრო პროგრამა

### ქართული ქორეოგრაფიის მკვლევარი – ეთნოქორეოლოგი

სამაგისტრო პროგრამა „ქართული ქორეოგრაფიის მკვლევარი – ეთნოქორეოლოგი“ უმაღლესი სკოლის მეორე საფეხურზე ქორეოგრაფიული ხელოვნებისადმი თეორიული და ანტერესების პირველ ცდას წარმოადგენს. იგი სახელოვნებო მეცნიერებათა იმ მიმართულებას მიეკუთვნება, რომელიც მიზნად ისახავს ქორეოგრაფიული ხელოვნების, კერძოდ, ქართული საცეკვაო ფოლკლორის ისტორიულ-თეორიული ასპექტების გამოკვეთას და აღნიშნულ საკითხთა ირგვლივ სამეცნიერო კვლევების ჩატარებას.

ქართული ტრადიციული ხელოვნებისადმი საყოველთაო ინტერესმა და ქართული საცეკვაო ხელოვნების საშემსრულებლო პრაქტიკის დინამიურმა განვითარებამ განაპირობა ეროვნული ქორეოგრაფიის მეცნიერული კვლევისა და ქართული ცეკვის საშემსრულებლო ხელოვნების პროფესიული შეფასება-ანალიზის აუცილებლობა და აქტუალობა.

პროგრამის სასწავლო კომპონენტი რამდენიმე სპეციალურ დისციპლინას მოიცავს, რომელთა თემატიკა კვლევის ობიექტის ისტორიული რეტროსპექტივის, დარგის თეორიული საფუძვლების შესწავლისა და კრიტიკული ანალიზის ერთობლიობას წარმოადგენს. ხოლო კვლევითი კომპონენტის პრობლემატიკა ეფუძნება მაგისტრანტთა სამეცნიერო ინტერესთა სფეროს, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, ქორეოგრაფია-ქორეოლოგიის სინთეზური ბუნების გათვალისწინებით, ინტერდიარგობრივი კვლევის სახეს ატარებს.

სამაგისტრო პროგრამა აღზრდის ქორეოგრაფიული ხელოვნების პროფესიონალ მკვლევარებსა და კრიტიკოსებს, რაც შემდგომში ხელს შეუწყობს ქართული ეთნო-ქორეოლოგიისა და ზოგადად ქართლი ქორეოგრაფიის განვითარებას.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი  
ასოც. პროფ. ანანო სამსონაძე

აღეგო გელაშვილი  
მაგისტრატურის II კურსი  
ხელმძღვანელი - ანანო სამსონაძე

### სამეჯლისო ცეკვების მესამეურმანი საქართველოში

(თენგიზ და ლარისა გაჩერილაძეები)

სამეჯლისო სპორტი ასე ეძახდნენ თავიანთ პალატებში გამართულ სამეჯლისო ცეკვებს ინგლისელი ლორდები ჯერ კიდევ მაშინ როცა მდიდრული ეტლები და კარეტები შავ, მბრწყინავ ფრაგებში გამოწყობილ ბატონებსა და უთვალავ ნაოჭინ ალივლივებულ კაბებში მორთულ ქალბატონებს საცეკვაო დარბაზებისკენ მიაქროლებდნენ.<sup>1</sup>

„სამეჯლისო სპორტული ცეკვები“ – ეს არის თანამედროვე ქორეოგრაფიიდან აღებული ათი საუკეთესო ცეკვა. სამეჯლისო – სპორტული ცეკვების პროგრამა იყოვა ორ სახეობად: მათგან ხუთი ვერობული ცეკვების პროგრამას განვითარება („ნელი ვალია“, „ტანგო“, „გალსა“, „გოქსტროლი“, „გვიგსტება“) და ხუთი ლათინურ-მერიული ცეკვების პროგრამას („სამბა“, „ჩა-ჩა-ჩა“, „რუმბა“, „პასადობლი“, „ჯაივი“).

სამეჯლისო სპორტული ცეკვების ერთ-ერთი ძირითადი განმასხვავდებოდა ნიშანი სხვა ცეკვების სახეობებისგან არის ის, რომ აյ ტარდება სპორტული სახის შეჯიბრებები და შემოღებულია მსაჯობის ინსტიტუტი.

სამეჯლისო ცეკვებში სპორტულ შეჯიბრებებს ადგილი ჰქონდა ჯერ კიდევ I მსოფლიო ომამდე. მაგრამ ეს შეჯიბრებები უფრო კერძო ხასიათის იყო, რადგან ისინი არ ტარდებოდა რამე პროფესიული თუ საერთაშორისო სამოყვარულო ორგანიზაციების ჩარჩოებში.

ინგლისში (ამ ცეკვების სამშობლო), გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ნორვეგიაში, დანიაში, შვეციაში და სხვა 1909 წლიდან უკვე არსებობდა მსოფლიო სპორტული ცეკვების ფედერაცია.<sup>2</sup>

1930 წლიდან ევროპაში მკიდრდება „ინგლისური სტილი“, როთაც გამოიკვეთა ძირითადი და მუდმივი სტანდარტი საცეკვაო შეჯიბრებებისა და ამ მომენტიდან იმართება ორგანიზებული საერთაშორისო შეჯიბრებები.

1932 წელს „გერმანიის მოყვარულთა ასოციაციამ“, „RPG“ საფუძველი ჩაუყარა „საერთაშორისო მოყვარულთა ასოციაციას“,

სამი წლის შემდეგ კი 1935 წლის 10 სექტემბერს ქ. პრაღაში დაფუძნდებულ იქნა პირველი საერთაშორისო ასოციაცია, სახელწოდებით “FIDA”, რომლის პირველ პრეზიდენტად არჩეულ იქნა აკტრიუმი ფრანც ბუხლერი. “FIDA” თანდათან ქმედითი ორგანიზაცია ხდება და უკვე 1936 წლის ბერლინის ოლიმპიურ თამაშებზე მას შესაძლებლობა მიეცა ჩაეტარებინა პირველი ოფიციალური მსოფლიო ჩემპიონატი ბედ ნოჰაიმში, საერთაშორისო წესების დაცვით, სადაც სამი კონტინენტის თხუთმეტი ქვეყნის წარმომადგენელი მონაწილეობდა.

საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე სამეჯლისო ცეკვების სპორტული შეჯიბრებები მოგვიანებით მხოლოდ 1957 წლიდან ტარდება.

საბჭოთა კავშირის წამყვანი სპეციალისტები დიდი ხანი იძრძონენ, რომ სამეჯლისო ცეკვებისთვის სპორტული სტატუსი მოეპოვებინათ, მაგრამ ეს საკითხი მხოლოდ 1986 წელს გადაწყდა. შექმნა სპორტული ცეკვების საკავშირო ასოციაცია (АБТССР) (პრეზიდენტი: ჩესლოვას ნორვეიში – ლიტვა). ამ ასოციაციის პრეზიდენტის წევრი საქართველოდან იყო თენგიზ გაჩეჩილაძე.<sup>3</sup>

საქართველოში სამეჯლისო ცეკვების სპორტულ შეჯიბრებებს 1976 წელს ჩაეყარა საფუძველი.

მანამდე 1972 წელს გაიმართა სამეჯლისო ცეკვების შემსრულებელთა პირველი, ხოლო 1975 წელს მეორე რესპუბლიკური კონკურსი. ამ კონკურსების უიურის თავმჯდომარეობდა ილიკო სუხიშვილი.<sup>4</sup>

მეორე კონკურსზე მოწონება დაიშახურეს და პირველი ადგილი მიენიჭათ საქართველოს მუსიკალური და ქორეოგრაფიული საზოგადოების მოცეკვავებს: ნუნუ აზმაიფარაშვილს და თეიმურაზ გაბაშვილს (პედაგოგი: თენგიზ გაჩეჩილაძე).<sup>5</sup>

მას შემდეგ, რაც საქართველოში 1972 წელს გაიმართა სამეჯლისო ცეკვების შემსრულებელთა პირველი რესპუბლიკური კონკურსი ამ ცეკვების სკოლა გაიყო ორ ჯგუფად: „სამეჯლისო-საყოფაცხოვრებოდ“, რომელსაც მიხელ კაფიევი ემსახურებოდა და „სამეჯლისო სპორტულ“ ჯგუფად, რომელსაც თენგიზ გაჩეჩილაძე ჩაუდგა სათავეში.

საქართველოში ჩატარებული კონკურსის შემდეგ, 1975 წელს კიევის სპორტის სასახლეში ტარდება მეორე, საერთო საბჭოური კონკურსი სამეჯლისო ცეკვების შემსრულებელთა შორის.

საქართველოდან ამ კონკურსში მონაწილიებას იღებს ოთხი წევილი: მათა ისაკაძე – ვახტანგ ლუკავა, ტატიანა პერლშტეინი – თენგიზ ერიშვილი, ნატაშა ნიკოლაიშვილი – ტარიელ შენგელია, ნუნუ აზმაიფარაშვილი – თემიურაზ გაბაშვილი. ამათგან სამი მეორე ხარისხის დიპლომს იღებს ერთი კა მესამე ხარისხის.<sup>6</sup>

1976 წელს უკვე საფუძველი უყრება საგალიფიკაციო კონკურსებს. ამას წინ უძღვის სემინარები სამეჯლისო ცეკვების გამავრცელებელი კალების მოსამზადებლად, სადაც მოწევული იქნა სპეციალისტები მოსკოვიდან და ესტონეთიდან. სემინარების შედეგად რამდენიმე პედაგოგი დამოუკიდებლად ამზადებს მოცეკვავებს რესპუბლიკურ კონკურსში მონაწილეობისათვის. შემდეგ იმართება ცეკვის მასწავლებლობა დახელოვნების 10 დღიანი სემინარი, რომელსაც ხელმძღვანელობენ თ. სანაძე, თ. გაჩეჩილაძე, კ. სახვაძე.<sup>7</sup>

1976 წლის მესამე რესპუბლიკური კონკურსიდან „გაზაფხულის მეჯლისი-76“ 1977 წლამდე 5 საკალიფიკაციო კონკურსი ტარდება, რომელთა უცვლებლივ გამარჯვებულები არიან: ზურაბ მარგიშვილი და თინათოთ შევდათუაშვილი.<sup>8</sup>

სამეჯლისო ცეკვები უფრო პოპულარული ხდება. იმართება კონკურსები: „ოქროს ვერმი – 78“,<sup>9</sup> „აი ია“,<sup>10</sup> „აი ია – 82“,<sup>11</sup> „თბილის – 84“,<sup>12</sup> „აი ია – 85“<sup>14</sup> და სხვა.

ხოლო 1988 წელს თბილისში შედგა პირველი რესპუბლიკური დია კონკურსი სამეჯლისო ცეკვებში, რომლის ორგანიზატორები იყენებ თენგიზ გაჩეჩილაძე და ლარისა გაჩეჩილაძე.

ამ კონკურსის გამარჯვებულები „A“ კლასში გახდნენ თბილისელები შერენა გაჩეჩილაძე და გოჩა ჩერტკოვეგი.<sup>15</sup>

შემდეგ იმართება „ოქროს საწმისი – 90“, „ოქროს საწმისი – 91“,<sup>16</sup> „თბილისი – 92“,<sup>17</sup> „თბილისი – 94“<sup>18</sup> და სხვა.

1997 წელს კა საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნულ ფედერაციას უფლება ეძლევა ჩატაროს საერთაშორისო კონკურსი „კავკასიის თასი“. აღნიშნული ღონისძიება აქტები მოყოლებული ტრადიციული ხდება და ყოველთვის ტარდება. ამ კონკურსზე გამარჯვებული წყვილი კავკასიის თასის მფლობელი ხდება.<sup>19</sup>

ზემოთ ნახსენები კონკურსების მოწყობა და საერთოდ სამეჯლისო ცეკვების გავრცელებისა და პროპაგანდის საქმეში უდიდესი წლილი მიუძღვის დღეს უკვე საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტს, სტუდია და ანსამბლ „თელას“

ხელმძღვანელ-ქორეოგრაფს, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯეს, თენგიზ გაჩეჩილაძეს.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს „შეძლებისდაგვარად“ მოუთხროს მკითხველს ბატონი თენგიზის, მისი მუდლის ლარისა გაჩეჩილაძის მათი ოჯახისა და საქმიანობის შესახებ. „შეძლებისდაგვარადი“, – იმიტომ ვამბობთ, რომ ეს ნაშრომი ამ თემაზე წარმოებულ პრლევის პირველ ნაბიჯებს წარმოადგენს საქართველოში. აქედან გამომდინარე მკითხველს წინასწარ ვუხდით ბოლიშს თუ იგი ინფორმაციის მცირე რაოდენობას ან უზუსტობას განიცდის. ჩვენ კი სიამოვნებით გავითვალიწინებთ ამ თემით დაინტერესებული პირების შეხვდულებებს და შენიშვნებს.

ერთ-ერთ ინტერვიუში ბატონი თენგიზი ამბობს: „ვნანობ, რომ ცეკვა ძალზე გვაინ დავიწყე“.<sup>20</sup>

სანამ ბატონი თენგიზის ცეკვასთან შეხების პირველ ნაბიჯებს შევხებით, მოგითხრობთ მისი ბიოგრაფიული თუ შემოქმედებითი მოღვაწეობის შესახებ.

თენგიზ ივანეს ძე გაჩეჩილაძე დაიბადა 1941 წლის 5 სექტემბერს თბილისში; მამა ივანე გაჩეჩილაძე საქართველოს დამსახურებული ვეტერანი ყოფილა, ხოლო დღა ევგენია ნიორაძე ასევე დაწყებითი კლასების დამსახურებული პედაგოგი.

ჰყავს სამი და: მერი – პედაგოგი, ამჟაմად პენსიონერი, ქეთევანი – პედაგოგი, ბიბლიოთეკათმცოდნე, ეთერი – ფილოლოგი მუსიკის მიმართულებით.

1947 წელს თენგიზ გაჩეჩილაძე შედის რკინიგზის №1 სკოლაში, რომელსაც ამთავრებს 1958 წელს.

1961 წელს აბარებს პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მექანიკა – მანქანისტებლობის ფაკულტეტზე. პირველ კურსს დაჩქარებით გაიღლის და 1964 წელს ამთავრებს სასწავლებელს.

1964 წლიდან იგი მუშაობას იწყებს ფილარმონიაში, უკრავს სიმებიან საკრავებზე კირილე ვაშაკიძის ხალხურ საკრავთა ორგესტრში, არის მუსიკალურ-ქორეოგრაფიული საზოგადოების მსახიობი. „42 ნომერი პენდათ პროგრამაში და ერთ კვირაში ვისწავლეო“ – იხსენებს ბატონი თენგიზი.

ცოტა ხანში ეს ორგესტრი საგასტროლოდ უნდა წასულიყო შორეულ აღმოსავლეთში. ბატონმა თენგიზმა უარი თქვა ამ გასტროლზე და ორგესტრში მუშაობას თავს ანებებს.

შემდეგ თანმიმდევრობით, ხანმოკლე დროის მონაკვეთებში მუშაობას:

ელექტრო ვაგონშეგეთებულ ქარხანაში მე-6 თანრიგის ზეონკლად, საპარატო სამქროში ტყავ-საგალანტერიი ფაბრიკაში, მაუდგამვოლის კომბინატში და ისნის ფეხსაცმელების ფაბრიკაში.

სრულიად შემთხვევით მოხდა მისი ცხოვრების დაკავშირება ქორეოგრაფიულ სამყაროსთან: „ვოროშილოვის კლუბში“, რომელიც მდებარეობდა ახლანდელი გრიბიძოვის თეატრის მიმდებარე ტერიტორიაზე, იგი ემბიდა თურმე სალაროს ბილეთი რომ აელო და კინოში შესულიყო. ამ ძებნისას, აღმოჩნდა ერთ დიდ დარბაზში, სადაც შემდეგი სიტუაცია დახვდა: ახალგაზრდები ეწერებოდნენ იმდროინდელი საზოგადოებრივი ცეკვების სტუდიაში, რომელსაც ხელმძღვანელობდა პედაგოგი მიხეილ კაფიევი. ბატონი თენგიზიც მოხვედრილა ამ ახალგაზრდათა რიგში, გადაუხდია ერთი თვის გადასახადი 5 მანეთი. მიხეილ კაფიევს მისოვის აფიშები მიცია და უთხოვა, რომ გამოეკრა ისნის ფეხსაცმელების ფაბრიკაში. „კარგი ორგანიზატორი იყო“ – ამბობს ბატონი თენგიზი პარვლ პედაგოგზე, რომელსაც იმ დროისთვის თურმე 700-მდე მოსწავლე ჰყოლა.

ამ საზოგადოებრივი ცეკვებით დაინტერესება იმდროინდელი ახალგაზრდობისა გარკვეული მიღეომით გამოწვეული იყო იმით, რომ მას ჰქონდა „გაცნობის“ ხასიათი: გოგონები – ბიჭების, ბიჭები კი გოგონების გასაცნობად იყენებდნენ ამ ცეკვების სტუდიაში არსებულ სიტუაციას“.

დამწეული მოცეკვავე თენგიზ გაჩეჩილაძე პირველივე რეპეტიციაზე გაციებულა, შემდეგ ერთი თვე უკლია, ერთი თვის მერე კი დამჯდარი უყურებდა თურმე რეპეტიციებს. ცოტა ხანში გადადის უფრო გამოცდილ ჯგუფში, „მეცოტავა ის, რაც ვიცოდი“ – ამბობს იგი. რამდენჯერმე თურმე მიხედ კაფიევს გაუჩერებია ჯგუფი, მითუთითებია დამჯდარ თენგიზ გაჩეჩილაძეზე და აღუნიშნავს, რომ „ეს კაცი ვერასოდეს ისწავლის ცეკვისა“.

მაგარამ ბატონი თენგიზის ინტერესი ცეკვისადმი ამ გამოთქმას ვერ შეუჩერება, პირიქთ, იგი თურმე თავად იგონებდა მოძრაობებს, რომელსაც ზედმეტი ვარვების პროცესში მუშავებდა თავის პირველ პარტნიორთან ლია ბაბაევასთან ერთად.

„ორი თვის შემდეგ ამოვწურე იმ სტუდიის ცოდნის მარაგი“, – ამბობს იგი. ყველას აჯობა მიხედ კაფიევის სტუდიაში, სადაც იმ დროისთვის ისწავლებოდა: „ვალს“, „ვალს-ბოსტონი“, „ბლუზი“, „ჩა-ჩა-ჩას“ რაღაც მოძრაობები, „ტანგოს“ რაღაც სტილი, „კრაკოვიაკი“, „ბიტ-რიტმი“, „ბუგი-ვუგი“, „მარშოქსტროტი“.

ამ პერიოდის განმავლიბაში უყალიბდება თენგიზ გაჩეჩილაძეს ცეკვისადმი სერიოზული ინტერესი და იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას ქ. გორში. ამ საქმიანობას ისე ჩაუთრუვია, რომ სხვა ყველაფრისთვის თავი მიუწებებია, თბილისიდან გორში დადიოდა თავის პარტნიორთან ერთად რამდენჯერმე კვირაში. საქმე კარგად წავიდა, შედეგი რომ დაინახეს, პედაგოგიურ ინსტიტუტში მიიწვიეს. შემდეგ კი თბილისში პლეხანოვის კლუბში იწყებს მოღვაწეობას. ამ დროისათვის საზოგადოებრივ ცეკვებს ასწავლის, მოგვიანებით კი რუსეთში ტურნირზე ხდება, სადაც უსურის წევრია. „ამ კონკურსში ჩემზე იძღნად დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, რომ დამეები არ მეინა, ჩვეულებრივი ცეკვის ნაცვლად არაჩვეულებრივი საჩაობა, „შეჯიბრი“ ვნახე, ეს ჩემთვის სიურპრიზი იყო“.<sup>21</sup>

1974 წელს მას იწვევენ „თბილისის მხატვრული თვითმოქმედების რესპუბლიკურ სახლში“ სამეჯლისო ცეკვების მეთოდისტად. იგი ეცნობა საბჭოთა კავშირში არსებულ 128 ამგვარი სახლის მუშაობის სისტემას. ატარებს სემინარებს, რისი მეშვეობითაც საქართველოს მასშტაბით თანდათან ვრცელდება სამეჯლისო ცეკვები.

იგი თავის მეუღლესთან, ქალბატონ ლარისასთან ერთად 1975 წლიდან მოყოლებული დღემდე კითხულობს ლექციებს სხვადასხვა სასწავლებელში (თეატრისა და კინოს უნივერსიტეტი, ს. ზაქარიაძის სახელობის საგანმანათლებლო სასწავლებელი, ადრე საცირკო-საქსტრადო სასწავლებელი და ფიზკულტურის ინსტიტუტი, უცხო ენების ინსტიტუტი....).

გარდა ტექნიკური განათლებისა თენგიზ გაჩეჩილაძემ 1980 წელს დამთავრა ქ. ლენინგრადის პროფესიული კულტურის უმაღლესი სკოლა, კულტურის მუშაობის სპეციალობით.

მისი თაოსნობით 1986 წელს იქმნება კულტურის სამინისტროსთან არსებული სამეჯლისო ცეკვების გაერთიანება.

1991 წელს ამ ორგანიზაციას ჰქვია საქართველოს სამეჯლისო ცეკვების ასოციაცია. 1991-1992 წწ. ასოციაცია ხდება წევრი „IDSF“-ისა (სამეჯლისო სპორტული ცეკვების ასოციაცია), რომელიც, თავის მხრივ, შედის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტში.

1997 წლიდან დღემდე ზემოთ ხსენებულ ორგანიზაციას ეწოდება „საქართველოს სპორტული ცეკვების ეროვნული ფედერაცია“, რომლის პრეზიდენტიც გახლავთ თენგიზ გაჩეჩილაძე.

1973 წლიდან ბატონი თენგიზის ცხოვრებაში შემოდის ქალი. მათი გზები ერთმანეთს უკავშირდება და მოგვიანებით, 1986 წელს

ქმნიან ლამაზ ოჯახს ეს ქალბატონი გახლავთ ლარისა ქურდაძე. ლარისა ქურდაძე დაიბადა 1950 წლის 19 მარტს თბილისში.

მამა – გიორგი ქურდაძე სამამულო ომის მონაწილე, II ჯგუფის ინგლიდა.

დედა – ეკატერინე ქურდაძე (ორლოვეცაია) (პოლონელი) მუშაობდა ჩაის გადამწოდნის ფაბრიკაში ტელეფონისტის თანამდებობაზე.

ქალბატონ ლარისას ჰყავს ორი ძმა: ალექსანდრე ქურდაძე პოლკოვნიკი, ლენინის ორდენისანი არტილერისტი, ამჟამად ცხოვრობს ომს გში რევაზთან ერთად და ვლადიმერ ქურაძე, რომელსაც დამთავრებული აქვს პოლიტექნიკური ტექნიკური, ცოლშვილიანი და ამჟამად ღროებით უმუშევარი.

1958 წელს ლარისა ქურდაძე შედის თბილის მე-16 საშუალო სკოლაში, რომელსაც ამთავრებს 1967 წელს. ამავე წელს აბარებს ალექსანდრე პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ხდება დაწყებითი კლასების პედაგოგიკის სპეციალობის სტუდენტი (რუსული სექტორით). პარალელურად მუშაობს თბილისის კონიაგის ქარხანაში, ჯერ მუშად, შემდეგ მდივან-მემანქანედ, ცოტა ხანში კი სადევუსტაციო დარბაზის უფროსა ხდება ამავე პერიოდში იგი არის კომეტის ძიგვანი.

1972 წელს ლარისა გაჩეჩილაძე ამთავრებს პედაგოგიურ ინსტიტუტს და იწყებს მუშაობას ქ. თბილისის 129-ე სკოლის პედაგოგად. ერთი წლის შემდეგ კი მისი ცხოვრებაც შემთხვევით დაუკავშირდება ცეკვას.

„ბავშობიდანვე საოცრად მიყვარდა ცეკვა“, – ამბობს ერთ-ერთ ინტერვიუში ქალბატონი ლარისა, – ჯერ კიდევ პატარას ანდმატივით მიზიდავდა ქუჩებში გამოკრული ლამაზად გაფორმებული ის აფიშები და რეკლამები სადაც მოცეკვავე წევრი ეხატა. ეტყობა გენშიც იყო რაღაც, თუმცა გამოჩენილი მოცეკვავე ჩემს საახლობლოში არავინ ყოფილა.

სკოლაში რომ ვსწავლობდი, სპეციალური გადაცემების სერია გადიოდა ტელევიზით, სადაც მაშინდელ ძალიან მოღურ ცეკვა – „ჩარლისტონს“ ასწავლიდნენ. ვისწავლე ტელეგადაცემიდან ციპა და შემდეგ ჩემს თანაკლასელებთან დავიწყე „ქორეოგრაფობა“.<sup>22</sup>

უფრო სერიოზულად კი ქალბატონი ლარისას ცეკვის სამყაროში მოხვედრა შემდეგნაირად მოხდა:

„პლეხანოვის კლუბში კომკავშირის მდივნების კონფერენცია ტარდებოდა. ისიც, როგორც კომკავშირის მდივანი, მონაწილეობას იღებდა ამ კონფერენციაში. შესვენებაზე, ფოიეში, ახალგაზრდებს

რადიოლა ჩაურთავთ და ცეკვა დაუწყიათ. ერთი რუსი ყმაწვილი მიახლოებულა მასთან და ცეკვა უთხოვია. უარი არ უთქვაშს და „ვალსზე გაყოლია“. ცეკვის დროს პარტნიორს ჯერ მარჯვენა ბრუნი გაუგეთებია, შემდეგ – მარცხნია. ილეთი მშვენივრად გამომივიდათ – იგონებს ქალბატონი ლარისა. „თქვენ რა ცეკვავთ?“, – გაოცებული უკითხავს პარტნიორს და როდესაც ამ კითხვაზე პასუხად უარი მოუღია, ახლა „კვადრატულ რუმბაზე“ მოუწევია, არც ეს ცეკვა გამოსულა ურიგო.

მაშინ ამ ბიჭმა შესთავაზა მას: თენგიზ გაჩეჩილაძესთან სამეჯლისო ცეკვების სტუდიაში წაგიყვანო. ისიც სიხარულით თანხმდება. „თუმცა, პირველ შეხვედრაზე ეს სიხარული ცოტა არ იყოს გამიხეუნა თენგიზმა“, – ამბობს ქალბატონი ლარისა. სხვათა შორის, შემომხედა და ბიჭის აღტაცებულ რეპლიკას, რომ მე სტუდიაში არასოდეს მივღია და შესანიშნავად ვცეკვავ, მშრალი და მუნწი ფრაზა შეაგება: „თუ უნდა, მოვიდესო!“.<sup>23</sup>

– „მახსოვს, ერთ-ერთმა ჩემმა მოსწავლემ მოიყვანა, – ამბობს ქალბატონი ლარისას ყოფილი პედაგოგი, ამჟამად მეუღლე – თენგიზ გაჩეჩილაძე, – ძალიან ნიჭიერი მოსწავლე იყო, ვარჯიშის დაწყებიდან სამი თვის შემდეგ უფრო ძლიერ ჯგუფში გადავიყვანე. ხუთი თვის შემდეგ, კონკურსშიც მივაღებინე მონაწილეობა. იმ პერიოდში ტკლევითით სამეჯლისო ცეკვების შესასწავლ გადაცემას უძღვებოდი და ლარისა ჩემთან წავიყვანე. ალბათ, ცეკვისადმი უზომო სიყვარულმა და დიდმა ნებისყოფამ განაპირობა ის, რომ ლარისას სტუდია არ მიუტოვებია. იგი უკვე პროფესიონალი მოცეკვავე იყო და პარტნიორობა შევთავაზე, შემდეგ კი ცოლობაც“.<sup>24</sup>

1975 წლიდან ელექტროვაკონშემკეთებელ ქარხანასთან არსებული სტუდია თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძებს გადაქვთ თვიცერთა სახლში, შემდეგ კი ს. ორჯონიშვილის სახელიდის გაულტურის და დასვენების ახლანდელ, „მუშტაედის“ პარკში და დღემდე იქ მორვაწეობენ.

ამავე წლიდან ქალბატონი ლარისა ბატონ თენგიზთან ერთად კითხულობს ლექციებს ყველა ზემოთ ხსნებულ სასწავლებელში.

2005 წლის 5 იანვარს, თბილისის ქ. თაყაიშვილის სახ. კულტურისა და ხელოვნების სახელმწიფო უნივერსიტეტმა მათ მიანიჭა დოცტორის ხარისხი. ხოლო 2006 წლიდან ისინი არინ ასოცირებული პროფესორები საქართველოს შოთა რუსთაველის სახელობის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტში.

ლარისა გაჩეჩილაძე 1991 წლიდან არის „საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციის“ გენერალური მდივანი. 1992 წლიდან მიენიჭა საერთაშორისო კატეგორიის მსაჯის წოდება.

**თენგიზ და ლარისა გაჩეჩილაძეები** პარტნიორები არიან როგორც ცეკვაში, ასევე ცხოვრებაში. მათ ლამაზ ოჯახში ყველა ცეკვაც.

უფროსი შვილი შორენა, თავის მეუღლესთან გოჩა ჩერტკოვათან და შვილ ლევანთან ერთად 1992 წლიდან ცხოვრობს და მოღაწეობს აშშ-ში (ქ. დალასი). შორენა გაჩეჩილაძე და გოჩა ჩერტკოვი არიან საერთაშორისო კატეგორიის მოცეკვავები, ტურნირ „ამომავალი ვარსკვლავის“ თოთხმეტი გზის გამარჯვებულები. ამერიკის საზოგადოების მაღალ წრეებში ისინი სასურველ და მიღბულ სტუმრებად ითვლებიან. აქვთ სტუდია, სადაც უამრავი მსურველი სწავლობს სამეჯლისო ცეკვებს.

ორი ვაჟიდან: უფროსი, გიორგი, სწავლობს თბილისის დიპლომატიურ აკადემიაში, არის საერთაშორისო კატეგორიის მოცეკვავე, უამრავი ტურნირის პრიზიორი.

უმცროსი ვაჟი, რატი, მე-11 კალის მოსწავლეა, სწავლობს თბილისის №1 კლასიკურ გიმნაზიაში. არის საქართველოს ჩემპიონი, კავკასიის თასის მფლობელი სხვადასხვა საშინაო თუ საერთაშორისო ტურნირების პრიზიორი.

მათი მეოთხე შვილი – თელა, რომელმაც უკვე მრავალი თაობა დააფრთიანა.

**თელა** საქართველოში ძალიან იშვიათი და ლამაზი ხეა, თენგიზისა და ლარისას ინიციალებიცაა. 1979 წლიდან იგი ფუნქციონირებს „მუშტაედის“ ბაღში. სტუდიასთან არსებობს ანსამბლი, რომელიც ასევე თელას სახელს ატარებს.<sup>25</sup>

1986 წლის აპრილში მოსკოვში „კრილია სოვეტოვის“ სპორტულ დარბაზში, კულტურის სამინისტრომ მოაწყო სამეჯლისო ცეკვების პირველი საკავშირო ფესტივალი. კონკურსის პროგრამაში იყო ოთხი ნომერი: საბჭოთა ქორეოგრაფიის საფუძვლებზე შექმნილი, ლათინო-ამერიკული სამეჯლისო ცეკვები, ევროპული და ორიგინალური პოპულები. 24 ანსამბლი იყო წარდგენილი ფესტივალზე და აქვთ ანსამბლმა „თელა“ ბრინჯაოს მედალი დაიმსახურა.

ამავე წელს თელას მიენიჭა სახალხო ანსამბლის წოდება.<sup>26</sup>

სტუდიაში ბავშვებს 7 წლიდან იღებენ, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით: პატარებს – 7-დან 10 წლამდე, მოზარდებს 11-დან 15

წლამდე და უფროსებს – 16 წლის ზემოთ. სტუდია მუშაობს სექტემბრიდან ივლისს ჩათვლით.

წლის ბოლოს ტარდება კურსიდან კურსზე გადასასვლელი და გამოსაშვები გამოცდები. ოთხი კურსის დაწურვის შემდეგ, მოცეკვავე იღებს სტუდიის დიპლომს.

დამწყები მოცეკვავის საკონკურსო პროგრამა 10 ცეკვას მოიცავს. წლის განმავლობაში მოცეკვავე იღებს ჩათვლის წიგნაცს. მისი მფლობელი საქართველოს სპორტცეკვების ეროვნული ფედერაციისა და (GNDSF) და სპორტცეკვების საერთაშორისო ფედერაციის (IDSF) წევრი ხდება.

სტუდია „ოელაში“ უკვე უამრავი ასეთი მოცეკვავე და ცნობილი პედაგოგი აღიზარდა. ზოგი მათგანი საზღვარგარეთ მოღვაწეობს, ზოგიც საქართველოში აგრძელებს თავის კარიერას. ესნია: შორენა გაჩეჩილაძე, გოჩა ჩერტკოვი, ნუნუკა აზმაიფარაშვილი, ეკატერინე და ზურაბ მეტრეველები, ლენე და გიორგი ორველაშვილები, რუზანა და ბორის ოდიგაძები, სალომე ლომსაძე, დავით კულუმბეგაშვილი, ია კვირიკშვილი, თათული გოგიშვილი, გიორგი ტაბატაძე და სხვები. მათ შესახებ უკვე ცალკე შეიძლება ძალიან ბეჭრი ითქვას და დაიწეროს.

თენის და ლარისა გაჩეჩილაძები დღესაც დიდი ენთუზიაზმით, თავისი საქმის უზომო სიყვარულით, ასწავლიან და ზრდიან მოცეკვავებს. თენის მონა-მორჩილიც ამ მოცეკვავების რიგს განეკუთვნება. არ ვიცი რამდენად გავამართლებ ჩემი პედაგოგების შრომას, მაგრამ ამჟად ეს შემიძლია ვთქვა: მათ ძალიან შემაყვარეს სამეცნიერო ცეკვები და ის ფაქტი, რომ 2008 წლის დეკემბერში საერთაშორისო კონკურსზე „საახალწლო თბილისი-2008“ I ადგილის მფლობელი გავხდი „8 ცეკვა დიდების“ ქვეჯგუფში, ეს ამ სიყვარულის ნაყოფია. დღი მაღლობა თენის და ლარისა მასწავლებელს ამ სიყვარულისთვის, მათი შრომისა და საქმიანობისთვის!!!

1. გაზეთი: „ლელო“, 1990 წლის 23 იანვარი.
2. გაზეთი: „ლელო“, 1990 წლის 31 იანვარი.
3. გაზეთი: „ლელო“. 1990 წლის 31 იანვარი.
4. იხ.: გაზეთი: „თბილისი“. 1975 წლის 28 თებერვალი.

5. იხ.: გაზეთი: „კომუნისტი“. 1975 წლის 14 თებერვალი.
6. იხ.: გაზეთი: „ЗАРЯ ВОСТОКА~ 1975 Г. 8 Июня.
7. იხ.: გაზეთი: „თბილისი“. 1976 წლის 19 აპრილი.
8. იხ.: გაზეთი: „ლელო“. 1977 წლის 18 ივნისი.
9. იხ.: გაზეთი: „ახლოგაზრდა კომუნისტი“ 1978 წლის 25 ივნისი.
10. იხ.: გაზეთი: „Вечерний Тбилиси~ 1980 Г. 13 марта.
11. იხ.: გაზეთი: „თბილისი“ 1982 წლის 30 მარტი.
12. იხ.: გაზეთი: „თბილისი“ 1984 წლის 2 აპრილი.
13. იხ.: გაზეთი: „Вечерний Тбилиси~ 1985 Г. 19 апреля.
14. იხ.: გაზეთი: „ЗАРЯ ВОСТОКА~ 1988 Г. 12 февраля.
15. იხ.: გაზეთი: „თბილისი“ 1990 წლის 14 ნოემბერი.
16. იხ.: გაზეთი: „ქუთაისი“. 1991 წლის 14 ნოემბერი.
17. იხ.: გაზეთი: „ერი“ 1992 წლის 3-9 ივნისი.
18. იხ.: გაზეთი: „საქართველოს რესუბლიკა“ 1994 წლის 7 იანვარი.
19. იხ.: თ. გაჩეჩილაძე „კავკასიის თასი – 97“ – პროგრამა.
20. იხ.: გაზეთი: „პრომონია“ 2002 წლის 18.09.-02.10.
21. იხ.: გაზეთი: „აქცენტი“. 2003 წლის 8-10 აგვისტო.
22. იხ.: „ქალის საიდუმლო“ №3.
23. იხ.: „ქალის საიდუმლო“ №3.
24. იხ.: „ქალის საიდუმლო“ №3.
25. იხ.: „ქალთა გაზეთი“ 1997 წლის ივნისი.
26. იხ.: გაზეთი: „თბილისი“ 1986 წლის 20 მაისი.

ექა გელიაშვილი  
მაგისტრატურის II კურსი  
ხელმძღვანელი - ანანო სამსონაძე

## „სართულებიანი“ ფერხულების სიმბოლიკა (ქართული ნიმუშების მაგალითზე)

სართულების პრინციპით აგებული, უნიკალური ფორმის, წრიული იარუსებიანი ფერხული გავრცელებული იყო თითქმის მთელ საქართველოში.

ქართლში მას „ზემყრელოს“ უწოდებდნენ, რომლის სინონიმია „ორსართულა“, ჯავახეთში – „სამყრელოს“ (ან „ციხებუნა“), რაჭაში გახვდება – „მაღლა მთას მოდგა“, ხევში – „აბარბარე“, თუშეთში – „ქორბელელა“, სვანეთში – „მირმი(ნ) ქელა“. „ორსართულიანი ფერხულის“ სახელწოდებით შემორჩა ქართულ საცეკვაო ფოლკლორს გურული ფერხული, რომელიც ცეკვა „ხორუმის“ კომპოზიციის ერთ-ერთ ნაწილშიც გვხვდება. როგორც პროფესორი ლ. გვარამაძე აღნიშნავს, ამ ფორმის ფერხული, გავრცელებული ყოფილა იმერეთში სახელწოდებით „მაღლი მახარობელსა“. მის ტექსტში გახაფხულისა და ზამთრის ბრძოლა ასახებოდა.<sup>1</sup> ასევე არსებობს ცნობა, რომ „ვახტანგ გორგასლის ფერხული“, რომლის გავრცელების არეალი ძირითადად აღმოსავლეთ საქართველოა, იმერეთშიც სცოდნიათ და იქ ეს სიმღერა მრავალ სართულიანი ფერხულის აყოლებით სოულდებოდა.<sup>2</sup>

აღსანიშნავა, რომ ამ ფერხულთა ზოგიერთი ნიმუში დღესაც გვხვდება ქართველთა ყოფაში. მაგალითად, „სამყრელო“,<sup>3</sup> „ზემყრელო“<sup>4</sup> და „ქორბელელა“, რომლის თვითმხილველი თავად გახლდით 2005 წელს, ხატობის დროს, თუშეთის სოფელ ხახაბოში.

მსგავსი სტრუქტურული ფორმის ფერხულს ვხვდებით მეზობელი კავკასიელი ტომების ცეკვებში, როგორიც არის ოსური „ნართონ სიმღი“,<sup>5</sup> ასევე – სკანდინავიაში, ალპებზე და ბალკანეთის ნახევარკუნძულზეც.<sup>6</sup>

სართულებანმა ფერხულებმა მრავალი მეცნიერი დააინტერესა. მას იკვლევინებ: კ. ბარდაველიძე,<sup>7</sup> დ. ჯანელიძე,<sup>8</sup> ა. თათარაძე,<sup>9</sup> ლ. გვარამაძე,<sup>10</sup> ამ ფორმის ფერხულებს ეხებიან და აღწერენ: რ. ერისთავი,<sup>11</sup> გ. სვანიძე,<sup>12</sup> ბ. ნიუარაძე,<sup>13</sup> პ. უმიკაშვილი,<sup>14</sup> თ. მამალაძე,<sup>15</sup> ი. ქავთარაძე,<sup>16</sup> ა. წულაძე,<sup>17</sup> ს. მაკალათია,<sup>18</sup> გ. ცოცანიძე,<sup>19</sup> ხ.

მაისურაძე<sup>20</sup> და სხვანი. ფერხული „ზემყრელი“ განხილულია „ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშიც“.<sup>21</sup>

მკვლევართა მიერ წარმოდგენილ აღწერებში სართულებიანი ფერხული იგება წრიულად, მხოლოდ მამაკაცების მიერ და ორი, ზოგჯერ კი, სამი სართულის ფორმას იღებს. ფერხული წრის ტრიალით სრულდება და იგი მგზავრულია, ანუ, გზად მავალნი ასრულებენ. ფერხულის როტული კონსტრუქციიდან გამომდინარე, მასში მონაწილეობა ფეხის მოძრაობა პრიმიტიულია. ძირითადად ვწვდებით ფეხის მიღმით სვლას წრეზე. შემსრულებელთა რაოდგომა შეზღუდული არაა. მისი სიმღერა ძირითადად ორპირულია. მიუხედავად ამ ფერხულთა განსხვავებული შინაარსისა, მისი სტრუქტურული ფორმა ყველგან ერთნაერია. ამ ფერხულთა დასასრული ხშირად გულისხმობს ზედა სართულების ქვედა სართულის მონაწილეობაგან ჩამოყრას. განსხვავებას წარმოადგენს ფერხული „მაღლა მთას მოდგა“, „ზემყრელოს“ რამდენიმე ვარიანტი (ზედა სართულის მონაწილენი ძირს თავად ხტებიან) და თუშური „ქორბელელა“, რომლის წაქცევაც ცუდის მანიშნებელი იყო.

„ქორბელელას“ დასასრულის შესახებ, ჩვენ მიერ მოპოვებულ ყველა მასალაში, ერთხმად აღინიშნება, რომ იგი აუცილებლად დაუშლელად უნდა მისულიყო საკულტო ადგილამდე. მისი შეგნებულად არევა და შემსრულებელთა ჩამოყრა ყოვლად დაუშვებელი იყო. როგორც ვ. ბარდაველიძე გადმოგვცემს, „ქორბელელაზე“ თუში თავის მომავალს იკვლევდა: „თუ ქორბელელა იქცეოდა და სიმღერა ირეოდა, მაშინ საქონელი და ადამიანი დაგეხსნულებაო და პირიქთო...“<sup>22</sup> იმავე ცნობას გვაწვდის ს. მაკალათია,<sup>23</sup> გ. ცოცანიძე<sup>24</sup> და ნ. მაისურაძე.<sup>25</sup>

სართულებიანი ფერხულების სიმბოლურმა შინაარსმა მეცნიერთა შორის აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვა. ქორელოგი ავთანდილ თათარაძე განმარტავს, რომ ასეთი წყობის ფერხულები საბრძოლო შინაარსისაა. ერთმანეთის მხრებზე ასევე ერთგვარი ხერხია სიმაგრის გალავნის გადასაღასად და მას, მშვიდობიანობის პერიოდში, მებრძოლთა გავარჯიშების დანიშნულება გააჩნია.<sup>26</sup>

განსხვავებული აზრი წარმოაენა ვერა ბარდაველიძე.<sup>27</sup> მან თუმური „ქორბელელა“ სიცოცხლისა და ნაყოფიერების ხის შესახებ დამადასტურებელ წყაროდ გამოიყენა და დაადგინა, რომ სწორედ ასეთი ხე იგულისხმებოდა „ქორბელელას“ ტექსტში. ლილი გვარამაძე აღნიშნავს, რომ: „სამსართულიანი ფერხული შორეულ წარსულში

ბუნებაზე მაგიური ზემოქმედების ხასიათს ატარებდა“<sup>28</sup> მაგრამ, სვანურ „მირმიქელაზე“ და „ზემყრელოზე“ საუბრისას მკვლევარი მიუთითებს, რომ იგი საბრძოლო ხასიათისაა.<sup>29</sup> ამდენად, მკვლევარი მხოლოდ ცალკეული ფერხულის საკულტო დანიშნულებაზე საუბრობს, მსგავსი ფორმის ფერხულებს კი მიმოიხილავს როგორც საბრძოლო ან გასართობ საშუალებად.

ქართლის კასრაძე სამსართულა ფერხულს მზის სიმბოლიკის დემონსტრაციად მიიჩნევს.<sup>30</sup> მზეს უკავშირებს გურულ ფერხულს აპოლონ წულაძეც, ნაშრომში „ეთნოგრაფიული გურია“<sup>31</sup>

სანტერესოა, რამ განამიღობა ამ იდენტური ფორმის ფერხულთა შინაარსის ასეთი ვარაციებით არსებობა? სანტერესოა ეს ფერხულები ნამდვილად ციხე-გალავნების გადასალახ საწვრთნო-საგარეჭომო დანიშნულებას ატარებდნენ, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი მიიჩნევს? ვგონებთ, საფერხულო ტექსტებში აქა-იქ გაბნეული სიბოლური მინიშნებები ნათელს მოჰყენებ ამ შეკითხვებს.

ი. ქავთარაძისა<sup>32</sup> და აღ. ყაზბეგის<sup>33</sup> მიერ გადმოცემულ „აბარბარეს“ საფერხულო ტექსტში ბარბარეს რაღაცის ჩამოყრას და გადმოყრას ევედრებიან. სავარაუდოა, რომ მას ზემოდან ქვემოთ ბარაქისა და ნაყოფის საკეთილდღეოდ წვიმის მოსვლას შესთხოვდნენ. ამას ადასტურებს ბარბარეს მიმართ მიმართული თხოვნაც, რომელიც კახეთში, სიღნაღის რაიონის სოფელ ზემო მაჩხანში, 1962 წელს ჩაწერილ ტექსტშია (მთქმელი ნ. ბიბილაშვილი) ნათქვამი: „ა, ბარბარე, ბარბარე, ცხრა ღრუბელი შავყარე. ჩამოუშვი წვიმა, ჩამოუძეს წინა. აღარ გვინდა გორახი, ღმერთო, გვინდა ტალახი!“<sup>34</sup>

ჩვენს ყურადღებას იპყრობს ტექსტში ნახსენები ა-ბარბარე. მზე შუმერულ ენაზე წარმოითქმებოდა, როგორც ბარბარ. აკადემიკოს ივ. ჯავახიშვილისა<sup>35</sup> და გ. ბარბარელიძის<sup>36</sup> სპეციალური კვლევის შედეგად დადასტურდა ქართული მზექალის ბარბარესა და შუმერული მზის ღვთაების „ბარბარის“ იდენტურობა. იგი, ერთი მხრივ, მიჩნეული იყო შინაური ცხოველების უზენაეს პატრონად, ასევე ქალთა მფარველად, სიცოცხლის, სითბოს, ნაყოფიერების მინიჭებლად ხოლო მეორე მხრივ, მოსავლიანობის მფარველად. როგორც გ. ჩიტაა ასკნის, „მესაქონლეობის ღვთაებათა უუნქციები, მზეს, როგორც მოსავლიანობის ბატონ-პატრონს, მიწათმოქმედების ხანის უმველეს ღვთაებას, გაზიარებული აქვს და მის გამგებლადაც ითვლება“<sup>37</sup>.

აღსანიშნავია, რომ ბარბალიბამ სვანეთში დღემდე მოაღწია სიმღერა „ბარბალ დოლაშის“ სახელწოდებით.<sup>38</sup> იგი სრულდებოდა უქმე დღეებში ქალ-ღვთაება ბარბალესა და ლამარიას სახელზე. თოვლის კოშკის აგების შემდეგ, მის წინ მუხლს მოიყრიდნენ და ბარბალეს მოსავლის სიუხვესა და გამარჯვების მოპოვებას ევედრებოდნენ.

**მურყვამობის დღესასწაულზე,** რომელიც ნაყოფიერების ღვთაება კვირიასადმი იყო მიძღვილი, თოვლის კოშკის წაქცევით არკვევდნენ მომავალი წლის მოსავლის ბედს. გარდა ამისა, ხე ჩატანებული თოვლის კოშკის ნგრევა, სიმბოლოა ზამთრის აღსასრულისა. როგორც ელ. ვირსალაძე გადმოგვცემს, მურყვამობის ღროს მაღალ კოშკზე იმართებოდა ორსართულიანი ფერხულიც, რომელიც ბეთქილის უკანასკნელი სურვილის მოსაგონებლად სრულდებოდა.<sup>39</sup>

ლ. იოსელიანის აღწერით სვანური მირმინქელა – სვითზე, წმინდა ცაცხვთან სამჯერ თორმეტმა მამაკაცმა ჩაახა.<sup>40</sup>

სვანური სართულებიანი ფერხულის თაობაზე სანტერესო ცნობას გვწივდის მსოფლიო ეკოლოგიური აკადემიკოსი, ფსიქოლოგი ლეონიდ კიტავ-სმიტი.<sup>41</sup> რიტუალურ ფერხულზე საუბრისას იგი აღინიშნავს, რომ ქრისტიან სვანებთან დღესასწაულზე სტუმრობისას თავად გამხდარა მოწმე, თუ როგორ ასრულებდნენ თორმეტ-თორმეტი მამაკაცი სამ სართულად ფერხულს. მისი შეკითხვასთვის, თუ რას უნდა ნიშნავდეს ეს ფერხული, სვანებს უპასუხათ: შენ თუ ჩვენს ეკლესიაში ნამყოფი ხარ, შეამჩნევდი იარუსებს, სადაც 12 ეპისტოლება გამოსახული. აქ ცეკვავენ ისინი. მათი საუბრის მოსმენისას მეორე სვანი ჩართულა და უთქვამს, რომ ზედა რიგი, ეს მთის არწივებია, ზეციური სული; მეორე – მთის ცხვრები, მთის სული, ხოლო მესამე – ჩვენი ხარება, რომლებიც მიწას ხნავენ.

სართულების ამგვარად განლაგებას მკვლევარი უკავშირებს სოციალურ და ტომობრივ იერარქიას. ჩვენ კი ვვარაუდობთ, რომ ამ ცნობაში კოსმოგონიურ იერარქიაზეა საუბარი. ვფიქრობთ, რომ სვანი ზედა წრეში, ზეციურ სულში გულისხმობდა ზეცას და იქ არსებულ ღვთაებებს, მეორეში – მთებში – ზეცასა და მიწას შორის არსებულ ფეხას, ხოლო ქვედაში – მიწას. ამის გარდა, აღსანიშნავია, რომ ფერხულში შემსრულებელთა თორმეტკაციანი რგოლი

საკრალურობის მანიშნებელია, რომელიც ხშირად ფიგურირებს ქართულ საფერხულო ცეკვებში.

როცხვი თორმეტი – ეს არის უძაღლესი წესრიგის, სისრულის და კეთილდღეობის განსახოვნება. მისი საშუალებით სტრუქტურულად ღავდება სივრცე და დრო. იგი ასევე დაკავშირებულია წრესთან და ბორბალთან.

ფერხულის საწყისი ფიგურა წრე კი, როგორც ასტრალური ღვთაების მონოგრამა, აღნიშნავს მის სრულყოფილებას და მარადიულობას. იგი უძველესი მისტიკური სიმბოლოა, რომელიც ტრადიციულად ცას გამოხატავს. ერთმანეთში ჩასმული რამდნიმე წრე კი – კოსმოსის.<sup>42</sup>

ჩვენთვის საინტერესო მასალას ვხვდებით ასევე „ზემყრელოს“ ტექსტშიც.<sup>43</sup> მასში ნახსენები პური, ქერი და თხოვა უზენაესისადმი ნაყოფიერების ღვთაებასთან კავშირს ამჟღავნებს. აქ ნახსენები სიტყვა თოვლი და მზე კვლავ შეგვახსენებს ზამთრის დასასრულსა და ბუნების გამოცოცხლებას.

სართულებიანი ფერხულების კოსმოგონიურ სიმბოლიკაზე საუბრისს მინდა, ყურადღება შევაჩერია ასევე ფერხულ „ზემყრელოს“ სახელწოდებაზეც. ვარაუდობთ, რომ ქვე- და ზე- მყრელო მხოლოდ ზემოდან ქვემოთ ჩამოყრის მნიშვნელობით არ არის ნახმარი, როგორც ეს ზოგიერთი ფერხულის შესრულების აღწერიდან იკითხება. ენათმეცნიერთა განმარტებით,<sup>44</sup> ტერმინი ზემყრელო ნიშნავს – ზემოთ და ქვემოთ შეყრილ და ხელგაყრილ (ხელგადახვეულ) შემსრულებელთა არსებობას საფერხულო ცეკვაში.

ყურადღებას იქცევს ქართველთა წარმოდგენები გარესამყაროს შესახებ. სივრცე როგორც ვერტიკალურ, ისე ჰორიზონტალურ ჭრილში რამდენიმე ერთეულად იყოფა და ძირითადად გამიჯნავს კაცთა, ღვთაებათა და სულთა საუფლოს. მსგავსი წარმოდგენები შენახულია დაპირისპირებაში „ზე“ და „ქვე“, რომელიც ცოტრისა და მიწიერის დაპირისპირებას გულისხმობს. ქართველთა წარმოდგენები სამყაროს ვერტიკალურ ღერძზე არსებული „ზესკნელი“, ანუ, ცის სამყარო, ღვთაებათა საპრძნისია. როგორც ი. სურგულაძე განმარტავს: „ქვე მის საპირისპირო მნიშვნელობას ატარებს. როგორც კოსმოსის ნაწილი, იგი დაბლა სამყაროს უნდა უდრიდეს, რომლის თაყვანისცემა მიწის, ნაყოფიერების კულტის სახით დამოწმებულია ქართველთა რიტუალურ პრაქტიკაში.<sup>45</sup>

ქართველთა კოსმოგონიური თვალთაზედვით თუ ვიმსჯელებთ, სახელწოდება „ზემყრელო“ კოსმიურ სიმბოლიკას უკავშირდება. ყოველივე ეს გვაფიქრებინებს, რომ ფერხულის ზედა - ქვედა სართულები ცასა და დედამიწას უნდა ასახავდეს.

აქვე აღვინიშნავ, რომ დ. ჯანელიძეს ფერხული „სამყრელო“ რიტუალურად მიაჩნია. მისივე ცნობით, მესხეთში, სოფ. უდეს „ბერობანაში“ ბოლო დრომდე ასრულებდნენ სამსართულა „სამყრელოს“.

გ. ცოცხანიძის მიერ მოწოდებული ცნობით „ქორბელებას“ სიმღრის ტექსტში ვხვდებით შემდეგ ფრაზებს: „...ხე აღვად ამოსულიყო“, „ხედა მოსხიყო ყურძენი“..., ასევე „ყმათაღ უმატე გიორგი, ცხვარსაღ უმატე, გიორგი, პურსაღ უმატე, გიორგი...“<sup>46</sup> და სხვ.

„ქორბელებას“ ტექსტის მსგავს ვარიანტს გააწილებს პროფესორი ვერა ბარდაველიძე.<sup>47</sup> მისი გამოკვლევით, საწესო საფერხულო სიმღერათა ვარიანტებში აღბეჭდილია მოსავლიანობისა და გამრავლების მფარველი სათემო ღვთაებების ე.წ. ღვთისშვილებისადმი მიმართვა.

გ. ცოცხანიძე „ქორბელებას“ სხვა ვარიანტის არსებობაზეც მიუთითებს, სადაც ფინალი განსხვავებულია: „შულტა ხატის ყორეზე ლუდიან ტიკს დადგებს. „ქორბელებას“ დაშლისთანავე შველა მონაწილე ამ ტიკს მაიშურებს. ვინც მოასწრებს და ამ ტიკს მოიტაცებს, იგი მისია, ის ასმენს მექორბელელავეებს გამარჯვებისას“<sup>48</sup> აღსანიშნავია, რომ ფერხულის ფინალში ლუდიანი ტიკის მოპოვება ერთგვარად სიმბოლურია. ლუდი ფიგურირებს გ. ცოცხანიძის მიერ მოპოვებულ „ქორბელებას“ სხვა ტექსტშიც: „პურსაღ უმატე, გიორგი, თუ გინდან კოდნი სამსვენი“. ლუდის არსებობა დასტურდება ასევე მოხეური „აბარბარეს“ ტექსტში და კომპოზიციაშიც. ფერხულის წრეში ერთი შემსრულებელი დგას და ლუდით უმასპინძლდება.<sup>49</sup>

ლუდი ქართველ მთიელთა ყოფაში საკულტო სასმელი იყო და მისი რელიგიურ რიტუალში არსებობაც გასაკვირი არაა. აღმოსავლეთ საქართველოს მთიელებისთვის იგი, როგორც საკულტო სასმელი, რელიგიურ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა.

ამრიგად, ჩვენ მიერ მოპოვებულ მასალებში თვალნათლივ იკვეთება კოსმოგონიური სიმბოლიზმისა და ნაყოფიერების კულტის კვალი. ვგარაუდობთ, რომ თავდაპირველად

სართულებიანი ფერზულები საქართველოში მიძღვნილი იყო ასტრალური სიმბოლიკით შემკული, მიწის, როგორც ნაყოფიერების დედაღვთაების, მზისადმი პატივსაცემად. ჩვენ არ უარვეოფთ დღემდე მოღწეული სართულებიანი ფერზულების ტექსტებში საბრძოლო ხასიათის არსებობას, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ეს უფრო გვიანი პერიოდის შესული უნდა იყოს, როდესაც კულტმა მნიშვნელობა და შესაბამისად, ფერზულმაც რიტუალური დატვირთვა დაკარგა.

განსახილველ ფერზულთა წრიული, სართულებიანი ფორმა ციხე-კოშკს მოგვაგონებს. **კოშკი** ქართველთა ყოფაში საკმაოდ გავრცელებული სტრუქტურული ნაგებობაა და მისი, როგორც საკულტო ნაგებობის დანიშნულების შესახებ, არაერთი ცნობაა დაცული მატერიალურ-კულტურულ ძეგლებში. მისი სიმბოლური დატვირთვა ჩვენი წინაპრების წინაქრისტიანულ რწმენა-წარმოდგენებში უნდა ვეძიოთ.

კოშკი ნახსენებია ცნობილ ამირანის ეპოსში, სადაც ყამარის უკარო, ცაზე დაგიდებულ კოშკზეა სუბარი. კოშკი ასევე ხშირად გვხვდება ქართულ ხალხურ ზღაპრებში, სადაც მზეთუნახავი ლამაზმანები არიან გამომწყვდეულნი. ციხე-კოშკმა სულეთზე არსებულ ფშავ-ხევსურთა წარმოდგენებშიც პოვა გამოხატულება. ხალხის რწმენით, სულეთში არსებულ ციხემდე მიღწეული სულები ყოველდღი ასრულებდნენ მის გარშემო ცეკვას.<sup>50</sup> საინტერესო მასალაა დაცული ლეგნდაში კოპალის სალოცავის დაარსების შესახებ,<sup>51</sup> საიდნაც ირკვევა, რომ ახალგაზრდა ქალ-ვაჟს კარატის წვერზე ციდან დაშეგებული თასი და ვერცხლის ჯაჭვი შეუნიშნავთ, რომელიც იმავე ადგილას მიწაში ჩაუჟღავთ და ზედ პატარა კოშკი, ლიქოქში კი სამლოცველო აუშენებიათ. ამდენად, კოშკი ზეციურ სამყაროსთან პირდაპირ კავშირშია. ის სიმბოლოა ღვთიური ნივთების სადგომისა და ამ შემთხვევაში მას არანაირად საბრძოლო დანიშნულება არ გააჩნია.

ამავე მნიშვნელობით განიხილავს ო. სურგულაძე კოშკს, რომელიც ჩისა და ამ უძველესი ნაგებობის სიმბოლიკის კოსმოგონიურ ბუნებაზე მიუთითებს.<sup>52</sup>

ვ. ითონიშვილი კოშკის შესახებ წერს: „მოხევეები საცხოვრებლად, მარაგის შესახად, საქონლის სადგომად და თავის დასაცავად იყენებდნენ კოშკური მოყვანილობის მრავალსართულიან სახლებსაც. ციხე-სახლები ხვის ყველა სოფელში მდგარა“<sup>53</sup> ერთ-ერთი ასეთი

კოშკის ბანზე, ოთხივე კუთხეში, ხელოვნურად გამოთლილ მრგვალ ქვეზე ჯიხვის რქები ყოფილა დაწყიბილი.

ყურადღება მივაქციოთ სიტყვებს, კოშკური მოყვნილობის მრავალსართულიანი სახლი, ასევე მრგვალი ქვა (მრგვალი – ასტრალური სიმბოლო) და მასზე ჯიხვის რქები – ნაყოფიერების სიმბოლო. დამეთანმებით, ასეთი სიმბოლიკით მორთული კოშკი საკულტო ნაგებობის იერს იღებს და უდიდეს მსგავსებას ავლენს ჩვენს საკულტე ობიექტთან.

მეცნიერი გ. ჩიტაა მიუთითებს, რომ კოშკი დამახასითებელია სვანური სახლისთვის, რომელსაც სვანურად ქორ ეწოდება.<sup>54</sup> სვანური ქორ ორი სართულისაგან შედგება. ავტორი იქვე აღნიშნავს, რომ მისი შესწავლისას აუცილებელია, ყურადღება მიექცეს მის არა მხრივ ყოფით და საბრძოლო, არამედ რელიგიურ დანიშნულებასაც. ამდენად, გ. ჩიტაა მიუთითებს ქორის საკულტო დანიშნულებაზე.

ალბათ, არც ის არის შემთხვევითი, რომ სვანურად სახლს ქორ ეწოდება და თუშეთში არსებულ ორსართულიან ფერზულს კი – „ქორ-ბეღელა“, ანუ, ორსართულიანი სახლი ან კოშკი ბეღლით.

ცნობილია, რომ ქართველ მთიელთა სალოცავებში დროშა მთავარ საკულტო შენობაში „ბეღელში“ იყო დასვენებული. არსებობდა სპეციალური ნაგებობა, „დროშათ საბრძანი კოშკი“,<sup>55</sup> სადაც დროშას ამაგრებდნენ დღესასწაულებისას. აღნიშნულ ცნობაშიც კოშკი წმინდა ნივთების, კერძოდ კი, დროშის დროებით სადგომად გვვლინება. რაც შეეხება მის მუდმივ სამყოფელს, ის ბეღლია.

ქორბეღლა ორი სიტყვისაგან შემდგარი კომპოზიტია, გამარტავს ი. აბულაძე. ქორი ძველ ქართულში ზედა სახლს, ზედა სართულს ნიშნავს, ხოლო ქორვედი ქორიანს, ზედა სართულიანს.<sup>56</sup> ბეღელი – სიუხვის სიმბოლო, ქორბეღლა კი სახლის სიუხვის, საქონლის გამრავლების და მოსავლიანობის სიმბოლო.

„ქორბეღელა“ რომ რიტუალური ფერზულია და მას ნაყოფიერების კულტთან კავშირი აქვს, თითქმის ყველა მკვლევარი ერთხმად აღიარებს. ის, როგორც საწესო ფერზული, მკაცრად დაცული რიტუალობით ვლინდება და მასში უფრო სრულადა შემონახული საკულტო მსახურების კვალი, რასაც ვერ ვიტყვით სტრუქტურულად ანალოგიურ ფერზულებზე. მაგრამ ფაქტია, რომ მსგავსი ფორმის სხვა ფერზულებიც თავისი ასტრალური სიმბოლიზმით, პირდაპირ

უკავშირდებან ნაყოფიერების საწყისს – მზეს, რაც მტკიცდება მათ სტრუქტურულ ფორმაში, სახელწოდებაში და ტექსტობრივ მასალაში შემორჩენილი ნიშნებით:

1). მოხეური ფერხულის „აბარბარეს“ სახლების პირდაპირ მოუთითებს მოსავლიანობის მფარველ მზე-ქალ ბარბარესთან კავშირის შესახებ. ფერხულის ქვეტაშვილიან იკათხება, რომ ღვთაება ბარბარეს ბარაქისა და ნაყოფის საკეთილდღეოდ წვიმის მოსვლას შესთხოვდნენ.

2). თუშური „ქორბელება“ სატში სრულდებოდა და მისი შესრულებისას თუში თავის მომავალს იკვლევდა. მისი რიტუალობა სასიმღერო ტექსტიდნაც ირკვევა. რაც შეეხება მის სახელწოდებას, „ქორბელება“ სახლის სიუხვის, საქონლის გამრავლების და მოსავლიანობის სიმბოლოა.

3). მნიშვნელოვნად მიგვაჩნია თუშურ და მოხეურ ფერხულებში ლუდის, როგორც საკულტო სასტელის, არსებობის ფაქტიც.

4). სვანური სართულებიანი ფერხული „მირმინქელა“ – სვიფზე, წმინდა ცაცხვთან სრულდებოდა. ზე კა როგორც უკვე აღვნიშვნთ, სიცოცხლის სიმბოლოა. ამის გარდა, ის კვირიას სადიდებელი რიტუალის ნაწილიც იყო. ასევე ვფიქრობთ, რომ ლეონიდ კიტავე-სმიგის სვანური ფერხულის შესახებ მიერ მოწოდებულ ცნობაში კოსმოგონიურ იქრარქიაზეა საუბარი.

5). ის ფაქტი, რომ მესხეთში, ნაყოფიერების რიტუალში, ბერიკაბაში, აჲამენ სამსართულა „სამყრელის“, კიდევ ერთხელ მიუთითებს ამ ფერხულების ნაყოფიერების კულტთან კავშირზე.

6). პროფესორი ლილი გვარამაძის განმარტებით, ფერხულის „მადლი მახარობელის“ ტექსტში გაზაფხულისა და ზამთრის ბრძოლა აისახებოდა.

7). აღსანიშნავია ასევე, რომ ფერხული „ზემყრელოც“ ნაყოფიერებისა და ციური ღვთაებისადმი მიძღვნილი, რაც დასტურდება როგორც ტერმინით, ასევე სასიმღერო ტექსტით. მასში ნახსენები პური, ქრისტიანობის მურყვამის სვანურ კოშკთან, რომელიც ნაყოფიერების ღვთაება კვირიასადმი იყო მიძღვნილი. ქართველთა კოსმოგონიური თვალთახედვით თუ ვიმსჯელებთ, სახელწოდება „ზემყრელო“ კოსმიურ სიმბოლიკას უკავშირდება. შესაძლოა, ფერხულის ზედა - ქვედა სართულები ცასა და დედმიწას ასახავდეს.


ერთიანი სიმბოლოს სხვადასხვა ვარიანტით გააზრებას, რაც ამ ფორმის ფერხულთა სხვადასხვაგვარ შინაარსობრივ დატვირთვას

გულისხმობს, შემდეგნაირად ავტინით: როგორც ჩანს, აქ საქმე გაფაქს სიმბოლოს, როგორც ერთიანი ნიშნის, იმ თვისებასთან, რასაც შინაარსის გამქრქალება, გაუფერულება ეწოდება. სავარაუდოდ, სიმბოლოს თავდაპირველმა შინაარსმა თავისი აქტუალობა დაკარგა და თანდათან მას სხვა, კერძოდ საბრძოლო შინაარსი, საბოლოოდ კი გართობა-თამაშობის სახელა შემორჩა. ფორმა კი როგორც მოგეხსენებათ უცვლელი დარჩა, რაც უცილობლად ასე იქნებოდა სიმბოლოს თვისებადან გამომდინარე.

იარუსებიანი ფერხულების სტრუქტურული ფორმა არა საბრძოლო არამედ, საკულტო დანიშნულების კოშკის სიმბოლოა (რის გამოც ზოგიერთი მკვლევარი შეცდომაში შეღის). ქართული ლეგენდებიდან და მითოსიდან ირკვევა, რომ კოშკი ზეციურ სამყაროსთან პირდაპირ კავშირშია. ამდენად, აღნიშნულ ფორმაში მისი ასტრალური სიმბოლიზმი იკვეთება.

სართულების პრინციპით აგებული წრიული ფერხულის სივრცითი განვერილობა (ვერტიკალური და ჰორიზონტალური ფორმა), მსგავსებას პორტოლის ქართველთა კოსმოგონიურ მსოფლმხედველობასთან. საკრაულოდ, ფერხულის ზედა - ქვედა სართულები ცასა და დედამიწას უნდა ასახავდეს. იგივე შეძლება ითქვას სამსართულიანი კომპოზიციის შემთხვევაშიც: ზესკნელი, სკნელი და ქვესკნელი. ჩვენი ვარაუდით, სართულებიანი ფერხული სამყაროს მოდელია, ქართველთა მიერ სამყაროს აღმის თავისებური მოდელი. იგი იმავდროულად ზე და ქვე სამყაროთა შორის, საკომუნიკაციო, დამაკავშირებელ ფუნქციასაც ასრულებდა, როგორადაც მოიაზრება ქართულთა მითოსში წმინდა ზე, დედაბომი და სხვ. ის ღვთაებათა სავალი კიბეა და შესაძლოა მათი მიწიერი სადგურის სიმბოლოც. ღვთაება კი ასტრალური სიმბოლიზაციით შემგული მიწის, საწყისის ღვდა - მზე – არის.

**სართულებიანი ფერხულის სტრუქტურული ფორმა  
სამყაროს მოდელია**



დასასრულს დავძენთ, რომ სართულებიანი ფერხულის სიმბოლური ფორმის ამგვარი გააზრება, რაც მის სამყაროსეულ მოდელად აღქმას გულისხმობს, პირველია და მსგავსი დეკოდირება ქართული ქორეოგრაფიის მკვლევართა არცერთ ნაშრომში არ არის.

1. ლ. გვარამაძე, ქართული საცეკვაო ფოლკლორი, მეორე გამოცემა, თბ., 1997. გვ. 24.

2. ქ. სიხარულიძე, ელ. ვირსალაძე, თ. ოქროშიძე, ქუთაისისა და ტყიბულის რაიონებში 1951 წლის სამეცნიერო-ფოლკლორული ექსპედიციის ანგარიში, ლიტერატურული ძიებანი, ტ. VIII, თბ., 1953. გვ. 398.
3. დ. ჯანელიძე, სახიობა, წერილების კრებული, წიგნი IV. თბ., 1990. გვ. 118-119.
4. ლ. გვარამაძე, ქართული საცეკვაო ფოლკლორი, მეორე გამოცემა, თბ., 1997. გვ. 22.
5. eufyjd V. Jctnbycrbt yfhjlyst nfyws. Cnfskbybhb. 1957. gv. 8-10
6. ckfybidbkb I. Yfhjlyfz nfycydfkmyfz vepsrf d c. 'Uhepbycrfz vepsrfkmyfz reknehf~. V. 1957. gv. 7
7. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სახულიერო ტექსტები: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნავ. I. ტფ., 1938. გვ. 7
8. დ. ჯანელიძე, სახიობა, წერილების კრებული, წიგნი IV. თბ., 1990. გვ. 8
9. იხ.: თათარაძე ავ. ქართული ხალხური ცეკვების მოქლე მიმოხილვა, თბ., 1974; ქრისტიანული ქრისტიანული ისტორიის საკითხები, თბ., 1999; ქართულ ცეკვათა განმარტებანი, თბ., 1986.
10. იხ.: ლ. გვარამაძე, ქართული საცეკვაო ფოლკლორი, მეორე გამოცემა, თბ., 1997.
11. იხ.: რ. ერისთავი, ფოლკლორულ ეთნოგრაფიული წერილები, გამოსაცემად მოამზადა, წინასიტყვაობა, შენიშვნები და კომენტარები დაურთო თ. ჯოგორქიშვილმა, თბ., 1986.
12. იხ.: გ. სვანიძე, ქართული ხალხური სიმღერები და თქმულებები, თბ., 1957.
13. იხ.: ბ. ნიურაძე (თავისუფალი სვანი), ისტორიულ-ეთნოგრაფიული წერილები, I. თბ., 1962.
14. იხ.: პ. უმიკაშვილი, ხალხური სიტყვიერება, ნაწ. I. თბ., 1937.
15. იხ.: თ. მამლაძე, სვანური საწესო სიმღერების სტრუქტურა. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, XVI-XVII, თბ., 1972.
16. იხ.: ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხევური დიალექტი, თბ., 1985.
17. იხ.: აბ. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1997.
18. იხ.: ს. მაკალაია, თუშეთი, თბ., 1983.
19. იხ.: გ. ცოცანიძე, გიორგიბიძან გიორგიბაძე (ეთნოგრაფიული ექსკურსები თუშეთის ახლო წარსულში), თბ., 1987; ფერხულები და სავერხულო სიმღერების ტექსტები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომები, ტ. I.
20. იხ.: ნ. მაისურაძე, ქართული ხალხური მუსიკა და მისი ისტორიულ ეთნოგრაფიული ასპექტები, თბ., 1989.
21. იხ.: გ. ცოცანიძე, ფერხულები და საფერხულო სიმღერების ტექსტები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომები, ტ. I.

22. გ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვ. I. ტფ., 1938. გვ. 9.
23. ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დაალექტი, თბ., 1985. გვ. 202.
24. იბ.: ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1997.
25. იბ.: გ. ცოცანიძე, გორგობაძან გორგობაძე (ეთნოგრაფიული ექსკურსები თუშეთის ახლო წარსულში), თბ., 1987.
26. ა. თათარაძე, ქართულ ცეკვათა განმარტებანი, თბ., 1986. გვ. 12.
27. ვ. ბარდაველიძე, სიცოცხლისა და სოების ხე ქართველთა სარწმუნოებაში, საქართველოს ეთნოგრაფიის საკითხები, XIV. თბ., 1968. გვ. 47.
28. ლ. გვარამაძე, ქართული საცეკვაო ფოლკლორი, მეორე გამოცემა, თბ., 1997. გვ. 24.
29. იქვე: გვ. 26.
30. ქ. კასრაძე, ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე, თბ., 1971, გვ. 14.
31. ა. წულაძე, ეთნოგრაფიული გურია, თბ., 1997. გვ. 98.
32. ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დაალექტი, თბ., 1985. გვ. 161.
33. ა. ყაზბეგი, თხზულებანი, ტ. V, თბ., 1950. გვ. 47.
34. ი. გაგულაშვილი, ქართული მაგიური პოეზია, თბ., 1986. გვ. 221.
35. იბ.: ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, თბ., 1940.
36. იბ.: ვ. ბარდაველიძე, ქართველთა უძველესი სარწმუნოების ისტორიიდან, თბ., 1941.
37. გიორგი ჩიტაა, IV საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში, გამოსაცემად მოამზადეს ზ. წერეთელმა და თ. ცაგარეიშვილმა, თბ., 2001. გვ. 224.
38. ვ. ახობაძე, ქართული (სვანური) ხალხური სიმღერების კრებული, თბ., 1957. გვ. 11.
39. ე. ვირსალაძე, ზემო სვანეთში ფოლკლორული მივლინების მოკლე ანგარიში, ლიტერატურული ძებანი, VIII, თბ., 1953. გვ. 386-387.
40. ლ. გვარამაძე, ქართული საცეკვაო ფოლკლორი, მეორე გამოცემა, თბ., 1997. გვ. 22.
41. А Китаев-Смык, Мусульманский “зикр”, христианский “богослужебный круг” и солярные хороводы. [www.kitaev-smyk.ru](http://www.kitaev-smyk.ru)
42. Энциклопедия «Символы, знаки, эмблемы», [www.slovari.yandex.ru](http://www.slovari.yandex.ru)
43. გ. სვანიძე, ქართული ხალხური სიმღერები და თქმულებები, თბ., 1957. გვ. 24.
44. ბ. ცხადაძე, ზემყრელო, ხელნაწერი
45. ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1993. გვ. 202.

46. გ. ცოცანიძე, ფერხულები და საფერხულო სიმღერების ტექსტები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომები, ტ. I. გვ. 224-234.
47. ვ. ბარდაველიძე, აღმოსავლეთ საქართველოს ქართველი მთიელების სასულიერო ტექსტები: მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ნაკვ. I. ტფ., 1938. გვ. 40-47.
48. გ. ცოცანიძე, ფერხულები და საფერხულო სიმღერების ტექსტები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბილისის კულტურის სახელმწიფო ინსტიტუტის შრომები, ტ. I. გვ. 224-234.
49. ი. ქავთარაძე, ქართული ენის მოხეური დაალექტი, თბ., 1985. გვ. 161.
50. ვ. კოპალეიშვილი, „სამზეო და სულეითი“ ფშავ-ხევსურთა წარმოდგენების მიხედვით. მასალები საქართველოს ეთნოგრაფიისათვის, ტ. XXIII. თბ., 1987. გვ. 161.
51. თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1957. გვ. 160.
52. ი. სურგულაძე, ქართული ხალხური ორნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1993. გვ. 183-192.
53. ვ. იორინშვილი, „ხევი ძველად და ახლა“, თბ., 1967. გვ. 41.
54. გიორგი ჩიტაა, IV საუნივერსიტეტო ლექციების კურსი ეთნოგრაფიაში, გამოსაცემად მოამზადეს ზ. წერეთელმა და თ. ცაგარეიშვილმა, თბ., 2001. გვ. 170.
55. თ. ოჩიაური, მითოლოგიური გადმოცემები აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთში, თბ., 1957. გვ. 129.
56. იბ.: იქვე.
- .

**თამარ მუნჯიშვილი**  
მაგისტრატურის II კურსი  
თემის ხელმძღვანელი - ოლეგ ალავიძე

## ქართულ საცეკვაო ფოლკლორს უძრავსად დიდი ისტორიული ტანაზე საბათისათვის

ქართულ საცეკვაო ფოლკლორს უძრავსად დიდი ისტორიული წარსული აქვს. ამის დასტურია ჩვენამდე მოღწეული მრავალი ნიმუში, რომელმაც საუკუნეებს გაუძლო. ეს კი თაობიდან თაობაზე გადაცემის ხარჯზე მოხდა. ხშირად ისმის კითხვა – ვითარდება თუ არა ქართული ქორეოგრაფია? ამ კითხვაზე შეიძლება გაიცეს დადებითი პასუხი. მითუმეტეს დღეს, როცა ქართული ცეკვების შესწავლის მსურველთა რაოდენობა სულ უფრო და უფრო იზრდება, როცა არასოდეს ჩვენში არ უშეშავია ამდენ საბავშვო კოლექტივის. მაგრამ, მიუხედავად კოლექტივთა სიმრავლისა, ხშირად ისინი არსებითად არაფრით განსხვავდებან ერთმნეთისაგან. ჩამოყალიბდა ერთგვარი საერთო, ყველგან და ყველასათვის მისაღები რეპერტური, რომელიც სრულდება თითქმის ყველა საკონცერტო გამოსვლაში. შეიქმნა ცალკეული ცეკვები, რომელთა შესრულებაც „საკმარისი“ აღმოჩნდა თითქმის ყველა საბავშვო კოლექტივისათვის, რათა გამოვიდნენ სხვადასხვა კონცერტებზე, მონაწილეობა მიიღონ უცხოეთში გამართულ ფესტივალებში. ხშირად სწორედ ეს გარემობები ხდება მიზეზი ბავშვის ცეკვის შემსწავლელ წრეზე მიყვანისა. შშობელი შიზნად ისახავს, რომ მისი შვილი რაც შეიძლება ხშირად იხილოს სცენაზე და იმოგზაუროს საზღვარგარეთ. აქ კი თავს იჩენს ახალი პრობლემა: არის თუ არა ბავშვი მზად სცენაზე გასასვლელად და ასრულებს თუ არა იგი მისი ასაკისათვის შესაფერის, ანუ საბავშვო რეპერტურის. ეს მეტად პრობლემატური საკითხია, რომლის გადაჭრაც მრავალ ასპექტზეა დამოკიდებული. პირველ რიგში კი პედაგოგიურ კადრებზე. დღეს ქორეოგრაფის ყველა, ვისაც ოდესმე უცეკვია და ახსოვს თუ როგორ სრულდება ესა თუ ის იღეთი, როგორი სახე აქვს ამა თუ იმ ცეკვის და ა. შ. ბევრი მათგანისათვის სრულიად უცხოა ისეთი საკითხები, როგორიცაა ქორეოგრაფიული პზროვნება, ინდივიდუალიზმი და, რაც მთავარია, სხვადასხვა ასაკობრივ ჯაუფთან მუშაობის თავისებურებანი. ეს კი მეტად მნიშვნელოვანი საკითხია, რადგან საქმე გვაქვს ბავშვთან,

მის ფიზიოლოგიასთან და ფსიქოლოგიასთან. აქ დაშვებული უხეში შეცდომა კი შეიძლება საბედისწერო აღმოჩნდეს. სწორედ ამიტომ საჭიროა საბავშვო ქორეოგრაფიის სპეციალისტთა მაღალი კვალიფიკაცია, ღრმა ცოდნა არა მარტო თავისი სპეციალისტით, არამედ ბავშვის ფსიქოლოგიისა და ფიზიოლოგიის მხოლოდ ამ შემთხვევაში შეიძლება უმტკიერულოდ მივიღოთ სასურველი შედეგი.

ქართულ ფოლკლორში საბავშვო ცეკვა-თამაშობანი მრავლად მოიპოვება. ნიჭიერ და მოაზროვნე ქორეოგრაფის კი არ უნდა გაუშირდეს მათი სასცენოდ დამუშავება და დღვევანდელ მოთხოვნებთან მორგება.

მოკლედ განვიხილოთ, თუ რა მდგომარეობაა ამ მხრივ ქართულ საისტორიო ყოფასა და ტრადიციებიში. სამწუხაროდ, ბოლომდე არაა შესწავლილი, თუ რა ტიპის ცეკვებს იყენებდნენ ძველად მომავალი თაობის აღზრდისათვის, მათი გაწვრთნისათვის. აქ გასათვალისწინებულია სხვადასხვა პერიოდში ქვეყნის რეალური ყოფა, არსებული პრობლემები. საყარაულო, რომ ძველად უთუოდ გამოყენებული იქნებოდა სანადირო, საორტული და შრომითი, რიტუალური ცეკვები. ეთნოგრაფიი იმასც აღნიშვნავს, რომ მრავალ საბავშვო თამაშში შემონახულია აღამინის ასტრალური წარმოლენები, მათი გამოცდილება, ზნე-ჩვეულებები. ქართული ფოლკლორის არაერთი ნიმუში აღასტურებს, რომ ჩვენში გაფრცელებული თამაშები მოზარდს ამზადებინებ ცხოვრებისათვის, აწროთობდა როგორც ფიზიკურად, ასევე სულიერად, აძლევდა სამომავლოდ გამოსაყენებელ ცოდნას.<sup>1</sup>

პროფესორი ალექსანდრე ცაბაძე აღწერს ერთ-ერთ საბავშვო თამაშობას, სადაც ცეკვის ელემენტებიც გვხდება. ეს თამაშობა შრომასთანაა დაგვშირებული: „ბავშვების გუნდი ზის მდელოზე. ერთი მათგანი ლექსად სკამს კითხვას და დანარჩენები ასევე ლექსად პასუხობენ, შებასუხების ღროს ბავშვები ასრულებენ სათანადო რითმულ მოძრაობებს. ლექსი საკმაოდ გრძელია და მასში ასახულია მთელი სურათი სიმინდის მოყვანისა – დათესვიდან დაფქვამდე და გამოხცობაში“<sup>2</sup>.

აკაკი წერეთული თავისი ბავშვობიდან იგონებს: „ქართველებისოდენა სხვადასხვა სათამაშო არც ერთ ხალხს არა აქვს და ყოველგვარი სათამაშოც უთუოდ ისეთია, რომელიც ჰყუა-გონებასა და სხეულს სწვრთნის, ავარვდიშებს... დაგასახელებ მხოლოდ ბურთაობას. აბა რომელი „გამნასტიკა“ შეედრება მას? ბურთაობის ღროს თვალი, ფეხი, ხელი, თავი, ტანი და ყველაფერი თანასწორად ეჩვევა სიმარტიდეს“<sup>3</sup>.

ცნობილია ის ფაქტიც, რომ მოზარდები აქტიურად მონაწილეობდნენ ისეთ თეატრალიზებულ სანახაობებში, როგორიცაა: „ბერიკაობა“, „გონჯაობა“, „ცხენაობა“, „ლაზარობა“, „აქლემაცობა“ და სხვა.

ილია ჭავჭავაძე თავის ერთ-ერთ წერილში „პედაგოგიკის საფუძვლები“ წერს: „ტანის და აგებულების ვარჯიშობას დიდი აღილი უჭირავს: ბურთაობა, კნიჭობა, ცხენზედ ჯდომა, ცურვა, ჭიდაობა – ყოველივე ეს საჭიროდ უნდა იქნეს დანახული“.<sup>4</sup>

ქორეოგრაფიის მკალევართა მიერ (დ. ჯანელიძე, ა. თათარაძე, ლ. გვარამაძე) გამოიტქვა აზრი, რომ ახალგაზრდების ესთეტიკური განვითარების მიზნით ტრადიციული ცეკვა-თამაშობანი დაუკრეცირებული სახით უნდა ყოფილიყო გამოყენებული. ჯერ კიდევ სულხან-საბა ორბელიანი ამბობდა, რომ ჭაბუკთათვის განკუთვნილ ცეკვა-მოძრაობებს „ფუნდრუკი“ ერქვა, ზოლო ქალებისათვის განკუთვნილს, შედარებით შერბილებულ მოძრაობებს – „ხუნტრუკი“. მისივე განმარტებებში ვხდებით ისეთ ტრამინებს, როგორიცაა: „ბასტი“, „ბუქა“, „კოჭა“, საკუთრივ „ცეკვა“, ანუ ფეხის ცერებზე დგომა და სხვ.

ვაჟების აღზრდისათვის გამოყენებოდა საწვრთნელ-საკრჯველო, სპორტთან დაკავშირებული თამაშობანი: „ჩოგანბურთი“, ანუ „ცხენბურთი“, „ისინდი“, „ყაბახობა“, „მეტრდაობა“, „მარულა“, აგრეთვე „ლელო“, „ჭიდაობა“, „ლაზტის ცემა“ და სხვ.<sup>5</sup>

ხელოვნების როლზე ბავშვის აღზრდაში საუბრობს იაკობ გოგებაშვილი: „ხალხის განვითარება და გაძლიერება ყოვლად შეუძლებელია ეროვნული პრინციპების გარეშე. ისტორიაში ვერ მოქმნით ერთ მაგალითს, რომ ერს ერადატნოს თავისი ეროვნებისათვის, ეროვნული კულტურისათვის და არ გახრწნილიყოს, არ აღმოფხვრილიყოს. ჩვენდა სამწუხაროდ, ქართველებს ნაკლებად ესმით ეროვნული პრინციპების მნიშვნელობა და ხშირად დალატობს მას და ამით იმზადებს შავბნელ მომავალს. ამ ძირითად საკითხს ჩვენ ბევრ წერილში ვმართავთ და მკითხველს თვალწინ ვუდგენთ იმ სასიკვდილო შედეგს, რომელიც მოჰყვება ეროვნული პრინციპების დალატს“.<sup>6</sup> ამ წერილიდან ნათლად ჩანს, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებდა იაკობ გოგებაშვილი ტრადიციული ქართული კულტურის, ფოლკლორის შესწავლას.

აღსანიშნავია ცნობილი ქართველი ეთნოგრაფის გრიგოლ ნათაძის დამსახურება ქართული ტრადიციული თამაშობების შენახვის საქმეში. მან იმოზაურა მთელ საქართველოში, ჩაიწერა მრავალი საბავშვო

თამაშობა და ეს მასალები შემდგომში წიგნადაც გამოისცა. ასე რომ, ქართულ ფოლკლორში არსებული საბავშვო თამაშების ნიმუშები ნამდვილად იძლევა იმის რეალურ შესაძლებლობას, რომ შეიქმნას და დამტემავდეს საბავშვო ცეკვები. ნიჭირი შემოქმედის მიერ შეექმნილი ამგვარი საცეკვაო ნომრები კი, დარწმუნებული ვარ, თავის საპატიო აღილს დაიმტკიდრებს ბავშვთა კოლექტივების რეპერტურში.

ადამიანის საერთო განვითარება, როგორც ვიცით, მის ფიზიკურ სრულყოფასაც გულისხმობს. სწორედ ამიტომა შემონახული ბევრად არსებული ამგვარი თამაშობანი, რომლებიც უშალოდ ფიზიკურ სრულყოფას ემსახურებოდა. მაგრამ ფიზიკური სრულყოფა იშვიათად გვხვდება სულიერ და ზნეობრივ სრულყოფასთან განუყრელად. ამიტომ, ცეკვა შეიძლება განვიხილოთ, არა მარტო როგორც ფიზიკური წვრთნისა და ჯანსაღი სხეულის აუცილებელი პირობა, არამედ სულიერი, ესთეტიკური და ზნეობრივი სრულყოფის ერთ-ერთი აუცილებელი კომპონენტი.

ხელოვნების ყველა დარგს გააჩნია რეპერტური, რომელიც უშალოდ ბავშვებისთვისა განკუთვნილი. მაგალითად, ბავშვი თვატრში თამაშობს წითელქუდას, კომბლეს და არა ოტელოს და პამლეტს, ბავშვი მღერის საბავშვო სიძლერებს და არა უფროსებისათვის განკუთვნილ რომანსებს, ბავშვი უკრავს საბავშვო ნაწარმოებებს, კითხულობს საბავშვო ლიტერატურას და ა. შ. რა თქმა უნდა, არის გამონაკლისი შემთხვევები, როცა ეს პირობა არ სრულდება. სწორედ მისი შეესრულებლობა იწვევს სანახაობის არაესთეტიკურობას და გაუმართლებლობას. ყველა დარგში ბავშვისათვის განკუთვნილი რეპერტური გათვლილია მათ შესაძლებლობაზე, როგორც ფიზიკურზე, ისე გონებრივზეც.

ქორეოგრაფის, როგორც პედაგოგს, ურთიერთობა უხდება ბავშვებთანაც და მოზარდებთანაც. ქვედა ზღვარი, როცა ბავშვი საცეკვაო ანბანის გაცნობას იწყებს, გადის საბავშვო ბაღის ასაკზე, თუმცა ასევე ხშირია ცეკვის შესწავლა დაწყებითი სკოლის პერიოდში. ეს კი არის ასაკი, როცა ძალიან ინტენსიურად იზრდება, ყალბდება და ვითარდება ფიზიკურადაც და გონებრივადაც, ზნეობრივადაც და ესთეტიკურადაც. აქ გასათვალისწინებელია კიდევ ერთი მნიშვნელოვნი გარემოება – სხვადასხვა ბიოლოგიური ასაკის ბავშვი განსხვავებულად რეაგირებს სასწავლო, შრომით და სპირტულ დატვირთვაზე. ჩვენში მოქმედ საბავშვო ანსამბლებში წესად იქცა ე. წ. საუფროსო რეპერტურების შესრულება თვით უმცროსი სასკოლო ასაკის

მოსწავლეთა მიერ. ეს კი მეტად სარისკო და სახიფათო საქმეა. ბავშვის ორგანიზმი, მისი ძვალკუნიოვანი სისტემა არ არის მზად შესრულოს ისეთი ტექნიკურად რთული იღეთები, როგორიცაა: ბრუნები, მუხლილეთები, ცერილეთები და ა. შ. ამ შემთხვევაში ხშირად თავს იჩნეს, როგორც ფიზიოლოგიური, ასევე ფსიქოლოგიური პრობლემებიც. ქართულ ქორეოგრაფიაში კი ამგვარი რთული ცეკვა ძალიან ბევრია. მათი შესწავლის პროცესში ბევრი ქორეოგრაფი ცდილობს დაშვებული თუ დაუშვებელი მეთოდებით სასურველ შედეგს მიაღწიოს. ეს კი სწავლების პროცესში მრავალ პრობლემას წარმოშობს. მაგალითისათვის განვიხილოთ მთიულეური ცეკვები, რომლებიც შედის თითქმის ყველა საბავშვო კოლექტივის რეპერტუარში. ბავშვის ორგანიზმი მზად არ არის ამ ცეკვების იმ სახით შესრულებისათვის, რომელსაც მას სთავაზობს ქორეოგრაფი. ბავშვს უჭირს ამგვარი დატვირთვის ატანა, უფრო მეტიც, ამ მხრივ შეიძლება წარმოიშვას სერიოზული პრობლემები შემდეგ ეტაპებზეც. ფიზიოლოგები ადასტურებენ, რომ ხერხერმლის და ძირითადად, ორგანიზმის ჩამოყალიბების პროცესში არასწორმა ფიზიკურმა დატვირთვამ შეიძლება საბედისწერო შედეგებამდე მიგვიყნოს. მენჯის ძვლების ჩამოყალიბება 20-21 წლის ასაკში მთავრდება, ამიტომ მათი დეუორმაცია თავისუფლად შეიძლება გამოიწვიოს ადრეულ ასაკში დიდი სიმაღლიდან ხტომაბ. ასევე ძალიან ხშირია მუხლის დაზიანებები, რაც გამოწვეულია ბავშვობაში მოჭარბებულად და არასწორად მუხლილეთების შესრულებით.

ფიზიოლოგიური ასპექტი ამ პრობლემის მხოლოდ ერთი მხარეა. მეორე მხრივ, აუცილებლად უნდა განვიხილოთ ესთეტიკური და შემცენებითი ასპექტი. დველი ბერძნი ფილოსოფონი პლატონი ცეკვას ადამიანის გონებრივი განვითარებისა და ფიზიკური გაცაჟების საუკეთესო საშუალებად მიჩნევდა. მართალია, ცალკის ფორმად სხეულის ფიზიკური მოქმედება გვევლინება, მაგრამ მისი ძირითადი მიზანი მაინც არ ემსახურება ადამიანის ფიზიკური აღზრდის პრობლემებს, რადგან ცეკვაში სხეულის ფიზიკური მოქმედება მაინც, ძირითადად სულიერი განცდებისა და განწყობილების კარნახითაა გამოწვეული. ქართული ცეკვები კი იმდენად გაჯერებულია სწორედ ამ სულიერი განცდებითა და რომანტიზმით, რომ შეუძლებელია მას ჩასწერს და გაიზიაროს 5-7 წლის ბავშვი. ამიტომ, როგორც წესი, ეს განცდები ნაკარნახევი, ან ქორეოგრაფის მიერ საგანგებოდა დასწავლილი, რაც ძალიან ხელოვნურად, არაბუნებრივად და ხშირ

შემთხვევაში სასაცილოდ გამოიყურება. ეს კი მაყურებელს არასოდეს რჩება შეუმჩნეველი.

მაგალითისათვის ავიღოთ ცეკვა „ქართული“ – „სიყვარულის პოემა“ – ასე უწოდებენ ამ ცეკვას. აქ მიმიკით, პლასტიკით, უდიდესი თავშეავებით, შინაგანი გრძნობებით გადმოიცემა ქალისა და ვაჟის უსაზღვრო ლტოლვა და სიყვარული. დამერწმუნებით, ამ ყველაფრის გადმოცემა მოზარდისათვის საკმაოდ რთულია, ამიტომ ქორეოგრაფი მიმართავენ დასწავლის მეთოდს, მაგრამ ბევრ მათგანს ავიწყდება, რომ მოძრაობების დასწავლა მეტ-ნაკლებად შესაძლებელია, ხოლო რაც შეეხება ცეკვის ხასიათს, ის იძღვნად გაუგებარი და უცხოა ბავშვისათვის, რომ იყო ერ ახერხებს ამხელა შინაგანი გრძნობისა და განცდის გაზიარებას და ხელოვნურად ახდენს მათ გადმოცემას. ამ შემთხვევაში კი ეს გრძნობები ყალბია და არ შეესაბამება ბავშვის ასაკს. ამიტომ ამგვარი ცეკვები არა მარტო ფიზიკურად რთული შესასრულებელია, არამედ შინაგანადაც. საბავშვო რეპერტუარი ბავშვისათვის ადვილად გადმოსაცემი და მის შესრულებასთან შესაბამისობაში მყოფი უნდა იყოს. მართებულად მიმართა, შეიქმნას ახალი საცეკვა ნომრები, რომლებსაც საფუძვლად დაედება საბავშვო თემატიკა. ეს შეიძლება იყოს ქართული ხალხური ზღაპრები, ქართული ტრადიციული საბავშვო თამაშობანი, რომლებიც საცენოდ დამუშავდება და მიიღებს სრულყოფილ სახეს.

მინდა განვიხილო ამ პრობლემის კიდევ ერთი ფიზიოლოგიური ასპექტი. იმის გამო, რომ პედაგოგის მიერ შეთავაზებული ესა თუ ის ილეთი კონკრეტული ასაკის ბავშვებისათვის ძნელად შესასრულებელია, თავს იჩნეს გადაჭარბებული სიმკაცრე, რაც ხშირ შემთხვევაში გამოიხატება იძულებით, ძალმომრეობით შესწავლის მეთოდში. ეს კი ბავშვის პიროვნული განვითარებისათვის მეტად საშიში ტენდენცია. ამ მეთოდით მუშაობა დადგებით ძვრებს და სასურველ შედეგს არ მოგცემს. იძულებისა და დიქტატის პირობებში აღზრდილი ადამიანის განვითარების გზა უმთავრესად არასწორად მიემართება და თავს იჩნეს მისი ცხოვრების სხვადასხვა მონაკვეთზე, რომ არაფერი ვთქვათ ბავშვის უფლებების ხშირ დარღვევაზე. აქ კი აუცილებელია მშობლის როლის გააქტიურება. მსგავს შემთხვევაში მშობლის პასიურობა პედაგოგის აგრძელებული ქცევის ერთგვარი წახალისებაა. ასეთი მიღომით გამოწვეული არაერთი სავალო შედეგია ცნობილი, რაც აუცილებლად იმსახურებს სათანადო ფურადღებას. საყურადღებოა ისიც, რომ გარდატეხის ასაკში მყოფი


ბავშვი გამძაფრებულად განიცდის მის ირგვლივ მომხდარ მოვლენებს, რაც ემოციურად უსიმოვნო რეაქციებში გადადის. გამოცდილი პედაგოგი ასეთ მოვლენებს უცებ შენიშნავს და დატვირთვების ღოზირებას ბავშვის როგორი ასაკის გათვალისწინებით შეეცდება. გამოცდელი კი დაასკინის, საქმე გვაქვს სიზარმაცესთან და შეეცდება, გარკვეული სადამსჯელო სანქციების გატარებით, მდგომარეობის შემობრუნებას. ასეთი მოქმედება კი არა მარტო პედაგოგიურად გაუმართლებელია, არამედ საშიში და სახიფათოა. სწორედ ამ დროს, ბავშვებს ემართება ცეკვის შესწავლის პროცესისადმი ერთგვარი უკურვექცია. ის თავისი სურვილითაა მისული წრეზე. ცოტა ხანში კი პედაგოგის მსგავსი ქმედებების გამო, ბავშვში თავს იჩენს ფსიქოლოგიური პრობლემები და მას ცეკვის შესწავლის სურვილი საერთოდ უქრება.

ბოლო დროს, ქართულ ქორეოგრაფიაში დამკვიდრებულმა თანამედროვე ტენდენციებმა საბავშვო ქორეოგრაფიაშიც შეაღწია. სახელოვანი ანსამბლები ყოველთვის ტონის მიმცემად ითვლებოდნენ. სწორედ ამიტომ გახდა ესოდენ პოპულარული „სუხიშვილების“ ანსამბლის მიერ დადგმული ახლებური საცეკვაო ნომრები. ისინი სრულდება საკონცერტო გამოსვლებზე, გადმოიცემა ტელევიზიით, შედეგმაც არ დააყოვნა, მსგავსი საცეკვაო ნომრები გაწნდა ბევრი საბავშვო კოლექტივის რეპერტუარში, უფრო მეტიც, ზოგი კოლექტივის მიერ მთლიანად იქნა უგულებელყოფილი ტრადიციული ქორეოგრაფიული რეპერტუარები. ეს კი ერთგვარ საშიშ ტენდენციად იქცა.

1. რეზო ჭანიშვილი, ფიქრები ქართულ ქორეოგრაფიაზე, თბილისი, 1997. გვ. 75
2. ალექსანდრე ცაბაძე, მხედრობასა შინა კადნიერნი, თბილისი, 1980. გვ. 209
3. აგაზი წერეთელი, თხზულებანი, ტომი 12. გვ. 14
4. ილია ჭავჭავაძე, პედაგოგიური თხზულებანი, თბილისი, 1938. გვ. 117.
5. ავთანდილ თათარაძე, ქართული ხალხური ქორეოგრაფიის ისტორიის საკითხები, თბილისი, 1999. გვ. 210
6. იხ.: აკობ გოგებაშვილი, თხზულებანი, ტომი 4, თბილისი, 1955.

## საშემსრულებლო ხელოვნება

### ღრამის ფაკულტეტი



## სამაგისტრო პროგრამა

### შემოქმედებითი პედაგოგიკა

უნივერსიტეტის სწავლების სამსაფეხურიან სისტემაზე გადასვლაში საშუალება მოგვცა შეგვეძნა თეატრალური ხელოვნების პედაგოგიკის აღზრდის ახალი სისტემა: – მაგისტრატურა, რომლის მიზანია თეატრალური ხელოვნების მაგისტრის – რეჟისურისა და მსახიობის ოსტატობის პედაგოგის მომზადება, როგორც შექმოქმედებითი პედაგოგიკის, ასევე სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისათვის.

ამ კონფერენციაში მონაწილეობის მიღება პირველი მცდელობაა, სამაგისტრო პროგრამის ფარგლებში გამოვლინდეს მაგისტრანტის მეცნიერული ცოდნა, რაც თავისთავად სრულყოფს შემდგომში მისი, როგორც შემოქმედებითი პედაგოგის კვალიფიკაციას.

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნე, დოქტორი დავით კობახიძე

თამარ ფიროსმანაშვილი  
მაგისტრატურის I კურსი  
ხელმძღვანელი - დავით კობახიძე

### ქორეოგრაფიის როლი თეატრში

სპექტაკლის დადგმისას რეჟისორები ხშირად მიმართავენ წარმოდგენაში ქორეოგრაფიისა და ქორეოგრაფიული ელემენტების გამოყენებას. საერთოდ მსახიობები სცენაზე ჩვეულებრივი მოძრაობებით გადადგილდებიან, მაგრამ მხატვრული სახის შექმნის მიზნით საჭიროა ხაზი გაესვას პერსონაჟის ინდივიდუალურობას, მისთვის დამახასიათებელ უესტს, მიმიკას, მოძრაობის მანერას, სკლას, ამ დროს საჭირო ხდება ქორეოგრაფის დახმარება, რათა პლასტიკური გადაწყვეტით სრულყოს პერსონაჟის გარეგნული მახასიათებლები და ამით ხაზი გაუსვას მის შინაგან ბუნებას. სპექტაკლის ქორეოგრაფია აუცილებლად უნდა ითვალისწინებდეს წარმოდგენის საერთო ჩანაფიქრს, ჟანრს, სტილს, მოქმედ პირთა ხასიათებს, გრძნობათა ბუნებას, კონფლიქტს... ქორეოგრაფია უნდა ემორჩილებოდეს სპექტაკლის იდეას, იგი უნდა იყოს წინა ეპიზოდის გაგრძელება და მომდევნოს დასაწყისი და სპექტაკლის გამჭოლი მოქმედების ორგანული ნაწილი, ქორეოგრაფია უნდა ეხმარებოდეს და ბიძგს აძლევდეს სპექტაკლის შემდგომ განვითარებას. სამწუხაროდ ხშირად სპექტაკლში ქორეოგრაფიული ნომერი, ცეკვა, თვითმიზნურადაა ჩართული. ზოგჯერ ეს ხდება უბრალოდ რემარკის საფუძველზე, ვთქვათ ლხინის დროს ცეკვავენ, მაგრამ თუ ამ ცეკვას რაიმე სიუჟეტური დატვირთვა არა აქვს, – ეს სპექტაკლს არაფერს მატებს (მაყურებელს შეუძლია ასეთი ცეკვა სხვაგანაც ნახოს, ოღონდ ნამდევლი მოცემავების შესრულებით და უკეთესადაც დადგმული). ზოგჯერ ცეკვას ჩართავენ იმიტომ, რომ ესა თუ ის მსახიობი კარგად ცეკვას და მეტი არაფერი. ზოგჯერ ცეკვავენ პოპულარული, მოღური ცეკვის საჩვენებლად. ცალკე ცეკვა რაც არ უნდა კარგი იყოს თუ ის სპექტაკლის ძირითადი კონფლიქტის განვითარებას არ უწყობს ხალს, – ეს მხოლოდ ჩასმული ნიმურია და ხალს უშლის წარმოდგენის მსგლელობას, მის დინამიკას.

მინდა შემოგთავაზოთ რამდენიმე მაგალითი ქორეოგრაფიისა, სადაც, ჩემი აზრით, ქორეოგრაფია წარმოადგენს სიუჟეტის განვითარებისა და გამოკვეთის საუკეთესო ნიმუშს.

აგდოთ შოთა რუსთაველის თეატრის სპექტაკლი „პეპო“ (რეժ. დ. ალექსიძე). თუ გავიხსენებთ ამ სპექტაკლიდან ეროსი მანჯგალაძის ცეკვას, დანამდვილებით შეგვიძლია ვთქათ, რომ ეს არის საუკეთესო ნიმუში იმისა, თუ როგორ ვითარდება პიტის მოქმედება ცეკვაში: ვიღრე ცეკვა დაიწყება, წინა ეპიზოდიდან ჩვენ ვიგებთ, რომ მოხუც არუთინ ზიმზიმოვს ჰყავს ახალგაზრდა და ლამაზი ცოლი, რომელსაც ყველა სურვილსა და ახირებას უსრულებს. აი, ახლაც, ჭირვეულმა ცოლმა მაალერსების სანაცვლოდ ახალი სურვილი გამოსტყუა და გამარჯვებული იწყებს ცეკვას, ზიმზიმოვი მუხლზე ჩაიჩოქებს, რათა ტაშით მაიც გაამხნევოს თავის ლამაზი ფეხუნა, მაგრამ როდესაც ქალი მას საცეკვაოდ გაიწვევს, – ფეხზე ვეღარ დგება, რამდენჯერმე წამოიწევს, მერე დიდი გაჭირვებით წამოდგება და ვითომც აქ არაფერიათ იწყებს ცეკვას. რატომ ცეკვას ზიმზიმოვი? ანდა როგორ ცეკვავს? რა თქმა უნდა, ეროსი მანჯგალაძე ცეკვას ისე, როგორც უნდა იცეკოს მოხუცმა კაცმა, რომელიც ცდილობს თავისი ახალგაზრდა და ლამაზი ცოლის თვალში თვითონაც ახალგაზრდულად გამოიყერებოდეს. მართალია მან ცეკვა არ იცის, მაგრამ მაქსიმალურად იქნებს სხელებს და ფეხებს, დაკუნტრუშებს, ირგვლივ უვლის სანუკარ მუზიკებს და ავიწყდება, რომ მის მოხუც სხეულსა და გულს ამდენი არ შეუძლია და როდესაც უცებ იგრძნობს გულის ტკივილს მისი ცეკვაც იქ მთავრდება – ვამე გული! – დაიძახებს და გამშემდება... სწორედ ასეთი დასასრულიდან ვხვდებით, რომ იგი ცეკვავდა არა იმიტომ, რომ უბრალოდ ცეკვა უნდოდა, არამედ მოქმედებდა, მის ცეკვას პეტონა, ქვეტექსტი: „შემოსხედთ, მე ახალგაზრდა ვარ! მე უცეკვავ!“ – სკამზე დამჯდარიც, როცა შებლიდან ოფლის იწმენდს და ინივებს, იხტიბარს მაიც არ იტეხს და ამბობს: განა დავიღალე, ვლელავ! რა თქმა უნდა, მხელი წარმოსაზღვრია ამ ცეკვის გარეშე ზიმზიმოვი, მას მთელი სპექტაკლის განმავლობაში მიჰყვება ეს ხასიათი, განწყობა, დამოკიდებულება ცოლთან და მის ირგვლივ მყოფებთან.

სანდრო ახმეტელი თავის დადგმებში ძალიან დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა პლასტიკას. მას განსაკუთრებით აინტერესებდა მსახიობის ფისქ ფიზიკური რეფლექსის ფიქსირება შეგრძნებების საფუძველზე, ანუ, როგორ უნდა გამოეწვია მსახიობს სცენაზე გარკვეული მოძრაობით ესა თუ ის ვრძობა. სპექტაკლში „ანზორი“ უხვად იყო გამოყენებული პლასტიკა, მოძრაობაზე აგებული ურთიერთობები, მაგრამ ქირეოგრაფის

ქმედითობის და აუცილებლობის საუკეთესო მაგალითი იყო ზაირას ცეკვა. მებრძოლებს ვერ გადაუწყვეტიათ ვინ უნდა წავიდეს ხიდის ასაფეთქებლად. ანზორმა იცის, რომ სასიკვდილოდ გზავნის და უჭირს ხელი დაადოს რომელიმეს, სწორედ ამ დროს უქმბოქნ ზაირას, კრავე წრეს და წრეში ამ შმვენიერ ქალს უშვებენ საცეკვაოდ, პირობა ასეთია: ვისაც ზაირა გამოიწვევს ის უნდა წავიდეს ხიდის ასაფეთქებლად, უნდა გაწიროს სიცოცხლე და გახდეს ხალხის რჩეული და გმირი. ზაირა შსუბუქად დასრიალებს წრეში, მისი ყოველი შემდეგი ნაბიჯი ახალ შიშს ბადებს მეომრებში, რამდენიმე მათგანი მზადა გმირობისათვის და შინაგანად ემზადება კიდეც უკანასკნელი ცეკვისთვის, მაგრამ უმრავლესობა ახალგაზრდაა, ჯერ კიდევ გამოუცდელი და მათგანი გმირობა დიდი მსხვერპლია. მამაკაცები მოზიდული შმვილდებივით დგანა და ელიან, თვალს არიდებებს მის შეხედვას, მაგრამ ზაირა არ ჩქარობს არჩევანის გაკეთებას და ლადად აგრძელებს წრეზე ჩამოვლას. სხვა დროს ცეკვისას თუ მას ვწევით ანთებული თვალები დაპყვებოდნენ, ახლა შიშხამდგარი და გაყინული თვალები დაპყვებიან და რაც უფრო უახლოვდება ამ თვალებს თითქოს გრძნობს სიცივეს და ეს სიცივე უკან აგდებს, აა, შეჩერდა ერთ-ერთი მებრძოლის წინ, ადგილზე დატრიალდა და გზა განაგრძო, მაგრამ ეს ერთი ტრიალი საქმარისი იყო მეომრისათვის, რომ რამდენიმე წამში განეცადა შიში, წუხილი, ტკივილი, სიკვდილი და როდესაც მიხვდა რომ ის არ აირჩია, მადლიერი თვალები გააყოლა წრეში მონარწარე ქალს. ზაირა კი უდარდელად ცეკვას და თვალებით ექიბს თავის სატრფოს, ახმას, ბენიურია, რომ საშუალება ექლევა გულის სწორთან იცეკვის, აა, შეამწინა კიდეც, სხეულის ნაზი რხევით უახლოვდება ახმას, წრეში დაბატულობა მატულობს, უცებ ზაირა ჩერდება, ეს წამიერი პაუზა უფრო ძაბავს სიტუაციას, ზაირა კი აუჩქარებლად, მორცხვად, ონავი თავის დაკრით გამოიცეკვებს ახმას. „შევიდობით!“ – დაიძახებს ახმა და წრიდან გასხლტება, მამაკაცები შვებით ამოისუნიქებენ, თითოეული მათგანი თვალებით მაღლობასაც კი უხდის ზაირას, რომ სწორედ ის არ აირჩია, ზაირა დაბნეულია, ნელ-ნელა უშვებს ხელებს და ცდილობს გარშემო მყოფთა თვალებში ამოიკითხოს პასუხი კითხვაზე „რა მოხდა?!“

ამ სპექტაკლში ზაირას ცეკვას აქვს სიკვდილ-სიცოცხლის გადამწყვეტი მნიშვნელობა, ასეთ შემთხვევაში შეუძლებელია ამ

ცეკვის გამოყოფა სპექტაკლიდან, რადგან იგი ორგანულადაა შერწყმული სპექტაკლის განვითარებასთან.

თუკი პირველ შემთხვევაში ზიმზიმოვის ცეკვის ჰქონდა ის დატვირთვა, რომ მოეთხოვ, თუ რა აწუხებს ადა არუთინას, მეორე შემთხვევაში ზაირას ცეკვა არის ერთგვარი ლატარეა, რომელიც ტრიალებს წრეზე მდგარ მამაკაცებს შორის და არავინ იცის ვისზე გაჩერდება. ეს არის უკიდურესი დაბაბულობისა და მოლოდინის წუთები, როდესაც მაყურებელი სუნთქვაშეკრული ელოდება დასასრულს.

პანტომიმის თეატრის სპექტაკლში „ფიროსმანი მეფე“ (რეჟ. ა. შალიევშვილი) ამირან შალიევაშვილი თავად თამაშობდა ნიკო ფიროსმანაშვილის როლს, მაგრამ სპექტაკლში არის ერთი სცენა, როდესაც ნიკალამ დუქანში ხატვა დასრულა და ღვინის დასალევად ჩამოჯდა, დუქანი სავსეა მთვრალი ყარაბოსლებითა და კინტოებით, რომლებიც ღვინის დალევასა და ცეკვაში ეჯიბრებიან ერთმანეთს. უცებ ერთმა ყარაბოსლები შეამჩნია დუქანის კუთხეში ჩამოქვდარი ნიკალა, ჯერ სადღეგრძელო შესთავაზა, შემდეგ კი საცეკვაოდაც გაიწვია, ყველა ერთდროულად ახმაურდა და ტაშით გაამზნებს შეზარხიშებული მხატვარი... მორცხვი კაცია ნიკალა, არ უყვარს თავის გამოჩენა, თანაც არც ცეკვა გამოიყიდის რიგიანად და ერთხანს უარზე დგას, მაგრამ ამდენ მთვრალ ყარაბოსლელებთან რას გახდება? ნელ-ნელა დგება მაგიდიდან, ფრთხილად მიიწევს დარბაზისაკენ, დუქანი კი გუგუნებს და შეძახილებით ამხნევებს მხატვარს, ნიკალა დარბაზის შუაგულში ჩერდება და ძალიან დინჯად შლის ხელებს, ნელნელა ზევით მიიწევს, თითქოს გასაფრენად ემზადებათ, რამდენიმე წამს რჩება ასე, გასაფრენად გამზადებული, შემდეგ უცებ შლის მარცხენა ხელისგულს და ზედ მარჯვენა თითებით ისე დგება საცეკვაოდ, როგორც უფრვები გაშლილ პალიტრაზე. თანდათან უფრო თამაზი ხდებიან რსტატის თითებით და უფრო და უფრო მკვეთრი იღეთებით ცეკვავები, უამრავი გაოცებული თვალი მისჩერებია მხატვრის თითებს და ტკბებიან, ასეთი კინტოური არასდროს უნახავთ, მაგრამ ეს არაა მთავარი, ნიკალა მთავარ ნომერს შემდეგ შესთავაზებს მაყურებელს, უცებ მისი მარცხენა ხელისგული ტრიალება, მარჯვენა ზელის თითები ქვემოდან უცევა და ჭერზე უკუღმა დაკიდებული ცეკვას მთვრალი ნიკალა. იგი თავდავიწყებით უვლის ხელისგულს და ეს ერთი ციდა სივრცე საქმარისა მისი საოცარი თითებისათვის, რომ

დუქანში თავმოყრილი ცეკვის ოსტატებიც კი გააოცოს თავისი ხელოვნებით. სხვა იყო ნიკალას კინტოური, დაზეწილი, ელეგანტური, დინამიური და თავდავიწყებამდე ემოციური... ნიკალა მხატვარი იყო, ხელების ოსტატი და მან სწორედ ის იცეკვა, რაც საუკეთესოდ გამოუვიდოდა, უფრო სწორად კი არ იცეკვა, დახატა ცეკვა.

მაუხედვად იმისა, რომ პანტომიმა ისედაც სხეულით მეტყველებაა, ამ ცეკვის დატვირთვა იმაზე ბევრად მეტია ვიდრე უბრალოდ ცეკვა, ამირან შალიგაშვილის მიერ შესრულებული ეს პატარა ეპიზოდი თავისუფლად შეიძლება გამოვიყენოთ დრამატულ სპექტაკლშიც და კინოფილმშიც, თანაც ისე, რომ ეს ცეკვა თავის ფუნქციას არ დაკარგებს. ეს არის შესანიშნავი მიგნება იმისა, თუ როგორ შეძლება იცეკვის მხატვარმა, რომელმაც არ იცის ცეკვა, მაგრამ შესანიშნავად იცის ხატვა და მთელი მისი ძალა, ემოცია, შესაძლებლობები და სურვილები თითებისკენაა მიმართული.

ჩვენ უკვე განვიხილეთ მაგალითები დრამატული თეატრიდან და პანტომიმიდან, ახლა ვნახოთ როგორ შეიძლება ეს განხორციელდეს ფილმში. ავიღოთ ფილმი „ქალის სურნელი“. მაყურებელს განსაკუთრებით დამახსოვრდა ამ ფილმიდან ერთი ეპიზოდი, როდესაც ბრძან სამხედრო პოლკოვნიკმა საცეკვაოდ გაიწვია ახალგაზრდა, დამწეული მოცეკვავე გოგონა, ახალგაზრდა ქალი თანხმდება ცეკვაზე და ამ მომენტიდან პოლკოვნიკი იწყებს ნაბიჯებისა და მოქმედებების საოცარი სიზუსტით გათვლას, იგი არ ჩქარობს, მშვიდად ეკითხება დამხმარე ბიჭს დარბაზის ფართობს და გონებაში ანგარიშობს ნაბიჯების რაოდნობას. იწყება საოცრად მელოდიური ტანგო და პოლკოვნიკი პირველ წარმატებულ ნაბიჯებს დგას, გოგონა დაბნეული ცეკვას, მხრებში ოდნავ მოხრილი და გაუბედავია, უხერხულად იღმიება, თან ცდილობს დამალოს ეს უხერხულობა. პოლკოვნიკი კი ძლიერი კაცია, სხეული და სული ბრძოლებში აქვს გამოწორობილი, ყოველი ნაბიჯი და მიხვრა-მოხვრა ხაზს უსვამს მისი ხასიათის სიმტკიცესა და გამბედაობას, პირველივე მოძრაობით გადასცემს გოგონას თავის ძალას და აძლევს იმპულსს, რომ შეუძლია თამამად მიინდოს, ცეკვის ის წაიყვანს და თან ისე წაიყვანს, რომ ქალიშვილს არ შერცხვება მაყურებლის. ხალგაზრდა ქალიც გრძნობს მის ძალას და ძლიერ მამაკაცს მინდობილი უფრო და უფრო თამაბდ ცეკვას, მოძრაობების სირთულეც თანდათან უფრო მატულობს, ყოველი ახალი მოძრაობა ახალი საფრთხეა

ბრძა პოლკოვნიკებისთვის, ყოველი წარმატებული იღეთი კი საოცარ შვებას გვრის მას, მაგრამ ხანძოები ეს სიხარული, რადგან მუსიკა არ ჩერდება და მამაკაცი იძულებულია ახალი სვლა გააქეთოს, რომელიც შეიძლება საბჭოისწერო აღმოჩნდეს, რადგან ჭაღრაკის დაფასავით გაშლილი დარბაზი ყოველი მხრიდან საფრთხეს უქადის, რადგან ერთი არასწორი გათვლა და დაჯახება მაგიდასთან, მის დამარცხებას ნიშნავს და პოლკოვნიკიც გამალებული იცავს თავის ლაზიერს. რესტორანში სავაჭმოდ შეკრებილი ხალხი ნელ-ნელა საჭმელს თავს ანებებს და სუნთქვაშეკრული შეჰყურებს წყვილს, მამაკაცი ყოველ მესამე მეოთხე ნაბიჯზე ფრთხილობს და ყურს უგდებს ხალხის სუნთქვას, ეს წამიერი შეჩერება საქმარისია მისთვის, რომ მანძილი გაზომოს მათსა და მათ ირგვლივ მსხლომ ხალხს შორის. უკანასკნელი აკორდი გაისმება და მამაკაცი ბოლო წარმატებულ იღეთს ასრულებს, მუხლზე ისვამს ქალს და მის გაყინულ თვალებში კმაყოფილებისა და გამარჯვების სხივი გაკრთხა, ალბათ, ასეთი სხივი უკრთოდა ჯერ კიდევ ნათელ თვალებში ბრძოლას რომ მოიგებდა, რადგან მას შემდეგ რაც თვალში სხივი ჩაუქრა ეს მისი პირველი გამარჯვება იყო, ამ ცეკვის მთავარი აზრიც ესაა, რომ გაიმარჯვოს, დარწმუნდეს საკუთარ თავში, რომ სიბრძავე არ ნიშნავს სიგლახაგს, ამ ცეკვის შემდეგ ის თვითონ ხდება თავისი დამხმარე ბიჭის მფარველი, მას სწორედ ეს ჭირდებოდა. რა იყო ეს? ცეკვა? არა, — ეს იყო პოლკოვნიკის კადევ ერთი, ოღონდ მთავარი სამხედრო ოპერაცია, რომელსაც სუნთქვაშეკრული თვალებურს ადევნებს მაყურებელი. ეს იყო აღ პაჩინოს მაღალი აქტიორული ხელოვნება.

აქვე მინდა მოვიყვანო მაგალითი პროფესორ ნათელა ურუშაძის წიგნიდან („წავიდეთ თვატრში“), თუ როგორ აღწერს იყი ნატო გაბურიას მიერ შესრულებულ მაღამ ფროშარს (ა. დენერისა და ფ. დოუმანურის „ორ ობოლში“). „ესაა ეპიზოდი, საღაც მაღამ ფროშარის ორი ვაჟი: საყვარელი შვილი (ბოროტი ჟაგი) და საძულველი შვილი (კეთილი პიერი) ერთმანეთს დაერევიან, რა საშინელი სურათი იყო, როცა მშები დაეგერებიან ერთმანეთს დანებით. სისხლს მოწყურებული აფთარი, მაღამ ფროშარი, დარწმუნებულია, რომ ჟაკი მოკლავს პიერს; აქეზებს ჟაკს, წინასწარვე განიცდის სიამეს და თითქოს დავლურს უვლისო, ისე დასტრიალებს გარშემო. მაგრამ ხდება საწაული და უსტი პიერი კლავს ჟაკს. უნდა გენახათ, რა საშინელი მხეცური

ღრიალი აღმოხდებოდა ხოლმე გულიდან ფროშარს და რა სასოწარგვეთილი ეცემოდა ჟაკის გაციებულ გვამზე. საშინელი იყო იმ წუთში ფროშარი.“

ეპიზოდის აღწერა აშკარად გვაუწყებს, რომ გმირის ცხოვრების ეს მონაკვეთი მსახიობს გადაწყვეტილი ჰქონდა რიტმულად: **საცეკვაო ელემენტი**, „თითქოს დავლურს უვლის“ ბუნებრივი იყო, ვინაიდან ფროშარს უნდოდა ორთაბრძოლა ყველა წერტილიდან დაენახა. ცეკვის რიტმი საშუალებას აძლევდა მსახიობს ბრძოლის რიტმისთვის გაესვა ხაზი. რიტმული დაბაბულობის მომენტში კი, როდესაც პიერის დანამ განგმირა ჟაკი — ეს მაღამ ფროშარის განგმირვასაც ნიშნავდა — ისიც დაეცა, ზედ დაემხო მკვდარ შვილს და ამით ზუსტი წერტილი დაუსვა ეპიზოდში საკუთარ ცხოვრებას და ამ ეპიზოდს საერთოდ.“<sup>1</sup>

საბედნიეროდ უამრავი ასეთი მაგალითის მოყვანა შეიძლება ქართულ და უცხოურ შემოქმედებაშიც. ჩემ მიერ ზემოთ მოყვანილი მაგალითები, ჩემი აზრით, ის შემთხვევებია, როდესაც ქორეოგრაფიამ ზუსტად თქვა თავისი სათქმელი, მჭიდროდ შეეკრა სპექტაკლის იდეას და ხელი შეუწყო მის შემდგომ განვითარებას. ეროსი მანვეგალაძის კომიკური, ალექსანდრე ახმეტელის ტრაგიკული, ამირან შალიკაშვილის რომანტიული და აღ პაჩინოს ესთეტიკური გმირები ერთ საერთო ნიშანს ატარებენ, ისინი მოგვითხრობენ მათ შინაგან ბუნებაზე,

ხასიათზე და ცხოვრების იმ პატარ-პატარა მაგრამ მნიშვნელოვან დეტალებზე, რისი გამოთქმაც სიტყვით თითქმის შეუძლებელია და ამ შემთხვევაში ქორეოგრაფიას იყენებენ როგორც აზრის გადმოცემის საუკეთესო საშუალებას. ასევე ცეკვა შეიძლება წარმოიშვას როგორც შედეგი პერსონაჟის შინაგან გრძნობების ავეთქებისა. ამის საუკეთესო მაგალითია ქალბატონ ნათელა ურუშაძის მიერ აღწერილი ნატო გაბუნას დავლური.

სამწუხაროდ მოხსენების ფორმატი საშუალებას არ მაძლევს, რომ სხვა მაგალითებზეც ვისაუბრო.

მინდა დავასრულო კოტე მარჯანიშვილის სიტყვით, როდესაც იგი შილერის „ჟაჩალებს“ დგამდა ამაღლიას როლის შემსრულებელ ვერიკო ანჯაფარიძეს მიმართა: „ცეკვას არ დავდგამთ. იცეკვე ისე, როგორც ამას შენი სული ისურვებს — ეს ხომ შენი სულის აღტაცებაა, განმუხტვა შენი შინაგანი მდგომარეობისა, ამიტომ ცეკვა

უნდა აღმოცენდეს, როგორც შედეგი გრძნობათა აღზევებისა, მაგრამ თუ კი შენში ქარიშხალი არ ამოვარდება, – ნუ იცეკვებ.“<sup>2</sup>

როგორც მოგახსენეთ, ჩემი დღევანდელი მოხსენება გახლავთ მომავალი შრომის ერთი მცირედი ნაწილი, ნაშრომზე მუშაობა გრძელდება, გრძელდება წყაროების მოძიება, მათი კლასიფიკაცია, ანალიზი და იმედი მაქვს, მომავალ წელს დაგასრულება ამ სამუშაოს.


## 3260 სარაჯიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო კონსერვატორია

1. იხ.: ნ.ურუშაძე. წავიდეთ თეატრში, თბილისი, 1986.

2. ნ. ურუშაძე, თეატრის სამყარო, „გრიგოლ რობაქიძის სახ. უნ-ტი“, 2005.

- ა. ვაგანოვა, „კლასიკური ცეკვის საფუძვლები“, თარგმანი ლილი გვარამაძისა, თბ.1940.
- ა. სამსონაძე, „ქორეოგრაფიული ხელოვნება და მისი შესწავლის ძირითადი მიმართულებები“, (საღისერტაციო ნაშრომი), 2003.
- რ. ჭანიშვილი, „წერილები ქორეოგრაფიაზე“, თბ. 2002.
- ალ. ბურთიკაშვილი, „ცეკვის ჯადოქარი“, თბ. 1960.
- ლ. ნადარეიშვილი, „თანამედროვე ქართული ბალეტი“, თბ., „უნივერსალი“, 2002.
- მ. გებევანიშვილი, იური ზარეცკი, მ. 1985.
- რ. ზახაროვ, ბеседы о танце, მ. 1963.
- ლ. დ. ბლოკ, Классический танец, история и современность, მ. 1987.

# გუსიკის მცოდნეობა



თამარ მიქაელე

მაგისტრატურის I კურსი

ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. მარინა ქავთარაძე

## **ჯაზისა და კლასიკის ურთიერთობისა და განვითარების**

ჯაზი არის თავისუფლების და ტოლერანტობის სიმბოლი. იგი შლის საზღვრებს სხვადასხვა ასაკის, სარწმუნოების, ეროვნებისა და რასის წარმომადგენელთა შორის და დიდ შემოქმედებით სიხარულს ანიჭებს, როგორც შემსრულებლებს, ასევე მსმენელებს. დღესდღეობით ჯაზმა მთელი მსოფლიო მოიცავა, მაგრამ ის უპირველეს ყოვლისა ამერიკული კულტურის პირშოთა. სპირიჩუელის, მენესტრელების მუსიკალური თეატრი, რეგტაიმი, ბლუზი დაბოლოს, ადრეული საესტრადო ჯაზი – აი, მნიშვნელოვანი პირველსახეები ახალი მუსიკისა, რომელიც აფრომერიკული ფოლკლორის და ამერიკული კულტურების შერწყმით დაიბადა „ახალი სამყაროს“ ჩრდილოეთში XIX-XX სს.-ის მიჯნაზე<sup>1</sup>.

ამ მუსიკის უმთავრესი თვისება არის **იმპროვიზაციული საწყისის პრიორიტეტი**, რაც გულისხმობს იმას, რომ ჯაზური ნაწარმოები უშეალოდ შესრულების პროცესში იქმნება, სრულყოფილ ფორმას იძენს და ასეთი სახით აღარასდოროს განმეორდება.

კლასიკური მუსიკის ნებისმიერ ნაწარმოებს დასრულებული შინაგანი მთლიანობა ახასიათებს, იმისდა მიუხედავად, თუ ვინ ასრულებს მას. შემსრულებელს ძალუშს შეოლოდ აზრობრივი თუ ემოციური მახვილების გადანაცვლებით მიაღწიოს განსხვავებულ შინაარსობრივ ინტერპრეტაციას. ჯაზში კი უშეალოდ შემსრულებელი ქმნის მუსიკას და კომპოზიციის შემქმნელის სწორუფლებიანი თანაავტორია.

ჯერ კიდევ 1956 წელს ლეონარდ ბერსტაინმა ამერიკული ტელევიზიონიც *cbs-არხით* წაკითხულ ლექციაზე განაცხადა: „ჯაზი ისეთივე სერიოზულია, როგორც კლასიკური მუსიკა“, <sup>2</sup> ევროპულ ტრადიციებზე აღზრდილი უნებლივდ გადარებთ ჯაზს ევროპულ მუსიკას. იმისათვის, რომ ჯაზი ადეკვატურად იქნას აღქმული – უნდა გავაცნიოს ეროვნული კულტურის, რომ იგი წარმოიშვა როგორც ამერიკული მოვლენა და მხოლოდ თავისი განვითარების შემდგომ პერიოდებში გაიდგა ფესვები ევროპული მუსიკის სხვადასხვა შრეებში.<sup>3</sup>

იმ დროს, როცა ეპროპული **აკადემიური** ნაწარმოები ზუსტად არის ფიქსირებული, ჯაზი როგორც იმპროვიზაციული ხელოვნება, ისევე, როგორც ზეპირი ტრადიციის კლასიკური მუსიკა, მაგალითად ინდური კლასიკური მუსიკა, სანოტო ჩაწერის შემთხვევაში, კარგავს თავის იმანენტურ თვისებებს. მთებედავად იმისა, რომ ჯაზური კომპოზიციის სანოტო ჩანაწერების არსებობის ფაქტი ეჭვს არ იწვევს, ჯაზმნები ფიქსირებულ სანოტო ჩანაწერებს ერთხმად უარყოფნ („ძირს წიგნება“); მათვის ეს მუსიკა არაა იმის დღნტური, რასაც ჯაზის ხელოვნება ჰქვია. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ დიზი გილესპი, ერთხელ როდესაც მან საკუთარი სოლო იმპროვიზაციის სანოტო ჩანაწერი იხილა, თვალები აუჭრელდა მეთექსმეტედი წილებისაგან და განცვიფრებულმა იკითხა „ნუუ ამ უველავერს მე ვუკრავო?“. ზოგიერთ მუსიკოსს ამ ფაქტზე კიდევ უფრო მწვავე რეაქცია აღნიშნება.<sup>4</sup>

სანოტო ტრანსკრიიცია, არის ჯაზის მხოლოდ მკრთალი აჩრდილი. აქედან გამომდინარე, ნაწარმოები შექმნილი ევროპული აკადემიური სტილის კომპოზიტორების მიერ, თუნდაც ისეთი სახელგანთქმული ამერიკელებისა, როგორიც გერშვინი და ბერსტაინი არიან, არ არის ჯაზი. იმ შემთხვევაში კი, თუ ეს პიესები ჯაზმუსიკოსების მიერ იქნება ინტერპრეტირებული, თითოეული მათგანი შეიძლება იქცეს ასეთად.

ჯაზური იმპროვიზაცია ევრისტულ მოვლენათა რიცხვს განეკუთვნება და მასზე საუბრისას, უპირველეს ყოვლისა, უნდა გამოიყოს ისეთი იმანენტური თვისებები, რომლებიც ამ კავშირზე მიუთითებენ: შემოქმედებითი თავისუფლება, ემიციური გახსნილობა, იმპულსურობა, გრძნობადი აღქმა, მიზნისა და ხერხების „ერთმომენტურობა“, ფანტაზიურობის ფართო გაქანება. რაც უფრო მეტად არის კომპოზიციაში გამოვლენილი ეს ნიშნები, მით უფრო ნაკლებ რეგლამენტირებულად, კანონიკურად აღიქმება იგი. ამ თვალსაზრისით იმპროვიზაციულობა როგორც სააზროვნო პრინციპი, ჰქეშმარიტი ხელოვნების თანმსდევი მოვლენაა, მისი თანდაყოლილი თვისებაა, თუმცა იმპროვიზაციული ბუნების მქონე ყველა ხელოვნება ერთნაირად არ ავლენს ამ ნიშნებს. ამ მხრივ ჯაზი უნიკალური მოვლენაა.<sup>5</sup>

თავად ამ მუსიკას არსით აიხსნება ჯაზის ქაღალდზე მოუხელთებლობა, რასაც **„Freedom principle“** უწოდებენ; ეს პრინციპი ქრება მაშინ, როდესაც იწყება მისი დანაწერებულად

განსილება. როგორც დაკუწული ნაწილებიდან ვერ ააწყობ სხეულის ცოცხალ ორგანიზმს, ასეთივე ძნელია მისი დანაწერებისას ჯაზური კომპოზიციის ძირითადი იდეის დაჭერა.<sup>6</sup>

The New Grove Dictionary of Music and Musicians-ში ჯაზი შემძეგნაირად არის განმარტებული: „მუსიკის ნაირსახეობა, რომელიც შექმნილია XX ს.-ის დასაწყისები, მირთმებული შეკვეთი მეტად მიერთმეტების შერწყმის შედევრი, რომელიც ამოზრდილია ევროპულ-ამერიკული და აფრიკული ტომების მუსიკისაგან. ეს უნიკალური, მიუღება შესაძლებელია ერთი და იმავე დროს სხვადასახუთებისას შეიძლება განეკუთვნოს ხალხური, პოპულარული და მრავალმხატვრული მუსიკის სფეროს, თუმცა იგი შეიცავს ამ სამივე სახესხვაობის ასეეტებს. ჯაზმა იქნია დაღი ზევალენა უცხოურ კულტურაზე, არა მარტო თავისი უდიდესი პოპულარობის გამო, არამედ იმ მნიშვნელობითაც, რომელიც მან შეასრულა პოპულური მრავალი ფორმის ჩამოყალიბებაში“<sup>7</sup>

თუ გადავხდავთ ჯაზის ისტორიას, დავრწმუნდებით იმაში, რომ ამ უნივერსი წარმომადგენლები, მათ შორის აფროამერიკელებიც, მუდამ ისწრაფვოდნენ გაეზიარებინათ ევროპული კლასიკური გამოცდილება. გავითხსნოთ სკოტ ჯომლინი, რომელმაც სცადა დაწერა ოპერა, ბალეტი, რითაც ევროპელ კლასიკის კომპოზიტორებთან მიახლოვების სურვილი გამოივლინა, ასევე დიოკ ელინგტონი, რომელსაც ევროპული სიმღვინიშმის და ჯაზური ენის შერწყმის მცდელობა ჰქონდა. იგივე თოქმის – გერმენის, ზეს კომპრის, პოლ ვაითმენის, ბად პოულის, ბენი გუდმენის, სტეფან გრაპელის, დეივ ბრუბეკის, ლენი ტრისტანის, უაკ ლუსიერის, ბობი მაკფერენის, ჩიკ კორეას, ჯიტ ჯარეტის, პერბი პერკოკის, ვოკალურ ანსამბლ „Swingle Singers“, „KLAZZ Brothers“, „Modern Jazz Quartet“-ის და სხვათა მიმართ.

თუ საწყის ეტაპზე ჯაზი და კლასიკური მუსიკა ერთმანეთის ანტაგონისტურ, პოლარულ ცნებებად მოიაზრებოდა, XX საუკუნის 40-50-ანი წლებიდან დგება პერიოდი, როდესაც ჯაზი და კლასიკა ინტენსიურ დიალოგს იწყებენ, ეს არის ე. წ. **cool ჯაზის – „დაცხრალი“** ჯაზის ხანა. ზოგიერთი მკვლევარი მას „ევროპეზარებულ ჯაზს“ უწოდებს, ეს პერიოდი ასევე ცნობილია „დასავლეთის სანაპიროს ჯაზის“ სახელწოდებით. cool ჯაზს ახასიათებს არსებითი განსხვავება ბოპისაგან. მაგალითად, აქ უკუგდებულია რიტმული ექსპრესიულობა და ინტონაციური არამდგრადობა – სპეციფიკური აფროამერიკული მახასიათებლები.

cool ჯაზს გააჩნია ისეთი ნიშნები, როგორიცაა ემოციური თავშეკავებულობა, ინტელექტუალური საწყისის გაძლიერება, ტონალურ-მოდულაციური ლოგიკის გართულება, ფაქტურის პოლიფონიზაცია, ყოველივე ეს მას ახლოებს ეპროპულ აკადემიურ მუსიკასთან, განსაკუთრებით ბაროკოსთან (ეს პროცესი გამოიკვეთა ისეთ მუსიკოსებთან, როგორებიც არიან: ბილ ევანსი, ლენი ტრისტანო, დეივ ბრუბეკი).

დროთა განმავლობაში ჯაზმა ახალი ოვისებებით გაამდიდრა XX საუკუნის კლასიკური მუსიკის ყველა ჟანრი. ამის მაგალითად შეიძლება მოვიყვანოთ ჯ. გერშვინის („რაფსონია ბლუზის სტილში“), ა. სტრავინსკის („გბონი კონჩერტი“), მ. რაველის („ფოქსტროტი“ და ე. წ. „ბლუზური სონატა“ ვიოლონისა და ფორტეპიანოსათვის), დ. მიოს (ბალეტი „სამყაროს შექმნა“), ფ. პულენკის, ჰ. კოუელის, ე. ე. ვილა-ლობოსის, ა. შნიტკეს, ქართველთაგან ბ. კვერნაძის, გ. ყანჩელის, ნ. გაბუნიას, ს. ბარდანაშვილის, ვ. კახიძის და სხვათა ნაწარმოები.

სინთეზისადმი სწრაფვა ჯაზმენების მხრიდანაც ყოველთვის არსებობდა: „ჯაზინგი“ (Jazzing), „კლასიკის გასვინგი“ (Jazzing The Classics) – ინტერპრეტაცია, გადამუშავება ჯაზურ სულში თემებისა ან მთლიანად ნაწარმოებისა, ნიშნავს კლასიკური სტილის ჯაზურ იმიტაციას. ზოგიერთი მკვდევარი, მათ შორის უინტონ სარჯენტი ძალზედ კრიტიკულად უდგება ასეთ პროცესებს.<sup>8</sup> გარკვეულწილად შეიძლება მას დავთანხმოთ, რადგან კლასიკური მასალის ჯაზმუსიკოსების მიერ გადამუშავების შედეგად, ყოველთვის როდი მიღება შესატერულად სრულფასოვანი ნაწარმოები. ასეთი ექსპერიმენტების დირექტორება დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ესთეტიკურ, ეთიკურ საფუძველზე და რა მიზნით ტარდება ისინი; რამდენად ეთანაწყობა გამოსაყენებელი მასალის გამომსახველობითი თვისებები მსატვრულად გამიზნულ ამოცანებს და პროფესიონალიზმის რა დონესთან გაძევს საქმე. რაც შეეხება დასესხებას მუსიკაში (იქნება ეს მელოდიის ციტირება, სტილიზაცია, დამუშავება, ტრანსკრიფცია, რედაქცია ან ახალი საშემსრულებლო ვერსია), ის წარმოადგენს სავსებით კანონზომიერ და გავრცელებულ მოვლენას შემოქმედებაში.

„კლასიკის გაჯაზების“ ტრადიცია, ჯაზის ჯერ კიდევ აღრულ ეტაპზე გვხვდება: ზანგური სამხედრო ორკესტრები, რომელებიც გავრცელებული იყო XIX-XX ს.-ში; ახალორლეანური მარშირებული

ორგანტრები; ხშირად კლასიკურ ნაწარმოებს სინკლასირებულ მანერაში ამუშავებდნენ პიანისტი-რეგტაიმერებიც; იტალიური, ფრანგული, გერმანული ოპერების ჯაზურ სტილში პაროდირებას აკეთებდნენ მენესტრელები.

ჯაზის ისტორიაში ამის უძველეს მაგალითს წარმოადგენს ჯელი როლ მორტონის საფორტეპიანო პიანის „Miserere“, რომელიც ვერდის „ტრუბადურის“ თემის გადამუშავებული ვერსიაა. 20-30-იან წლებში მრავალი კლასიკური მელოდია აუდირდა Sweet ჯაზის არანიერებითა და დამუშავებით. კლასიკური ნაწარმოების თემებზე გაკეთებული პრეტენზიული და ტექნიკურად მსუსებ პატურები ხშირად ისმოდა პოლ ვათმენის სიმფო-ჯაზური ორკესტრის და სხვა ანალოგიური კოლექტივების კონცერტებზე.

ჯაზისა და კლასიკური მუსიკის ურთიერთობის ჭრილში gantsaku Tr ebi T გვინდა „Baroque Jazz“-ზე გავამახვილოთ ყურადღება. ბაროკოს ეპოქა მსოფლიო კულტურის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო ეპოქაა თავისი დრამატიზმით, ინტენსიურობით, დინამიკით და პარმონით. საგულისხმოა, ის ფაქტი, რომ ჯაზ მუსიკოსებს განსაკუთრებით იზიდავდათ ბაროკოს მუსიკის ეს თვისებები და კერძოდ ი. ს. ბახის შემოქმედება. მიმდინარეობა „Baroque Jazz“ უკავშირდება ბაროკოს ევროპული მუსიკის ჯაზურ ინტერპრეტაციას, ასევე ჯაზმენების მცდელობას ამ ტიპის მუსიკის შექმნისა. ყველაზე აღრინდელი ნიმუშები ბაროკო-ჯაზისა ექუთნის სვინგის პერიოდს.

ჩვენი აზრით ჯაზისათვის ყველაზე ახლობელი ბაროკოს შემდეგი ნიშვნებია:

1. თავის დევიზად ბაროკო „inventio“-ს („აღმოჩენას, „გამოკორებას“) და „მოძრაობა, დრო, სივრცის“ პრინციპს ორჩევს – რაც ასევე ჯაზური იმპროვიზაციის უბარებელესი თვისებაა.
2. „თამაშის“ პრინციპი. „სტილური თამაშის ხერხები ძალზედ გაგრცელებული იყო ბაროკოს ეპოქაში. თამაშის პრინციპი მეტად ქმედითა სტილურ და უანრულ სისტემებში. – ჯაზში „მველი“ სტილები და უანრები წარმატებით ესადაგებან „ახალ“ სუნთქვას და „ახლები“, რომელებიც კარგად ასიმილირებდნენ „მველთან“ ერთგვარი ტრანსფორმაციით.

3. ბაროკოს მუსიკის დამახსინათებელი ნიშანია – „წამების ათვლა“, მუდამ პულსირებული რიტმი, რომელიც ხშირად ერწყმის დაკლაკნილ რიტმულ სურათს. ბაროკოს მუსიკაშ შექმნა კონტრასტის

განსხვავებული სახეც: მიმდინარე, ცვალებადი დრო (ადამიანური ცხოვრების დრო) და გაყინული დრო (მარადიული დრო): ტემპების კონტრასტი მრავალნაწილიან ნაწარმოებებში; – ვარიაციის უარები უცვლელ, ოსტინატურ ბაზე, ქორალური პრელუდიები...<sup>9</sup> ჯაზიც უაღრესი დინამიკურობითა და იმპულსურობით ხასიათდება. რიტმი არის ჯაზის ნაძღვილი სული, მისი იმპულსი, რიტმის მკვეთრი გამოხატვა მას განსაკუთრებულ ენერგიასა და წინსწრაფვას ანიჭებს.

ჯაზური „ბაზიანა“ ისტორიკოსების მოსაზრებით დაიწყო 1937 წელს, როდესაც შესრულდა ბაზის ორმაგი კონცერტი რე მინორი გადამუშავებული სვინგის სტილში – ე. საუტის (ვიოლინი), ს. გრაპელის (ვიოლინი), ჯ. რეიპრდის (გიტარა) მიერ, ამან შემდგომში გაგრძელება პოვა ბენი გუდმანის ორკესტრში – ჯაზური ფუგა „Buch goes to town“.<sup>10</sup> მოგვიანებით ამ სტილში თავის ძალებს ცდიდნენ დ. ბრუბეკის კარტეტი, ვოკალური ანსამბლი „Swingle singers“, პანისტები: ფაკ ლუსიერი, ჯონ ლუსი, „Modern Jazz Quartet“, ბილ ევანსი კ. ოგერმანის ორკესტრთან ერთად, ბობი მაკფერენი და სხვა.

**ჯაზი და ბაზი** – ერთი შეხედვით, ეს არის ორი სხვადასხვა სამყარო. ზედაპირული მიღვომისას ჩნდება ისეთი აზრი, რომ ეს არის კლასიკური მუსიკის ჯაზური გადამუშავება, მაგრამ საჭიროა გარკვეული ჩაღრმავება, რათა გამოვალინოთ ორივე მიმდინარების მახასიათებლები წმინდა სახით. განსაკუთრებით ნათელი მაგალითა ამ მხრივ ჯაკ ლუსიერის – „Play Bach“-ი და ჯგუფი „Swingle Singers“-ის ვოკალიზი.

კითხვაზე, თუ რატომ მიმართავენ უფრო ხშირად ჯაზური გადამუშავებისათვის ბაზს, და არა, ვთქვათ, შუბერტს, რომლის სიმღერები ერთი შეხედვით უფრო ახლოსას ბლუზთან, ან ჩაიკოვსკის, რომლის მელოდიური თემები საგასტიო გამოდგებიდა „ჯაზურ სტანდარტად“ ან ბოლოს და ბოლოს დებიუსის, რომლის პარმონიული ენა ახლოსაა ჯაზთან; ვფიქრობთ, პასუხი ასეთია: ჯაზი და ბაზისულ სტილი ღრმა ნათესაურ კავშირშია, რომლის ფესვებზე მოუთითებს ესა თუ ის ინტერპრეტაცია.

ზოგჯერ თავად ბაზისულ მუსიკალურ ტექსტში შეინიშნება სვინგის ნიშნები და ჯაზ-მუსიკოსს შესაძლოა დიდი ჯაფა არ დასჭირდეს ბაზის მუსიკის ჯაზში გადატანისათვის. თუმცა, მსგავსი გარდაქმნების შედეგად, ხშირად იქმნება ისეთი ჯაზური დამუშავება,

რომელიც უფრო ინსტუმენტულ სვინგს გამოკვეთავს, ვიდრე მის იმპროვიზაციულ ბუნებას, რაც სრულიად ზედმეტია. იმისათვის, რომ გამოიკვეთოს სვინგის შეგრძნება ბაზის მუსიკაში, სულაც არაა საჭირო კონტრაბასის ან დასარტყმების მოშველიება.

სვინგის „ბაზისებური“ შეგრძნების მაგალითად გამოდგება მისი ნებისმიერი ნაწარმოებიდან თემის საწყისი ფრაზები. ჯაზო რეინპარდის აზრით, ეს ელემენტი უცბად როდი შეიძლება. მისი აღქმა შეუძლია შხოლლდ ჯაზზე კარგად გაწაულ სტენას – რეინპარდის მოსაზრებით, თემის მე-13 მე-14 ნოტში კარგად ისმინება ბლუზის ტონები, რის გამოც, ბაზისეული თემის განვითარების ლოგიკა გაცილებით ადვილად ეთანაწყობა ჯაზურ იმპროვიზაციას, ვიდრე მაგალითად, ჰაიდნის მუსიკალური თემები.<sup>11</sup>

და მაინც, როგორ შეიძლება ბაზის მუსიკაზე იმპროვიზაცია? ცნობილია, რომ იმპროვიზაცია არსებობდა ჯერ კიდევ ბაროკოს პერიოდში. თავად ბაზიც არაჩეულებრივად იმპროვიზირებდა ორგანსა და ჩემბალოზე. ბაროკოს მუსიკაში შეიძლება აღმოვაჩინოთ მკაფიო პარალელები ჯაზურ რიტმ-ჯგუფება და კონტრაბასთან: ჯაზ-მუსიკის იმპროვიზირების აკორდების თანმიმდევრობის თანხლებით, ბაროკოს ეპოქის მუსიკისა – ბას-კონტინიუს თანხლებით.

მარკუს ველფლეს საყოველთაო თეზისი ასეთია: ბაზის თხზულებებში თითოეულ ნოტს გააჩნია იმდენად ზუსტად გათვლილი ადგილი, რომ მისი ფრაზები შეიძლება მათემატიკურ ფორმულებს შევადაროთ. საფუძლიანად თვლიან, რომ კლასიკურ მუსიკის არ ძალაშს მელოდიური ხაზის განვითარება ისე, როგორც ამას აკეთებს ჯაზ იმპროვიზატორი. მაგალითად, შეიძლება მოვიყვანოთ ორი ერთმანეთისგან განსხვავებული პიესა კოლემან პოკინის „Picasso“ და ლენი ტრისტანის „Line Up“-ი: მათში ყველა ტონი ჯაზურად ინტენსიურია მაგრამ თანმიმდევრობა თითქოსდა სპონტანურია. კრიტიკოსები ამ პიესებს ხშირად ადარებენ ბაზის მუსიკას.

ერთხელ სტეფან გრაპელმა თავის თავზე საუბრისას აღნიშნა, რომ იგი იმპროვიზაციებში ცდილობს ისეთ ხარისხობრივ მასშტაბებს მიაღწიოს, რომლებიც ბაზის მუსიკას ახასიათებს. ჯაზმენი არ უარყოფს სულიერ სიახლოეს ბაზის მუსიკასთან, მაგრამ სულაც არ მოსწონს, და სამართლიანადაც, როდესაც მისი მუსიკის მიმართ იყენებენ კლასიკური მუსიკის კრიტერიუმებს.

„გოლდბერგ-ვარიაციები“ ბაზის პირველი ბიოგრაფის, იოპან ნიკოსაუს ფორკელის მტკიცებულებით (1802) – „წარმოადგენს

მოღვალს, რომლის მიხედვთაც უნდა აიგოს ყველა გარიაუია.“ ამ თეზისს დღესაც არ დაუკარგავს მნიშვნელობა; ის, რომ ბევრი „ვარიაცია“ ემყარება ბახისულ მეტრულ მოდელს კანონზომიერია არა მხოლოდ ბაროკოს პერიოდისათვის, არამედ XIX-XX საუკუნებისთვისაც. რა თქმა უნდა, ეს განსაკუთრებით რობერტ შუმანს ეხება (თუმცა, ამ ტიპის ვარიაციების ნიმუშები გვხვდება შუმანამდეც, ბეთჰოვენთან და მის შემდეგაც, მაგ., ბრამსთან).

ბახისულ „წყაროს“ ეტანგბიან უმტტესად ჯაზ პიანისტები, ბევრი მათგანი – ელინგტონიდან ევანსამდე – უკრავს ბახს შინაგანად, გარკვეული „ინტიმით“, თითქოს თავისთვის, ზოგიერთი უძლვნის მას თავის ჩანაწერებს. ბად პაუელის „Bud on Bach“-დან მეღ უოლდრონის „Back to Bach“-ით დამთავრებული. მომღერალ ნინა სიმონეს პოპულარობა მეტადაა დავალებული ფუგის სტილში საფორტეპიანო იმპროვიზაციებისგან. ბაროკოს, ბახის მუსიკის ზეგავლენა იგრძნობა cool ჯაზის პიანისტებზე, განსაკუთრებით კი ლენი ტრისტანოზე, მისი კონცერტები ხშირად იწყებოდა ბახის რომელიმე ნაწარმოების ტექსტის ზუსტი შესრულებით და მხოლოდ ამის შემდეგ უქავდა იგი „თავის მუსიკას“. ალბათ, ვერც დევი ბრუბეკი მაღალებიდან ბახის გარეშე დიდებას. ასევე ჯონ ლუისმა ჯგუფ „Modern Jazz Quartet“-ში მიუძღვნა თავის ჩანაწერები ბახს „Blues on Bach“ და სოლო „Preludes and Fugues“.

უნდა აღინიშნოს, რომ ბახის ზოგიერთი კომპოზიციის ინტერპრეტაციაში და მის ჯაზურ სტანდარტში მეტად თვალნათლივ ჩანს პოლიფონიურობისაკენ სწრაფვა. ეს ტიპური იყო ნიუორლენის ჯაზში; სეინგისა და ბიბობის ეპოქაში აღნიშნული ნიშნები ნაკლებად ვლინდება. cool ჯაზის მუსიკოსები კი, რომლებსაც აკადემიური განათლება ჰქონდათ მიღებული, კვლავ უბრუნებენ ჯაზს პოლიფონიზაციის პრინციპს და ბახი მთ მუდმივ ორიენტირად რჩება.

მიუხედავად იმისა, რომ თემებში და მრავალი ჯაზური სტანდარტების პარმონიულ საფუძველში (მაგალითად, პიესაში „Softly, As In A Morning Sunrise“) პოლიფონიური მოდგომა არ არის, მეღლიდურ ქსოვილის იმპროვიზაცია მაინც წააგავს ბახისას. ამის ნათელი მაგალითია „All The Things You Are“: არამარტო cool ჯაზში, არამედ პარკერისუელ ბოჭმი, განსაკუთრებით კი ბრაზილიელი გიტარისტის ბადენ პაუელის იმპროვიზაციებში – ნებისმიერ

შემთხვევაში ჯერომ პერნის, ეს სტანდარტი მოგვაგონებს ბაროკოს ეპოქას.

დაბოლოს, ბახისა და ჯაზის მიმართებაში, უნდა გავიხსენოთ ლი კონიცი, რომელმაც ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა „მე ვესტერნ ჩემს ბახს, და ყოველთვის ვცდილობ არ დავივიწყო, რომ ჯაზი სწორედ მისგან წარმოდგა. მე ვვიქრობ, ბახი იყო პირველი ჯაზ-მუსიკოსი. მის მუსიკაში არის ივივე სვინგი და ივივე შინაარსი, რაც ჩემთვის ჯაზს წარმოადგენს... მე თითქმის ყოველდღიურ ვესტერნ მის სუიტებს კოლონიულოსათვის, უფრო გრანდიოზული, უფრო ამაღლებული მუსიკა მე არ მეგვლება“.

50-იანი წლების ბოლოს ჯაზის პრინციპებისა და თანამედროვე აკადემიური მუსიკის ელემენტების შერწყმის შედეგად წარმოიშვა თანამედროვე სტილური მიმართულება სახელწოდებით „მესამე მიმდინარეობა“ (*Third Stream*), „მესამე მიმდინარეობა“ წარმოიშვა აკადემიური მუსიკალურ ხელოვნებისა და ჯაზის სინთეზის საფუძველზე და მას უკავია შეალედური პოზიცია მათ შორის (ტრემინი ეკუთვნის ამ მიმართულების ფუძემდებელს გაუნთერ შიულერს).

ამდენად, მუსიკის ეს ორი სფერო – ჯაზი და კლასიკა ურთიერთ ზემოქმედებდა, და ეს ორმხრივი პროცესი პარალელურად მიმდინარეობდა.

დღეს, ჯაზურ და კლასიკურ მუსიკას ერთი და იგივე პროცენტული მაჩვენებელი უკავია ამერიკული მუსიკის ბაზარზე. დღვევანდელი ჯაზური მუსიკა ახალ-ახალი იდეებით ამდიდრებს თანამედროვე მუსიკალურ სივრცეს – ხდება მუსიკალური ხელოვნების სხვადასხვა სფეროების, უნიტების, მიმართულების ინტეგრაცია, მათ შორის კვლავაც აქტუალურია ჯაზისა და კლასიკური მუსიკის შერწყმა, რამაც გამოიწვა ე.წ. ზღვრის წაშლა – კლასიკური მუსიკის და ჯაზის შემსრულებლების შორის. ამის დასადასტურებლად მრავალი მაგალითი შეიძლება მოვიყვანოთ: ოსკარ პიტერსონით... დაწყებული, ბრედ მელდაუთა და იარონ ჰერმანით დამთავრებული.

საგულისხმოა ისიც, რომ აღნიშნული მუსიკოსები უმაღლესი აკადემიური განათლება მიღებული არიან და შესანიშნავად ასრულებნ კლასიკურ მუსიკას, როგორც პირველადი ორიგინალის სახით (მაგალითად, კიტ ჯარეტის შესრულებით ბახის „კტკ“-ს I და II ტომი და შოსტაციონის პრელუდიების და ფუგების I და II ტომი, ჩიკ კორეს და ბობი მაკფერენის №23 კონცერტი, კიტ

ჯარების მოცარტის №23 კონცერტი, უნიტონ მარსალისის ვიგალდის №2 კონცერტი საყვირისათვის, მოცარტის რე მაჟორული კონცერტი საყვირისათვის და სხვ.), ასევე მის ჯაზურ სტილში ინტერპრეტაციისას.

1. Конен В., Рождение джаза, М., 1990. გვ. 5-44.
2. Переверзев Л., Жив ли джаз? ежедневный сетевой журнал «ДЖАЗ.РУ», 1998, Выпуск #43. გვ. 15.
3. Панасье Ю., История подлинного джаза Л. 1978 გვ. 75-81.
4. Shipton A., Groovin' High: the Life of Dizzy Gillespie, New York, 1999.
5. ე. ბუჩუკური, მიპროვიზაციულობა როგორც სააზროვნო პრინციპა და ჯაზი//ამერიკის შესწავლის საკითხები, N 2, 2003, გვ. 352-357.
6. Курмаев С., ДЖАЗ — МУЗЫКА ДВАДЦАТОГО ВЕКА, Бостон, 2007.
- 7.The New GROVE Dictionary of Music and Musicians, №9, 1989, გვ. 561-579.
- 8.Саржент У., ДЖАЗ М., 1987. გვ. 218-225.
9. Лобанова М., Западноевропейское музыкальное барокко: Проблемы эстетики и поэтики, М., 1994.
10. Панасье Ю., История подлинного джаза Л. 1978 გვ. 234.
11. Велфле М. А., Джаз и Бах \_ Дюк Иоганн? Каунт Себастиан?, Jazz-Квадрат, 2007:გვ. 27.

- [www.swingtime.ru](http://www.swingtime.ru)
- [www.apassion4jazz.net](http://www.apassion4jazz.net)
- [www.jazz.ru/eng/history/default.htm](http://www.jazz.ru/eng/history/default.htm)

მაია სიგუა  
მაგისტრატურის I კურსი  
ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. ქეთევან ბოლაშვილი

### ანთიპური ტრაგედია XX საუკუნის მუსიკალურ-სცენურ ნაწარმოებებში – ზარის ინტერართუაციის საპითხები

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი მაღალგანვითარებული ცივილიზაციის – ძველი საბერძნების კულტურული მემკვიდრეობა ასწლეულების მანძილზე არაერთ ხელ გახდა სხვადასხვა ეროვნების და ხელოვანთა შთაგონების წყარო. სწორედ მათი შემოქმედების წყალობით შეიქმნა და დაკვიდრდა წარმოდგენა ძველ საბერძნებზე, როგორც ჰარმონიულ, დახევწილ, იდეალურ სამყაროზე, მაგრამ მათ შორის არც ერთისთვის ყოფილა ეს სამყარო ჩვეულებრივი ფოვლდღიურობა, ამიტომაც იყო ეს წარმოდგენები პირობით.

სწორედ ანტიკური მუსიკის აღორძინების მცდელობას დაუკავშირდა ოპერის დაბადება XVI-XVII საუკუნეების მიჯნაზე, მაგრამ, როგორც გერმანელი კომპოზიტორი კარლ ორფუ წერდა, ოპერის ისტორია, რომელიც, ცხადია, მუსიკალური ჟანრების და გამოშვანებითი საშუალებების განვითარების პროცესში აღმოცენდა, მაინც შეცდომით დაიწყო.<sup>1</sup> აյ იგულისხმება ფაქტი – ფლორენციის წრის წევრები დაახლოებით 1600 წლისთვის ბერძნულ ტრაგედიას მუსიკალურად მიიჩნევდნენ არა მარტო საერთო პარტიებში, არამედ მთლიანად. პირველი იტალიური ოპერა და საერთოდ, ევროპული მუსიკალური თეატრის პირველი ნაწარმოები პერისა და რინუსინის „დაფნე“, იყო მცდელობა შეესრულებინათ – ემდერათ ბერძნული ტრაგედია.

ოთხი ასწლეულის წინ დაწყებულმა ამ პროცესმა – ინტერესმა ანტიკური თეატრისადმი – საუკუნეთა განმავლობაში რამდენჯერმე, მათ შორის გასული საუკუნეში, კიდევ ერთხელ იჩინა თავი. ანტიკურ სიუჟეტებზე მრავალრიცხოვნი ნაწარმოები შეიქმნა: ოპერები – რიპარდ შტრაუსის „ელექტრა“, ერნსტ კრუნეკის „ორესტეს ცხოვრება“, ჯორჯე ენესტუს „ოიდიპოს მეფე“, კარლ ორფის ამავე სახელწოდების მუსიკალური ტრაგედია, მით-კლოდელის „ორესტეა“ და მთელი რიგი „წუთ-ოპერებისა“; იგორ სტრავინსკის „ოიდიპოს

მეცნი; არტურ ონეგერის, ასევე კარლ ორფის „ანტიგონე“ და სხვა. მოგვიანებით ამ თემატიკას თავიანთ სცენურ օრუს-ებში მიმართავენ პიერ ბულეზი, იანის ქსენაკისი, ლუიჯი ნონი, ჰანს ვერნერ ჰენცე. თთოვეულ მათგანთან სხვადასხვაგვარად გაიაზრება დრამატურგის, სტილის, მუსიკალური ენის და, რაც ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანია, უანრის საკითხი.

საერთოდ, ამა თუ იმ უანრისადმი მიკუთვნებულობის პრობლემა გასულ საუკუნეში განსაკუთრებით გამწვავდ და ერთნაირად შეეხო როგორც ინსტრუმენტული, ისე ვოკალური მუსიკის ყველა ნაირსახეობას, მათ შორის, მუსიკალურ-სცენურსაც. მოხსენებაში ოპერის ნიშნების მატარებელ მრავალრიცხოვნ օრუს-თა შორის ყურადღებას მხოლოდ იძახზე შევაჩერებთ, რომლებიც სწორედ ანტიკური, უფრო ზუსტად კი ძველი ბერძნული ტრაგედის კლასიკოსების შემოქმედებით არიან ინსპირირებულნი, განვიხილავთ, თუ როგორ ხდება მათში ამ ყველა დროისთვის აქტუალური თემატიკის ახალ დროსა და სივრცეში გადმოტანა – გათანამედროვება და როგორ აისახება ეს ნაწარმოების სანრულ ბუნებაზე. კონკრეტულად კი შევეხსით იგორ სტრავინსკის „ოიდიპოს მეცნეს“, არტურ ონეგერის, ასევე კარლ ორფის „ანტიგონეს“, იანის ქსენაკისის „ორესტეას“.

XX საუკუნის 20-იან წლებიდან აღორძინებული ანტიკური სიუჟეტები, სხვადასხვა დროს სხვადასხვა უანრული და სტილური დამუშავებების სახით გვხვდება. მათ ვხედავთ ჯერ კიდევ ექსპრესიონისტებთან, ნეოკლასიცისტებთან, ახალ პოზიტივისტებთან. მათ მიმართავდნენ პ. კლოდელი, ო. კოკოშკა, და პ. პიკასო, ჟ. კოკტე. ცნობილია უან კოკტეს სიტყვები: „თვითმფრინავიდან ვისურვებდი ძველი საბერძნეთის ფოტოგრაფიებას“<sup>2</sup>. ეს სიტყვები აშკარად მიუთითებს ანტიკურობის გათანამედროვების იმ მისწავებაზე, რომელიც ანტიკურ სიუჟეტებზე შექმნილი მუსიკალურ-სცენური ნაწარმოებებისთვის დაწერილ მის ტექსტებში გამოვლინდა.

განსახილველი ნაწარმოებების შექმნის თარიღებს ერთმანეთისგან მიახლოებით ოცწლიანი დროითი ინტერვალები აშორებთ<sup>3</sup>, მაგრამ ანტიკურობისა და თანამედროვეობის შერწყმის მცდელობა აახლოებთ, თუმცა განსხვავებულია აკტორთა მიზნები და შესაბამისად შედეგებიც. თუ ქსენაკისი მიზნად ისახავდა ძველი ბერძნული თეატრის ელემენტების რეკონსტრუირებას, თანამედროვეობის სარკეში თავისებური არქეოლოგიური სურათის ანარეკლის შექმნას, და მთელი რიგი ორიგინალური ხერხების გამოყენების წყალობით სრულად

მიაღწია მიზანს<sup>4</sup>, ონეგერთან და სტრავინსკისთან ანტიკურის გათანამედროვების ტენდენცია და ზოგადად, ინტერესი ანტიკური თემატიკასადმი ნეოკლასიციზმთან არის დაკავშირებული. „ანტიგონე“ და „ოიდიპოს“ ერთსა და იმავე პერიოდში (1926-1927 წწ.), ერთსა და იმავე კულტურულ სივრცეში იქმნებოდა, მაგრამ მათ შორის თვისობრივი განსხვავებებია. სტრავინსკი მიზნად ისახავს აღადგინოს ოპერა-ორატორიის<sup>5</sup> უანრი ანტიკურ სიუჟეტზე დრამატურგის, ფორმის, მუსიკალური ენის, ტექსტის არქაიზაციის ნიშნით; ონეგერი კი „ანტიგონეს“ ქნის, როგორც მუსიკალურ დრამას, მაგრამ, თავად მას „მუსიკალურ ტრაგედიას“ უწოდებს<sup>6</sup>. კომპოზიტორისთვის ოპერის მიახლოება ორატორიასთან იმ პერიოდში შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალი იყო: „ოპერაში სამი დიდი მუსიკოსი ბატონობს: ვანერი, ლებიუსი და რიპარდ შტრაუსი. თუ დებიუსის გავლენას გაექცევი, მეორე უკადურესობისკენ – მასნესკენ წახვალ; შტრაუსიდან პუჩინისკენ გადადიან – ეს კიდევ უფრო უარესია. უკანადანევის ნაცვლად (უკანდახევა ხომ დამარცხებას ნიშნავს), რატომ არ ვეძებოთ ახალი გზები?“<sup>7</sup> – წერდა ონეგერი. ასეთი გზა მისთვის იყო ოპერის გამდიდრება ეპიკური, გმირულ-ხალხური თეატრიკით, მისი დაახლოება ორატორიასთან, რაც „მეფე დავითში“ და „ივლითში“, მოგვიანებით, მეტნაკლებად „ანტიგონეში“ გამოვლინდა.

თუ სტრავინსკი და ორფი მიზნის განსახორციელებლად სტილიზაციას მიმართავენ, ონეგერი ანტიკურ სიუჟეტებს ზოგადსაკაცობრიო თემატიკის თვალსაზრისით იაზრებს. მას მიაჩნია, რომ სტილიზაციის გზით ასეთი მარად ცოცხალი და აქტუალური პრობლემების გადმოცემა აღარიბებს მას და ამასთანავე ბოჭავს შემოქმედებით როლს. ამიტომ იყო კრიტიკულად ეკიდება სტრავინსკის ნეოკლასიცისტური ოპერების და ბალეტების მთლი სერიას. ანტიკურის გათანამედროვება ონეგერთან გამოიხატება სახეობრივ დახასიათებებში და მუსიკალურ ენაში და, რაც ძალიან მნიშვნელოვანია, ტექსტში. კოკტეს ტექსტის შესახებ იგი ამბობდა, რომ ესაა ტექსტი, რომელიც „ცრუ „ლიტერატურშინის“ (ბრჭყალები ჩემია – ძ. ს.), არქეოლოგიის, ფალი დიდებულების გარეშე გადმოსცემს წარსულის ამ ჭეშმარიტებას, რომელიც მარადიული გახდა“<sup>8</sup>. მკვეთრმა, ყოველგვარ რომანტიზმს მოკლებულმა კოკტეს ტექსტმა უბიძგა ონეგერს, რომ თავისი სახებისთვის ექცნა შესატყვისა მკვეთრობები, მოკლებული უმცირეს სირბილესა და სენტიმენტალობას. გარდა ამისა,

კომპიტორი ახდენდა მოვლენების დროში შემჭიდროებას, იყენებდა დამდაბლებულ სტილისტიკას, თითქმის ყოფით, ლექსიკას, რომ ამ გზით ანტიკური ტრაგედია უფრო გასაგები გაეხადა XX საუკუნის მსმენელისათვის. „ტექსტის შემჭიდროებამ გაუთვალისწინებელი შედეგები მოიტანა: მკვეთრი, ხისტი სცენების და მრავალრიცხოვნი „სიკვდილების“ დროში დაახლოება მის ზემოქმედებას კი არ აძლიერებს, არამედ პირიქით, ასუსტებს, რადგან მსმენელი მათ აღქმას და გააზრებას ვერ ასწრებს [...] კოექტოს მიერ სოფოკლეს ტექსტის თავისუფალი ადაპტაცია დრამატული პოეზიის ამ შედევრს მშრალ საგაზეთო ქრონიკას ამსგავსებს“<sup>11</sup>. დრამატიზმის, სცენური დაბაბულობის მხრივ „ანტიგონე“ შორდება ორატორიას და უფრო მეტად უახლოვდება „წმინდა“ ოპერას, ვიდრე ონეგერის ამ ტიპის აღრინდელი ქმნილებები, რომლებმიც საგუნდო ეპიზოდების სიჭარბე და დრამატურგიის ეპიკურობა აშკარად შეინიშნება. მუსიკალური განვითარების სტრაფვითი დინამიკა, ნათელი, მყაფიო თეატრალური ქმედება, დეკლამაციური მონოლითის ბატონობა „ანტიგონეს“ საოპერო დრამატურგიის ნიშან-თვისებებია. კომპოზიტორი თეატრალური დრამატურგიის კანონებს ემორჩილება და ცდილობს მის თავისებურებებს ოპერის სპეციფიკა მიუსადაგოს. „ანტიგონე“ სინთეტური ნაწარმოებია, მოქმედების განვითარებული ელემენტებით (სტრაფი ტემპი და რიტმი, თეატრალური დრამატურგიის კანონზომიერებების მიხედვით სცენების განლაგება, მოქმედების კონცენტრირებულობა, მისი მიმართება ერთიანი კულმინაციისკენ და ა. შ.). მაგრამ გუნდი-ხალხის მუდმივი – ხილულად და უხილავად – ყოფნა სცენაზე, მაღალი განზოგადების მოძრავი და პრიზიტორი იდეის განმტკიცება (კვანძის ტრაგიკული გახსნის მიუხედავად) აახლოებს მას ონეგერისვე სხვა ოპერა-ორატორიებთან, ამიტომ, ზოგიერთი მკვლევარი „ანტიგონესაც“ ოპერა-ორატორის უწიდებს.

სტრავინსკი სხვა გზით მიდის. უპირველეს ყოვლისა, ის იღებს სოფოკლეს „ოიდიპოს მეფის“ თემატიკას იმიტომ, რომ ზოგადსაკაცობრივი სიუჟეტი სჭირდება, ან, იმ ზომამდე ცნობილი, რომ არ საჭიროებდეს დაწვრილებით გადმოცემას. „მინდოდა პიესა, როგორც ასეთი, უკანა პლანზე გადამეწია, რადგან ვფიქრობდი ამით გამომეკვეთა მისი დრამატული არსი და თავი გამეთავისუფლებინა, რომ უფრო მეტად ჩავლრმავებოდი მუსიკალურ დრამატიზაციას“ – წერდა კომპოზიტორი<sup>10</sup>. შესაძლოა, ამიტომაც არ მოექცა იგი კოექტოს ტექსტის გავლენის ქვეშ, პირიქით, ძალზე აქტორად ჩაერია ლიბრეტოს

შექმნაში, ვიდრე არ შეექმნა არა დრამა მოქმედებით, არამედ „რაღაც „ნატურმორტის“ მსგავსი“. „რა ეკუთვნის ლიბრეტოში კოკტოს? [...] ვფიქრობ უფრო ნაკლებად ფორმა, ვიდრე ფრაზების აღნაგობა [...] მაგრამ მუსიკა მოდის სიტყვების გვერდის ავლით და მთლიანად შთაგონებულია სოფოკლეს ტრაგედიით“<sup>11</sup>.

კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი ტექსტთან დაკავშირებით არის ისიც, რომ კოკტოსეული ფრანგული ტექსტი ლათინურად ითარგმნა და მსმენელისთვის კალავ გაუგებარი დარჩა. ამასაც თავისი მიზეზი პენდა, რომელსაც კომპოზიტორი ასე ხსნდა: „დაღი ხანია მინდოდა დამეწერა ოპერა მკვდარ ენაზე. ლათინურს სულაც არ აღვიქვამდი მის კათოლიკურ-კლერიკალურ ასპექტში, არამედ სააფთიაქო, იურისპრუდენციულ, ნოტარიალურ, სამეცნიერო – ერთი სიტყვით, მეტად ზუსტ და მყარ ენად მესახებოდა. იგი ჩემს ოპერაში დეკორატიულია, სტატიკური, უძრავი, მასიური“<sup>12</sup>. გარდა ამისა, ლათინურის საშუალებით სტრავინსკი ნეოლასცისტური თეატრისთვის დამასასიათებელ გაუცხოების ეფექტსაც აღწევს, მაგრამ ნაწარმოების შინაარსისგან მაყურებლის სრული გამიჯვნის თავიდან ასაცილებლად შემოჰყავს სპაკერი (მთხოვნებელი), რომელსაც ორგვარი უწესება აკისრავა: იგი პუბლიკას მათვის გასაგებ ენაზე ესაუბრება და ამით ეხმარება გაჰყევს მოვლენების მსვლელობას. მეორე მხრივ, გვევლინება რა შუალედურ „რგოლად“ შემსრულებლებსა და მაყურებელს შორის, აძლიერებს გაუცხოებას და კიდევ უფრო მეტ ობიექტივიზაციას ახდენს. აღსანიშნავია, რომ ამ სტატიკურ ნაწარმოებში მხოლოდ სპიკერი მოძრაობს. მ. დრუსკინი გამოთქვაში ვარაუდს, რომ ეს შესაძლოა მეორპილდის ზეგავლენა იყოს, რომელიც 1908 წელს წერდა: „საჭიროა უმოძრაო თეატრი. ეს არაა არნახული, არასდროს არსებული რამ. ასეთი თეატრი უკვე იყო. საკეთესო ტრაგედიები: „ეგერნიდება“, „ანტიგონე“, „ელექტრი“, „რიდი პოსი კოლონოსში“, „პრომეთე“, „ქოეფორები“ უმოძრაო ტრაგედიებია. მათ ში ფსიქოლოგიური ქმედებაც არაა, მატერიალურზე რომ არაფერი ვთქვათ. ანუ, არაა ის, რასაც სიუჟეტს ვუწოდებთ“<sup>13</sup>.

სტრავინსკის „ოიდიპოს მეფის“ ორატორიის წილი გაცილებით აღემატება ოპერისას. ძალზე მცირეა არიების რაოდენობა, მაშინ, როცა მოქმედების მთავარი წარმმართველი გუნდია. შეკრული, მკაცრი საგუნდო სცენები პენდელის ორატორიებთანაც ავლენენ გარკვეულ მსგავსებას. კომპოზიტორი უპირველესად განვითარების წმინდა მუსიკალურ კანონზომიერებებს ემორჩილება და ამას ლიტერატურული

და თეატრალური მხარე ეწოდება (აქედან – ლათინური ტექსტი და მოქმედების სტატიკურობა, რის წყალობით სტრავინსკისთვის იმატება მნიშვნელობა, რაც მის მიხედვით „ორიენტობული მუსიკური მუსიკა“ გამოიყოფა). „შინაარსის მიხედვით „ორიენტობული მუსიკური მუსიკა“ გამოიყოფა. ამავე მუსიკა მოძრაობის თვალსაზრისით სრულიად არასაოპერო ნაწარმოებია“ – წერდა კომპოზიტორი „დიალოგებში“<sup>14</sup>.

ანტიკურ ტრაგედიებზე შექმნილ კარლ ორფის სცენურ  
ნაწარმოებებს, მათ შორის „ანტიგონესაც“ (1949 წ.) სტრავინსკის  
„ოიდიპოს მეფესთან“ აკავშირებთ ანტიკური თეატრისთვის  
დამახასიათებელი ფორმების და უანრული თავისებურებების  
აღორძინების მცდელობა. ამასთან, ორფი ათანამედროვებდა ძველ  
ბერძნულ სიუჟეტებს მხოლოდ მუსიკის საშუალებით. ლიტერატურული  
წყაროს დრამატურგიულ ქსოვილს, ტექსტს, უძველეს პრობლემაზე გას  
(რომელთაც ონეგერის მსგავსად ყველა დროისთვის აქტუალურად  
მიიჩნევდა) – ხელუხლებლად ტოვებდა. „ანტიგონესთან“  
დაკავშირებით კომპოზიტორი წერდა: „ჩემი ამოცანა იყო, არაფერი  
მიმებატებინა სოფოკლეს ტრაგედიისთვის, მხოლოდ ინტერპრეტირება  
მომეხდინა თანამედროვე საშუალებებით [...]“ „ანტიგონე“ არაა  
ჩვეულებრივი სარეპერტუარო ნაწარმოები საოპერო თეატრებისთვის,  
ესაა საკულტო თეატრის სახეობი წარმოდგენა [...]“ აქ ჩემს  
ნაწარმოებზე არა სუბარი, არამედ სოფოკლეს ტრაგედიაზე, რომლის  
მიღმა მთელი სამყაროა<sup>15</sup>. საინტერესოა, რომ თავად კომპოზიტორი  
თავის ანტიკურ ტრაგედიებს „საკულტო დრამებს“ უწოდებს<sup>16</sup>.

„ანტიგონეში“ ანტიგური დღამა ღრმა ტრაგიკულ განზოგადებას ინარჩუნებს. მუსიკა სანახაობის ერთ-ერთი ატრიბუტია, რომელიც თეატრის კანონებს ემორჩილება, ამ შემთხვევაში – ბერძნული ტრაგედის.

ორფი ანტიკურ ტრაგედიებს აღიქვამდა არა როგორც წმინდა მუსიკალურ, არამედ სინთეტურ ნაწარმოებებს. მან უარი თქვა სპეციალურად შედეგნილ ლიბრეტოზე და „ანტიგონეში“ სოფოკლეს ტექსტის გერმანულ ენაზე ჰელდერლინისეული თარგმანი გამოიყენა. ესქილეს მიხედვით შექმნილ „პრომეთეში“ კი, ქსენაკისის მსგავსად, საერთოდ უარყო ყოველგვარი თარგმანი და შეინარჩუნა ძველი ბერძნული ენა, რომელიც მისთვის სიბბოლური მნიშვნელობის იყო, როგორც პირველი ენა, რომელზეც შეიქმნა ევროპული კულტურა<sup>17</sup>.

კომპიუტორის ცდილობს თანამედროვე სცენის პირობებში კლასიკური ტრაგედიის უზრუნველყოფის დანართის მიხედვით.

ენისა და ინსტრუმენტების საშუალებით გააცოცხლოს. მაგალითად, ტექსტის მუსიკალური ინტერპრეტაციისთვის იგი იჩჩევს ძენწ, მკაცრ დეკლამაციურ სტილს: იყენებს ერთხმიან ფობურდონულ გუნდებს ძველი იტალიური მადრიგალების სტილში და სოლოებს გამოკვეთილად ფიქსირებული რიტმით, მკვეთრად შეზღუდულ საორკესტრო პალიტრას. მელოდია რაც უფრო იშვათად ჩნდება, მით ნათლად და მნიშვნელოვნად ჟღერს. კომპოზიტორი ცდილობს შექმნას რიტმულად ორგანიზებული რეჩიტაციის განსაკუთრებული ტიპი, რომელიც ცნობილი იყო, როგორც გავრცელებული და მიღებული ძველ ბერძნულ თეატრში. დეკლამაციის და რეჩიტაციის შეცვლა ერთ ბევრაზე ფსალმონირებით – ლითამაშვილის რიტუალით არის შთაგონებული. ბიზანტიური ლიტურგია უფრო ახლოა ბერძნულ ტრაგედიასთან, ვიდრე ოქერა.

ორ კესტრი მაქსიმალურად უახლოვდება ანტიკური ინსტრუმენტარიუმს (კვედებით იშვიათ ინსტრუმენტებს, „არქაულ დასარტყამებს“, არატრადიციულ შემადგენლობას)<sup>18</sup>; გამოხატვის საშუალებები ძუნწა, ტემპრები – ერთმნაშვნელოვანი, ერთულქციური, განსაზღვრული პერსონაჟისთვის თუ სიმბოლო-იდეისთვის მისადაგისული. ორფი უარს ამბობს სიმფონიური ორკესტრისთვის ტრადიციულ შინაგან ორგანიზებაზე და იყენებს ორიგინალურ ინსტრუმენტულ შემადგენლობას. მასთან პირველ ადგილზე სიმღერა, სიტყვა, მეტყველების მუსიკაა, ინსტრუმენტული თანხლება – დაქვემდებარებულ როლშია. სხვადასხვაობა, სახასიათო დეტალები მინიმალურია, მაქსიმალური კონცენტრაცია, ძირითადად, ერთ განწყობილებაზეა, დაცულია სტილის სიწმინდე, მუსიკალური და ფერწერულ-დეკორატიული საშუალებები მეცაცრად შეირჩევა, არ კითარდება ფასქოლოგიური კონფლიქტები, დაპირისპირებულია შეოღუდ პირობითად შავი და თეთრი. ამ თვისებებით ორფის ნაწარმოები ონეგერის „ანტიგონეს“ სრული ანტიპოდია.

თუ სტრავინსკიმ „ოიდიპოსში“ კოკტოს ტექსტის ლათინური თარგმანი გამოიყენა, ონეგინმა – კოკტოს მიერვე ფრანგულად ადაპტირებული სოფოკლეს ტექსტი, ორფა – სოფოკლეს პელლერლინისეული თარგმანი, რომელშიც ანტიკური მეტრი ორგანულად ერწყმის გერმანულ სინტაქსურ სტრუქტურებს. შესაბამისად, ორფას „ანტიგონე“ ბერძნულ ორიგინალთან კვლებე ახლოა და, ამ მხრივ, ერთგვარად გნათესავება ქსენაკისის „ორესტეას“ – სოფოკლესეული ტექსტის ჟავაზელად გადმოკემის გამო და

მეორე მხრივ, – სტრაგინსკის და ქსენაკის სტილიზაციის გამოყენების გამო.

თუ ზემოთ განხილული სამი ნაწარმოების უანრული მიკუთხებულობის საკითხი მეტნაკლებად გარკვეულია, ეს პრობლემა ნამდვილად დგას ქსენაკისთვის. ზოგადად, ეს ნაწარმოები მრავალი პარამეტრითა საინტერესო. ამიტომ, „ორესტეას“ შედარებით ვრცლად მიმოვისილავთ.

უპირველესად, აღსანიშნავია მისი ადგილი და მნიშვნელობა თავად კომპოზიტორის შემოქმედებაში, რომელსაც ხშირად, ფართოდ გავრცელებული და ოცუთ მართებული წარმოდგენების მიხედვით მხოლოდ რთული და რიგითი მუსიკისისთვის გაუგებარი თეორიების შედეგად შექმნილის იარლიფს აკრავენ. „ორესტეას“ ისევე ამსხვრევს ქსენაკისის შესახებ ფართოდ გავრცელებულ შეხედულებებს, როგორ თავად ქსენაკისი, რომელიც ამ იოსას-ით ანტიკურ სამყაროზე საყოველთაოდ გავრცელებულ წარმოდგენებს ცვლის.

„ორესტეას“ თამამად შეიძლება ვუწოდოთ უნიკალური ნაწარმოები – იგი ბერძნულ თემატიკაზე ბერძენი კომპოზიტორის ქნილებაა.

„ჩემ მიერ დამუშავებულ ანტიკურ ტრაგედიებში, ვცდილობ მოვახდინო ანტიკური თეატრალური დეკლამაციის, მელოდიკის რეკონსტრუირება, თანამდროვების საკეში არქეოლოგიური სურათის ანარეკლი შევქმნა“<sup>19</sup> – ასე ახასიათებს ქსენაკისი ანტიკურ ტექსტებზე შექმნილ თავის იოსას-ებს, მათ შორის „ორესტეასაც“, რომელიც კომპოზიტორის შემოქმედებაში ამ ტიპის ნაწარმოებების ერთ-ერთ ყველაზე სრულყოფილ ნიმუშად ითვლება.

1965-1966 წლებში, როცა ნაწარმოები იქმნებოდა, ევროპაში ჯერ კიდევ ბატონობდნენ ავანგარდისტული იდეები, რომელსაც ქსენაკისიც იზიარებდა. ამ ფონზე ერთგვარი კონტრასტი შექმნა „ორესტეას“, თავისი უჩვეულო, შეიძლება ითქვას, ავანგარდისთვის მიუღებული უდერადობით, ანტიკურ ტრადიციებთან მჭიდრო კავშირით, რაც მუსიკალური ენის ცალკეულ თვისებებში, აღნაგობის და რაც მთავარია, ქანრის თავისებურებებში გამოვლინდა.

სხვადასხვა მკვლევართან ნაწარმოების უანრის პრობლემა სხვადასხვაგვარიდაა გადაჭრილი. „ორესტეას“ ცნობილია, როგორც ოპერა, იმავდროულად, კომპოზიტორი კატეგორიულად აცხადებს, რომ ოპერა მისივის მკვდარი ჟანრია და ამ სფეროში საკუთარ თავს ვერ ხედავს. თუკი კომპოზიტორი გადაწყვეტს ოპერის დაწერას,

უნდა იპოვოს გამოსახვის სრულიად განსხვავებული საშუალებები... მას ვერავინ აცდუნებს ამ წინადადებით<sup>20</sup>.

Grove-ს ლექსიკონში „ორესტეასთან“ დაკავშირებით ვკითხულობთ: „ოპერების შექმნის ნაცვლად ქსენაკისმა განავითარა „ხელოვნებათა სინოზის“ საკუთარი ხედვა ანტიკური დრამის საფუძველზე“. Boosey & Hawkes-ის გამოცემაში „ორესტეას“ განსაზღვრულია, როგორც ნაწარმოები გუნდისა და კამერული ანსამბლისათვის; ე. ფერაპონტოვა უწოდებს „მსხველ ვოკალურ-ინსტრუმენტულ ნაწარმოებს, რაღაცით ახლის მდგომს ორატორიასთან“<sup>21</sup>.

ქსენაკისი „ორესტეას“ ქანრის დასადგენად ჩვენ, უპირველეს ყოვლისა, დავითტერესით, თუ რომელ ქანრს მიეკუთხებოდა ესქილეს ტრილოგია.

როგორც გამოირკვა, „გუნდების დიდი რაოდენობის, მათი მნიშვნელოვანი მასშტაბების გამო ესქილეს „ორესტეას“ უანრი ჯერ კიდევ ორატორიულად დაგალითურიცირდება, თუმცა, აქ ორატორია თავის კრიზის აღწევს და ცალკეულ ადგილებში ნამდვილ დრამად გარდაიქმნება“<sup>22</sup>.

ამგვარად, ხელთ გვაქვს რამდენიმე ცნება: ოპერა, ორატორიულობა, კამერულობა, ხელოვნებათა სინოზი. თუ მათ სათითოდ განვხილავთ, აღმოჩნდება, რომ: „ორესტეას“ ნამდვილად გააჩნია ოპერის რიგი ნიშვნებისა. ესაა მუსიკისა და დრამის სინოზი, დამახსაითებელი პერიპეტიებით, პერსონაჟებით, მათი მეტ-ნაკლებად გამოკვეთილი ხასიათებით, კვანძის შეკვრით, კულმინაციით და გახსნით და, რაც მთავარია, სცენური მოძრაობით და არა სცენური ქმედებით (პარტიტურაში კომპოზიტორი თავად მიუთითებს, სად, როდის, როგორ გადადგილდებიან მონაწილეობით, როგორ არიან ჩატული და ა. შ.).

სცენური ქმედება, რაც გამოარჩევს ოპერას სხვა მსხვილი კოკალურ-ინსტრუმენტული უნიკალურისაგან, „ორესტეაში“ საერთოდ არ გვხვდება. მიუხედავად იმისა, რომ დრამა თავის თავში შეიცავს ამის რესურსს, სცენაზე არც ერთი აქტიური ქმედება არ ხორციელდება. ეს, ჩვენი აზრით, ანტიკური ტრაგედიის გამოძახილია.

ლიტერატურული პირველწეროს შესაბამისად, აქტიური სცენური ქმედების არარსებობა, ჩვენი აზრით, ოპერის, როგორც უანრის წილს ნაწარმოებში არ უნდა ამცირებდეს. საოპერო ლიტერატურაში ცნობილია ე. წ. სტატიკური ოპერები, მაგ: ვაგნერის „ტრისტან და იზოლდა“, „პარსიფალი“, დებიუსის „პელეას და მელიზანდა“, ფალიშვილის „აბესალომ და ეთერი“.

**ორატორიას** ოპერის მსგავსი დრამატურგია გააჩნია, მაგრამ სრულიად გამორიცხულია რამე სახის მოძრაობა<sup>23</sup>. „ორესტეაში“ ორატორიის სასარგებლოდ მეტყველებს გუნდების დიდი რაოდენობა, მაგრამ გასათვალისწინებელია ისიც, რომ ცალკეული პერსონაჟის ვოკალურ პარტიასაც გუნდი ასრულებს (აგამენონის, ეგისთეს, ორესტეს, ელექტრას, ათენას, ქოროს გამძლოლი ქალის). ასეთ შემთხვევაში დრამის მხრივ წმინდა საგუნდო ეპიზოდების წილი ნაწარმოებში საკმაოდ იკლებს, თუმცა, მუსიკალურ-აკუსტიკური თვალსაზრისით, გუნდების რაოდენობის მნიშვნელობას ვერ გავექცევთ. მათ „ორესტეაში“ ძალზე საინტერესო ფუნქცია აკისრიათ<sup>24</sup>.

მესამე ცნება კამერულობაა.

ესქილეს „ორესტეას“ სტილი განსაზღვრულია, როგორც მონუმენტურ-პათეტიკური<sup>25</sup>, რასაც ნამდვილად ვერ გავიმეორებთ ქსენაკისის ქმნილებასთან დაკავშირებით. კამერულად ნაწარმოები შეიძლება უპირველესად შემსრულებელთა და პერსონაჟთა მცირე რაოდენობის გამო მივჩინოთ, მაგრამ არსებობს რამდენიმე საპირისპირო არგუმენტიც. უცილებლად უნდა მივიღოთ მხედველობაში დასარტყეა საკრავთა დიდი და წარმოუდგენლად მრავალუროვანი შემადგენლობა, რაც აბათილებს ინსტრუმენტალისტთა საერთო მცირერიცხოვნებას. გარდა ამისა, XX საუკუნეში ამ ტიპის **օපას**-ებს ხშირად ახასიათებთ პერსონაჟთა სიმცირე, მაგრამ მათი მრავალფუნქციური დატვირთვა, რის თითქმის ქრესტომათიული მაგალითია შტოკჰაუზენის პეტალოგია, სადაც სულ სამი პერსონაჟია, თითოეული მათგანი – რამდენიმე სახეს განსახიერებს. მსგავს შემთხვევას (ერთი პერსონაჟის მრავალფუნქციურობას) ვხვდებით თვით ძველ ბერძნულ თეატრშიც ესქილებდე<sup>26</sup>.

რაც შეეხება ხელოვნებათა სინთეზს ანტიკური დრამის საფუძველზე: საპროგრამო ტექსტში „Notes sur la Musique du Theatre Antique“ ქსენაკისმა ახსნა „აბსტრაქტული ზოგადი მღერის“ იდეა, რომელიც წარმოიშვა „დროში და სივრცეში ინვარიანტული“ სტრუქტურების ფორმალიზაციის შედეგად. ამ დროიდან მოყოლებული ეს იდეა შეიცავს ქსენაკისის ორივე კონცეციას: რეჩიტატივის კონცეციას ანტიკურ თეატრში და რეჩიტატივის გამოცდილებას იაპონური კაბუკის და ნორს თეატრებშიც<sup>27</sup>.

ამგვარად, ჩვენ ვანვიზილეთ ქსენაკისის „ორესტეას“ უანრთან დაკავშირებული ოთხი ცნება. მათგან კამერულობა ნაწარმოების ზოგადი მახასიათებელია, ხოლო ხელოვნებათა სინთეზი – ზოგადი

ანტიკური ტრაგეზია XX საუკუნის მუსიკალურ-სკენურ ნარჩოებებში – უანრის ინტერესურის საკითხები

კონცეცია. აქედამ გამომდინარე, გვრჩება ორი „წმინდა“ მუსიკალურ-სკენური ჟანრი: ოპერა და ორატორია.

დრამა და ორატორია, სცენური ქმედება და სცენური სტატიკა კი, როგორც ცნობილია, უტევლები დროიდან ურთიერთშედეგევადი მოვლენებია. ეს უანრული მახასიათებლები როგორც უპე შევნიშნეთ, წინამორბედ ნაწარმოებებშიც უმთავრესად.

ძველი ბერძნი მოაზროვნების მიერ საუკუნეების მანძილზე დამგვიდრებული ტრაგედიის სქემას ქსენაკის უცვლელად ინარჩუნებს. ეს საშუალებას გვაძლევს „ორესტეას“ შესახებ მსჯელობისას თამამად და დამატებითი ახსნა-განმარტებების გარეშე გამოვიყენოთ ტერმინი „ტრაგედია“. ეს კლასიკური სქემა ასევე სინთეზურ კომპოზიციაში ცოცხლდება, რომლის თითოეული ნაწილი დასრულებული მუსიკალური ნაგებობაა და, იმავდროულად, განუყოფელ მთლიანობას წარმოადგენს. მაგრამ, ამასთან, მას მიზნად არ დაუსახავს უცვლელად დაეცვა ყველა პარამეტრი ანტიკური თეატრისა. ამ უკანას კნელისთვის დამასახიათებელი ცალკეული თვისებების და ორიგინალური მიგნებების სინთეზის წყალობით კომპოზიტორი ქმნის სრულიად ახალ ჟანრს, რომელსაც პირობითად შეიძლება კურიდოთ სინთეზური მუსიკალური ტრაგედია ანტიკური თეატრის საფუძველზე.

ამგვარად, ირკვევა, რომ ჩვენ მიერ განხილულ მუსიკალურ-სკენურ ნაწარმოებებს საფუძვლად ერთი და იმავე ძველი ბერძნული ტრაგედიის გათანამედროვების იდეა უდევთ და სხვადასხვა ღოზით გამოვლენილი, მაგრამ მაიც საერთო უანრული მახასიათებლები გააჩნიათ. მიუხედავად ამისა, ისინი საბოლოო ჯამში. ოთხ პრინციპულად განსხვავებულ სურათს გვაძლევენ. თუ სტრავინსკის „ოიდი პორი“ ყველაზე ზუსტად ოპერა-ორატორიის უანრს შეესაბამება, ონეგერის „ანტიკონეში“ ოპერის წილი ჭარბობს ორატორიისას, ორგოთან კი ეს ორი უძრი ისეთ კრითიკლიობას ქმნის, რომ როგორდება განსაზღვრა, რაა საპერო და რა ორატორული. სწორედ ამიტომ არიდებს კომპოზიტორი თავს კონკრეტული ჟანრის დასახელებას – „საკულტო დრამებს“ უწოდებს მათ. ორფის ანტიკურ ტრაგედიებზე შექმნილი ნაწარმოებები, როგორც ო. ლეონტიევა წერს, „არც ოპერაა, არც „ანტიოპერა“. კომპოზიტორის ჩანაფიქრი რომ გავიგოთ, უნდა დავიგიწყოთ ოპერის ნიშნები და გავიხსენოთ სიტყვის, ბერძის და პლასტიკის ერთიანობის ბერძნული იდეალი“<sup>28</sup>.

სწორედ ამ იდეალის აღორძინებასა და თანამედროვე სცენაზე დამკვიდრებას ცდილობს ქსენაკისი ანტიკური ტრაგედიების

საფუძველზე შექმნილ თავის სცენურ ქმნილებში. მისი ბერძნული ფესვები მთელი ნაწარმოების მანძილზე იკრძობა, მოუხედავად იმისა, რომ ზედაპირზე არ „დევს“.<sup>6</sup> „ქმნის მუსიკას, რომელიც ახალია და, მიუხედავად ამისა, „ფიზიკურად“ ცოცხალ კოსმოსს, ესქილეს გნას უსაფაფებს“<sup>29</sup>. იმავდროულად, ქსენაგისი ჭეშმარიტად XX საუკუნის კომპოზიტორია და ეს „ორესტეაში“ არანაკლებ მკაფიოდ აისახება. სინთეტურობა, რომელიც ზემოთ აღვნიშნეთ, ამ ეპოქისთვისაც სავსებით ბუნებრივი მახასიათებლად.

სინთეტურობას თავისთვად გულისხმობს კონცეფცია, რომელიც ქსენაგისის ამ ქმნილებას უდევს საფუძვლად – ეს თანამედროვე სცენისა და ანტიკური ტრადიციების სინთეზია. თავისი არსით სინთეტურია ნაწარმოების განრული ბუნება. მასში ერთმანეთს ერწყმის ოპერა – ბოლო ოთხი ასწლეულის მონაბოვარი, ორატორია, რომელიც ფესვებს სწორედ ანტიკურ პერიოდთან მიკვავართ, ქსენაგისის ორიგინალური იდეები და ანტიკური მემკვიდრეობის თანამედროვეობასთან „მორგების“ ტრადიცია, რომელიც XX საუკუნის პირველ ნახევარში კიდევ ერთხელ, მორიგი სახით აღორძინდა. ქწორედ ამიტომ მიგაჩნია შესაძლებლად, „ორესტეას“ უნრი განვისაზღვროთ, როგორც სინთეტური მუსიკალური ტრაგედია ანტიკური თეატრის საფუძველზე.

ჩვენს მოხსენებაში XX საუკუნეში ანტიკურ თემატიკაზე შექმნილი მუსიკალურ-სცენური ირუს-ების მხოლოდ ოთხი კონკრეტული ნიმუში განვიხილეთ და შევცადეთ შეგვექმნა უნრის სვეროში არსებული რთული სურათი, რომელიც მაგალითების ზრდასთან ერთად კიდევ უფრო გართულდება და რომელიც შემდგომი ხანგრძლივი კვლევის საგანია.

<sup>1</sup> Леонтьева О., Карл Орф. Москва: «Музыка», 1984, с. 105.

<sup>2</sup> Кокто Ж., Петух и Арлекин, Заметки вокруг Музыки, Москва: «Прест». 2000, с. 11.

<sup>3</sup> იგორ სტრავინსკის „ოდიօ პოს მეფე“ 1927 წელს დაიწერა, არტურ ონეგერის „ანტიკონე“ – 1926 წელს, კარლ ორფის „ანტიკონე“ – 1949, იანის ქსენაგისის „ორესტეა“ – 1965-66 წლებში.

<sup>4</sup> ამასთან, ქსენაგისს ერთი „უპირატესობაც“ აქეს: ანტიკური თემატიკა მისთვის ისეთივე ახლობელია, როგორც „სადვოთო გაზაფხულის“ ან „ქორწილის“ სტრავინსკისთვის ან „ქანა დარისა“ ონეგერისთვის.

<sup>5</sup> აქ პენდელის გვიანი პერიოდის ორატორიები იგულისხმება.

<sup>6</sup> იბ.: Филенко Г., Артур Онеггер //Французская музыка первой половины века, Очерки, Ленинград: «Музыка», 1983.

<sup>7</sup> Раппопорт Л., Артур Онеггер. Ленинград: «Музыка», 1967, с. 107. Цит. по кн.: Bruyl J. Honegger et son œuvre, p. 113.

<sup>8</sup> Ibid – с. 127

<sup>9</sup> Филенко Г., Op.cit. - с. 156.

<sup>10</sup> Стравинский И., Диалоги. Ленинград: «Музыка», 1971, с. 177.

<sup>11</sup> Ibid – 178.

<sup>12</sup> Савенко С., Мир Стравинского, Москва: Композитор, 2001, с. 59.

<sup>13</sup> იბ.: Друскин М., Игорь Стравинский: Личность, творчество, взгляды. Л., 1974.

<sup>14</sup> Стравинский И., Op. cit. - с. 179.

<sup>15</sup> Леонтьева О., Карл Орф. Москва: «Музыка», 1984, с. 161.

<sup>16</sup> Ibid – с. 161.

<sup>17</sup> ოუმცა, შესრულებისას პროგრამა შეიცავდა სრულ თარგმანს გერმანულ ენაზე.

<sup>18</sup> ჩამონათვალი იბ.: Леонтьева О. Op. cit.

<sup>19</sup> Baculevski K. Kwadransz Iannisem Xenakisem // Ruch Muzyczny, 1980 - s. 11.

<sup>20</sup> იბ.: Ibidem.

<sup>21</sup> Ферапонтова Е. Яннис Ксенакис: Через авангард к античности. Музыка и поэтика древногреческого языка // Музыкальная академия. 2007, № 2 - с. 174.

<sup>22</sup> იბ.: Античная Литература, Москва, 1973.

<sup>23</sup> ოუმცა, გამონაკლისის სახით, არსებობს სტრავინსკის „ოდიօ პოს მეფეს“ სეიჯი თხავასეფული დადგმა The Saito Kinen Festival matsumoto, Japan, 1993.

<sup>24</sup> საინტერესო აგრესუა რომ XX საუკუნის საოპერო ლიტერატურაში საგუნდო ოპერის ნიმუშიც არსებობს კარლჰაინც შტოკბაუზენის Atmen gibt das Leben-ის სახით.

<sup>25</sup> იბ.: Античная Литература. Москва, 1973

<sup>26</sup> ესქილე იქო პირველი, ვინც ტრაგედიაში მეორე მსახიობი შემთხვენა და ამით გზა გაუმჯობეს დრამის დაბადებას. იბ.: Античная Литература. Москва, 1973.

<sup>27</sup> Hoffmann P. Xenakis Iannis // The New Grove Dictionary of Music and Musicians. Oxford, Oxford University Press, 2006.

<sup>28</sup> Леонтьева О. Op. cit.- с. 160.

<sup>29</sup> Restagno E. Die „Oresteia“ von Iannis Xenakis // Wien-Modern – lektronik. Raum. „Musique Spectrale“. Ein Festival mit Musik unserer Zeit. ien, 2000 – s. 192.

- Aeschylus The Oresteia translated by Ian Johnston // <http://records.viu.ca/>
- Baculevski K. Kwadrans z Iannisem Xenakisem // Ruch Muzyczny, 1980.
- Hoffmann P. Xenakis Iannis // The New Grove Dictionary of Music and Musicians. Oxford, Oxford University Press, 2006.
- Restagno E. Die 'Oresteia' von Iannis Xenakis // Wien-Modern – Elektronik. Raum. 'Musique Spectrale'. Ein Festival mit Musik unserer Zeit. Wien, 2000.
- Античная Литература. Москва, 1973.
- Друскин М. Игорь Стравинский: Личность, творчество, взгляды. Л., 1974.
- Кокто Ж. Петух и Арлекин. Заметки вокруг Музыки. Москва: «Прест». 2000.
- Леонтьева О. Карл Орф. Москва: «Музыка». 1984.
- Раппопорт Л. Артур Онеггер. Ленинград: «Музыка». 1967.
- Савенко С. Мир Стравинского. Москва: Композитор, 2001.
- Стравинский И. Диалоги. Ленинград: «Музыка», 1971.
- Ферапонтова Е. Яннис Ксенакис: Через авангард к античности. Музыка и поэтика древногреческого языка // Музикальная академия. 2007, № 2
- Филенко Г. Артур Онеггер/Французская музыка первой половины века. Очерки. Ленинград: «Музыка», 1983.

**ქეთევან ჭიტაძე**  
დოქტორანტურის I კურსი  
ხელმძღვანელი - ასოც. პროფ. ქეთევან ბოლაშვილი

## **ახალი ზანრული მოდელების ძიება XX საუკუნის მუსიკაში**

XX საუკუნეში მომხდარმა მნიშვნელოვანმა მიღწევებმა მეცნიერებასა და ტექნიკაში, გარდაქმნებმა სოციუმში შეცვალა სამყაროს მოდელი, რამაც იმოქმედა ადამიანის არა მხოლოდ ფიცელდღიურ საქმიანობაზე, არამედ მის სულიერ სამყაროზე, ამ სფეროში მის აქტივობაზე. ხელოვნების ყველა დარგში რადიკალური გარდატეხა მოხდა. ცხადია, ცვლილებები შეეხო მუსიკასაც, სადაც კალიეროსკოპური სიჩქარით ერთმანეთს ენაცვლებოდა, ხშირ შემთხვევაში კი თანარსებობდა სხვადასხვა სტილი, მიმდინარეობა, მსოფლმუდველობა.

ყოველ ახალ ესთეტიკურ პოზიციას მისთვის შესაბამისი, ახალი გამოსახველი ხერხების სისტემის ჩამოყალიბება მოპყვებოდა შედეგად. ბუნებრივია, მუსიკალური ენის გარდასახვის პროცესი თანდათან ხორციელდებოდა, რამაც გამოიწვია ჯერ ტონალობის რესურსების თანდათანობითი ამოწურვა და შემდგომ ისეთი სისტემების წარმოშობა, როგორებიცაა ატონალობა (თავისუფალი და ორგანიზებული), ნეომოდალობა, სერიალიზმი, ალეატორიკა და სხვ.

ახალი ენის წარმოშობამ განაპირობა მუსიკალური აზროვნების მთელი სისტემის, მისი ყველა დონის გარდაქმნა. ეს ცვლილებები ჯერ ენის შესაბამისი სტრუქტურების ჩამოყალიბებაში გამოვლინდა, შემდეგ კი აისახა მუსიკალური აზროვნების ყველაზე „მაღალ“, მდგრად და, ერთი შეხედვით ურყობ, უანრის დონეზე. მოხდა ტრადიციული უანრული მოდელების უარყოფა, რაც უპირველეს ყოვლისა, ავანგარდის ესთეტიკას უკავშირდება. სწორედ ამ მიმართულების კომპოზიტორებმა მოახდინეს მნიშვნელოვანი გარდატეხა უანრების ისტორიაში: ერთი მხრივ, მათ შემოქმედებაში იკვეთება სწრაფვა ტრადიციული უანრების სამსაუკუნოვანი კლიშესგან გათავისუფლებისკენ, ხოლო მეორე მხრივ – ახალი მოდელების შექმნისკენ, ცალკეულ შემთხვევებში ტრადიციული უანრების ურთიერთქმედების საფუძველზე.

ახალი საზროვნო სისტემის შექმნის თაობაზე თეოდორ ადორნო წერს: „ახალი ეპოქა ეძებს ადეკვატურ ფორმებს და ეს უკვე ექსპერიმენტია; ხშირ შემთხვევაში ექსპერიმენტს, როგორც საშუალებათა შესწავლის პროცესს მივყართ ტიპებისა და უნიკალური კრისტალურის კენჭელისათვის“<sup>1</sup>.

ტრადიციული უანრების რესურსების ამოწურვის პარალელურად მიმდინარეობდა და დღესაც გრძელდება ახალი უანრული მოდელების მიების პროცესი. ეს პროცესი, როგორც უკვე აღვნიშნულ, განსაკუთრებით XX საუკუნის მეორე ნახევარში, ავანგარდის ესთეტიკის დამკვიდრებასთან ერთად გააქტიურდა, როდესაც ინდივიდუალიზმს გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭა, ხოლო ტრადიცია კი იგნორირებულ იქნა: „თუ თქვენ არ უარყოფთ, არ გადააქცევთ მემკვიდრეობას tabula rasa-დ, თუ ფუნდამენტური ეჭვის ქვეშ არ აყნებთ ყველაფერს, რაც აქვთ იყო ღირებული, მაშინ ვერ შეძლებთ პროგრესიონებას. ჩვენთვის ეს ეჭვები აბსოლუტური კონტროლის წერტილამდე განვითარდა“<sup>2</sup> – წერდა მუსიკალური ავანგარდის ერთ-ერთი ფუძემდებელი, კომპოზიტორი, დირიჟორი და თეორეტიკოსი პიერ ბულეზი. კომპოზიტორებმა განსხვავდებული, არატიპური, „უანრულად ნეტრალური“<sup>3</sup> დასახელებების მქონე ნაწარმოებების შექმნა დაიწყეს.

XX საუკუნის მეორე ნახევრიდან კლასიკური უანრების მიმართ ინტერესება სულ უფრო იკლო. ეს პერიოდი შეიძლება შევადაროთ XVII-XVIII საუკუნეების მიჯნას, როდესაც პილიტონიური აზროვნება ჩაანაცვლა პიმოფონიურმა, თუმცა XX საუკუნეში მოხდა ადრინდელი გამოცდილების იმგვარი რადიკალური იგნორირება, როგორიც მუსიკის ისტორიას არ ახსოეს. ახალი დროის ამტკანა ტრადიციის უარყოფა და ყველაფრის ათვლის ახალი წერტილიდან დაწყება გახდა. ამ პირობებში უპირატესობა ინდივიდუალიზაციის პროცესს მიენიჭა მუსიკალური აზროვნების ყველა დონეზე. ახალი დროის ახალი საშუალებებით აღფრთოვანებული პიერ ბულეზი ამერიკელ მეგობარს და კოლეგას, ჯონ კეიჯს წერდა: „ყველა საგანს საკუთარი, დამოუკიდებელი უნივერსუმი, სტრუქტურა და მოდუსი ექნება, რომელიც ყველა დონეზე იმუშავებს“<sup>4</sup>.

ტოტალური ინდივიდუალიზმის ეპოქისთვის სახასიათო არასტაბილურობა იყო. ამგვარად, წინამდებარე მოხსენების ობიექტმა უანრმა, რომლისთვისაც, პირველ რიგში, სტაბილურობა სახასიათო, დაკარგა თავისი ჩარჩოები, ახალ მაგისტრალზე გადავიდა და ათვლა კვლავ ნულიდან დაიწყო. ამის ერთ-ერთი გამოვლინება კი

არატრადიციული დასახელების ნაწარმოებების შექმნა იყო, რაც განსაკუთრებით ხშირად ავანგარდის პერიოდში გვხვდება, თუმცა ამის ნიშნები XX საუკუნის დასაწყისიდანვე ვლინდება. მაგალითად, ისეთ ნაწარმოებებში, როგორიცაა ვარეზის *Intégrales*, *Arcana*, *Hyperprism*; ბარტოკის „მუსიკა სიმბიანების, დასარტყმების და ჩელესტასთვის“, პიესების (Stück) ციკლები (სხვადასხვა შემადგნლობის და სოლო საკრავებისთვის) შონბერგის, ბერგის და ვებერნის შემოქმედებაში, რომლებიც არ შეიცავენ უანრულ განსაზღვრებას და სხვ. გასული საუკუნის 50-იანი წლებისათვის კი, ავანგარდის ესთეტიკის დამკვიდრებასთან ერთად, სულ უფრო ხშირდება ნაწარმოებების არატიპური სახელწოდებები, რომელთა დასახელება არც ერთ შემთხვევაში არ აღძრავს ტრადიციულ უანრულ ასოციაციებს (წინასწარ განწყობას). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ასეთ თხზულებებში აგტორისეულ კომენტარებს უდიდესი მნიშვნელობა აქვთ მუსიკალური ნაწარმოებების ანალიზისას.

ჩვენს მოხსენებაში საუბარი რამდენიმე ასეთ ნაწარმოებზე გვექნება. აქვე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ამგვარი ნაწარმოებების კონსტრუირებაში, ხშირ შემთხვევაში, მთავარია ზოგადლოგიკური პრინციპები და უმეტესად მთავარ როლს მათში ჩადებული არამუსიკალური იღები თამაშობს, რომლებიც მათ „დამოუკიდებელ უნივერსუმს, სტრუქტურას და მოდუსს“<sup>5</sup> განსაზღვრავს.

ერთ-ერთი ასეთი ნაწარმოებია გეომეტრიული ფიგურის აგებულებით ინსპირირებული ედგარ ვარეზის Hyperprism (ცხრა ჩასაბერი საკრავისა და ამავე რაოდენობის დასარტყმაშისთვის), რომელიც 1921-1923 წლებშია შექმნილი. იგი არატიპური დასახელების მქონე ნაწარმოების ერთ-ერთი პირველი ნიმუშია. ამ მხრივ, ედგარ ვარეზის ფიგურა განცალკევებით დგას XX საუკუნის პირველი სახევრის მუსიკაში. მისი მცირების ცხროგანი ნაწარმოებებიდან არც ერთს არ აქვს კლასიკური უანრული განსაზღვრება. თითოეული თხზულება გარკვეულ დღეს, ვერბალურ ტექსტსა თუ პრინციპს ემყარება, რომელიც უმთავრესად არამუსიკალური სფეროდანაა ნასესხები. ამის გამო მკლევართა დიდი ნაწილი საუბრობს მუსიკის მიმართ კომპოზიტორის „მეცნიერულ“ მიღობაზე. ვარეზი მუსიკაში ე. წ. „ტექნიკური ესთეტიზმის“, Ars Scientia-ს (მეცნიერული ხელოვნების) ფუძემდებელია. კომპოზიტორი აღნიშნავდა: „თუ ხელოვნების ნიმუში იწყებს ცერტას წარსულში, იგი ვერ შეესატყვისება სინამდვილეს და თავს არიდებს თანამედროვეობის პრობლემებთან

პირისპორ შეხვდრას“<sup>6</sup>. ახალ ბგერასთან ერთად ვარეზი მისთვის ორგანული ფორმების ძიებაში იყო.

სწორედ ასეთია Hyperprism, რომლის არამუსიკალური, გეომეტრიის სფეროდან მომდინარე იდეა სხვაგვარ განხორციელებას მოითხოვდა, რასაც კომპოზიტორმა, შეიძლება თოქვას, სამაგალითოდ მიაღწია.

ვარეზის Hyperprism რამდენიმე მონაკვეთისგან შედგება. მის პარტიტურაში, ინსტრუმენტების ურთიერთობაში მკაფიოდ იკვეთება სამი პლასტი-განზომილება. ესაა: დასარტყამი, ლითონის ჩასაბერი და ხის ჩასაბერი ინსტრუმენტები. თითოეულ პლასტს სიბრტყეთა გადაკვეთის თავისი წერტილი აქვს, რომელიც სხვადასხვა მონაკვეთში სხვადასხვა სივრცეში იჩქნის თავს.

Hyperprism სტრუქტურული თვალსაზრისით არ ავლენს კავშირს რომელიმე კლასიკურ ფორმასთან. ჩვენი აზრით, ნაწარმოების დასახელებიდან გამომდინარე, აქ საქმე გვაქვს გეომეტრიული ფიგურის მუსიკალურ ანალოგობა. წერტილებთან, სიბრტყეებთან რომლებიც რამდენიმე განზომილებაში მოძრაობენ და ქმნიან რთულ მრავწახნაგოვან, კრისტალურ კომპოზიციას.

Hyperprism-ის მსგავსი, არატიპური, აბსტრაქტორებული დასახელების მქონეა 1945 წელს დაწერილი ბულეზის Notations (ნოტაციები)<sup>7</sup>.

საგულისხმოა Notations-ის დასახელებისადმი რუსი მკვლევარის, დ. სმირნოვის მიღოვა: „...> სიტყვა «Notations», რომელიც ბულეზმა აირჩია, თითქოს პოეტური ასოციაციებისგან თავის დახსნის და ჩვენი ყურადღების სანოტო ტექსტზე გამახვილების მცდელობაა“<sup>8</sup>. და მართლაც, თითოეული პიესა განსხვავებული ფაქტურით, დინამიკითა და არტიკულაციაა მოცემული. ესაა თორმეტი განსხვავებული მუსიკალური აზრი, ჟესტი, აფორიზმი.

აღსანიშნავია, რომ რიცხვი თორმეტი ყველა დონეზე დომინირებს. ციკლში თორმეტი პიესაა, რომელთაგან თითოეული თორმეტაქტანია. ყველა პიესა თორმეტონიან სერიაზე დაფუძნებული, რომელიც ამავე რაოდენობის განსხვავებულ როტაციაშია მოცემული. პიესებში დაფიქსირებულია შესრულების ტემპისა და ხასიათის განმსაზღვრელი თორმეტი აღნიშვნა. ყოველივე ეს ერთი, უნივერსალური მეთოდის ტოტალურობაზე მოუთოებს.

რაც შექება საკუთრივ პიესებს, თითოეულ მათგანში კონკრეტული ამოცანაა გადაწყვეტილი.

ბულეზის Notations – ესაა ციკლი, რომელიც შემადგენელი ნაწილების დისკრეტულობის მიუხედავად უჩვეულო ერთიანობით ხასიათდება. გამარტინებელ ფაქტორად, პირველ რიგში სერია გვვლინება, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანია მელოდიური თუ ინტერვალური კავშირები. რაც შექება ჩვენი კვლევის ობიექტს – უანრულ განაზრებას, Notations თავის ზოგად განსაზღვრებას იმით პასუხობს, რომ მასში განსხვავებული ნოტაციები – ნიშნები, ჟესტები, სიმბოლოები, ფაქტურები ერთიანდება.

Notations-ის მსგავსი, თუმცა ამჯერად მუსიკასთან კავშირის არქონე, ზოგადლოგიკური პრინციპიდან გამომდინარეობს კარლპაინც შტრიკუზენის Kreuzspiel, ანუ „ჯვარედინი თამაში“, რომელიც 1951 წელსაა შექმნილი. იგი შტრიკუზენის ერთ-ერთი პირველი იტა-ია და მასში კომპოზიტორის თითქმის ყველა ადრინდელი თეორიული მოსაზრებაა მატერიალიზებული. ავნგარდის ერთ-ერთი ფუქტმდებული ამ ნაწარმოებით დეკლარირებს შემოქმედებით Credo-ს. ამ მზრივ, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს მუსიკალური ქსოვილის ტოტალური ინტერაციის იდეა. Kreuzspiel-ში, ჯვარედინი გადაკვეთის პრინციპი შეჯერებულია კომპოზიციის სერიალურ მეთოდთან. უნდა აღინიშნოს, რომ ჯვარედინი თამაშის პრინციპი პი კონკრეტულად ამ ნაწარმოებისთვის ყველა დონეზე დამახასიათებელი.


ავტორისეულ კომენტარში ვკითხულობთ: „Kreuzspiel-ში დროისა და სივრცის გადაკვეთის იდეა სამ სტადიადაა წარმოდგენილი“<sup>9</sup>. პირველ სტადიაში უკიდურესი რეგისტრებიდან იწყება მოძრაობა გადაკვეთისკენ, შემდეგ უკუპროცესი მიმდინარეობს, მეორეში ტემბრული გადაკვეთის იდეაა განხორციელებული, მესამე სტადიაში კი ორივე პროცესი ერთდღოულადადა წარმოდგენილი.

რაც შექება საკუთრივ მუსიკალური მასალის ორგანიზების პრინციპს, აქ სერიალიზმის ერთობ სანტიტრესო სახეა გამოყენებული – ჯვარედინი თამაში სერიების დონეზეც ვლინდება: „თითოეული ბგერა რიგების გადაჯვარედინების შედეგად განისაზღვრება და ფიქსირდება“<sup>10</sup>.

Kreuzspiel-ში რიგების სხვადასხვა პარამეტრი – სიმაღლე, ინტენსივობა, ხანგრძლივობა და ტემბრი არაა მუდმივი. გადაჯვარედინების გამო ისინი ყოველ ჯერზე იცვლებიან, ხდება მათი ხელახლი ფორმირება. გადაკვეთის პრინციპი აგრეთვე სივრცულ პარამეტრზე, მუსიკალური ინსტრუმენტების განლაგებაზე ვრცელდება. პარტიტურის პირველ გვერდზე შემსრულებლებისთვის სპეციალური

მითიობებია. მსხვილი პლანით ერთმანეთს გადაკვეთს ჩასაბერებისა და დასარტყეამების ტემპები, რეგისტრები<sup>11</sup>.

### ინსტრუმენტების განლაგება



ამრიგად, Kreuzspiel-ის ანალიზმა გვიჩვენა, რომ მასში გადაჯვარედინების პრინციპი თამაშობს მთავარ როლს. იგი ორგანულადაა შეჯერებული ერთი შეხედვით ისეთ რეგლამენტირებულ კომპოზიციურ მეთოდთან, როგორიცაა სერიალიზმი.

შტოკჰაუზენის ერთ-ერთი პირველი ირა-ისთვის დამახასიათებელი უკიდურესი რაციონალიზმისგან სრულიად განსხვავებულია მაურისიო კაგელის Match (მატჩი). იგი ჩვენ მიერ გაანალიზებულ ნაწარმოებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე უჩვეულოა, რადგან უკავშირდება ისეთ ირეალურ სფეროს, როგორიცაა სიზმარი. ცნობილი ფაქტია, რომ Match-ი კომპოზიტორმა სიზმრის ნახვის შედეგად შექმნა და ავტორისეული კომენტარი ამ შემთხვევაშიც დიდ როლს ასრულებს ნაწარმოების გააზრებაში:

,ერთხელ როცა 1964 წლის პირველ აგვისტოს დილას გავიღვიძე უცად გავაცნობიერე, რომ უწევულო დეტალები სიზუსტით, დასრულებული სახით მუსიკალური ნაწარმოები დამესიზმრა.

უპირველეს ყოვლისა, კარგად მახსოვდა მუსიკოსთა განლაგება: ორი ჩელისტი იჯდ სცენას წინა განაპირა ნაწილზე, მათ შორის კი დასრულებული მკაფიოდ შემინარჩუნდა შესრულების დეტალები ქლერადობის ტიპითან, არტიკულაციასა და უსტიკულაციასთან ერთად, ასევე ნაწარმოების გამოკვეთილად „სპორტული“ ხასიათი. იმ პერიოდში ვტეშაობდა ნაწარმოებზე, რომელიც სიზმრისგან სრულიად განსხვავდობდა შემადგნელობით და მასლის განლაგებით. ვრავთარ კავშირს ვერ ვხედავდე ამ ორი ნაწარმოების აკუსტიკურ სამყროს შორის, ვერც ფორმის და ვერც შინაარსის დონეზე. არ მნიშვნელობა შემეწყვიტა მუშაობა თხზულებაზე, რომელზეც უკვე ვტეშაობდი, რათა ზმანებისთვის ხორცი შემცისა, თუმცა ცხრა დამის შემდეგ სიზმარი იმავე სიცავით გამიტორდა, თავგზა ამბნა! ამჯერად რაღაც ჩავინაშე, ვცადე წარმოსახვითი მუსიკალური ნაწარმოების იდუალი დროით ელემენტი კონკრეტულ ტემპებში გარდამესახა. მეორ დილას გავაცნობიერე, რომ სიზმარი ხელახლა გამიმურდა – ამჯერად ყველაფერი გვერდზე გადავდე – ჩავთვალე, რომ ბერბა სამჯერ დამტაქტა და სწორედ ის დრო იყო, რომ განმეხორციელებინა ჩემი მოვალეობა. „Match“ შეიძიო დღის განმავლობაში ხილვიდან რეალურ უღრძრად მასლად გადავაქციე – ის სიზმარი ადარასდროს განმეორებულა. საწუხაროა, რადგან მინდოდა იგი დასრულებული პარტიტურისთვის შემდრებინა. Match ეძღვნება დიტერ შნებელს<sup>12</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ Match-ში სიზმრისთვის დამახასიათებელი ალეგორიური, ქეცენობიერი კავშირების დემონსტრირების მცდელობაა, რაც როგორც ვიზუალურ, ასევე აკუსტიკურ მხარეს ეხება.

კარლ გუსტავ იუნგის კონცეციით სიზმარი წარმოადგენს „არაცნობიერის პირდაპირ მანიუქსტაციას. მისი ენის არცოდნა გვამლის ხელს გავიგოთ მისი გზავნილი“<sup>13</sup>. შესაბამისად, სიზმარის რეალობისგან განსხვავებული, ჩვენთვის ბოლომდე ამოუცნობი ლოგიკა, ასოციატური კაგშირები ახასიათებს. სწორედ ასეთია Match-ი. ამიტომ მისი გაანალიზება რომელიმე, აქამდე აპრობირებული მეთოდით სრულიად წარმოუდგენელია.

Match-ში არნაკლებ მნიშვნელოვან როლს ასრულებს თამაშის ესთეტიკა. Match-ის შემთხვევაში ესაა ერთგვარი, პირობითად, სპორტული შეჯიბრი ორ ჩელოს შორის, სადაც მსაჯის ფუნქციას

დასარტყები საკრავები ასრულებენ, ამ მოსაზრებას აძლიერებს ისიც, რომ Match-ის შუაში „მსაჯი“ (დასარტყამ საკრავებზე შემსრულებელი) სასტკენს ნამდვილი საფეხბურთო არბიტრივით იყენებს<sup>14</sup>.

კაგლის ეს „სპორტული სიზმარი“ კონცერტის ერთგვარ პაროდიასაც წარმოადგენს, სადაც შემსრულებლებს შორის ხშირად მუსიკალური შეჯიბრი იმართება.

Match-ის პარტიტურის პირველი ხუთი გვერდი წესდებას, ანდა დებულებას მოგვაგონებს<sup>15</sup>. მასში სტრუქტურულად გამოიყოფა ძირითადი და ქვეპუნქტები, რომლებშიც შესრულების წესებზეა საუბარი, ანუ, ნაწარმოებს აქვს როგორც ქლერადი, ასევე ვიზუალური დატვირთვა. ეს უკანასკნელი უდიდეს როლს ასრულებს სპორტული შეჯიბრის ყურებისას. გარდა ამისა, ამ იოს-ში მნიშვნელოვნია თამაშის – ინსტრუმენტული თეატრის ესთეტიკა, რომელსაც კაგლი კეიჯის კვალდაკვალ ავთარებდა. იგი მიმართულია სმენადის ვიზუალიზაციის და ვიზუალურის სმენადობისკენ<sup>16</sup>.



XX საუკუნის მუსიკაში ხშირია ნაწარმოებები, რომელთა დასახელება გარკვეულ ადგილს უქავშირდება. მაგალითად: აივზის „ახალი ინგლისის სამი ადგილი“, კეიჯის „წარმოსახვითი ლანდშაფტი“, ვარეზის „ამერიკები“. სწორედ ასეთია ჯონ კეიჯის Ryoanji, რომლის სახელწოდება ტოპონიმს უკავშირდება, ხოლო მუსიკალური კანონზომირებები უშუალოდ ამ ადგილის – ძენ-ბუდისტური ბაღის შიდა სტრუქტურიდან გამომდინარეობს.

Ryoanji კეიჯის გვიანდელი ნაწარმოებია. თითქმის ათი წლის განმავლობაში, სიცოცხლის ბოლომდე კომპოზიტორს ცვლილები შეჰქონდა მასში. Ryoanji წარმოადგენს ე. წ. work in progress-ს. მის შესახებ კომპოზიტორი წერს: „1983 წელს დავიწყე მუშაობა ნაწარმოებზე, რომელსაც სახელი კიოტოში (იაპონია) მდებარე კლდოვანი ქვების ბაღის მიხედვით ეწოდა“<sup>17</sup>. ამ უჩვეულო opus-ს წინ უძღვდა 1982 წლის ზაფხულში მუშაობა ნახატების სერიაზე სახელწოდებით Where R=Ryoanji, სადაც გამოიყენა განსხვავებული ფორმის თხუთმეტი ქვის კონტური: 1983-85 წლებში „მუსიკალურ“ Ryoanji-ს ერთი ნაწილი და ოთხი ინსტრუმენტის პარტია დაუმატა (ხმა, ფლეიტა, კონტრაბასი და ტრომბონი). 1992 წლის ივლისში ჯონ რეტელეკსა და მაიკლ ბახთან ინტერვიუში (რომელიც შემდგომში შევიდა წიგნში: Musicage-Cage muses on Words, Art, Music) კეიჯმა ჩელოს პარტიის ესკიზებზე ისაუბრა<sup>18</sup>. აქვე უნდა

აღინიშნოს, რომ ცვლილებები, რომლებიც კომპოზიტორს წლების განმავლობაში შეჰქონდა, არ იყო რადიკალური.

Ryoanji-ს თითო პიესა ორგვერდიანია, ყოველი გვერდი, თავის მხრივ, ორ თხევთხევდს მოიცავს. თითოეულ თოხევთხევს კეიჯი მოცემული ლოდის პერიმეტრის (მონაცემების, ნაწილების) მიხედვით აგებს.

როგორც მაგალითიდან ჩანს, მრუდე ხაზები ვიზუალურად ქვების კონტურებთან ასოცირდება. ისინი უნდა შესრულდეს როგორც გლისანდოები მითითებულ ბგერასიმაღლებრივ დიაპაზონში<sup>19</sup>. კეიჯი



დიაპაზონს საზღვრავს როგორც მიკრო (გლისანდოს დიაპაზონი), ისე მაკროდონებზე (მთლიანი პიესის დიაპაზონი). რამდენიმე ადგილში კონტურები კვეთებ ერთმანეთს და ამიტომ სოლისტისთვის მისი შესრულება შეუძლებელი ხდება. ეს ადგილები აუდიოჩანაწერთან ერთად სრულდება და სოლო დუეტად ან ტრიოდ იქცევა. ნაწარმოებში ყოველი სოლისტის პარტია ზემოაღნიშნულ, გლისანდირების პრინციპს ემყარება.

კეიჯის წარმოდგენით სოლისტები შეესტყვისებან ბაღის ლოდებს, ხოლო თანმხლები ინსტრუმენტალისტები – „დავარცხნილ“ ქვიშას.

შესაბამისად, თანმხლებ ინსტრუმენტებს პერიოდული, ხოლო სოლისტებს აპერიოდული პულსაცია აქვთ.

ამრიგად, Ryoanji-ს მუსიკალური კომპოზიცია გამომდინარეობს ძენ-ბუდისტური ბაღის კანონზომიერებებიდან. ისევე როგორც ბაღში, სხვადასხვა რაგურსიდან შეიძლება ქვების სხვადასხვა ნახაზის დანახვა, ასევე ამ ნაწარმოების თითოეული ახალი შესრულება ახალ მუსიკალურ რაგურსებს გვიჩნის. და კიდევ ერთი, ჯონ კეიჯი ამ ნაწარმოებზე სიცოცხლის ბოლომდე მუშაობდა, ამატებდა ახალ სოლოებს, ახალ გააზრებებს, თუმცა ის ბოლომდე ვერ ან არ ამოწურა და ისეთივე ამოუხსნელ გამოცანად დატოვა, როგორიც Ryoanji-ს ბაღი და მისი თხუთმეტი ქვაა.

მოხსენებაში საანალიზოდ შევარჩიეთ იმგვარი ნაწარმოებები, რომლებიც ატარებენ არატრადიციულ დასახელებებს. ეს სახელწოდებები არაა დაკავშირებული პროგრამასთან ამ სიტყვის XVIII-XIX სუბჟეტის მუსიკის ტრადიციასთან მიმართებით, მათ არც ტრადიციულ უანრებთან აქვთ კავშირი, რომლებიც რაიმე გარკვეულ წინასწარ განწყობას ქმნიან. შესაბამისად, ეს ნაწარმოებები არ შეიცავს წინასწარ დადგენილ უნივერსალურ მახასიათებლებს, რაც უანრის ერთ-ერთი აუცილებელი ტიპოლოგიური თვისებაა. ამგვარად, ანალიზი ცხადყოფს, რომ, როგორც წესი, ნაწარმოებების დასახელებები ზოგადლოგიკური ხასიათისაა, ხოლო მუსიკალური მასალის ყველა კომპონენტი მასალის თვისებრივი მახასიათებლებიდან გამომდინარეობს, რომელსაც, თავის მხრივ, სახელწოდება, ანუ იდეა, განაპირობებს. ე. ი., ნაწარმოების სახელწოდება განსაზღვრავს მისი სტრუქტურის ყველა დონეს.

ამგვარად, უანრის ცნება რამდენადმე იცვლის სემანტიკას: „არატრი დასახელების ნაწარმოებებში უანრი, როგორც წესი, უშეალოდ უკავშირდება წერის ტექნიკას. ამით იერარქიულ კბეზე მისი ადგილი დაბლდება — უანრი ინაცვლებს კომპოზიციისა და კონკრეტული საშუალებების სფეროში“<sup>20</sup>. ამის მკაფიო მაგალითებია ჩვენ მიერ განხილული ნაწარმოებები: ე. ვარეზის Hyperprism, პ. ბულეზის Notations, კ. შტოკჰაუზენის Kreuzspiel, მ. კაგელის Match, ჯ. კეიჯის Ryoanji, თუმცა, უანრის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი მისი სტაბილურობაა. სწორედ ამიტომ, იმისთვის, რომ ამგვარი ნაწარმოებების სათაურებს უანრის სტატუსი მივანიჭოთ, ვუიქრობთ, აუცილებელია მათი განმეორებითობა „ტირაჟირება“, ანუ, საყოველოას დონეზე გასვლა, უნიფიცირება.

დღეს, როგორც გლობალიზაცია თანამედროვე სამყაროს მოწყობის ერთ-ერთი წამყვანი პრინციპია, სიტუაცია სიჭრელით გამოირჩევა. შესაძლოა კომპოზიტორები დაუბრუნდნენ კლასიციზმის უნიფიცირებულ კატეგორიებს, რადგან ისინი კველაზე განზოგადებულ პრინციპებს ემყარებან. შესაძლოა თანამდებობით შექმნან ახალი უნივერსალური უანრული მოდელები. თუმცა შესაძლოა, ინდივიდუალობის, განსაკუთრებულობის შესანარჩუნებლად, თანამედროვე რეალობის მიმართ ერთგვარ პროტესტად კიდევ უფრო მეტად გამძაღრდეს ინდივიდუალიზაციის პროცესი ხელოვნებაში. ერთი რამ კი ფაქტია. მუსიკა, როგორც კომუნიკაციის ერთ-ერთი ფორმა ვერ ასრულებს კიბიზობრისა და მსმენელს შორის გარკვეული პირობითი სიტემის გარეშე, რომელიც გასაგებს, აღქმადს გახდის მხატვრულ შემოქმედებას, ანუ, მისადაგებული იქნება გარკვეულ მყარ უანრულ მოდელს. რომელიც, როგორც ცნობილია, გულისხმობს გარკვეულ მოღოდინს, პროგნოზს, რომლის გამართლება კმაყოფილების შეგრძნებას იწვევს.

ბოლოს დავამთავრებთ თ. ადორნოს სიტყვებით: „უანრები იმადებიან და ქრებან. მათ რაღაც აქვთ საერთო პლატონის იდეებთან. უანრებსა და ფორმებს იმ დრომდე აქვთ სუბიექტზე უპირატესობა, ვიდრე ნაწარმოებთა ერთობლიობა დამთხვევა მათ“<sup>21</sup>.

<sup>1</sup> Адорно Т., Эстетическая теория, М.: «Республика», 2001 – стр. 57.

<sup>2</sup> ი. გრიფთი P. Modern Music. Lnd. – N. Y., 1979, p. 146-147.

<sup>3</sup> გ. ლობანოვას ტერმინი.

<sup>4</sup> ი. ბულეზი კომპაქტდისკის ანოტაცია: Boulez – orchestral works & chamber music. Col legno College, AAD, WWE 1 CD 20509, 1951/58/59/61 SWR.

<sup>5</sup> ი. ბულეზი კომპაქტდისკის ანოტაცია: Boulez – orchestral works & chamber music. Col legno College, AAD, WWE 1 CD 20509, 1951/58/59/61 SWR.

<sup>6</sup> Oullette F. Edgard Varese. New York: Da Capo Press Music Eprint Series, 1981-p. 4.

<sup>7</sup> *Notatio* – რომელიმე სფეროს პირობითი აღნიშვნების სისტემა. იგი შეიცავს მრავალრიცხვოვან სიმბოლოებს, რომლებიც გამოიყენება აზრებისა და მათი ურთიერთქმედების წარმოსადგენად. კველაზე გავრცელებულია მათებატიკური, მუსიკალური, ფიზიკური, ქიმიური, ჭადრაკის ნოტაცია და სხვ.

<sup>8</sup> Смирнов Д. Н., «Додекамания» Пьера Булеза, или заметки о его «Нотации» // Музыкальная Академия, 2003, № 4, стр. 112.

<sup>9</sup> Stockhausen K. Kreuzspiel. CD 1, Stockhausen Verlag, 1991 – s. 6.

<sup>10</sup> Dibelius U. Moderne Musik nach 1945 (Mit 75 Abbildungen und 87 Notenbeispielen). München, Zürich: Piper, 1998, s. 108

<sup>11</sup> აღსანიშნავია, რომ მსგავს ხერხს შტოჭაუზენბა მოგვიანებით, Guppen-ში მიმართა, თუმცა, Kreuzspiel-ისგან განსხვავებით, შემსრულებლები აუდიტორიის ირგვლივ არიან მოთავსებულნი, Guppen-ს ავტორის მითითებით ორჯერ ასრულებენ და შესრულებებს შორის მსმენებლად უნდა შეიცვალოს ადგილი.

<sup>12</sup> Mauricio Kagel. Match für 3 Spieler (1964), Christoph Caskel – percussion, Siegfried Palm, Klaus Storck – violoncello. Deutsche Grammophon 137 006 [1967].

<sup>13</sup> ი. ა. <http://library.evro-bit.ru/>

<sup>14</sup> საინტერესო ის ფაქტი, რომ ნაწარმოების ბოლოს ერთ-ერთი ჩელისტი „მსაჯს“ ხელს ართმევს. ამ მხრივაც შეიძლება პირდაპირი პარალელის გავლება სპორტთან.

<sup>15</sup> ამგვარი წინათქმა XX საუკუნის მრავალი კომპოზიტორის პარტიტურას უძღვის წინ. მაგალითობისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ვარეზის თოთქმის ყველა ნაწარმოები, შტოჭაუზენბის Stimmung-ი და Kreuzspiel-ი, შარინოს მესამე საფორტეპიანო სონატა, კაგლიის Pas de cinq და სხვ.

<sup>16</sup> გ. კაგლიის ინსტრუმენტული თვატრის ქანქში შექმნილი ცნობილი ნაწარმოებებია: Ludwig van - „მეტაკოილაჟი“, მძღვნილი ბეთოვენის დაბადებიდან 200 წლისთვისადმი (1969 წელი); „Staatstheater“ (პრემიერა პამბურგში, 1971 წელი); Aus Deutschland – „სასიმღერო ოპერა“ (პრემიერა დასავლეთი ბერლინში, 1981 წელი). ი. ა. Житомирский Д. В., Леонтьева О. Т., Мяло К. Г. Западный музыкальный авангард после второй мировой войны. М.: Музыка, 1989, стр. 37-38.

<sup>17</sup> <http://www.johncage.info/works/cage/ryoanji.html>

<sup>18</sup> <http://www.johncage.info/works/cage/ryoanji.html>

<sup>19</sup> აქ შეიძლება გავიხსენოთ ქენაკის Metastasis-ი, თუმცა Ryoanji -სან განსხვავებით, ინსპირაციის წყარო მუსიკალური ნაწარმოები გახდეთ, რომლის მიხედვითაც აიგო Phillips-ის ცნობილი პავილიონი 1958 წლის ბრიუსელის მსოფლიო გამოფენისთვის.

<sup>20</sup> Лобанова М., Музыкальный стиль и жанр. история и современность. М.: СК, 1990, стр. 227.

<sup>21</sup> Адорно Т. Op. cit. – стр. 292

• თ. გახიძე, ტექნიკური ესთუტიკის როლი ე. ვარეზის საკომპოზიტორო აზროვნების განვითარებაში // სადი პლომო ნაშრომი, თბილისი, 1992

• Boulez P. Piano Sonatas Nos. 1-3. NAXOS, DDD, 8.553353

- Cage J. Conversation with William Duckworth, 1995
- Dibelius U. Moderne Musik nach 1945 (Mit 75 Abbildungen und 87 Notenbeispielen). München, Zürich: Piper, 1998
- Dilberto J. In Conversation with John Cage. Electronic Musician – January 2005
- Frisius R. Karlheinz Stockhausen. Mainz, Schott Musik International, 1996
- Frisius R. Pierre Boulez: NOTATIONS pour piano / <http://www.jstor.org/pss/833632>
- Kostelanetz R. Conversing with Cage. Second Edition. New York and London, 2003
- Oullette F. Edgard Varese. New York: Da Capo Press Music Eprint Series, 1981
- Peyser J. Conversing with Cage. 1976
- Stockhausen K. Texte zur elektronischen und instrumentalen Musik. Band 1. Köln, DuMont Buchverlag, 1988
- <http://www.japantoday.ru/japanaz/r3.shtml>,
- <http://www.johncale.info/works/cage/ryoanji.html>
- [http://www.specialradio.ru/i/varese\\_edgar/](http://www.specialradio.ru/i/varese_edgar/)
- Аванесов А. Ю., Некоторые аспекты философии и эстетики дзэн-буддизма в музыке XX века. автореферат. Ереван, 2005.
- Адорно Т., Избранное: Социология музыки. М. – С. Пб.: Университетская книга, 1999.
- Адорно Т., Как устаревает «новая музыка» // Современное буржуазное искусство. Критика и размышления. М.: СК, 1975.
- Адорно Т., Философия новой музыки. М.: 2001.
- Булец П., Ориентиры I. Воображать. Избранные статьи. М.: «Логос-Альтера», «Ecce homo», 2004.
- Житомирский Д. В., Леонтьева О. Т., Мяло К. Г. Западный музыкальный авангард после второй мировой войны. М.: «Музыка», 1989.
- Лобанова М., Музыкальный стиль и жанр. История и современность. М.: СК, 1990.
- Переверзева М., Музыкальные формы Джона Кейджа // Музыка XX века. Вопросы истории, теории, эстетики. Материалы научной конференции. Сборник 54. Московская консерватория, 2005
- Смирнов Д. Н., «Додекамания» Пьера Булеза, или заметки о его «Нотациях» // Музыкальная Академия, 2003, № 4.

ეგა ჭაბაშვილი  
დოქტორანტურის I კურსი  
ხელმძღვანელი – პროფ. ნოდარ მამისაშვილი

## ათონალურ-ბირთვული საკომარჯისიო ტემითი

(პრობლემის დასმისთვის)

კაცობრიობის ისტორიაში XX საუკუნე ყველაზე გადატვირთულია სამეცნიერო სიახლეებით, რაც ასევე აქტიურად აისახა მსოფლიო კულტურაზე და მათ შორის მუსიკაზეც. ამ ეპოქისთვის ყველაზე დამახასიათებელია ხელოვნებაში მეცნიერული აღმოჩენების პირდაპირობობიულად გამოვლენის ტენდენცია. ამის შედეგად წარმოიშვნენ ორიგინალური, ჰიბრიდული ტიპის მოღვაწეები ხელოვნების სხვადასხვა სფეროში, მათ შორის მეცნიერ-კომპოზიტორებიც. ხელოვნების დარგების სინკრეტიზაციის შედეგად იქმნება განსხვავებული სპეციფიკის მხატვრული ნიმუშები (სინკრეტული აზროვნება ახასიათებდა უძველესი სამყაროს ხელოვნებასაც, რის საფუძველზეც იქმნებოდა ისეთი ჟანრები, როგორიცაა ფსალმუნი, სატურა და სხვა). სწორედ მსგავსი მოვლენების ფონზე XX საუკუნის II ნახევრში და XXI საუკუნეში ხელოვანთა უმეტესობაში შეიმჩნევა ლტოლვა „გამთლიანებული აზროვნებისკენ“!

ის, რომ აზროვნების ცვლა ხდება, ხშირად ისმის სხვადასხვა ხელოვნის გამონათქვამებში, ერთ-ერთი ასეთი აზრი ეკუთვნის მუსიკალური აკანგარდის ერთ-ერთ ლიდერს, გერმანელ კომპოზიტორ კარლპაინც შტოკპაუზენს:

„ეპოქა, რომელიც დაიწყო ასეულობით წლის წინ, უფრო სწორედ 2500 წლის წინ და რომელიც ეფუძნება ძვლებერძნული ტიპის აზროვნებას, დასრულდა!“<sup>2</sup>

ასევე ცნობილი ქართველი მეცნიერ-კომპოზიტორისა და გამომგონებლის ნოდარ მამისაშვილის აზრით, „თანამედროვე ტექნიკიზმის პირობებში ლოგიკური აზროვნების ფორმები და ფორმალური ლოგიკის მაქსიმალური პროცესები იძღვნად გაბატონდა დღვევანდელ ყოფიერებაში, რომ რამე ძეთოდოლოგიური სასწაულებით

თუ მწიგნობრობით მისი მარწუხებად თავის დაღწევა შეუძლებელია. არა და გამოღიანებულ აზროვნებაზე გადასვლა თანამედროვე ცივილიზაციის სასიცოცხლო პროცესების აღმავლობისათვის აუცილებელი პირობაა“<sup>3</sup>.

ზემოთ მოყვანილი მოსაზრებები შეესაბამება ეპოქალურ საზროვნო პოტენციალს და ებმაურება მომავლის მეცნიერებასაც. ხშირად ხელოვნება და ლიტერატურა წინასწარ სახავს სიახლეებს, რომელთა რეალიზება ეპოქალურ სინამდვილეში ჯერ კადევ იღუზიურია. ხელოვანები ამ მოვლენებს მხოლოდ მხატვრული ხერხებით ასახავენ საკუთარ შემოქმედებაში, რაც შემდგომ მეცნიერულ აღმოჩენებში გამოვლენილა, რისი ნათელი მაგალითია, თუნდაც, უკულ ვერნის შემოქმედება.

რამ შეიძლება ახსნას ეს მოვლენა? შესაძლოა გენეტიკამ... ინფორმაცია რომელიც ჩაწერილია გნეში აქტიურდება და გენიოსები იწყებენ ამ ინფორმაციის წაკითხვას – გაცნობიერებას.

აზროვნების ცვლადობის მიუხედავად, გენურ კოდში ჩაწერილი ინფორმაცია მუშაობს. თუ ცნობიერებას შეუძლია მომავლის ინფორმაციას მაგნოს, მით უმეტეს, წარსულში მიღებულ ინფორმაციას კიდევ უფრო გაუფრთხილდება. ასე რომ, როგორც არ უნდა ვეცადოთ წავმალოთ წარსული – ეს შეუძლებელია. შესაბამისად, XX საუკუნის კომპოზიტორ-აკანგარდისტების მხრიდან გასული საუკუნეების მუსიკალური კულტურის უარყოფისა და ყველაფრის ახლიდან დაწყების მცდელობა განუხორციელებელ ამბიციად დარჩა.

„ორ მსოფლიო ომგადახდილ კაცობრიობას, უფრო სწორედ, ინტელექტუალთა ნაწილს პროტესტი უწევდება საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული ესთეტიკური ფასეულობების მიმართ. განსხვავებული სტილის კომპოზიტორებს – ბულეზს, შტოკპაუზენს, ლიგეტის, ნონის, ბერის – დაახლოებით ერთდროულად იპყრობს სურვილი, მიღწეულ იქნეს ცნობიერების ისეთი მდგომარეობა, რომელსაც მეტაფორულად *tabula rasa* შეიძლება ეწოდოს (*tabula rasa* მუსიკაში – ეს არის მცდელობა, მეხსიერებიდან ამოშალოს წარსულის მუსიკალური სტრუქტურა და შემოქმედებითი პროცესი „ნულიდან“ დაიწყოს – Null Punkt, Punkt Zero). 1945 წელი პირობითად აღიარებულია ათვლის წერტილად, რომელიც ახალ

ეპოქას, ახალ კულტურასა და ჭეშმარიტად ახალ მუსიკას<sup>4</sup> აძლევს დასაბაშს.“ (ნაწყვეტი 6. უვანიას საღისერტაციო ნაშრომიდან)

ასეთი რადიკალიზმი მათ შემოქმედებაში მიმდინარე პროცესების არასწორად გაგებამ გამოიწვია. თაობა, რომელიც „გამოლიანებული აზროვნების“ საზღვარზე დგას, ჯერ კიდევ დაბნეულია იმ გაუცნობიერებული მოვლენების გამო, რომელიც მათ აზროვნებაში ხდება. იგი უსაზღვრო ენერგიის მორევში ტრაალებს – ენერგიისა, რომელიც კაცობრიობას სიახლეში ნახტომისთვის ამზადებს.

კაცობრიობას ახალ ერაში შესვლას სწორედ „გამოლიანებული აზროვნების“ პროცესები განაპირობებს, თუმცა მას უპირისპირდება ზომბირების მეთოდით მიღებული ცნობიერების უმარტივესი ფორმები. ამიტომ ხელოვნების ნებისმიერ დარგში ისეთი სააზროვნო სისტემების შექმნა, სადაც ინტუიციას ინერციით მივყვართ, მომავლის ადამიანის გადარჩენის იარაღია.

საზოგადოებასა და ინდივიდის ინტელექტუალურ არეალში გაჩნდა, არსებულისგან განსხვავებული, სხვაგვარი პროდუქტის გასინჯვისა და მიღების მოთხოვნილება. მსმენელისთვის ახალი პროდუქტის მიწოდება, ზოგადად, ხელოვნების მუდმივი პროცესია, თუმცა სხვა ეპოქების ადამიანებისგან განსხვავებით დღევანდელი აუდიტორიის გარკვეული ნაწილი ითხოვს სიახლეს, ის ინტელექტუალურად გაცილებით მომზადებული და პროგრესულია. როცა წარსულ, XX საუკუნეშიც კი პროტესტისა და აგრესის ფონზე ინერგებოდა სიახლე, დღეს მომხმარებლის ინოვაციისაგან სწრაფვა აშკარა ინტერესისა და ინტუიციური ოვთოგანწყობის ფონზე ვლინდება, ეს პროცესიც „გამთლიანებული აზროვნების“ საწინაარია. მიმწოდებლის და მომხმარებლის ინტერესების ერთობლიობა განა იდენტურია, არამედ ინფორმაციულად ჰარმონიულია და ატარებს შეხედულებათა ცვლადობის იმპულსს.

### მუსიკალური გენეტიკური კოდები

საკითხი, რომელსაც განვიხილავთ, სინკრეტული აზროვნების ფენომენს ეხება. ვეულისხმობთ „ატომალურ-ბირთვული საკომპოზიციო ტექნიკას“, რომელიც ასევე „გამთლიანებული აზროვნების“ ნაყოფს წარმოადგენს, სადაც მუსიკალური გენეტიკური კოდები თავისებურად აქტიურდებიან. სწორედ ეს მუსიკალური გენეტიკური

კოდები „უნარჩუნებები“ კომპოზიტორის შემოქმედებას ეროვნულ ელფერს და თვიღმყოფადობის მუხტს. სხვა შემთხვევაში ნებისმიერი საკომპოზიციო ტექნიკა შთანთქავდა კომპოზიტორის ინდივიდუალობას.

